ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული

თბილისი

2016

რედაქტორი: ნინო ფარესაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორები: სიმონ გელაშვილი, ნუგზარ თოდუა, იაკობ (იაშა) მესხია, გიორგი ღაღანიძე, ეთერ ხარაიშვილი.

ასოცირებული პროფესორი: ინეზა გაგნიძე, ირინა გოგორიშვილი, გულნაზი ერქომაიშვილი, ნაზირა კაკულია, ნინო პაპაჩაშვილი, ნანა სრესელი, ნინო ფარესაშვილი, რამაზ ფუტკარაძე, ლეილა ღუდუშაური, შოთა შაბურიშვილი, იზოლდა ჭილიძე, მერაბ ხმალაძე

ასისტენტ პროფესორები: მანანა ლობჟანიძე, რუსუდან სეთურიძე, ეკატერინე უროტაძე, ლეილა ქადაგიშვილი.

მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები: გოგიტა თოდრაძე, გულადი ნაკაშიძე, ქეთევან ჩიტალაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი: ნათია კახნიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა მშვენიერაძე

გარეკანის დიზაინერი: ნინო ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

წინასიტყვაობა

კრებულში წარმოდგენილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ 2016 წლის 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაზე მოსმენილი მოხსენებები.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელია სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა, რისთვისაც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მუდმივად ცდილობს სტუდენტებისათვის დამოუკიდებელი აზროვნების პარალელურად შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მსოფლიოს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, აუცილებელია სწავლების ყველა საფეხურზე სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების გაძლიერება.

სტუდენტთა მკვლევარად მომზადება რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც თავისთავში მოიცავს რამდენიმე ასპექტს: მათთვის სათანადო ლიტერატურის მიწოდებას, მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად ამ ლიტერატურის გაანალიზებას, თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების სწორად გამოყენებას, რაც თავისთავად გულისხმობს მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმებისა და სხვა ინფორმაციასთან ანალიტიკური შედარების უნარის გამომუშავებას, ასევე ლოგიკური აზროვნების განვითარებასა და დასკვნების გაკეთებას, მიღებული თეორიული ცოდნის შერწყმას პრაქტიკულ სამუშაოსთან. ყოველივე ეს წარმოუდგენელია სასწავლო პროგრამებში კვლევითი ელემენტების ჩართვის გარეშე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სისტემური და ფუნდამენტური ცოდნის დაუფლებას.

სამეცნიერო კრებულში ასახულია სტუდენტთა თვალით დანახული მსოფლიოსა და საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ვფიქრობთ, რომ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს მათ მოახდინონ საკუთარი იდეების გენერირება და აიმაღლონ ინოვაციული მიდგომების უნარ-ჩვევები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ბაბუნაშვილი თამარი, ქართული ღვინის ბრენდი და კონკურენცია ღვინის ბაზარზე 6
2. ბერიშვილი მაია, მოსახლეობის დაბერების გლობალური ტენდენციები და საქართველო 16
3. ბიწაძე მარიამი, ინოვაციური პროდუქტის ბაზარზე გასვლის მარკეტინგული სტრატეგიები (კომპანია Woody Eyeglasses-ის მაგალითზე) 29
4. ბულია ნათია, მაწიაშვილი ნათია, უმუშევრობის სტატისტიკა საქართველოში 35
5. გაბრიჭიძე დავითი, საქართველოს ჯანდაცვის ბაზარზე სოციალური მედიისადმი დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა 42
6. გელაშვილი სოფიო, საქართველოს ენერგორესურსების წარმოების ანალიზი 52
7. გერგეშიძე ნინო, მწვანე ეკონომიკის ფენომენი და ბიზნესის გარემოზე ზემოქმედების მოდელები 61
8. მჭედლიძე ელენე, გოგაშვილი სოფი, ხიდეშელი ნანა, ორი კომპანიის შედარებითი სტრატეგიული ანალიზი 65
10. გოგრიჭიანი ბექა, ტრანსფორმაციის პოლიტიკა საქართველოში 78
11. დარჯანია მარიამ, კონკურენცია თხილის ბაზარზე და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შეფასება 81
12. ვარდიაშვილი ნინო, დაზღვევის კერძო სექტორის მენეჯმენტი საქართველოში 91
13. ვაჩიბერაძე ნათია, აუდიტის ხარისხის კონტროლი 103
14. ზაბახიძე სალომე, ოფშორული კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიკაში 113
15. თედიაშვილი მირიან, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 123
16. კალანდია სალომე, საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაცია და თანამედროვე ბიზნესსაქმიანობის გარემო 132
17. კარაპეტიანი ანი, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ანალიზი 143
18. კობახიძე სალომე, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში 149
19. კოხოძე ქრისტინე, შონია მარიკა, საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების სტატისტიკური ანალიზი 161
20. ლომაია ანანო, რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის ზეგავლენა საქართველოს ფინანსურ სისტემაზე 178
21. მაისურაძე თეონა, პერსონალის პიროვნული მახასიათებლები კონფლიქტ-მენეჯმენტთან მიმართებაში 182
22. მექვაბიშვილი თეონა, დასაქმების პრობლემები საქართველოში 193
23. მეძმარიაშვილი თინათინ, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საქართველოში, როგორც საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის საშუალება 200

24. მიქელაძე გვანცა, სოციალური მდგომარეობის სტატისტიკა საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში 205
25. ოქროპირიძე მამუკა, ბაქო - თბილისი – ყარსის რკინიგზა გამოწვევები, შესაძლებლობები საქართველოსთვის 216
26. სეხნიაშვილი დალი, საბაზრო ეკონომიკის სკანდინავიური მოდელი და „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების პერსპექტივები საქართველოში 220
27. სილაგაძე ლევან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი 234
28. უთალიშვილი ეკა, საგადასახადო რეფორმა საქართველოში და ესტონური მოდელი 240
29. ღუტიძე თამარ, აგრობიზნესის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში 244
30. ყურაშვილი დოდო, საქართველოს ფოსტის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით 255
31. შარიქაძე თეონა, ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა საქართველოში 262
32. შატაკიშვილი დავით, კიკაბიძე ანდრო, ცოდნის ინკუბაცია 276
33. ჩუბინიძე თეიმურაზ, არაფორმალური განათლების როლი ორგანიზაციის წარმატების მიღწევაში 283
34. ჭაღიაშვილი გიორგი, უმუშევრობასა და მეწარმეობას შორის კავშირი საქართველოში 295
35. ხიზანიშვილი მარიამი, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში 301
36. ჯიბლაძე ნათია, გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე 308

ქართული ღვინის ბრენდი და კონკურენცია ღვინის ბაზარზე

თამარ ბაბუნაშვილი
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება. განსაკუთრებთ საგულისხმოა ის დარგები, რომლებიც ეროვნული რესურსების ეფექტიანი გამოყენებით შეძლებენ საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებას და მნიშვნელოვანი უკუგების მიღებას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება. ეს დარგი ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და მეღვინეობა ყოველთვის უპირველეს საქმიანობას წარმოადგენდა აგროსასურსათო სფეროში.

ქართული ღვინო თავისი კონცეფციით ქართულ ხასიათს და განწყობას გამოხატავს. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას მრავალსაუკუნოვანი, 8000 წლიანი უწყვეტი ტრადიცია აქვს.

საკვანძო სიტყვები: *ქართული ღვინის ბრენდი, ხარისხი, ღვინის ბაზარი, კონკურენტუნარიანობა.*

საქართველო კულტურული ვაზის ფორმათა წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად კერადაა აღიარებული, რაც მრავალი სამამულო და უცხოელი მკვლევარების არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური თუ სხვა წყაროებით დასტურდება.

ბოლო წლების განმავლობაში, შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული დაბრკოლებებისა და გარე ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, მსოფლიოში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა გაიზარდა. ქართულ ღვინის მსოფლიო ღვინის ბაზარზე დამკვიდრებას განაპირობებს: ადგილობრივი უნიკალური ჯიშები, საქართველოს ისტორიული ფაქტების საფუძველზე დამკვიდრებული ღვინის სამშობლოს ტიტული, რაც განსაკუთრებით საინტერესოა უცხლოელისათვის, ტრადიციული მეღვინეობა, რაც ქვევრში ღვინის დადუღებასა და დავარგებას გულისხმობს. ეს ტექნოლოგია უნიკალურია. დასახელებული ფაქტორებიდან გამომდინარე, პერსპექტივაში კიდევ უფრო გამოიკვეთება ქართული ღვინის ბრენდი და თანამედროვე ღვინის სამყაროში ქართული ღვინო საპატიო ადგილს დაიკავებს.

აღნიშნული კვლევის მიზანია ქართული ღვინის ბრენდების შესწავლის საფუძველზე კონკურენციის დონის შეფასება ღვინის ბაზარზე და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

კვლევის ამოცანებია:

- ქართული ღვინის ბრენდის როლის განსაზღვრ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში;
- ქართული ღვინის ბრენდების დახასიათება;
- მონაცემების შეგროვება ვენახის ფართობის შესახებ;
- ღვინის ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრის მიმოხილვა და ანალიზი.

ღვინის ძლიერი ბრენდი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკაში მევენეხეობა-მეღვინეობის განვითარებას. იგი განიხილება როგორც კორპორატიული წარმატების გარანტი. დევიდ ა. აკერი განმარტავს, რომ ბრენდი ამცნობს მომხმარებელს

პროდუქტის წარმოშობის წყაროს და იცავს როგორც მყიდველს, ისე მწარმოებელს ისეთი კონკურენტებისაგან, რომელთაც სურთ შექმნან ანალოგიური (დაბალხარისხიან) პროდუქტი. (David A Aaker, Managing Brand Equity, The Free Press, New York, 1991). დროთა განმავლობაში მომხმარებელთა წარმოდგენაში ბრენდი ხდება სანდოობის, მაღალი ხარისხის და კმაყოფილების გარანტი.

ბრანდონ ვესტინგ-მა ღვინის ბრენდის განვითარებაში 3 ეტაპი განიხილა: ღვინის ბრენდის შექმნა, გაძლიერება და შეფასება (Brandon Westling, 2001, http://www.tincknell.com/pdfs/brandequity.pdf). პირველი ეტაპი გულისხმობს ღვინის მწარმოებელი კომპანიის ბაზარზე პოზიციონირებას, მიზნების განსაზღვრას, მომხმარებლების მოთხოვნილებების შესწავლასა და კომუნიკაციის მაღალ დონეს. მეორე მოიცავს მეღვინეების ინოვაციურ ხედვებს, რომელიც გამოიხატება მომხმარებლებისთვის ღირებულების შექმნასა და გაცნობაში. მესამე ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის ღვინის ბრენდის ფორმირების პროცესში. ღვინის ბრენდის ხშირი შეფასება და განვითარების შესაძლებლობა უფრო მიმზიდველს ხდის მას მომხმარებელთათვის.

საქართველოს თითოეულ მხარეში ვაზის ადგილობრივი ჯიშებია გავრცელებული, ღვინის დაყენების მეთოდებიც განსხვავებულია. ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოიცავს ვაზის აბორიგენულ და ინტროდუცირებულ ჯიშებს. აბორიგენული ჯიშებია: რქაწითელი, კახური მწვანე, გორული მწვანე, ხიხვი, ქისი, საფერავი, ჩინური, ალექსანდროული, ალადასტური, უსახელოური, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, კაჭიჭი, თავკვერი, შავკაპიტო და სხვა.

რაც შეეხება ღვინოს, მისი კლასიფიკაცია შემდეგნაირია:

- ხარისხის მიხედვით: სუფრის, მხარის, სპეციფიკურ ზონებში წარმოებული ადგილ-წარმოშობის დასახელების უმაღლესი ხარისხის, სპეციფიკურ ზონებში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების უმაღლესი ხარისხის.
- ტიპების მიხედვით: მშრალი; ნახევრადმშრალი; ნახევრადტკბილი; ტკბილი; ცქრიალა; შუშხუნა; შემაგრებული; არომატიზებული.
- ფერის მიხედვით: თეთრი; ვარდისფერი; წითელი.

ვენახების რაოდენობა პირდაპირ ასახავს ქვეყნის პოტენციალს აწარმოოს ყურძენი და ღვინო. მსოფლიო ვენახების ფართობის 0,8% საქართველოზე მოდის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, ვენახის საერთო ფართობმა საქართველოში 58,0 ათასი ჰექტარი შეადგინა. 1960 წელს ეს მაჩვენებელი 77,9 ათასი ჰექტარი იყო, 1970 წელს - 66,8 ათასი, ხოლო 1984 წელს 87,9 ათასი ჰექტარი. მხარეების მიხედვით ვენახის ფართობი შემდეგნაირად არის განაწილებული (იხ. დიაგრამა 1.1).

საქართველოში ვენახების ფართობების უმეტესი ნაწილი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე მოდის, კერძოდ კახეთის მხარეში მათი 68%-ია, დასავლეთში წამყვანია იმერეთის მხარე, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი 18%-ია, 9% მოდის ქართლზე დანარჩენი 5% კი სხვა რეგიონზეა გადანაწილებული.

დიაგრამა 1.1 ვენახების ფართობების გადანაწილება მხარეების მიხედვით[1]



ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც, თანხობრივად, 98 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

გასული წლის მთავარ მიღწევად სააგენტოში ჩინეთის ბაზრის ათვისებას მიიჩნევენ. სააგენტოს ინფორმაციით, ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 12 თვეში მთლიანადე ქსპორტირებულია 2,6 მილიონი ბოთლი. ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა, რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.2016 წლისიანვარ-მარტში საქართველო დან მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7694748 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი - 4077797 ბოთლი, უკრაინა -1088862 ბოთლი,ყაზახეთი - 784844 ბოთლი, პოლონეთი - 443208 ბოთლი, ჩინეთი - 371295 ბოთლი.

2016 წლის კვარტალში ექსპორტირებული ღვინის ყველაზე დიდი რაოდენობა არისადგილწარმოშობის წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო „ქინძმარაული“ – 5114901 ბოთლი, წითელი მშრალი ღვინო „მუკუზანი“ – 1827248 ბოთლი, თეთრი მშრალი ღვინო „წინანდალი“ – 1343232 ბოთლი. ყველაზე მოთხოვნადი ადგილწარმოშობის ღვინოების ხუთეულში შედის ასევე წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო „ახაშენი“ – 651348 ბოთლი, და წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო „ხვანჭკარა“ – 348416 ბოთლი. ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7266755 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლისიანვარ-აპრილში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში მეექვსე ადგილი დაიკავა ღვინის ექსპორტმა 28385,9 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც მთლიანი ექსპორტის 4,7 პროცენტს შეადგენს.

[1] E. Kharaishvili, M. Chavleishvili, M. Natsvaladze, Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, 2014.

ცხრილი 1.1 უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში [1]

	2015* წლის იანვარი-აპრილი		2016* წლის იანვარი-აპრილი	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
ექსპორტი – სულ	**688 754.1**	**100.0**	**608 113.4**	**100.0**
მათ შორის:				
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	85 654.6	12.4	113 142.8	18.6
მსუბუქი ავტომობილები	72 780.5	10.6	48 375.4	8.0
თხილი და სხვა კაკალი	61 902.3	9.0	45 398.0	7.5
ფეროშენადნობები	72 676.3	10.6	44 089.3	7.3
აზოტოვანი სასუქები	37 043.0	5.4	32 763.8	5.4
ყურძნის ნატურალური ღვინოები	23 074.7	3.4	28 385.9	4.7
სამკურნალო საშუალებები	39 065.3	5.7	27 530.1	4.5
მინერალური წყლები	30 758.6	4.5	26 633.6	4.4
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული	17 732.8	2.6	24 828.6	4.1
სპირტი ეთილის არადენატურირებული 80 მოც. % -ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით და სპირტიანი სასმელები	14 802.8	2.1	23 932.7	3.9
დანარჩენი საქონელი – სულ	233 263.3	33.9	193 033.1	31.7

*წინასწარი მონაცემები.

მოცემული ცხრილის საფუძველზე ადვილად შევამჩნევთ,რომ საქართველოს საექსპორტო ჯგუფებს შორის ყურძნის ნატურალური ღვინოების წილი ექსპორტის მთლიან შემადგენლობაში გასული წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია, რაც 3,4%- დან 4,7%-ს შეადგენს.

დიაგრამა 1.2 უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2016 წლის იანვარ-აპრილში (%)* [2]



საქართველოში დღეისათვის ღვინოების მსხვილი მწარმოებლებიდან აღსანიშნავია შემდეგი კომპანიები: „თელიანიველი“, „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების

[1] http://geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=460
[2] http://geostat.ge/?action=wnews&lang=geo&npid=460

კომპანია“ – GWS, თელავის ღვინის მარანი - TWC, „სამება“, „თბილღვინო“, „ბადაგონი“, „მეღვინეობა ხარება“ და სხვ აკომპანიები, რომელთაც გააჩნიათ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც მათი პროდუქციი სმაღალ ხარისხს განაპირობებს. ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციები შეხამებულია თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებთან. ეს კომპანიები თავიანთ პროდუქციას ძირითადად რუსეთის ბაზარზე ყიდიან, მაგრამ გარდა რუსეთისა, წარმატებით იყიდება აგრეთვე უკრაინაში, ბალტიისპირეთში, იაპონიაში, აშშ-ში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში საფუძველი ეყრება ქართული ღვინოების მწარმოებელთა ისეთ ფენას, რომელთაც აქვთ მცირე სიმძლავრის, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ღვინის ქარხნები, შესაბამისი სანედლეულო ბაზით. ამჟამად ასეთი მცირე საწარმოების რაოდენობა 20-ზე მეტია და უახლოეს მომავალში ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. მათ მიერ დამზადებული ღვინოები გამოირჩევა მაღალი ხარისხობრივ იმაჩვენებლებით, მათ წარმატებით ჰყიდიან როგორც ადგილობრივ ისე რუსეთი და სხვა ქვეყნების ბაზრებზე.

საქართველოს ღვინის კომპანიები აქტიურად ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, თუ განვიხილათ კომპანიათა ათეულს, რომელნიც ნერგავენ ინოვაციებს თანამედროვე ეკონომიკის შესაბამისად, რეიტინგში შემდეგი კომპანიები მოხვდებიან: „თელავის ღვინის მარანი“, „თბილ ღვინო“, შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“, შპს „დუგლაძეების ღვინოების კომპანია“, „თელიანი ველი“, Georgian Wine House, შპს „ბადაგონი“, „GEORGIAN WINES FROM MUKHRANIS MARANI“-ის საქართველოს წარმომადგენლობა, შპს „ტიფლის სკივინნიპოგრებ“; შპს „გრუზვინპრომი“.

აღნიშნული კომპანიების მიერ ბოლო წლების განმავლობაში ყურადღება გამახვილებული იყო ინოვაციური პროცესების და ტექნოლოგიების დანერგვაზე, როგორც საწარმოო ასევე პროგრამების შემუშავების კუთხით, ასევე ადმიანისეული კაპიტალის განვითარების, ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების მხრივ. ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო კომპანიების განვითარებას, ჯანსაღი კონკურენციის გაღვივებას და პროდუქციის ექსპორტზე გატანას.

„საქართველოში ძალიან შემცირებულია ღვინის მოხმარება – 20-30 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა გაცილებით ნაკლებ ღვინოს მოიხმარს. ჩვენთან მოხმარება არის გაცილებით ნაკლები, ვიდრე ღვინის სხვა, ტრადიციულ მწარმოებელ ქვეყნებში – იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში. 1 ადამიანი საქართველოში დაახლოებით 20-25 ლ ღვინოს მოიხმარს, მაშინ როცა საფრანგეთში 47 ლიტრია მოხმარება“. - აღნიშნავს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი სამანიშვილი.

„ქართული ბაზარი უნიკალურია იმით, რომ ადგილობრივ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს არ აქვთ ერთმანეთში კონკურენცია, ძირითადი კონკურენტები არიან მსოფლიო მწარმოებლები. შესაბამისად, კარგი მიდგომაა და ძალიან ეროვნულია ის, რომ ჩვენი რესტორნები, ქსელები, უფრო მეტად, ორიენტირებულია ქართული ღვინის რეალიზაციაზე. ეს მიუთითებს იმას, რომ ღვინის სექტორი საქართველოში არის საკმაოდ ლოიალური. ეს, რა თქმა უნდა, უცხოელის თვალშიც იმის განცდას იწვევს, რომ ქართული ღვინო ქართველს სათანადოდ აქვსშ ეფასებული“ - აცხადებს კომპანია „შუხმანვაინს ჯორჯიას“ დირექტორი, ქალბატონი ნუცა აბრამიშვილი.

ქართული ღვინის ბაზარზე არსებული ტრადიციული ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიხედავად აქტიურად იქმნება ახალი ქართული ღვინის ბრენდები, ისეთები როგორიცაა: „ბაიას ღვინო“ (Baia’s Wine), „რანინა“ და „იკანო“. ახლშემოსულმა ღვინის ბრენდმა „იკანო“-მ ჩაატარა

მომხმარებელთა კვლევა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში წელიწადში 66 მლნ. ლიტრ ღვინოს მოიხმარენ.[1] აქედან, მხოლოდ 2 მლნ. ლიტრ ბოთლის ღვინოს. აღსანიშნავია, რომ 18-დან 40 წლამდე ადამიანთა კატეგორია, რომლებიც ყველაზე მეტ ალკოჰოლს მოიხმარს თითქმის არ სვამს ღვინოს. ჩატარებული კვლევის მიხედვით კომპანიამ გადაწყვიტა, რომ კონკურენტულ ბაზარზე სრულიად განსხვავებული პროდუქტი უნდა შეექმნა, რომელიც 18-დან 40 წლამდე ადამიანთა კატეგორიას დააახლოვებდა ღვინოსთან. „იკანოს“ სიმარტივე იმაში მდგომარეობს, რომ ბოთლს საცობის მაგივრად ხრახნილიანი გასახსნელი აქვს, ასევე არის მხოლოდ ოთხი სახეობა, სახელად კი ყურძნის ჯიშები სნაცვლად ფერები ჰქვია: წითელი-საფერავი-კაბერნე, ლურჯი-საფერავი-მერლო, ყვითელი-რქაწითელი-შარდონე და მწვანე „იკანო“-ცოლიკოური-სოვინონ ბლანი. ოთხივე „იკანო“ არის ქართული და ევროპული ჯიშების კუპაჟი და ევროპულადაა დაყენებული.

საქართველოში ღვინის წარმოების პოტენციალისა და პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე მიწოდების ხელშემწყობი პირობებისა და სირთულეების გამოსაკვლევად მნიშვნელოვანია პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ანალიზი. ასევე, საჭიროა ქართული ღვინის საზღვარგარეთის ბაზრებზე შეღწევის სტრატეგია პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორის მიხედვით შეფასდეს.

ბაზარი ინდუსტრიული მეტოქეობის გარდა კიდევ ოთხ კონკურენტულ ძალას მოიცავს. ესენია: მყიდველები, მომწოდებლები, ახალი მონაწილეები და შემცვლელი პროდუქცია. სწორედ ეს ხუთი ძალა განსაზღვრავს ინდუსტრიას და აყალიბებს მასში არსებული კონკურენციის თავისებურებებს (იხ. სქემა 2.1).

სქემა 2.1. კონკურენციის წარმომქმნელი ხუთი ძალა [2]



კონკურენტული ინდუსტრიის მომგებიანობას ხუთიდან ერთ-ერთი (ან რამდენიმე) კონკურენტული ძალა გააპირობებს. სწორედ მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სტრატეგიის

[1] http://www.marketer.ge/tag/%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D/

[2] მ. პორტერი, „ხუთი კონკურენტული ძალა, რომელიც სტრატეგიის ფორმირებას განაპირობებს“, 2008. ჟურნალი „ბიზნესი“, N2, 2008 წ.

ჩამოსაყალიბებლად. საგულისხმოა, რომ ყოველთვის არ არის თვალსაჩინო, უშუალოდ რომელი ძალა ასრულებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს.

ღვინის ინდუსტრიაში მკვლევარები ამ სექტორის კონკურენტულ უპირატესობას ხუთი ფაქტორის საშუალებით აფასებენ: არსებული ადგილობრივი ბაზრის პოზიცია, ადგილობრივი ღვინის ბაზრი ზრდის პოტენციალი, მასშტაბის ეკონომია (დანახარჯი/სარგებლის ანალიზი), ღვინის ინდუსტრიის ცვლილებისადმი ადაპტაცია, უცხოური ინვესტორების მოზიდვის პოტენციალი.

პირველი ფაქტორი (ადგილობრივი ღვინის ბაზრის პოზიცია) განსაზღვრავს ძლიერი ადგილობრივი ბაზრის არსებობას დ აგულისხმობს 2 მილიარდი ან მეტი ლიტრი/წელი ღვინის გაყიდვას და ამ პროდუქტზე მომხმარებლების ადვილად ხელმისაწვდომობას ადგილობრივ ბაზარზე. საქართველოში წელიწადში საშუალოდ 66 მლნ ლიტრი ღვინო იწარმოება (გაყიდვა) და ამ კრიტერიუმის მიხედვით სუსტი პოზიცია აქვს.

მეორე ფაქტორი (ადგილობრივი ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალი) წარმოადგენს ადგილობრივი ღვინის ბაზრის ზრდის პოტენციალს. იმისთვის, რომ ეს ფაქტორი ჩაითვალოს ძლიერად, ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: უნდა იყოს მოსახლეობის საკმარისი რაოდენობა და იზრდებოდეს ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარება. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან მოსახლების ერთ სულზე ღვინის მოხმარების შემცირებით, ამ კატეგორიაში იღებენ „სუსტის“ წოდებას.

საქართველოში 3720,4 ათასი კაცი ცხოვრობს, ხოლო ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში შეადგენს საშუალოდ 20-25 ლიტრს. მოსახლეობის დაბალი რიცხოვნობითა და ერთ სულ მოსახლეზე ღვინის მოხმარების შედარებით სტაბილური ტენდენციით საქართველო მეორე ფაქტორის მიხედვით „სუსტის“ კატეგორიაში განვიხილავთ.

მესამე ფაქტორი არის მასშტაბი სეკონომია/დანახარჯი/ სარგებლის ანალიზი. საქართველოში უმეტესად მცირე მასშტაბის ღვინის მწარმოებლებია და შესაბამისად დამახასიათებელია მასშტაბიდან არაეკონომიურობა. თუმცა, მიწისა და სამუშაო ძალის იაფობა დანახარჯი/სარგებლის შეფასებაში სარგებლი უპირატესობას იძლევა, რაც საბოლოოდ მესამე ფაქტორის საშუალო მაჩვენებელს გვაძლევს.

მეოთხე ფაქტორი, ანუ ინდუსტრიის ცვლილებებისადმი ადაპტაცია, გულისხმობს მწარმოებლების მზადყოფნასა და უნარებს გამოიყენონ დანახარჯების დაზოგვითი წარმოების მეთოდები ან ახალი მარკეტინგული საშუალებები. ის, ასევე, მოიცავს, მწარმოებლების თავისუფლებას რეგულაციებისგან და ერთგულებას ღვინის დამზადების დიდი ხნი სტრადიციისადმი.

მეხუთე ფაქტორი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებულ იპოლიტიკურად სტაბილურ გარემოზე, ასევე, სხვა ბუნებრივ კონკურენტულ უპირატესობებზე, რომელიც მოიზიდავს უცხოელი ნვესტორს ამ სფეროში. საქართველოში ბიზნესი მეტ-ნაკლებად სტაბილურ გარემოში ფუნქციონირებს, ხოლო ბუნებრივი კონკურენტულ უპირატესობები ქვეყანას აქვს. საქართველოს აგროსასურსათო სექტორში შედარებით კონკურენტუნარიანია ღვინო და ღვინის პროდუქტები.

პორტერის „ალმასის“ მოდელის მიხედვით ღვინის კონკურენტუნარიანობის შეფასებამ 4 ძირითადი და 2 დამატებითი ფაქტორითაც დაადასტურა, რომ ქართულ ღვინოს გარკვეული პოტენციური უპირატესობები გააჩნია. მოდელმა გამოავლინა როგორც ღვინის წარმოების, ასევე მევენახეობის განვითარების შემზღუდველი ფაქტორები.

ქართული მეღვინეობის შემზღუდველ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია:

- მიწის სიმცირე. საშუალოდ ნაკვეთების ზომა 10 ჰექტარს შეადგენს, ფერმერები იშვიათად ფლობენ 100 ჰექტრიან ფართობებს;
- სანერგე მასალის სიმწირე.განუვითარებელი სანერგე მეურნეობათა გამო ვერ ხერხდება მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალხარისხიან ნერგებზე;
- ყურძნის ფასი. ამჯამად ყურძნის ფასი საკმაოდ დაბალია, რაც მეწარმეებისა და ინვესტორების სტიმულირებას ვერ ახდენს;
- დაბალი ხარისხის ყურძნის ჯიშები. დღეს ნაკვეთების უმრავლესობა დაბალხარისხიანი ჯიშებით არის გაშენებული. ღვინის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანაა მაღალსტანდარტული ჯიშებით ნაკვეთების გაშენება;
- ღვინის საწარმოთა მოძველებული აღჭურვილობა. ღვინის წარმოებისთვის საწარმოთა უმეტესობას შეუსაბამო აღჭურვილობა გააჩნია, რაც ღვინის სექტორის განვითარების დამბრკოლებელი ფაქტორია და ძვირადღირებული საქონლის ბაზრისთვის დაწესებილი სტანარტის მიღწევას ხელს უშლის.

შემზღუდველ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ღვინის ბაზარზე შესვლის ბარიერები, რომლებიც სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

სქემა 2.2 ღვინის ბაზარზე შესვლის ბარიერები

ბარიერები	არსებული მდგომარეობა	შედეგი
ინვესტიციები	ბიზნესი მოითხოვს მაღალ ინვესტიციებს	ბიზნესში შესვლის მსურველ კომპანიებს უნდა გააჩნდეს ძლიერი ფინანსური რესურსი
კანონით განსაზღვრული მოთხოვნები	ნებართვები, ლიცენზიები, კვოტები, მაგ. იმპორტის კვოტა	ფასის ხელოვნური მატება
არაპირდაპირი ბარიერები	მყიდველების მხრიდან	სტანდარტის უქონლობის შემთხვევაში ბაზარი შეზღუდულია

ღვინის ეროვნული სააგენტო, რომლის უშუალო მოვალეობაც არის ქვეყანაში ვაზისა და ღვინის წარმოების ხელშეწყობა, ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ახდენს ქართული პროდუქტების პოპულარიზაციას მსოფლიოში. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობი სამაღლება;
- საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა;
- ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ვაზის უნიკალური და იშვიათი ქართული ჯიშების აღდგენის ხელშეწყობა;

სააგენტოს მიერ მარკეტინგული სტრატეგიული გეგმის თანახმად, ქართული ღვინის პრეზენტაცია მოხდა მსოფლიოს 13 ქვეყანაში: - საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, აშშ, იაპონია, ჩინეთი/ჰონგ-კონგი, ყაზახეთი და სამხრეთ კორეა. საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინო წარდგენილი იყო შემდეგ

ღონისძიებებზე: „La Dive Boutteille“, საფრანგეთი,ქართული ღვინის დეგუსტაცია გვანჯოუში, ჩინეთი,და სხვა.

ეფექტიანი მარკეტინგული კამპანიის განხორციელების მიზნით, სააგენტო თითოეულ ბაზარზე იმუშავებს ადგილობრივი მარკეტინგული კომპანიას ან ე.წ. „ღვინის ელჩი“, რომელიც განსაზღვრავს საკომუნიკაციო არხებს. რუსეთის ბაზარს ექნება ლოკომოტივის როლი ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ხოლო დასავლეთ ევროპაში - დიდ ბრიტანეთს, როგორც აღნიშნულ სფეროში მოდის განმსაზღვრელსა და ღვინის უდიდეს იმპორტიორ ქვეყანას და აგრეთვე პოლონეთს - როგორც ერთ-ერთ ყველაზე მზარდ ბაზარს აღმოსავლეთ ევროპაში, რომელშიც ქართული ღვინის და ზოგადად საქართველოს ცნობადობა და პოზიტიური აღქმის ხარისხი დღითიდღე იზრდება.

ის, რომ მევენახეობა-მეღვინება სახელმწიფოს დეკლარირებული პრიორიტეტია, დასტურდება იმითაც, რომ დარგის განვითარების ხედვა ჩამოყალიბებებულია 2014-2017 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებიისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD), შემდეგი დებულებების სახით[1]:

- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება და მომხმარებლის დაცვა უხარისხო ღვინოპროდუქციისაგან;
- ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრეს-ტურების მოწყობა, სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებების ჩატარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო რგოლების დამზადება და სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება;
- ვენახების ფართობების აღრიცხვა, რეგისტრაცია, პასპორტიზაცია, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტება;
- სპეციალიზირებული სადედე ნარგაობებისა და სანერგეების შერჩევა/მოწყობის ხელშეწყობა;
- ჯიშების სარგავი და სამყნობი მასალის გადაცემა მოსახლეობისათვის და მათი მოვლა-მოყვანის ღონისძიებების შესახებ კონსულტაციის გაწევა;
- გასამრავლებელი, უნიკალური და იშვიათი ჯიშების ასორტიმენტის შედგენა რეგიონების მიხედვით;

მიუხედავად, სახელმწიფოს აქტიური ჩართულობისა, საჭიროა უფრო ეფექტიანი და მძლავრი მარკეტინგული საქმიანობის განვითარება და ქართული ღვინის პოპილარიზაცია მსოფლიოს მასშტაბით, რაც ქართულ ღვინოს გახდის კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს და ღვინის მწარმოებელი კომპანიები შეძლებენ ბაზრის დივერსიფიკაციასა და ექსპორტის მოცულობის გაზრდას.

დასკვნები და რეკომენდაციები: ღვინის ბრენდს შეუძლია განსაკუთრებული როლი შეასრულოს ამ დარგის განვითარებაში. საწარმოო ფაქტორების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. ვენახების და აღჭურვილობის რეგისტრაცია, რუკების შედგენა;
2. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
3. ღვინის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება;

[1] საქართველოს ფინანსთა სამინსტრო, http://www.mof.ge/BDD

4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მხარდაჭერა, ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენება და ტექნოლოგების განათლებაზე ზრუნვა;
5. მნიშვნელოვანია, მევენახეებმა და მეწარმეებმა ზუსტად იცოდნენ, თუ კონკრეტულად როგორ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას მყიდველი. შესაბამისად, საჭიროა ამ კუთხით კვლევების სისტემატურად ჩატარება;
6. ფირმებმა უნდა აწარმოონ მსოფლიო კლასის ღვინოები, მითუმეტეს, თუ მთავარი გათვლა ექსპორტზე კეთდება, აუცილებელია ბრენდზე ზრუნვა. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს უახლესი ტექნოლოგიების მოხმარებას და პროფესიონალი მუშა-ხელის დაქირავებას. საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის წინაპირობა ადგილობრივ ბაზაზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნაა.
7. უნდა დაინერგოს სისტემა, რომელიც განავითარებს ურთიერთდაკავშირებულ ფირმებს და კლასტერების თანამშრომლობას უფრო ეფექტიანს გახდის;
8. სახელმწიფოს დარგის განვითარებაში საქმეში ყველაზე მეტი როლი ეკისრება. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფა, საჭირო კანონების მიღება, სამეცნიერო სამუშაოების წახალისება, ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქართული ღვინის სახელის დაცვა საერთაშორისო ბაზარზე, ბიზნესის მონიტორინგი, არსებული ტექნოლოგიებისა და ვენახების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, მევენახეობის დაგეგმვა ქვეყნის მასშტაბით, რუკების შექმნა - ეს იმ რეკომენდაციათა ჩამონათვალია, რომელთა შესრულებაც მთავრობას მოუწევს იმისათვის, რომ ქართულმა ღვინომ საერთაშორისო ბაზარზე თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს.

ამრიგად, განხილული სტრატეგიის დაგეგმვა ხელს შეუწყობს მეღვინეობის დარგის განვითარებას და გახდის მას კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე, თანაც არა მოკლე, არამედ გრძელვადიან პერიოდში.

ღვინის ინდუსტრიის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ადგილობრივი ღვინის ბაზრის პოზიციის კრიტერიუმის შეფასებით სუსტი პოზიცია გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ქართული ღვინის ბაზარი ხასიათდება მასშტაბის არაეკონომიურობით, რაც გამოწვეულია ძირითადად მცირე მასშტაბის ღვინის მწარმოებელი კომპანიების არსებობით. მიუხედავად არსებული ბარიერებისა და შეზღუდვებისა, საქართველოს აგროსასურსათო სექტორში შედარებით კონკურენტუნარიანია ღვინო და ღვინის პროდუქტები.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. ლაზარიაშვილი თ., ღვინის საექსპორტო პოტენციალის განვითარების პოტენციალი საქართველოში. კონფერენციის მასალები თემაზე: „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი 8-9 ივლისი, 2010.
2. პორტერი მ , „ხუთი კონკურენტული ძალა, რომელიც სტრატეგიის ფორმირებას განაპირობებს“, 2008. - ჟურნალი „ბიზნესი“, N2, თებერვალი, 2008.
3. ხარაიშვილი ე, „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, თბილისი „უნივერსალი“, 2011.

4. Kharaishvili E, Chavleishvili M, Natsvaladze M, Trends and Prospects for the Development of Georgian Wine Market, World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2014 : International Journal of Social, Menejment, Economics and Business Engineering Vol:8 No:10, 2014.
5. http://www.moa.gov.ge
6. http://geostat.ge
7. http://georgianwine.gov.ge/
8. http://www.vinoge.com/

Annotation

The Article has evaluated competitive priorities of Georgian wine, characterized the wine products natural recource and and economic potential of business development. Based on production indexes there has been calculated the level of competitive ability of Georgian wine at present time. For strengthening its position on the international market, the level of competitiveness of Georgian wine is defined, which is evaluated four basic and two additional factors of the Porter's diamond method; potential advantages and disadvantages of Georgian wine are revealed. According to Wine industry competitive advantage factors analysis revealed that the market position of the local wine evaluation criterion weak position. It should be noted that, the Georgian wine market is characterized unecomomic scale, which is caused mainly by small-scale wine-producing companies in the country. Despite existing barriers and restrictions, the agriculture sector is competitive compared to wine and wine products. Conclusions are made by identifying the factors that hinder the development of Georgian wine market. Based on the analysis and the conclusions, there have developed the recommendations.

მოსახლეობის დაბერების გლობალური ტენდენციები და საქართველო

მაია ბერიშვილი
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხმალაძე**

ანოტაცია

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება გლობალური პროცესია. 2050 წლისათვის ხანდაზმული ადამიანების რაოდენობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ბავშვებზე ორჯერ მეტი იქნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალისტთა პროგნოზების მიხედვით, ხანდაზმულ ადამიანთა რიცხოვნობა განვითარებად ქვეყნებში გაორმაგდება, ეს ტენდენცია სერიოზული შედეგების მომტანი იქნება ქვეყნებისა და მოქალაქეებისათვის.

საქართველო დემოგრაფიულად დაბერებულ სახელმწიფოთა შორისაა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით გამძაფრდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რაც განპირობებული იყო შობადობის მკვეთრი კლებითა და არნახული მასშტაბის ემიგრაციული პროცესებით.

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, დაბერების პროცესი, პროგნოზები, შობადობის დონე.*

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის. ვინაიდან დაბერების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და ჩვენს ქვეყანას არ დაუგროვებია საკმარისი რესურსები, როგორც ეს მოხდა საბაზრო ეკონომიკის მქონე დასავლეთის ქვეყნებში.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა სათანადო სტატისტიკური ინფორმაციისა და სხვადასხვა მაჩვენებლების საფუძველზე, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ტენდენციების შესწავლა და ანალიზი როგორცმსოფლიო, ასევე საქართველოს მასშტაბით. გარკვეული ყურადღება დაეთმო საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პერსექტივებს.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების შედეგად მსოფლიოს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემები ვერ გააგრძელებენ არსებობას პირვანდელი სახით, აუცილებელია მათი რეორგანიზაცია დროისმოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოში 2012 წლის მონაცემების მიხედვით, 65 წლის და უფროსი ასაკისმოსახლეობისწილი(ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში), გაეროს მოსახლეობის დაბერების სტანდარტს (7%) 2-ჯერ აღემატებოდა.

საქართველოში განსაკუთრებით დაჩქარდა მამაკაცებისა და ქალების დემოგრაფიული დაბერების პროცესი 1990-იანი წლებიდან, რაც განპირობებული იყო შობადობის მნიშვნელოვანი კლებითა და ფართო მასშტაბის მქონე ემიგრაციული პროცესებით, რის გამოც მოსახლეობის საერთო რაოდენობაში განუხრელად იზრდებოდა მაღალი ასაკის მამაკაცებისა და ქალების წილი.უკანასკნელ წლებში საქართველოში, მიმდინარეობს საპენსიო ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის მატება. რაც გამოწვეულია აღნიშნულ ასაკში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობების შესვლით.

საქართველოში დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებული რეგიონები არიან: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია და კახეთი.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მიხედვით(1989 და2002 წლები), შესწავლილი და გაანალიზებულია დღეგრძელი მოსახლეობის(80 წლისა დაუფროსი ასაკის) რაოდენობა საპენსიო ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, აგრეთვე იგივე მაჩვენებელი შესწავლილი და გაანალიზებულია 90 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის მიმართ რეგიონულ ჭრილში.

გაეროს სპეციალისტების პროგნოზებზე დაყრდნობით, 2020-2100 წწ. პერიოდისათვის გაანგარიშებულია მოსახლეობის დაბერების ინდექსები, პოტენციური მხარდაჭერისა და მშობლების მხარდაჭერის კოეფიციენტები, 85 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საპენსიო ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, აგრეთვე დემოგრაფიული დატვირთვისა და მოსახლეობის მედიანური ასაკის მოსალოდნელი ცვლილებები 21-ე საუკუნის დასასრულამდე.

მოსახლეობის დაბერების გლობალური ტენდენციები და საქართველო

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, კაცობრიობის ევოლუციის კანონზომიერებებს ექვემდებარება, იგი იმ დემოგრაფიულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც სულ უფრო შესამჩნევი ხდებიან. სპეციალისტთა აზრით, “ მალე დასრულდება ე.წ „დემოგრაფიული ბონუსის პერიოდი“ - როდესაც სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა მეტია, ბავშვებისა და მოხუცების რაოდენობაზე,რის შემდგომ მოსალოდნელ ცვლილებებს

სერიოზული შედეგები ექნება საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში: სოციალ-ეკონომიკური განვითარების, მდგრადი განვითარებისა და თანასწორობის ჩათვლით.თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა - მშვიდი რევოლუცია უწოდა.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ანალიზისათვის მოსახერხებელია, მთელი მოსახლეობა დავყოთ სამ დიდ ასაკობრივ ჯგუფად:

1. ბავშვები (0-14 წწ.);
2. შრომისუნარიანი მოსახლეობა (15-64 წწ.);
3. შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის მოსახლეობა (65 წლის და უფროსი).

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 1990-2012 წწ. საგრძნობლადაა (7.6 პუნქტით) შემცირებული 15 წლამდე ასაკის ბავშვების წილი, რომელმაც 2012 წელს 16.9% შეადგინა. ნეგატიურად უნდა შეფასდეს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის 4.6 პუნქტით მატება. ეს უკანასკნელი იმის მაუწყებელია, რომ თუ 1990 წელს საქართელოში ყოველი მეთერთმეტე ადამიანი იყო შრომისუნარიანზე უფროს ასაკში, 2012 წელს თითქმის ყოველი მეშვიდე.

მოსახლეობის განაწილება მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოში
1990, 2002 და 2012 წწ.



საინტერესოა განვიხილოთ თუ როგორ იცვლებოდა 65 წლის და უფროსი ასაკისა და - მის შესაბამისად ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა. აღნიშნული საკითხის საილუსტრაციოდ, დროის შედარებით დიდი მონაკვეთი (1959-2012 წწ.) ავიღოთ. სწრაფად მიმდინარეობდა მაღალი ასაკის მოსახლეობის ზრდის პროცესი. 1959-2012 წწ. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც მთელი ქვეყნის მოსახლეობა მხოლოდ 1,1-ით.

მოსახლეობის საერთო და 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობა
(1959 წელთან მიმართებაში, %)
საქართველო 1959-2012



გაეროს მოსახლეობის დაბერების სამსაფეხურიანი შკალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როდესაც მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 4%-ზე დაბალია, ასეთი მოსახლეობა მოიაზრება როგორც – ახალგაზრდა (მსგავსი მაჩვენებელი საქართველოში მე-19 საუკუნეში არსებობდა). თუ აღნიშნული ასაკის მოსახლეობა 4-7%-ის ფარგლებშია – მოსახლეობა სიბერის ზღურბლზე იმყოფება. დაბერებულად ითვლება მოსახლეობა, რომელშიაც ხანდაზმულთა წილი 7%-ზე მეტია. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული ასაკის მოსახლეობა გაეროს სტანდარტს 2-ჯერ აღემატებოდა, რაც მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საკმაოდ მაღალ დონეზე მიგვანიშნებს.

ჯერჯერობით საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა ქვემოდან "ბერდება", რაც შობადობის კლებითაა განპირობებული. აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობს, ბავშვობის ასაკში (15 წლამდე) მოკვდაობის ნელი ტემპით კლება. ბუნებრივია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დონის შესაბამისად მისახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელ ზრდასთან ერთად იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რაც მაღალი ასაკის ადამიანების - როგორც აბსოლუტური, ასევე წილობრივ მატებას განაპირობებს. აღნიშნული მოვლენის შედეგად ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის "ქვემოდან დაბერების" გარდა გამოიწვევს „დაბერებას ზემოდან", რაც უკვე სახეზეა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

2010 წლის მონაცემების თანახმად, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 15 წლამდე ასაკის ბავშვების წილის მიხედვით საქართველო ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს შორის მეჩვიდმეტე ადგილზე იყო. განხილული ასაკის მოსახლეობის ყველაზე მაღალი წილით თურქეთი გამოირჩეოდა (26.4%), ხოლო დაბალი მნიშვნელობა გერმანიაში დაფიქსირდა (13.5%), რაც ძირითადად ამ სახელმწიფოში შობადობის დაბალი დონითაა განპირობებული.



წყარო: World Population Prospects: The 2010 Revision...

აშშ-ს აღწერების ბიუროს მონაცემების თანახმად, მსოფლიოში 2008 წელს საქართველო მე-14 ადგილზე იმყოფებოდა მსოფლიოს დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებულ 25 ქვეყანას შორის (Kinsella and He, 2008) 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის მიხედვით, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების პირველი და ბოლო ათეულები შემდეგნაირად გამოიყურებოდნენ. განხლული პარამეტრის მიხედვით, მაღალი მნიშვნელობებით გამოირჩეოდნენ გერმანია და იტალია, რომლებშიაც ყოველი მეხუთე მოქალაქე 65 წლისა და

უფროსი ასაკის იყო. ასევე მაღალი იყო დაბერებული მოსახლეობის წილი საბერძნეთში და შვედეთში.



წყარო: World Population Prospects: The 2010 Revision...

დემოგრაფიული დაბერების პრობლემის შესარბილებლად, თითქოსდა ლოგიკურია შობადობის მატება. მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნიზებულ, სეკულარულ და ემანსიპირებულ სამყაროში იგი უფრო თეორიულად არსებობს და სცილდება რეალობის საზღვრებს. ვინაიდან დაბალი მოკვდაობის პირობებში, შესაბამისად მაღალი ასაკის მოსახლეობის წილის შემცირებისათვის აუცილებელია შობადობის არარეალურად მაღალ დონემდე გაზრდა (დაახლოებით 25-30‰-ს ფარგლებში და უფრო მეტიც), რაც თანამედროვე მსოფლიოში არსებული ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნების დონეს წარმოადგენს. შედარებისათვის ჩვენს ქვეყანაში შობადობის მსგავსი მაჩვენებლები 70 წლის წინათ და უფრო ადრე არსებობდა.

საქართველოში სულ უფრო მცირდება პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი, რაც გვიჩვენებს თუ რამდენი 15-64 წლის ადამიანი შეესაბამება ერთ 65 წლის და უფროს ასაკის ადამიანს. სხვა სიტყვებით, იგი პოტენციური მომუშავეების კმაყოფაზე მყოფი ტვირთის მაჩვენებელია.



1959-2012 წწ. გაიზარდა მშობლების მხარდაჭერის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს 50-64 წლის ასაკის ყოველ 100 ადამიანს რამდენი 85 წელს გადაცილებული ადამიანი შეესაბამება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1959, 1970 და 1979 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილური იყო და 6-ის ტოლი იყო. შემდგომ წლებში განუხრელად იზრდებოდა. 2012 წლის მონაცემებით მშობლების მხარდაჭერის კოეფიციენტი 7-ის ტოლი იყო.



ცნობილია რომ მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის მაჩვენებლები და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა განსხვავებულია. აღნიშნული ფაქტი რიგი გარემოებებითაა განპირობებული. კერძოდ ყოველ 100 გოგონაზე 104-106 ვაჟი იბადება, რის გამოც 20-22 წლამდე ასაკში ამ უკანასკნელთა რაოდენობა მეტია. ასაკის მატებასთან ერთად, საგრძნობლად იცვლება სქესთა თანაფარდობა ქალების სასარგებლოდ. რაც უფრო მაღალია კოჰორტის ასაკი მით მეტია მანდილოსანთა რაოდენობა. საერთო კანონზომიერბაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს, განსაკუთრებით ომებს, ვინაიდან ომების პერიოდში ძირითადად მამაკაცები იღუპებიან. ომი ცვლის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას - შობადობის კლების გამო. გარდა ამისა მამაკაცები უფრო ხსირად ხდებიან ავტოავარიების მსხვერპლნი, მათ შორის უფრო მეტია ვინც არ მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია), მამაკაცებს შორის უფრო მეტნი არიან საშიში პროფესიის მქონენი.

მე-19 საუკუნეში 65 წლის და უფროსი ასაკის მამაკაცებისა და ქალების წილი, შესაბამისი სქესის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში თანაბარი იყო და 4%-ს შეადგენდა. აქედან გამომდინარე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მათი სტრუქტურა შეესაბამებოდა ახალგაზრდა მოსახლეობის სტრუქტურას 1926 წლის აღწერის მიხედვით მამაკაცების მაჩვენებელი მცირედ (0.3 პუნქტით), მაგრამ მაინც აღემატებოდა ქალების მაჩვენებელს. დაფიქსირებული ფაქტები (1897 წელს მათი თანაბარი მნიშვნელობები და 1926 წელს მამაკაცების მაჩვენებელის მეტობა) შესაძლებელია აიხსნას აღნიშნულ წლებში ქალების გარდაცვალებათა მეტი ინტენსივობით, რაც განპირობებული იყო მშობიარობის დროს ქალების სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით (ჯაოშვილი, 1996). გარდა ამისა, არსებობს ეჭვი - განსაკუთრებით 1897 წლის აღწერის დროს, ქალების გარკვეული ნაწილის (ეს უმთავრესად შეეხება მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილს) აღურიცხაობის შესახებ.

1939 წელს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალების წილი 0.3 პუნქტით აღემატებოდა მამაკაცების მაჩვენებელს. შემდგომ ჩატარებული აღწერების მიხედვით სულ უფრო მატულობდა აღნიშნული სხვაობა. 1959 წელს თუკი აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 8,1%-ს შეადგენდა და 1 პუნქტით აღემატებოდა მამაკაცების შესაბამის მაჩვენებელს, უკვე 1979

წელს სხვაობამ 4,1 პუნქტს მიაღწია. აღნიშნულ წელს 65 წლის და უფროსი ასაკის ქალების წილი 11.2% იყო. შესაძლებელია ითქვას, რომ 1979 წელს მამაკაცები შევიდნენ დემოგრაფიული დაბერების ფაზაში.

1989 წლის აღწერის დროს დაფიქსირდა მაღალი ასაკის მამაკაცების წილის კლება -1979 წელთან შედარებით, რაც უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ წელს 65 წლის და უფროს ასაკებს შეადგენდნენ მამაკაცების ის კოჰორტები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იღებდნენ მონაწილეობას, მათი რაოდენობა კი მცირე იყო. 2002 წელს მამაკაცების და ქალების დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლებმა შესაბამისად 10.5 და 14.5% შეადგინა. ქალების მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტჯერ აღემატებოდა დემოგრაფიული დაბერების ზღვარს. 2013 წლის მონაცემებით, 65 წლის და უფროსი ასაკის მამაკაცების წილი 11%-ს შეადგენდა, ხოლო ქალების იდენტური მაჩვენებელი 16.5% იყო.

როგორც მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, 1897-2013 წწ. მამაკაცებსა და ქალებს შორის სულ უფრო მატულობდა განსხვავება დემოგრაფიული დაბერების დონეებს შორის.განსაკუთრებით დაჩქარდა მამაკაცებისა და ქალების დემოგრაფიული დაბერების პროცესი 1990-იანი წლებიდან, რაც განპირობებული იყო შობადობის მნიშვნელოვანი კლებითა და ფართო მასშტაბის მქონე ემიგრაციული პროცესებით, რის გამოც მოსახლეობის საერთო რაოდენობაში განუხრელად იზრდებოდა მაღალი ასაკის მამაკაცებისა და ქალების წილი.

65 წლის დაუფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოში სქესის მიხედვით 1897-2013 წწ.

წელი	მამაკაცები	ქალები
1897	4.0	4.0
1926	5.5	5.2
1939	5.6	5.9
1959	7.1	8.1
1970	7.0	9.4
1979	7.1	11.2
1989	6.2	11.3
2002	10.5	14.8
2013	11.0	16.5

საქართველოში მიმდინარე მოსახლეობის დაბერების პროცესი ადექვატურად აისახა მისი რეგიონების ასაკობრივ სტრუქტურაზეც, რაც უპირველეს ყოვლისა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ასაკოვანი (65 წლის და უფროსი ასაკის)ადამიანების წილის მატებაში მდგომარეობდა.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1989-2002 წწ. ყველაზე მეტად მოიმატა 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში (მატებამ 6,8 პუნქტი შეადგინა). ასევე ფართო მასშტაბით გამოირჩეოდა აღნიშნული პროცესი სამცხე-ჯავახეთში და აფხაზეთში. დროის განხილულ მონაკვეთში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ყველაზე ნაკლები მატება აჭარაში დაფიქსირდა, სადაც ამ უკანასკნელთა წილი 1989-2002 წწ. მხოლოდ 1,7%-ით გაიზარდა.



1989 წელს ყველაზე "ხანდაზმული" რეგიონები იყვნენ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია და კახეთი. აღნიშნულ რეგიონში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი შესაბამისად 18,7; 11,6 და 11,0%-ს შეადგენდა. საანალიზო წელს აღნიშნული ასაკის ადამიანების ყველაზე ნაკლები წილი დაფიქსირდა ქვემო ქართლში (5,9%), აჭარაში (7,1%) და სამცხე-ჯავახეთში (7,1%).

2002 წელს „ხანდაზმული" რეგიონების სამეულში ცვლილება არ მომხდარა და იგივე დარჩა. რაც შეეხება პირველ სამ რეგიონს, სადაც ყველაზე დაბალი იყო ზემოაღნიშნული მოსახლეობის წილი, სამცხე-ჯავახეთი თბილისმა ჩაანაცვლა. 2002 წელს შრომისუნარიანზე მაღალი ასაკის ადამიანების ყველაზე დაბალი წილით აჭარა (8,8%), ქვემო ქართლი (10,1%) და თბილისი (10,5%) გამოირჩეოდა.

1989 წელს მოსახლეობის აღწერის მიხედვით ყველაზე დაბერებული ქალაქის მოსახლეობა ჰყავდა კახეთის, აფხაზეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხოლოდ ოთხ რეგიონში -ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და იმერეთში მოსახლეობა იმყოფებოდა დაბერების ზღურბლზე. 2002 წელს საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებული იყო, ვინაიდან 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (მოსახლეობის საერთო რაოდენობაში) აღემატებოდა 7%-ს. აღნიშნული აღწერის მონაცემების მიხედვით, რეგიონების ყველაზე დაბერებული ქალაქის მოსახლეობის პირველი სამეული ასე გამოიყურებოდა - გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი და კახეთი. აღსანიშნავია, რომ სამივე რეგიონში დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლები ორჯერ აღემატებოდა გაეროს დემოგრაფიული დაბერების ნიშნულს (7%). დაბერების მაჩვენებლები შედარებით დაბალი იყო აჭარაში, ქვემო ქართლში და თბილისის მერიისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

სოფლებში განსახლებული მოსახლეობა მნიშვნელოვნადაა დაბერებული ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. 1989 წლის მონაცემებით მხოლოდ ორი რეგიონის (აჭარა და ქვემო ქართლი) მოსახლეობა იმყოფებოდა დემოგრაფიული დაბერების კარიბჭესთან, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების

წილი 4-7%-ს შორის მერყეობდა. განხილულ წელს რაჭა- ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში პრაქტიკულად ყოველი მეხუთე მცხოვრები აღნიშნულ ასაკში იმყოფებოდა. ასევე მაღალი იყო მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი იმერეთში,გურიაში და ცხინვალის რეგიონში. 2002 წლის აღწერის თანახმად, ძალიან მაღალ დონეს მიაღწია მოსახლეობის დაბერებამ რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში. აღნიშნულ წელს ყოველი მეოთხე მცხოვრები 65 წლის და უფროსი ასაკის იყო. ასევე მაღალი იყო დაბერებული მოსახლეობის წილი თბილისის მერიისადმი დაქვემდებარებულ სოფლებში,იმერეთში, გურიაში.



მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მისი ზემოქმედება დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლებზე. ამ უკანასკნელს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.



საქართველოში ჩატარებული აღწერების მიხედვით მონოტონურად მცირდებოდა ბავშვებით დატვირთვის მაჩვენებელი. 2012 წელს ყოველ 100 “სამუშაო ასაკის” (15-64 წწ.) ადამიანს მხოლოდ 24 (15 წლამდე) ბავშვი შეესაბამებოდა. რაც შეეხება დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელს - მოხუცებით, ამ შემთხვევაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების პარარელურად იგი იზრდებოდა, თუმცა არაერთგვაროვრად. გაანალიზებული ორი მაჩვენებელის ცვალებადობა განსაზღვრავს საერთო დატვირთვის სიდიდეს. 2012 წელს ჩვენს ქვეყანაში ყოველ 100 შრომის ასაკში მყოფ ადამიანს (15-64 წწ.) 44 შრომის ასაკში არ მყოფი (15 წლამდე და 65 და უფროსი ასაკის) ადამიანი შეესაბამებოდა.

უახლოეს მომავალში საქართველოში მნიშვნელოვანი ნეგატიური ცვლილებებია მოსალოდნელი, საპენსიო ასაკის მოსახლეობის დინამიკაში. კერძოდ, მოსალოდნელია აღნიშნული ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის საგრძნობი მატება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საპენსიო ფონდზე დაწოლის გაზრდას.



2014 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში, საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობამ 761.2 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17%-ის ტოლფასია. 2001-2014 წწ. საპენსიო ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა 53,4 ათასით გაიზარდა.

ხანდაზმული ადამიანების მატება საჭიროებს მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი რესურსების გაზრდას, არსებული რეალობიდან გამომდინარე საზოგადოება უნდა შეეგუოს არსებულ ვითარებას და გამონახოს ახალი მიდგომები მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

სოციალური მხარდაჭერი ადრინდელი სისტემა ვერ იფუნქციერებს იმ მოსახლეობის ასაკობრივი-სტრუქტურის პირობებში რომელიც უკვე ყალიბდება და სამომავლოდ ჩაანაცვლებს ამჟამად არსებულს.

შობადობის კლების პერიოდში დაბადებული კოჰორტები (თაობები) რომლებიც მცირერიცხოვანნი არიან სრულფასოვნად ვერ ჩაანაცვლებენ იმ მრავალრიცხოვან კოჰორტებს რომლებიც ასაკის გამო დატოვებენ სამუშაო ძალის ბაზარს. ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა კარდინალურ ცვლილებების მოითხოვს.

პროცესი განსაკუთრებით სახიფათო იქნება საქართველოსათვის და გარდამავალი ეკონომიკის მქონე აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, კავკასიის ქვეყნებისათვის. ვინაიდან მათში დაბერების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს და მათ არ დაუგროვებიათ საკმარისი რესურსები, როგორც ეს მოხდა საბაზრო ეკონომიკის მქონე დასავლეთის ქვეყნებში.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება გარდაუვალი ფაქტია და საზოგადოება ვალდებულია მიიღოს გადამჭრელი ზომები. აუცილებელი გახდება გამოყენებულ იქნას ხანდაზმული ადამიანების შესაძლებლობები და მათი პოტენციალი, ვინაიდან ნებისმიერ ქვეყანას შეექმნება სერიოზული პრობლემები თუკი დაბერების პროცესის ზეგავლენით მოსახლეობის სულ უფრო ზრდადი რაოდენობა იქნება დამოკიდებული სახელმწიფოზე და სხვა ადამიანებზე.

დღესდღეობით ადამიანები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ და მათ გარკვეულ ნაწილს დიდი ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, მათი პოტენციალის გამოუყენებლობა არ არის გამართლებული, ვინაიდან მათ ქვეყნისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. აუცილებელია შეიქმნას ხანდაზმულთა მოვლისა და მათი საზოგადიებაში ინტეგრირების ეფექტური სისტემები.

მოსახლეობის დაბერების პრობლემა 21-ე საუკუნის გლობალური პრობლემებს მიეკუთვნება. ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებში, მოსახლეობის დაბერების პროცესი პროგრესულად წარიმართება საქართველოში.

2020-2050 წწ. ორჯერ გაიზრდება მოსახლეობის დაბერების ინდექსის მნიშვნელობა რომელიც 2050 წელს 250-ის ტოლი იქნება. ამ უკანასკნელის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ყოველ100 ბავშვზე 250 საპენსიო ასაკის (65 წლის და უფროსი) ადამიანი იცხოვრებს. აღნიშნული მაჩვენებელი თავის პიკს მიაღწევს 2060 წელს(282) და საუკუნის ბოლოსათვის (2100 წელს) 241-ის ტოლი იქნება.

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლების პროგნოზი საქართველოში 2020-2100 წწ.

წლები	დაბერების ინდექსი	პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტი	მშობლების მხარდაჭეის კოეფიციენტი	85 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საპენსიო ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში
2020	124	3	8	8
2030	184	2	9	7
2040	234	2	12	9
2050	250	2	20	12
2060	282	1	25	11
2070	269	1	26	14
2080	250	1	36	17
2090	243	1	28	13
2100	241	1	34	16

დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელთა შორის მნიშვნელოვანია პოტენციური მხარდაჭერის კოეფიციენტის სიდიდეები. გაეროს სპეციალსტთა პროგნოზული გაანგარიშებით, ახლო მომავალში (2020 წელი), აღნიშნული კოეფიციენტი 3-ის ტოლი იქნება, რაც ნიშნავს რომ ყოველ 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანს შეესაბამება სამუშაო ასაკის (15-65 წლის) 3 ადამიანი. 2060 წლიდან მესამე ათასწლეულის დასასრულამდე მათი თანაფარდობა იქნება 1:1. რაც შეეხება მშობლების მხარდაჭერის კოეფისიენტის დინამიკას, რომელიც პირობითად მშობლებისა და შვილების თანაფარდობას გვიჩვენებს, მისი მნიშვნელობა 2020-2050 წწ. 2,5-ჯერ გაიზრდება და 2050 წლისათვის 20-ის ტოლი იქნება. მისი მაქსიმუმი 2080 წელსაა მოსალოდნელი, როდესაც 50-64 წწ. ასაკის ყოველ100 ადამიანზე, 85 წლისა და უფროსი ასაკის 36 ადამიანი მოვა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი საპენსიო ასაკის მოსახლეობაში. 85 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 8-ის ტოლი იქნება. მისი მაქსიმალური მნიშვნელობა 2080 წელს დაფიქსირდება (17), 2100 წლისათვის იგი 16-ს მიაღწევს.

საგრძნობი იქნება დემოგრაფიული დატვირთვის პარამეტრების ცვლილებები. კერძოდ, 2020-2050 წწ. თითქმის გაორმაგდება დემოგრაფიული დატვირთვა ხანდაზმულებით. 2020 წლიდან 2100 წლის ჩათვლით 1,7-ჯერ გაიზრდება საერთო დატვირთვის მაჩვენებელი. აღნიშნულ ნეგატიურ მოვლენაში უდიდესი წილი ხანდაზმულებით დატვირთვის მატებით იქნება განპირობებული.



საქართველო მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებასთან ერთად მატულობს მისი მედიანური ასაკი. ამჟამად მედიანური ასაკი 38 წელს აღემატება. 2045 წლისთვის მისი მნიშვნელობა 49,1 წელს მიაღწევს. შემდგომ წლებში მედიანური ასაკი შემცირდება, მაგრამ მთელი 21-საუკუნის მანძილზე არ იქნება 46 წელზე ნაკლები.



განხილული მასალების საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:- მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება გლობალური პროცესია, რომელიც სულ უფროდა უფრო ვრცელდება მთელ მსოფლიოში. იგი გლობალური ხასიათისაა და ამასთანავე შეუქცევადი პროცესია.

დემოგრაფიული დაბერების შედეგად მსოფლიოს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემები ვერ გააგრძელებენ არსებობას პირვანდელი სახით, აუცილებელია მათი რეორგანიზაცია დროის მოთხოვნების შესაბამისად.

21-ე საუკუნის შუა პერიოდში (2050 წ.), ევროპის თითქმის ყოველი მეოთხემცხოვრები იქნება 65 წლისა და უფროსი ასაკის. ჩრდილოეთ ამერიკაში ყოველი მეხუთე. ძალიან მაღალი იქნება აღნიშნული ასაკის ადამიანების წილი აზიაში (14.2%)და ოკეანეთში (17.3%). მთლიანად მსოფლიოში მთელი მოსახლეობის 15.6% იქნება განხილულ ასაკში.

პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და იგი გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის ყველა სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. გელაშვილი ს, ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება თბ., 2012.
2. გაბიძაშვილი ბ, სტატისტიკა ეკონომიკასა ბიზნესსა და მენეჯმენტში თბ., 2011.
3. თოთაძე ს, საქართველოს მოსალეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბ., 1999.
4. მელაძე გ, საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013.
5. ხმალაძე მ, დემოგრაფია თბ., 2009.
6. შელია მ, მოსახლეობის დაბერება საქართველოში, თბ., 1999.
7. შელია მ, ხანდაზმული მოსახლეობა საქარველოში, თბ., 2013.
8. The World in 2050. HSBC Global Research. Global Economics, January 2011
9. http://www.esa.un.org/unpd/wpp/Excel/Data/fertility.htm
10. http://esa.un.org/unpd/wpp/Excel-Data/mortality.htm
11. http://www.esa.un.org/unpd/wpp/Excel-Data/.htmWorld Urbanization Prospects: The 2011 Revision. March, 2012 // http://www. esa.un.org

Annotation

Demographic aging of population is a global process. For 2050 the number of old people in developed countries of the World will be two times more than the number of children. According to the prognosis of the specialists of the United Nations Organization the number of people in developed countries will be two times more than it is now, and this tendency will bring serious results for the countries and their citizens.

Georgia is among the demographically aged countries. The above mentioned process especially become stronger in the 90-ies of the passed century, which had been conditioned by sharp declining of birth and increasing of migration processes of unprecedented scale .

The process of demographic aging of population is especially actual for Georgia as well. As the process of aging is rapidly going on and our country has not collected enough resources, as it happened in other countries of Market Economics of West Europe.

The goal of investigation is to study and to analyze the trends of demographic aging of population of the world and Georgia as well, on the basis of appropriate statistic information and different indexes. Definite attention was devoted to the perspectives of demographic aging of population of Georgia.

As a result of demographic aging of population the social-economical systems would not continue their existence in its original form. It is necessary to reorganize them according to the modern demands.

According to the data of 2012 , the number of the people of 65 years old and older (among the total number of the country population) was 2 times more (7%,) than the standard of UNO population age.

In Georgia, the process of demographic aging of women and men especially was accelerated since 1990 years, which was conditioned by a significant reduction in fertility and by an wide range of migration processes. Due to these facts the number of men and women of high age in the whole number of population, was constantly increasing.

In last years, in Georgia, the number of population of retirement age is constantly rising, which is caused by becoming the Second World War generation of this age.

The most aging regions in Georgia are: Racha-Lechkhumi, Kvemo Svaneti, Guria and Kakheti.

According to the general population census (in 1989-2002) of Georgia, it is studied and analyzed the number of centenarians (people of 80 years old and older) among the population of retirement age. At the same time the same index has been studied and analyzed among the population of 90 years old and more age people.

On the basis of UNO specialists' prognosis, for the period of 2020-2100 years are calculated the indexes of the population aging, the coefficients of potential support and the parents support within the whole number of the population of 85 years old and older. Expected changes of demographic and medial age of population up to the end of the 21st century have been also calculated.

ინოვაციური პროდუქტის ბაზარზე გასვლის მარკეტინგული სტრატეგიები (კომპანია Woody Eyeglasses-ის მაგალითზე)

მარიამ ბიწაძე
ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი **ეკატერინე ურუტაძე**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია ინოვაციური პროდუქტების ბაზარზე გასვლისას გამოწვეული სირთულეების გადაწყეტის გზების მნიშვნელობა და გამოვლენილია ის ძირითადი საფრთხეები, რომლებსაც კომპანიები პოზიციონირების პირველად ეტაპზე აწყდებიან.ნაშრომში წარმოდგენილია კომპანია Woody Eye glasses მაგალითზეგანხორციელებული მარკეტინგული კვლევისშედეგები, რომელთა საფუძველზე გამოვლენილია პროდუქციის პოზიციონირებასთან დაკავშირებული რისკებიდა მათი მინიმიზაციის საუკეთესო გზები.

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე კომპანია WoodyEyeglasses-ს მიეცა რამდენიმე მნიშნელოვანი რეკომენდაცია პროდუქციის ბაზარზე გატანის რისკების შესამცირებლად. ჩატარებული კვლევისა და მოპოვებული მეორადი ინფორმაციის საშუალებით გამოვლენდა ის ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები,რომლებიც ხელს უშლიან დამწყებ კომპანიებს ბაზარზე პოზიციონირების პროცსეში.

საკვანძო სიტყვები: *ინოცაციური პროდუქტი, ბაზარი, მარკეტინგი.*

ინოვაცია ეკონომიკაში, მართვის მეცნიერებებსა და სხვა სფეროებში, არის პროცესი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ახალ იდეებს ისე, რომ მათ გავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე. ინოვაციური პროდუქტები თანამედროვე მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია. ინოვაცია და კრეატიულობა ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობებს წარმოადგენს. ინოვაციები ითვლება ფუნდამენტურ, გადამწყვეტ ფაქტორად ფირმის საქმიანობაში. მრავალი ფირმა იყენებს ინოვაციების სხვადასხვა მეთოდს. ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ფირმები ამ მეთოდებს დროთა განმავლობაში აუმჯობესებენ და ცვლიან. ეს პროცესი ხორციელდება უფრო ეფექტური საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიების ან იდეების შესაქმნელად, რომელიც შემდგომ ბაზარზე უნდა გაიყიდოს.[1]

წარმატებული კომპანიების ძირითადი ნაწილი იყენებს ინოვაციურ სტრატეგიას ბიზნესსაქმიანობაში. ინოვაციური სტრატეგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანია არა მარტო კარგად ეგუება ცვლილებებს, არამედ მისი გენერატორიცაა. წარმატებული ინოვაციის შედეგი უმრავლეს შემთხვევაში არის ახალი ბაზრის, ბიზნესის ახალი სფეროს ფორმირება ან თამაშის წესების იმდენად რადიკალურად შეცვლა, რომ ფირმამ კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს. თანამედროვე ბიზნესის სულ უფრო მეტი დარგი ხდება ინოვაციატევადი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს და უახლოეს მომავალშიც შენარჩუნდება ისეთი ინდუსტრიები, რომლებშიც ინოვაციური ტექნოლოგიების დონე საკმაოდ დაბალია.

დღეს კაცობრიობა ქმნის და იყენებს უახლეს ტექნოლოგიებს. ზოგიერთ დარგშიმუდმივი ინოვაციების შეთავაზების სიჩქარე რამდენიმე თვეს არ აღემატება, რამაც ძალიან გაართულა ტექნოლოგიური განვითარებისათვის თვალყურის დევნება და მისი პროგნოზირება. ამავე დროს, შეინიშნება ერთი ახალი ტენდენციაც, რომელიც, ამ მხრივ, ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს: ახალი ტექნოლოგიები და მათ საფუძველზე, განსაკუთრებით, მონათესავე დარგებშიშექმნილი პროდუქცია, სულ უფრო კომბინირებული და ურთიერთდაკავშირებული ხდება. კერძოდ, ტექნოლოგიურად ინტეგრირდება ისეთი დარგები, როგორიცაა: ტელევიზია, საკაბელო და არასაკაბელო კომუნიკაციები, კომპიუტერების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტელეფონების და პროგრამული უზრუნველყოფის ელემენტების წარმოება. ერთმანეთს შეერწყმის ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უახლოეს წარსულში ურთიერთდაკავშირებული არ იყო. კომპიუტერები, რობოტოტექნიკა, ხელოვნური ინტელექტი სრულიად ახალი ტიპის წარმოებას უდებს სათავეს. დღეს კომპიუტერს შეუძლია კავშირი დაამყაროს საყოფაცხოვრებო მოწყობილობებთან, ხოლო ზოგიერთ ჩაიდანს გააჩნია მიკროჩიპები, რომლითაც ისინი კომპიუტერებს უკავშირდებიან. შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნილებები, ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად იზრდება და საჭირო ხდება მათი დაკმაყოფილება ახალი, ინოვაციური პროდუქციის შექმნით.[2]

კომპანიების ძირითადი ნაწილი, რომელიც ინოვაციური პროდუქტების შექმნით და რეალიზაციითაა დაკავებული, მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდება პროდუქციის გაყიდვის პირველად ეტაპზე, რომელიც ცნობილია, როგორც Introduction Stage (გაცნობის ეტაპი). ბაზრის გაცნობის დროს პროდუქტს ბაზრისპატარა წილი აქვს, ასევე ბაზრის მოცულობა და მარკეტინგული დანახარჯებიც მცირეა. გაცნობის ეტაპი პროდუქტის ბაზარზე გატანის ფაზაა, რომელიცარაადაკავშირებული მოგებასთან. ამ დროს აუცილებელია ხელშემშლელი

[1] The innovator's Dilemma, Clayton M. Christensen, 2013.
[2] Extraordinary Popular Delusions and the Madness of Crowds, 2013.

ფაქტორების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრა პროდუქტის მომავალი განვითარებისთვის. თუ აღმოჩენილი პრობლემების გამოსწორება ვერ მოხერხდება, მაშინ პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ „ზრდის ფაზაზე“ გასვლა გართულდება, რასაც, საბოლოო ჯამში, შეუძლია პროდუქციის ბაზრიდან ამოღება და კომპანიის გაკოტრება გამოიწვიოს. სწორედ, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინოვაციური პროდუქციის ბაზარზე გასვლის მარკეტინგული სტრატეგიების შესწავლა, რათა გამოიკვეთოს ძირითადი ტენდენციები, რომელიც ახალბედა ინოვაციური პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებს ბაზარზე პოზიციონირებაში ეხმარება.[1]

აღნიშნული ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შესახებმეორადი ინფორმაცია, კერძოდ, მათი ბაზარზე გასვლის პირველადი ფაზა. ამის პარალელურად, განვახორციელეთ მარკეტინგული კვლევა ხის სათვალეების მწარმოებელი ქართული კომპანია Woody Eyeglass-ის მაგალითზე. კვლევის პერიოდში კომპანია პირველ ნაბიჯებს დგამდა ბაზარზე, შესაბამისად, საინტერესო იყო პოზიციონირების პერიოდამდე, წინასწარ, პოტენციური რისკების გამოვლენა და მისი საპასუხო სტრატეგიების შემუშავება. ამასთან, კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დავისახეთ ქართველი მომხმარებლის მიერ ინოვაციების გამოყენების მზადყოფნის შეფასება.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ მარკეტინგული კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, ელექტრონული გამოკითხვა ანკეტებით, საველე გამოკითხვა და თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - ფოკუს ჯგუფის ტიპის შეხვედრები.[2]

Woody Eyeglass წარმოადგენს 2015 წლის ერთ-ერთ წარმატებულ სტარტ-აპს. იგი ცდილობს, საქართველოს ბაზარზე შექმნას სათვალეების ახალი ხაზი და აწარმოოს ინოვაციური დიზაინის, ხის მასალისგან დამზადებული სათვალეები. პროექტის ინოვაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ მომხმარებელსსთავაზობენ შესაძლებლობას, საკუთარი დიზაინით ააწყოსსათვალის მოდელი, მისთვის სასურველი ხის მასალის, ლინზის ფერის და გრავირების საშუალებით.

ამჟამადკომპანიისმიზნობრივსეგმენტსწარმოადგენსმომხმარებელთაორიჯგუფი, რომლებიც დიფერენცირებულიაასაკისადაშემოსავლისმიხედვით. ესენია: 1) ახალგაზრდები (ასაკი 14-29 წელი) - ორივე სქესის მოსახლეობა, რომლებსაც შედარებით დაბალი შემოსავლები აქვთ, თუმცა, სიახლეებისათვის მუდმივად მზად არიან; 2) ზრდასრული მოსახლეობა (ასაკი: 30-55 წელი) - ორივე სქესის ადამიანები, რომელთაც შედარებით მაღალი შემოსავლები აქვთ, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ დახვეწილ, კლასიკური დიზაინის სათვალეებს. ინდივიდუალური მომხმარებლების გარდა, კომპანია მუშაობს აგრეთვე B2B სეგმენტზე და საკუთარ სათვალეებს ყიდის სხვა ბიზნესს-სექტორის წარმომადგენლებზე.

რაოდენობრივი კვლევის დროს, პირდაპირი და ელექტრონული გამოკითხვის შედეგად, ჯამში გამოიკითხა 144 რესპონდენტი. მათ შორის გამოიყო შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები: 15-20 წლის ასაკის მოსახლეობა (1%); 21-25 წლის მოსახლეობა (59 %); 26-35 წლის მოსახლეობა (8%), 36-40 წლის მოსახლეობა (6%); 40 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა (11%). გამოკითხულთა 66.3% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, ხოლო 33.7% - მამრობითი სქესის. მარკეტინგული კვლევის ჩატარებისას საინტერესოა რესპონდენტების დაჯგუფება ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 56% დაქირავებით დასაქმებულია, 7% - თვითდასაქმებული, 25%

[1] კოტლერი ფ., არმსტრონგი გ. მარკეტინგის პრინციპები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბ., 2015.
[2] თოდუა ნ., ურუტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, თბ., 2013.

- უმუშევარი, ხოლო 12% უმუშევარია (სამუშაო ძალის გარეშე მყოფი). მომხმარებელთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ამათი საშუალო შემოსავლების განსაზღვრა. გამოკითხულთა 53%-მა აღნიშნა, რომ მათი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1001-დან 3000 ლარამდე მერყეობს; 16.7%-ის შემოსავალი 3000 ლარზე მეტია. გამოკითხულთა 5.1%-მა 300 ლარამდე ყოველთვიური შემოსავალი დაასახელა, ხოლო გამოკითხულთა 7.5%-ს 301-დან 600 ლარამდე შემოსავალი გააჩნდა.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხულთა 80.4%-ის მოსაზრებით, ისინი სათვალეების ხშირი მომხმარებლები არიან და მათი უმრავლესობა სათვალის შეძენისას მისი დიზაინით ხელმძღვანელობს. თუმცა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 90 რესპონდენტი უპირატესობას ანიჭებს სათვალის ორიგინალურობას. 98 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სათვალეს, ძირითადად, თვითონ შეიძენს, ხოლო 46 რესპონდენტს მას ჩუქნიან. სახლში მიტანის სერვისით სარგებლობის სურვილი მომხმარებელთა მხოლოდ 26.3%-მა გამოთქვა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 3%-ს გააჩნდა ხის სათვალე, ხოლო დანარჩენი ასეთი საქონლის შეძენის სურვილს გამოთქვამდა. ამასთან, კითხვაზე, თუ სად ისურვებდნენ მაღაზიის გახსნას, მათი უმეტესობა აღნიშნავს, რომ ყველაზე სასურველი ადგილია ვაკე-საბურთალოს რაიონი. რაც შეეხება შესაძენად ოპტიმალური ფასის განსაზღვრას, ის გამოკითხვის შედეგებით 250-300 ლარს შეადგენს.

კვლევის შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე ხის სათვალეების მწარმოებელ კომპანია Woody Eyeglasses-ს პროდუქციის ბაზარზე გატანისას რისკების შესამცირებლად მიეცა ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები (საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მათგანი შემდგომში კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიაში აისახა):

- შეემუშავებინა სათვალის ორიგინალური დიზაინი, რადგან მომხმარებელი ასეთ დროს უფრო მეტი თანხის გადასახდელად მზადაა. ამის შემდგომ სათვალეების მწარმოებელმა კომპანიამ შეიმუშავა ზემოთ მოყვანილი 3 ახალი ხაზი Nebula Glasses; Arcobaleno და სათვალეები ქართული ჩუქურთმით, რომელიც ბაზარზე გაიყიდება;
- გაეხსნა მაღაზია ვაკე-საბურთალოს რაიონში. ამიტომ, კომპანიამ კვლევის შემდგომ მოიძია საოფისე ფართი კეკელიძის ქუჩაზე, სადაც უახლოეს მომავალში გაიხსნება მათი პირველი მაღაზია.
- პროდუქციის მაქსიმალური გასაყიდი ფასი ყოფილიყო 350 ლარი, ვინაიდან, კვლევამ დაადასტურა, რომ ქართველი მომხმარებელი ფასის მიმართ საკმაოდ მგრძნობიარეა. აქედან გამომდინარე, კომპანიას მიეცა რეკომენდაცია მაქსიმალური გასაყიდი ფასის შესახებ. ამასთან, შევთავაზეთ რამდენიმე გზა როგორ გაეყიდა საკუთარი პროდუქცია უკეთესად.
- არ შეექმნათ ადგილზე მიტანის სერვისი კომპანიის შიგნით, რადგან გამოკითხულთა მხოლოდ 16.3% იყო თანახმა, ეს სერვისი გამოეყენებინათ. ამის ალტერნატივად შევთავაზეთ გაეყიდათ საკუთარი პროდუქცია ელექტრონული მაღაზიების მეშვეობით. ამჟამად მიდის მოლაპარაკებები ერთ-ერთ ასეთ ელექტრონულ მაღაზიასთან, რომელიც დისტრიბუციას მომხმარებლამდე თავად მოახდენს.
- მიეცათ რეკომენდაცია გამოეყენებინათ ბაზმარკეტინგი, კერძოდ, წარმოებული სათვალეები ეჩუქებინათ ისეთი ცნობადი ქართველი ადამიანებისთვის, რომლებიც მათი მომხმარებელთათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს;
- გამოეყენებინათ სხვადასხვა არომატი სათვალის შეფუთვისას, რადგან არომატები ადამიანში სხვადასხვა შეგრძნებების და მოგონებების გახსენებას იწვევს.

ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გარდა, მეორადი ინფორმაციის ანალიზმა გამოავლინა მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის საკვანძო მნიშვნელობა ინოვაციური პროდუქციის ბაზარზე გასვლის ეტაპზე. უცხოური მაგალითები ადასტურებს, რომ მომხმარებელი უფრო მარტივად იღებს ინოვაციურ პროდუქციას და ხდება ამ ბრენდისადმი ლოიალურები, თუ მწარმოებელი კომპანია მათთან მუდმივ კომუნიკაციას აწარმოებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა, როგორც ბაზარზე პირველად პოზიციონირებასთან დაკავშირებული რისკების შემცირების ერთ-ერთი საუკეთესო გზა. მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა ეფუძნება დაწვრილებით სტრატეგიას და მყიდველების შეძენის პროცესს, მომხმარებელთა შენარჩუნების და მათთან თანამშრომლობის, რათა შეიქმნას უმაღლესი ღირებულება მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის.[1]

მომხმარებელთა ქცევა შეისწავლის პროცესს, როცა პიროვნება ან ჯგუფი ირჩევს, შეიძენს, გამოიყენებს ან განკარგავს საქონელს, მომსახურებას, იდეას ან გამოცდილებას, რათა დაიკმაყოფილოს საჭიროებები და სურვილები. მომხმარებლის ქცევა ყიდვისას გულისხმობს პირადი მოხმარებისათვის პროდუქტის ყიდვის პროცესში საბოლოო მომხმარებლის ქცევას.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქართველი მომხმარებელი სათვალის შესყიდვისას საკმაოდ ხელმომჭირნეა და საშუალო თანხა, რომლის გადასახდელადაც მზად არის, 300 ლარია, რაც მსოფლიოში მსგავსი სათვალეების ბაზარზე არსებულ ფასს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. სწორედ, ამიტომ, მაღალ ფასებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად, კომპანიებს პოზიციონირების პირველად ეტაპზე შეუძლიათ გამოიყენონ მომხმარებელთა ქცევის შესაცვლელი შემდეგი მეთოდი, რომელიც ცნობილია, როგორც ხარჯვის ტკივილების შემცირების მეთოდი.

ნევროლოგებმა განსაზღვრეს ხარჯვის პროცესი, როგორც „ხარჯე მანამ, სანამ გეტკინება“. მათი მოსაზრებით, არსებობს 3 სახის მომხმარებელი, რომელთა დაყოფაც ხდება იმის მიხედვით, თუ რა ზომის „ტკივილს“ განიცდიან ისინი შეძენის დროს. ამ რთული პროცესის შესწავლა საშუალებას აძლევთ მარკეტოლოგებს, განსაზღვრონ რომელი მომხმარებლისთვის რა რაოდენობის „ტკივილის“ განცდაა აუცილებელი, რათა მათ მაქსიმალური თანხა გადაიხადონ კონკრეტული პროდუქციის შესაძენად. ნევროლოგებმა მომხმარებელი პირობითად 3 ჯგუფად დაყვეს: საშუალო მხარჯველები, რომლებით მთლიანი მოსახლეობის 61%-ს შეადგენენ; მფლანგველები, რომლებიც მთლიანი მოსახლეობის 15%-ს შეადგენენ (ამ ადამიანებს შეუძლიათ დახარჯონ თავიანთ მაქსიმალურ შეძენის ტკივილზე მეტი) დაძუნწები, რომლებიც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 24%-ს შეადგენს. ისინი ხარჯავენ საშუალოს ან საშუალოზე ნაკლებს, სანამ თავიანთ მაქსიმალურ შეძენის ტკივილს მიაღწევენ. „ძუნწები“ შეადგენენ პოტენციურ მომხმარებელთა თითქმის მეოთხედს, ამიტომ, აუცილებელია მარკეტოლოგებმა იცოდნენ მოხერხებული გზები, თუ როგორ შეუმციროს შესყიდვის ტკივილები ამ კატეგორიას. ამისთვის არსებობს 3 საუკეთესო გზა:[3]

1. მოახდინეთ გადასახდელი თანხის განსხვავებული ინტერპრეტაცია. მაგ., 1000 $ წელიწადში უდრის 84 $ თვეში; თანხის ასეთი სახით ჩვენება ეფექტურია ყველა სახის მყიდველისათვის, განსაკუთრებითკი „კონსერვატიული მხარჯველების“ კატეგორიისთვის.

---

[1] Content Inc.: How Entrepreneurs Use Content to Build Massive Audiences and Create Radically Successful Businesses. Joe Pulizzi, 2014

[2] Michael R. Solomon. Consumer Behavior. Eight Edition.PearsonEducationInternational. 2008.

[3] Michael R. Solomon. Consumer Behavior. Eight Edition.PearsonEducationInternational. 2008.

2. ნეირომეცნიერებათა ექსპერტი, ჯორჯ ნოვენსონი აღნიშნავს, რომ მყიდველს, განსაკუთრებით კი კონსერვატიულ მხარჯავებს, ურჩევნიათ, შეიძინონ პორდუქციის პაკეტები, ვიდრე იყიდონ თითოეული აქსესუარი ცალ-ცალკე. ინდივიდუალური შენაძენები მომხმარებელს ინდივიდუალურ „შეძენის ტკივილს“ ანიჭებენ, მაშინ როცა პაკეტირება საერთო „შეძენის ტკივილს“ წარმოშობს და მომხმარებლები უპირატესობას პაკეტირებას ანიჭებენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საერთო ფასი აღემატება ინდივიდუალურ შენაძენს.
3. კარნეგი-მელონის უნივერსიტეტში ჩაატარეს კვლევა, რათა დაედგინათ სიტყვის „სულ რაღაც“-ის მნიშვნელობა გაყიდვების მაჩვენებელზე. მკვლევარებმა შეცვალეს DVD გაქირავების მაღაზიაში, ღამის საათებში ადგილზე მიტანის სერვისი „5$“-ის მაგივრად „სულ რაღაც 3$“-ით, რამაც კონსერვატიულ მყიდველებში გაყდვების რაოდენობა 20%-ით გაზარდა.

Woody Eyeglasses-ს საქართველოში არსებული კონსერვატიული მყიდველების კატეგორიასთან ურთიერთობისათვის მიეცა შემდეგი რეკომენცადიები: მოეხდინა პროდუქციის პაკეტირება, თანხის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობა მიეცა მომხმარებლითვის, სარეკლამო კამპანიებში გამოეყენებინა ტერმინი „სულ რაღაც“.

კვლევის შემდგომ, სათვალეების მწარმოებელი კომპანია Woody Eyeglasses-მა, საკუთარი პროდუქცია ბაზარზე განათავსა ჩვენ მიერ შეთავაზებული სტრატეგიის მიხედვით. ამის შემდეგ კომპანიამ მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ საახალწლო სოფელში, სადაც 7 დღის განმავლობაში იყიდებოდა მათი პროდუქცია. გარდა ამისა, ის გახდა პროექტ „დაიწყე ბიზნესი Fab lab ერთად“ გამარჯვებული.

ბაზარზე გასვლის შემდგომ სათვალეების მწარმოებელმა კომპანიამ შეძლო, დაეძლია ყველა ის პოტენციური რისკი, რაც ბაზარზე პირველადი პოზიციონიების დროს არსებობს. ამჟამად ისინი წარმატებით ფუნქციონირებს და უახლოეს მომავალში დაგეგმილია ახალი, ხის მასალისგან დამზადებული აქსესუარების წარმოებასაც, რომელიც სათვალეებთან ერთად გაიყიდება.

დასკვნები და რეკომენდაციები: განხორციელებულმა მარკეტინგული კვლევამ პასუხი გასცა კვლევის დასაწყისში ჩამოყალიბებულ კითხვას: მზად არის თუ არა მომხმარებელი, გამოიყენოს ქართული ბაზრისთვის უნიკალური, ხის მასალისგან დამზადებული სათვალეები? კვლევამ ცხადყო, რომ ქართველი მომხმარებელი ინოვაციური პროდუქციის მიმართ არათუ ნეგატიურ ემოციებს ამჟღავნებს, არამედ, დადებითად არის განწყობილი. შესაბამისად, მათ გამოთქვეს ინტერესი და მზაობა, შეიძინონ ასეთი სათვალეები მათთვის სასურველ ფასად, რომელიც საბაზრო ფასთან შედარებით დაბალი, მაგრამ რეალისტური იქნება. ქართველი მომხმარებლის ინოვაციური ტექნოლოგიებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო შეგვძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი სახის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებისათვის ქართულ ბაზარზე პირველადი პოზიციონირებასთან ასოცირებული რისკები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვა სახის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებისათვის არსებულ რისკებისგან. ამასთან, ქართული ბაზარი ინოვაციური პროდუქტების მწარმოებლებისათვის საკმაოდ მიმზიდველია. 2015 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსის მიხედვით საქართველომ, 0,49%-იანი შეფასებით, 73-ე ადგილი დაიკავა მსოფლიო მასშტაბით, რაც საშუალოზე დაბალი შეფასებაა, თუმცა, კარგ წინაპირობას ქმნის ქვეყანაში ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზირს სწრაფი ზრდისათვის.[1]

[1] The Global Innovation Index 2015 Effective Innovation Policies for Development; Jonson Cornell University, 2015.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The innovator's Dilemma, Clayton M. Christensen, 2013.
2. Extraordinary Popular Delusions and the Madness of Crowds, 2013.
3. კოტლერი ფ., არმსტრონგი გ. მარკეტინგის პრინციპები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბ., 2015.
4. თოდუა ნ., ურუტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, თბ., 2013.
5. Content Inc.: How Entrepreneurs Use Content to Build Massive Audiences and Create Radically Successful Businesses. Joe Pulizzi, 2014.
6. Michael R. Solomon. Consumer Behavior. Eight Edition.PearsonEducationInternational. 2008.
7. The Global Innovation Index 2015 Effective Innovation Policies for Development; Jonson Cornell University, 2015.

Resume

The paper aims to present main difficulties related to the innovative products market entry and revealed threats/challenges that companies face in the first stage of product positioning.

The work presents the findings of survey which was held for the company Woody Eyeglasses.The aim of the survey was to reveal the best ways for minimizingcompany's risks associated with product positioning. Quantitative and qualitative methods of research were used during the survey. According the research results several main recommendationswere given to the company in order to reduce their risks. Desk research and the survey results allowed us to identify main risks and challenges that hinder start-up companies in the market entry.

უმუშევრობის სტატისტიკა საქართველოში

ნათია ბულია, ნათია მაწიაშვილი

ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტები

მეცნიერ-ხელმძღვანელი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **ქეთევან ჩიტალაძე**

ანოტაცია

საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელსაცადასტურებს ქვეყანაში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევა. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად, თუმცა ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მისი დონე ქვეყანაში ბოლო მონაცემებით მართალია მცირედ, მაგრამ მაინც შემცირდა და ის 12%-ის დონეზეა.

სტატიაში განხილულია საქართველოში უმუშევრობისსტატისტიკური სურათი. გაანალიზებულია უმუშევრობის დონეები რეგიონალურ ჭრილში,მოცემულია ქალაქად და სოფლად მის მაჩვენებლთა სისტემის ცვლილების ტენდენციები გამომწვევი მიზეზების ჩვენებით. დახასიათებულია უმუშევრობის ზრდის მაჩვენებლები, როგორც რეგიონალურ, ასევე სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და გამოვლენილია მის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები.

დასახულია უმუშევრობის შემცირების გზები და გამოკვეთილია მოსალოდნელი ტენდენციების სტატისტიკური სურათი.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევრობის დონე, დასაქმების დონე, დასაქმებულები, თვითდასაქმებულები, ზრდის ტემპი.*

შესავალი: უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა სტატისტიკური,კონიუქტურული თუ სოციალური გამოკითხვებით საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია დაპირველ ადგილს იკავებს რთულადგადასაჭრელისეთ საკითხთა ნუსხაში,როგორიცააქვეყნისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგარისოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები.უმუშევრობის დროს ფართოდ იკვეთება ეკონომიკური არასტაბილურობის შემდეგიფაქტორები: ერთობლივიმოთხოვნის,დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება,ერთობლივი მიწოდების კლება,წარმოების დაცემა და სხვა.უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგებს იწვევს.ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით ე.წ. გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვღებულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. ერთი კი ცხადია, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში უმუშევრობა დღემდე ნომერ პირველ პრობლეად რჩება.

უმუშევრობის დინამიკა საქართველოში: საქართველოში უმუშევრობის დონემ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მონაცემებით, 2015 წელს 12-13% შეადგინა,რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია (2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 13,5%-ს აღწევდა).

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში უმუშევრობის დინამიკას (საქსტატის მიხედვით) აქვსშემდეგი სახე (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



წყარო: *დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზეა შედგენილი ავტორის მიერ*

მოცემული დიაგრამით ვხედავთ, რომ უმუშევრობის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ყველაზე მაღალი დონე 2008-2009 წლებში ფიქსირდება, რაც 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. 2008 წელთან შედარებით, 2015 წელს უმუშევრობა 4,5%-ით შემცირდა და 12% შეადგინა. რაც თავისთავად ნიშნავს 51 ათასამდე ადამიანის დასაქმებას და მათი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა უმრავლესობა

სტატისტიკაში თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა გამიჯვნის მომხრეა. ჩვენი კანონმდებლობა, რომელიც მსოფლიო შრომის ორგანიზაციის კანონმდებლობას და წესებს ეყრდნობა, თვითდასაქმებულ ადამიანებსაც დასაქმებულად მიიჩნევს. ეს მეთოდოლოგია ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა არიან ქვეყნები, რომლებიც ცალკე ითვლიან თვითდასაქმებულებს და დასაქმებულებს. ერთიმხრივ, თვითდასაქმებული ადამიანი შესაძლოა წარმატებული მეწარმე იყოს, მეორე მხრივ კი, ადამიანი, რომელსაცუჭირს „ფორმალური“ სამუშაოს პოვნა და იძულებულია, თავის გადასარჩენად თვითდასაქმდეს. ჩვენი აზრით, სწორი იქნება თუ ჩვენი ქვეყანა გამიჯნავს თვითდასქმებულთა და სახელმწიფო ან სხვა კერძო სტრუქტურეში მომუშავეებს,ამით ნათელი მაგალითი გვექნება თუ რა გამოწვევის წინაშე ვდგავართ და შეგვეძლება უკეთ შევაფასოთ არსებული სიტუაცია.

უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიების, ისე რეგიონების მიხედვით. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. 2015 წელს2014 წელთან მიმართებაში,უმუშევრობის დონის შედარებით თანაბარი კლება დაფიქსირდა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად 21,5% და 4,8% პროცენტული პუნქტი შეადგინა. განვიხილოთ ეს მონაცემები 21-ე საუკუნის საქართველოს რეტროსპექტივაში (იხ. დიაგრამა 2):

დიაგრამა 2



წყარო: *დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზეა შედგენილი ავტორის მიერ*

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე სოფლად ბევრად დაბალია, ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, თითქოს მოსახლეობა უფრო მდიდარია. პირიქით, სიღარიბის პრობლემები ძალზედ მწვავეა საქართველოს რეგიონებში,რაც სოფლის მოსახლეობის ნაკლები პრიორიტეტებით შეიძლება აიხსნას. ეს გამოწვეულია იმით,რომ არ არსებობს საწარმოები, სადაც მოხდება სოფლის ნატურალური პროდუქციის დამუშავება და მათი მზა სახით წარდგენა. მაგალითად, რძის ჩამბარებელი პუნქტები რომ აშენდეს, რძის პროდუქტების დამამზადებელი მცირე საწარმოები, მოსახლეობა სოფლად დასაქმდება. ასევე, აღარ ექნება ადგილი სოფლების დაცლას მაღალმთიანი რეგიონებიდან, აქ მოსახლეობას არ აქვს სათანადო პირობები საკუთარი ან ოჯახის წევრების სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. ამ ანალიზშიც უმუშევრობის დონე ქალაქში 2008 წელთან შედარებით (28,9%) შემცირდა და გახდა 21,5%.

უმუშევრობის დონე შემცირდა სოფლებშიც 2,3%-ით და შეადგინა 4,8% პროცენტული პუნქტი. უმუშევრობის დონეები უშუალოდ რეგიონებში შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დიაგრამა 3):

დიაგრამა 3



წყარო: *დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზეა შედგენილი ავტორის მიერ*

ნათლად ჩანს,რომ ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ფიქსირდება თბილისში 21,4%. რეგიონებიდან მაღალი უმუშევრობით გამოირჩევა აჭარის რეგიონი - 15,1%-ით და სამეგრელო-ზემო სვანეთი - 12,5%-ით.

ძალზე მნიშვნელოვანია უმუშევრობის დონის განხილვა სქესობრივ ჭრილში (იხ. დიაგრამა 4):

დიაგრამა 4



წყარო: *დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზეა შედგენილი ავტორის მიერ.*

2015 წლის მდგომარეობით უმუშევრობის დონე მამაკაცებში 13,5%, ხოლო ქალებში - 10,2%-ია. ამასთან, თუ დასაქმებას ეკონომიკური კუთხით განვიხილავთ, სხვა რეალობას დავინახავთ. კერძოდ, უმუშევარ ქალთა რაოდენობა თითქმის 50%-ით მეტია უმუშევარ მამაკაცებთან შედარებით და ეს თანაფარდობასენსაციურია უკანასკნელი წლების განმავლობაში. გლობალური დასაქმების კუთხით, რომელიც ეკონომიკურ დასაქმებასთან ერთად საოჯახო მეურნეობის წარმართვას, ბავშვების აღზრდას, ინვალიდებისა და მოხუცების მოვლას მოიცავს, ამ საქმიანობაში ჩართული ქალები ითვლებიან დასაქმებულად. ხოლო არააქტიურობის დონე ქალებში თითქმის ორჯერ აღემატება მამაკაცების იგივე მაჩვენებლებს.

განსხვავებულია უმუშევრობის დონე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც. მეტად მწვავეა ეს პრობლემა ქვეყნის ახალგაზდა მოსახლეობისთვის (იხ. დიაგრამა 5):

დიაგრამა 5



წყარო: *დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზეა შედგენილი ავტორის მიერ*

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა, შრომისუნარიან მოსახლეობაში მეტად მაღალია უმუშევრობის დონე და ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება. დასაქმების მხრივ ყველაზე მძიმე პირობებში 20-35 წლამდე ასაკის მოსახლეობა იმყოფება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ასაკიან მოსახლეობაში უმუშევრობის დაბალი დონე განპირობებულია მათი გადასვლით ეკონომიკურად არააქტიურთა რიგებში. საპენსიო ასაკი იწყება 60 წელს ზემოთ, რის გამოც, მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ახალგაზრდა მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონე გამოწვეულია, ხშირ შემთხვევაში, მათი არაკვალიფიციურობით. ამ ადამიანებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები, სადაც მათ სამუშაო გამოცდილებას სთხოვენ. რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ? ვფიქრობ, ერთ-ერთი ბერკეტი ისაა, რომ განათლების ხარისხი გაუმჯობესოს. საინტერესოა სისტემა, რომელსაც „ბოლო შესაძლებლობის დამქირავებელი“ ეწოდება. ამ სისტემას, რომელმაც ბრიტანეთში გაამართლა, ბრიტანეთის ხელისუფლება იყენებდა და ეხება ახალკურსდამთავრებულებს,რომლებსაც არა აქვთ სამუშაოს მოძებნის გამოცდილება. ამ შემთხვევაში,მთავრობა ახალგაზრდებს დასაქმებით უზრუნველყოფს შედარებით დაბალი ხელფასებით და ამგვარი პრაქტიკა სასარგებლოა ორივე მხარისათვის – ახალგაზრდები იძენენ გამოცდილებას,ხოლო სამთავრობო სექტორი ახალ ძალებს და იდეებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო რთულად დგას, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს. სადავო არაა ის გარემოება, რომ დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობასთან შედარებით, ფაქტობრივ უმუშევართა რიცხვი მნიშვნელოვნად მეტია. აქ საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ შრომისუნარიან აქტიურ მოსახლეობაზე. მაგრამ, არის კიდევ სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი,რომლებიც როგორც საქართველოს მოქალაქეები შრომით საქმიანობას ეწევიან უცხოეთის ქვეყნებში,რადგანაც მათთვის სამუშაო ადგილი საკუთარ სამშობლოში ვერ მოიძებნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმება ნიშნავს ისეთი სამსახურის ქონას,რომელშიც ადამიანს უხდიან ფულს და რომელიც უზრუნველყოფს როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის ნორმალურ არსებობას. თუ ამ ტერმინის შესაბამისად ვიმსჯელებთ, საქართველოს

მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა დაუსაქმებელია, რადგან ცოტა თუ მოძიებნება, რომელსაც საკუთარი ხელფასით შეუძლია, თავიც და ოჯახიც ნორმალურად არჩინოს.

დასკვნები და რეკომენდაციები: იმისათვის,რათა დავსახოთ უმუშევრობის გადაჭრის რეალური გზები, პირველ რიგში, აუცილებელია განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები. უშუალოდ მიზეზების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი სტრატეგიის შერჩევა აღნიშნულ პრობლემასთან საბრძლოლველად.

შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები:დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი,მოქმედების შეზღუდული არეალი, ნაკლები ელასტიურობა, სამუშაო ძალის დაბალი მობილობა,სამუშაო ძალის დაბალი ფასი და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც თავისთავად ასახვას პოვებს უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზებში. კერძოდ:

- შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
- სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
- შრომის დისკრიმინაციული პირობები;
- შრომის დაბალიანაზღაურება;
- პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი;
- სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილობა;
- სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა;
- სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „იმედგაცრუებულები“);
- დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის განუვითარებლობა (ხელმიუწვდომლობა).

აღნიშნული მიზეზებიდან ნაწილი ობიექტურია, ნაწილი კი სუბიექტური.შედეგად კი, საქართველოში სამუშაო ადგილის მოძიება და დასაქმება ძალიან რთულია,ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად.

შეფასების სახით შეიძლება ითქვას,რომ საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით.ამიტომ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად (რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ბუნებრივი და ძირითადი ფაქტორია), აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მისი ელემენტების განვითარების მხარდაჭერის გზით. რაცშრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრას მოითხოვს, ასევე საჭიროებს სათანადო საკანონმდებლო,ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

ჩამოთვლილ მიზეზებთან ბრძოლა უმუშევრობის დონესაც შეამცირებს და ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.ამ პრობლემის მოგვარება თავის მხრივაუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს მხიდან ჩარევასა და რეგულიერებას. თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი ვერ იქნება თუ საზოგადოებამ, დამსაქმებლებმა, სამუშაოს მაძიებლებმა, დასაქმებულებმა და არა აქტიურმა მოსახლეობამაც არ გაითავისა აღნიშნული საკითხის აქტუალობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მერაბ ხმალაძე, „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ნაწილი მეორე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015.
2. ბიკენტი გაბიძაშვილი, „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, გამომცემლობა უნივერსალი, თბ., 2011.
3. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ეკონომიკური კვლევის ცენტრი, 2011.
4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2012.
5. ლაცაბიძე ნ, ცარციძე მ,უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №2, 2009.
6. www.geostat.ge
7. http://jcrc.ge/index.php?a=main&mid=14&sid=23&lang=ge
8. http://www.mes.gov.ge/uploads/angarishi-1.pdf
9. www.civil.ge
10. www.nplg.gov.ge
11. https://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRC_Georgian_Economic_Outlook_II,_Nov_2011_GEO.pdf

Annotation

Unemployment is the heaviest socio-economic problem in Georgia, which is confirmed by different researches held in our country. The Unemployment is high in cities, as well as in villages, but according to the latest official statistics the level of unemployment, although by little, decreased and it amounted to 12%.

In the Article there is discussed the statistical picture of Unemployment in Georgia. Unemployment rates are analyzed by Regions. There is given a system of indexes on unemployment together with the tendencies of the changes in cities and villages and the reasons behind. The unemployment growth rates are described in terms of region, age and gender and there are displayed the influential factors on the growth. The way of reducing the unemployment is projected and statistical picture of expected tendencies is also outlined.

საქართველოს ჯანდაცვის ბაზარზე სოციალური მედიისადმი დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა

დავით გაბრიჭიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV სემესტრის მაგისტრატურის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი **ნუგზარ თოდუა**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომი ეხება საქართველოს ჯანდაცვის ბაზარზე სოციალური მედიისადმი დამოკიდებულების შესწავლას. კვლევის მიზანია გაირკვეს, რამდენად მოქმედებს სოციალური მედია სამედიცინო დაწესებულების არჩევაზე და რამდენად კმაყოფილია ქართველი მომხმარებელი ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდებით სოციალურ ქსელებში. მეორადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოვლინდა სოციალური მედიის მნიშვნელობის ხარისხი ბიზნესის სფეროში. ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების შესწავლისათვის მოპოვებულია პირველადი ინფორმაციაანკეტური მეთოდის გამოყენებით.ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი მომხმარებელი უკმაყოფილოა ქართული ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების მუშაობით. ასევე გაირკვა, რომ მომხმარებლის არჩევანზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს კომპანიის ქცევა სოციალურ მედიაში.

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვა, სოციალური მედია, მარკეტინგული კვლევა.*

საკითხის აქტუალობა. ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში ინტერნეტზე დაფუძნებული მარკეტინგული კომუნიკაციები სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში. დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც რაიმე სახის კონტაქტი არ ჰქონდეს ინტერნეტთან. ეს კი დამატებით შესაძლებლობებს ქმნის კომპანიებისთვის და მარკეტოლოგებისათვის, რომლებიც მუდამ პირველობისკენ ისწრაფვიან.

სოციალური მედია ციფრული მარკეტინგის განუყოფელ ნაწილად იქცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსოფლიო Facebook-მა და სხვა პოპულარულმა სოციალურმა ქსელებმა მოიცვა. ადამიანთა უმრავლესობის ყოველი დღე იწყება და მთავრდება სოციალური ქსელებით. მარკეტოლოგებს საშუალება აქვთ, მისწვდნენ ზუსტად იმ მომხმარებლებს, რომელთა მახასიათებლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონკრეტულ საქონელს თუ მომსახურებას, მოიპოვონ ყველა სახის ინფორმაცია პოტენციური მომხმარებლების შესახებ, შეაგროვონ ინფორმაცია ყველაზე ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებით და ა.შ.

ჯანდაცვა ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური სფეროა, რომელიც მრავალი ქვეყნის მთავრობის ნომერ პირველი პრიორიტეტია. სამედიცინო სერვისები, მათი მიწოდების ხარისხი და მომხმარებლის კმაყოფილება უხსოვარი დროიდან განიცდის ცვლილებებს. XXI საუკუნე უკვე წარმოუდგენელია ციფრული ურთიერთობების გარეშე და სოციალური მედიაც აქტიურად შეიჭრა ჯანდაცვის სფეროში. ბევრ დასავლურ სამედიცინო კომპანიას საკუთარი სოციალური პლატფორმები იმ დონეზე აქვს განვითარებული, რომ არაფრით ჩამოუვარდება სხვა პოპულარულ კატეგორიებს. საქართველოში ამ მხრივ ცოტა ნელი ნაბიჯებით ხდება წინსვლა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ქართული სამედიცინო კომპანია უკვე აქტიურად იყენებს ციფრული მარკეტინგის აღნიშნულ საშუალებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში სოციალურმა მედიამ ფეხი ცოტა ხნის წინ აიდგა, განსაკუთრებით ჯანდაცვის სექტორში, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ეს საკითხი უფრო საფუძვლიანად შეგვესწავლა.

ჩვენი კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად მოქმედებს სოციალური მედია სამედიცინო დაწესებულების არჩევაზე და რამდენად კმაყოფილია მომხმარებელი ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდებით სოციალურ მედიაში. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს სამედიცინო კომპანიების ახალი შესაძლებლობების გამოვლენას სოციალური მედიის განსავითარებლად. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- სოციალური მედიის განვითარების თეორიული საკითხების ანალიზი და მისი თანამედროვე ტენდენციების შესწავლა;
- სოციალურ მედიაში ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების ქცევის ტენდენციების გამოვლენა მსოფლიოსა და საქართველოში;
- ქართული ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სოციალურ მედიაში ქართული ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების ქცევის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სოციალური მედიის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები ჯანდაცვის კუთხით, ხოლო კვლევის ობიექტი სოციალური პლატფორმებია.

ადრეულ პერიოდში ინტერნეტ პლატფორმების ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის წაკითხვა იყო, რასაც მომხმარებლები შედარებით პასიურად იყენებდნენ. თუმცა, დღეს მას ინფორმაციის მიმწოდებლის როლი აქვს და მის ორმხრივ გაცვლას უწყობს ხელს. უფრო მეტიც, გლობალურ მომხმარებლებს შორის ინტერნეტ ქსელური კავშირი მუდმივად იზრდება, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა სექტორში ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს.

სამედიცინო მომსახურების სფეროში ინფორმაციის გაცვლის ძირითად საშუალებას ტრადიციული, პირისპირ ურთიერთობა წარმოადგენდა. კომუნიკაციის პროცესი ყოველთვის რეალურ დროში და ფიზიკურ გარემოში ვითარდებოდა, სადაც პაციენტები პირისპირ ხვდებოდნენ ექიმებს. თუმცა, ახალმა ტექნოლოგიებმა, როგორებიცაა ინტერნეტი და სოციალური მედიის საიტები, სამედიცინო მომსახურების პროვაიდერებს თავიანთ პაციენტებთან ვირტუალურ გარემოში ურთიერთობის საშუალება მისცა და მკურნალობის არხების შეცვლა გამოიწვია.[1] PwC-ის ჯანმრთელობის კვლევის ინსტიტუტის (HRI) ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ საავადმყოფოებს, სადაზღვევო ორგანიზაციებსა და ფარმაცევტულ მწარმოებლებს კომუნიკაციის ამ ახალი გზის გამოყენებით დიდი სარგებლის მიღება შეუძლიათ.[2]

ჯანდაცვის სექტორში სოციალური მედიის აქტუალობა აშკარად შესამჩნევი ხდება შემდეგი გარემოებების გამო:

- საავადმყოფოები სულ უფრო მეტად იყენებენ სოციალურ ქსელებს პრომოუშენისთვის და მომხმარებელთა გამოცდილების გასაზომად;
- აშშ-ის 5000 საავადმყოფოდან 700 საქმიანობს სოციალურ მედიაში, რათა გააფართოონ ბაზრის სერვისებზე საკუთარი წვდომა და მისწვდნენ სტეიქჰოლდერებს;
- კიბოსა და სხვა დაავადების ცენტრები ავითარებენ საკუთარ კავშირებს, რათა გაიგონ, როგორ

[1] https://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/Issues-monitor-healthcare/Documents/im-healthcare-october-2011

[2] PricewaterhouseCoopers, L. L. P. "Social media “likes” healthcare: From marketing to social business." (2012).

უყურებენ პაციენტები მათ მზრუნველობას;

- სამთავრობო სააგენტოები იყენებენ სოციალურ ქსელებს საზოგადოების ეპიდემიებისთვის შესამზადებლად;
- თითქმის ყველა ფარმაცევტულ კომპანიას, ბიო-ტექნოლოგიურ ფირმასა და სამედიცინო აღჭურვილობის მწარმოებელს, რაღაც დონეზე აქვს განვითარებული სოციალური ქსელები, ზოგიერთი მათგანი აქტიურად თანამშრომლობს მესამე მხარის სოციალურ ქსელებთან, როგორიცაა PatientsLikeMe.[1]

სოციალური მედია იძლევა უკეთესი ჯანმრთელობის იმედს სამედიცინო ინფორმაციის სწრაფი და ფართო გავრცელების გზით. სოციალური ქსელები წარმოადგენს დაავადების შესახებ ინფორმაციის მიღების არაოფიციალურ არხებს. ისინი უზრუნველყოფენ დროულ წვდომას ინფორმაციის დიდ რაოდენობაზე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია სხვადასხვა დაავადების მიმდინარეობის გაზომვა და წინასწარმეტყველებაც კი. ისინი ხელს უწყობენ ძნელად მისაწვდომი მოსახლეობის განათლებას, მომხმარებელს საშუალებას აძლევენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით იპოვნონ თავიანთი მსგავსი დაავადების მქონე პაციენტები, გაუზიარონ მათ გამოცდილება და გამოუცხადონ მორალური მხარდაჭერა.[2]

დღეისთვის მომხმარებლები ინტერნეტს და სოციალური მედიას არა მარტო ინფორმაციის მოსაძიებლად, არამედ თავიანთ ექიმებთან კომუნიკაციისთვისაც აქტიურად იყენებენ. ასეთი ინტერაქცია ხელს უწყობს ტრადიციული მეთოდების ვირტუალური მეთოდებზე გადასვლას, სადაც ექიმებს მომსახურების გაწევა შედარებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ.[3]

კვლევის მეთოდოლოგია. მარკეტინგული კვლევები მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. იგი კომპანიებს უზრუნველყოფს ისეთი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მარკეტინგული გადაწყვეტილებისა და ბიზნესის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისთვის.[4]

პირველადი მონაცემების შეგროვების დაწყებამდე ჩავატარეთ საძიებო მარკეტინგული კვლევა. მეორადი მონაცემების ანალიზი დაგვეხმარა პრობლემის იდენტიფიცირებისა და ჰიპოთეზების განსაზღვრაში. ინფორმაციის შესწავლის შემდეგ ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

1. ქართველი მომხმარებელი უკმაყოფილოა ქართული ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების მუშაობით სოციალურ მედიაში;
2. სამედიცინო დაწესებულების აქტივობა სოციალურ მედიაში არანაირ გავლენას არ ახდენს მომხმარებლის არჩევანზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ამ ჰიპოთეზების მართლზომიერებაში გასარკვევად დაგვეხმარა. მეორადი ინფორმაციის თითქმის არარსებობის გამო ჩავატარეთ აღწერითი მარკეტინგული კვლევა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. ჩვენს შემთხვევაში კითხვარს ელექტრონული სახე ჰქონდა, ვინაიდან კვლევა სოციალური ქსელების მეშვეობით ჩატარდა. ამასთან, პასუხების შეგროვებას უფრო ნაკლები დრო დასჭირდა და მეტი მოქნილობით ხასიათდებოდა სხვა მეთოდებთან შედარებით.

სანამ ჩვენს კითხვარებს რესპონდენტებთან დავაგზავნიდით, აუცილებელი იყო გენერალური ერთობლიობის სწორად შერჩევა. ჯანდაცვის სფეროში გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენს მთელი მოსახლეობა, რადგან ნებისმიერი ასაკის, სქესისა თუ მრწამსის ადამიანს

---

[1] Keckley, Paul H., and Michelle Hoffmann. "Social networks in health care: Communication, collaboration and insights." *New York: Deloitte Center for Health Solutions* (2010)

[2] http://www.hp.com/sbso/solutions/healthcare/expertise/whitepaper-social-media

[3] https://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/Issues-monitor-healthcare/Documents/im-healthcare-october-2011

[4] თოდუა ნ., ურუტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, თბილისი, 2013.

შეიძლება დასჭირდეს სამედიცინო სერვისები და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. თუმცა, ჩვენი კვლევის საგანი არ არის მთლიანად ჯანდაცვა, არამედ სოციალური მედია ჯანდაცვის სფეროში. შესაბამისად, ჩვენი გენერალური ერთობლიობა შედგებოდა მხოლოდ სოციალური მედიის მომხმარებლებისგან. გენერალური ერთობლიობიდან რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის გზით შევარჩიეთ. ყოველ მათგანს გაეგზავნა ელექტრონული ანკეტა, რომელიც ყველამ სრულყოფილად შეავსო.

ჩატარებული კვლევის სქემა ასე გამოიყურება:

- კვლევის მიზნობრივი ჯგუფი - ქართველი სოციალური მედიის მომხმარებლები;
- კვლევის არე - საქართველოს ტერიტორია;
- შერჩევის ზომა - 200;
- კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი აღწერითი კვლევა.

ჩვენი კითხვარი 36 სტრუქტურირებული კითხვისგან შედგებოდა და მოიცავდა როგორც მრავალვარიანტულ, ასევე ალტერნატიულ და სკალაზე დაფუძნებულ კითხვებს. 21 მრავალვარიანტიანი კითხვიდან, 6 კითხვაზე რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის მითითების საშუალება ჰქონდათ, 15 კითხვაზე კი მხოლოდ ერთი პასუხი უნდა დაეფიქსირებინათ. 7 ალტერნატიულ კითხვაზე მომხმარებელს უნდა დაეფიქსირებინა პასუხი „დიახ“ ან „არა“. ხოლო დანარჩენი 8 კითხვა სკალაზე იყო დაფუძნებული, სადაც მომხმარებელს თავისი აზრი 5 ბალიანი სკალით (1 - ყველაზე დაბალი, 5 - ყველაზე მაღალი) უნდა დაეფიქსირებინა. აღნიშნული 36 კითხვა 3 ბლოკად იყო დაყოფილი, საიდანაც პირველი ბლოკი რესპონდენტთა სოციალურ მედიაში აქტივობის დონის განსაზღვრას ემსახურებოდა და მას ყველა რესპონდენტი ავსებდა. მეორე ბლოკს ორი ვარიანტი ჰქონდა და დამოკიდებული იყო რესპონდენტის მიერ პირველი ბლოკის ბოლო კითხვაზე გაცემულ პასუხზე. ეს ბლოკი შეეხებოდა ჯანდაცვასთან ასოცირებულ გვერდებს სოციალურ მედიაში. ხოლო ბოლო ბლოკი, რომელსაც, პირველის მსგავსად, ყველა რესპონდენტი ავსებდა, გამოკითხულთა დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებაში დაგვეხმარა.

კვლევის შედეგები. კითხვაზე, თუ სოციალური მედიის რომელი პლატფორმებით სარგებლობენ ყველაზე ხშირად, მომხმარებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიუთითა Facebook. ვინაიდან რესპონდენტთა უმრავლესობა, შესაძლოა, სარგებლობდეს ჩამოთვლილთაგან თითქმის ყველა პლატფორმით, ჩვენ მათ არჩევანის შესაძლებლობა შევუზღუდეთ და მათ საშუალება ჰქონდათ მიეთითებინათ მაქსიმუმ 3 სოციალური ქსელი. გამოკითხულთაგან თითქმის არავინ სარგებლობს რუსულენოვანი სოციალური ქსელებით(Vkontakte, Odnoklassniki), რომლებიც ერთ დროს ყველაზე პოპულარული იყო (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



ყველაზე პოპულარული სოციალური პლატფორმები

მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, თუ დღის რა ნაწილს უთმობდნენ რესპონდენტები სოციალურ მედიას და რა მოწყობილობას იყენებდნენ ამისთვის. როგორც აღმოჩნდა, მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი 1 საათზე მეტს ატარებს სოციალურ ქსელებში და ამისთვის უმეტესად სმარტფონს იყენებს.

სოციალური მედია თავისი დანიშნულებით ძალიან კომპლექსური სისტემაა, რომელსაც ყველა მომხმარებელი განსხვავებული მიზნებით იყენებს. ზოგი მეგობრებთან საკონტაქტოდ, ზოგი საკუთარი ფოტო-ვიდეო მასალის ასატვირთად, ზოგი სიახლეების გასაცნობად და ა.შ. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რა მიზნით სარგებლობენ სოციალური ქსელებით რესპნონდენტები. მისათითებელი ვარიანტების რაოდენობა აქაც 3-მდე შევზღუდეთ (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

სოციალური ქსელებით სარგებლობის მიზნები



ერთ-ერთი მთავარი გარდამტეხი კითხვა ჩვენს კითხვარში იყო, მოუწონებიათ თუ არა ჩვენს რესპონდენტებს რომელიმე გვერდი სოციალურ მედიაში, რაზეც 98,5%-მა დადებითადუპასუხა.მოწონებული გვერდების კატეგორიებიდან საინფორმაციო ტიპის გვერდები სარგებლობენ ყველაზე მეტი პოპულარობით. რამდენიმე კითხვის პასუხებიდან ჩანს, რომ მომხმარებლისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სიახლეების მიღება სოციალურ მედიაში.

პირველი ბლოკის ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რამდენ რესპონდენტს მოუწონებია ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდები სოციალურ მედიაში, რომელსაც 64%-მა გასცა დადებითი პასუხი, ხოლო არმოწონების ძირითად მიზეზად ასეთი გვერდების მიმართ ინტერესის არარსებობას ასახელებნენ.

სამედიცინო სერვისები ისეთი რამ არის, რის მოხმარებასაც მომხმარებელი მხოლოდ საჭიროების შემთხვევის დადგომისას იწყებს. შესაბამისად, საინტერესო იყო გაგვეგო, რამდენად ხშირად დგება ასეთი შემთხვევები რესპონდენტების ყოველდღიურობაში. როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტთა უმრავლესობა თვეში საშუალოდ ერთჯერ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით და საშუალოდ 50 ლარსაც არ ხარჯავს.

ანკეტის ერთ-ერთი ცენტრალური კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რა კრიტერიუმებით ირჩევენ მომხმარებლები სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს. კვლევის შედეგების ანალიზის ბოლოს, უნდა გავარკვიოთ, რამდენად მოქმედებს სოციალური მედია ამ არჩევანზე, თუმცა, იქამდე დავადგინოთ ის სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მომხმარებლის არჩევანზე გავლენას ახდენენ. როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხების უმრავლესობა გადანაწილდა 3 კატეგორიაში: ახლობლის რეკომენდაცია, პირადი გამოცდილება და სადაზღვევო პოლისი. მხოლოდ ერთმა მომხმარებელმა მიუთითა სოციალური მედია ყველაზე მნიშვნელოვან

ფაქტორად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვაზე მომხმარებელს საშუალება ჰქონდა აერჩია მხოლოდ ერთი პასუხი (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

მთავარი კრიტერიუმები სამედიცინო სერვისების მიმწოდებლის არჩევისას



ამასთან, შემდეგმა შეკითხვამ ცხადყო, რომ რესპონდენტების უმეტესობა მთელი ოჯახით არის დაზღვეულიან საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს.

ვინაიდან ჯანდაცვასთან ბევრი ტიპის გვერდი ასოცირდება, აუცილებელია გავარკვიოთ, რომელი კატეგორიები სარგებლობენ ყველაზე მეტი პოპულარობით რესპონდენტებს შორის. სამედიცინო დაწესებულებები (საავადმყოფოები, ამბულატორიები, სამკურნალო ცენტრები) ყველაზე მოწონებადია სოციალურ მედიაში. შემდეგ მოდის ფარმაცევტული კომპანიები (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

მოწონებული გვერდების კატეგორიები



უმეტესად, რა მიზეზით მოუწონებიათ რესპონდენტებს ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდები? როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მნიშვნელოვანი საინტერესო ინფორმაციისა და სიახლეების მიღება აღმოჩნდა.

შემდეგმა კითხვებმა გამოავლინა, თუ რამდენად საინტერესოდ და სანდოდ აღიქვამენ რესპონდენტები ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების მიერ მოწოდებულ ყოველდღიურ ინფორმაციას და, ზოგადად, რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი ამ გვერდების მუშაობით. მათ შეეძლოთ თავიანთი კმაყოფილება 5 ბალიანი სკალით დაეფიქსირებინათ. პასუხები უმეტესად დადებითი შეფასებებისგან შედგებოდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების მიერ მოწოდებული ყოველდღიური ინფორმაციით კმაყოფილება, სანდოობა და დაინტერესება



ვინაიდან სოციალური მედია ორმხრივი კომუნიკაციების ადგილია, აუცილებელია გავიგოთ, რამდენად ხშირად და რა ფორმებითეკონტაქტებიან მომხმარებლები ჯანდაცვასთან ასოცირებულ გვერდებს. როგორც ჩანს, რესპონდენტები არც ისე ხშირად კონტაქტობენ მსგავს გვერდებთან, რაზეც მიღებული შედეგებიც მოწმობენ. გამოკითხულთა თითქმის 65%-ს არანაირი კონტაქტი არ ჰქონია ჯანდაცვასთან ასოცირებულ გვერდებთან სოციალურ მედიაში. გამოკითხულთა 76%-ს საერთოდ არ მიუმართავს ამ კატეგორიის გვერდებისთვის.

ასევე, შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად დადებითად შეხვდებოდა მომხმარებელი ონლაინკონსულტაციის ფუნქციის არსებობას სოციალურ მედიაში. დაახლოებით 80% ისურვებდა მსგავსი სიახლის დანერგვას, მეტიც, მათი 67% ამ სერვისში თანხასაც გადაიხდიდა. ამასთან, როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული სერვისის სარგებლობისას ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლისთვის პასუხის დროულობა და ექიმის ვინაობაა. მიღებული პასუხების სანდოობას მომხმარებელი მეტნაკლებად სანდოდ მიიჩნევს.

სოციალური მედიაში გვერდების შეფასებები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, თუ საქმე ჯანდაცვას ეხება. როგორც წესი, უკმაყოფილო მომხმარებელი უფრო აქტიურად წერს უარყოფით შეფასებებს, ვიდრე კმაყოფილი - დადებითს. რესპონდენტთა 66% შეფასებას ორივე შემთხვევაში დაწერდა, ხოლო 77,5% კი სხვის შეფასებებსაც გადაიკითხავდა არჩევანის გაკეთებამდე.

დასკვნითი კითხვებით შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რა გავლენას ახდენდა მომხმარებლის არჩევანზე სამედიცინო დაწესებულებების აქტივობები სოციალურ მედიაში და რამდენად დადებითად აფასებენ ისინი სამედიცინო დაწესებულებების მდგომარეობას სოციალურ მედიაში (იხ. დიაგრამა 6).

კითხვარის ბოლო ბლოკი რესპონდენტთა ზოგადი დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებას ემსახურებოდა, სადაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი 18-24 ასაკობრივ ზღვარში ჯდებოდა, ასევე დიდი იყო 25-34 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა რაოდენობაც. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 73% იყო ქალი. უმრავლესობა (68%) წარმოადგენდა დასაქმებულსან სტუდენტს(23%). მხოლოდ 32% იყო დაოჯახებული და 25%-ს ჰყავს შვილები. ბოლო კითხვაში ოჯახის ყოველთვიური შემოსავლების შესახებ რესპონდენტთა შემოსავლები თითქმის 3 კატეგორიად იყოფა: 500-1000 ლარი, 1001-2000 ლარი და 2000 ლარზე მეტი შემოსავალი ყოველთვიურად. შედარებით მცირე ჯგუფები გამოიმუშავებენ უფრო ნაკლებს.

დიაგრამა 6

მომხმარებლის არჩევანზე სამედიცინო დაწესებულებების ზემოქმედების ხარისხი და არსებული მდგომარეობა



დასკვნები და რეკომენდაციები: ჩვენ მიერ ჩატარებულმა ლიტერატურულმა ანალიზმა და ქართველ სოციალური მედიის მომხმარებელთა გამოკითხვამ გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

- ჩვენი კვლევის შედეგებიდან ცალსახად შეგვიძლია იმ დასკვნის გამოტანა, რომ ქართველი მომხმარებელი საკმაოდ აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას. ისევე,როგორც ბევრ დასავლეთის ქვეყანაში, Facebook-ს თითქმის ყველა ქართველი მოქალაქე იყენებს, რომელსაც შეხება აქვს ინტერნეტთან და ციფრულ მოწყობილობებთან, როგორიცაა: კომპიუტერი, სმარტფონი ან პლანშეტი. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ უნდა იზრუნონ ქართულმა კომპანიებმა საკუთარ სოციალურ პლატფორმებზე უფრო გაძლიერებულად, ვიდრე ამას როდესმე აკეთებდნენ.
- მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მედიას საქართველოშიძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს, რომელთა უმეტესობასაც ერთი გვერდი მაინც აქვს მოწონებული, ჯანდაცვა მაინც ნაკლებ პოპულარული კატეგორიაა მათთვის. ამაზე კვლევის შედეგები მეტყველებს. მათ, ვისაც არ მოუწონებია არცერთი ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდი სოციალურ მედიაში, უბრალოდ, არ აინტერესებთ მსგავსი ინფორმაცია. როგორც უკვე ვთქვით, ეს ჯანდაცვის მომსახურების ბუნების დიდი დამსახურებაა. ჯანდაცვა ისეთი სახის სერვისია, რომელიც მხოლოდ რაიმე შემთხვევის დადგომის შედეგად ხდება მოთხოვნადი.
- ქართველი მომხმარებლები იშვიათად სარგებლობენ სამედიცინო სერვისებით და უმრავლესობა თვეში 50 ლარსაც კი არ ხარჯავს. რეგულარული პროფილაქტიკური გამოკვლევები საქართველოში არ არის პოპულარული. სამედიცნო სერვისებზე დანახარჯების ნაკლებობა იმითაც არის გამოწვეული, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი კერძო ან საყოველთაო დაზღვევით სარგებლობს, რომლებიც უმეტესი მცირე გამოკვლევების სრულ დაფინანსებას ითვალისწინებს.
- მომხმარებელზე რაიმე სახის ზემოქმედება სამედიცინო სერვისების არჩევისას ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან ტრადიციულად, სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს ქართველი მოსახლეობა ახლობლის რეკომენდაციის, პირადი გამოცდილების ან სადაზღვეო პოლისის მიხედვით ირჩევს. ძალიან მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სოციალურ სამედიცინო დაწესებულების არჩევისას სოციალურ მედიას მიმართავს. მიუხედავად ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ გარკვეული ზემოქმედება მაინც აქვს სოციალურ მედიას მომხმარებლის

არჩევანზე. გავიხსენოთ ჩვენი ერთ-ერთი ჰიპოთეზა: სამედიცინო დაწესებულების აქტივობა სოციალურ მედიაში არანაირ გავლენას არ ახდენს მომხმარებლის არჩევანზე. ჩვენი კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს უარვყოთ ჰიპოთეზა.

- ფარმაცევტული კომპანიები ბევრად უფრო აქტიურ მარკეტინგს მიმართავენ, როგორც ტრადიციული გზებით, ისე სოციალური მედიის მეშვეობითაც. მიუხედავად ამისა, უფრო მეტიამომხმარებელი, რომელსაც რომელიმე კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების გვერდი მოსწონს. ისინი მომხმარებელს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რჩევებს აწვდიან, რაც მომხმარებლის დაინტერესების ზრდას იწვევს. გარდა ამისა, სწორედ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაციის მიღება არის მთავარი მოტივი, როდესაც მომხმარებელი ჯანდაცვასთან ასოცირებულ გვერდს იწონებს სოციალურ მედიაში.
- მომხმარებლებს მოსწონთ ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ვინაიდან თვლიან, რომ ის საინტერესოა. ამასთან, საშუალოზე მაღალია ნდობის ხარისხი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როცა საქმე ჯანმრთელობას ეხება.
- ქართველი მომხმარებელი ნელ-ნელა ეჩვევა კომპანიებთან სოციალური მედიის მეშვეობით ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი მაინც ერიდება მასთან კონტაქტში შესვლას. მომხმარებელთა უმეტესობა შეტყობინების მიწერისგანაც თავს იკავებს. თუმცა, ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად ურთიერთობენ ჯანდაცვასთან ასოცირებულ გვერდებთან, კმაყოფილნიარიან მათგან მიღებული პასუხით, როგორც შინაარსით, ისე დროულობითაც. ამ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მომხმარებელი ნამდვილად უნდა გააქტიურდეს და ხშირად იკონტაქტოს ჯანდაცვის გვერდებთან, თუ, რა თქმა უნდა, ამის ინტერესი გაუჩნდება.
- მომხმარებელთა შეფასებების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო სოციალურ მედიაში, არამედ ნებისმიერი სახის მომსახურებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ სამედიცინო სერვისების მომხმარებელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს სხვათა შეფასებებს, აღმოჩნდა, რომ ისინი მათმაინც ეცნობიან და სურვილს გამოთქვამენ, რათა მომსახურების მიღების შემდგომკმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების შესახებ თავადაც დაწერონ.
- ჩვენი მეორე ჰიპოთეზა, რომ მომხმარებელი უკმაყოფილოა ქართული ჯანდაცვასთან ასოცირებული გვერდების მუშაობით სოციალურ მედიაში, შეიძლება ითქვას რომ დადასტურდა. მომხმარებელთა უმეტესობა მდგომარეობას უარყოფითად აფასებს. სოციალური მედია ქართულ ჯანდაცვაში ახალი ხილია და ჯერ იმ დონეზე არ მომწიფებულა, რომ კომპანიებს დივიდენდები მოუტანოს. ბევრ სამედიცინო დაწესებულებას შტატშისაერთოდ არ ჰყავს სოციალური მედიის სპეციალისტი. ძალიან ცოტაა ჯანდაცვასთან ასოცირებული ისეთიკომპანიები, რომლებიც სოციალურ მედიას სერიოზულად უდგებიან.
- ქართული ჯანდაცვასთან ასოცირებული კომპანიები უნდა გააქტიურდნენ სოციალურ პლატფორმებზე. ჯანდაცვის ინდუსტრიაში მზარდი კონკურენციის გამო, ნებისმიერი ახალი კომუნიკაციის საშუალება ახალ შესაძლებლობად გვევლინება. ბევრ ქართულ საავადმყოფოს თუ კლინიკას საკუთარი გვერდიც არ აქვს სოციალურ მედიაში. სხვა დადებით მხარეებთან ერთად, რაც სოციალურ მედიას გააჩნია, მომხმარებელთან უშუალო, პირად შეტყობინებებზე დაფუძნებული საუბარი დღესდღეისობითყველაზე მოსახერხებელი კომუნიკაციის საშუალებაა. ისევე, როგორც სატელეფონო ოპერატორები, სამედიცინო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს სოციალური მედიის ოპერატორებიც და ამ სერვისში მეტი რესურსი უნდა ჩადოს.

- ქართველი მომხმარებელი ძალიან იშვიათად მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ საქართველოში პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარება არ არის პოპულარული. ამის შედეგი ხშირად სავალალოა, როდესაც პაციენტი დაავადების შესახებ გვიან იგებს, მით უმეტეს, როდესაც ზოგიერთ დაავადებას ადრეულ სტადიაზე ნაკლები გამოვლინებები აქვს. სოციალური მედია იდეალური ადგილია ასეთი სახის ინფორმაციის გასავრცელებლად.
- სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ პაციენტებისთვის საუკეთესო პირობების შექმნაზე, დაწყებული მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზ-მითა და თავაზიანობით, დასრულებული საავადმყოფოს შიდა ინტერიერითა და გაწერისშემდგომი მომსახურებებით. როგორც კვლევებით დადგინდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სამედიცინო დაწესებულებას ახლობლის რეკომენდაციით ირჩევს. შესაბამისად, მარკეტინგული ზემოქმედების ხარისხი მომხმარებელზე ძალიან დაბალია.
- არის რიგი პრობლემებისა, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. ესაა საინტერესო და სანდო ინფორმაციის პრობლემა. მომხმარებელთა უმრავლესობას აინტერესებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რჩევები, რომლებიც იქნება საინტერესო, ავთენტური და გამოსადეგი. ამისთვის უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც შექმნიან ავთენტურ და საინტერესო კონტენტს.
- მომხმარებლებს ონლაინ კონსულტაციის სერვისის დანერგვის დიდი სურვილი აქვთ. ისინი მზად არიან ამ მომსახურებაში გარკვეული თანხაც გადაიხადონ. ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა სამედიცინო დაწესებულებისთვის, შექმნან შესაბამისი პლატფორმა და მოახდინონ პაციენტების დისტანციურად კონსულტირება.
- დაბოლოს, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ქართველი მამაკაცები,ქალებთან შედარებით, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი სამედიცინო ინფორმაციით. ასევე მეტ ინტერესს იჩენენ მცირე ასაკის ბავშვთა მშობლები, ვიდრე უშვილო მომხმარებლები. სამედიცინო დაწესებულებებს შეუძლიათ სხვადასხვა ბერკეტით მიიზიდონ მამაკაცები გამოკვლევების ჩასატარებლად, აამაღლონ მათი თვითშეგნება ჯანმრთელობის საკითხებში და, საბოლოო ჯამში, მოახდინონ მათი დაინტერესება აღნიშნული საკითხებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/Issues-monitor-healthcare/Documents/im-healthcare-october-2011
2. PricewaterhouseCoopers, L. L. P. "Social media “likes” healthcare: From marketing to social business." (2012).
3. Keckley, Paul H., and Michelle Hoffmann. "Social networks in health care: Communication, collaboration and insights." *New York: Deloitte Center for Health Solutions* (2010).
4. http://www.hp.com/sbso/solutions/healthcare/expertise/whitepaper-social-media
5. https://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/Issues-monitor-healthcare/Documents/im-healthcare-october-2011
6. თოდუა ნ., ურუტაძე ე., მარკეტინგული კვლევის პრინციპები, თბილისი, 2013.

Resume

This thesis is about the study of the attitudes to social media on the Georgian healthcare market. The goal of the research is to find out how Georgian medical company’s social media activities affects

customers choice and how satisfied they are with the work of Georgian healthcare associated pages in social networks.After processing of secondary information the importance of social media in field of business was revealed. To understand the attitudes of Georgian users, secondary information was not enough. For that reason we committed gathering of primary information with questionnaire method. On basis of the committed research was ascertained that Georgian users are not satisfied with working of Georgian healthcare associated in social media. This study also cleared up that a company's social media activities somehow affect customer behavior.

საქართველოს ენერგორესურსების წარმოების ანალიზი

სოფიო გელაშვილი
ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელები: პროფესორი **სიმონ გელაშვილი,**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **გოგიტა თოდრაძე**

ანოტაცია

საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი, წარმოადგენს ქვეყნის დგრად განვითარებას, რამაც გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო დიდი დანიშნულება ჰპოვა. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. ეს არის მიზნები რომლებიც 2030 წლამდე უნდა იქნას შესრულებული მსოფლიოს მიერ. ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ენერგოეფექტურობის გამოყენება და განვითარება.

საკვანძო სიტყვები: *ენერგეტიკული პოლიტიკა, შინამეურნეობის სექტორი, ეკოლოგიური ასპექტები.*

საქართველოს ენერგო სექტორმა წლების განმავლობაში მრავალი დაბრკოლება გამოიარა. 1990-იანი წლებში თითქმის მთელი ქვეყანა ელექრო ენერგიის ძალიან დიდ დანაკლისს განიცდიდა. ეს გამოწვეული იყო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური არასტაბილურობით. დღეს, საქართველოს თითქმის ყველა მოსახლეს მიეწოდება ელექტრო ენერგია და ამ კუთხით საქართველომ დიდი წინსვლა განიცადა. რადგან განვითარებადი და განვითარებული ქვეყნები მთავარ ენერგო პრიორიტეტად განახლებად ენერგიას მიიჩნევს, ამ გადმოსახედიდან საქართველო შესაძლოა ერთ-ერთი წარმატებულ ქვეყნად მივიჩნიოთ მისი ენერგო პოტენციალიდან გამომდინარე. 1996 წელს, მაშინ როდესაც მოსახლეობას დღის

განმავლობაში სულ რამოდენიმე საათით მიეწოდებოდა ელ. ნერგია, ყველაზე დაბალი იყო ელ. ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, ბოლო 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 1,120 კვტ სთ. შეადგენდა. ეს იყო ლოგიკური შედეგი ადრეულ წლებში საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადებისა.

საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეუძლია მნიშვნელოვანი სტრატეგიული როლის ითამაშოს, როგორც ენერგო რესურსების სატრანზიტო კორიდორის კუთხით. რაც თავის მხრივ, მას მიანიჭებს წვდომას უფასო ენერგიაზე (ენერგია მიღებული ტრანზიტის სანაცვლოდ) და ტრანზიტში მიღებული საზღეურით. სატრანზიტო პოტენციალთან ერთად საქართველოს აქვს ფართო ჰიდრო რესურსების წარმოების პოტენციალი.

ქვეყნის მთლიანი ფართის გათვალისწინებით საქართველო ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) ერთ-ერთი ლიდერია.[1] საქართველო ენერგო მოხმარების მხოლოდ 30-35% აწარმოებს. სწორედ ამიტომ, ენერგო უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი რჩება ქვეყნისათვის.

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს ენერგო რესურსების იმპორტთან დაკავშირებული რისკების შემცირებას, ამას კი იგი ენერგო რესურსებისა და ენერგო მიწოდების დივერსიფიკაციით გეგმავს. საქართველოში ფუნქციონირებს ელექტროენერგიის გადაცემის სამი ლიცენზიანტი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) და სს „საქრუსენერგო“ და შპს. „ენერგოტრანსი“. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ არის სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სააქციო საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა 2002 წელს შპს „ელექტროდისპეჩერიზაციისა“ და სს“ ელექტროგადაცემის“ შერწყმის შედეგად. დღესდღეობით, სსე არის პასუხისმგებელი ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის გადაცემაზე (ტრანსპორტირებასა და ტრანზიტზე), და წარმოადგენს დისპეჩერიზაციის ერთადერთ ლიცენზიანტს.

2014 წელს საქართველოს ჰიდრო სფეროში აღსანიშნავი ცვლილებები მოხდა. დასრულდა მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა ლარსის (19 მგვტ.), ახმეტაჰესის (9.4 მგვტ.) და არაგვის (8 მგვტ.) ჰესების მშენებლობის.[2] სულ 2013-2014 წლებში შვიდი ჰესი ამოქმედდა: შილდაჰესი, ბახვი 3 ჰესი, ლარსიჰესი, ახმეტაჰესი, ყაზბეგიჰესი, არაგვიჰესი და ნაბეღლავიჰესი. მათი საერთო სიმძლავრე კი მთლიანობაში 149.9 მეგავატია.[3] რაც შეეხება ენერგიის მოხმარება-მიწოდების ბალანსს, 2013 წლის მესამე მეოთხედთან შედარებით, 2014 წელს ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 8%-ით (მიაღწია 2,604 მლნ. კილოვატ/საათი). 2014 წლის ივლისის თვეში კი ელექტროენერგიის თვიურმა წარმოებამ მიაღწია მის ისტორიულ მაქსიმუმს 1,048 მლნ. კილოვატ/საათს, რომელიც ძირითადად წარმოებული იქნა ჰიდროელექტროსადგურებიდან.[4]

საქართველოს გააჩნია უმნიშვნელოვანესი პოტენციალი ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების გამოყენებით მშპ-ს ენერგოტევადობის შემცირებაში 30-35%-ის ფარგლებში. კერძოდ, საყოფაცხოვრებო სექტორში - 20-25%, ინფრასტრუქტურაში - 2,3%, გამანაწილებელ ელექტროქსელებში - 7,5%, ელექტროტრანსპორტზე - 0,3%. ეს არის 2.5-3 მლრდ კვტ/სთ გამოთავისუფლებული ენერგია. **მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ერთი მეოთხედის**

[1] საქარველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ელექტროენერგია, Accessed 12/12/2014, Available here http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=54&lang=geo

[2] Quarterly Energy Review –Q3, 2014, ISET, Tbilisi, Georgia

[3] 0საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ინვესტორის გვერდი, მიმდინარე მშენებლობები, Accessed 20/12/2014,Available from http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=18&lang=geo

[4] ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი (ესკო), 2014 წლის საქართველოს ენერგობალანსი

დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდით.[1] საქართველოში დარჩა სისტემური ენერგეტიკის კვალი, რომლის მსოფლიო ლიდერი ყიფილი საბჭოთა კავშირი იყო. ახალი მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკამ თანამედროვე ენერგოტექნოლოგიების (სისტემური ტექნოლოგიები, ენერგოეფექტური და ალტერნატიული განახლებადი ელექტროტექნოლოგიები) გამოყენებით ინდივიდუალური (დეცენტრალიზებული) ენერგეტიკის წინმსწრებ განვითარებასთან უნდა შეახამოს თავისი ენერგოსისტემის სრულყოფა. საქართველოს, როგორც არათანაბრად დასახლებულ და მთიანი რეგიონების მქონე ტერიტორიას, მოწინავე ინდივიდუალური ელექტროენერგოტექნოლოგიების განვითარება საშუალებას მისცემს გათანაბრდეს ხალხის ენერგოუზრუნველყოფის პირობები ქალაქს და სოფელს შორის. ეს არის დიდი სოციალური და ეკოლოგიური მნიშვნელობის ამოცანა. სწორედ ენერგეტიკის სოციალურ-ეკოლოგიურ ერაში იმყოფება თანამედროვე მსოფლიო.

საქართველოში არსებული უხვი ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ენერგეტიკულ სექტორში გატარებული გრძელვადიანი პოლიტიკის ამოცანაა ინვესტიციების მოზიდვა ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისთვის. ამ პოლიტიკის ნაწილს შეადგენს საკუთარი ჰიდრორესურსებით ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება ეტაპობრივად: ჯერ იმპორტის, შემდეგ კი – თბოგენერაციის ჩანაცვლებით.

საქართველოში არსებული ელექტროენერგიის მაღალი გამომუშავების პოტენციალისა და რეგიონში მზარდი მოთხოვნის გამო, განისაზღვრა ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები:

- მეზობელი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ახალი ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა;
- ახლადაშენებული და არსებული ჰესების მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტრო ენერგიის ექსპორტზე გატანა.

საქართველოს ენერგობაზრის ახალი მოდელი უზრუნველყოფს სექტორში ფუნქციონირებად სუბიექტებს შორის უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ გამიჯვნას. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს, მონაწილეობს სექტორში სახელმწიფო სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებაში, შეისწავლის მათი შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ენერგორესურსების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა. იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დარგის ცალკეულ სეგმენტში დერეგულირების ან ნაწილობრივი დერეგულირების თაობაზე.

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის შესაბამისად სამინისტროს პრიორიტეტია განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების უპირატესი ათვისებისა და ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ამ მიზნით 2008 წელს შემუშავდა სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“, რომელიც წარმატებით ხორციელდება. ამასთანავე, სამინისტროს მოვალეობაა სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების შემუშავებისას ბუნების დაცვის უზრუნველყოფა და ეკოლოგიური ასპექტების მაქსიმალურად გათვალისწინება.

[1] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საერთა-შორისო სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული ბალანსი 12 წლიანი პაუზის შემდეგ პირველად 2014 წლის დეკემბრის ბოლოს შეიქმნა. აღნიშნული ანალიზი სწორედ ზემოთ ხსენებული ენერგეტიკული ბალანსის მონაცემებს ეყრდნობა და ასახავს საქართველოში 2014 წლის განმავლობაში ენერ-გორესურსების მიწოდებისა და მოხმარების მონაცემებს.

ფიზიკურ გამოსახულებებში ენერგორესურსების შესახებ მონაცემები, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ დადგენილი სპეციალური კოეფიციენტების საშუალებით გადაყვანილ იქნა ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტში, რამაც საშუალება მოგვცა სხვადასხვა სახის ენერგორესურსები მოგვექცია ერთ ზომის ერთეულში და გაგვეკეთებინა სტრუქტურული ანალიზი.

2014 წელს ენერგორესურსების მიწოდება შეადგენდა 4477,9 ათას ტონა ნავთობის ექვივალენტს, ხოლო მოხმარების მთლიანმა მოცულობამ 4022,8 ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ შიდა მიწოდებაში იმპორტირებულ ენერგორესურსებს 65 პროცენტი უჭირავს, ხოლო ადგილობრივ წარმოებაზე 35 პროცენტი მოდის.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს საქართველოში 2014 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, წარმოებული ენერგორესურსების 53 პროცენტი ელექტროენერგიასა და თბოენერგიაზე მოდის, 34 პროცენტს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერგია, რომელიც ძირითადად შეშის სახით არის წარმოდგენილი. წარმოებული (მოპოვებული) ენერგორესურსების 9 პროცენტი ქვანახშირზე მოდის, 3% - ნედლ ნავთობზე, ხოლო ბუნებრივ აირს უმნიშვნელო წილი (1 პროცენტი) უჭირავს.

რაც შეეხება მოხმარებული ენერგორესურსების სტრუქტურას, უდიდესი წილით (32 პროცენტი) ბუნებრივი აირი გამოირჩეოდა. მეორე ადგილს იკავებდა ნედლი ნავთობი - 28 პროცენტიანი წილით, მესამე ადგილზე იდგა ელექტროენერგია და თბოენერგია 21 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენი 19 პროცენტი სხვა ენერგორესურსებზე (შეშა, ქვანახშირი და სხვა) ნაწილდებოდა:



საინტერესო სურათს იძლევა 2014 წელს მოხმარებული ენერგორესურსების ანალიზი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, ქვეყანაში 2014 წელს მოხმარებული ენერგორესურსების უდიდესი ნაწილი (42 პროცენტი) ტრანსპორტის სექტორზე, 38 პროცენტი - შინამეურნეობების, 1 პროცენტი - მრეწველობის, 14 პროცენტი - მომსახურების დარგებზე მოდიოდა, ხოლო დანარჩენ სექტორებს ენერგორე-სურსების მოხმარებაში უმნიშვნელო წილი ეჭირა.

80-იანი წლების პირველ ნახევარში ენერგორესურსების მოხმარება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა დაახლოებით 2,2 ტონა ნავთობის ექვივალენტს; საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1999 წელს ცენტრალიზებული ენერგომომარაგების გაუქმების დროიდან ენერგო მომარაგება საქართველოში 3-ჯერ შემცირდა, ხოლო 2014 წლის მონაცემებით ენერგო-რესურსების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 0,83 ტონა ნავთობის ექვივალენტს შეადგენდა (ხოლო თუ მხოლოდ შინამეურნეობის სექტორის მიერ მოხმარებულს ვიანგარიშებთ - მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 0,33 ტონა ნავთობის ექვივალენტს შეადგენს წელიწადში).

ენერგორესურსების იმპორტის სტრუქტურაში დიდი წილი უჭირავს ბუნებრივ აირს (57%) და ნავთობპროდუქტებს (36 %), გამომდინარე იქედან, რომ საქართველო არ არის აღნიშნული ენერგორესურსების მწარმოებელი.

ენერგორესურსების იმპორტში 5 პროცენტიან წილს იკავებს ქვანახშირი, ხოლო დარჩენილი 2 პროცენტი ელექტროენერგიაზე მოდის:



რაც შეეხება ენერგორესურსების ექსპორტს, სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით (56 პროცენტი) ნავთობი და ნავთობპროდუქტებია წარმოდგენილი, საიდანაც ძირითადი ნაწილი (82,4 პროცენტი) ნედლი ნავთობის ექსპორტზე მოდის, ხოლო დანარჩენი 17,6 პროცენტი ნავთობპროდუქტების რეექსპორტს უჭირავს.

ენერგორესურსების ექსპორტში 43 პროცენტიანი წილი უჭირავს ადგილობრივი წარმოების ელექტროენერგიას, დარჩენილი 1 პროცენტი კი მოდის ქვანახშირზე, რომლის ექსპორტიც ხორციელდება სომხეთში.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ენერგორესურსების ექსპორტის სტრუქტურას 2014 წელს:



საქართველო რჩება ელექტროენერგიის იმპორტიორად ზამთრის თვეების განმავლობაში. განსხვავება მოთხოვნასა და ადგილობრივ წარმოებას შორის გადაფარულია იმპორტის საშუალებით. ელექტროენერგიის მოხმარება თბილისში (თელასის დაფარვის არეალი) გაიზარდა16%-ით 2014 წლის ბოლო მეოთხედში. კახეთში კი (კახეთის ენერგო გამანაწილებელის დაფარვის არეალი) 14%-ით 2014 წლის მესამე მეოთხედში. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, (ენერგო პროს დაფარვის არეალი), ელექტროენერგიის მოხმარებამ მესამე მეოთხედში 8%-ით მოიმატა.

ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2014 წლის მესამე ნახევარში, თუმცა მკვეთრად გამოხატული სეზონურო ფაქტორებისა და ელექტროენერგიის გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, საქართველო ჯერჯერობით ვერ ახერხებს სანდო მიმწოდებელი ქვეყნის სტატუსის მოპოვებას ბაზარზე. მესამე მეოთხედში საქართველოს ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილი თურქეთში იქნა ექსპორტირებული, მაშინ როდესაც 2014 წლის მეორე მეოთხედში ექსპორტი დაკავშრებული იყო რუსეთთან და სომხეთთან.

იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ გვაქვს მზარდი მოთხოვნა და ამასთან ერთად არ გაგვაჩნია გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის რეზერვი, გრძელვადიანი ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

ძლიერი ინდუსტრიული ბაზის არარსებობის ფონზე, საცხოვრებლები და გამანაწილებელი სექტორი საქართველოს ენერგიის მთავარი მომხმარებლებია. სწორედ ეს არის მიზეზი საქართველოს ენერგო მოხმარების მკვეთრად გამოხატული სეზონურობის, განსაკუთრებით კი გაზის სექტორში. 2014 წლის მესამე მეოთხედში საქართველომ მოახდინა 335 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის იმპორტი (13%-ით გაზრდილი). საქართველო გაზის იმპორტს ახდენს აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და მხოლო მცირე ნაწილი სომხეთიდან.

რაც შეეხება ნავთობ პორდუქტებს, ბენზინი და დიზელი წარმოადგენს საქართველოს სატრანსპორტო სექტორის პირველად ენერგო წყაროებს. თუმცა, საქართველოში მანქანის მფლობელები ეძებენ შედარებით იაფ ალტერნატივას და ცვლიან შედარებით ძვირადღირებულ ბენზინს შეკუმშული ბუნებრივი აირით (CompressedNaturalGas, CNG). 2014 წლის პირველ მეოთხედებში საქართველომ მოახდინა 77,625 და 94,208 ტონა ბენზინის იმპორტი. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მოხდა შესაბამისად 99,458 და 113,437 ტონის იმპორტი.

საერთაშორისო შედარებები

ერთ სულ მოსახლეზე ენერგორესურსების მიწოდების მაჩვენებლის მიხედვით საქართველო რეგიონში 2013 წელს ბოლო ადგილზეა. ენერგორესურსების მთლიანი მოწოდება გაიანგარიშება შემდეგნაირად: შიდა წარმოება + იმპორტი - ექსპორტი - საერთაშორისო საზღვაო ბუნკერები - საერთაშორისო საავიაციო ბუნკერები +/- მარაგების სხვაობა.

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს რუსეთში ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში 5,3 ტონა ნავთობის ექვივალენტი ენერგორესურსების მიწოდება ხორციელდება. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდით მეორე ადგილს იკავებდა უკრაინა (2,7 ტონა), ხოლო მესამე ადგილს - თურქეთი (1,6 ტონა).



წყარო: ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო

რაც შეეხება ენერგორესურსების მოხმარებას, პირველ და მეორე ადგილებს კვლავ რუსეთი და უკრაინა იკავებდნენ. საქართველო 2013 წელს უფრო მეტ ენერგორესურს მოიხმარდა, ვიდრე სომხეთი, ხოლო აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებელს უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა:



წყარო: ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო

ბოლო ორ ათწლეულში ნავთობზე და საწვავის სხვა სახეებზე რეალური ფასების შემცირებამ შეასუსტა ენერგოდაზოგვის ეკონომიკური სტიმულები და ისინი შეცვალა ეკოლოგიურმა მოტივაციებმა, მაგრამ, საეჭვოა, კლიმატის მიმართ საფრთხის მიერ იყოს უზრუნველყოფილი ერთ სულზე ენერგომოხმარების ხანგრძლივი სტაბილიზაცია (და მითუმეტეს შემცირება). ამის საიმედო უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნების პრინციპულ შეცვლას. ენერგიის გარდაქმნისა და საბოლოო მოხმარების ეფექტურობის გაზრდამ ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტების ხარჯზე უკვე შეიტანა სერიოზული წვლილი ენერგომოხმარების ზრდის შენელებაში და მომავალში მასზე უფრო ძლიერ მოახდენს გავლენას.

დასკვნები და რეკომენდაციები: მნიშვნელოვანია რომ ვუზრუნველყოთ ენერგორესურსების დაზოგვა ასეთი ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან საშუალებას კი ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა წარმოადგენს. აუცილებელია, მეცნიერებატევადი წარმოებებისა და მომსახურების სფეროების წინმსწრები განვითარება, რათა ეკონომიკის ზრდის ნახევარი მაინც უზრუნველყოფილი იყოს ენერგიის ხარჯის გაზრდის გარეშე. ენერგეტიკული ეფექტურობის გაზრდის შემდეგი საშუალებაა ენერგოდაზოგვის ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ზომები.

ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების რეალიზაცია ქმნის ეკონომიკისა და ენერგეტიკის ურთიერთქმედების ახალ თვისობრიობას, როცა ენერგიის მოხმარების ზრდა სულ უფრო და უფრო ჩამორჩება ეკონომიკური ზრდის ტემპებს. 1970-იანი წლების დასაწყისიდან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის თითოეულ პროცენტი, საშუალოდ, მსოფლიოში ითხოვდა, დაახლოებით, ენერგიის მოხმარებისა და წარმოების იგივე ნამატს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მშპ-ს 1%-იანი ნამატის მიღწევა ენერგომოხმარების 0,5% ნამატის დროს ხდება და პერსპექტივაში ეკონომიკის ენერგეტიკული ეფექტიანობის ეს მაჩვენებელი შეიძლება 0,25-0,3-მდე შემცირდეს. შესაბამისად, თუ საქართველოში მშპ-ს ზრდა, არსებული პროგნოზების მიხედვით, 2014-2022 წლებში წელიწადში 5-6% იქნება, ნორმალურია ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა წელიწადში 2-3%-ით, რაც 11-12 მლრდ კვტ/სთ-ს ტოლია.

უნდა შევძლოთ ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტემპის შემცირება 1-1.5%-მდე. ამისათვის, საჭიროა, საკანონმდებლო ბაზით განმტკიცებული სახელმწიფო სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროკავშირის მოხსენება „განახლებასი ენერგოწარმოებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის ხელშეწყობა“, ბროშურა, 7.12.2005, 527 ფინალური.
2. საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორის გამოწვევები, 2013.
3. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1894&lang=geo)
4. Sustainable development Goals UN September 25th 2015 (http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/)
5. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. (http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=16&lang=geo)
6. Issue Paper on the implications of the Possible Georgian Membership in the European Energy Community, GEPLAC, April, 2010.
7. Quarterly Energy Review –Q3, 2014, ISET, Tbilisi, Georgia.
8. http://www.cfr.org/publication/9535/

Annotation

Process for meeting human development goals while sustaining the ability of natural systems to continue to provide the natural resources and ecosystem services upon which the economy and society depend. While the modern concept of sustainable development is derived most strongly from the 1987 Brundtland Report, it is rooted in earlier ideas about sustainable forest management and twentieth century environmental concerns. As the concept developed, it has shifted to focus more on economic development, social development and environmental protection is Sustainable development.Which is more important in the process of globalization?The 193 Member States of the United Nations reached consensus on the outcome document of a new sustainable development agenda entitled, “Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development”. This agenda contains 17 goals and 169 targets.The new goals are part of an ambitious, bold sustainable development agenda that will focus on the three interconnected elements of sustainable development: economic growth, social inclusion and environmental protection. It recognizes that ending poverty must go hand-in-hand with a plan that builds economic growth and addresses a range of social needs including education, health, social protection, and job opportunities, while addressing climate change and environmental protection. It also covers issues such as inequality, infrastructure, energy, consumption, biodiversity, oceans and industrialization.

Over the last decade electricity consumption has grown largely in line with real GDP growth rate and reached 10.4 TWh in 2015. If This trend continues, in 10 years Georgia will have significant generation deficit. Between 2004 and 2010 as a result of renewal and rehabilitation of existing HPPs generation also grew significantly. Since 2012 twelve new HHPs have been commissioned, but as consumption continues to rise not only in Georgia, but in neighboring countries as well, there is great opportunity to develop new power plants to keep up with this ever increasing demand. According to estimates, only 25% of Georgia's energy potential is exploited. Meaning that there is huge untapped potential, mostly from hydro resources, but also from wind, solar, geothermal and biomass sources as well.

მწვანე ეკონომიკის ფენომენი და ბიზნესის გარემოზე ზემოქმედების მოდელები

ნინო გერგეშელიძე
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **შოთა შაბურიშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

თითქმის ნახევარი საუკუნე, გარემოსდამცველები ცდილობდნენ დიდი ბიზნესის ინტერესებში ჩაერთოთ მდგრადი განვითარების პრინციპები. ჯერ კიდევ 10 წლის წინ იშვიათად თუ გაიგონებდით ნებისმიერ ბიზნესთან მიმართებაში ტერმინებს „მწვანე“, „გარემო“ ან „მდგრად განვითარებას“.

ბიზნესი ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე, ამის გათვალისწინებით, „მწვანე ეკონომიკა“ და „მწვანე ზრდა“ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ბიზნესის „გამწვანება“ შესანიშნავი შესაძლებლობაა შემოსავლის ზრდისა და გლობალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისათვის. მოგეხსენებათ, ეს კონცეფცია ახლა ვითარდება და ფეხს იკიდებს განვითარებულ ქვეყნებში, ამიტომ აუცილებელია საქართველოც გახდეს ამ პროცესის მონაწილე, რადგან ქართული ბიზნესი არ ჩამორჩეს საერთაშორისო კონკურენტებს. საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს გახდეს ამ მიდგომის ლიდერი კავკასიის რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ეკონომიკა, თანამედროვე ბიზნესი, მწვანე ზრდა, მწვანე ბიზნესი, მდგრადი განვითარება, გარემო, ეკოლოგია.*

თანამედროვე ბიზნესი სულ უფრო მეტად ურთიერთქმედებს გარემოსთან და მჭიდროდაა დაკავშირებული ეკოლოგიურ პრობლემებთან. სწორედ ამიტომ თითქმის ნახევარი საუკუნეა, გარემოსდამცველები ცდილობენ დიდი ბიზნესის ინტერესებში ჩართონ მდგრადი განვითარების პრინციპები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მწვანე ეკონომიკის ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა სოციალურ თანასწორობასა და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რის საფუძველზეც საგრძნობლად მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური საფრხეები.

მწვანე ეკონომიკა განსხვავდება დომინანტური ეკონომიკური პარადიგმისგან, ის ემყარება მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნას. ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით ის პირდაპირ აფასებს ქვეყნის იმ ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას, ამცირებს ბიზნესის მიერ გარემოს დეგრადაციასა და დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, რესურსების გამოლევას. მწვანე ეკონომიკა ბიზნესს აძლევს საშუალებას აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

ყველასთვის ცნობილია, თუ რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნები. მათგან აღსანიშნავია: მოსახლეობის სწრაფი ზრდა, კლიმატის ცვლილება, უწყვეტი ენერგიის მარაგი, წყლისა და საკვების არასაკმარისი მარაგი, პლანეტის სტაბილურობა. სწორედ ამ და სხვა პრობლემების მოგვარებას ემსახურება მწვანე ეკონომიკა. იგი მიჩნეულია ეკონომიკური მეცნიერების იმ კომპონენტად, სადაც ის ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკის მიზანია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთმანეთთან შეკავშირება, „ბინძურ“ ტექნოლოგიებზე მომუშავე და

გარემოსათვის სახიფათო საგნების მწარმოებელი ფირმების რაოდენობის მაქსიმალური შემცირება. მისი მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო და კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება, რომელიც თავად მართავს და აკონტროლებს მას.

მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები. თანამედროვე ბიზნესის ეკოლოგიზაციის პროცესზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის მნიშვნელოვანია ეკოლოგიური მსოფლმხედველობის საზოგადოებაში დანერგვა, რაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე გლობალური მოთხოვნის ზრდაში გამოიხატება. თანამედროვე ბიზნესის ეკოლოგიურ ორიენტაციაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მარეგულირებელი ორგანოების მიერ გარემოს დაცვაზე მოთხოვნების გამკაცრება. ბიზნესის ეკოლოგიზაციის პროცესის დაჩქარებას ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკა და ამიტომ აუცილებელია მისი განვითარება. გარდა ამისა, მწვანე ეკონომიკის შექმნის მიზეზი გახდა ეკონომიკაში არსებული უთანასწორო შეჯიბრებითობა, რომელიც გარემოს დაძაბულობასა და დიდ პრობლემებს წარმოშობს არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

1. **განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, ტალღების ენერგია):** გლობალური დათბობის შემცირებისთვის აუცილებელია მსოფლიომ შეამციროს ნავთობის მოხმარება და გამოიყენოს ალტერნატიული საშუალებები, ისეთი როგორიცაა განახლებადი ენერგიის წყაროები. ამისათვის კი აუცილებელია შესაბამისი კანონებისა და წესების შემუშავება, ბიზნესის წახალისება, რაც ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის ფართომასშტაბიან გამოყენებას.
2. **სუფთა ტრანსპორტი:** ტრანსპორტის ბევრი სახეობა, როგორიცაა ბენზინზე მომუშავე მანქანები, ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებას ატმოსფეროს დაბინძურებით, რაც ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ალტერნატიული საწვავის, ელექტრონული მოტოციკლეტებისა და სკუტერების წარმოებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ველოსიპეტების, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებების ფართო გამოყენებით.
3. **მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები):** ყველასთვის ცნობილია, რომ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ტოქსიკური ნივთიერებების გავლენა თანდათანობით იზრდება. მათი გამოყენება სახლებისა და ოფისების დასუფთავებაში საზიანოა, რადგან აქროლადი ორგანული ნივთიერებები ნეგატიურ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ შიდა ჰაერის, არამედ წყლისა და მთლიანად გარემოს ხარისხზეც.
   - სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი დასუფთავების კომპანიების განვითარებას, რომელიც გამოიყენებს ეკოლოგიურად სუფთა ტექნიკასა და დასუფთავების საშუალებებს.
   - კომუნალური გადასახადების სიდიდე მნიშვნელოვანი პრობლემაა ბიზნესისათვის, რისი მოგვარების ერთ-ერთი გზაა ენერგო ეფექტური სახლებისა და მოდერნიზებული მწვანე შენობების მშენებლობა, მზის პანელების მონტაჟი, რაც შეამცირებს ხარჯებსა და გარემოს დაბინძურებას.
   - მწვანე სახურავები ანუ მცენარეებით დაფარული სახურავი მრავალი სარგებლის მომტანია, როგორც ეკოლოგიურად, ასევე ენერგოეფექტურობის მხრივაც. ეს ხერხი გამოსადეგია ურბანული ჰაერის ტემპერატურის შესამცირებლად და უზრუნველყოფს შენობების თბოიზოლაციას.
4. **მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება)**

5. **ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენები, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა):** ნარჩენების გადამუშავება არის შესანიშნავი ალტერნატივა ნაგავსაყრელებისა და გარემოს დაბინძურების აღსაკვეთად. საუკეთესო გამოსავალი ძველი ნივთების გაუმჯობესება და ხელახალი გამოყენებაა. სამომხმარებლო საქონლის შექმნა ნაგავსაყრელზე შეგროვილი მასალებიდან ამცირებს ნარჩენების კოლოსალურ რაოდენობას, გარემოს დაბინძურებას და გლობალურ დათბობას. აუცილებელია გადამუშავებული სამომხმარებლო მასალების გამოყენება მოდისა და ავეჯის ინდუსტრიაში.
6. **წყლის მართვა (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება).**

საერთაშორისო გამოცდილების მოკლე მიმოხილვა. მწვანე ეკონომიკა სწრაფად ვრცელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აშშ-სთან ერთად ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ჩინეთი. მხოლოდ კვლევისა და განვითარებისთვის ევროკავშირმა ბიუჯეტი 300%-ით გაზარდა. ჩინეთი კი ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები ნახშირბადი მოიხმაროს და მის ნაცვლად აქტიურად გამოიყენოს განახლებადი ენერგია. 2005 წელს ჩინეთმა მიიღო განახლებადი ენერგიის შესახებ კანონი, რომელიც სთავაზობს ბიზნესს ფინანსურ წახალისებებს, დაბალპროცენტიან კრედიტებსა და გადასახადებს ქარისა და მზის ენერგიის გამოყენებისთვის. ჩინეთი ქარის ენერგიის ყველაზე დიდ მოცულობას გამოიყენებს ამერიკის შემდეგ. ამავდროულად მზის ენერგიის წარმოების მხრივს ეს ქვეყანა უდიდესია ბაზარზე. ამ სახელმწიფომ 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩადო სუფთა ენერგიის დასაფინანსებლად.

განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების სექტორში წარმატებით სარგებლობს გერმანია, სადაც განახლებად ენერგიებს სისტემაში 25% უკავია და რისი დამსახურებითაც ქვეყანაში დამატებით 300000 სამუშაო ადგილი შეიქმნა. ამგვარი მაგალითები საკმაოდ ბევრია მსოფლიოში: ორგანული სოფლის მეურნეობა უგანდაში, სოფლის ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა ინდოეთში, ტყის მართვა ნეპალში, ეკოსოსტემის მომსახურება ეკვადორში და სხვა. მათი გამოცდილება აუცილებელია გაითვალისწინოს დანარჩენმა სამყარომ, რათა დედამიწა განადგურებისაგან დავიცვათ.

საქართველოს პერსპექტივები. საქართველო გამოირჩევა მდიდარი ბუნებით, რაც შესანიშნავი საშუალებაა მწვანე ეკონომიკისა და ბიზნესისთვის. გაეროს ეგიდით შექმნილი მწვანე ეკონომიკის ინიციატივა ჩვენი ქვეყნისთვის ნიშნავს ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური რესურსების გახსნას ახალი ბიზნეს-შეაძლებლობებისთვის, რომელიც სწრაფი ეკონომიკური ზრდის საწინდარს წარმოადგენს, უზრუნველყოფს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას, და რაც მთავარია, გვინარჩუნებს ბიომრავალფეროვნებას და აბრკოლებს კლიმატის ცვლილებას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ შეძლო გაეტარებინა რეფორმები, რითაც მკვეთრად გაიუმჯობესა ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა. საერთაშორისო ინსტიტუტები, მათ შორის მსოფლიო ბანკი, მიიჩნევენ, რომ დღესდღეობით საქართველოს ხელსაყრელი გერემო აქვს ბიზნესის საკეთებლად, რასაც ხელს უწყობს დაბალი გადასახადები და ტარიფები.

მთავრობა სთავაზობს რიგ საწარმოებს მწვანე მიდგომას და მათი პროდუქციისთვის ახალი, მწვანე სიცოცხლის შეძენას სუფთა და საიმედო ჰიდროელექტროენერგიის საფუძველზე. მათგან აღსანიშნავია:

- ლითონდამამუშავებელი და გადამამუშავებელი საწარმოები;
- სხვადასხვა ტიპის დამამუშავებელი საწარმოები;
- მსუბუქი მრეწველობა, საკვების დამუშავებით დაწყებული და საფეიქრო სექტორით დამთავრებული;

ამ და სხვა ტიპის საწარმოებს დახვდება არა მხოლოდ ეფექტური და ხელსაყრელი ბიზნეს გარემო, არამედ, შესაძლებლობები გრძელვადიან სუფთა ენერგიასთან მიმართებით. სუფთა ენერგიაზე დაფუძნებული წარმოების პროცესში ყველა მონაწილე იღებს სარგებელს: ინვესტორები - გააუმჯობესებენ ნახშირბადის მაჩვენებლებს, გამოიყენებენ სუფთა და ხელმისაწვდომ ენერგიას, საკონსერვო ბაზარი - გააუმჯობესებს საკუთარ ნახშირბადის მაჩვენებლებს, ხოლო საქართველო, როგორც ქვეყანა, ისარგებლებს კაპიტალური ინვესტიციებით, შექმნის სამუშაო ადგილებს, საბოლოო მომხმარებლები კი მიიღებენ იმას, რაზეც მოთხოვნა იზრდება – მწვანე პროდუქტებს.

საქართველოში დღესდღეობის არსებობს მწვანე ბიზნესის ნელი ტემბით განვითარების სამი ფაქტორი:

- ადგილობრივ ბიზნეს წრეებში მწვანე ეკონომიკაში არსებული კომერციული შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე;
- აშკარა დეფიციტი ინფორმაციის ნაკლებობის თვალსაზრისით (საბაზრო მონაცემები და ანალიზი) მწვანე სექტორისა და მდგრადი ბიზნეს-პრაქტიკის კომერციულ ფასეულობასა და პოტენციურ ფინანსურ სარგებელზე;
- მდგრად ბიზნეს-პრაქტიკასა და მრეწველობასთან დაკავშირებული შესაბამისი ტექნოლოგიის დეფიციტი.

ეს ფაქტორები განაპირობებს კომერციულ სასესხო ორგანიზაციებში სურვილის არქონას, რომ გამოყონ დაფინანსება ბიზნეს-საქმიანობის ნაკლებად შესწავლილ სფეროში. საქართველოში მდგრადი განვითარების კონცეფცია შედარებით ახალია და ჯერ არ განიხილება კომერციულად მიმზიდველ ოპციად კერძო სექტორის მონაწილეთათვის. ამიტომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პრიორიტეტი მიანიჭა ამ სფეროში კერძო სექტორის საიმედო და ქმედუნარიანი ინფორმაციით უზრუნველყოფას, განსაზღვრავს რა კონკრეტულ შესაძლებლობებს და იძლევა შესაბამის გათვლებს ინვესტიციებთან და ამონაგებთან მიმართებაში. ამ ღონისძიებების მიზანია კომპანიებისა და საფინანსო ორგანიზაციების ინფორმირებულობის გაზრდა იმ კომერციულად მიმზიდველ სარგებელთან მიმართებაში, რომლის მიღებაც შეიძლება მდგრადი ბიზნესის სფეროებში ჩართვით.

დასკვნა და რეკომენდაციები. ბიზნესი უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე, ამის გათვალისწინებით „მწვანე ეკონომიკა“ და „მწვანე ზრდა“ სულ უფრო მნიშვნელოვანი კონცეფციები ხდება, მიმდინარე ტენდენციებიდან კარგად ვხედავთ, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის ამ დარგის განვითარებისკენ. ეს არის XXI საუკუნის ბიზნეს შესაძლებლობა.

ბიზნესის „გამწვანება“ შესანიშნავი შესაძლებლობაა შემოსავლის ზრდისა და გლობალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისათვის. ეს კონცეფცია ახლა ვითარდება და ფეხს იკიდებს განვითარებულ ქვეყნებში, ამიტომ აუცილებელია საქართველოც გახდეს ამ პროცესის მონაწილე, რათა ქართული ბიზნესი არ ჩამორჩეს საერთაშორისო კონკურენტებს. აუცილებელია დროური რეაგირება და კერძო ბიზნესის ცნობიერების ამაღლება, რადგან საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს გახდეს ამ ფილოსოფიის გამავრცელებელი კავკასიის რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. შაბურიშვილი, საერთაშორისო ბიზნესის ეკოლოგიური ასპექტები, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N2, 2008. გვ. 157–165.
2. Chambers I., Humble J., Gower Green Economics and Sustainable Growth Series, "Developing a Plan for the Planet" 2011. www.gowerpublishing.com
3. Green Economics, Copyright © Molly Scott Cato, 2009
4. Baker S., Sustainable Development, Oxon 2006.
5. Green Economy In Georgia www.greengeorgia.ge
6. Green Growth and Development Countries, June 2012 www.oecd.org/greengrowth
7. Selin H., Najam A., Governance for a Green Economy www.bu.edu/pardee
8. Adams W.M., Green Development, Environment and Sustainability in a Development World, 3rd edition, 2009.
9. Anderson D.A., Environmental Economics and Natural Resource Management. 3rd Edition. 2010.

Annotation

For almost half a century, environmentalists have been advocating for big businesses to incorporate sustainability principles into their practices. Yet even ten years ago, it was rare to hear of any business with dedicated green, environmental, or sustainability initiatives.

Business makes a negative impact on environment, considering this "green economy" and "green growth" becoming increasingly significant.

"Greening" a business is a perfect opportunity of increasing incomes and solving Global-economic problems. This concept is improving now and spreading in developed countries. So, it is very significant Georgia become participant of this process. Because Georgia has a big potential to become leader of this sector in the Caucasus region.

ორი კომპანიის შედარებითი სტრატეგიული ანალიზი

ელენე მჭედლიძე, სოფი გოგაშვილი, ნანა ხიდეშელი

ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტები

მეცნიერ ხელმძღვანელი **გიორგი ღაღანიძე**

ანოტაცია

წარმოდგენილი შედარებითი ანალიზით გვსურს წარმოვაჩინოთ არსებული მდგომარეობა, რომელიც საქართველოში არამხოლოდ მცირე, დამწყებ ორგანიზაციებს, არამედ წარმატებულად მიჩნეულ კომპანიებსაც ახასიათებთ. პრობლემური საკითხი ისაა, რომ განხილულ ორგანიზაციებში არ არსებობს სტრატეგიული ლიდერის ხედვა, რაც თავისმხრივ, გულისხმობს სრული წარმოდგენის ქონას ორგანაზაციის შესახებ. ამრიგად, საქართველოში პერსპექტიული და ამავდროულად კომპლექსური დარგის - მეღვინეობის მაგალითზე

წარმოგიდგენთ სტრატეგიული ანალიზის მნიშვნელობას. ორგანიზაციის და დარგის შეფასების კონკრეტული მეთოდები, რომლებიც წარმოდგენილია „ბადაგონის“ და „თელიანი ველის“ მაგალითებზე საბოლოო ჯამში სტრატეგიული გადაწყვეტილების შესაძლებლობას იძლევა, რაც მტკივნეული საკითხია ქართული მენეჯმენტისთვის, ამავდროულად, წარუმატებლობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *მეღვინეობა, ღვინის კულტურა, კონკურენტული,* ***BCG*** *მატრიცა.*

მეღვინეობა საქართველოში თავისი ეკონომიკური თუ კულტურული მნიშნელობიდან გამომდინარე საინტერესო დარგს წარმოადგენს. ქართული ღვინო ნამდვილად არის ის პროდუქტი, რომელიც ბაზრის მდიდარ სეგმენტზე იქნება კონკურენტული. ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასებით, ქართული ღვინის კულტურა მსოფლიოში უნიკალურია სხვადასხვა მიზეზით.

საქართველო გამოირჩევა ყურძნის ენდოგენური ჯიშების სიუხვით. აქ ხარობს 500 ენდოგენურ ჯიშზე მეტი. გარდა ამისა, საქართველო ქვევრის ღვინის სამშობლოა,2013 წელს, ქვევრს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

ქართველ მეღვინეებს ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით ბაზარზე არაერთგვაროვანი პოზიცია უჭირავთ. შესაბამისად, სხვადასხვა კომპანიებში არსებული მდგომარეობა ერთმანეთისგან განსხვავებულია. ზოგიერთი მათგანი ბოლო პერიოდში ღვინის ექსპორტის გაუმჯობესებულ ვითარებაზე საუბრობს. ზოგიც პირიქით, ამბობს, რომ მდგომარეობა წინა წელთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. ნაშრომში განხილულია ღვინის მწარმოებელი კომპანიების „ბადაგონისა“ და „თელიანი ველის“ ანალიზური შედარება. აღნიშნულის მიზანია დარგის იმ მნიშვნელოვანი მაჩვენებლების გამოვლენა და გაანალიზება, რომლებიც განსაზღვრავს კომპანიის კონკურენტულ მდგომარეობას შიდა და გარე ფაქტორების მიხედვით. ამრიგად, ანალიზური შედარების საფუძველზე შესაძლებელია ორგანიზაციის მდგომარეობის განსაზღვრა, ასევე სტრატეგიული პოზიციის გამოვლენა, რომელიც ოპტიმალურ შედეგებზე ორიენტირების საშუალებას იძლევა.

შედარებითი ანალიზი

კომპანიების შიდა და გარე გარემოში მიმდინარე პროცესები და არსებული მდგომარეობა უმნიშვნელოვანესია წარმატების მისაღწევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც ერთი კომპანიისთვის სიძლიერეს და შესაძლებლობას წარმოადგენს სისუსტე და საფრთხეა მეორესთვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა თითოეული კომპანიისთვის SWOT ანალიზის ჩატარება:

„ბადაგონი“

STRENGTH	WEAKNESS
• გამოცდილება გაყიდვებში; • გამოცდილება წარმოებაში; • საკუთარი ვენახები; • მიღებული ჯილდოები; • დივერსიფიცირებული ექსპორტი.	• უნიკალური მახასითებლების გამოყენება; • საერთაშირისო ბაზრებზე სადისტრიბუციო არხების განუვითარებლობა; • ფინანსური რესურსების სიმცირე საზღვარგარეთ გაყიდვების განვითარებისთვის.

OPPORTUNITIES	THREATS
• მაღალი ხარისხის ღვინოზე მოთხოვნა; • ღვინის ტურიზმის განვითარება; • ევროკავშირთნ თვისუფალი ვაჭრობა; • სახელმწიფოს მხარდაჭერის პოლიტიკა; • ყურძნის იაფად შეძენის შესაძლებლობა.	• სახელმწიფოს ნეგატიური პოლიტიკა; • ექსპორტის მაღალი წილი რუსეთში; • ფალსიფიცირება; • არასტაბილური ეკონომიკა.

„თელიანი ველი“

STRENGTH	WEAKNESS
• გამოცდილება გაყიდვებში; • გამოცდილება წარმოებაში; • საკუთარი ვენახები; • მიღებული ჯილდოები; • საერთაშირისო ბაზრებზე განვითარებული სადისტრიბუციო არხები; • დივერსიფიცირებული ექსპორტი.	• უნიკალური მახასითებლების გამოყენება; • ფინანსური რესურსების სიმცირე საზღვარგარეთ გაყიდვების განვითარებისთვის.
OPPORTUNITIES	THREATS
• მაღალი ხარისხის ღვინოზე მოთხოვნა; • ღვინის ტურიზმის განვითარება; • ევროკავშირთან თვისუფალი ვაჭრობა; • სახელმწიფოს მხარდაჭერის პოლიტიკა; • ყურძნის იაფად შეძენი სშესაძლებლობა.	• სახელმწიფოს ნეგატიური პოლიტიკა; • ფალსიფიცირება; • არასტაბილური ეკონომიკა.

EFE მატრიცას აღნიშნული კომპანიებისთვის ექნება შემდეგი სახე:

ძირითადი გარე ფაქტორები	**წონა**	**რეიტინგი**		**შეწონილი ქულა**	
შესაძლებლობები (opportunities)					
წონა		ზადაგონი	თელიანი ველი	ზადაგონი	თელიანი ველი
მზარდი მოთხოვნა მაღალ ხარისხიან ღვინოზე\უცხო-ელი მომხმარებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა	0.15	2	3	0.3	0.45
ღვინის ტურიზმის განვითარება	0.07	3	2	0.21	0.14
ევროკავშირთან თვისუფალი ვაჭრობის შეთნხმება	0.08	2	2	0.16	0.16
სახელმწიფოს მიერ მხარდამჭერი პოლიტიკა (ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის კუთხით)	0.13	3	2	0.39	0.26

რესურსებზე წვდომა (ყურძნის იაფად შესყიდვის შესაძლებლობა)	0.05	4	4	0.2	0.2
საფრთხეები (Threats)					
სახელმწიფოს ნეგატიური პოლიტიკა	0.13	1	1	0.13	0.13
ექსპორტის მაღალი წილი რუსეთში	0.16	2	3	0.32	0.48
არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა	0.13	2	3	0.26	0.39
ფალსიფიცირება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ	0.1	2	3	0.2	0.3
ჯამური მაჩვენებლები	1			2.17	2.51

1. მზარდი მოთხოვნა მაღალ ხარისხიან ღვინოზე „ბადაგონსა“ და „თელიან ველს“ შორის უპირატესობა განისაზღვრება მიღებული ჯილდოების რაოდენობისა და პრესტიჟულობის მიხედვით. ორივე კომპანია წარმატებულად ახორციელებს საქმიანობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, მზარდი მოთხოვნით ხასიათდება აღნიშნული კომპანიების მაღალხარისხიანი პროდუქტი, ამაზე მათ მიერ მოპოვებული ჯილდოებიც მეტყველებს.
2. ღვინის ტურიზმის განვითარების მიხედვით კომპანიებს შორის უპირატესობა განისაზღვრება ქვეყნის შიგნით გაყიდვების წილის მიხედვით, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში კარგად განვითარებული სადისტრიბუციო ხაზი საშუალებას მისცემს კონკურენტზე მალე აითვისოს ღვინის ტურიზმის განვითარებით წარმოშობილი შესაძლებლობები.
3. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აძლევს ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს შესაძლებლობას, საბაჟო გადასახადების გარეშე შეიტანოს ღვინო ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა მაღალია. ამრიგად, კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა დაიკავონ ადგილი მაღალი ფასის სამომხმარებლო სეგმენტში და ქართული ღვინის უნიკალური მახასითებლების პოზიციონირებით მიიღონ შემოსავალი. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება თანაბარ შესაძლებლობებს მისცემს, როგორც “თელიან ველს” ასევე “ბადაგონს”, ამიტომ ამ ფაქტორის მიმართ რეიტინგი EFE მატრიცაში ორივე კომპანიისთვის იქნება თანაბარი.
4. სახელმწიფოს მიერ მხარდამჭერი პოლიტიკის (ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის კუთხით ჩინეთში), საკითხი განისაზღვრება იმის მიხედვით, რომელს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს აითვისოს ჩინეთის ბაზარი. სახელმწიფოს როლს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღვინის პოპულარიზაციის საკითხთან დაკავშირებით. მან უნდა უზრუნველყოს ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობის გაზრდა რა თქმა უნდა ქართველი მეწარმეების, მეღვინეების ინტერესებში შედის. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში მისცემს მათ საშუალებას, რომ უკეთესად მოახდინონ ქართული ღვინის რეალიზაცია საზღვრებს გარეთ.

2011 წლისთვის „ბადაგონი“ ძირითადად ევროპის ქვეყნებში გადის, თუმცა კომპანიის დირექტორის ცნობით, მათი ღვინო იაპონიასა და ჩინეთშიც წარმატებით იყიდება. მომავალი

წლიდან „ბადაგონი“ აფრიკის, ინდოეთის, ტაილანდისა და შრი - ლანკის ბაზრებზე გამოჩნდება. “თელიანი ველის” ბაზრის განვითარება ჩინეთში ამ პერიოდისთვის და შეიძლება ითქვას დღესაც დისტრუბუტორთა ძიების სტადიაზეა.

5. რესურსებზე წვდომა - მართალია ღვინის კომპანიები ფლობენ საკუთარ ვენახებს,თუმცა ეს რესურსი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ აწარმოონ იმდენი ღვინო, რამდენსაც ისინი ყიდიან, ამიტომ აუცილებელია ყურძნის შესყიდვა, რათა კომპანიებს ჰქონდეთ ღვინის რეალიზების საშუალება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ისინი ყურძენს მოსახლეობისგან ყიდულობენ. მათ აქვთ ქარხნები, სადაც შესაძლებელია ყურძნის მიღება და შემდგომი გადამუშავება. აღმნიშნული კომპანიები ფლობენ საკუთარ ქარხნებს სხვადასხვა რეგიონში.
6. არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა - კომპანიაზე უფრო დიდ გავლენას ახდენს საექსპორტო ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისი, სხვა სიტყვებით, რომელს უფრო დიდი გაყიდვების მაჩვენებელი აქვს ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყნებში.
7. ექსპორტის მაღალი წილი რუსეთში - ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანი, რომლის წინაშეც საქართველოს მთავრობა რუსული ემბარგოს შემდეგ აღმოჩნდა, მევენახეების გადარჩენა იყო. გლეხები საკუთარი ყურძნის გაყიდვას ვერ ახერხებდნენ შემცირებული მოთხოვნის გამო. ღვინის კომპანიებმა ემბარგოს შედეგად ბაზრის 80% დაკარგეს.
8. სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკა - 2006 წელს ქართულ ღვინოზე გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ, რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ალტერნატიულ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის ჩანაცვლებით დაიწყო, რომელსაც სომხეთში, აზერბაიჯანში და საქართველოს სხვა მეზობელ ქვეყნებში აწარმოებდნენ. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი აფხაზურმა ღვინომაც დაიკვა. დღეს-დღეობით, რუსეთის ბაზარზე, ყოველწლიურად 8 მილიონ ბოთლამდე აფხაზური ღვინო შედის. მათი ღვინოები პირდაპირ ქართული ღვინის სეგმენტში ცდილობენ მოხვედრას და შეფუთვის სხვადასხვა ტექნოლოგიებით, მომხმარებელს მიანიშნებენ, რომ ეს ქართული ღვინის ჩამანაცვლებელია. მომხმარებელსაც ხშირად არასწორად სჯერა, რომ ეს საქართველოში წარმოებული და შემოვლითი გზით რუსეთში ჩამოტანილი ღვინოა.



რუსეთის ბაზარზე წარმოდგენილი ღვინოები ქვეყნებისა და წლების მიხედვით

ჩვენი შეფასებით რუსეთში გაყიდვების მეტი წილი აქვს ბადაგონს, რაზეც მეტყველებს სტრატეგია რომელიც მას აქვს არჩეული, გაყიდოს მეტი რაოდენობა შედარებით დაბალ ფასად. გარდა ამისა, ონალაინ საიტების გადამოწმების შედეგად ცალსახად შეგვიძლია

ვთქვათ, რომ ბადაგონის ღვინოები წარმოდგენილია ყველა შემოწმებულ მაღაზიაში (10 მაღაზია რუსულ ბაზარზე), ხოლო "თელიანი ველის" ღვნოები წარმოდგენილია რამდენიმე მაღაზიაში.

9. ფალსიფიცირება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ - ღვინის ფალსიფიცირება მიიღწევა ორი გზით: პირველი - პროდუქტის შეცვლით, ანუ ღვინის ნაცვლად სუროგატის გამოყენებით, და მეორე - ეტიკეტის ფალსიფიცირებით, ანუ ადგილწარმოშობის, ჯიშის, მწარმოებლის, ქვეყნისა და დამზადების მეთოდის არასწორი მითითებით. ფალსიფიცირების საკითხი უნდა განვიხილოთ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. საზღვარგარეთ ქართული ღვინის ფალსიფიცირების არაერთი შემთხვევაა გამოვლენილი. ადგილწარმოშობის დასახელებები, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოში, აღიარებული და დაცული იყო ევროშეთანხმებებით. ევროკავშირთან ამ მხრივ პრობლემა არ არის, ისინი ითვალისწინებენ მადრიდის და ლისაბონის შეთანხმებებს.

IFE მატრიცის კომპონენტები შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ძირითადი შიდა ფაქტორები	*წონა*	*რეიტინგი*		*შეწონილი ქულა*	
სიძლიერე (Strength)					
წონა		ბადაგონი	თელიანი ველი	ბადაგონი	თელიანი ველი
Direct-to-consumer sales, გამოცდილება გაყიდვებში	0.14	3	4	0.42	0.56
გამოცდილება წარმოებაში	0.07	4	3	0.28	0.21
რესურსზე წვდომა (საკუთარი ვენახები)	0.12	3	4	0.36	0.48
საერთაშორისო გამოფენებზე მიღებული ჯილდოები	0.13	3	4	0.39	0.52
დივერსიფიცირებული ექპორტი	0.15	3	4	0.45	0.6
სისუსტე (Weakness)					
უნიკალური მახასიათებლების გამოყენება	0.12	3	2	0.36	0.24
საერთაშორისო ბაზარზე სადისტრი-ბუციო არხების განუვითარებლობა	0.14	2	3	0.28	0.42
ფინანასური რესურსების სიმცირე საზღვარგარეთ გაყიდვების განვითარებისთვის	0.13	1	2	0.13	0.26
ჯამური მაჩვენებლები	1			2.67	3.29

კომპანიის სიძლიერეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამოცდილება გაყიდვებში, რომელზეც პირდაპირ არის დამოკიდებული კომპანიის წარმატება. „თელიანი ველი“ და „ბადაგონი“პროდუქციას ყიდიან არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

„თელიან ველს“ აქვს საკუთარი სადისტრიბუციო არხი საქართველოში, ასევე უკრაინასა და პოლონეთში, რომელიც არის ამ კომპანიის ერთ-ერთი მთავარი სიძლიერე, რაც გამოარჩევს სხვა ღვინის კომპანიებისგან. შესაბამისად „თელიანი ველის“ ბიზნეს მოდელი შეიძლება განვიხილოთ როგორც B2C, ასევე B2B. რაც შეეხება „ბადაგონს“ , მას თავისი სადისტრიბუციო ხაზი არ აქვს აწყობილი, ამიტომ თანამშრომლობს სადისტრუბუციო კომპანიებთან სხვადასხვა ქვეყანაში, ამიტომ მისი ბიზნეს მოდელი ხასითდება, როგორც B2B.

„თელიანი ველი“ ქართული ღვინის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია და თავის პროდუქციას მსოფლიოს 25-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის. ყველაზე დიდი გასაღების ბაზარი, საქართველოს შემდეგ, უკრაინაა. კომპანიას ასევე აქვს სტაბილური გაყიდვები პოლონეთში, პოსტსაბჭოთა სივრციდან - ყაზახეთსა და ბელორუსიაში; კანადაში, შვედეთში, შეერთებულ შტატებში. კომპანია ეძებს დისტრიბუტორებს სათანამშრომლოდ ტაილანდში, ჩინეთსა და ინდოეთში, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ტურისტული ნაკადი ძლიერია. “თელიანი ველი”, უკვე საუკუნეა აწარმოებს კახური და ევროპული წესით დაყენებულ ღვინოებს. როგორც უძველესი ქართული ღვინის მარანი, არ ივიწყებს ძველ ტრადიციებს და დღემდე ამზადებს ღვინოს ტრადიციული კახური წესით ქვევრებში.ფრანგი ანტუან მოსსანო პირველი იყო, ვინც შემოიღო საქართველოში ადგილობრივი ჯიშის ყურძნებისაგან ევროპული ტიპის ღვინის დაყენების წესი. მისი ინიციატივით საქართველოში ჩამოიტანეს და გააშენეს სხვადასხვა ფრანგული ყურძნის ჯიშები.“თელიანი ველის” ღვინის დამზადებისას ყველაზე დიდი ყურადღება ყურძნის ხარისხს ეთმობა. ვენახები განლაგებულია საქართველოს ყველა ძირითად ღვინის მწარმოებელ მიკრორეგიონში და მათი საერთო ფართობი 120 ჰექტარს აღწევს.

კომპანია „ბადაგონსაც“ აქვს საკმაო გამოცდილება გაყიდვებში. მართალია მას არ აქვს საკუთარი სადისტრიბუციო არხი, თუმცა ჰყავს შუამავლები, პარტნიორები, რომლის დახმარებითაც ყიდიან პროდუქციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. კომპანია „ბადაგონი“ ექსპორტზე 18-მდე ქვეყანაში გადის. ის ძირითადად ისეთი ჯიშის ყურძენს აწარმოებს, რომელთა უდიდესი ნაწილი კახეთის რეგიონში ხარობს, ამიტომ მისი ვენახების დიდი რაოდენობაც სწორედ აქ გვხვდება. მთლიანობაში საკუთარი ვენახი გაშენებულია 191,4 ჰექტარზე. აგრეთვე კომპანია ფლობს რამოდენიმე ღვინის ქარხანას, სადაც ხდება ყურძნის მიღება ადგილობრივი მოსახლეობისგან,ვინაიდან მხოლოდ საკუთარი რესურსი არ არის საკმარისი იმ რაოდენობის ღვინის საწარმოებლად, რამდენის რეალიზაციასაც ახდენს „ბადაგონი“ ეროვნულ თუ უცხოურ ბაზრებზე.ამ კომპანიაში ღვინის წარმოების ტექნოლოგია განსხვავებული და ორიგინალურია. ალავერდელი ბერების მიერ ხდება უძველესი ტექნოლოგიისა და უახლესი ინოვაციების შერწყმა რომლის მიხედვითაც მზადდება აღნიშნული პროდუქტი. ბერებს აქვთ საშუალება უძველესი ტრადიციები გააცოცხლონ, განამტკიცონ და აწარმოონ ღვინო ქვევრებში, გამოიყენონ ის საგანძური,რაც წინაპრებმა დატოვეს.კომპანია აგრეთვე დიდ ყურადღებას ხარისხს აქცევს. ამისათვის ყავს მოწვეული და აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს ისეთ მოწინავე მეღვინესთან როგორიც დონატო ლანატია, რომელიც მუდმივად სთავაზობს კომპანიას დახმარებას ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკთხებზე. პროდუქტის ასორტიმენტიც მრავალფეროვანია თვითოეულ კომპანიაში.

ქართულ ღვინის კომანიებს ესაჭიროებათ ფინანსური რესურსები, რომ განავითარონ გაყიდვები საზღვარგარეთ. „თელიანი ველის“ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გაითვალისწინა რა კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და უკრაინაში საკუთარი ქსელის შექმნა დაიწყო. საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი ნიშნავს იმას, რომ კომპანიას შეუძლია ბაზარზე საკუთარი დადგენილი წესებით იმოქმედოს, რაც შესაბამისად ეხმარება იმაში, რომ გაყიდვებში ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ იყოს.

საქართველოს ბანკმა და კომპანია ბადაგონმა, ბაზარზე პირველად საერთაშორისო ფაქტორინგული კომპანიების ასოციაციის ფარგლებში, ფაქტორინგული მომსახურების ხელშეკრულება გააფორმეს. ფაქტორინგის მეშვეობით, საქართველოს ბანკი ხელს უწყობს ქვეყნიდან ექსპორტის ზრდას და შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ კომპანიებს, საკუთარი პროდუქცია ხელსაყრელი პირობებით შესთავაზონ უცხოელ პარტნიორებს.

EFE და IFE მატრიცებში განხილული ფაქტორები და განსაზღვრული უპირატესობები შეგვიძლია გამოვიყენოთ CPM-ის ასაგებად, რომელშიც განხილულია კრიტიკული წარმატების ფაქტორები და მინიჭებული აქვს თავიანთი მნიშვნელობის შესაბამისად წონები, ასევე კომპანიების მიხედვით რეიტინგები:

		ბადაგონი		**თელიანი ველი**	
წარმატების კრიტიკული ფაქტორები (განისაზღვრება ჯილდოების მიხედვით)	წონა	რეიტინგი	ქულა	რეიტინგი	ქულა
ხარისხი (ჯილდოების მიხედვით)	*0.2*	3	0.6	4	0.8
ფასი	*0.16*	2	0.32	3	0.48
პროდუქციის მრავალფეროვნება	*0.08*	4	0.32	4	0.32
წარმოების მასშტაბები	*0.12*	2	0.24	1	0.12
საერთაშორისო გაყიდვები	*0.18*	3	0.54	4	0.72
დისტრიბუცია	*0.18*	2	0.36	4	0.72
სტრატეგიული პარტნიორები	*0.08*	2	0.16	4	0.32
ჯამური მონაცემები	**1**	**2.54**		**3.48**	

მოცემული მატრიცის მიხედვით კომპანია „ბადაგონის“ შეწონილი ქულა არის 2.54 ხოლო კომპანია „თელიანი ველის“ 3.54, ამრიგად მატრიცაში ჩამოთვლილი ფაქტორების მიხედვით „თელიანი ველი“ ფლობს კონკურენტულ უპირატესობას.

SPACE მატრიცის ასაგებად გავაანალიზეთ ორი შიდა (ფინანსური სიძლიერე და კონკურენტული უპირატესობა) და ორი გარე ფაქტორის (დარგის სიძლიერე და გარემოს სტაბილურობა) მონაცემები.

კონკურენტული უპირატესობა	**თელიანი**	**ბადაგონი**
საბაზრო წილი	-4	-3
ხარისხი	-1	-2
პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი	-3	-3
მომხმარებლის ლოიალურობა	-3	-2
ტექნოლოგიური ცოდნა	-1	-1
კონტროლი მომწოდებლებზე და დისტრიბუტორებზე	-1	-2
სულ	-13	(-13)
საშუალო	- 2,17	-2,17

გარემოს სტაბილურობა	თელიანი	ბადაგონი
ტექნოლოგიური ცვლილებები	-2	-2
ინფლაციის დონე	-5	-5
მოთხოვნის ფაქტორები	-5	-5
ბაზარზე შესვლის ბარიერები	-2	-2
ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები	-2	-2
კონკურენციის დონე	-2	-2
სულ	-18	-18
საშუალო	-3	-3

დარგის სიძლიერე	თელიანი	ბადაგონი
ზრდის პოტენციალი	2	2
მოგების პოტენციალი	4	4
ფინანსური სტაბილურობა	4	4
ტექნოლოგიური ცოდნა	5	5

რესურსების გამოყენება	6	6
ბაზარზე შესვლის ბარიერები	2	2
სულ	23	23
საშუალო	3,83	3,83



კონკურენტული უპირატედობის შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი 6 კრიტერიუმი: საბაზრო წილი, ხარისხი, პროდუქტი სასიცოცხლო ციკლი, მომხმარებლის ლოიალურობა, ტექნოლოგიური ცოდნა, კონტროლი მომწოდებლებზე და დისტრიბუტორებზე. ორივე მათგანისთვის საშუალო მონაცემი მივიღეთ (-2,17), რადგანაც ეს კომპანიები არიან დარგის ლიდერები და ერთნაირი კონკურენტული უპირატესობა აქვთ.

გარემოს სტაბილურობის შესაფასებლადაც გამოვიყენეთ 6 კრიტერიუმი: ტექნოლოგიური ცვლილებები, ინფლაციის დონე, მოთხოვნის ფაქტორები, ბაზარზე შესვლის ბარიერები, ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები, კონკურენციის დონე. ორივე კომპანიისთვის საშუალო მონაცემი გამოვთვალეთ და მივიღეთ (-3).

დარგის სიძლიერის შესაფასებლადაც გამოვიყენეთ 6 კრიტერიუმი: ზრდის პოტენციალი, მოგების პოტენციალი, ფინანსური სტაბილურობა, ტექნოლოგიური ცოდნა, რესურსების გამოყენება და ბაზარზე შესვლის ბარიერები. ანალოგიურად გამოვთვალეთ თითოეული კომპანიისთვის საშუალო და მივიღეთ ერთნაირი მაჩვენებელი 3,83.

ფინანსური სიძლიერის შესაფასებლად ავიღეთ შემდეგი 6 კრიტერიუმები: ინვესტიციებზე დაბრუნება, ლიკვიდურობა, ნაღდი ფულის ბრუნვა, მარაგების ბრუნვა, შემოსავალი აქციაზე, სამუშაო კაპიტალი. ვინაიდან ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, ხელმისაწვდომი არ იყო ეს ინფორმაცია, ზუსტი საშუალო მონაცემის გამოთვლა ვერ მოვახერხეთ.

ჰორიზონტალურ ღერძზე აღვნშნეთ 1,66, რომელიც არის კონკურენტული უპირატესობის (-2,17) და დარგის სიძლიერის (3,83) არითმეტიკული საშუალო. “ბადაგონი” და “თელიანი ველი”, აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მდებარეობს ღერძის მარჯვენა მხარეს. ვინაიდან, ორივე კომპანია დარგის ლიდერია, სავარაუდოდ, მათი ფინანსური სტაბილურობა უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი (დადებითი ნიშნის მქონე რიცხვი). ფინანსური სტაბილურობისა და გარემოს სტაბილურობის საშუალო არითმეტიკული იქნება დადებითი და

ორივე კომპანია განთავსდება ღერძის ზედა მარჯვენა მეოთხედში, 1,66 წერტილის გასწვრივ ჰორიზონტალურად.

SPACE მატრიციდან გამომდინარე "ბადაგონის" და „თელიანი ველის" შესაძლო აგრესიული სტრატეგიებია:

1. ინტეგრაცია;
2. ბაზრის დაპყრობა;
3. პროდუქტის განვითარება;
4. ბაზრის განვითარება;
5. დაკავშირებული ან დაუკავშირებელი დივერსიფიკაცია.

BCG მატრიცის ასაგებად უნდა განისაზღვროს კომპანიების ფარდობითი საბაზრო წილი, რომელიც თავის მხრივ გაიანგარიშება, როგორც კორპორაციის წილის თანადობა დარგის ლიდერთან შედარებით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიებიდან ყველაზე მეტ ყურძენს (3700 ტონა) გადაამუშავებს კომპანია „მარანი". თუ დავუშვებთ, რომ ყურძნის წვენის გამოსავლიანობა 1 კილოგრამ კურძენზე არის 1\2 ლ, მაშინ გამოვა, რომ კომპანიის „მარანი" ყოველწლიური წარმოება არის 1850000 ლიტრი ღვინო. კომპანიის „ბადაგონი" საშუალო ყოველწლიური წარმოება მათივე გაცხადებული ინფორმაციით შეადგენს1125000 ლიტრს, ხოლო კომპანიის „თელიანი ველი"- 900000 ლიტრს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიების საბაზრო წილების შეფარდება დარგის ლიდერთან იქნება „თელიანი ველისთვის" (900000\1850000)x100%=48,65%, ანალოგიურად „ბადაგონისთვის" (1125000\1850000)x100%=60,81%. მეორე მაჩვენებელი, რომელიც ამ მატრიცის ასაგებადაა საჭირო არის ბაზრის ზრდის ტემპი, აღნიშნულის გასაგებად განვიხილოთ შემდეგი მონაცემები: 2012 წელს საქართველოში წარმოებული ღვინის რაოდენობა შეადგენდა 162 860 000 ლიტრს აქედან 25,7%, შესაბამისად 41 855 020 ლიტრი იყო კომპანიების მიერ წარმოებული. 2013 წელს საქართველოში წარმოებული ღვინის მთლიანი მოცულობა შეადგენდა 183 381 000 ლიტრს, აქედან 28,8%, შესაბამისად იყო ღვინის კომპანიების მიერ წარმოებული. ღვინის კომპანიების მიერ წარმოებული ღვინის ზრდის ტემპი ამ ორი წლის მონაცემებისთვის არის 3,1%. ამ მონაცემების შესაბამისად BCG მატრიცა აიგება:



IE მატრიცა აიგება EFE და IFE მატრიცებში მიღებული შეწონილი ქულების შესაბამისად. ამრიგად, EFE მატრიცაში კომპანია „ბადაგონის" შეწონილი ქულა იყო 2,17, ხოლო „თელიანი ველის" 2,51. IFE მატრიცის მიხედვით „ბადაგონის" შეწონილი ქულაა 2,67 ხოლო „თელიანი

ველის“ 3,29. ამ მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება კომპანიების პოზიცია ცხრა უჯრიან ცხრილში.

3 - 4	I	II *თელიანი ველი*	III
2 - 2.99	IV	V *ბადაგონი*	VI
1 - 1.99	VII	VIII	IX
	1 - 1.99	2 - 2.99	3 - 4

„თელიანი ველისთვის“ ოპტიმალურია ზრდის სტრატეგიები: ყველა ინტეგრირების სტრატეგიები, ბაზარზე ფართო შეღწევა, ბაზრის და პროდუქციის განვითარება. „ბადაგონისთვის“- შენარჩუნების სტრატეგიები: ბაზარზე ფართო შეღწევა, პროდუქციის განვითარება.

BCG მატრიცაში განსაზღვრული მონაცემები ბაზრის ზრდის ტემპი, ასევე „ბადაგონის“ და „თელიანი ველის“ საბაზრო წილის შეფარდება დარგის ლიდერთან გამოიყენება გრანდ მატრიცის ასაგებად. იქედან გამომდინარე, რომ ბაზრის ზრდის ტემპი ნაკლებია 5%-ზე განიხილება დაბალი ზრდის პოზიცია. კომპანიების წილები დარგის ლიდერთან მიმართებით არის ერთმანეთთან ახლოს, მათ შორის მცირე განსხვავებაა.ამრიგად, დაბალი ზრდისა და სუსტი კონკურენტული პოზიციის მიხედვით ორივე კომპანია ერთ მეოთხედში განთავსდება. ამ პოზიციისთვის განხილული სტარტეგიებია:

1. გადაჯგუფება;
2. დაკავშირებული დივერსიფიკაცია;
3. დაუკავშირებელი დივერსიფიკაცია;
4. ნაწილის გაყიდვა;
5. ლიკვიდაცია.

1. თელიანი ველი	
2. ბადაგონი	

დასკვნები და რეკომენდაციები: ზემოთ განხილული მატრიცების მიხედვით შეფასების სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ღვინის უნიკალურ მახასიათებლებს შედარებით მეტად იყენებს „თელიანი ველი“, რაც გამოიხატება მაღალი ფასის სამომხმარებლო სეგმენტზე შესვლით, შესაბამისად მაღალი ფასებით.„ბადაგონი“ გაცილებით უფრო ინტენსიურად ავითარებს საქმიანობას საქართველოს შიდა ბაზარზე, რაც გამოიხატება გაყიდვების მეტი რაოდენობით, საახალწლო რეკლამებით და ფასდაკლებებით.

გარე ფაქტორების მატრიცის შედეგები დაახლოებით თანაბარია ორივე კომპანიისთვის და საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ მაღალია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიები ნაკლებად იყენებენ გარე გარემოს ფაქტორებით წარმოშობილ შესაძლებლობებს, ასევე მათი რეაგირება საფრთხეებზე არის სუსტი.

განსხვავებული მონაცემებია შიდა ფაქტორების მატრიცაში მიღებული შეწონილი ქულების მიხედვით, ამ მიმართულებით გამოიკვეთა „თელიანი ველის“ უპირატესობა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს შედეგი განაპირობა „თელიანი ველის“ უპირატესობამ საკუთარი სადისტრიბუციო არხების ფორმირებაში, ასევე რუსეთში გაყიდვების დაბალმა წილმა.

SPACE, IE, BCG და GRAND სტარტეგიები განსაზღვრავენ განსხვავებებს კომპანიებს შორის, შესაბამისად ამ მატრიცებით შესაძლებელი ხდება ოპტიმალური სტრატეგიის ფორმულირება. მაგალითად, GRAND სტრატეგიის მიხედვით განისაზღვრა სტრატეგიები: გადაჯგუფება; დაკავშირებული დივერსიფიკაცია; დაუკავშირებელი დივერსიფიკაცია; ნაწილის გაყიდვა; ლიკვიდაცია. ხოლო IE მატრიცის მიხედვით „თელიანი ველისთვის“ ოპტიმალურია ზრდის სტრატეგიებია: ყველა ინტეგრირების სტრატეგიები, ბაზარზე ფართო შეღწევა, ბაზრის და პროდუქციის განვითარება. „ბადაგონისთვის“- შენარჩუნების სტრატეგიები: ბაზარზე ფართო შეღწევა, პროდუქციის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.badagoni.ge
2. www.telianivalley.com
3. georgianwine.gov.ge
4. Fred R. David - Strategic Management
5. John M. Bryson – Strategic Planning

Annotation

With the comparative analysis given below we would like to present current situation in Georgia, not only for small, start-ups, but for successful companies as well. The issue is lack of strategic vision of the leaders, which by itself means clear understanding of organization and its internal and external environment. Thus, we would like to point out the importance of strategic planning by the example of winery that is very important and at the same time complex sector for Georgia. The organization and the sector-specific assessment methods, which are represented by example of two companies in Georgia "Badagoni" and "Teliani Valley," give opportunity to make proper strategic decision. We have to mention that making strategic decisions is a sensitive issue for the Georgian management, at the same time, main basis of the failure.

Winery is special sector for Georgia due to its economic and cultural importance. Georgian wine is a product that has opportunity to be competitive in rich market segment. In accordance with Georgian and foreign experts, Georgian wine is considered as unique in the world for various reasons.

Georgia is known for grape varieties. There are more than 500 indigenous species. In addition, Georgia pitcher (Qvevri), was designated with a World Heritage status in 2013.

Georgian wine producers have ambiguous position in the market by their export rate. Accordingly, they have different competitive advantage. Some of them have recently improved export situation. On the contrary, for some of them the situation in the previous year, essentially unchanged. The paper deals with wine-producing companies "Badagoni" and "Teliani Valley" analytical comparisons. The goal is to identify and analyze important internal and external indicators of the sector, which determine company's competitive position.

ტრანსფორმაციის პოლიტიკა საქართველოში

ბექა გოგრიჭიანი
ბაკალავრიატის III კურსი სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **გულნაზ ერქომაიშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მე-20 საუკუნის მიწურულს სოციალისტური ეკონომიკური წყობიდან კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლა მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოც იყო. სწორედ საქართველოში განვითარებულ ტრანსფორმაციის პოლიტიკას შეეხება მოცემული ნაშრომი.მასში გადმოცემულია ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობები და ეფექტიანი ინსტიტუციური ცვლილება, ტრანსფორმაციის პოლიტიკის ელემენტები, ტრანსფორმაციის სტრატეგიები, ტრანსფორმაციის პოლიტიკის ღონისძიებები და შედეგები. აღნიშნულია, რომ ნებისმიერი ტრანსფორმაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საკმაოდ მოკლე დროში რადიკალურად უნდა შეიცვალოს მთლიანი ეკონომიკური წესრიგი. ამის გამო სწრაფად ხდება უამრავი შეზღუდვის წინასწარ დაპროგრამება, რომლებიც სავარაუდოდ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში კეთილდღეობისათვის საჭირო საგრძნობი მოგების მიღების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია - გეგმური ეკონომიკიდან კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა მეტნაკლებად წარმატებულად მიმდინარეობს. დღეის მდგომარეობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალურად ორიენტირებული კაპიტალისტური მოდელი გვაქვს, რომელიც საბაზრო კოორდინაციასა და კერძო საკუთრებას ემყარება.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსფორმაცია, ტრანსფორმაციის პოლიტიკის ელემენტები, ტრანსფორმაციის სტრატეგიები, ტრანსფორმაციის პოლიტიკა საქართველოში.*

ტრანსფორმაციის პოლიტიკა ეკონომიკური წესრიგის და მასში შემავალი ყველა ინსტიტუციის გარდაქმნას გულისხმობს. მე-20 საუკუნის მიწურულს სოციალისტური ეკონომიკური წყობიდან კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლა მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რომელთაგან ერთერთი საქართველოც იყო. ამ პროცესის მთავარი ელემენტებია რეალური, მონეტარული და ადმინისტრაციულ-სამართლებრივისექტორები, რომელთა რეფორმების გატარების 2 მთავარი სტრატეგია არსებობს - გრადუალიზმი და შოკური თერაპია. მათ შორის მთავარი განსხვავება კი რეფორმირების პროცესის სისწრაფეშია. რეალური სექტორის რეფორმა მოიცავს საბაზრო ცვლილებებს, რომლებიც ქვეყანაში ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ინტეგრირებას ეფუძნება. ასეთი საბაზრო კოორდინაციის პირობებში ქვეყანაში ბაზრები თავისუფალია, ბაზარზე შეღწევა მარტივია, ხოლო ფასის ცვლილებაზე მთავარი მოქმედი ფაქტორები კი მოთხოვნა და მიწოდებაა. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაც, რომელიც პროტექციონისტული პოლიტიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობს. დღეს საქართველოს ეკონომიკა ღია ეკონომიკაა, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეგიონში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე. მე-3 და ყველაზე მთავარი ეტაპი რეალური სექტორის რეფორმირებისა ესაა

პრივატიზაცია, რომელიც აქტიურად მიმდენარეობს დღემდე საქართველოში. ეს პროცესი 1992 წელს დაიწყო, რომლის პირველი ეტაპიც საცხოვრებელი სახლების კერძო პირებზე გადაფორმება იყო. ყველაზე ხშირ ფორმას აუქციონები და კონკურსები წარმოადგენს. ასევე ვხვდებით ვაუჩერების დარიგებასა და სახელმწიფო საწარმოების კერძო იურიდიულ პირებად (სააქციო საზოგადოებებად) გარდაქმნას. საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციისას მოსახლეობას საშუალება ჰქონდაგაცნობოდა ინფორმაციას პროცესის შესახებ "პრივატიზაციის მაცნეს" საშუალებით. ასევე მისი მოპოვება შესაძლებელი იყო სხვადასხვა ბეჭდური მედია საშუალებებითაც, შესაბამისად, სახელმწიფო ქონების კერძო პირებზე გადაცემისას არ ჰქონია ადგილი ინფორმაციის ასიმეტრიულობას.

მონეტარული სექტორის რეფორმა მიმდინარე ტრანსფორმაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ პირველ რიგში ფასების რეფორმა იგულისხმება, ანუ ხელფასებზე სახელმწიფო სუბსიდიების შემცირება და სამომხმარებლო და სახელმწიფო ფასებს შორის კორელაციის შემცირება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სავალუტო რეფორმა გულისხმობს ეროვნული ვალუტის შემოღებას. ამ რეფორმის გატარების აპრობირებული მეთოდი ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემოღებაა. საქართველოშიც სწორედ ასეთი მაგალითი გვაქვს - 1995-2001 წლებში საქართველოში მოქმედებდა ფიქსირებული გაცვლითი კურსი. ეროვნული ვალუტა იყო მიბმული ამერიკულ დოლარზე და ფიქსირებულ კურსად განსაზღვრული იყო - 1.3 - შესაბამისად 1 ამერიკულ დოლარად 1.3 ლარის შეძენა იყო შესაძლებელი.

მონეტარული რეფორმის გატარებისას მნიშვნელოვანია ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის შექმნა, რომლის პირველ საფეხურზეც ეროვნული ბანკია - ხოლო მეორეზე კომერციული ბანკები. ეროვნული ბანკი ახდეს ფინანსური სექტორის ფულით მომარაგებას, ხოლო თავის მხრივ ფინანსური სექტორი ამ სახსრებს რეალურ სექტორში ანაწილებს. ეროვნული ბანკის მთავარ მოვალეობებს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკის გატარება, ასევე ფასების დონის კონტროლი, ინფლაციის თარგეთირება და ა.შ. ეროვნული ვალუტის სიმყარის შესანარჩუნებლად ეროვნულმა ბანკმა უნდა შეძლოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვებით ქვეყანაში არსებული ფულადი მასის 100%-ით გადაფარვა - შესაბამისად მნიშვნელოვანია საერთაშორისო რეზერვების კონტროლი.

ტრანსფორმაციის პოლიტიკის გატარებისას აუცილებელია საკანონმდებლო ნორმების მიღება, რომელთა საშუალებითაც უნდა შეიქმნას ქვეყანაში ის ჩარჩო პირობები, რომელშიც მოხდება საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღი განვითარება. ასეთ ნორმებს წარმოადგენს მაგალითად, კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, რომელიც პრივატიზაციას უკავშირდება, ასევე კანონი მეწარმეთა შესახებ, ნორმები რომლებიც ფინანსური ინსტიტუტების მუშაობას არეგულირებს, როგორიცაა კანონი ეროვნული ბანკის შესახებ. ასევე საგადასახადო კოდექსი, რომელიც სახელმწიფოსა და გადამხდელ რეზიდენტებს შორის არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს. შრომის კოდექსში გაწერილია ის ნორმები, რომლებითაც ხდება დასაქმებულისა და დამსაქმებლის შრომითი და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება. ეკონომიკური გარიგებების შედეგად წარმოშობილი დავების სასამართლოში განხილვები უმეტესწილად სამოქალაქო კოდექსში შემავალი ნორმების საშალებით ხდება, რაც მის უდიდეს მნიშვნელობას უსვავს ხაზს.

საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში, 1990-1995 წლების პერიოდში, ქართულმა ეკონომიკამ მკვეთრი დაცემა განიცადა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზების გამო. ეკონომიკური პარამეტრებისა და საერთო ფონის გაუარესებიდან გამომდინარე,

საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩა ბევრ პოსტ-სოციალისტურ და პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოს. აღნიშნული სირთულეების მიუხედავად, 1995 წლამდე პერიოდში გამოიკვეთა მიდგომები ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც ეკონომიკაში საბაზრო პრინციპების დანერგვას გულისხმობდა. 1995 წლიდან ქართულმა ეკონომიკამ დაიწყო სტაბილიზაცია და ზრდის გარკვეული ტენდენციების ჩამოყალიბება ,თუმცა ამ პერიოდში, მიუხედავად ცალკეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მზარდი დინამიკისა, ვერ მოხერხდა საკვანძო ინსტიტუციების ეფექტიანი ტრანსფორმაცია და შესაბამისად მათდამი საზოგადოების ნდობა ძალიან დაბალი იყო. სოციალური კაპიტალის სიმცირემ ქვეყანა რადიკალური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დააყენა, რასაც 2003 წლის „ვარდების რევოლუცია" მოყვა. ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ეფექტური ცვლილებები განახორციელა საჯარო ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. ეს იყო სტრუქტურული, საკადრო, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებები. შესაბამისად, დაიძლია ქაოტურობა ამ სტრუქტურებში, გაიზარდა ორგანიზაციული მდგრადობის და ქმედითობის ხარისხი. მკვეთრად შემცირდა კორუფციის მასშტაბი საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების ქვედა და საშუალო დონეებზე, თუმცა საერთაშორისო შეფასებებით, ელიტური და პოლიტიკური კორუფციის ახალი ფორმებიც ჩამოყალიბდა. "შოკური თერაპიის" 9 წელს მოყვა ხელისუფლების მორიგი ცვლილება.

2012 წლიდან ქართული ეკონომიკური პოლიტიკის გრადუალური, საფეხურეობრივი განვითარება დაიწყო, სახელმწიფო ბიუჯეტი გახდა უფრო სოციალურად ორიენტირებული. საკვანძო ინსტიტუციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვირვალობის ხარისხმა მნიშვნელოვნად იმატა, შესაბამისად გაიზარდა, როგორც საზოგადოების ჩართულობა ასევე სოციალური კაპიტალი. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი - "საქართველო 2020", რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს 2014-2020 წლებისთვის. პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლებში ყურადსაღებია ინფლაციის 4% -იანი ნიშნული, ასევე "მშპ 1 სულზე" მაჩვენებლის 13000 ლარამდე გაზრდა. მშპ ზრდის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი პროექტის მიხედვით ექსპორტი იქნება, რომლის წილიც 35%- დან 50% -მდე გაიზრდება.

დასკვნები და რეკომენდაციები: საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია - გეგმური ეკონომიკიდან კაპიტალისურ ეკონომიკაზე გადასვლა მეტნაკლებად წარმატებულად მიმდინარეობს. მიუხედავად ბოლო 25 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებისა, ქვეყანა ახერხებს სტაბილურ განვითარებასა და რეგიონისა და მსოფლიოს მასშტაბით კონკურენუნარიანობის შენარჩუნებას. დღეის მდგომარეობით უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალურად ორიენტირებული კაპიტალისტური მოდელი გვაქვს, რომელიც საბაზრო კოორდინაციასა და კერძო საკუთრებაზე დგას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რაინერ კლუმპი, ეკონომიკური პოლიტიკა (მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები), 2015
2. რ. გველესიანი, ი. გოგრიშვილი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი1, თბილისი, 2012.
3. ვ. პაპავა, საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ., 2015.
4. ერქომაიშვილი გ. საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, 2016.

5. www.economy.ge
6. www.nbg.gov.ge
7. www.mof.ge

Anotation

At the and of the 20th century the post-soviet counties went from socialism to capitalism and one of them was Georgia. The article is about the transformation policy held in Georgia and tells us about institutional choice and effective institutional change, the elements of transformation policy, transformation strategies, the events and results of transformation policy. As stated, the first problem of every transformation is the fact, that the whole economic order has to be changed in very small amount of time. Because of that, some restrictions are being planned beforehand, which supposedly acts against the necessary profit of welfare in long-term. To sum up, we can say, that the social-economic transformation of georgia is going successfully. In nowadays Georgia, there is socially orriented capitalistic model, which stands on market coordination and private property.

კონკურენცია თხილის ბაზარზე და პროდუქტის კონკურენტუნარიანობის შეფასება

მარიამ დარჯანია
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**

ანოტაცია

სტატიაში შეფასებულია ქართული თხილის პროდუქტის კონკურენტული უპირატესობები, დახასიათებულია თხილის ბიზნესის განვითარების ბუნებრივ-რესურსული და ეკონომიკური პოტენციალი. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს აგროსასურსათო სექტორისათვის პრიორიტეტულია იმპორტიდან ექსპორტზე ორიენტაცია. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე იმ პროდუქტების გამოვლენა, რომლებზეც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა არსებობს და საქართველოში მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებიცაა.

ერთ-ერთ ასეთ პროდუქტად განხილულია თხილი. თხილის ბაზრის ძირითადი მონაწილეებია სადისტრიბუციო კომპანიები, თხილის გადამამუშავებელი ქარხნები და ფერმერები. ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ინტეგრირებული წარმოების სისტემის შექმნა, სადაც თავმოყრილი იქნება ნედლეულის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია.

თხილის წარმოების განვითარების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ევროპისა და აზიის ბაზრებზე მეტი მასშტაბებით გასვლა, სწორი საფასო ფაქტორების ანალიზის შედეგად.

საკვანძო სიტყვები: *თხილის ბაზრი, ფირმის კონკურენტუნარიანობა, სტრატეგია, ექსპორტი, ანალიზი.*

აგროსასურსათო სექტორს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. დღეს საქართველოში ამ სექტორში კონკურენტუნარიანობის დაბალი დონეა, თუმცა შესაძლებლობა გააჩნია კონკრეტული პროდუქტების წარმოებით კონკურენტუნარიანი გახდეს მსოფლიო ბაზარზე. თხილის კულტურა დღეისათვის წამყვანია და მას საქართველოში მრავალწლიანი კულტურების ფართობების მიხედვით, ყურძნის შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს, ხოლო ხეხილოვან კულტურათა შორის პირველი.

თხილი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისა და ლიტერატურული წყაროების შეჯერებით მტკიცდება, რომ საქართველოში თხილს უფრო ადრე იცნობდნენ და იყენებდნენ საკვებად, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები - საბერძნეთი და რომი.

ქართული თხილი მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით გამოირჩევა და საყურადღებო საექსპორტო ნედლეულია, რომლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების კვებითი, სამკურნალო, საპარფიუმერიო ღირებულებას განსაზღვრავს ნედლეულში ცხიმის, ცილის, ნახშირწყლების, ბიოაქტიური ნივთიერებების, ვიტამინების შემცველობა. რომელთა ცვალებადობა გამოწვეულია ჯიშის ბიოლოგიური თავისებურებებით და ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობებით.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ქართული თხილი ყოველწლიურად გადის ევროპისა და აზიის ბაზრებზე და ქვეყნის საექსპორტო ხუთეულშიც დაიმკვიდრა საპატიო ადგილი.

თხილის წარმოების განვითარებას საქართველოში ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თითქმის ყველა რეგიონში არსებობს შესაფერისი ნიადაგური და კლიმატური პირობები მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი მოსავლის მისაღებად. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტთან შედარებით თხილის ექსპორტირება (ტრანსპორტირება) უფრო მარტივი და იოლი საქმეა. კერძოდ, ეს პროდუქცია არ არის მალფუჭებადი და მას არ ესაჭიროება არც განსაკუთრებული შესაფუთი საშუალებები და არც განსაკუთრებული სახის სამაცივრე დანადგარები. ქართული თხილი ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან თითქმის არ გამოიყენება სასუქი. აგრეთვე გააჩნია მდგრადობა დაავადებებისადმი. საქართველოში წარმოებულ თხილში მცირე მწვანე ნივთიერებების შემცველობა განაპირობებს იმას, რომ ის სრულად აკმაყოფილებს საკმაოდ მკაცრ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, რაც თხილს ხდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე მითუფრო, რომ ევროპისა და აზიის ბაზარი ამ პროდუქტის დეფიციტს განიცდის.

ამრიგად, კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ინდიკატორების დაკმაყოფილების შემთხვევაში თხილი საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურაა.

„გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აგროსასურსათო სექტორში პროდუქტების უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია და მწარმოებელთა 62%-ის აზრით ამ სექტორში კონკურენციის გაწევა რთულია. ამავე დროს, ევროპისა და აზიის ქვეყნებში საკმაოდ მაღალკონკურენტული სასურსათო ბაზრები ფუნქციონირებენ. ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნისთვის, ასევე მწარმოებლისთვის მთავარი ამოცანაა ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქტის მიწოდება.“[1]

[1] ხარაიშვილი ე. „ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა და წარმოების განვითარების სტრატეგიები“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ . თბილისი 2011. გვ 168.

კვლევის მიზანია ქართული თხილის კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე ამ კულტურის წარმოების პოტენციალის განსაზღვრა და განვითარების პერსპექტივებზე რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები: პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების ბიბლიოგრაფიული კვლევა; პირველადი მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი, თხილის ბაზარზე კონკურენციის დონის განსაზღვრა და სხვა.

დღეისათვის საქართველოში გავრცელებულია თხილის რამდენიმე აბორიგენული ჯიში: შველისყურა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და სხვ. კერძოდ გურიაში გავრცელებულია: გულშიშველა, შველისყურა, ჩხიკვისთავა, საივანობო, ბალები-დედოფლის თითი, ხაჭაპურა, ნემსა, ცხენის ძუძუ, ტრაპეზუნდი, ბერძნული თხილი. სამეგრელოში: ფუთქურამი, ხოჯითხილი, შველისყურა, ბალები-დედოფლის თითი, ტრაპეზუნდი, კუდრიავიჩკი, ჩერქეზული, აფხაზური წვრილი. იმერეთში - ბალები: დედოფლის თითი, ხაჭაპურა, ნემსა, ვანის წითელი, ტრაპეზუნდი, ბერძნული თხილი. ქართლსა და კახეთში: კერასუნდის გრძელი, ათაბაბა, ბელასანის, ხაჭაპურა, კუდრიავიჩკი, ფურფულაკი.

გარდა ადგილობრივი ჯიშებისა, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა 1957-2000 წლებში შემოიტანა თხილის ორმოცდაათამდე პერსპექტიული ჯიში, რომელთაგან ზოგიერთმა საქართველოს პირობებში კარგი შედეგები აჩვენა როგორც პროდუქტიულობის ასევე ნაყოფის სასაქონლო ხარისხის თვალსაზრისით.

სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვენელო თხილის სექტორისთვის გამოყოფს ქართული თხილის 6 ძირითად სახეობას, რომლებიც ზღვის დონიდან 1500-1800 მეტრამდე ბუნებრივად იზრდება:[1]

1. ჩვეულებრივი თხილი (Corylus avellana);
2. დათვის თხილი (Corylus colurna);
3. პონტოს თხილი (Corylus pontica);
5. იმერული თხილი (Corylus imeretina);
6. კოლხური თხილი (Corylus colchica);
7. კახური თხილი (Corylus cachetica).

ქართული თხილის აბორიგენულ ჯიშებს გარკვეული უპირატესობა აქვს მსოფლიოში გავრცელებული თხილის სახეობებთან შედარებით. კერძოდ, ქართული თხილის ძლიერი ფესვთა სისტემა ხელს უწყობს მცენარეებს, რომ ყველა საჭირო საკვები ნივთიერება საკმაო რაოდენობით მოიძიონ ნიადაგში. ამიტომ ნიადაგის გასანაყოფიერებლად, ფაქტობრივად ქიმიურ სასუქებს არ იყენებენ.

ეკონომიკური მნიშვნელობის გამო თხილის მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. იგი მდიდარია პროტეინით, ცხიმოვანი მჟავებით, ვიტამინებით, მინერალებით და არ შეიცავს ქოლესტერინს. თხილი ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, კონკრეტულად საკონდიტრო წარმოებაში, სხვადასხვა კაკლოვანი პროდუქტების ასორტში, ბავშვთა კვების პროდუქტების დამზადებისას. თხილის გულის გადამუშავების შედეგად მიღებული ზეთი ასევე გამოიყენება მედიცინაში, პარფიუმერიაში, ფერწერასა და ლაქ-საღებავების წარმოებაში. თხილის ნაჭუჭის ნამწვისგან დამზადებული ნახშირი გამოიყენება მხატვრობაში, სხვადასხვა საგნის ზედაპირის მოსაპირკეთებლად. თხილის მსუბუქი მერქანი საუკეთესო მასალაა ძვირფასი ავეჯის წარმოებისთვის. თხილი საუკეთესო დეკორატიული და ანტიეროზიული

[1] სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო თხილის სექტორისთვის , 2013 .გვ. 13.

მცენარეა. იგი ნიადაგის ზედა ფენაში ინტენსიურად განვითარებული ძლიერი ფესვთა სისტემით ამაგრებს და იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან. თხილი პრაქტიკულად უნარჩენო წარმოებაა. ყველა ტიპის პროდუქტი, რომლებიც თხილის გადამუშავების შედეგად მიიღება რეალიზაციას ექვემდებარება: გაუტეხავი თხილი, თხილის გული, მოხალული თხილი, მოხალული-ბლანშირებული თხილი, მოხალული და დაქუცმაცებული თხილი. თხილის ფქვილი, თხილის ზეთი, თხილის პასტა, შუაზე გატეხილი თხილის გული, დამჭკნარი თხილი, ფარული სიდამპლის მქონე თხილი, დამპალი თხილი, ტყუპი გული, ნაჭუჭი. დღესდღეობით საქართველოდან საექსპორტოდ ძირითადად თხილის გული გააქვთ.

საქართველოში მიკროზონების სიმრავლე, ნიადაგისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება თხილის გავრცელების არეალს ზრდის და, ამდენად, თხილის კულტურის წარმოება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობს. თუმცა, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელო (57%), მას მოსდევს გურია (20%) და იმერეთი (10%).

ცხრილი 1

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საქართველო	**23.5**	**21,2**	**18,7**	**21,8**	**28,8**	**31,1**	**24,7**	**39,7**	**37,4**
მათ შორის									
იმერეთი	3,2	3,2	3,9	3,2	2,4	4,8	3,4	5,6	3,9
სამეგრელო ზემო სვანეთი	13,5	12,0	9,3	11,4	20,8	15,8	11,8	20,5	21,4
გურია	5,7	4,5	4,2	3,7	3,7	6,8	5,9	9,0	7,5
დანარჩენი რეგიონები	1,1	1,5	1,3	3,5	1,9	3,7	3,5	4,6	4,5

თხილის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

კონურენტუნარიანობის თეორიული დებულებები კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში ჩამოყალიბდა. ამ სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში ძირითადი ყურადღება საფასო კონკურენციაზე იყო გამახვილებული. მეცნიერთა თვალსაზრისით კონკურენცია ეკონომიკის ყველა დარგს მოიცავდა. თავდაპირველად იკვლევდნენ კონკურენციას, მოგვიანებით კი ამ პროლემებთან ერთად დაიწყო ქვეყნის, დარგის, ფირმის (პროდუქტის) კონკურენტუნარიანობის შესწავლაც. საფასო ფაქტორებით ანალიზის დროს კონკურენცია განიხილებოდა, როგორც სიტუაცია, რომელიც აიძულებდა ბაზრის მონაწილეებს შეჯიბრში ჩართვას. ასევე, კონკურენცია მიჩნეული იყო როგორც ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფდა სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას და მომხმარებლისათვის მისაღები ფასის ფორმირებას.

მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომების შესწავლამ გამოავლინა, რომ ფირმის კონკურენტუნა-რიანობა ძირითადად პროდუქტის კონკურენტუნარიანობის და/ან საერთაშორისო ვაჭრობის კონტექსტში განიხილება. ამ მოსაზრების გაზიარება ნაწილობრივ შესაძლებელია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტუნარიანობა შედარებით ფართო სპექტრის ტერმინია. ფირმის კონკურენტუნარიანობას, წარმოებული პროდუქტის გარდა, სხვადასხვა ქმედებებიც განსაზღვრავს: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსური პოლიტიკა, ოპერატიული მენეჯმენტი და სხვა. ნებისმიერ ქვეყანაში ფირმის საქმიანობის მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვან

გავლენას ახდენს მის კონკურენტუნარიანობაზე, მაგრამ სრულად ვერ განსაზღვრავს ამ მაჩვენებლის დონეს. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თეორიებით შეუძლებელია იმ მიზეზების ახსნა, რაც ერთიდაიგივე ქვეყანაში ფირმების განსხვავებულ კონკურენტუნარიანობას იწვევს. მაშასადამე, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თეორია ნაკლებად სასარგებლო იქნება კონკრეტული ფირმების კონკურენტუნარიანობის შეფასებისა და მიკროეკონომიკური ანალიზის დროს.

მ. პორტერის[1] თვალსაზრისით ფირმის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკურ მახასიათებელთა კომპლექსია, რომელიც განაპირობებს ფირმის მდგომარეობას დარგობრივ, ეროვნულ ან მსოფლიო ბაზარზე. მეცნიერის აზრით პროდუქტისა და ფირმის კონკურენტუნარიანობის ურთიერთმიმართება - მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებაა. სასაქონლო ბაზარზე ფირმის კონკურენტუნარიანობა უშუალოდ პროდუქტის კონკურენტუნარიანობით და ფირმის საქმიანობის ეკონომიკურ მეთოდთა ერთობლიობით განისაზღვრება. მოცემული შეფასების მიხედვით ფირმის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე თვით პროდუქტის კონკურენტუნარიანობით ვლინდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იზრდება იმ თვისებათა მნიშვნელობა, რომელსაც პროდუქტი და მისი მწარმოებელი ფირმა ფლობს.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფილ თეორიად აღიარებულია მ. პორტერის თეორია ვინაიდან სხვა თეორიებთან შედარებით მ. პორტერის კონცეფციის უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ კონკურენტუნარიანობაში ასახულია რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ეს პრინციპი სამართლიანია როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე, ფირმის დონეზე. მ. პორტერი, განიხილავს რა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა სამუშაო ძალა, ბუნებრივი რესურსები, მთავრობის პროტექციონისტული პოლიტიკა, განსხვავებანი საწარმოთა მენეჯმენტში და სხვა, მივიდა დასკვნამდე, რომ არცერთი მათგანი, ცალკე აღებული, არ იძლევა საშუალებას დამაჯერებელი პასუხი მივიღოთ კითხვაზე: რა განსაზღვრავს ფირმის (პროდუქტის) კონკურენტუნარიანობას?

კონკურენტუნარიანობა შეფასებულია როგორც ფირმის, ასევე სექტორის და ეროვნული ეკონომიკის დონეზე. ჩვენი კვლევის საფუძველია კონკურენტუნარიანობის თეორიული დებულებები, რომლის თანახმად *„ფირმა კონკურენტუნარიანია“* თუ მას შეუძლია კონკურენციის პირობებში თავისი საქონელი გაყიდოს და ხანგრძლივი დროის მანძილზე მიიღოს „მაღალი“ რეალური შემოსავალი.[2]

ფირმის კონკურენტუნარიანობის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებია აღიარებული:

- პროდუქტისა და მომსახურების ხარისხი;
- წარმოების ტექნოლოგიური დონე;
- ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობა;
- მიმწოდებლების გამართული ქსელი;
- მომხმარებელთა მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია;
- პერსონალისა და მენეჯმენტის კვალიფიკაციის დონე და სხვ.

მ. პორტერის თანახმად, კონკურენტუნარიანობას აღწევენ არა მარტო ცალკეული დარგები, არამედ დარგების მთელი ერთობლიობებიც, რომლებშიც კომპანიები ინტეგრირებულია ვერტიკალური ან ჰორიზონტალური მიმართულებით. მ. პორტერმა აჩვენა, რომ მსოფლიოს

[1] Портер. М. Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев, 2000.

[2] Baade, D. (2007). Demographischer Wandel und international Wettbewerbs-fähigkeit Deutschlands. Eine Analyse basierend auf Porters Ansatz. გვ. 42.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებობენ კონკურენტუნარიან ინდუსტრიათა ისეთი ჯგუფები, რომლებიც მცირე ტერიტორიული განვრცობის მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებენ.

კონკურენტუნარიანობის შეფასება ოთხი ძირითადი ფაქტორით შეგვიძლია მოვახდინოთ:

1. ფაქტორების პირობები;
2. მოთხოვნის პირობები;
3. მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები;
4. ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია.

ასევე შეგვიძლია დავამატოთ 2 დამატებითი ფაქტორი: სახელმწიფო და შანსის ფაქტორი.[1]

მ. პორტერის აზრით, მოგების წილისთვის ბრძოლა შორს სცდება ჩვეულ ინდუსტრიულ მეტოქეობას და კიდევ ოთხ კონკურენტულ ძალას მოიცავს. ეს ძალებია: კლიენტურა, მომწოდებლები, ახალი მონაწილეები და შემცვლელი პროდუქცია.[2] სწორედ ამ ხუთი ძალით განპირობებული მეტოქეობა განსაზღვრავს მრეწველობის სტრუქტურას და აყალიბებს ინდუსტრიაში არსებული კონკურენციის თავისებურებებს. პორტერის თეორია და მისი ფაქტორები სრულად შეესაბამება საქართველოში არსებული თხილის ბაზარს და მის ანალიზს.

თხილი უკვე წლებია, რაც ათი უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის შემადგენელი ნაწილია.

მსოფლიო კაკლოვანი კულტურებისა და მშრალი ხილის კონგრესის (World Nuts and Dried Fruit Congress) ანგარიშის მიხედვით 2012 წელს საქართველოს თხილის მწარმოებელ ქვეყანათა რეიტინგში მეხუთე ადგილი ეკავა (თურქეთის, იტალიის, აშშ-სა და აზერბაიჯანის შემდეგ). 2013 წლისათვის ერთი ადგილით წინ წაიწია და მეოთხე ადგილი დაიკავა (გადაასწრო აზერბაიჯანს), 2014-2015 წლებისთვის თურქეთისა და იტალიის შემდეგ, საქართველო წარმოებული თხილის რაოდენობით მე-3 ადგილზე პოზიციონირდა. ხოლო მსოფლიო კაკლოვანი და მშრალი ხილის 34-ე კონგრესის მონაცემების[3] მიხედვით, რომელიც 2015 წლის მაისში ანტალიაში ჩატარდა, საქართველო ისევ არ თმობს მესამე ადგილს თხილის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. ხოლო კაკლის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის კი მე-14 ადგილი უკავია ბოლო 4 წლის მანძილზე.

საქართველოდან, ძირითადად, ხორციელდება ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი. ქართული თხილის ძირითად საექსპორტო ბაზარს ევროკავშირის ქვეყნები წარმოადგენს, სადაც 2015 წელს ექსპორტირებული თხილის საერთო რაოდენობის 88% გავიდა, აქედან, გერმანიაში-27%, იტალიაში-25%, ესპანეთში-7%, ჩეხეთში-6%, სლოვაკეთში-3%. ევროკავშირის ქვეყნების გარდა, 2008-2014 წლებში ქართული თხილის ექსპორტი გაიზარდა ახლო აღმოსავლეთშიც, განსაკუთრებით, ირანში, ერაყში, სირიაში, საუდის არაბეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ჩინეთში და ჰონგ-კონგში. მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია აგრეთვე რუსეთი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია თხილის იმპორტზე. 2013 წლიდან, რუსული ბაზრის გახსნის შემდეგ, გაიზარდა საქართველოდან თხილის ექსპორტიც. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, რუსეთის ბაზარზე გატანილი თხილის რაოდენობა (935 ტონით) 204 %-ით გაიზარდა, ხოლო ღირებულებით გამოსახულებებში 2.7-ჯერ და 10.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

---

[1] ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში უნივერსალი, თბილისი 2011, გვ. 38.

[2] რამიშვილი ბ. სტრატეგიული მენეჯმენტი. თბილისი. 2013.წ

[3] XXXIV World Nut & Dried Fruit Congress. Antalya.22-24 May. 2015.

საქსტატის მიხედვით, საქართველოდან 2015 წელს ჯამში განხორციელდა 176 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თხილის ექსპორტი, რაც წინა წელთან შედარებით 4%-ით არის შემცირებული. 2015 წელს, თხილის ექსპორტი მთლიანად ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის 29%-ს შეადგენდა.



ნახაზი 1.

საქართველოს თხილის ღირებულებათა ჯაჭვში რამდენიმე მნიშვნელოვანი რგოლი მონაწილეობს (ნახაზი 2). ჯაჭვი ფერმერული მეურნეობით იწყება, მაგრამ მცირე და დანაწევრებული მეურნეობების გამო თხილი გადამამუშავებელ ქარხნებს დამამზადებლის რგოლის მეშვეობით მიეწოდებათ.



ნახაზი 2. თხილის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი რგოლები

თხილის მწარმოებელ ფერმერებს და გლეხებს შეუძლიათ ბაღებში მოყვანილი თხილი არამარტო გადამყიდველებს და დამამზადებლებს, არამედ უშუალოდ საამქროებსაც მიყიდონ. ზოგიერთ შემთხვევაში ურიგდებიან შემსყიდველებს და წინასწარ იღებენ თანხას იმ პირობით, რომ სეზონზე ავანსად გაცემულ თანხას თხილით გადაიხდიან. ეს რგოლი ბაზარზე თხილის მიწოდების რეგულირების მხრივ მნიშვნელოვანი სიძლიერით ხასიათდება. მაგალითად გლეხებს თავდაპირველად ბაზარზე ხშირად თხილის მოსავლის მხოლოდ ნახევარი გამოაქვთ, რასაც თხილზე ფასის მატების მოლოდინი განაპირობებს.

თხილის ღირებულებათა ჯაჭვში მოიაზრება თხილის გადამყიდველებიც - კერძო პირები, რომლებიც სეზონის დასაწყისში ყიდულობენ თხილს, ინახავენ და სასურველ დროს ყიდიან. მათ ორგანიზებული აქვთ ყოველდღიური შემსყიდველი პუნქტები და დილით შესყიდულ თხილს უკვე საღამოთი გადამამუშავებლებს აწვდიან. ამ რგოლის სარგებელი ყოველ კილოგრამ შეძენილ თხილზე ძირითადად 20-30 თეთრით განისაზღვრება. ისინი დღეში საშუალოდ 1,5-3 ტონა თხილს ყიდულობენ.[1] მათი საქმიანობა რისკის მაღალი ფაქტორით ხასიათდება, რადგანაც საკუთარი ფინანსური რესურსებით საქმიანობენ, თუმცა ისინი დღეს გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით ძირითადი მომმარაგებლები არიან. საწარმოებს გადამუშავებული თხილის 55-60%-მდე სწორედ ეს რგოლი აწვდის, რაც მათ საშუალებას აძლევთ ხელოვნურად შეცვალონ შესაასყიდი ნედლეულის ფასები, რასაც ხშირად იყენებენ და თავიანთი ინტერესების შესაბამისად ადგენენ და ცვლიან ფასწარმოქნის სქემას, რაც ზეგავლენას ახდენს გადამუშავებელი საამქროს საქმიანობაზე და ექსპორტის მოცულობებზე. გადამამუშავებელი

[1] „თხილის გადამამუშვებელი საწარმოები საქართველოში“ , ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“, N2, 2015.

საწარმოები ამზადებენ თხილის გულს, ყიდულობენ და გარკვეული პარამეტრებით შერევის შემდეგ გააქვთ ექსპორტზე.

საქართველოში თხილის გადამმუშავებელ საწარმოდ ითვლება ყველა სამეწარმეო პირი, რომელსაც შეუძლია თხილის პირველადი ნედლეულის მიღება, გაშრობა, დაკალიბრება, გატეხვა და გატეხილი თხილის გულის წარმოება მიუხედავად მისი სიმძლავრისა.

დღეისათვის საქართველოში სტატისტის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ასამდე სხვადასხვა ზომის საწარმო ფუნქციონირებს ინდივიდუალური მეწარმისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის სააგენტოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების სახით. თუმცა საქართველოს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრებიდან მიღებული ინფორმაციის საუძველზე აღწერილია 165 საწარმო.[1] საწარმოების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ზუგდიდის რაიონში, ნედლეულის არეალის ცენტრში. გალის რაიონის ნედლეულის ნაწილიც ზუგდიდში გადამუშავდება.

საქართველოში თხილის ფასი მსოფლიო ბაზრის სხვა მოთამაშეებზე, განსაკუთრებით, დარგის ლიდერზე-თურქეთზე არის დამოკიდებული. თუმცა, თურქული თხილის ფასი ქართულზე მაღალია, რაც გამოწვეულია ხარისხსში არსებული სხვაობით.

ცხრილი 2

რეგიონი	თხილის გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა	მათ შორის 3 ტონა თხილის გული/დღეში	სერტიფიცირებული საწარმოების რაოდენობა	საწარმოების რაოდენობა, რომელთაც გააჩნიათ სერტიფიცირების პოტენციალი
სამეგრელო	114	27	4	25
გურია	20	7	1	5
იმერეთი	13	3		3
სხვა	18	1		2
სულ	**165**	**38**	**5**	**35**

საქართველოში მოქმედი თხილის გადამამუშავებელი საწარმოები რეგიონების მიხედვით[2]

2015/2016 წელს ნაჭუჭგაუცლელი თხილის საბითუმო ფასები ზუგდიდში ბოლო ხუთი თვის განმავლობაში არასტაბილურია. 1 კგ თხილის ფასმა თავის პიკს ნოემბრის თვეში 8.20 ლარი/კგ მიაღწია და თებერვლის ბოლოსთვის 5.50 ლარი/კგ-მდე დაეცა (იხ. ნახაზი 3).



ნახაზი 3

[1] „თხილის გადამამუშვებელი საწარმოები საქართველოში“ , ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ , N2, 2015.
[2] საქართველოს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრები

მინიმალური ფასი, სწორედ თებერვალში (4.20 ლარი/კგ) დაფიქსირდა. საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურების მიხედვით, მწარმოებლები თხილის მსოფლიო ფასის ზრდას მოელიან და შესაბამისად, თავს იკავებენ პროდუქციის რეალიზაციაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები: როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს კონკურენტუნარიანი თხილის პროდუქტის წარმოების ბუნებრივ-რესურსული და ეკონომიკური პირობები გააჩნია. ქართული ენდემური ჯიშის თხილი კონკურენტუნარიანობის მაღალი დონით ხასიათდება, რაც საშუალებას გვაძლევს მყარად შევინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები მსოფლიო თხილის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. ქვეყანაში წარმოებული თხილის უმეტესი ნაწილი (90%-ზე მეტი) საექსპორტო პროდუქტია, შიდა მოხმარებას მხოლოდ 10% უჭირავს (საკონდიტრო საწარმოები, შოკოლადის ქარხნები, რესტორნები, მაღაზიები და სხვა).

აღსანიშნავია ის, რომ ქართველი ფერმერები საჭიროებენ სახელმწიფოს ხელშეწყობას. არსებობს უამრავი გამოუყენებელი მიწა, რომელიც გამოსადეგია თხილის მოსაყვანად. სასურველია თუ სახელმწიფო შეღავათიან ფასებში გადასცემს მას ადგილობრივ ფერმერებს. საჭიროა ფერმერების დატრენინგება-გადამზადებაც თანამედროვე მიდგომების შესაბამისად. ყველაზე დიდი პრობლემა თხილის გადამუშავებასთან დაკავშირებით კი ადგილობრივ მეწარმეებს ექმნებათ თხილის გაშრობის ეტაპზე. უმეტესობას არ აქვს, ან იყენებენ კუსტარულად დამზადებულ, მოძველებულ ტექნიკას. სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ტექნიკის შეძენა კიდევ უფრო გაზრდის ქართული თხილის ხარისხს. ფერმერული მეურნეობების და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება საწინდარია იმისა, რომ საქართველოდან აღარ მოხდეს მხოლოდ ნაჭუჭგაცლილი თხილის ექსპორტი და მოხდეს ექსპორტის დივერსიფიკაცია არა ნედლი თხილის, არამედ უკვე თხილის პროდუქტების სახით.

წარმოების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის ბაზარი თხილზე მოთხოვნის მიხედვით დეფიციტურია. მსოფლიოში თხილის წარმოების მასშტაბების ზრდის მიუხედავად ამ პროდუქტზე მაღალი მოთხოვნა კვლავ შენარჩუნებული იქნება. საქართველოში თხილის წარმოების ზრდის მასშტაბების, ამ პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის, მიწის რესურსული პოტენციალის, ბაზრის სტრუქტურის ანალიზიდან გამომდინარე, პერსპექტივაში მოსალოდნელია მსოფლიო ბაზრის მაქსიმუმ 10%-იანი ნიშის ათვისება. ექსპერტული შეფასებით მიმდინარე პერიოდში საქართველოს წილი მსოფლიო თხილის ბაზარზე 5-6%-ია. ამასთან, საქართველომ, როგორც თხილის მწარმოებელმა ქვეყანამ, მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და უნიკალური პროდუქტის წარმოების სტრატეგია უნდა აირჩიოს.

ზრდადი მოთხოვნის პირობებში თხილის ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია პროდუქტზე ფასების არასტაბილურობა. პრობლემაა ისიც, რომ თხილის მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და საბაზრო ურთიერთობებში ჩართულ სხვა მონაწილეებს შორის კავშირები სუსტია.

პროდუქტის კონკურენტუნარიანობის რეალურად შეფასება და ექსპორტის დივერსიფიკაციის დასაბუთებული სტრატეგია უზრუნველყოფს თხილის წარმოების მდგრად განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დუნდუა ვ., თავზერიძე ს., თხილის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება N1. თბ., 2013.
2. ვარძელაშვილი მ., მაღლაკელიძე ე., ბარბაქაძე გ., თხილის ისტორია და მისი ბიზნესის განვითარების პერსპექტივები მსოფლიოსა და საქართველოში, სამეცნიერო შრომათა კრებული, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი,თბ., 2008.
3. მიქაძე თ. თხილის გადამამუშავებელი სიმძლავრეები საქართველოში, ჟურნალი აგრარული საქართველო N2, თბ., 2015.
4. პიზეტა მ., მიროტაძე მ., მიროტაძე ნ., თხილის რესურსები საქართველოში,სამეცნიერო შრომათა კრებული, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბ., 2009.
5. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ.,2013
6. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო თხილის სექტორისთვის, 2013.
7. ხარაიშვილი ე., ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა და წარმოების განვითარების სტრატეგიები. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი N1, თბ., 2011.
8. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, უნივერსალი, თბ., 2011.
9. შარაბიძე ქ., ქართული თხილი და მსოფლიო ბაზარი, ჟურნალი აგროინფო N4, თბ., 2007.
10. Портер. М. Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев, 2000.
11. Baade, D. (2007). Demographischer Wandel und international Wettbewerbs-fähigkeit Deutschlands. Eine Analyse basierend auf Porters Ansatz.
12. World Nut Fruit Congress - San Diego - 30 May / 1 June - 2016.
13. http://nutfruithealth.org/
14. დუშუაშვილი თ, ქართული თხილის ბაზრის ანალიზი, მოძიებულია 08/07/2016. http://forbes.ge/blog/127/qarTuli-Txilis-bazris-analizi
15. ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე – 2015 – 2020 წლების პროგნოზები. მოძიებულია 08/07/2016 http://www.ttimes.ge/archives/30158
16. http://gprnuts.ge/contact.php

Annotation

The Article has evaluated competitive priorities of Georgian hazel-product, characterized the hazelnut natural recourse and economic potential of business development. At current stage for Georgian Agro-product sector is a priority matter is reorientation from import to export. The article is substantiated that in order to settle the above problem the important role will be fulfilled be exposure of the products which are demanded at the present day market based on evaluation. Georgia has helpful conditions for development of these products.

One such product will discuss hazelnut. Based on analysis of hazelnut market structure the statement has been made that these product are the main participants - distribution companies, the hazelnut manufacturing enterprises and farms which trigger the plants and farms. In order to develop business successfully is to create production system where will be accumulated processing and sale of raw material.

The strategic trends of hazelnut development are evaluated in Europe and Asia markets and the most significant is the correct analysis of the pricing factors.

დაზღვევის კერძო სექტორის მენეჯმენტი საქართველოში

ნინო ვარდიაშვილი
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნინო ფარესაშვილი**

„სამ რამეზე არ შეიძლება ფულის დაზოგვა: რეკლამა, დაზღვევა და უსაფრთხოება“
ჯონ როკფელერი

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საქართველოში სადაზღვევო სექტორისათვის უმთავრეს საინვესტიციო წყაროს წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევა, ამიტომ მიზანშეწონილია მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაზღვევის ამ სახეზე გარკვეული შეღავათების დაწესება. ქართული და ამერიკული სადაზღვევო კომპანიების შედარების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამერიკული კომპანიების პასუხისმგებლობა მომხმარებელთა დაცვაზე უფრო მაღალია ქართულ კომპანიებთან შედარებით, ამასთან ისინი იყენებენ განსხვავებულ მიდგომებს თანამშრომლებთან ურთიერთობისას და რისკების მართვისას. სადაზღვევო კომპანიების განხილვის დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მომხმარებელთა მენტალიტეტი და, შესაბამისად, სადაზღვევო ბაზრის განვითარების დონე, რაც განაპირობებს განსხვავებებს ამერიკულ და ქართულ სადაზღვევო კომპანიებს შორის.

საკვანძო სიტყვები: *სადაზღვევო ბაზარი, მენეჯმენტი, რისკი, ფინანსურ ინსტიტუტები, ეკონომიკურ სტაბილურობა.*

სადაზღვევო სექტორს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და განვითარებაში ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და ინვესტიციების მხარდაჭერის გზით. სადაზღვევო კომპანიები მწარმოებლებს, სახელმწიფო სექტორს, ფინანსურ ინსტიტუტებს და საოჯახო მეურნეობებს სთავაზობენ ფინანსური რისკის დაზღვევის სერვისს და შესაბამისად ასრულებენ სასიცოცხლო როლს ფინანსური სექტორის გამართული საქმიანობისთვის. ამ ფუნქციის წარუმატებლად განხორციელებამ შესაძლოა პირდაპირი უარყოფითი გავლენა იქონიოს რეალურ ეკონომიკაზე. აღნიშნული ხაზს უსვამს ქვეყანაში ჯანსაღი და გამართულად ფუნქციონირებადი სადაზღვევო სექტორის არსებობის აუცილებლობას.

დაზღვევა არის რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება (სადაზღვევო საზოგადოებაზე გადაცემა). კლიენტსა (დამზღვევი) და სადაზღვევო საზოგადოებას (მზღვეველი) შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებისას დამზღვევის მიერ ხდება რისკის მზღვეველისათვის გადაცემა, რის შემდეგაც შესაძლო ზარალის დროს მზღვევლი დამზღვევს სრულად აუნაზღაურებს ფინანსურ ზარალს იმ ოდენობით და იმ პირობებით, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაშია ჩადებული.დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით: ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით.სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

დაზღვევა ორი სახის არის: საზოგადოებრივი და კერძო. საზოგადოებრივი დაზღვევა (სოციალური, სახელმწიფო დაზღვევა) კერძო(ნებაყოფლობითი) დაზღვევისაგან სამი მთავარი ნიშნით განსხვავდება:

- დაზღვევა სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი;
- რის საფუძველზე განისაზღვრება სადაზღვევო შენატანები: ინდივიდუალური რისკის თუ შემოსავლების საფუძველზე;
- როგორია სისტემის მენეჯმენტი: მომგებიანი, არამომგებიანი, საზოგადოებრივი, სახელმწიფო ან ქვაზი-სახელმწიფოებრივი.

როგორც თავად სახელწოდება მიგვანიშნებს კერძო დაზღვევა ნებაყოფლობითობის პრინციპებს ეფუძნება. სადაზღვევო შენატანები ინდივიდუალურ რისკთანაა დაკავშირებული. კერძო სადაზღვევო კომპანიები შესაძლებელია იყოს როგორც მომგებიანი, ასევე არამომგებიანი.

კერძო დაზღვევის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს:

- სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებლების თავისუფალი არჩევის უფლება;
- შედარებით მაღალშემოსავლიან მოსახლეობას კერძო საზღვევის სისტემის მეშვეობით საშუალება ეძლევა თვითონ დააფინანსოს ჯანდაცვის სერვისები, რაც სახელმწიფოს ეხმარება შეზღუდული სახსრები ღარიბი და დაუზღვეველი მოსახლეობისკენ მიმართოს;
- კერძო დაზღვევას გარკვეული წვლილი შეაქვს ჯანდაცვის სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარებაში;ფინანსური ბაზრის განვითარებაზე ახდენს დადებით გავლენას.
- კერძო დაზღვევის სუსტი მხარეებია:
- ხელმისაწვდომობაზე ფინანსური ბარიერები. ვერ უზრუნველყოფს ყველა ფენების თანაბარ ხელმისაწვდომობას სერვისებზე.
- მიმწოდებლის მიერ სტიმულირებადი მოთხოვნა. ხშირ შემთხვევებში კერძო სადაზღვევო ორგანიზაცია სამედიცინო დახმარების მიმწოდებლებს აფინანსებს სერვისების მიხედვით, რითაც მცირდება მიმწოდებლებზე ზემოქმედების ბერკეტები. ასეთ შემთხვევებში ექიმები დაინტერესებული არიან გაზარდონ გასაწევი მომსახურების მოცულობა, ჩაატარონ არააუცილებელი სერვისები.
- რისკების შერჩევა, ნაღების მოხდა, არახელსაყრელი შერჩევა. კერძო დაზღვევის ორგანიზაციები დაინტერესებული არიან ამოარჩიონ მათთვის სასურველი სადაზღვევო კონტიგენტი. მათ შეუძლიათ უარი უთხრან მაღალი რისკის ადამიანებს კერძო დაზღვევის სქემაში გაწევრიანებაზე;

2010 წლის მონაცემებით, მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის ჯამურმა ბრუნვამ 4,1 ტრილიონი დოლარი შეადგინა. 2015 წლისთვის მსოფლიო ბაზრის სადაზღვევო ინდუსტრია დაახლოებით 26%-ით გაიზარდა. სტატისტიკური კვლევების თანახმად, მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის 35%-ს ევროპული ქვეყნები იკავებენ. მსოფლიო სადაზღვევო ინდუსტრიის ზრდა აისახება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზეც. პირველი სადაზღვევო კომპანია საქართველოში 1990 წელს დაარსდა, ხოლო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 1997 წლიდან ფუნქციონირებს. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში უკვე რეგისტრირებული იყო 25 სადაზღვევო კომპანია, დღეისათვის კი მათი რიცხვი 14-ს შეადგენს. აღნიშნული ზრდა აისახება წლიდან წლამდე მოზიდული პრემიების მაჩვენებელზეც.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური კვლევების მიხედვით, 2007 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების ჯამმა 118,8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2012 წლის მონაცემებით კი მოზიდული პრემიების ჯამური მაჩვენებელი 514,4 მილიონი ლარი იყო. აღსანიშნავია ის, რომ 2013წლიდან სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების ჯამური რაოდენობა მეოთხე კვარტლის მიხედვით შემცირდა. ეს ტენდენცია გრძელდება შემდეგ წელსაც. მოზიდული პრემიების ჯამური მაჩვენებლის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებით, რამაც გამოიწვია სიცოცხლის დამზღვევთა მაჩვენებლის, საბოლოო ჯამში კერძო დაზღვევის სექტორის მოზიდული პრემიების შემცირება. 2015 წელს მოზიდული პრემია გაიზარდა 359,7 მილიონ ლარამდე. ამ წელს სიცოცხლის დაზღვევაზე მოზიდული პრემია 16-დან 25 მილიონ ლარამდე გაიზარდა.



სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ზრდა და ეკონომიკური წინსვლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სადაზღვევო კომოანიებისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც. იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა და მათთვის გარანტიების შექმნა სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა.

დაზღვევის სექტორის უკეთესად გასაანალიზებლად უმჯობესი იქნება თუ განვიხილავთ დაზღვევაზე გაწეული დანახარჯების დინამიკას და სტუქტურას. 2015 წელს ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ დახმარებაზე გაწეული დანახარჯების წილი მშპ-ს დაახლოებით 6%-ს წარმოადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5.5%-ს მხოლოდ მცირედით აღემატება. საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ამოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ჯანდაცვის კერძო სექტორის განვითარებაზე. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილის მატებასთან ერთად აღინიშნება კერძო დანახაჯების კლება.

ჯანდაცვის ეროვნული დანახარჯები, საქართველო

	2011	2012	2013	2014
მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (მშპ) (აშშ $)	3,231	3,523	3,600	3,681
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ს %	1.7%		2.1%	2.7%
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები:				
სახელმწიფო	18%	21%	29%	
კერძო	79%	76%	68%	
საერთაშორისო დახმარება	3%	3%	3%	

2012 წლის ბოლოს დაახლოებით 450,000 ადამიანი სარგებლობდა ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო და/ან კორპორაციული პაკეტით. 2014 წლის ივლისისათვის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების ერთი წლის თავზე, კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა დაახლოებით 120,000 ადამიანით შემცირდა. ამასთან, ვიდრე სადაზღვევო კომპანიები

სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ ადამიანებს ემსახურებოდნენ, მასშტაბის ეკონომიკა მათ საშუალებას აძლევდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტები მოქალაქეებისათვის გაცილებით იაფად შეეთავაზებინათ. საყოველთაო ჯანდაცვის ამოქმედების შემდეგ, კომპანიებმა ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტები გააძვირეს და, შესაბამისად, უფრო ნაკლებმა ადამიანმა შეძლო მათი ყიდვა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების კლება.

საქართველოს სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და განსაზღვრისთვის, ნაშრომში გამოყენებული აფინანსური კოეფიციენტური ანალიზი. კოეფიციენტების ორი ტიპი არსებობს: ბალანსური კოეფიციენტი — ინფორმაცია სექტორის ფინანსურ მდგომარეობაზე დროის განსაზღვრულ მომენტში ბალანსის შედგენის დროს და შემოსავლის / ბალანსის ანგარიშგების კოეფიციენტი — ინფორმაცია სექტორის საქმიანობის რაიმე ასპექტზე. კოეფიციენტების საშუალებით შესაძლებელია მოხდეს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი „სიჯანსაღის“ შეფასება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები 2008-2013 წლებში.

კოეფიციენტი	კალკულაცია	2008	2009	2010	2011	2012	2013	AVERAGE
ლიკვიდობის კოეფიციენტები:								
მიმდინარე კოეფიციენტი	აქტივები / ვალდებულებები	1,15	1,20	1,26	1,22	1,23	1,30	1,23
სააქციო კაპიტალთან ვალის დამოკიდებულების კოეფიციენტი	მთლიანი ვალი / სააქციო კაპიტალი	6,99	6,60	7,83	5,89	5,95	4,34	6,26
ვალის და მთლიანი აქტივების დამოკიდებულების კოეფიციენტი	მთლიანი ვალი / მთლიანი აქტივები	0,87	0,83	0,79	0,82	0,81	0,77	0,82
აქტიურობის კოეფიციენტები:								
დიტორული მოთხოვნების ბრუნვა (RT)	წმინდა სადაზღვევო შემოსავალი / მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,23	1,60	0,03	0,07	0,04	0,07	0,51
დებიტორული მოთხოვნების ბრუნვა დღეებში	365 / RT							718
მომგებიანობის კოეფიციენტები:								
მოგება ინვესტიციაზე ROI	წმინდა მოგება / მთლიანი აქტივები	(0,03)	0,05	0,00	0,01	0,01	0,01	0,01
მოგება საკუთარ კაპიტალზე ROE	წმინდა მოგება / მთლიანი კაპიტალი	(0,26)	0,32	0,02	0,03	0,03	0,05	0,03

ლიკვიდობის კოეფიციენტები: მიმდინარე კოეფიციენტი 1,23 -ის ტოლია,რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის 1 ლარის ვალდებულების დაფარვა ხდება 1,23 ლარის აქტივით. სააქციო კაპიტალთან ვალის დამოკიდებულების კოეფიციენტი ტოლია 6,26. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის აქტივების დაფინანსება, დაახლოებით, 6-ჯერ მეტი ნასესხები კაპიტალით ხდება. ვალის და მთლიანი

აქტივების დამოკიდებულების კი 0,82--ის ტოლია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფარგლებში, 1 ლარის აქტივი დაფინანსებულია 80 თეთრი ნასესხები კაპიტალით.

აქტიურობის კოეფიციენტები: დებიტორული მოთხოვნების ბრუნვის (RT) კოეფიციენტი 0,51 (ნაკლები1-ზე) იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიერ, მოვალეებისგან დებიტორული დავალიანების ამოღება ხდება, დაახლოებით ორ წელიწადში ერთხელ.დებიტორული მოთხოვნების ბრუნვა დღეებში (RTD) —შესაბამისად 718 დღის ტოლია.

მომგებიანობის კოეფიციენტები: მოგება ინვესტიციაზე ROI და მოგება საკუთარ კაპიტალზე ROE —მოცემულ შემთხვევაში ტოლია, შესაბამისად, 0,01 და 0,03. ეს მონაცემები ძალიან მცირეა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი დაბალლიკვიდურია.

გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ სოციოლოგიურმა ჯგუფმა სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი და სადაზღვევო პროდუქტებისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულება შეისწავლა. სათანადო კითხვარის მეშვეობით ქალაქ თბილისში გამოკითხული იქნა 485 რესპოდენტი.

სადაზღვევო კომპანიებს შორის ნდობისდა, შესაბამისად, ცნობადობის რეიტინგში „ალდაგი“ ლიდერობს. მასგამოკითხულთა 29% ენდობა. მეორე ადგილზეა „ჯი პი აი ჰოლდინგი“ – 22%-ით. „ალდაგის“ წარმატებას მისი ტრადიციულობა განაპირობებს, ხოლო “ჯი პი აის” განვითარებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი. მეოთხე „იმედიL international“-ია, რომლის 10% არც თუ ურიგო შედეგია, იმის გათვალისწინებით, რომ ამ კომპანიამ დღემდე ვერ შეძლო ექსპერტების იმედების გამართლება და მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება ბაზარზე. მოკრძალებულად გამოიყურება „აი სი ჯგუფის“ მეხუთე ადგილი და 8%-იანი ნდობის რეიტინგი, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპანიამ „სახალხო დაზღვევა“ შეიძინა, პერსპექტივაზეა ორიენტირებული და თანამედროვე მენეჯმენტით გამოირჩევა.



დამაფიქრებელია მოქალაქეთა პასუხები სადაზღვევო პროდუქტებთან დაკავშირებით. გამოკითხულთა თითქმის 22% სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით. ავტომობილს აზღვევს 8,6%, რაც თავისთავად დაბალი მაჩვენებელია თბილისისთვის. სიცოცხლის დაზღვევით მოქალაქეთა მხოლოდ 7% სარგებლობს. თბილისელების სიდუხჭირეს თვალნათლივ წარმოაჩენს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც დაზღვევის არც ერთი სახით არ სარგებლობენ – მათი რაოდენობა გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 55%-ს შეადგენს.



არც ერთი სადაზღვევო პროდუქტით ვინც არ სარგებლობს, მათი 68% ასე იქცევა, რადგან არ აქვს შესაბამისი ფინანსური საშუალება. 32% უბრალოდ, არ ენდობა სადაზღვევო კომპანიებს.



კითხვაზე, საშუალება რომ გქონდეთ, რომელი სადაზღვევო პროდუქტით ისარგებლებ-დით, უმეტესობა სამედიცინო დაზღვევას ასახელებს. მეორე პოზიცია სიცოცხლის დაზღვევას უჭირავს, მესამე - ავტომობილის დაზღვევას. ჩვენი მოქალაქეების მესამედი, საშუალება, რომ ჰქონდეს ისარგებლებდა ქონების დაზღვევით, მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევით, საპენსიო დაზღვევით, დააზღვევდა თავის დეპოზიტს ბანკში და უეჭველად დაეზღვევოდა უცხოეთში მოგზაურობისას.

ქვეყანაში არსებული სადაზღვევო კომპანიები მომხმარებელს მრავალფეროვან სადაზღვევო პროდუქტებს სთავაზობენ, რომელთა რიცხვიც 18-ს აღწევს. 2015 წლის 30 სექტემბრისათვის, ქვეყანაში 1357194 სადაზღვევო პოლისი მოქმედებდა, მათი 83% კი შემდეგ ოთხ პროდუქტზე ნაწილდებოდა: ჯანმრთელობის დაზღვევა - 39%, სიცოცხლის დაზღვევა - 24%, უბედური შემთხვევის დაზღვევა - 12%, სამოგზაურო დაზღვევა - 8%. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებს კორპორატიული და სახელმწიფო დაზღვევა თითქმის თანაბრად ინაწილებენ (49% და 45% შესაბამისად).



საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, შეგვიძლია წარმოვადგინოთ საზღვევო პოლისების განაწილება დაზღვევის სახეების მიხედვით დინამიკაში. დაზღვევის სახეობებს შორის, საერთო რეიტინგში, სიცოცხლის დაზღვევა 2011-2013 წლებში მე-4 პოზიციაზე იმყოფება სამედიცინო, ქონების და სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის შემდეგ, რაც გარკვეულ წილად დადებითი ტენდენციაა, გამომდინარე იქიდან, რომ შესაბამის რეიტინგში, 2007-2010 წლებში, სიცოცხლის დაზღვევა მე-5 ადგილზე იმყოფება.



საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე, მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინდუსტრია პრაქტიკულად განუვითარებელია (სტუდენტური კვლევები 2012). კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტების მიერ, დასახელებულია ძირითადი მიზეზები, რაც აფერხებს საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას:

- „საზოგადოების მენტალიტეტი. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, რომ სკეპტიკურადაა განწყობილი სადაზღვევო ინდუსტრიის მიმართ.
- ინფორმაციის ნაკლებობა. სიცოცხლის დაზღვევის განვითარებას ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ინფორმაციის ნაკლებობა. არ ხდება საზოგადოების ინფორმირება აღნიშნული სფეროს სარგებლიანობის შესახებ.
- ეკონომიკური მდგომარეობა. ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა დასახელებული მიზეზი ერთ ფაქტორს უკავშირდება და შესაბამისად, საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის განუვითარებლობის უმთავრეს ბარიერს ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს.

ამდენად, სანამ აქტუალურია საქართველოში მწვავე ეკონომიკური და მენტალური პრობლემები და ვიდრე, გარკვეულწილად მაინც, არ მოხდება მათი აღმოფხვრა, ნაკლებად მოსალოდნელია სიცოცხლის დაზღვევის ინდუსტრიის ზრდა.

გადავწყვიტეთ, თავად ჩაგვეტარებინა კვლევა და გაგვეგრძელებინა იგი სამი სადაზღვევო კომპანიის ფარგლებში. შეგვედარებინა მათი სტრატეგიები, მისიები, მიზნები და გამომეკვლია თუ როგორ წყვეტენ ისინი ისეთ საკითხს, როგორიცაა რისკების მართვა. გამოვიკითხეთ სამი კომპანია, ეს კომპანიებია:

- ჯი პი აი ჰოლდინგი. ჯიპიაი ჰოლდინგი დაარსდა 2001 წელს. კომპანია ერთ-ერთი ლიდერია საცალო ბაზარზე. მისი მომავლის ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს 10 წელიწადში, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება.
- იმედი L. „ჩვენ ვემსახურებით უმთავრეს ღირებულებას - ჯანმრთელ სიცოცხლეს!“ - აცხადებს იმედი L - სადაზღვევო ჯგუფი. ლოგოში გამოყენებული „L“ სიმბოლოს მრავალფეროვანი დატვირთვა აქვს. „L“ აერთიანებს დადებითი მუხტის მატარებელ, „ელ-ზე" დამთავრებულ სიტყვებს, როგორებიცაა: ჯანმრთ L, მზრუნვ L.

- აი სი ჯგუფი არის საზოგადოებრივად პასუხისმგებელი კომპანია, იგი პატივს სცემს ტრადიციებსა და ბიზნეს ეთიკას „შევასრულოთ დაპირება“ - ეს არის აი სი ჯგუფის უმთავრესი კრედო. აი სი ჯგუფი მუდმივად იღწვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების და ახალგაზრდა წარმატებაზე ორიენტირებული პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებისკენ.

კითხვაზე თუ რა არის კომპანიის სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.



შედეგები გვიჩვენებს, რომ სადაზღვევო სექტორში მოქმედი კომპანიების ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობად შეთავაზებული მომსახურების ხარისხი განიხილება. ამ კომპანიებიდან გამოვაარჩევდით ჯი პი აი ჰოლდინგს, რომელიც თავის კონკურენტულ უპირატესობად მიიჩნევს ბრენდის ცნობადობას, ხოლო კომპანია აი სი ჯგუფი კი კონკურენტულ უპირატესობად მაღალ პროფესიონალიზმს განიხილავს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეთავაზებული მაჩვენებლებიდან სანდოობას, როგორც კონკურენტულ უპირატესობას უმეტესობა კომპანიებისა უკანა პლანზე აყენებს.

კომპანიის გრძელვადიანი წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სტრატეგიის სწორად შერჩევასა და მის რეალიზაციაზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გაგვერკვია სადაზღვევო კომპანიების სტრატეგიები და ის ფაქტორები, რასაც ისინი ანიჭებენ უპირა-ტესობას სტრატეგიების შემუშავების დროს. კომპანიებს შევთავაზეთ ოთხი სტრატეგია, რომლებიც უნდა დაელაგებინათ მათ პრიორიტეტულობის მიხედვით. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა.



მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ ჯი პი აი ჰოლდინგი ორიენტირებულია გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, სწორედ ამიტომ, ის

ითვალისწინებს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, მომხმარებლების მგრძნობელობას ფასებისადმი. ჯი პი აი ჰოლდინგი ნაკლებად ახდენს ფოკუსირებას მიზნობრივ ბაზარზე იმედი L-ისგან განსხვავებით, რადგანაც ის მომხმარებელს სთავაზობს უფრო მრავალფეროვან მომსახურებას. იმედი L კი ყურადღებას ამახვილებს მომსახურებაზე და მიზნობრივ ბაზარზე შეთავაზებული მომსახურების ნაკლები არჩევანის გამო. რაც შეეხება კომპანია აი სი ჯგუფს, ჯი პი აის მსგავსად ისიც წინა პლანზე მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ როგორ ცდილობენ კომპანიები თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდას. ჩვენ შევთავაზეთ კომპანიებს მოტივაციის ზრდის 4 ძირითადი მეთოდი და ვთხოვეთ აზრის დაფიქსირება, თუ რომლის დანერგვას ისურვებდნენ კომპანიებში. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ შედეგები ძალიან საინტერესოა, რომელიც მრავალმხრივი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.



კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ჯი პი აი ჰოლდინგი და იმედი L მოტივაციისთვის დაწინაურების სისტემას და ანაზღაურების ზრდას ანიჭებენ უპირატესობას, ამისგან განსხვავებით ანაზღაურების ზრდას და სამუშაოს კომფორტულ პირობებს განიხილავს მოტივაციის მთავარ ფაქტორად კომპანია აი სი ჯგუფი. მენეჯერები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ თანამშრომლების მუშაობის პროცესი წარიმართოს სასიამოვნო გარემოში და კომპანიის შემოსავლების კვალდაკვალ მიიღოს თანამშრომელმა გაზრდილი ანაზღაურება.

კომპანიის წარმატებას განაპირობებს მისი მენეჯერების და თანამშრომლების თვისებები და უნარ-ჩვევები. ამიტომ, შევეცადეთ დაგვედგინა ქართული კომპანიის მენეჯერებს რა ძირითადი თვისებები გააჩნიათ. კითხვარით შეთავაზებული იყო 4 ძირითადი თვისება და რესპოდენტს ამ ჩამონათვლიდან უნდა მოენიშნა ის თვისებები, რომელიც მას გააჩნია. შედეგები ასე გადანაწილდა.



მიღებული შედეგების ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ მენეჯერები თავიანთ საქმეს სამივე კომპანიაში პასუხისმგებლობით ეკიდებიან, პასუხისმგებლობას ყველა კომპანიის მენეჯერი წინა პლანზე აყენებს. ამასთან ჯი პი აი ჰოლდინგში უფრო მაღალია მენეჯერების საკუთარი თავის რწმენა და მზაობა ცოდნის გასაღრმავებლად, ვიდრე დანაჩენ ორ კომპანიაში.

კომპანიები წარუმატებელი საქმიანობის შემთხვევაში ცდილობენ, გამოარკვიონ რამ განაპირობა საქმიანობის პროცესში არასასურველი შედეგების მიღწევა, მაგრამ წარმატებული კომპანიები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებმაც კომპანიის წარმატება განაპირობეს. სწორედ ამიტომ, კვლევის პროცესში გადავწყვიტეთ, გაგვრკვია ის ფაქტორები, რომლებიც დაეხმარა კომპანიას წარმატების მიღწევაში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჯი პი აი ჰოლდინგის წარმატებას განაპირობებს ინოვატორული მიდგომა, ადგილობრივ მოთხოვნებზე მორგებული უნიკალური სადაზღვევო პროდუქტები, მაღალი ხარისხის მომსახურება და მოტივირებული თანამშრომელთა გუნდი. კომპანია იმედი L კი მიიჩნევს, რომ ბაზარზე წარმატება პროგრესულმა მიდგომამ, ცოდნამ და გამოცდილებამ, უნიკალური პროდუქტების ხაზების შექმნამ განაპირობა. „ჩვენ ვართ ყველაზე პროგრესული კომპანია, რომელსაც აქვს რესურსი და გამოცდილება, თანამშრომელთა ძალისხმევით სწორად მართოს და იზრუნოს ადამიანთა ჯანმრთელობაზე“ - აცხადებს იმედი L-ის წარმომადგენლობა. რაც შეეხება კომპანია აი სი ჯგუფს, ბაზარზე წარმატებას ის ინოვაციებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვითა და შენარჩუნებით აღწევს.

სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალის რისკის შეფასებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. მთავარი რისკი არის ზარალის ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით დადგენილი რიცხვისა და ზომისგან. სტანდარტული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ცვლილებებიდან შესაბამის საკანონმდებლო გარემოში, დაზღვეულის ქცევის ცვლილებებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ტერორისტული აქტებიდან. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშვება ეპიდემიებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ჯანდაცვის ხარჯების ზრდიდან. ამიტომ, გადავწვიტეთ გამოგვეკვლია თუ როგორ იზღვევენ თავს კომპანიები ასეთი რისკებიდან და ქმნიან თუ არა სპეციალურ საბიუჯეტო რეზერვებს რისკების სამართავად. წინა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ კვლევა გაგვეგრძელებინა სამ სადაზღვევო კომპანიაში.

- „ჯი პი აი ჰოლდინგი“ სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო პრინციპებითა და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით. კომპანიის ანდერაიტინგული სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის არაურთიერთდაკავშირებულ რისკებს და ამავე დროს ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. კომპანია აგრეთვე იყენებს გადაზღვევის პროგრამას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი არ თავისუფლდება პოლისის მფლობელთა მიმართ პირდაპირი ვალდებულებებისგან, აქედან გამომდინარე, საკრედიტო

რისკი არსებობს გაფორმებულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ რომელიმე გადამზღვევმა შესაძლოა ვერ შეძლოს გადაზღვევის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

- რისკის მართვა კომპანია „ალდაგში“ ემყარება პრინციპს, რომ კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიამ დააფუძნა რისკის მართვის ფუნქცია სამეთვალყურეო საბჭოსათვის, მისი კომიტეტებისა და დაკავშირებული აღმასრულებელი მმართველი კომიტეტებისათვის განკუთვნილი უფლებამოსილების აღწერილობით. და ბოლოს, შეიქმნა ჯგუფის პოლიტიკის სქემა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის მზადყოფნას რისკისათვის, რისკის მართვის, კონტროლისა და საქმიანობის წარმართვის სტანდარტებს ჯგუფის წარმოებული საქმიანობისათვის.
- კომპანია „ირაო“ „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მსგავსად რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მაგრამ გადაზღვევის სტრატეგიის დროს ის იყენებს განსხვავებულ მიდგომას. გადაზღვევის დიდი ნაწილი ეფუძნება ფაკულტატურ და ასევე გადაზღვევის კვოტაზე დამყარებულ პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კომპანიაზე დატოვებული სადაზღვევო რისკის ლიმიტი ერთ კონტრაქტზე არ აღემატებოდეს კაპიტალის 3%-ს.

ქართული სადაზღვევო კომპანიების კვლევასთან ერთად უმჯობესი იქნება თუ განვიხილავთ საზღვარგარეთ არსებულ წარმატებულ სადაზღვევო კომპანიას და შევადარებთ მათ მაჩვენებლებს ერთმანეთთან. გადავწყვიტეთ, კვლევა გაგვეგრძელებინა ALLstate სადაზღვევო კომპანიის ფარგლებში, რომელიც დაარსდა 1931 წელს ამერიკაში და, რომელიც ემსახურება 16 მილიონზე მეტ შინამეურნეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. რაც AALstate კორპორაციას განასხვავებს სხვა სადაზღვევო კომპანიებისაგან ეს არის ადგილობრივი აგენტები, ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ისინი ემსახურებიან. ამ კორპორაციის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება და ბიზნეს-სტრატეგიის მთავარი ნაწილი ინკლუზიური მრავალფეროვნებაა. ამასთან AALstate გააჩნია კორპორაციული პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ 2007 წლიდან დღემდე მან მიაღწია ენერგიის გამოყენების შემცირებას 23.4%-ით. ამასთან ერთად კომპანია ხელს უწყობს ახალგაზრდა ლიდერების გამოვლენას და მათ განვითარებას. შედეგად, კომპანია აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში.



სადაზღვევო კომპანია Allstate-ის ზედამხედველობის საბჭო რისკების მინიმუმამდე შემცირებისათვის დეტალურად მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- ბიზნეს სტრატეგიები;

- საინვესტიციო პორტფელი;
- ლიკვიდურობა და კაპიტალის გამოყენება;
- საკანონმდებლო და მარეგულირებელი საკითხები.

დასკვნები და რეკომენდაციები: სადაზღვევო კომპანიის განცხადებით, მომხმარებლების დაცვა მოულოდნელობისაგან ეხმარებათ მათ, რომ დაიცვან საკუთარი კომპანია დიდი ფინანსური რისკისაგან. ამისათვის, ისინი აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. მაგალითად, კომპანია მომხმარებლებს შეტყობინების მეშვეობით აწვდის ინფორმაციას მოსალოდნელი შტორმის შესახებ და აცნობებს, თუ როგორ შეამცირონ სახლების და მანქანების დაზიანება მინიმუმამდე. საიტი თინეიჯერებს სთავაზობს აგრეთვე ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ მოემზადონ იმ პასუხისმგებლობისთვის, რაც მართვასთან არის დაკავშირებული.

კომპანიის აზრით, ის ფაქტორები, რაც დაეხმარა მას წარმატების მიღწევაში და მომხმარებლების მხრიდან აღიარებაში, დაკავშირებულია მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ მომსახურებასთან და ასე გამოიყურება:

- მაქსიმალური დანაზოგები - აგენტი ეხმარება მომხმარებელს, მიიღოს ინფორმაცია არსებული ფასდაკლებების შესახებ;
- პერსონალური მხარდაჭერა-როგორც თავად აცხადებენ, „თუ გჭირდება კითხვაზე პასუხი ან თუნდაც ექსპერტის დახმარება, ჩვენი აგენტი შენს გვერდითაა";
- კომპანიას ჰყავს ასისტენტები, რომლებიც არკვევენ მომხმარებელათა პრეტენზიებს და ეძებენ კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავალს.

რაც შეეხება თანამშრომელთა მოტივაციას, Allstate სადაზღვევო კომპანია თანამშრომელთა მოტივაციის მთავარ ფაქტორად განიხილავს იმ გარემოს, კულტურასა და კლიმატს, რომელშიც დაქირავებულები ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. კომპანია თანამშრომელთა მოტივაციისთვის აქტიურად იყენებს არაფინანსურ ჯილდოებსაც, როგორებიცაა: შექება, მადლიერება, სტატუსი. კომპანია ქმნის ისეთ ორგანიზაციულ გარემოს, სადაც უპირატესობა ენიჭება სოციალურ ურთიერთობებს და სადაც შესაძლებელია თითოეული ადამიანის წვლილის დაფასება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქართველოს ეროვნული ბანკი", სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მონაცემები https://www.nbg.gov.ge/index.php?m=489
2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური." http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2015_GEO.pdf
3. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. http://www.transparency.ge/node/2221
4. https://www.allstate.com/
5. საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო „ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში" 2012 წელი.

Anotation

The development of Insurance investments is delayed by country's economic situation and investment environment, where there is no scope for investment purposes. There is also lower level of development of the Life insurance markets, which is caused by the lack of trust in the insurance

industry. Given the fact that life insurance is the main source of investment in the insurance sector, it is recommended to institute certain tax benefits in this kind of insurance to develop it. We can make a conclusion based on comparison Georgian and American insurance companies, that the US companies sense of responsibility for protection of consumer is higher than Georgian companies, also they use different approaches in dealing with employees and risk management. During the discussion of the insurance companies, we should take into account the fact that the economic situation is significantly different in the two countries, the mentality of consumers and, accordingly , the development of the insurance market are different, which, in turn, determines the difference between the American and Georgian insurance companies.

აუდიტის ხარისხის კონტროლი

ნათია ვაჩიბერაძე
ბაკალავრიატის მესამე კურსი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ნანა სრესელი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ცალკეული კომპანიის სწორად მართვისთვის ბუნებრივია საჭიროა ობიექტური ინფორმაციის არსებობა. მასში იგულისხმება ინფორმაცია არსებული თუ პერსპექტიული მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციის უმეტესი წილი კი ფინანსურ ანგარიშგებააშია მოცემული. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია გამოიყენება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებად. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მიზანი მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. აღნიშნულის გამო, მენეჯმენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული ინფორმაციის საიმედოობის მაღალი ხარისხი, რადგან ეს უკანასკნელი სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, რაც აუდიტორული შემოწმების მთავარი მიზანია. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია თვით აუდიტორული შემოწმების ხარისხის მაღალი დონის მიღწევა. აუდიტორმა, როგორც წესი უნდა განახორციელოს ცალკეული აუდიტის შესაფერისი ხარისხის კონტროლის პროცედურები, რათა მიიღოს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ აუდიტი შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს და მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს და წარმოდგენილი აუდიტის ანგარიში მართებულია მოცემულ გარემოებებში.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტის ხარისხი, ხარისხის კონტროლის პოლიტიკა, ხარისხის კონტროლის პროცედურები, აუდიტორული რისკი, მონიტორინგი.*

კომპანიის სწორად მართვისთვის მნიშვნელოვანია ობიექტური ინფორმაციის არსებობა. მასში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მონაცემებს კომპანიის არსებული მდგომარეობისა და პერსპექტიული განვითარების შესახებ. ამ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წილი ფინანსურ ანგარიშგებაშია მოცემული. ფინანსური ანგარიშგების მიზანი მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საწარმოს

საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა [1]. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. მენეჯმენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, სამართლიანობა და სისრულე, რადგან წორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საიმედობის მაღალი ხარისხით აღჭურვილი ინფორმაციაა.

ფინანსური ანგარიშგების საიმედობისა და უტყუარობის შესახებ მოსაზრების გამოთქმა კი წარმოადგენს აუდიტორული შემოწმების მთავარ მიზანს. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია თვით აუდიტორული შემოწმების ხარისხის მაღალი დონის მიღწევა. აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო მიმართულებით მიღებული იქნა გლობალური მოქმედების რამდენიმე ძირითადი დოკუმენტი. კერძოდ: 2014 წლის მაისში- ევროკავშირის დირექტივა 2014/56/EU; 2016 წლიდან ამოქმედდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები განმარტებებით (ISAs) და აუდიტორული და მარწმუნებელი მომსახურების საბჭოს (IAASB) მიერ განსაზღვრული აუდიტორთა ანგარიშგების ახალი და გადამუშავებული სტანდარტები; 2014 წელს IAASB-მ განსაზღვრა აუდიტის ხარისხის ჩარჩო და ა.შ.

წინამდებარე შრომის მიზანია აუდიტორული საქმიანობის ხარისხის შეფასების საკითხების კვლევა.

აუდიტი ლათინური სიტყვაა „audit“ და პირდაპირი გაგებით ნიშნავს „ის ისმენს“ [2]. საქართველოს კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კი განმარტებულია, რომ “აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება) – აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია:

ა) ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების) უტყუარობის, სამართლიანობისა და სისრულის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მისი წარდგენის საფუძვლების შესაბამისად მომზადების შესახებ აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მოსაზრების გამოთქმისაკენ;

ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის რწმუნების გამოხატვისკენ;

გ) სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე შესაბამისი მოსაზრების გამოთქმისაკენ ან დასკვნის გამოტანისკენ....“

აღნიშნული კანონი, აუდიტორს განმარტავს, როგორც სერტიფიცირებულ ბუღალტერს, რომელიც აკრედიტირებული პროფესიული ორგანიზაციის წევრია, რეგისტრირებულია აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში და უფლებამოსილია განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა, მ.შ. ინდივიდუალურად [3].

აუდიტის განვითარების ისტორიიდან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ეწეოდნენ აღრიცხვასა და კონტროლს, მაგრამ უშუალოდ აუდიტის ისტორიული განვითარების პერიოდი მოგვიანებით დაიწყო და 5 ეტაპად იყოფა. აღსანიშნავია, რომ აუდიტის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, რამაც ბიძგი მისცა კონტროლის სისტემის დახვეწას. მოგვიანებით კი შემუშავდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის უნიფიკაციას, შედარებითობას და საიმედოობას. აუდიტის სტანდარტები არის დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ერთიანი მიდგომები აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესების მიმართ, აუდიტის და მისი თანმდევი მომსახურების ხარისხის შეფასების, ასევე აუდიტორის მომზადების დონისა და კვალიფიკაციის

შეფასების მეთოდის მიმართ. სტანდარტები ასევე უზრუნველყოფს აუდიტის პრინციპების ერთიანობას, აუდიტის მეთოდოლოგიური საკითხების უნიფიკაციას, აუდიტის წარმართვისა და აუდიტორის ანგარიშის მომზადებისადმი ერთიან მიდგომას. საზოგადოებრივი ურთიერთობის დონიდან გამომდინარე არსებობს აუდიტის საერთაშორისო, ეროვნულ და შიდა სტანდარტები.. ხოლო აუდიტის შიდა სტანდარტები თავის მხრივ მოიცავს თვითრეგულირებადი პროფესიული აუდიტორული გაერთიანებების სტანდარტებს და აუდიტორული ფირმების შიდასაფირმო სტანდარტებს. აუდიტის სტანდარტები უზრუნველყოფს ისეთი პროცესების რეგულირებას, როგორიცაა აუდიტორული შემოწმების ორგანიზაცია, აუდიტორული შემოწმების წესები, აუდიტორული შემოწმების შედეგების გაფორმება და წარდგენა.

ისევე, როგორც ყველა სხვა საქმინობას, აუდიტორულ საქმიანობასაც ესაჭიროვება სამართლებრივი რეგულირება და კონტროლი. საერთაშორისო პრაქტიკაში დაგროვილია აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ორგანიზაციული მოწყობისა და რეგულირების მრავალწლიანი გამოცდილება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სისტემებთან მრავალი ქვეყნის ეროვნული სისტემის ინტეგრაციის პრაქტიკამ განაპირობა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების აუცილებლობა.

საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია აუდიტორული საქმიანობის რეგული-რების ორი ძირითადი კონცეფცია: აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და აუდიტორული საქმიანობის თვითრეგულირება. ქვეყნებში,სადაც ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ძირითად მომხმარებლებს სახელმწიფო ორგანიზაციები და ბანკები წარმოადგენენ, გავრცელებულია აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება, ხოლო სახელმწიფოებში, სადაც ფინანსური ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლებია აქციონერები, ინვესტორები, კრედიტორები გავრცელებულია აუდიტორული საქმიანობის თვითრეგულირება.

საქართველოში აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ადგილობრივი ორგანოებია: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი, საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, სსიპ-ი „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „აკრედიტაციის ერთიან ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციები (ბაფი და ა.შ.).

ამავდროულად, აუდიტორული საქმიანობის საფუძველს საკანონმდებლო ნორმატიული ბაზისა და მაკონტროლე ორგანოების ფუნქციონირება წარმოადგენს და რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

ყველა ზემოთ აღნიშნული საჭიროა იმისათვის, რომ მოხდეს აუდიტორული შემოწმების ხარისხის კონტროლი, რადგან მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე იყოს უტყუარი, საიმედო, რელევანტური.

ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სისტემის თანახმად, ფირმა ვალდებულია შეიმუშაოს და დააწესოს ხარისხის კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც შეიცავს იმ პოლიტიკას და პროცედურებს, რომლებიც ყურადღებას აქცევს ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ ელემენტს: ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას ხარისხზე ფირმის ფარგლებში, შესაფერის ეთიკურ მოთხოვნებს, ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას, უკვე არსებულთან ურთიერთობის გაგრძელებას და კონკრეტულ გარიგებებს, შრომით რესურსებს, მონიტორინგს. აუდიტორული შემოწმების ხასიხის კონტროლის მიზანია, რომ აუდიტის დროს დაცულ იქნეს

პრინციპები და მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის დასკვნისთვის, მათ შორის, დოკუმენტაციის, პროფესიული მსჯელობებისა და დასაბუთებებისთვის.

აუდიტორული ხარისხის კონტროლის საშუალებით შესაძლებელია მოწინავე და სანიმუშო პრაქტიკის დადგენა და აუდიტორთათვის გაზიარება, აუდიტის პროცესის სუსტი მხარეების გამოვლენა, რის საფუძველზედაც შეიძლება სწავლებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ასევე, განაზღვრფა რამდენად დაცულია თანმიმდვრობა აუდიტის პროცესსა და აუდიტორის ანგარიშს შორის, რაც ქმნის ანგარიშების ეფექტიანობის შედარების შესაძლებლობას.

საზოგადოდ, ხარისხის კონტროლი გულისხმობს იმას, რომ ფირმის მიერ მიღებული პოლიტიკა და პროცედურები გამიზნულია იმისათვის, რომ ფირმა უზრუნველყოს დასაბუთებული რწმუნებით, რომ ფირმა და მომსახურე პერსონალი აკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს და მარეგულლირებელ და საკანონმდებლო მოთხოვნებს, ასევე, ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული დასკვნები კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.

ხარისხის შემოწმების დონეები შეიძლება დავყოთ: ხარისხის შემოწმების პირველი დონე, რომელსაც ახორციელებს აუდიტის ჯგუფის უფროსი; მეორე დონე, რომელსაც ახორციელებს ზედამხედველი აუდიტორი; მესამე დონეს კი აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ახორცილებს. შემოწმების ეს დონე გულისხმობს იმ პირს, რომელიც ხელს მოაწერს აუდიტის ანგარიშს. შემოწმების სამივე დონეზე აუდიტის დოკუმენტების შემოწმებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ძირითადი საკითხები. კერძოდ ის, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი სათანადოდ უნდა იყოს შევსებული, ხოლო ყველა პროცედურული საფეხური სათანადოდ შესრულებული, შემსრულებლისა და დამმოწმებლის მიერ ხელმოწერილი და დათარიღებული. პროცედურული საფეხურის რომელიმე სამუშაო დოკუმენტის გამოტოვების შემთხვევაში, აუცილებელია მიეთითოს გამომწვევი მიზეზი.

სამუშაო დოკუმენტები უნდა შემოწმდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სამუშაოს თითეული ნაწილის დასრულებისთანავე. დროული შემოწმება უზრუნველყოფს სამუშაოს ხარისხის უკეთეს კონტროლს და მისი განხორციელებისთვის საჭირო დროის ეკონომიას. ჩეულებრივ ხარისხს ზემდგომი პირი აკონტროლებს.

ხარისხის კონტროლის პოლიტიკის და პროცედურების ხასიათი, მოცულობა და დოკუმენტაცია განსხვავებულია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მ.შ. კონტროლის ობიექტების სიდიდეზე, თავისებურებებსა და საექსპლოატაციო მახასიათებლებზე. ხარისხის კონტროლის სისტემა უნდა შეიცავდეს შესაფერისად დოკუმენტირებულ პოლიტიკას და პროცედურებს. ხარისხის კონტროლის სისტემის მიზანია ფირმა უზრუნველყოს იმის დასაბუთებული რწმუნებით, რომ ფირმა და მისი პერსონალი აკმაყოფილებენ პროფესიულ სტანდარტებს და საკანონმდებლო-მარეგულირებელ მოთხოვნებს, და რომ ფირმის გაცემული დასკვნები კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ძირითადი დანიშნულებაა ხარისხის კონტროლის პროცესის მიმოხილვა. მისი ძირითადი მიზანია, შეამოწმოს აუდიტორული პროცედურების შესაბამისობა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტებთან და საკანონმდებლო მარეგულირებელ ნორმებთან.

თუ ხარისხის კონტროლის პროცედურები სტანდარტულ პროცედურებთან შეუსაბამობის აღმოჩენას უზრუნველყოფს, ხარისხის უზრუნველყოფის საუშაოები სტანდარტულ

აუდიტორულ პროცედურებთან შეუსაბამობის თავიდან აცილებას გულისხმობს. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი იძლევა რეკომენდაციებს, თუ რა სახის ცვლილებები უნდა განხორციელდეს და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს აუდიტის პროცესის სრულყოფისთვის. იგი განსაზღვრავს აგრეთვე თანამშრომელთა გადამზადების საჭიროებას.

ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი უნდა ზედამხედველობდეს ხარისხის კონტროლის პროცესს და იმავდროულად, უნდა განახორციელოს უკვე ჩატარებული შერჩეული აუდიტის დამოუკიდებელი შემოწმება.

აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვა აუდიტის ანგარიშის დასრულებამდე ტარდება. აუდიტის წლიურ გეგმაში უნდა განისაზღვროს, აუდიტის რომელი პროექტი ექვემდებარება აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვას. ჩვეულებრივ, ასეთი მიმოხილვის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი ასპექტები, როგორიცაა მაღალი რისკების შემცველი, დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული აუდიტის პროექტები და სხვ. აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს აუდიტის პროექტის სირთულეზე და იმ რისკზე, რომ აუდიტის ანგარიში შეიძლება არ იყოს მართებული მოცემულ გარემოებებში. აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის შესრულება არ ამცირებს შესაბამისი აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობას აუდიტის პროცესსა და ჩატარებაზე [3].

აუდიტის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტში განსაზღვრულია ფირმის მიზანი, მოცემული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის (ხკსს) დებულების გათვალისწინებით და მოთხოვნები, რომლებიც იმისთვისაა გამიზნული, რომ ფირმამ შეძლოს დადგენილი მიზნის მიღწევა. ეს მიზანი კი არის ის, რომ ფირმამ შეიმუშაოს და დანერგოს ხარისხის კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მიერ პროფესიული სტანდარტებისა და სათანადო იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას და ასევე პარტნიორების მიერ გაცემული დასკვნების კონკრეტულ გარემოსთან შესაბამისობას [4].

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ხარისხზე ფირმის ფარგლებში მოიცავს იმას, რომ ფირმამ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა და პროცედურები, რომლების გამიზნულია შიდა კულტურის დამკვიდრებისკენ. ამავდროულად ხარისხზე პასუხისმგებელობა უნდა დაეკისროს ისეთ პირს ან პირებს, რომელთაც ექნებათ შესაბამისი უნარი და გამოცდილება ამ უფლებამოსილებისთვის.

შესაფერის ეთიკურ მოთხოვნებში იგულისხმება ის, რომ ფირმის დაწესებული პოლიტიკა და პროცედურები უმდა უზრუნველყოფდეს მას დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ,რომ მისი პერსონალი იცავს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს. აქ მოიაზრება ისეთი პრინციპის დაცვა, როგორიცაა დამოუკიდებლობა.

რაც შეეხება ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დამყარებას და არსებულთან გაგრძელებას, ფირმამ უნდა დააწესოს ხარისხის კონტროლის ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით, რომ ფირმა დაამყარებს ან გააგრძელებს მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს და შეასრულებს ისეთ გარიგებებს, როდესაც ფირმას გააჩნია ამ გარიგების შესრულების კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის, ამისთვის აუცილებელი დრო და რესურსები.

შრომით რესურსებთან დაკავშირებით საჭიროა ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ფირმას რწმუნებით, რომ მას ჰყავს საჭირო კომპეტენციის, უნარისა და ეთიკური პრინციპების ერთგული საკმარისი პერსონალი.

გარიგების შესრულებისას დაწესებული პოლიტიკა უზრუნველყოფს ფირმას მტკიცებით, რომ გარიგებები სრულდება პროფესიული სტანდარტების, სათანადო მარეგულირებელი და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად და ფირმა ან გარიგების პარტნიორი გასცემს კონკრეტული გარემოებების შესაფერის დასკვნას.

მონიტორინგი გულისხმობს, რომ ფირმას უნდა ჰქონდეს მონიტორინგის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მას დასაბუთებული რწმუნებით,რომ ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები რელევანტურია, ადეკვატურია და ეფექტიანად ფუნქციონირებს.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მთავარი საფუძველი რეკომენდირებულია ემყარებოდეს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენციის გამოჩენა, პრაქტიკულობა და შესაბამისობა და სხვა.

გამომდინარე აქედან, აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მიზანია, თავის თავში მოიცვას და ხაზი გაუსვას იმ სპეციფიკურ ელემენტებს და პრაქტიკებს, რომლებიც საჭიროა პროფესიული სტანდარტების, შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დასაცავად.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემაში ერთვებიან როგორც კომპანიის თანამშრომლები, ასევე პარტნიორები. მნიშვნელოვანია თანამშრომლებმა კარგად გაითავისონ ორგანიზაციული კულტურა, რათა სწრაფად მოხდეს მათი ინტეგრაცია და შეექმნათ მუშაობის მოტივაცია.

პროფესიონალი ბუღალტრების მიერ დამოუკიდებლობის და ობიექტურობის პრინციპების დაცვისთვის აუცილებელი საფრთხის თავიდან არიდება ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა პირადი გამორჩენა, საკუთარი შესრულებული სამუშაოს გადაფასება(ხელახლა შეფასება), ლობირება, უცერემონიო ურთიერთობა და დაშინება.

აქვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფიდენციალურობა. ყველა პარტნიორი და თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას და კონფიდენციალურად შეინახოს დამკვეთის ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომლის დაცვა და კონფიდენციალურად შენახვა მოთხოვნილია მმართველი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ორგანოების, ბსფ[1]-ს კოდექსის 140-ე განყოფილების, ფირმის პოლიტიკის და დამკვეთის სპეცილური მითითებების ან შეთანხმებების შესაბამისად.

ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემა მოითხოვს ეფექტურ მონიტორინგზე უფრო მეტს. შესრულების უზრუნველყოფის პროცესი მთავრია და მოიცავს შეუსრულებლობიდან, გულგრილობიდან, სათანადო მზრუნველობის და ყურადღების ნაკლებობიდან, ბოროტად გამოყენებიდან და გვერდის ავლიდან გამომდინარე შედეგებს და გამოსასწორებელ პროცედურებს.

ფირმას აქვს უფლება დანიშნოს რომელიმე პიროვნება ფირმის ფარგლებიდან, რომელიც წარმართავს ფირმის დისციპლინარულ პროცესს. გამოსასწორებელ ქმედების შერჩევა და ადმინისტრირება ყველაზე კარგად ხდება კონსულტაციის პროცესის გზით და არა ავტოკრატიულ სტილში.

ამრიგად, აუდიტორული ფირმის პოლიტიკამ და პროცედურებმა უნდა მოითხოვოს გხკმ[2] კოტორებული სამეურნეო სუბიექტების ყველა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის და დაადგინოს კრიტერიუმები, რომელთა მიმართაც უნდა შეფასდეს გასული პერიოდების

[1] ბსფ-ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია

ფინანსური ინფორმაციის ყველა სხვა აუდიტი და მიმოხილვა, ასევე სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებები, იმის დასადგენად, უნდა ჩატარდეს თუ არა ამა თუ იმ გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა.

გარიგების ხარისხის კონტროლის ჩატარება საჭიროა კოტირებული სამეურნეო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი აუდიტის დასკვნის შედგენამდე. ნებისმიერ სხვა სიტუაციაში, სადაც ტარდება გხკმ[1]-ის დასრულებამდე. ასევე რეკომენდირებულია, რომ გხკმ-სთან დაკავშირებით ფირმის პოლიტიკის მოთხოვნებში გათვალისწინებული იყოს სახელმწიფო სექტორის მნიშნელოვანი სამეურნეო სუბიექტების აუდიტები.

თაღლითბის რისკი აუდიტში: რაც შეეხება აუდიტორის პასუხისმგებლობა თაღლითობისას, აუდიტორის ძირითადი პასუხისმგებლობაა მოსაზრების გამოხატვა ფინანსურ ანგარიშგების შესაბამისობაზე სტანდარტებთან. იმისთვის, რომ აუდიტორმა მინიმუმამდე დაიყვანოს აუდიტორის რისკი (შეცდომების ვერ აღმოჩენის რისკი) მან კარგად უნდა შეისწავლოს კომპანია და გამოავლინოს რისკები გამოწვეული თაღლითობით და შეცდომით. აუდიტორმა სათანადო პროცედურები უნდა განახორციელოს, რათა გაანეიტრალოს თაღლითობის რისკი. თუმცა თანდაყოლილი შეცდომების გამო აუდიტორმა შეიძლება ვერ აღმოაჩინოს ეს უკანასკნელი. აუდიტორის მიერ თაღლითობის აღმოჩენა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: განხორციელების სიხშირე რაც უფრო სისტემატური ხასიათი აქვს თაღლითობას მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ის აღმოჩენილი იქნება, მოცულობა რაც უფრო დიდი მოცულობის არის თაღლითობა მით უფრო შესამჩნევია ის და ადვილად აღმოსაჩენი, მენეჯმენტის ჩართულობა რაც უფრო ზედა დონის მენეჯმენტია ჩართული მით უფრო რთულია აღმოჩენა, რადგან ინფორმაცია უფრო რთულად მისაღებია და მენეჯმენტი ყველანაირად ცდილობს მის დამალვას, დაწერილი პროცედურების არ არსებობა როდესაც არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია რაიმე მოვლენის ან პრიცესის შესახებ რთულია თაღლითობის აღმოჩენა, უნარი და ცოდნა რაც უფრო დიდი ცოდნა აქვს ინდივიდს, მით უფრო რთულია თაღლითობის აღმოჩენა. რადგან კარგად დაგეგმილი თაღლითობა, კარგად არის შეფუთული[7].

თაღლითობის აღმოჩენა გართულებულია, როდესაც ის უკავშირდება საალრიცხო შეფასებებს. ამ დროს მენეჯმენტს აქვს უფრო დიდი მანიპულაციის შესაძლებლობა. მაგალითად, მენეჯმენტი განზრახ ამცირებს ძირითადი საშუალებების სასარებლო მომსახურების ვადებს, რათა შეამციროს ხარჯები და გაზარდოს კომპანიის მოგება. ამ დროს აუდიტორმა უნდა ჩაატაროს დამატებითი პროცედურები, რათა დარწმუნდეს, რომ თაღლითობას არ აქვს ადგილი.

თაღლითობის შეიძლება დავყოთ ორ ძირითად სახედ, როგორიცაა აქტივების დატაცება და ფინანსური ანგარიშგების განზრახ დამახინჯება. ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება შეიძლება ასევე დაიყოს ორ ქვესახედ, როგორიცაა კონტროლის თავის არიდება და წინასწარგანზრახულად ფინანსური ანგარიშგების დამახინჯება. მაგალითად, როდესაც მენეჯმენტს არ სურს ისეთი ინფორმაციის გაშუქება, რომელიც დამატებით ინფორმაციას მიაწვდის კომპანიის მდგომარეობის შესახებ ინვესტორებს. პრაქტიკაში არსებობს სამ მიზეზი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თაღლითობა. ეს მიზეზებია:

სტიმული - ინდივიდს აქვს სტიმული განახორციელოს თაღლითობა, როდესაც იგი ამ ქმედებისგან მოელის სარგებლის მიღებას. მაგალითად, როდესაც მენეჯმენტის ხელფასი დამოკიდებულია კომპანიისშემოსავლებზე. მენეჯმენტს აქვს სტიმული შემოსავლები დაამახინჯოს რადგან იგი მიიღებს სარგებელს გაზრდილი ხელფასის სახით.

[1] გხკმ - გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა

შესაძლებლობა - გულისხმობს, რომ ინდივიდს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს თაღლითობა. მას აქვს შესაძლებლობა თავი აარიდოს კონტროლს და განახორციელოს თაღლითური ქმედება. მაგალითად, როდესაც აქტივები არ არის დაცული, ინდივიდს შეუძლია მათი დატაცება.

რაციონალური საქციელი - გულისხმობს, რომ ინდივიდი არის ისეთ მდგომარეობაში, როდესაც თაღლითობა არის საუკეთესო გამოსავალი. მაგალითად, საამქროს უფროსს დაავალეს წარმოების მოცულობის გაზრდა დროის მოკლე პერიოდში, რისი შესრულებას შეუძლებელია, ამ შემთხვევაში მისთვის რაციონალური გამოსავალი არის წარმოების მოცულობის დამახინჯება. თაღლითობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ მენეჯმენტის და აუდიტორის პასუხისმგებლობა. მენეჯმენტი პასუხისმგებელია შემდეგზე: მენეჯმენტმა უნდა დანერგოს კომპანიაში ისეთი გარემო, რომ თანამშრომლებს ასტიმულირებდეს პატიოსნებისკენ. კომაპნიაში იყოს ურთიერთობის სათანადო ტონი, შესაბამისი სამუშაო გარემო და ა.შ მენეჯმენტმა უნდა დანერგოს პრევენციული და აღმომჩენი კონტროლები რათა გამორიცხოს და აღმოფხვრას თაღლითობის განხორციელების შემთხვევები. ამისთვის აუცილებელია დაინერგოს პროცედურები რისკების შეფასებისთვის, ძალისხმება მიმართული იყოს სარისკო არეებისკენ. მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს სათანადო სააღრიცხვო სისტემის დანერგვა, იმგვარად რომ ფინანსური ანგარიშგება რეალურად ასახავდეს კომპანიის მდგომარეობას. თაღლითობის გამომწვევი მიზეზები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:



აუდიტორმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს პროფესიული სკეპტიციზმით. ნებისმიერ საკითხს და ინფორმაციას უნდა შეხედოს კრიტიკული თვალით. ხომ არ შეიცავს ის უზუსტობას, ან ხომ არ არის დამახინჯებული. გარიგების გუნდის სამუშაო შეხვედრა არის მნიშვნელოვანი პროცედურა თაღლითობის რისკის აღმოსაჩენად. გარიგების გუნდი განიხილავს თაღლითობის ყველა პოტენციურ რისკს და მსჯელობს, რამდენად არსებობს კომპანიაში თაღლითობის რისკი. რისკის აღმოსაჩენად მნიშვენლოვანია მენეჯმენტთან გასაურება. მათგან უნდა ავიღოთ ინფორმაცია თაღლითობის შემთხვევების შესახებ ასეთის არსებობს დროს.

თაღლითობის რისკის არსებობისას აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს ისეთი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების გათავისუფლებას თაღლითობისგან. ასეთი პროცედურების სწორად დაგეგმვას დიდი მნიშვნელობა აქვს რისკის გასანეიტრალებლად.

აუდიტური თაღლითობის მაგალითად გამოდგება 2015 წლის მარტში მომხდარი ერთი ფაქტი როცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თაღლითობის ფაქტზე შპს „აუდიტორული კომპანია კონსალტინგ ჯორჯიას“ დირექტორი სიმონ ჭელიძე და მოქალაქე რობიზონ ონიანი დააკავა.

„გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა ერთ-ერთი მეწარმე სუბიექტი მოტყუებით დაარწმუნეს, რომ პირადი კავშირების გამოყენების გზით, დაეხმარებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების - 2 435 159 ლარის საგადასახადო შეთანხმების გაფორმების გზით, 200 000 ლარამდე შემცირებაში, რის სანაცვლოდაც მოტყუებით, თაღლითურად გამოართვეს 100 000 ლარი. აღნიშნულ ფაქტზე გრძელდებოდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვიდან ცხრა წლამდე“ ვკითხულობთ სტატიაში[8].

დასკვნები და რეკომენდაციები: ამრიგად, აუდიტის ხარისხის კონტროლის მექანიზმს არეგულირებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის დასკვნების უნიფიკაცია, საიმედოობა, რელევანტურობა და რაც მთავარია უტყუარობა. აღნიშნული სტანდარტების დანერგვით, მარეგურებელი საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული კანონპროექტების საფუძველზე ეკონონომიკურ სუბიექტებსა და დამოუკიდებელ აუდიტორებს შეუძლიათ თამამად განახორციელონ თვაიანთი საქმიანობა. კონტროლის ხარისხი განისაზღვრება სხვადასხვა ელემენტებით სხვადასხვა საფეხურზე. აქვე აღსანიშნავია შიდა კონტროლის სისტემის როლი, რომელსაც შეუძლია რისკ-ფაქტორების უკეთ ანალიზი, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველდღიური ინფორმაცია აქვთ საქმიანობის შესახებ. ხარისხის კონტროლის მნიშვნელობას ადასტურებს პრაქტიკაში არსებული რიგი შემთხვევები, მათ შორის თაღლითობისა და კორუფციის ფაქტები. ამიტომაცაა საჭრო სერთიფიცირების პროგრამები, რათა საქმეს პროფესიონალი აუდიტორები და ბუღალტერები გაუძღვნენ, ასევე მნიშვნელოვანია კანონის მხრიდან მკაცრი რეგულირება. თემაში მოყვანილია პრაქტიკული მაგალითი აუდიტორული თაღლითობის შესახებაც. აღნიშნული ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ აუდიტორული ხარისხის კონტროლის მნიშვნელობა და მისი ამოცანები. ამავდროულად აღნიშნულის დაასახვეწად დღის წესრიგში დგას ახალი კანონპროექტიც რომელიც ძველის მოდიფიკაციას, გაუმჯობესებულ ვერსიას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარაბაძე ე. - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი, 2009
2. სრესელი ნ. -აუდიტი, თეორია (ლექციების კურსი), 2013. http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics/library/
3. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1698895

4. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის სახელმძღვანელო (2009 წ.)((ბუღალტრი აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ბიბლიოთეკა).
5. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ეთიკის საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი 1 ნაწილი 2008 ((ბუღალტრი აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ბიბლიოთეკა).
6. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) . 2014 (ბუღალტრი აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ბიბლიოთეკა).
7. ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებლის სერტიფიცირების დებულება (პროგრამა) დამტკიცებული ბაფის გამგეობის მიერ 2014 წლის 7 თებერვალის #2 ოქმით.
8. Аренс Э. А, Лоббек Дж.К. _ Аудит. М., 2001 /www.google.ge
9. http://www.interpressnews.ge/ge/samartali/323246-auditoruli-kompania-qkonsalting-jorjiasq-direqtori-thaghlithobis-braldebith-daakaves.html?ar=A
10. http://www.gurianews.com/_/left_wide/38010_74_ka/biujetis_Sesrulebis_aRricxva_arasworad_mimdinareobs_auditis__daskvna.html
11. www.control.ge
12. www.aaf.ge
13. აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები თანამედროვე პერიოდში - №4 (196), 2016 ააფ-ი ჟურნალი.

Anotation

Each company is required to properly manage the natural existence of objective information. It includes information on the current situation in perspective. Most of this information is given in the financial statements. Financial reporting framework used for economic decision-making. Therefore, the objective of the financial statements of financial condition and its changes in the consumer sector, the company operation results and cash flow of information to the users. Because of this, the management is very important for the reliability of the high quality of information, because it is the right decision, which is the main purpose of the audit. Therefore, it is very relevant to the audit of the quality of a high level of achievement. The auditor, usually to carry out a separate audit of a suitable quality control procedures in order to make well-founded evidence that the audit complies with professional standards and applicable legal requirements and the audit report is appropriate in the circumstances.

Audit quality control aims at the protection of the principles and audit obtained sufficient audit evidence to support our audit opinion, including documentation, professional discussions and review of the audit report before the end of substantiating. Audit quality control is conducted. Annual audit plan shall determine which of the projects are subject to an audit review of audit quality control. The practice is common in the audit risk of fraud, which is derived from the company's internal politics as well as the auditor's.

ოფშორული კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიკაში

სალომე ზაბახიძე
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნაზირა კაკულია**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია ოფშორული ზონების წარმოშობისა და განვითარების თავისებურებები, მათი შექმნისა და რეგისტრაციის საკითხები. ოფშორული ზონების ფუნქციონირების მექანიზმში გასარკვევად მნიშვნელვანია ტერიტორიულობისა და რეზიდენტობის კრიტერიუმები -სწორედ ამ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული ნაშრომის მეორე თავში. ასევე, გაანალიზებულია ოფშორული ფირმების მოქმედების იურიდიული საკითხები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად განიხილება ოფშორული ზონების უცხოურ ინვესტიციებთან კავშირი. განსაკუთრებული ყურედღება ეთმობა საქართველოში საინვესტიციო კაპიტალის შემოდინებას, მათ მიზნობრიობას და კავშირს ოფშორულ ზონებთან. მოცემული თეორიული მასალის საფუძველზე მოცემულია სტატისტიკური მონაცემები ამ საკითხთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: *ოფშორი, კაპიტალი, ეკონომიკა, დაბეგვრა, ინვესტიციები.*

„ოფშორი (off-shore) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „სანაპიროდან დაშორებით“, „საზღვრებსგარეთ“, „ღია ზღვაში“, „იზოლირებული“. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი ნებისმიერი საქმიანობის მიმართ გამოიყენება, რომელიც ხორციელდება გარკვეული ტერიტორიის - ოფშორული ზონის საზღვრებს გარეთ.

ოფშორულ ზონად ითვლება ქვეყანა, ან ტერიტორია, რომლის კანონმდებლობაში ნებადართულია რეგისტრაციის ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანიის (ოფშორული კომპანიის) რეგისტრაცია. საერთაშორისო ორგანიზაცია **„ფინანსურო სტაბილურობის ფორუმი“**[1] ოფშორულ ზონას განსაზღრავს, როგორც „იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტივობის მაღალ დონეს განაპირობებს“. ეს აქტივობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ან მათი შემცირების შესაძლებლობით. შესაბამისად, ოფშორული ბიზნესი გადასახადების თავიდან აცილების, ან მათი შემცირების და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა, ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.

ოფშორული ბიზნესი ეფუძნება საკანონმდებლო აქტების კომპლექსს, რომელშიც შედის:[2]

- კორპორაციული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს გარკვეული სახის საქმიანობის-თვის (საბანკო, სადაზღვევო, სატრასტო და ა.შ.) ოფშორული კომპანიების შექმნის საკითხს.
- ოფშორული კომპანიების რეგისტრაციის პროცედურის მარეგულირებელი აქტები.
- ოფშორული კომპანიების მფლობელთათვის საგადასახადო შეღავათების განმსაზღვრელი

[1] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10--4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.4&d=HASH013b5fac850f3b2ff56cd93c.11&gt=1.

[2] მამულაშვილი ლ., ტუღუში გ., თავისუფალი ეკონომიკური ზონები - ოფშორული ცენტრები, თბილისი 2005, გვ. 87.

აქტები.

- ოფშორული კომპანიების მფლობელთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის შენახვის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები;
- საერთაშორისო შეთანხმებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ;
- შავი ფულის გათეთრების თავიდან აცილებაზე გამიზნული კანონმდებლობა;
- ოფშორული კომპანიების დაფუძნებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები.

არსებული ოფშორული ზონები დაყოფილია სამ ჯგუფად:

1. კლასიკური ოფშორული ზონები, რომლებსაც ახასიათებს გადასახადებისა და ანგარიშების არარსებობა და კონფიდენციალობის მაღალი დონე. ამ ჯგუფში შედიან: ბრიტანული ვირჯინიისა და სეიშელის კუნძულები, ნევისი, პანამა, დომინიკა, ბელიზი და სხვ.
2. დაბეგვრის ზომიერი დონის ოფშორული ზონები. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ კვიპროსი, ჰონგ-კონგი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ურუგვაი და სხვ.
3. სხვა ზონები, რომლებშიც დაბეგვრისა და ბიზნესის წარმოების თვალსაზისით გარკვეული შეღავათებია გათვალისწინებული. ამ ჯგუფში შემავალი სახელმწიფოები ფორმალურად ოფშორულ ზონებს არ მიეკუთვნებიან (მაგ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, კანადა, შვეიცარია და სხვ.), მაგრამ მათი საგადასახადო კანონები ზოგიერთი ოპერაციისა და ინვესტორათა ჯგუფისთვის ითვალისწინებს შეღავათიან (მასტიმულირებელ) დაბეგვრას, ან კომპანიების შემოსავლების დაბეგვრის დონის შემცირება ხდება საერთაშორისო შეთანხმებით ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ.

ოფშორული კომპანიების შესაქმნელად გამოიყენება ამჟამად ცნობილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. მიუხედავად ამისა, ძირითადად ოფშორული კომპანიების სამ სახეს გამოყოფენ: არარეზიდენტი კომპანია, გადასახადებისაგან განთავისუფლებული კომპანია და საეთაშორისო ბიზნეს კომპანია. ნებისმიერი კომპანიის საგადასახადო სტატუსი რეზიდენტობისა და ტერიტორიულობის კრიტერიუმებით განისაზღვრება.

რა კავშირშია ინვეტიციების შემცირება ოფშორების სკანდალთან?

2013 წლის 16 ივნისს ICIJ-იმ გამოაქვეყნა იმ კომპანიების სრული სია,[1] რომელიც ოფშორებში არიან დარეგისტრირებული და მათ შესახებ ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. დიდი რვიანის შეკრებაზე 17 ივნისს მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა მიიღეს საგადასახადო ნორმების გამკაცრების გადაწყვეტილება. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები შეთანხმდნენ, იმაზე , რომ გაცვალონ ინფორმაცია ერთმანეთში საკუთარი გადამხდელების შესახებ. ნორმები დაუწესდებათ იმ კომპანიებს, რომლებიც ოფშორებში დარეგისტრირებას გადაწყვეტენ. მათ უნდა გაასაჯაროონ რეალური მფლობელების შესახებ ინფომაცია. მულტინაციონალური კომპანიები ვალდებულნი უნდა იყვენენ, ყველა იმ საგადასახადო ორგანოს წინაშე წარადგინონ ანგარიშები, სადაც მათი მოქმედების არეალი ვრცელდება.

ორ წელიწადში ერთხელ საგადასახადო იუსტიციის ქსელი (Tax Justice Network) ფინანსური საიდუმლოებების ინდექსს (FSI) აქვეყნებს. ინდექსის ძირითადი მიზანია,

[1] http://geoeconomics.ge/?p=6482.

გამოავლინოს ის საგადასახადო იურისდიქციები, რომელიც ყველაზე მეტად იწყნარებს გადასახადების გადახდისგან თავის არიდებას, ფულის გათეთრებასა და სხვა მაქინაციებს. ქვეყნების შეფასება ხდება სხვადასხვა მაჩვენებლის ქულების დაჯამების შედეგად (დაფუძნებულია 15 ინდიკატორზე, მათ შორის საბანკო საიდუმლოებები, კორპორატიულ მმართველთა გამჭვირვალობა და თანამშრობლობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან).[1]

ინდიკატორის შეჯამებით, საბოლოო ჯამში, დგება ფინანსური გამჭბირვალობის ინდექსი. რაც უფრო მაღლაა ქვეყანა ინდექსი, მით უფრო ცუდად აფასებს ქსელი მის ფინანსურ სექტორში არსებულ მდგომარეობას. ახალი ინდექსი 2013 წლის 7 ნოემბერს გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც შვეიცარია ისევ სიის სათავეშია, მისი ფინანსური სექტორის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მდგომარეობა 2011 წლის შემდეგ მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა. მართალია, შვეიცარიამ მცირედი ცვლილებები გაატარა, განსაკუთრებით აშშ-ის ზეწოლის შემდეგ, თუმცა ინდექსში ეს მისი მდგომარეობის გამოსწორებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. რისი ძირითადი მიზეზიც ისაა, რომ შვეიცარია არ ცდილობს რეალური ღონისძიებები გაატაროს. საერთაშორისო ფინანსური გამჭვირვალობის კამპანიის ფარგლებში. თვითონ დიდი ბრიტანეთი ინდექსში მხოლოდ 21-ე ადგილს იკავებს, მაგრამ მისი სატელიტები, ჯერსი და კაიმანის კუნძულები, პირველ ათეულში არიან, ბერმუდის ოფშორთან ერთად. მათზე მსოფლიო ოფშორების ერთი მესამედი მოდის. ხოლო იმ ფულის უმეტესობა, რომელიც ამ ოფშორებში იყრის თავს, ლონდონში მიემართება.

ეს კუნძულები ოდნავ ღია გახდა, ვინაიდან საერთაშორისო წნეხი, ე.წ. ფინანსური სამოთხეების მიმართ ბოლო პერიოდში გაიზრდა. მათი მდგომარეობა ინდექსში მცირედით გაუმჯობესდა, განსაკუთრებით ვირჯინიის კუნძულების, რომელიც ბევრი ოფშორული კომპანიის "სამშობლოა". ბევრმა მათგანმა ხელი მოაწერა საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებას, რომელიც ინფორმაციის გარკვეულ დონეზე გაცვლის ვალდებულებას გულისხმობს. თუმცა, ზოგიერთი ოფშორი ჯერ ისევ არ თანხმდება ამ შეზღუდვებს და უფრო მეტად აფართოებს საგადასახადო შეღავათებს.

2013 წელს FSI ინდექსის საერთო მესიჯი ისაა[2], რომ მიუხედავად იმისა, რომ გამჭვირვალობის მიღწევაში საგადასახდო იურისდიქციებში მცირედი პროგრესი არის, ეს არ არის ჯერ სასურველი დონე. კარგი ახალი ამბავი ისაა, რომ დაიწყო კამპანია ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ, რომლიც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რამდენიმე აქტიც არსებობს, რომელმაც ამ პროცესს ხელი უნდა შეიწყოს, მაგალითად, აშშ-ს Foreign Account Tax Compliance Act და FATCA.

ყველა დიდ ქვეყანას აქვს თავისი ე.წ საგადასახადო ნავსაყუდელი, სადაც გადასახადებს მალავენ. მაგალითად, შეერთებულ შტატებს აქვს თავისი ოფშორი. არა ერთი თავისუფალი ზონა და რამდენიმე ოფშორი აქვს თავის ტერიტორიაზე ინგლისს, მათ შორის, კაიმანის კუნძულები; ჰონკონგის სახით აქვს ოფშორი ჩინეთს; ასევე, ოფშორი აქვთ იტალიას მონაკოს სახით, მონაკოთი სარგებლობს საფრანგეთიც, თუმცა თავისი ოფშორიც აქვს; გერმანიას – თავისი და ასე შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ ფარულად თუ ღიად, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებიც უწყობენ ხელს გადასახადების გადამხდელებს გადასახადის დამალვაში. მსოფლიოს ოფშორებში დღეისათვიდ დაახლოებით 8 ტრილიონი დოლარია დალექილი.

მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ყველამ იცის, ოფშორების გაუქმება არცთუ მარტივი საკითხია. თუმცა, ეს თემა აქტუალური გახდა, რადგან ოფშორების წყალობით მსოფლიო

[1] http://www.historyandpolicy.org/policy-papers/papers/history-of-tax-havens.

[2] http://geoeconomics.ge/?p=6482.

ეკონომიკებს უკვე მილიარდობით დოლარი აკლდება, რაც მათ მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. ჩეხეთი, რომელიც თავის დროზე ევროზონაში არ შევიდა, ახლა ამით სარგებლობს და გერმანიის ფინანსური სამყაროსთვის ოფშორულ ნავსაყუდელს წარმოადგენს. დღეს ორი ნავსაყუდელი აქვთ ევროპელებს: დანია, რომელიც, ასევე, არ არის ევროზონაში და ჩეხეთი. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს. რუსეთი თავის უკანონო შემოსავლებს ძირითადად მიმართავდა კვიპროსზე. რამდენიმე თვის წინ კვიპროსში ეს ფული გაიყინა და, სავარაუდოდ, რუსეთმა ის დაკარგა.

სპეციალისტთა შეფასებით, რუსეთში, საქართველოსა და ყაზახეთში არალეგალურად შემოსული ფული ოფშორში მიდის და ისევ უკან, ამ ქვეყნებში ბრუნდება ინვესტიციის სახით. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კვიპროსი არის რუსეთის ყველაზე დიდი ინვესტორი. საქართველოში ბოლო წლებში ყველაზე დიდი ინვესტიციები შემოსულია კაიმანის კუნძულებიდან და ჰოლანდიიდან. ჰოლანდიაც სერიოზული ოფშორია. საქართველოდან, ისევე, როგორც რუსეთიდან ფული მიდის ოფშორებში და იქიდან ბრუნდება ინვესტიციის სახით. საქართველოში ხშირია ბიზნესი, რომელთა პატრონები არიან უცნობი ჰოლანდიელები, ინგლისელები, ამერიკელები და ა.შ.

საინტერესოა, საქართველოს საინვესტიციო ტენდენციებს ზემოთ თქმული მოვლენების გათვალისწინებით რომ გადავხედოთ. 2012 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი კონტრიბუტორი გერმანიაა, თუმცა წინა წლებში ეს ასე არ იყო. 2005-2011 წლებში გერმანიის წლიური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში საშუალოდ 26 მილიონი აშშ დოლარი იყო[1], რაც გერმანიის მიერ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებული 142 მილიონი აშშ დოლარის 18%-ს შეადგენს.

2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50% საქართველოში ოთხი სხვადასხვა წყაროდან შემოვიდა, 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49% – ხუთი წყაროდან, 2009 წელს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 56% – ოთხი წყაროდან. თითოეულ ამ შემთხვევაში, ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის დიდ წილს ერთი მსხვილი ინვესტიცია შეადგენდა. მაგალითად, 2011 წელს ისევე, როგორც 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 22% მხოლოდ ერთ ქვეყანაზე მოდიოდა – ჰოლანდიასა (2011-ში) და გაერთიანებულ არაბთა საემიროებზე (2009-ში). ჰოლანდია, აზერბაიჯანი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ. გაერთიანებული სამეფოდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა პიკს 2006 წელს მიაღწია 187 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით, მკვეთრად შემცირდა 2009 წელს, ხოლო 2010-2012 წლებში საშუალო წლიურ 59 მილიონ აშშ დოლარამდე დასტაბილურდა. ჰოლანდიიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა როგორც 2007, ასევე 2011 წელს, 250 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2006-დან დღემდე ყველა სხვა წლებში კი 18 მილიონიდან 136 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობდა. ინვესტიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ვირჯინიის კუნძულები.[2]

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo.

[2] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo.

2012 წლის მეორე კვარტლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს, 2011 წლის მონაცემთან შედარებით 252 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები შეადგინა.

გრაფიკი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2003-2012)



წყარო: www.geostat.ge

2011 წელს, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ანგარიშში გლობალური ტენდენციების გაუმჯობესება აღინიშნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 17%-ით გაიზარდა, რამაც UNCTAD-სა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს საფუძველი მისცა ევარაუდათ, რომ ეს გლობალური რეცესიის დასასრულის დასაწყისი იყო. ეს ტენდენცია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2012-ში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიო მასშტაბით ისევ შემცირდა _ 18%-ით, აღმოსავლეთ ევროპის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ეკონომიკებსა და საქართველოში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებამ 28% შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მგრძნობელობის გათვალისწინებით, გლობალური შოკებისა და ეკონომიკური დაღმასვლის მიმართ, ადვილი იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება გლობალური ტენდენციების შედეგია; რომ, როგორც UNCTAD-ი განმარტავს, განვითარებული ქვეყნები საკუთარ პრობლემებთან გამკლავებაზე არიან ფოკუსირებულები და გარდამავალი ეკონომიკები უბრალოდ სუსტი საგარეო მოთხოვნის შედეგად ზარალდებიან. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტ-კრიზისულ პერიოდში, ეკონომიკურმა დაღმასვლამ სხვადასხვაგვარად იმოქმედა განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკებში ჩადებულ ინვესტიციებზე. 2011 წელს ზრდა საყოველთაო იყო, მაგრამ 2012-ში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება არათანაბრად მოხდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გლობალური შემცირება, ძირითადად, აშშ-ში და იმ ევროპულ ქვეყნებში აღინიშნა, რომლებსაც ევროზონის კრიზისი ყველაზე მეტად შეეხო. ეს კლება, ერთად აღებული, იმდენად სერიოზული იყო, რომ გლობალური აგრეგირებული მონაცემები შეამცირა. ამასობაში, და პირველად ისტორიაში, განვითარებადი სამყაროს წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში განვითარებული ქვეყნებისას აღემატებოდა, ხოლო საქართველოს მეზობელ თურქეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები თანმიმდევრულად მატულობდა.

ბოლო წლის განმავლობაში საქართველოში ინვესტიციები შემცირებულია. რას უკავშირდება ეს? მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებს? გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს? საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს? თუ ოფშორებთან დაკავშირებულ საყოველთაო კრიზისს? ერთი რამ ცხადია, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების დიდი წილი ოფშორულ ზონებზე მოდიოდა. ახლა ეს ნაკადი შემცირებულია.

უცხოური ინვესტიციები და ოფშორული ფული

2014 წლის მესამე კვარტალში, საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი – ნახევარ მილიარდ აშშ დოლარზე მეტი – დაფიქსირდა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წლის მე-3-ე კვარტალში 508 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 99%-ით აღემატება 2013 წლის მე-3-ე კვარტალის დაზუსტებულ მაჩვენებელს. კვარტალური მაჩვენებლების დონეზე 2009 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. აღსანიშნავია, რომ რეინვესტირების დონემ 26% შეადგინა, ხოლო ახალი კაპიტალის წილი ამ მაჩვენებელში 73%-ია. 2013 წლის მესამე კვარტალში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 255 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა; 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 199 მლნ. აშშ დოლარს. 2014 წლის მესამე კვარტალში, 2011 წლის მესამე კვარტალთან შედარებით კი ზრდა 60%-ია[1].

რაც შეეხება პირველი სამი კვარტლის ჯამურ მაჩვენებელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 923 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2013 წლის 9 თვეში ეს მაჩვენებელი 715 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა; 2012 წლის 9 თვეში კი 678 მლნ. აშშ დოლარს. რაც იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის 9 თვეში, 2013 წლის 9 თვესთან შედარებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია 29%-ით; 2012 წლის 9 თვესთან შედარებით – 36%-ით. 2011 წლის 9 თვესთან შედარებით კი 19%-ით.



*წინასწარი მონაცემები.

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo.

27%-იანი მატებით გამოიხატა, წინა, 2010 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით. თუმცა, 2014 წლის მესამე კვარტალში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2014 წლის II კვარტალის მაჩვენებელს 3,4-ჯერ აღემატება.

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, ქვეყნებიდან ჩინეთი ლიდერობს, საიდანაც, 2014 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა 149 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორების ნუსხა ასე გამოიყურება: ჩინეთი – 149 მლნ. აშშ დოლარი (ინვესტიციების 29%); აზერბაიჯანი – 95 მლნ. აშშ დოლარი (19%); ნიდერლანდები – 90 მლნ. აშშ დოლარი (18%); პანამა – 44 მლნ. აშშ დოლარი (9%); მალტა – 34 მლნ. აშშ დოლარი (7%); გაერთიანებული სამეფო – 27 მლნ. აშშ დოლარი (5%); აშშ – 26 მლნ. აშშ დოლარი (5%); თურქეთი – 20 მლნ. აშშ დოლარი (4%); რუსეთი – 16 ლნ. აშშ დოლარი (3%) და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის მესამე კვარტალში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი მშენებლობაზე მოდის. 2013 წლის საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ სექტორში, სულ 181 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა[1], რაც მთლიანი ინვესტიციების 36%-ს შეადგენს.

განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, მშენებლობას მოჰყვება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სადაც 109 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია (მთლიანი ინვესტიციების 21%) განხორციელდა, შემდეგ მოდის უძრავი ქონება – 61 მლნ. აშშ დოლარი (12%), დამამუშავებელი მრეწველობა – 48 მლნ. აშშ დოლარი (9%), საფინანსო სექტორი 38 მლნ. აშშ დოლარი (8%), ენერგეტიკა – 36 მლნ. აშშ დოლარი (7%), სხვა – 34 მლნ. აშშ დოლარი (7%).



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის სამ კვარტალში ერთად, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის. 2013 წლს, აღნიშნულ სექტორში, სულ, 254 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მთლიანი ინვესტიციების 27%-ს შეადგენს. მას მოჰყვება მშენებლობა (მთლიანი ინვესტიციების 22% განხორციელდა), დამამუშავებელი მრეწველობა - 16,5%, უძრავი ქონება - 12%, ენერგეტიკა - 10% და ა.შ.

[1] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo.

2014 წლის სამ კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა საფინანსო სექტორში (-222,4 მლნ. აშშ დოლარი). საბანკო სექტორში ცვლილება გამოიწვია, 2014 წლის მეორე კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან თანხის გადადინებამ უცხოურ პორტფელურ ინვესტიციებში.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ჯერჯერობით ლიდერი მხოლოდ მესამე კვარტლის მონაცემების მიხედვით არის, რაც შეეხება, 2014 წლის პირველი სამი კვარტლის ჯამურ მაჩვენებლებს, ამ შემთხვევაში, საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, ქვეყნებიდან ნიდერლანდები ლიდერობს, საიდანაც განხორციელდა 264,4 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია (28.6%), მას მოსდევს აზერბაიჯანი – 218,6 მლნ. აშშ დოლარი (23,7%); ჩინეთი – 156,6 მლნ. აშშ დოლარი (ინვესტიციების 17%); თურქეთი – 74,8 მლნ. აშშ დოლარი (8,1%); ლუქსემბურგი – 71,2 მლნ. აშშ დოლარი (7,7%); აშშ – 59,2 მლნ. აშშ დოლარი (6,4%); რუსეთი – 54,7 ლნ. აშშ დოლარი (5,9%); გაერთიანებული სამეფო – 48 მლნ. აშშ დოლარი (5%); პანამა – 44 მლნ. აშშ დოლარი (4,8%); მალტა – 39,5 მლნ. აშშ დოლარი (4,3%) და ა.შ.

ევროკავშირიდან დაფიქსირდა 178.9 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია,[1] რაც ჯამური მაჩვენებლის 35.3%-ს შეადგენს და 6%-იან ზრდას წარმოადგენს მიმდინარე წლის II კვარტალთან შედარებით. 2013 წლის III კვარტალთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია 69.1%-ით, ხოლო 2012 წლის III კვარტალთან შედარებით – თითქმის 5-ჯერ. დსთ-დან შემოსულმა ინვესტიციებმა შეადგინა 110.8 მილიონი აშშ დოლარი (რაც ჯამური მაჩვენებლის 21.8%-ია) და წარმოადგენს 21.2%-იან ზრდას მიმდინარე წლის მე-2-ე კვარტალთან შედარებით.[2]



რაც შეეხება მესამე კვარტლის წამყვანი 3 ინვესტორი ქვეყნის სექტორულ მონაცემებს: ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციის 97.5%-ზე მეტი სამშენებლო სექტორზე მოდის (დაახლოებით 145 მილიონი აშშ დოლარი). აზერბაიჯანიდან შემოსული ინვესტიციის უდიდესი წილი მოდის ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (90% – დაახლოებით 86 მილიონი აშშ დოლარი), ხოლო ნიდერლანდებიდან შემოსული თანხები ძირითადად

[1] http://geoeconomics.ge/?p=8009.

[2] http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo

მრეწველობაზე, ენერგეტიკაზე, მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე და სამთომოპოვებით მრეწველობაზე გადანაწილდა.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური კომპანიების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას არ ასაჯაროებს, თუმცა ცნობილი ხდება იმ 20 კომპანიის სახელი, რომლებიც ინვესტორების სიის სათავეში არიან. პირველ ადგილზე არის ჩინური კომპანია Hualing International Special Economic Zone, რომელიც თბილისის ზღვაზე ოლიმპიურ სოფელს 2012 წლიდან აშენებს 17 საცხოვრებელი კორპუსით, საიდანაც 9 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის სტუმრების დაბინავებას უზრუნველყოფს კომპანია „ჰუალინგი“ „ბაზისბანკის“ საკონტროლო წილის მფლობელიცაა.

მეორე ადგილზეა „ბი ფი ჯგუფი“, რომელიც ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობს. მესამე ადგილზეა „ოლდ სითი დეველოპმენტი“, რომელიც საქართველოს საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 2014 წელსაა რეგისტრირებული, მისი 100%-იანი წილის მფლობელი კი პანამაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ფრექსტონ ინტერნეიშენალია“. უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების ოცეულში ასევე შედიან „აჭარის წყალი ჯორჯია“, „აიდიეს ბორჯომი საქართველო“, „მაგთიკომი“, „CBD Development“, „ვიმ-ბილ-დან საქართველო“, „რაკიინ დეველოფმენტი“, „აბრი ჯორჯია“, „ენერგო პრო ჯორჯია“, „მერსინ ტურიზმი“, „თელასი“, „რუსთაველი ფროფერთი“, „ველაჯიო“, „სილქნეთი“.

დასკვნები და რეკომენდაციები. თანამედროვე მსოფლიოს ყურადების საგანია ოფშორი და დამალული კაპიტალი და ამნისტია. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ისეთ ვითარებაში, როგორშიც საქართველოა და რომელიც ურთულეს რეგიონულ გარემოში იმყოფება, რუსეთისა და აზრებაიჯანის სავალუტო-საფინანსო კოლაფსის, თურქეთის ლირის დევალვაციისა და რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ემბარგოსა და რუსეთზე სანქციების გამო აუცილებელია რომ საქართველომ გადადგას მკაცრი, შეიძლება არაპოპულარული, მაგრამ საჭირო ნაბიჯი-გამოაცხადოს სრული ფინანსური და საგადასახადო ამნისტია და ოფშორიდან გამოიძახოს ქართული კაპიტალი. ეს არაა ახალი ველოსიპედის გამოგონება, ყველაზე კარგია იტალიის მაგალითი-მან 2000 წლიდან 4 ჯერ განახორციელა ამნისტია და, საერთო ჯამში, 160 მილიარდი ევრო დაიბრუნა.

შეიძლება ვთქვათ რომ ეს გარკვეულწილად დათმობაა, მაგრამ ამ კრიზისულ სიტუაციაში სხვა გზა არაა! მიუხედავად იმისა, რომ იტალიისა და საქართველოს საგადასახადო სისტემები

განსხვავდება ერთმანეთისაგან, საქრათველოდან პოლიტიკური რისკის გამო ბოლო 25 წელი დიდი ოდენობის კაპიტალი იქნა გატანილი და ამ 25 წლის ნამოქმედარს ერთად უნდა გამოუცხადოს საქართველომ ამნისტია იტალიური სქემით-ანუ შემოტანილი კაპიტალის 3%დაიბეგრება იმ ბანკებში, სადაც ჩაირიცხება და ფული ითვლება ინვესტირებულად და ამნისტირებულად. ეს რეპატრიაცია იქნა გაკეთებული იტალიის ეკონომიკის მინისტრის ჯულიანო ტრემონტის მიერ, მისი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ნებისმიერ იტალიელს, რომელიც უცხოეთის ოფშორებში ინახავდა ფულს 3%-ად შეეძლო იტალიაში გადაეტანა და დაუსჯელად დაებანდებინა ის. ასევე, ნებისმიერ ქართველს შეუძლია 3%-იანი გადასახადი ჩარიცხოს ბანკში და განთავისუფლდეს ნებისმიერი საკანონმდებლო დევნისაგან. ბანკის მიერ გაცემული საბუთი და ბიუჯეტში გადახდილი 3%-იანი გადასახადი იმავდროულად იქნება დეკლარაცია. შექმნილი დეკლარაცია, რომელსაც ბანკები გასცემენ ჩარიცხვის საფუძველზე, იქნება საგადასახადო ამნისტიის და ფულის თავისუფლად განკარგვის გარანტია. ეს საგადასახადო ანმნისტიასთან ერთად არამარტო ხელს შეუწყობდა ლარის განმტკიცებას და სამუშაო ადგილების შექმნას, არამედ საშუალო კლასის ლეგალური ბიზნეს ფენის შექმნას და დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას. აღნიშნული პროცესები კი ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo.
2. მამულაშვილი ლ, ტუღუში გ, თავისუფალი ეკონომიკური ზონები - ოფშორული ცენტრები, გვ. 87, თბ., 2005.
3. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika5_48556.pdf.
4. http://geoeconomics.ge/?p=6482.
5. http://geoeconomics.ge/?p=8009.
6. http://geoeconomics.ge/?p=10778.
7. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika5_48556.pdf.
8. http://bfm.ge/ekonomika/ofshorebi-kriminaluri-zona-ar-aris/.
9. http://www.ofxt.ru/tax-havens/.
10. http://www.historyandpolicy.org/policy-papers/papers/history-of-tax-havens.
11. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.4&d=HASH013b5fac850f3b2ff56cd93c.11&gt=1.

Annotation

This article is about the formation and development features of the offshore zones and issues how they were registrated and created.The second chapter is focusing on Territoriality and residency criteria In order to make clear how offshore zones are functioning. There is also analyzed legal issues of the offshore zone firms. the connection of the offshore zones to the foreign investments is considered as one of the most important problems. A special attention is paid to the capital inflow in Georgia, its purposes and connection to the offshore zones. To rely on this theoretical material basis here we have got statistical data below.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი

მირიან თედიაშვილი
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **რამაზ ფუტკარაძე**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სახელმწიფო ვალის მართვის და ეფექტიანად გამოყენების პრობლემის კვლევა საქართველოში ახალი საქმეა. 90-იან წლებამდე საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო ვალები არ გააჩნდა. სსრკ-ს როგორც საგარეო, ისე შიგა ვალების და ,გასაკუთრებით, საგარეო აქტივებისა და პასივების შესახებ მონაცემები გასაიდუმლოებული იყო და ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ექვემდებარებოდა, ამასთან არ არსებობდა საბჭოური ვალების მართვისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე ეკონომიკური გამოკვლევები.

საქართველოში საგარეო და შიგა ვალების შესახებ კვლევა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყება.

ჩვენი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან (სსფ, EBRD, მსოფლიო ბანკი დ.ა.შ). ქვეყნის საკუთარი რესურსების სიმცირემ გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან რესურსების მოზიდვის სურვილი, მათ შორის საგარეო ვალების აღების საკითხი. ნაშრომში მოყვანილია მონაცემები საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის შესახებ. ახსნილია დადებითი და უაროფითი მხარეები, ასევე, შეძლებისდაგვარად, შემუშავებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ვალი, GDP, კაპიტალი, დონორი, ევროობლიგაციების მეორადი ბაზრი, პროგნოზები.*

სახელმწიფო ვალის მართვის და ეფექტიანად გამოყენების პრობლემის კვლევა საქართველოში ახალი საქმეა. 90-იან წლებამდე საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო ვალები არ გააჩნდა. სსრკ-ს როგორც საგარეო, ისე შიგა ვალების და ,გასაკუთრებით, საგარეო აქტივებისა და პასივების შესახებ მონაცემები გასაიდუმლოებული იყო და ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ექვემდებარებოდა, ამასთან არ არსებობდა საბჭოური ვალების მართვისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე ეკონომიკური გამოკვლევები.

საქართველოში საგარეო და შიგა ვალების შესახებ კვლევა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყება.

საერთაშორისო ეკონომიკის თვალსაზრისით საქართველოს გააჩნია ღია ეკონომიკა. ჩვენი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან (სსფ, EBRD, მსოფლიო ბანკი და ა.შ). ქვეყნის საკუთარი რესურსების სიმცირემ გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან რესურსების მოზიდვის სურვილი, მათ შორის საგარეო ვალების აღების საკითხი. სწორედ საკითხის აქტუალურობამ განაპირობა ჩემი დაინტერესება საქართველოს საგარეო ვალისადმი. მე ,შევეცდები, ქვემოთ მოვიყვანო მონაცემები საქართველოს საგარეო ვალის შესახებ, ავხსნა დადებითი მხარეები და პრობლემები, ასევე ვეცდები რეკომენდაციების შემუშავებას.

სახელმწიფო საგარეო ვალი - უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი წარმოადგენს იმ ძირითადი თანხების ერთობლი-

ობას, რომლებიც წარმოიქმნება სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირდაპირი ვალდებულებების შეუსრულებლობით. საგარეო სახელმწიფო ვალის ფორმებია: სხვა სახელმწიფოებისგან ან სხვა სახელმწიფოს საფინანსო აგენტებისგან აღებული ვალი; უცხო ქვეყნების საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალი; ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით დენომინირებული, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ვალი (საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“).

სახელმწიფო ვალი წარმოადგენს დროის გარკვეული მომენტისათვის სახელმწიფო სექტორის მიერ გამოყენებულ, მაგრამ დაუფარავ სავალო ვალდებულებათა ჯამს. სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი მათზე დარიცხული საპროცენტო გადასახდელებით , რომლებიც მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის, ქმნის სახელმწიფო ვალს.

არსებობს სახელმწიფო შიგა და საგარეო ვალი:

სახელმწიფო შიგა ვალი - მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მოქალაქეებისაგან აღებული ვალია.

სახელმწიფო საგარეო ვალი - მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან აღებული სესხია და გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის სავალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის წინაშე.

სახელმწიფო ვალს იღებს ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში სამთავრობო ხარჯების გადიდებისას, რაც ისტორიულად უკავშირდება ომებსა და ეკონომიკის დაქვეითებას.

სახელმწიფო საგარეო/შიგა ვალის აღება თანამედროვეობის გარდაუვალი მოვლენა გახდა. ეს პროცესი დამახასიათებელია როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნებისათვის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია და ა.შ.). ე.ი. რადგან ყველა ქვეყანა იღებს ვალს, სახელმწიფოს მიერ ვალის აღება არცთუ ცუდი მოვლენაა?!

განვითარებული ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალი იშვიათად იყოფა საშინაო და საგარეო ვალად. ამ ქვეყნებში ფინანსური ბაზრების გახსნილობა და განვითარებულობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისადმი (რაც ვალის აღების პრაქტიკულად ერთადერთი ფორმაა) როგორც ქვეყნის რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირების ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ მიღწევადობას უზრუნველყოფს და ამიტომაც რთულია იმ ზღვრის გავლება, რომელიც კრედიტორებს რეზიდენტობის მიხედვით დაყოფს.

სამწუხაროდ საქართველო ამგვარი ქვეყნების რიცხვში არ ხვდება. გარდა ამისა, თუ განვითარებული ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალი ბიუჯეტების დეფიციტის ჯამია, საქართველოსათვის სახელმწიფო ვალის წარმოშობა განსხვავებულია. საქართველოში სახელმწიფო ვალი წარმოქმნილია როგორც ბიუჯეტების დეფიციტების დასაფინანსებლად, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ტვირთების ღირებულების ანაზღაურებისათვის ან მოხმარებული ბუნებრივი აირის გადაუხდელი საფასურისგან, აგრეთვე ე.წ. სასაქონლო კრედიტის მიღებისაგან.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალს მისი მოცულობა 1995 წლიდან მკვეთრად იზრდება (ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა ბოლო 22 წლის განმავლობაში თითქმის გაოთხმაგდა. სავალალოა 2008 და 2009 წლის საგარეო ვალის ზრდის მონაცემები, რაც როგორც მოგეხსენებათ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აქტიური სამხედრო მოქმედებების განხორციელების და შედეგად ომის მიზეზი იყო.

ცხრილი1

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	ვალის მოცულობა		წელი	ვალის მოცულობა
1995	1,150		2006	1,698
1996	1,348		2007	1,790
1997	1,486		2008	2,692
1998	1,627		2009	3,382
1999	1,636		2010	3,937
2000	1,556		2011	4,176
2001	1,521		2012	4,357
2002	1,659		2013	4,202
2003	1,754		2014	4,200
2004	1,858		2015	4,315
2005	1,735		2016[1]	4,39 5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (2004 წლამდე), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 1 მარტის მდგომარეობით

სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე სარეიტინგო სააგენტოების „Standard & Poor's"-ის, „Fitch"-ის და „Moody's"-ის მიერ. აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით. ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს. 2011 წელს საქართველომ წარმატებით გამოუშვა მეორე, ამჯერად 10-წლიანი ევროობლიგაცია რომლის ფინანსური პარამეტრები მიმზიდველობის თვალსაზრისით გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა 2013 წელს ერთჯერადად გადასახდელი ძირითადი თანხა და შესაბამისად კიდევ უფრო ხელსაყრელი გახადა სახელმწიფო ვალის დაფარვის გრაფიკი.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. სამინისტრო

აწარმოებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას შიდა ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ფასიანი ქაღალდების ემისია აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მაღალი სანდოობის მქონე კაპიტალის მოზიდვის გზით.

მონაცემები, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის თანაფარდობა GDP-სთან, წარმოდგენილია გრაფიკზე:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო ვალის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად შემცირდა 2003 წლიდან. ამას მოჰყვა კოეფიციენტების დროებითი ზრდა 2008-10 წლებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე არამარტო საქართველოში არამედ მთელს რეგიონში. ვალის კოეფიციენტების კლების ტენდენცია გაგრძელდა 2011 წლიდან, საქართველოში განახლებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში და სახელმწიფო ვალის გონივრული მართვიდან გამომდინარე, რომლის მიზანია სახელმწიფო ვალის შენარჩუნება სათანადო ლიმიტების ფარგლებში.

სასარგებლო ინფორმაციას მივიღებთ, თუ შევადარებთ საქართველოს სახელმწიფო ვალის თანაფარდობას GDP-სთან სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (2015 წელი):



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ფინანსთა სამინისტრო

სხვა ქვეყნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოში მთავრობის ვალის დონე გაცილებით უფრო დაბალია ვიდრე ბევრ სხვა წამყვან ქვეყანაში.

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი მთლიანი სახელმწიფო ვალის 75%-ს წარმოადგენს. ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან და ძირითადად შეღავათიანია. სახელმწიფო საგარეო ვალის ასეთი ხელსაყრელი სტრუქტურა საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას ძალიან დაბალი საშუალო

შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ წლიური 1.9%-ის ოდენობით. საქართველოს სახელმწიფო ვალის სტრუქტურა წარმოდგენილია გრაფიკზე:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები, ძალიან დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთი და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკი ძირითადი თანხების დაბალი და ადვილად ხელმისაწვდომი ყოველწლიური გადასახდელებით - ეს არის იმ ძირითადი ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების სტაბილურად დაბალ დონეს და კლებად ტენდენციას. ნებისმიერი ერთი ფისკალური წლის განმავლობაში ვალის მომსახურებაზე მიიმართება საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, რაც საშუალებას იძლევა რომ საბიუჯეტო ასიგნებები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებზე და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. თვალსაჩინოებისათვის გრაფიკზე წარმოდგენილია ტენდენცია საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების შესახებ (%-ად ბიუჯეტის შემოსავლებთან) წლების მიხედვით:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 73% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ამ ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ და ადვილად ხელმისაწვდომ დონეზე მიუხედავად გაურკვეველი გლობალური ეკონომიკური სიტუაციისა.

გადავხედოთ 2011 წელს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ევროობლიგაციის დინამიკას (გრაფიკი 1 გვ.10). გრაფიკზე წარმოდგენილია ევროობლიგაციების ფასისა და მასზე შემოსავლიანობის ცვალებადობის ამსახველი მრუდები 2011 წლის აპრილიდან 2016 წლის თებერვლის ჩათვლით. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ევროობლიგაციების მეორადი ბაზრის ფასი ძირითადად აღემატება ნომინალურ ფასს (par value), ხოლო შემოსავლიანობა (yield) მნიშვნელოვნად შემცირდა (6.92-დან, 2011 წლის აპრილი, 5.23-მდე, 2016 წლის თებერვალი). ფასის/შემოსავლიანობის ეს დადებითი ტენდენცია ადასტურებს საერთაშორისო ინვესტორთა საზოგადოების ურყევ ნდობას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკის მიმართ.

გრაფიკი 1



წყარო: *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*

გარდა ევრო ობლიგაციების გამოშვებისა, შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით და ინვესტორთა მხრიდან არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეტაპობრივად ახორციელებს სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდას და ვადიანობის გახანგრძლივებას 6 თვიდან 10 წლამდე. 2012 წელს ფინანსთა სამინსტრომ დაიწყო 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. ამის პარალელურად, 2011-2012 წლების განმავლობაში საპროცენტო განაკვეთები (კუპონის და დისკონტის განაკვეთები) სტაბილურად მცირდება, რაც ასახავს ინვესტორების ნდობას საქართველოს ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის და არსებული სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს გრაფიკიც:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრიუსელის დონორთა კონფერენცია და საქართველო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის წამყვანი უწყება საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის კოორდინაციის კუთხით. დონორთა კოორდინაციის ძირითადი ამოცანაა დონორთა მხარდაჭერის ეფექტიანობის გაზრდა და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების და პროგრამების მორგება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მოზიდვა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, რათა შენარჩუნებული იქნას სახელმწიფო ვალის არსებული ხელსაყრელი პარამეტრები.

2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 35-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საქართველომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისგან მიიღო შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები საერთო მოცულობით 4.5 მილიარდი აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. კონფერენციის ასეთმა წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

ბრიუსელის დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოსათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეკონომკური სექტორების მიმართ აღწერილია გრაფიკზე:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

კონფერენციაზე მიღებული დაპირებების განხორციელება წარმატებულად მიმდინარეობს. საჯარო და კერძო სექტორებში დონორებთან უკვე გაფორმებულია შეთანხმებები დაპირებული თანხის მთლიან მოცულობაზე. დონორების ეს მხარდაჭერა ითვალისწინებს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების და გრანტების გამოყოფას პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების და პროგრამების დასაფინანსებლად ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ურბანული და მუნიციპალური განვითარების სექტორებში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად და იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. დონორთა ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმართება კერძო სექტორის მხარდასაჭერად. კონფერენციის შედეგად გამოყოფილი ფინანსური რესურსის ნაწილი უკვე ათვისებულია. დარჩენილი თანხების ათვისება გაგრძელდება მომავალი წლების განმავლობაში, დონორების მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დინამიკის შესაბამისად. ათვისების ეს გრაფიკი ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის და დასაქმების წახალისებას ქვეყანაში იაფი ფინანსური რესურსის შემოდინების გზით და შესაბამისად კიდევ უფრო გაამლიერებს ქვეყნის ეკონომიკის დაცულობას უარყოფითი გლობალური ეკონომიკური ფაქტორებისგან.

დასკვნები და რეკომენდაციები: ზემოაღწერილი მონაცემები საქართველოს სახელმწიფოს არცთუისე სავალალო შედეგებს აღწერს, პირიქით რაღაც მაჩვენებლებით მდგომარეობა უკეთესობისაკენ მიდის კიდეც. ასე მაგალითად: მიუხედავად იმისა რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი იზრდება წლიდან წლამდე, კლებულობს მისი მატების ტემპი. ცხრილი 1-დან ჩანს რომ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით სახელმწიფო საგარეო ვალის მატების ტემპი 2% იყო, როცა წინა წლების გასაშუალოებული მაჩვენებელი დაახლოებით 4%-ის ფარგლებში მერყეობდა, ამ მიმართულებით დამაიმედებელ პროგნოზს იძლევა ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო საგარეო ვალის GDP-სთან თანაფარდობის მაჩვენებლის ტენდენციაც შემცირებისკენაა მიმართული (გრაფიკი გვ.7-ზე). საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციაზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ სახელმწიფო საგარეო ვალის მხრივ, საქართველო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება ვიდრე სხვა ჩვენზე მეტად განვითარებული ქვეყანა: აშშ, იტალია, ჩეხეთი, საბერძნეთი და ა.შ. (გრაფიკი გვ. 8). მიუხედავად გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალების მომსახურების განაკვეთები სტაბილურია, რაც საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოსადმი საკმაო ნდობის ხარისხით არის განპირობებული.

უნდა ვიღებდეთ თუ არა სახელმწიფო საგარეო ვალს წლიდან წლამდე? საქართველო პატარა, ეკონომიკურად სუსტი, პოსტსაბჭოური ქვეყანაა, რომელსაც განვითარებისათვის არ გააჩნია საკმარისი საკუთარი რესურსები, შესაბამისად ეკონომიკის გახსნილობა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, ანუ საგარეო რესურსები, საქართველოსათვის ჟანგბადივითაა, რომლის გარეშეც არსებობა და, მითუმეტეს, განვითარება წარმოუდგენელია.

რა ნიშნულამდეა შესაძლებელი სახელმწიფო საგარეო ვალის ზრდა? ამ კითხვაზე პასუხი არ არის მარტივი, რადგან სახელმწიფო რომელმაც მიაღწია განვითარების პიკს და აღარ სჭირდება საგარეო რესურსები ფაქტობრივად არ არსებობს. ეს ალბათ განვითარების უწყვეტი ხასიათიდანაა გამომდინარე, აქედან დასკვნა: მნიშვნელოვანია არა სახელმწიფო საგარეო ვალის სრულიად აღმოფხვრა, არამედ მისი სტაბილიზაცია, ანუ მისი ზრდის ტემპის გონივრულ ფარგლებში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებთან შესაბამისობაში, შენარჩუნება.

გვჯერა, რომ დადგება ის დრო როდესაც საქართველოს აღარ დასჭირდება ვალის აღება და გახდება წმინდა დონორი, მანამდე კი მნიშვნელოვანია სახელმწიფო საგარეო ვალის გონივრულ ფარგლებში შენარჩუნება და ამ რესურსების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის, რაც განვითარების უალტერნატივო პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამირან ჯიბუტი, ივანე ღლონტი - საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, თბილისი 2003.
2. ამირან ჯიბუტი - საქართველოს საგარეო და შიგა ვალი, თბილისი 2003.
3. ოლივიე ბლანშარი - მაკროეკონომიკა, მეხუთე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2010.
4. ირინა გოგორიშვილი, ეკა ლეკაშვილი, ნინო პაპაჩაშვილი, ეკა სეფაშვილი, დავით სიხარულიძე, ლარისა ყორღანაშვილი, შოთა შაბურიშვილი, ლელა ჯამაგიძე - საერთაშორისო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2012.
5. ნოდარ ხადური - საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, თბილისი 2011.
6. ვლადიმერ პაპავა - პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ, თბილისი 2013.
7. ვლადიმერ პაპავა - საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, თბილისი 2013.
8. საქართველოს მთავრობა - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, ნოემბერი 2013, გვ. 15.
9. http://www.enterprisesurveys.org/~/media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Profiles/English/georgia-2013.pdf
10. http://www.imf.org/external/np/eu2/2001/edebt/eng/
11. http://www.transparency.ge/node/5444
12. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=353
13. http://www.mof.ge/4418
14. http://forbes.ge/news/539/2014-wlis-saqarTvelos-ekonomika-da-2015-wlis-gamowvevebi

Annotation

State debt management and effective use of research is a new job in Georgia. Until the 90's Georgia hadn't had its own independent foreign debts. The Soviet Union's foreign and domestic debts and, especially, foreign assets and liabilities classified data and information was not subject of official statistics, however, there was no any economic studies about the management and efficient use of the Soviet debts.

Georgia's foreign and internal debts survey begins since independence.

Our country is actively cooperating with international organizations (IMF, EBRD, World Bank, etc.). Georgia does not have a sufficient amount of its own resources, so it is forced to attract foreign resources, including foreign debts. The importance of the issue led my interest to research Georgia's foreign debts. Reference work presents data of Georgia's foreign debts, it's explained the advantages and disadvantages of the debt and also there are developed the recommendations about the issue, why we need the debt?

საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაცია და თანამედროვე ბიზნესსაქმიანობის გარემო

სალომე კალანდია
მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხალმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი **იზოლდა ჭილაძე**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა, რომელიც დანახარჯთა ეფექტურად მართვის საშუალებას იძლევა. ნაშრომის მიზანია იმ ფაქტორების გამოვლენა, რის გამოც უმჯობესი იქნება კომპანიებმა დანერგონ ABC სისტემა.

ABC კალკულაციის სისტემა წარმოადგენს დანახარჯთა ტრადიცული მართვის სისტემის ალტერნატივას. ეს უკანასკნელი ხშირად ზედნადებ ხარჯებს თვითნებურად ანაწილებს, განსხვავებით საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემისაგან, რომელიც არაპირდაპირ ხარჯებ უფრო დიდი სიზუსტით მიაკუთვნებს პროდუქტს, რადგანაც არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დანახარჯთა მატარებელს და საქმიანობას შორის.

მიუხედავად, ABC სისტემის უპირატესობებისა, ჯერჯერობით ის მაინც დანერგვის ეტაპზეა. რაც შეეხება საქართველოს, აქ ჯერ არ არის არანაირი გამოცდილება აღნიშნულთან დაკავშირებით. თუმცა გლობალიზაციის და ტექნოლოგიური ცვლილებებით შექმნილი კონკურენტული გარემო უბიძგებს კომპანიებს დანერგონ საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა.

საკვანძო სიტყვები: *კალკულაცია საქმიანობის სახეების მიხედვით, დანახარჯთა მატარებლები, საწარმოო ზედნადები ხარჯები.*

თანამედროვე პირობებში წარმოების დანახარჯებმა ტრანსფორმაცია განიცადა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მთლიანი დანახარჯების დაახლოებით 90% საწარმოო დანახარჯებს ეჭირა. საწარმოო დანახარჯებში ძირითადი ნაწილი ეკუთვნოდა პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა მასალისა და შრომის ანაზღაურების ხარჯები. საწარმოო ხარჯებში არაპირდაპირი ხარჯები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ აღემატებოდა 20%-ს. [Novák, P., Popesko, B. 2014]. ამიტომ ტრადიციული ხარჯთაღრიცხვის სისტემებისთვის პრიორიტეტული სწორედ აღნიშნული დანახარჯები იყო. თანამედროვე პირობებში, სამუშაო პროცესების ავტომატიზაციამ გამოიწვია პირდაპირი სამუშაო ძალის ჩანაცვლება. ამიტომ შეიცვალა თანაფარდობა პირდაპირ სამუშაო ძალასა და დამხმარე მუშახელის ხარჯებს შორის. პირდაპირი შრომითი ხარჯის შემცირებასთან ერთად გაიზარდა ცვეთის ხარჯი, რომელიც არაპირდაპირ დანახარჯს წარმოადგენს.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, მათ შორის კომპიუტერმა ხელი შეუწყო სამუშაო პროცესების გაუმჯობესებას და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე კომპანიების საწარმოო საშუალებებს შორის. თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი არ არის დანახარჯთა სტრუქტურის ცვლილების მთავარი მიზეზი. მთავარ ფაქტორს პროდუქციის და მომსახურების ხაზის გაფართოება წარმოადგენს. ამჟამად, კომპანიები მომხმარებლებს საქონლის/მომსახურების ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ, რაც მოითხოვს დისტრიბუციის, გაყიდვების

არხების მოწესრიგებას და შესაბამისად გაზრდილ არაპირდაპირ დანახარჯებს. გარდა ამისა, მაღალი კონკურენციის პირობებში კომპანიებს უხდებათ მომხმარებლების გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ამავე დროს მომხმარებლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მოითხოვენ განსხვავებულ სერვისს. მაშასადამე, შეიცვალა ბიზნესსაქმიანობის გარემო.

დანახარჯთა ტრადიციული აღრიცხვის სისტემები, წარმატებით გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც პროდუქციის და მომსახურების ხაზი იყო ერთგვაროვანი; ზედნადები დანახარჯები მთლიანი დანახარჯების მცირე ნაწილს წარმოადგენდა; სხვადასხვა სახის პროდუქცია მოითხოვდა გადამუშავების მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან პროცესს; კომპანიის მიზნობრივი სეგმენტი მომხმარებლების მსგავსი ჯგუფებით ხასიათდებოდა; ადგილი ჰქონდა დაბალ კომერციულ და ადმინისტრაციულ დანახარჯებს; კომპანიებს შეეძლოთ მოგების მაღალი მარჟის დაწესება. ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე ბიზნესსაქმიანობის გარემოს, შესაბამისად ტრადიციული დანახარჯთა აღრიცხვის და მართვის სისტემის გამოყენების მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის სისტემა წარმოადგენს სააღრიცხვო სისტემას, რომელიც ახდენს საქმიანობების, რესურსების და დანახარჯთა ობიექტის იდენტიფიცირებას: რესურსები მიეკუთვნება საქმიანობებს, ხოლო საქმიანობების დანახარჯები-დანახარჯთა ობიექტს.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ზედნადები დანახარჯების განაწილების სპეციფიკა. ABC დანახარჯთა მართვის სისტემა ყველაზე მეტად შეესაბამება თანამედროვე ბიზნეს გარემოს, რომელიც გამოირჩევა საწარმოო სიმძლავრეებისა თუ პროდუქტების მრავლაფეროვნებით.

დანახარჯთა სტრუქტურის ცვლილების გამო დანახარჯთა აღრიცხვის არსებული სტრუქტურა გახდა ნაკლებად ინფორმაციული. 1980-იან წლებში, თუ ბაზარზე მაღალი ხარისხის იაპონური პროდუქტის გამოჩენამ დაარწმუნა მრავალი კომპანია, რომ მათ ჰქონდათ „ხარისხის კრიზისი“, 21-ე საუკუნეში არაერთმა კომპანიამ გააცნობიერა, რომ ისინი დგანან „საბუღალტრო კრიზისის“ წინაშე [Cokins G. 2001: 6].

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის კონცეფცია შემუშავდა 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში და გამოიყენებოდა წარმოების სექტორში. კონცეფციის ფორმალური სწავლება და გავრცელება განხორციელდა საერთაშორისო მენეჯმენტის კონსორციუმის მიერ (CAM-I). 1988 წლის დასაწყისში კი რობინ კუპერისა და რობერტ კაპლანის მიერ ჰარვარდის ბიზნეს-რივიუში გამოიცა სტატია საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემასთან დაკავშირებით, სადაც აღწერილი იყო საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის ფუნქციონირების პრინციპი, რაც საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას დანახარჯთა ტრადიციულ განაწილებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის თავისებურებები

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა (ABC) არ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა პროდუქტი და მომხმარებელი მოიხმარს ზედნადები ხარჯების განსხვავებულ მოცულობას, რაც ხშირად კავშირში არ არის პროდუქტის რაოდენობასთან. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომით არ ხდება დანახარჯების დაყოფა პროდუქტისა და პერიოდის ხარჯებად, სანაცვლოდ სისტემა მიმართულია აღმოაჩინოს პირდაპირი კავშირი დანახარჯებს, საქმიანობებსა და პროდუქტს შორის. ამგვარად გამოთვლილ პროდუქციის თვითღირებულებაში შევა, როგორც საწარმოო, აგრეთვე არასაწარმოო დანახარჯები.

ტრადიციული მიდგომით, ზედნადები ხარჯების განაწილება ეყრდნობა კონცეფციას, რომ ხარჯებს პროდუქტები მოიხმარს. ხოლო, ABC სისტემაში ითვლება, რომ პროდუქტები მოიხმარს საქმიანობას და საქმიანობა მოიხმარს ხარჯებს.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის საფეხურებია:

1. რესურსების ხარჯების და საქმიანობების იდენტიფიცირება - ამ საფეხუზე ხდება საქმიანობების იდენტიფიცირება, რომელსაც ახორციელებს კომპანია და იმ დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ საქმიანობებს.
2. რესურსების ხარჯების მიკუთვნება საქმიანობებზე - რესურსების ხარჯების მიკუთვნება საქმიანობებისთვის - ამ ეტაპზე ხდება არაპირდაპირი ხარჯების განაწილება იდენტიფიცირებულ საქმიანობებს შორის. ამისთვის მენეჯერებს სჭირდებათ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რესურსს მოიხმარს ცალკეული საქმიანობა.
3. საქმიანობის დანახარჯების მიკუთვნება პროდუქტებზე - საქმიანობებზე განაწილებული დანახარჯები მიეკუთვნება დანახარჯთა ობიექტს, რომელიც შეიძლება იყოს პროდუქტი, მომსახურება, მომხმარებლის სეგმენტი.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა ერთმანეთისაგან განასხვავებს შემდეგ საქმიანობებს: პროდუქტის ერთეულზე დამოკიდებული საქმიანობა; პრდოუქციის პარტიასთან დაკავშირებული საქმიანობა;საქმიანობა საქონლის მდგრადობისთვის; საქმიანობა მომხმარებლის შენარჩუნებისთვის; საქმიანობა ბიზნესის მდგრადობისთვის.

პროდუქტის ერთეულზე დამოკიდებულ საქმიანობას წარმოადგენს საქმიანობა, რომლის მოცულობა და დონე წარმოებული ერთეულების რაოდენობის ან სხვა მაჩვენებლების (მუშახელის ან დანადგარის მუშაობის საათები) პროპორციულია, რომლებიც თავის მხრივ, დაკავშირებული არიან წარმოებულ ერთეულებთან. ამგვარ საქმიანობას მიეკუთვნება დანადგარის მართვა, რომლისთვისაც დანახარჯთა მატარებელია მანქანა საათები.

პროდუქციის პარტიასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობა დამოკიდებულია არა წარმოების ერთეულებზე, არამედ საქონლის პარტიების რიცხვზე, შეკვეთების რიცხვზე. საქმიანობის დანახარჯები ამ დონეზე მოიცავს არა ერთეულის არამედ მთლიანად პარტიის დანახარჯებს. ამგვარ საქმიანობას მიეკუთვნება დანადგარის დაყენება, წარმოების დაგეგმვა, წარმოების პროცესის მართვა, წარმოებული პარტიის ინსპექტირება.

საქონლის მდგრადობისთვის საქმიანობა აუმჯობესებს წარმოების პროცესს და ხელს უწყობს პროდუქციის გაყიდვას. აღნიშნულს მიეკუთვნება საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტის მდგრადობას. მაგალითად, პროდუქტის დიზაინი.

მომხმარებლის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული საქმიანობა ეხმარება კომპანიას ინდივიდუალური მყიდველისთვის პროდუქტის მიყიდვაში. საქმიანობას კავშირების და ბიზნესის მდგრადობისთვის მიეკუთვნება რეალიზაციის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც ხელს უწყობს ზოგადად საწარმოს ფუნქციონირებას და პროდუქტის თუ მომსახურების წარმოებას პირდაპირ არ უკავშირდება. ამიტომ ამგვარ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების პირდაპირ მიკუთვნება პროდუქციის ერთეულისთვის ან პარტიისთვის არ იქნება მართებული. მსგავსი ტიპის დანახარჯებს მიეკუთვნება ისეთი ადმინისტრაციული დანახარჯები, როგორიცაა: უსაფრთხოებისთვის დანახარჯები, ქონების გადასახადი, დაზღვევა.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი. კომპანია “X”, რომელიც აწარმოებს A და B პროდუქტს, გადაწყვეტს გააფართოოს წარმოება არსებული სიმძლავრის პირობებში. შედეგად დაიწყებს C პროდუქტის წარმოებას,

რომელიც შედარებით უფრო მაღალ ფასად იყიდება და ტრადიციული დანახარჯთა მართვის სისტემის მიხედვით უფრო მეტ მოგებასაც იძლევა. თუმცა წლის ბოლოს კომპანიის მთლიანი მომგებიანობა შემცირდება, რაც ერთი შეხედვით უჩვეულოა. მაგრამ მისი ახსნის შესაძლებლობას იძლევა საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის ცალკეული პროდუქტის რეალიზაციისა და დანახარჯების შესახებ ტრადიციული დანახარჯთა მართვის სისტემის მიხედვით (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

კომპანიის მომგებიანობა პროდუქტების მიხედვით
(დანახარჯთა ტრადიციული აღრიცხვის სისტემის მიხედვით)

პროდუქტი	**A**	**B**	**C**	**სულ**
გაყიდვები (ცალი)	100,000	90,000	20,000	210,000
ერთეულის გასაყიდი ფასი	4.00	4.00	5.00	-
გაყიდვები (ლარი)	400,000	360,000	100,000	860,000
მატერიალური დანახარჯები	90,000	81,000	25,000	196,000
ძირითადი მუშების ხელფასი	88,000	80,000	20,000	188,000
ზედნადები ხარჯები	176,000	160,000	40,000	376,000
საწარმოს მთლიანი დანახარჯები	354,000	321,000	85,000	760,000
მოგება	46,000	39,000	15,000	100,000
მოგების %	11.5	10.8	15.0	11.6

პირველი ცხრილის მონაცემების მიხედვით ყველაზე მომგებიანი - C - პროდუქტია, რადგან ტრადიციული სისტემით ზედნადები ხარჯების მიკუთვნების ნორმა განისაზღვრება, როგორც ძირითადი მუშახელის ღირებულების 200%-ი და მისი წარმოება ხდება მცირე პარტიით, იგი მოიხმარს საწარმოო ზედნადები დანახარჯების მცირე ნაწილს.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემით კალკულაციის დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ პირველ ეტაპზე ხდება იმ საქმიანობების იდენტიფიცირება, რომელსაც ახორციელებს კომპანია და ზედნადები დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ საქმიანობებს, რის შემდეგაც ზედნადები დანახარჯები მიეკუთვნება კონკრეტულ საქმიანობას. ჩვენს მაგალითზე კომპანიამ მოახდინა ოთხი სახეობის საქმიანობის იდენტიფიცირება: წარმოების პროცესის მართვა, დანადგარის დაყენება, დანადგარის მართვა, დამხმარე საქმიანობა. წარმოების პროცესის მართვა გულისხმობს შეკვეთების დაგეგმვას, მასალების შესყიდვას, წარმოების პროცესისთვის მომზადებას, მასალების გაშვებას და ინსპექტირებას, რაზედაც იხარჯება დამხმარე მუშახელის ანაზღაურების 35%. დანადგარის დაყენება აერთიანებს იმ საქმიანობებს, რომელიც მიმართულია დანადგარის მოსამზადებლად პროდუქციის ერთი პარტიიდან მომდევნო პარტიის წარმოების მიზნით, რაზედაც ჩვენს შემთხვევაში იხარჯება არასაწარმოო მუშახელის ღირებულების 45%-ი. დამხმარე საქმიანობაში კომპანია მოიაზრებს სხვადასხვა პროდუქციისთვის ნედლეულის მონიტორინგს, რეცეპტების შესრულების ზედამხედველობას, წარმოების პროცესების გაუმჯობესებას. დანადგარის ამორტიზაციის, დანადგარის ტექნიკური მომსახურების და დანადგარის მუშაობისთვის საჭირო ელექტროენერგიის ხარჯების დაჯგუფება კომპანიამ მოახდინა დანადგარის მართვის საქმიანობაში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ზედნადები დანახარჯების მიკუთვნება საქმიანობებზე

საქმიანობები და მათზე გაწეული ხარჯები	**წარმოების პროცესის მართვა**	**დანადგარის დაყენება**	**დამხმარე საქმიანობა**	**დანადგარის მართვა**	**მთლიანი ხარჯი (ლარი)**
დამხმარე მუშახელის	35%	45%	20%	-	248000
კომპიუტერის ხარჯი	75%		25%	-	55000
დანადგარის ამორტიზაცია	-	-	-	100%	45000
ტექნიკური მომსახურება	-	-	-	100%	20000
ელექტროენერგია	-	-	-	100%	8000
საქმიანობაზე გაწეული ხარჯი (ლარი)	**128050**	**111600**	**63350**	**73000**	**376000**

ზედნადები დანახარჯების საქმიანობებზე გადანაწილებით სრულდება საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის მხოლოდ პირველი ნაწილი. ამის შემდეგ უნდა მოხდეს საქმიანობის დანახარჯების განაწილება პროდუქტზე. რისთვისაც უნდა განისაზღვროს დანახარჯთა მატარებლები, რომლებიც საქმიანობასა და პროდუქტს ერთმანეთთან დააკავშირებს. დანახარჯთა მატარებლებია: წარმოების პროცესის მართვის მიხედვით - წარმოების პერიოდი; დანადგარის დაყენების მიხედვით - დაყენების საათები; დანადგარის მართვაზე - მანქანა/საათები; დამხმარე საქმიანობზე - პროდუქციის რაოდენობა. გაანგარიშების შედგები ნაჩვნებია მესამე ცხრილში.

ცხრილი 3

ინფორმაცია დანახარჯთა მატარებლების შესახებ ცალკეული სახის პროდუქტის მიხედვით

საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა მატარებელი	**A**	**B**	**C**	**სულ**
მანქანა- საათი/ერთეულზე	0.3	0.3	0.3	63,000
საწარმოო სამუშაოები	350	250	200	800
დაყენების დრო/მუშაობა	2	2.5	4	-
მთლიანი დაყენების დრო	700	625	800	2125
პროდუქციის რაოდენობა	1	1	1	3

საქმიანობის დანახარჯების შეფარდებით დანახარჯთა მატარებელთან მიიღება დანახარჯთა მატარებლის განაკვეთი, რომლითაც ხდება საქმიანობის დანახარჯების ცალკეული პროდუქტისათვის მიკუთვნება. ინფორმაცია საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მატარებლის განაკვეთის შესახებ მოცემულია მე-4 ცხრილში.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მატარებლის განაკვეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ წარმოადგენს საქმიანობის ხარჯისა და საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მატარებლის ფარდობას, რომელიც საქმიანობის ხარჯს მიაკუთვნებს ცალკეულ პროდუქტს.

ცხრილი 4

საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა მატარებლების განაკვეთის გამოთვლა

საქმიანობები	**გაწეული ხარჯი**	**დანახარჯის მატარებელი**	**დანახარჯთა მატარებლის რაოდენობა**	**დანახარჯთა მატარებლის განაკვეთი**
წარმოების პროცესის მართვა	128 050	წარმოების პერიოდი	800	160
დანადგარის დაყენება	111 600	დაყენების დრო	2 125	53
დამხმარე საქმიანობა	63 350	პროდუქციის რაოდენობა	3	21 117
დანადგარის მართვა	73 000	მანქანა- საათი	63 000	1.16

წარმოდგენილ მაგალითში დანადგარის დაყენების ხარჯია 111 600 ლარი (იხ. ცხრილი 4), ხოლო დანახარჯთა მატარებელი, რომელსად დაყენების დრო წარმოადგენს, განისაზღვრება 2125 სთ-ით. შესაბამისად დანახარჯთა მატარებლის განაკვეთი გამოიანგარიშება, შემდეგნაირად: $11600/2125=53$-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანადგარის დაყენების ყოველ საათზე იხარჯება 53 ლარი. მას შემდეგ რაც მენეჯერი განსაზღვრავს ცალკეული პროდუქტისთვის დანადგარის დაყენების ხანგრძლივობას, ინდივიუდუალური პროდუქტისთვის დაყენების საქმიანობის დანახარჯების მიკუთვნება მარტივია. კერძოდ, ინდივიდუალური პროდუქტისთვის დანადგარის დაყენების საათი მრავლდება დანახარჯთა მატარებლის განკვეთზე, რითაც მიიღება საქმიანობის ხარჯი პროდუქტზე (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

საქმიანობის დანახარჯების განაწილება პროდუქციაზე

		A		B		C	
საქმიანობები	**დანახარჯთა მატარებლის განაკვეთი**	**დანახარჯთა მატარებლის რაოდენობა**	**საქმიანობის ხარჯი**	**დანახარჯთა მატარებლის რაოდენობა**	**საქმიანობის ხარჯი**	**დანახარჯთა მატარებლის რაოდენობა**	**საქმიანობის ხარჯი**
წარმოების პროცესის მართვა	**160.1**	350.0	56021.9	250.0	40015.6	200.0	32012.5
დანადგარის დაყენება	**52.5**	700.0	36762.4	625.0	32823.5	800.0	42014.1
დამხმარე საქმიანობა	**21 116.7**	1.0	21116.7	1.0	21116.7	1.0	21116.7
დანადგარის მართვა	**1.2**	30000.0	34761.9	27000.0	31285.7	6000.0	6952.4

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ცალკეული პროდუქტის მომგებიანობის შეფასება (იხ. ცხრილი 6). საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის

სისტემის თანახმად ირკვევა, რომ C პროდუქტი წამგებიანია, მაშინ როდესაც ტრადიციული სისტემის მიხედვით ყველაზე მომგებიან პროდუქტს წარმოადგენდა (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 6

პროდუქტების მომგებიანობა საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის მიხედვით (ლარში)

	A	B	C	სულ
გაყიდვები	**400,000**	**360,000**	**100,000**	**860,000**
მატერიალური ხარჯები	90,000	81,000	25,000	196,000
მუშახელის ხარჯები	88,000	80,000	20,000	188,000
წარმოების პროცესის მართვა	56,021.9	40,015.6	32,012.5	128,050.0
დანადგარის დაყენება	36,762.4	32,823.5	42,014.1	111,600.0
დამხმარე საქმიანობა	21,116.7	21,116.7	21,116.7	63,350.0
დანადგარის მართვა	34,761.9	31,285.7	6,952.4	73,000.0
მთლიანი ზედნადები ხარჯები	**(148,662.8)**	**(125,241.5)**	**(102,095.7)**	**(376,000.0)**
მთლიანი მოგება	**73,337.20**	**73,758.46**	**(47,095.67)**	**100,000.00**
მთლიანი მოგების %	18.3	20.5	-47.1	11.6

ცხრილი 7

პროდუქციის მომგებიანობის შედარება ტრადიციული და საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემების მიხედვით (%-ად)

დანახარჯთა მართვის სისტემები	**პროდუქტი A**	**პროდუქტი B**	**პროდუქტი C**
ტრადიციული	11.5	10.8	15.0
საქმიანობის მიხედვით (ABC)	18.3	20.5	-47.1

განსხვავებას წარმოქმნის დანახარჯთა მართვის და აღრიცხვის სისტემებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გამოიხატება ზედნადები დანახარჯების განსხვავებული მიდგომით განაწილებაში. C პროდუქტის წარმოება მოითხოვს დანადგარის დაყენების უფრო მეტ დროს, გარდა ამისა, პროდუქციის ასორტიმენტი მოითხოვს უფრო მეტ დაგეგმვასა და კონტროლს, რითაც იზრდება წარმოების მართვის საქმიანობის დანახარჯებიც.

დანახარჯთა მართვის ტრადიციული სისტემით C პროდუქტზე მოხდა ზედნადები ხარჯების მიკუთვნება, როგორც ძირითადი მუშახელის ღირებულების 200%-ი. ვინაიდან კომპანია მცირე მოცულობის C პროდუქტს აწარმოებდა პირდაპირი მუშახელის დანახარჯი მისთვის მცირე იყო, შესაბამისად ზედნადები ხარჯების განაწილების არსებული მეთოდიკით მოხდა მისთვის მისაკუთვნებელი ზედნადები დანახარჯების გაუმართლებელი შემცირება. ალტერნატიულად, საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი დანახარჯი არ იცვლება პროდუქციის მოცულობის პროპორციულად.

მე-7 ცხრილში ნაჩვნებია განსხვავება ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებლებს შორის, დანახარჯთა ტრადიციული და ABC - სისტემის მიხედვით.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა ეყრდნობა დაშვებას, რომ არსებობს მაღალი კორელაცია საქმიანობასა და პროდუქტს შორის, რადგან, კომპანიაში გაწეული დანახარჯები ხშირად საერთოდ არ უკავშირდება პროდუქტს. ABC ამგვარ ხარჯებს მიიჩნევს, როგორც უმისამართოს და არ ანაწილებს პროდუქტზე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ხარჯები უნდა გამოირიცხოს, არამედ მოხდება პროდუქციის ფასის ზრდა გაწეული დანახარჯების საკომპენსაციოდ. უმისამართო დანახარჯებს შორის შეიძლება გამოიყოს ადმინისტრაციული დანახარჯები, რომელთა დაკავშირება კონკრეტულ პროდუქტთან შეუძლებელია. რაც შეეხება კომერციულ დანახარჯებს, ისინი უკავშირდებიან მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფებს, ამიტომ ABC ასეთ დანახარჯებს იყენებს მომხმარებლების მომგებიანობის ანალიზის დროს.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის გამოყენების ძლიერი და სუსტი მხარეები

1980-იანი წლებიდან განვითარებული ქვეყნების კომპანიებმა დაიწყეს საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის დანერგვა. მისი უპირატესობაა ის, რომ იგი გამოყოფს პროცესის, პროდუქტის და მომხმარებლისთვის გაწეულ ხარჯებს, რაც მენეჯმენტს საშუალებას აძლევს გამოავლინოს პროცესები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას, მოახდინოს ნაკლებად მომგებიანი პროდუქტის და მომხმარებლის იდენტიფიცირება, რაც საბოლოო ჯამში აისახება უკეთეს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე პროდუქტის ფასთან, ბიზნესის ხაზთან და მომხმარებლის სეგმენტთან დაკავშირებით.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს სირთულეებიც. კერძოდ, საჭირო ხდება თანამშრომლების გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ანაწილებენ ისინი დროს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებაზე, რაც ხშირად ხანგრძლივ დამღლელ პროცედურებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ასეთ დროს თანამშრომლები პროცენტულად ახასიათებენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს იმ დროის გამორიცხვით, რომელსაც უქმად ატარებენ. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს ცდომილებას, რასაც გამოუყენებელი სიმძლავრის არსებობა განაპირობებს. თუმცა დროით მართვადი ABC ამის გამოსწორების საშუალებას იძლევა.

ABC მოდელის დანერგვა დროსთან ერთად მოითხოვს მაღალ დანახარჯებსაც, რაც პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასთან და სისტემის დანერგვასთან არის დაკავშირებული. საქმიანობებისა და დანახარჯთა მატარებლების ცვლილებასთან ერთად საჭირო ხდება სისტემის განახლება.

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის ნაკლს წარმოადგენს ისიც, რომ არ შეესაბამება საზოგადოდ აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის წესებს. მართალია, შესაძლებელია მისი ადაპტირება გარე ანგარიშგების მიზნებისთვისაც, მაგრამ უფრო მეტ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ მენეჯმენტის შიდა მიზნებისთვის. განსხვავებას წარმოქმნის ის ფაქტი, რომ გარე ანგარიშები არის ნაკლებად დეტალიზებული, რომლისთვისაც ინდივიდუალური პროდუქტის დანახარჯები არ არის საინტერესო. ცდომილება, რომელსაც იძლევა ტრადიციული დანახარჯთა მართვის სისტემა ერთი სახის პროდუქტთან მიმართებაში ანულირდება სხვა პროდუქტზე ცდომილებით. საბოლოოდ, მთლიანი დანახარჯები კი დანახარჯთა მართვის ორივე სისტემისთვის იგივე რჩება. ამიტომ გარე ანგარიშგების მიზნებს სრულიად აკმაყოფილებს დანახარჯთა ტრადიციული მართვის სისტემა. შესაბამისად, კომპანიები, რომლებსაც აქვთ ტრადიციულ სისტემაზე მორგებული კომპიუტერული

პროგრამები, ამჯობინებენ მის შენარჩუნებას, რადგან რთულია ბუღალტრული სისტემის მთლიანად შეცვლა, რასაც მოითხოვს საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა. გარდა ამისა, ეს უკანასკნელი მუდმივ განახლებას მოითხოვს.

ამდენად, საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა არაერთ უპირატესობასთან ერთად გარკვეულ სირთულეებთანაც არის დაკავშირებული, ამიტომ ვიდრე კომპანია მოახდენს მის დანერგვას საჭიროა იმ სარგებლისა და დანახარჯების სათანადო ანალიზი, რომელიც თან ახლავს პროცესს. ზოგადი შეფასებით, იმ კომპანიებს შორის, რომლებიც მიიღებენ ყველაზე დიდ სარგებელს ABC სისტემის დანერგვით, შეიძლება გამოიყოს ის კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ განსხვავებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, ხასიათდებიან ზედნადები დანახარჯების მაღალი დონით, წარმოადგენენ ფასის განმსაზღვრელს კონკურენტულ ბაზარზე და მომსახურებას უწევენ მომხმარებლების ფართო სეგმენტს. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული გარემოებები მთლიანად შეესაბამება თანამედროვე ბიზნესსაქმიანობს გარემოს. კომპანიების უმრავლესობას სწორედ ასეთ გარემოში უწევთ ფუნქციონირება, აქედან გამომდინარე საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა სულ უფრო აქტუალური ხდება.

დანახარჯთა ტრადიციულ და საქმიანობის მიხედვით მართვის სისტემების შედარებითი დახასიათება

დანახარჯთა ტრადიციული მართვის სისტემები დანახარჯების აღრიცხვისა და მართვის მიზნებისთვის დღესაც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე კომპანიების მიერ. ეს გამოწვეულია მისი სიმარტივით, ფინანსური ანგარიშგების მიზნებთან შესაბამისობით, ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ აღიარებულ პრინციპებთან თავსებადობით. თუმცა, არაერთმა თანამედროვე კომპანიამ გააცნობიერა დანახარჯთა ტრადიციული მართვის სისტემის ნაკლოვანებები, რაც დანახარჯთა ცენტრსა და დანახარჯთა მატარებელს შორის რეალური კავშირის არარსებობაში გამოიხატება.

დანახარჯთა ტრადიციული მართვის სისტემები შეიქმნა იმ პირობებში, როდესაც წარმოებული პროდუქცია იყო ერთგვაროვანი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითოეული პროდუქტზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურაც მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი იყო; კომპანიის მთლიან დანახარჯებში უფრო მეტი წილი გააჩნდა პირდაპირ ხარჯებს, შესაბამისად საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილების უზუსტობის გამოწვეული შედეგები შედარებით მცირე მასშტაბის იყო; შეზღუდული იყო მონაცემების შეგროვების შესძლებლობა.

დანახარჯთა მართვის ტრადიციული სისტემა პირველ ეტაპზე დანახარჯებს ანაწილებს დეპარტამენტებზე ან საერთო საქარხნო განაკვეთით არაპირდაპირ ხარჯებს პირდაპირ მიაკუთვნებს პროდუქტებს. ხოლო საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა საწარმოო ზედნადებ ხარჯებს, პირველ ეტაპზე, მიაკუთვნებს საქმიანობებს, ხოლო შემდეგ შესაბამისი დანახარჯთა მატარებლის საფუძველზე საქმიანობის ხარჯები გადანაწილდება პროდუქციაზე. ორივე სისტემას საერთო აქვს ის, რომ საბოლოოდ დანახარჯები მიეკუთვნება დანახარჯთა ობიექტს, რომელსაც წარმოადგენს, პროდუქტი, მომსახურება, მომხმარებელი. ქვემოთ მოცემულია ტრადიციულ და საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემებს შორის განსხვავება. (იხ. ცხრილი 8).

ტრადიციული სისტემის ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოოო ზედნადებ ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე ანაწილებს მოცულობის პროპორციულად. თუმცა ზოგიერთი დანახარჯის ცვლილება თანამედროვე პირობებში არ არის დაკავშირებული

პროდუქციის მოცულობასთან. გარდა ამისა, ტრადიციული მიდგომით, არასაწარმოო ზედნადები ხარჯები არ მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულებას, რაც არ იძლევა საქონლის ღირებულების ზუსტი კალკულაციის შესაძლებლობას.

ცხრილი 8

ტრადიციულ და საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემებს შორის განსხვავება

დანახარჯთა მართვის სისტემები	**ტრადიციული**	**საქმიანობის მიხედვით**
დანახარჯთა ცენტრის რაოდენობა	შეზღუდული რაოდენობა	მრავალი, დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობასთან
მიკუთვნების განაკვეთი	მოცულობაზე დაფუძნებული	საქმიანობაზე დაფუძნებული
შესაფერისობა	შრომა-ინტენსიური, დაბალი მოცულობის არაპირდაპირი ხარჯების მქონე კომპანიისთვის	კაპიტალ-ინტენსიური, მაღალი მოცულობის არაპირდაპირი ხარჯების მქონე კომპანიისთვის
სარგებელი	მარტივი, იაფი	ზუსტი კალკულაცია

საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეყრდნობა დაშვებას, რომ არსებობს მაღალი კორელაცია საქმიანობასა და პროდუქტს შორის. ხოლო იმას, რაც ერთმანეთთან აკავშირებს საქმიანობასა და პროდუქტს წარმოადგენს დანახარჯთა მატარებელი. ABC სისტემით ის პროდუქტი აიღებს თავის თავზე დანახარჯების დიდ ნაწილს, რომელიც იყენებს კონკრეტული საქმიანობისთვის შესაბამის დანახარჯთა მატარებელს დიდი მოცულობით. თუმცა რეალურად იცვლება თუ არა პროდუქტის დანახარჯი დანახარჯთა მატარებელთან მიმართებით, იმაზეა დამოკიდებული, წარმოადგენს იგი მუდმივ თუ ცვალებად დანახარჯს. საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სიტემა არ გამოყოფს მუდმივ და ცვალებად ხარჯებს, ამიტომ ორივე შემთხვევაში პროდუქტის თვითღირებულება ერთნაირად გამოითვლება. ABC სისტემა ორიენტირებულია გრძელვადიან პერიოდზე და უშვებს, რომ გრძელვადიან პერიოდში ყველა ხარჯი ცვალებადია. ასეთი მიდგომა სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ასტიმულირებს რესურსების უფრო მეტად ეფექტიანად გამოყენებას.

ხშირად ხარჯი, რომელსაც საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა ანაწილებს მუდმივია, მაგრამ შეიძლება გახდეს ცვალებადი მენეჯერების ქმედების შედეგად [კაპლანი, ატკინსონი, 2009: 152]. კერძოდ, ხარჯები მაშინ არის მუდმივი, როდესაც მენეჯმენტი არ აქცევს ყურადღებას სიმძლავრესთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ხარჯები ხდება ცვალებადი, როდესაც საქმიანობის გაზრდილი/შემცირებული მოცულობის გამო იზრდება/მცირდება სიმძლავრის რესურსებზე მოთხოვნა ან მწარმოებლურობის ეფექტიანობის ზრდის გამო საქმიანობის შესასრულებლად უფრო ნაკლები რესურსი ხდება საჭირო; მენეჯერებმა მიიღეს არსებული სიმძლავრეების გაზრდის/შემცირების შესახებ გადაწყვეტილება.

შესასრულებელი საქმიანობის/სამუშაოს შემცირება ხშირად არ იწვევს კომპანიისთვის დანახარჯების შემცირებას, რადგანაც ზოგიერთი რესურსი უკვე შეძენილია და შესამაბისად, მასზე დანახარჯი გაწეულია. ამიტომ სამუშოების შემცირება ასეთ შემთხვევაში ზრდის

გამოუყენებელი სიმძლავრის დანახარჯებს. საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემის გამოყენება მაშინ იქნება ეფექტური, როდესაც მენეჯმენტი რეაგირებას მოახდენს რესურსების სიმძლავრის ცვლილებაზე. მაგალითად, გამოუყენებელი სიმძლავრე შეიძლება გაიზარდოს პროცესის გაუმჯობესების შედეგად ან გაყიდვების შემცირების დროს, როდესაც მცირდება მოთხოვნა რესურსების მიერ შესრულებულ საქმიანობაზე. მენეჯმენტს შეუძლია შეამციროს გამოუყენებელი სიმძლავრის დანახარჯები ან შექმნას რაიმე შესაძლებლობა გამოუყენებელი რესურსებისაგან.

დასკვნები და რეკომენდაციები: ამგვარად, საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემით გრძელვადიან პერიოდში ყველა ხარჯი ცვალებადია და დამოკიდებულია მენეჯერების გადაწყვეტილებებზე. „რა ქმნის რესურსის ხარჯს ცვალებადს და შემცირებადს, ეს არ არის რესურსის დამახასიათებელი თვისება, ეს არის მენეჯმენტის გადაწყვეტილება- შეამციროს რესურსებზე მოთხოვნა და მასზე ნაკლები დანახარჯები გასწიოს.“[1]

ABC სისტემისაგან მიღებული ინფორმაცია კომპანიას შეუძლია წარმატებით გამოიყენოს პროდუქციის ასორტიმენტისა და ფასწარმოქმნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ინდივიდუალური მომხმარებლის მომგებიანობის შესაფასებლად. აგრეთვე, რადგანაც ხარჯები ჯგუფდება საქმიანობების მიხედვით, გამოვლინდება ყველაზე ხარჯტევადი საქმიანობები და პროცესები, რომლებიც მოითხოვენ გაუმჯობესებას.

ვინაიდან, ABC სისტემის გამოყენება არაერთ უპირატესობასთან ერთად გარკვეულ სირთულეებთანაცაა დაკავშირებული, ამიტომ გადაწყვეტილება მისი დანერგვის შესახებ უნდა დაეფუძნოს სარგებლიანობა-დანახარჯის ანალიზს. მაღალი კონკურენციის პირობებში, როდესაც კომპანია აწარმოებს ფართო ასორტიმენტის პროდუქციას და ზედნადები დანახარჯების მაღალი წილით ხასიათდება, მიზანშეწონილია საქმიანობის მიხედვით დანახარჯთა მართვის სისტემა გამოიყენოს..

ABC სისტემა განვითარებულ ქვეყნებში დანერგვის სტადიაზეა, რაც შეეხება საქართველოს, მნიშვნელოვანია ABC სისტემის პოპულარიზაცია, რადგან არ არსებობს არანაირი ინტერესი აღნიშნულთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა საკითხთან დაკავშირებული მწირი გამოცდილება და სისტემის დანერგვის თანმხლები სირთულეები განაპირობებს. ABC ძვირადღირებული სისტემაა და ცხადია, მისი დანერგვა არ არის მარტივი, განსაკუთრებით პატარა კომპანიებისთვის, მაგრამ შესაძლებელია მისი ადაპტირებული ვერსიის შემუშავება, რომელიც მორგებული იქნება ინდივიდუალური კომპანიის საჭიროებებთან. ამიტომ ამ ეტაპზე, საქართველოში მნიშვნელოვანია მოხდეს ABC სისტემის აქტუალიზაცია, მისი სარგებლისა და დანახარჯის სწორად შეფასება. ხოლო, სისტემის შემდგომ განვითარებას, ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე და ზოგადად, ეკონომიკის განვითარება განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ატკინსონი, კაპლანი, მასთუმურა, იანგი, მმართველობითი აღრიცხვის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009
2. ჭილაძე ი., მმართველობითი აღრიცხვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2012
3. Cokins G., Activity-Based Cost Management, 2001

[1] ატკინსონი, კაპლანი, მასთუმურა, იანგი, მმართველობითი აღრიცხვის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2009. გვ.153

4. Kaplan Robert S., Anderson Steven R., Time-Driven Activity Based Costing, 2007
5. Novak P., Popesko B., Cost Variability And Cost Behavior In Manufacturing Enterprises, Journal of Scientific Papers Economics & Sociology, 2014
6. Management Accounting: Concepts And Teqniques & Controversial Issues- http://maaw.info/Chapter7.htm
7. http://www.accountingtools.com/activity-based-costing
8. http://www.principlesofaccounting.com/chapter19/chapter19.html

Anotation

The article deals with the activity-based costing method which allows Controlling Costs Effectively. The objective of this report is to find out reason of why the company should implement ABC costing.

The ABC costing method is an alternative to the traditional way of accounting. Traditional costing method assigns costs using somewhat arbitrary allocation percentages for overhead. With activity-based costing is possible more accurately assign direct and allocate indirect costs to products than traditional product costing methods because it recognizes the causal relationships of cost drivers to activities.

Activity-based costing is an accounting method that identifies activities, resources, and cost objects. Resources are assigned to activities, and then activities are assigned to cost objects.

The fundamental advantage of using an ABC system is to more precisely determine how overhead is used. The ABC costing method works best in complex environments, where there are many machines and products.

However many benefits of ABC costing, it is in an early stage. Furthermore, we have not any experience about it in Georgia. However, in the era of globalization and technological change intensive competition will turn companies towards the adoption of ABC.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური ანალიზი

ანი კარაპეტიანი
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **ქეთევან ჩიტალაძე**

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები 2007–2015 წლებში. გაანალიზებულია ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი ტენდეციები, დახასიათებულია საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის სასაქონლოს ტრუქტურა, გამოვლენილია საგარეო ვაჭრობის ძირითადი საიმპორტო და საექსპორტო ქვეყნები. ექსტრაპოლაციის მეთოდით, საშუალო აბსოლუტური მატების საფუძველზე გაანგარიშებულია ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო ბალანსი, სავაჭრო სალდო, ექსტრაპოლაცია.*

ვაჭრობა არის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მსხვილი დარგი და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ვაჭრობის სფერო იყოფა საგარეო (საერთაშორისო) და შიდა ვაჭრობად. საგარეო ვაჭრობა გულისხმობს ერთი ქვეყნის საქონლით ბრუნვას სხვა ქვეყნებთან. მცირე ზომის ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსთვის საგარეო ვაჭრობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და იძლევა კონკურენტუნარიან დარგებში წარმოების განვითარებისა და იმაზე მეტი საქონლის წარმოების საშუალებას, რაც საჭიროა ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, წარმოებისა და მოხმარების ეფექტურობაში, ზრდადი კონკურენციით განპირობებულ ინოვაციებსა და შიდა ბაზრზე მიწოდება–მოთხოვნის დაბალანსებაში. საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლებია: ექსპორტი–ქვეყნის შიგნით წარმოებული და ქვეყნის გარეთ გაყიდული საქონელი და მომსახურება, იმპორტი–ქვეყნის გარეთ წარმოებული და ქვეყნის შიგნით გაყიდული საქონელი და მომსახურება, სავაჭრო ბალანსი–სხვაობა ექსპორტირებულ და იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებას შორის.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2007–2015 წლებში. საქართველოში შემოტანილი პროდუქციის რაოდენობა ყოველთვის აღემატება ექსპორტზე გატანილს. ეს გარკვეულწილად განპირობებულია ქვეყნის შედარებით დაბალი საექსპორტო პოტენციალით. 2007-2008 წლებში იმპორტი 4-ჯერ აღემატებოდა ექსპორტის მაჩვენებელს. ბოლო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი უმჯობესდება და 2014-2015 წლის მონაცემებით საქონლის რეგისტრირებული იმპორტი მხოლოდ 3-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს. შესაბამისად, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო ყოველთვის უარყოფით მაჩვენებელს წარმოადგენს. რაც შეეხება საგარეო სავაჭრო ბრუნვას, ის ყოველწიურად იზრდება.

წელი	*საგარეო სავაჭრო ბრუნვა*	*საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი*	*საქონლის რეგისტრირებული იმპორტი*	*საგარეო ვაჭრობის სალდო*
2007	6,444	1,232	5,212	-3,980
2008	7,797	1,495	6,302	-4,806
2009	5,634	1,134	4,500	-3,367
2010	6,935	1,677	5,257	-3,580
2011	9,254	2,189	7,065	-4,876
2012	10,425	2,375	8,049	-5,674
2013	10,934	2,908	8,026	-5,117
2014	11,454	2,861	8,593	-5,732
2015	9928	2204	7724	-5,520

ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2007-2015 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

წყარო: ცხრილი საქსტატის მონაცემთა საფუძველზე შედგენილია ავტორის მიერ

უკანასკნელი 9 წლის მანძილზე ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა სწრაფად იზრდებოდა, მხოლოდ 2009 წელს შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან და, მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებთან. 2010 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები და საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წელთან შედარებით 23%-ით გაიზარდა და 6935 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება 2015 წელს, აქაც სავაჭრო ბრუნვის 13%-იანი კლება შეინიშნება 2014 წელთან შედარებით .

ექსპორტისა და იმპორტის მოცულობით საქართველოს ძირითადი პარტნიორი ქვეყნები.საქართველოს იმპორტის სასაქონლო მოცულობასა და სტრუქტურას სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებები განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად საქართველოს მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს იმპორტირებულ საქონელს, რაც გარკვეულწილად თავის მხრივ განპირობებულია ადგილობივი წარმოების საქონლის დაბალი ხარისხით. დღეისათვის საქართველოში წარმოებული საქონელი კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ საქონელს, ვერც ღირებულებისა და ვერც ხარისხის ასპექტში.

იმპორტის მოცულობით კი 2004-2014 წლებში საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნას მიეკუთვნება: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, რუსეთი, გერმანია, ჩინეთი, აშშ, იტალია, არაბთა გაერთიანებული ემირატები და ბულგარეთი. მათზე მოდის მთელი იმპორტის მოცულობის 67 % (იხილეთ დიაგრამა 2). ათეულში ევროკავშირის 3 ქვეყანა შედის - გერმანია (3 %), იტალია (3%) და ბულგარეთი (3%). აღსანიშნავია, რომ თურქეთიდან საქართველოში ძირითადად აირის ტურბინები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანები და პლასტმასის ნაწარმი შემოდის.

დიაგრამა 1



წყარო: *დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზე შედგენილია ავტორის მიერ*

გარდამავალ ეტაპზე საქართველოს საგარეო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურა თანდათანობით განიცდიდა ცვლილებას. ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში საქართველოდან ხორციელდებოდა უმნიშვნელო რაოდენობის სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი და ასევე, მცირე იყო სასაქონლო ჯგუფების რაოდენობა იმპორტის კუთხითაც. განსხვავებული მდგომარეობაა მიმდინარე პერიოდში. მე-20 საუკუნის დასრულების შემდგომ სულ უფრო მეტად იზრდება და მრავალფეროვანი ხდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის სასაქონლო ჯგუფები.

საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოუკიდებელია იმპორტის სტრუქტურისაგან. ეს უმთავრესად განპირობებულია საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს თავისებურებით თანამედროვე ეტაპზე. კერძოდ, ქვეყნის იმპორტი არ არის ორიენტირებული ინვესტიციურ საქონელზე, ხოლო საექსპორტო პოტენციალი უაღრესად სუსტია, რის გამოც ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ნედლეული სჭარბობს და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი უმნიშვნელოა.

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სივრცის გაფართოება ზრდის მისი განვითარებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასურველია საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი უფრო მრავალფეროვანი გახდეს, განსაკუთრებით კი ექსპორტის მიმართულებით.

2000-2014 წლებში საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა შემდეგ სასაქონლო ჯგუფებზე: მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, აზოტოვანი სასუქები, თხილი, ნარჩენები და ჯართი, ოქრო, ღვინოები, სპირტიანი სასმელები და მინერალური წყლები. აღსანიშნავია, რომ რომ ეს 10 სასაქონლო ჯგუფი მთლიანი ექსპორტის 61 %-ს შეადგენს.

დიაგრამა2



წყარო: *დიაგრამა სტატიის მონაცემთა ბაზაზე შედგენილია ავტორის მიერ*

ექსპორტის დიდი წილი (14%) მსუბუქ ავტომობილებზე მოდის. ის გარემოება, რომ საქართველო არ აწარმოებს მსუბუქ ატომობილებს, მაგრამ ახდენს მის ექსპორტს, განპირობებულია იმით, რომ საგარეო ვაჭრობაში ჩვენი ქვეყანა იყენებს საქონელბრუნვის აღრიცხვის ე. წ. „ზოგად მეთოდს“, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთა. აქედან გამომდინარე, ექსპორტის ქვეშ იგულისხმება, როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი, ხოლო იმპორტის ქვეშ იგულისხმება პროდუქციის შემოტანა ქვეყანაში, რომელიც გამიზნულია საბოლოო მოხმარებისათვის ან შემდგომი ექსპორტირებისათვის.

2015 წლის მონაცემებით საექსპორტო საქონელში ავტომობილების ხვედრითი წილი შედარებით შემცირებულია და საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის პირველი ხუთეული შემდეგი პროცენტული წილით ხასიათდება: სპილენძის მადნები – 12%, ფეროშენადნობები – 10%, მსუბუქი ავტომობილები – 9%, თხილი – 7%, სამკურნალო საშუალებები – 6%.

ამავე პერიოდში იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წამყვანი პოზიციები ეკავა შემდეგ პროდუქტებს: ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები,სამკურნალო საშუალებები,ხორბალი და მესლინს. სხვა სასაქონლო ჯგუფების საქონლის ექსპორტის წილი

მთლიან სასაქონლო საიმპორტო სტრუქტურაში უმნიშვნელო იყო და მერყეობდა 1%-მდე ფარგლებში. აღსანიშნავია რომ ძირითადი 5 სასაქონლო ჯგუფის წილი 2000-2015 წლებში ქვეყნის იმპორტის 30%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 3



წყარო: დიაგრამა საქსტატის მონაცემთა ბაზაზეა შედგენილი ავტორის მიერ

ზემოთმოცემული (ცხრილი1) საგარეო ვაჭრობის ექსპორტის მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ საშუალო აბსოლუტური მატება შემდეგი ფორმულით:

$$\overline{\Delta} = \frac{y_n - y_1}{n-1}$$

მივიღეთ, რომ $\overline{\Delta} = \frac{2204-1232}{8} = 121$

მიღებული მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ 2007–2015 წლებში ექსპორტის მოცულობა საშუალოდ გაზრდილია 121 მლნ. აშშ დოლარით.

საშუალო აბსოლუტური მატების საფუძველზე ექსტრაპოლაციის მეთოდით გამოვთვალეთ 2016-2018 წლებისათვის ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები,რომლისთვისაც გამოვიყენეთ ფორმულა:

$$\widehat{Y}_n = \widehat{Y}_{n-1} + \overline{\Delta} = Y_1 + (n-1)\overline{\Delta}$$

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, გაანგარიშების შედეგად მივიღეთ, რომ 2016 წლისათვის ექსპორტის მოცულობა მიუახლოვდება 2429 მლნ. აშშ დოლარს, 2017 წელს - 2562 მლნ. დოლარს, ხოლო 2018 წელს - 2695 მლნ. დოლარს. ანუ მომავალში საქართველოს ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებელი ხასიათდება ზრდის ტენდენციით.

დასკვნები და რეკომენდაციები: ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საექსპორტო პროდუქცია მრავალფეროვნებითა და დიდი მოცულობით არ გამოირჩევა, თუმცა არსებობს რეალური პოტენციალი ზოგიერთი სასაქონლო ჯგუფის მიმართულებით. რაც შეეხება იმპორტს, ექსპორტთან შედარებით აქ უფრო მეტად ვაწყდებით პროდუქციის ფართო ასორტიმენტს და მაღალ მოთხოვნას, რაც თავისთავად განაპირობებს იმპორტის მოცულობის ზრდის ყოველწლიურად მზარდ ტემპს. უნდა აღინიშნოს ისიც,რომ საგარეო ვაჭრობას

საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია და მისი საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. თუმცა, დღემდე სამწუხარო რეალობად რჩება ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფით მაჩვენებელს წარმოადგენს და იმისათვის,რომ შედარებით შესაძლებელი იყოს ამის დაბლანსება, საჭიროა საქართველომ აწარმოოს კონკურენტუნარიანი და მაღალეფექტური საქონელი და მომსახურება ქვეყანაში არსებული რესურსებისა და პირობების მაქსიმალურად ათვისებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ, საგარეო ვაჭრობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ, 2003.
2. გაბიძაშვილი ბ, სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში,მე–4 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომც. „უნივერსალი“, თბ.,2011.
3. გელასვილი ს, მუჩიაშვილი მ, მაისურაძე ი, მაკროეკონომიკური სტატისტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ.,2012 (ელექტრონული ვერსია).
4. მარშავა ქ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა,ლექციების კურსი
5. https://tsu.ge/data/file_db/economist_faculty/marshavastatistika2.p df.
6. ხმალაძე მ, „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ნაწილი მეორე, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015.
7. http://www.geostat.ge/
8. www.ec.europa.eu/eurostat

Annotation

Statistical highlights of foreign trade of Georgia in 2007 to 2015 years are discussed in the article. The main trends of export and import is also analyzed and the product structure is characterized. The main foreign trade export and import countries are revealed according to the official statistics.With the help of extrapolation methods and average absolute increase, the forecasts of export is estimated and appropriate conclusions are made.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

სალომე კობახიძე
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებილი პროფესორი **ირინა გოგორიშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სტატიაში განხილულია, თუ რატომ ხდება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო მეტად აქტუალური ჩვენს ქვეყანაში და რა ადგილი უკავია მას საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში. საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და იმისათვის, რომ ის განვითარებული ქვეყნების რიცხვს შეუერთდეს მრავალი ეტაპის გავლა ესაჭიროება. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს საწარმოთა მცირე და საშუალო სექტორი.

ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების წინაპირობები და მისი ხელშემწყობი პროგრამები, მოყვანილია არსებული პრობლემების ანალიზი და შეფასებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ნაშრომი ეყრდნობა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის და კონკურენტუ-ნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული თეორიებსა და პრინციპებს. ამისათვის გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, მსოფიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული სიახლეები.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო მეწარმეობა, მაკროგარემო, ფაქტორები, პრობლემები.*

ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესის გარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე.

ეკონომისტები ბიზნესის გარემოს კლასიფიცირებას ახდენენ სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. გამოიყოფა ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო {1. გვ. 63}, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ–კულტურული, ბუნებრივ გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ა.შ. გარემო{4. გვ. 118}.მაკროგარემოს ფაქტორები არარეგულარულად და არაპიდაპირ ზემოქმედებენ ორგანიზაციებზე. თუმცა მაკროგარემოს მდგომარეობის გავლენის ხარისხი ყოველი ორგანიზაციისთვის მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და იგი დამოკიდებულია როგორც ორგანიზაციის საქმიანობის სფეროზე, ისე ორგანიზაციული სისტემის შინაგან პოტენციალზე. აღნიშნულ ფაქტორებს მიეკუთვნება: ეკონომიკური მდგომარეობა; სოციალურ-კულტურული ტრადიციები, პოლიტიკური ფაქტორები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საერთაშორისო მოვლენები.

ბიზნესის გარემო ყალიბდება ბიზნესზე, როგორც ზემოქმედების ობიექტზე, მიმართული სახელმწიფოს სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად. ამგვარი ზემოქმედების შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე მათი დაყოფა შესაძლებელია ბიზნესთან არაპირდაპირ(ირიბად) და

პირდაპირ დაკავშირებულ ღონისძიებებად. პირველ ჯგუფში ერთიანდება ის ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფოს ლატერალურ ფუნქციებთან. კერძოდ:

- ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი წესრიგის, მეწარმის ფიზიკური უსაფრთხოებისა და მისი ქონების დაცვა;
- ეკონომიკური ზრდის წახალისება შესაბამისი მონეტარული, ფისკალური, ინვესტიციურ–სტრუქტურული და სხვა სახის პოლიტიკის საშუალებით;
- კონკურენტული გარემოს შექმნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩარჩოებში;
- ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ცივილიზებული საბაზრო თამაშის წესების შემუშავება და განუხრელი დაცვა.

სახელმწიფოსთან ერთად ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოებას. ამრიგად, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების წინაპირობები შეიძლება სამ ჯგუფად გაერთიანდეს:

- სახელმწიფოს პოლიტიკა ბიზნესთან მიმართებაში;
- საზოგადოების კულტურა და ფასეულობათა სისტემა;
- სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობისადმი ადამიანთა მიდრეკილება და მათი უნარი.
- მეწარმეობის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო–საკრედიტო და საინვესტიციო მხარდაჭერის გარეშე. გამოკითხულ მცირე და საშუალო მეწარმეთა აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი მათი საქმიანობის მთავარ შემაფერხებელ მიზეზად ასახელებდა საბანკო და არასაბანკო კრედიტებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო რისკის მაღალი ხარისხით და გაცემულ სესხებზე სათანადო გარანტიების არარსებობით. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული მექანიზმის სრულყოფა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით.უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია ბიზნესის მხარდაჭერის ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- მიკრო და ფინანსების არასაბანკო ინსტიტუტების ჩამოყალიბების სტიმულირება;
- საბანკო მომსახურების სფეროს დივერსიფიცირება;
- შეზღუდული ლიცენზიის მქონე მცირე ბანკების განვითარება;
- დისტანციური საფინანსო მომსახურების პრაქტიკის დანერგვა;
- ელექტრონული და მობილური გადახდის საშუალებების, მათ შორის ელექტრონული ფულის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა;

მცირე და საშუალო მეწარმეობასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის სუსტი მხარეა ის, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ვერ ასრულებენ ეკონომიკის ქმედითი მამოძრავებელი ძალის როლს, მათი შრომის მწარმოებლურობა დაბალია. საქართველოს ეკონომიკის გენერატორი მსხვილი ბიზნესია, რომელიც სუსტად არის დაკავშირებული მცირე და საშუალო საწარმოებთან.

ორგანიზაციული თვალსაზრისით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ცუდი მობილიზება და მათი კოლექტიური ძალისხმევის არგამოყენება აფერხებს ინვესტიციების ზრდას, საწარმოების ლოგისტიკის მდგომარეობა და ხარჯების არსებული პოლიტიკა მოითხოვს მათი მენეჯმენტის მნიშვნელოვან გარდაქმნას, ხოლო გლობალური ტენდენციების გაძლიერება და ქვეყანაში ადამიანთა რესურსების ნაკლებობა ამწვავებს მეწარმეობის პრობლემებს და მცირე ბიზნესის ღირებულებათა განვითარების ჯაჭვი განუვითარებელი რჩება.

ნაშრომში მცირე და საშუალო მეწარმეობაში ღირებულების ზრდის შემაფერხებელი ძირითადი მიზეზები დახასიათებულია, როგორც ეკონომიკურ-ორგანიზაციული, ასევე ინსტიტუციური ფაქტორების კუთხით.

მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებისა მოქმედ კანონმდებლობაში ბევრი პრობლემური საკითხია რომელიც აფერხებს მეწარმეობის განვითარებას. კვლევებმა ცხადყო ის პრობლემები რომლებიც მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

- პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტური ზონების არსებობა;
- ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ინტერესების დაუცველობა;
- საგადასახადო სისტემის არასტაბილურობა და არარეგულირებადობა;
- საკრედიტო რესურსების ძნელად მისაწვდომობა;
- ინფლაცია;
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
- ბუნდოვანება საგადასახადო კოდექსში;
- საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიების ნაკლებობა{2. გვ. 69}.
- იმისათვის, რომ მოხდეს თავისუფალი მეწარმეობის ჩამოყალიბება და განვითარება მცირე საწარმოების შექმნის გზით, აუცილებელია აღმოიფხვრას ყველა ის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზის არსებობასთან. ამისთვის აუცილებელია:
- მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კონკრეტული და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც, როგორც წესი, უნდა წარმოადგენდეს ზოგადად მეწარმეობის განვითარების ეროვნულ-სახელწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს;
- მეწარმეობის განვითარებისათვის ხელისშემშლელი მიზეზების დადგენისა და აღმოფხვრის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრა და კერძო მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- პასუხისმგებლობისა და ფუნქციების გამიჯვნა ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის მეწარმეობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა ეფექტიანი მონაწილეობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების, რეალიზაციის და შედეგიანობის შეფასების პროცესში.

შესაბამისად, თანამედროვე პირობებში, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი საგადასახადო ადმინისტრირების მოწესრიგებისაკენ არის მიმართული.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერი სახელმწიფო პროგრამები

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო სისტემის განვითარება დაიწყო 1990-ანი წლების ბოლოს. 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს. საქართველოს პეზიდენტის ბრძანებულების თანახმად ჩამოყალიბდა და აგრეთვე “მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი”. აღნიშნული ორგანიზაციების კომპეტენციაში შედიოდა მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება.

სამთავრობო დახმარების კონცეფციისა და სპეციალური პროგრამის განხორციელების კვალობაზე მცირე საწარმოთა აქტივობების ზრდის პროცესი სტაბილური და ეფექტიანი გახდა. შესწავლილი იქნა გარდამავალ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის საერთაშორისო

გამოცდილება. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის N 309 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცებული იქნა „2002-2004 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა საწარმოთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით:

1. საფინანსო დახმარების აღმოჩენა:

- მცირე მოცულობების პირდაპირი სესხები
- მცირე საწარმოთათვის გარანტიების გაცემა კომერციულ ბანკებში სესხების მისაღებად
- საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სპეციალური ორგანიზაცია გასცემდა გარანტიებს შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებზე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ კომერციული ბანკების მოთხოვნებს გირაოს ანდა ბიზნეს რისკებთან დაკავშირებით. სუბსიდირების მიზანს წარმოადგენდა კომერციული ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რათა კრედიტის საფასური მისაღები ყოფილიყო საწარმოთათვის. საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირების პროგრამა გამოიყენებოდა მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტულ სფეროებში ეკონომიკური და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად.

2. საინფორმაციო, საკონსულტაციო, განათლებისა და ტრეინინგის სფეროები:

პროგრამა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას საინფორმაციო-საკონსულტაციო სფეროში. პროგრამის რეალიზაციის პროცესში მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი ასრულებდა ორ ძირითად ამოცანას:

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ძირითადი საშუალებებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა
- საწარმოთა პერსონალის ტრეინინგისა და სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ამგვარად, საქართველოში 2006 წლამდე მიღებული იქნა მცირე ბიზნესის ხელშემწყობი შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი - 1999 წლის 23 ივლისს
- „მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 26 იანვრის ბრძანებულება
- „მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აპრილის №134 ბრძანებულება
- „2002-2004 წლებში საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამის სესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის №309 ბრძანებულება
- „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის შესახებ“საქართველოს მთავრობის 2004 წლის 13 აპრილის დადგენილება №21.

კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმებული იქნა 2006 წელს. მთავრობის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული იქნა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობდა ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპის

დანერგვას და ამასთანავე ყველა საწარმოსათვის თანაბარი პირობების შექმნას განურჩევლად მათი ზომისა. შესაბამისად, მთავრობა ესწრაფოდა ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს, ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის, ლიცენზიებისა და ნებართვების გამარტივებული სისტემის ამოქმედებას. დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობაში მხოლოდ კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ გვაძლევს მცირე ბიზნესის სრულფასოვან განმსაზღვრებებს:

- მცირე საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვაა არაუმეტეს 500000 ლარისა.
- საშუალო ზომის საწარმო - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულს, ხოლოს წლიური ბრუნვაა არაუმეტეს 1500000 ლარისა.

საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 მაისის N110 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული იქნა პროგრამა „დასაქმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით“.

სახელმწიფო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ხელი შეეწყო მოსახლეობის დასაქმებისათვის რეგიონალური ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერით და ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობით ტურიზმის სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საკრედიტო რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით. პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან შერჩეულ კომერციულ ბანკს გამოეყო სესხი 5 მილიონი ლარის ოდენობით რაც გაცემული იქნა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. საწარმოთათვის კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის სარგებლის განაკვეთ შეადგენდა წლიურ 12%-ს, რაც მნიშვნელოვნად იაფი იყო იმძამინდელ საბაზრო ფასთან შედარებით. კრედიტის მაქსიმალური ვადა 5 წელი იყო. მეწარმეს შეეძლო ესარგებლა კრედიტის გადახდის დაწყების 1 წლიანი საშეღავათო პერიოდით, ხოლო კრედიტის მაქსიმალური მოცულობა 50000 აღწევდა. კრედიტი გაიცემოდა ბენფიციარ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის (სასტუმროების, აგრო-ტურიზმის, კვების ობიექტების, სხვ.) განვითარებისათვის და ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის (ტურისტული აღჭურვილობის გაქირავება, ხალხური რეწვა, სხვ.) განსახორციელებლად. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა ბენეფიციარ საწარმოთა მენეჯერებისათვის უფასო ტრეინინგებისა და კონსულტაციების ორგანიზებას მათთვის ტურიზმის ბიზნესის სპეციფიკის, ბიზნეს-გეგმების სრულყოფის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საფინანსო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. პროგრამის დაწყებიდან 6 თვის მანძილზე წარმოადგენილი იქნა 1000-ზე მეტი განაცხადი, საიდანაც ბანკის მიერ დაკრედიტებული იქნა დაახლოებით 20% საქართველოს ყველა რეგიონში.

სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესისათვის დასახმარებლად ორგანიზებულ პროექტების კუთხით ასევე აღსანიშნავია თბილისის მერიის პროგრამა „დაიწყე შენი ბიზნესი მერიის დახმარებით“.

პროგრამის ფარგლებში სატრეინინგო დახმარება გაწეულ იქნა დაახლოებით 700 მოქალაქისათვის, რომლების გეგმავდნენ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას უახლოეს

მომავალში. სატრეინინგო პროგრამა მოიცავდა საპროექტო, ფინანსების, მენეჯმენტისა და სხვა საჭირო საკითხების სწავლებას. აგრეთვე აღსანიშნავია ბოლო ხანებში ინიცირებული პროგრამა „დასაქმდი და დაასაქმე თბილისის მერიასთან ერთად“, რომელიცის მიზნად ისახავს: მცირე და საშუალო ბიზნეს მხარდაჭერას და შესაბამისად ქალაქში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მეწარმეს, რომელიც დააკმაყოფილებს პროექტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შესაძლებლობა აქვს დაიწყოს საკუთარი ბიზნესი, განავითაროს ის და დაასაქმოს სხვებიც. საკუთარი ბიზნეს გეგმის განსახორციელებლად მათ სესხს პროგრამაში მონაწილე კომერციული ბანკები ძალზე დაბალი განაკვეთით (6-8%) და 60 თვის ვადით გამოუყოფენ. პროექტის ფარგლებში პარტნიორ ბანკებთან ერთად, თბილისის მერია აფინანსებს ყველა იმ საუკეთესო პროექტს, რომლებიც ქალაქში ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის.

საყურადღებოა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ტექნიკური დახმარების პროექტები, რომლებიც საქართველოში ხორციელდება 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მათ მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი მცირე ბიზნესის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ბიზნეს გარემოს ფორმირება, რეგულაციების სრულყოფა, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა, მცირე საწარმოთა პერსონალის კვალიფიკაცია, ა.შ. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია UNDP, USAID, GIZ,IFC, ათასწლეულის გამოწვევა საქართველო, შვეიცარიის განვითარებისსა და თანამშრომლობის სააგენტო, ლტოლვილთა ნორვეგიის საბჭო და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. განხორციელებული პროექტების შედეგად მცირე ბიზნესს ხელი შეეწყო ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრების, ფერმერთა მომსახურების ცენტრების, საწარმოთა ღირებულებათა ჯაჭვების ფორმირება, ა.შ.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს დროის გარკვეულ მონაკვეთებში კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას. თუმცა საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიდგომის არარსებობის გამო ეს ღონისძიებები ძირითადად ფრაგმენტული ხასიათისაა და საპროექტო ვადის ამოწურვასთან ერთად ასრულებენ სასიცოცხლო ციკლს.ასევე შეუძლებელია გასული 15 წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის კუთხით გაწეული ტექნიკური დახმარებების და სხვა სახის ხელშეწყობის მდგრადობის შეფასება, ვინაიდან სამწუხაროდ არ არსებობს მონაცემთა ბაზა, სადაც ქრონოლოგიურ და პროფილური კრიტერიუმების საფუძველზე დაარქივებული იქნებოდა ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნული აქტივობების შესახებ.

მცირე საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურების თანამედროვე და პერსპექტიულ ფორმად მიჩნეულია ფინანსური და ოპერატიული ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი, ტრადიციული საბაკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით, მეწარმეს საშუალებას აძლევს მიიღოს აუცილებელი ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების განხორციელების გარეშე. მოწინავე უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, მეწარმეობის მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორიცაა ბიზნეს-ინკუბატორები. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლინებას და მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა სწრაფად დანერგვას. ბიზნეს-ინკუბატორი არის სპეციალური ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ახალი საწარმოები. ისინი სარგებლობენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურითა და აუცილებელი მომსახურებით. ბიზნეს-ინკუბატორებში აქტიურად მიიზიდება როგორც ადგილობრივი ისე უცხოური ინვესტიციები. წარმოება ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე.

ბიზნეს–ინკუბატორების შექმნა საკმაოდ რთული, შრომატევადი და კაპიტალტევადი საქმეა, რომელიც მოითხოვს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას. კერძოდ, აუცილებელია ბიზნეს–ინკუბატორების სტატუსის განსაზღვრა, მართვის სტრუქტურებისა და ფუნქციების დადგენა და სხვ. ბიზნეს–ინკუბატორი სამართლებრივ – ორგანიზაციული წესით არის დამოუკიდებელი და არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას წარმართავს კოლეგიური ორგანო, მაგალითად საბჭო. მიზანშეწონილია, რომ საქართველოში ბიზნეს–ინკუბატორების საქმიანობა უმთავრესად წარიმართოს : ა) მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად და ბ) მომსახურების სფეროში მეწარმეობის გასავითარებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნეს–ინკუბატორებისათვის ადგილმდებარეობის სწორი შერჩევა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს სათანადო ინფრასტრუქტურების არსებობა, პირველ რიგში კი – თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენების შესაძლებლობა.

აუცილებელია ბიზნეს–ინკუბატორების მიბმა რეგიონალურ პოლიტიკასთან და მართვის ადგილობრივი ორგანოების აქტიური ჩართვა ბიზნეს–ინკუბატორების ფუნქციონირების პროცესში. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მმართველი პერსონალის შერჩევას, მართვის ეფექტიანი პროცედურების შემუშავებას, მენეჯერთა საქმიანობის სწორ შეფასებას და სათანადო სტიმულირებას.

ბიზნესის წარმატებით განვითარების შესაძლებლობას ძალიან დიდი ზომით განსაზღვრავს ბიზნესმენთა და მეწარმეთა განათლების დონე, პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველივე ამის მიღწევა არის რთული პროცესი, რომელიც დიდ დროს, ძალისხმევას და სერიოზული კაპიტალდაბანდებების განხორციელებას მოითხოვს.

ობიექტური და სამართლიანი შეფასების მიზნით ახალგაზრდა თანამშრომელთა სასწავლო აქტივობების შეფასებები შეიტანება სპეციალურ დოსიეში და ინახება სასწავლო ცენტრში. ინჟინერ–ტექნიკური და სხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, დასავლეთის მეცნიერთა აზრით, წარმოების თანამედროვე ხასიათიდან გამომდინარეობს და ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გრძელდებოდეს{7. გვ. 112}.

სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც წესი, რეალიზდება სამი მთავარი მიმართულებით:

ა) იმ მუშაკთა ცოდნის გაღრმავება– გაფართოება, რომლებიც რჩებიან დაკავებულ თანამდებობაზე;

ბ) მუშაკთა მომზადება ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად, გ) მუშაკთა გადაკვალიფიცირება და ახალი პროფესიის დაუფლება.

დასავლეთის ქვეყნების ზემოაღნიშნული გამოცდილება, რა თქმა უნდა, საინტერესოა ჩვენთვის, თუმცა მისი პირდაპირი გადმოტანა საქართველოს რეალურ სინამდვილეში შეუძლებელია იმის გამო, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი ძლიერი ბიზნეს–სტრუქტურები, რომლებიც დამოუკიდებლად მოახერხებენ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემის საკუთარი ძალებით ფუნქციონირების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ამ პროცესის განხორციელების მთავარი მონაწილე სახელმწიფო შეიძლება იყოს. ამასთანავე, სახელმწიფომ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით უნდა წაახალისოს ბიზნეს–სტრუქტურები აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ამრიგად, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის ღონისძიებათა ეფექტიანი და ქმედითი სისტემის შექმნა და გამოყენება წარმოადგენს ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის თვითგანვითარების ინსტიტუციური მოდელი მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე აღმოცენებული მცირე საწარმოები საშუალებას იძლევიან გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დემონოპოლიზაცია, გაუმართლებლად გამსხვილებული საწარმოების დეკონცენტრაცია, დამოუკიდებელ საქონელმწარმოებელთა გამრავლება, წარმოების სტრუქტურის დინამიური ცვლილება სამომხმარებლო მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა ახალი ტიპის მეწარმეობის ფორმირება–განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და რეალიზაციას, როგორებიცაა: კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ.

საქართველოში მცირე საწარმოთა უპირატეს განვითარებას განაპირობებს რიგი ხელსაყრელი პირობები. ეს პირობებია:

- ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა;
- ჭარბი დაუსაქმებელი სამუშაო ძალა ცალკეულ რეგიონებში;
- ინდივიდუალური შრომისაკენ განსაკუთრებული მისწრაფება.

საქართველოს ეკონომიკის დაბალანსებისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია მცირე ბიზნესის სწრაფვას ოპერატიულად აითვისოს რეგიონული ეკონომიკა, სწრაფად დაიკავოს თავისუფალი სივრცეები ადგილობრივ ბაზრებზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოსთან. 2008 წელს საქართველომ მე-18 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის (მან უკან ჩამოიტოვა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა თურქეთი, ზერბაიჯანი, რუსეთი), 161 ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით, 2009 წელს კი მე-15 ადგილზე დაწინაურდა. ეს განპირობებული იყო იმ რეფორმების მასშტაბურობით, რომელსაც წინა პერიოდებში ჰქონდა საქართველოში ადგილი და დღესაც გრძელდება.

საქართველოში რეფორმები 6 მიმართულებით გატარდა:

1. ბიზნესის დაწყება;
2. ლიცენზიების გაცემა,
3. კრედიტების მიღება;
4. საკუთრების რეგისტრაცია;
5. ინვესტორების დაცვა;
6. ბიზნესის დახურვა.

შედეგად, გაუმჯობესდა ბიზნესგარემო, გამარტივდა ბიზნესის დაწყება, საკუთრების რეგისტრაცია, ლიცენზიების გაცემა, კრედიტის მიღება და ა.შ.

მცირე მეწარმეობისათვის განსაზღვრული პირობების შესრულებისას საკმაოდ რაციონალური შეიძლება აღმოჩნდეს გადასახადების შემცირების ამოცანა, რადგან არსებობენ გარკვეული სახის ეკონომიკური დანახარჯები, რომლებიც საკმაოდ მტკივნეულია სწორედ მცირე საწარმოებისათვის. მსგავსი პოლიტიკის რაციონალურობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს ის, რომ გადასახადები არ უნდა შემცირდეს მეტისმეტად, ანუ გადასახადებზე ეკონომია უნდა შეესაბამებოდეს კორექტირებად დანახარჯებს (მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეღავათები გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა საქმიანობის პერიოდი და მასშტაბები მცირეა და დასახელებული დანახარჯები შედარებით მაღალი). ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბეგვრის შემცირებული განაკვეთები ან შეღავათის სხვა ფორმები. ზოგიერთ შემთხვევაში გადასახადების გადახდის ალტერნატიული დანახარჯების შესამცირებლად, რომლებიც მცირე ბიზნესისათვის მეტია თუნდაც იმ მიზეზით, რომ მას არ აქვს საბუღალტრო აღრიცხვის განვითარებული სისტემის გამოყენების შინაგანი მოთხოვნილება, გამოიყენება გამარტივებული რეჟიმები, რომლებიც მეტ-ნაკლები სიზუსტით საშუალებას გვაძლევენ მოვახდინოთ ვალდებულებების შეფასება გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით და გავათავისუფლოთ სხვა გადასახადებისაგან.

ბოლო წლებში საქართველოში ბიზნესის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამაზე თუნდაც რამდენიმე ფაქტი მეტყველებს: მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგების თანახმად, საქართველო ბიზნესის დაწყების სიადვილის მიხედვით 2011 წელს მსოფლიოში მე–8 ადგილზეა, რადგან აქ ეს პროცესი მხოლოდ სამი საფეხურისგან შედგება.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები უპირველესად ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სრულყოფას ითვალისწინებდა. კომერციული საწარმოების მარეგულირებელ კანონებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა და 180 მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი კანონი. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ზოგადად, ხელსაყრელია ბიზნესისთვის: რეგისტრაციის პროცესი მარტივი და სწრაფია, მცირეა სახელმწიფო რეგულირების ტვირთი, მთავრობა ატარებს დერეგულაციისა და ბიზნესის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების პოლიტიკას. კერძოდ, საქართველოში მთლიანი საგადასახადო ტვირთი მოგების 15,3 პროცენტს შეადგენს, ქონების რეგისტრაცია მხოლოდ ერთ პროცედურას მოიცავს, ხოლო სამშენებლო ნებართვის მოსაპოვებლად 10 პროცედურის გავლაა საჭირო.

2011 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითრების საშუალოვადიანი (2011-2015 წწ.) “ათპუნქტიანი გეგმა”, რომლის მიზანია შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობისათვის. აღნიშნული გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს შექმნა. გეგმის მოცემული ნაწილი ითვალისწინებს მეწარმეობისათვის არაკორუფციული და ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის და ოპტიმალური საგადასახადო გარემოს ფორმირებას. გათვალისწინებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შრომის ბაზარზე მობილურობის უზრუნველყოფა, სპეციალური რეგულაციების შემოღება 45 დან 60 წლამდე მოსახლეობის დასაქმების მიზნით. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის და ადმინისტრირების გამარტივება.

საქართველოში ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმა მცირე ზომის ფირმაა. 2011 წლის მონაცემებით კომერციული იურიდიული პირების 94%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს) შეადგენენ, ხოლო სუბიექტთა 67,2% ინდივიდუალური მეწარმეებია. დიდი კომპანიების 65% ადგილობრივი მფლობელების

საკუთრებაა, საშუალო და მცირე საწარმოების შემთხვევაში კი ადგილობრივი მესაკუთრეობის წილი 93-94%-ს უტოლდება.

საქართველოში ინოვაციური მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მიმართულებად შეიძლება იქცეს რეგიონული ტექნოპარკების და ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის შექმნა. მრავალი უნივერსიტეტი და კოლეჯი ფლობს საწარმოო ფართს, რომელზეც შეიძლება განლაგდეს მცირე საწარმოები. სწორედ ასეთი ბიზნეს-ინკუბატორი გაიხსნა 2015 წლის მიწურულს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში. აღნიშნული ბიზნეს-ინკუბატორი ძალზე დიდ დახმარებას გაუწევს ინოვაციური იდეების მქონე სტუდენტებს საკუთარი იდეების ხორცშესხმაში და ბიზნესის წამოწყებაში.

მცირე და საშუალო საწარმოები ხელს შეუწყობენ ეკონომიკის მდგრადი სექტორის შექმნას, ბევრი რთული პრობლემის გადაწყვეტას. ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმებისაგან დამოუკიდებლად, მიზანშეწონილია მათ დაბეგვრის, ფასწარმოქმნის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის ერთნაირი პრინციპები გააჩნდეთ.

2016 წლის მსოფლიო ბანკის „Doing Business“-ის ანგარიშის მიხედვით საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა და კვლავ 24-ე ადგილზეა მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულა გაუმჯობესებულია - 76.84-დან 77.45-მდე, რაც პროგრესის მაჩვენებელია.

საქართველო კვლავ გამოირჩევა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, როგორც ქვეყანა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უკეთესი და უფრო ეფექტიანი რეგულირების მიმართულებით.

საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია სამ კომპონენტში (10-დან), არცერთ კომპონენტში ქულა არ გაუარესებულა - 5 კომპონენტში ქულა არის გაუმჯობესებული, ხოლო დანარჩენ 5 კომპონენტში უცვლელია.

„Doing Business“-ის 2016 წლის რეიტინგში საქართველო წინ უსწრებს 165 ქვეყანას, მათ შორის, პოლონეთს, შვეიცარიას, საფრანგეთს, ნიდერლანდებს, ესპანეთს, იაპონიას, ბელგიას, იტალიას, ლუქსემბურგს და სხვა. 2016 წლის „Doing Business“-ის შეფასებით, საქართველომ ორი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა მშენებლობის ნებართვის გაცემის და კონტრაქტების აღსრულების გამარტივების კუთხით.

- მშენებლობის ნებართვის გაცემა: შემცირდა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დრო, რომელიც პრაქტიკაში სრულად განხორციელებულია;
- კონტრაქტების აღსრულება: სასამართლოში შემოღებულ იქნა დოკუმენტების ელექტრონული წარდგენის სისტემა, რომლის შედეგად გამარტივდა კონტრაქტების აღსრულება.

რეიტინგი გაუმჯობესებულია შემდეგ 3 კომპონენტში:

1. ელექტროენერგიით მომარაგება - გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 62-ე ადგილზე გადმოინაცვლა 70-ე ადგილიდან. ქულა გაუმჯობესებულია 72.89-დან 76.15-მდე.
2. კონტრაქტების აღსრულება - გაუმჯობესდა 5 პოზიციით და მე-13 ადგილზე გადმოინაცვლა მე-18 ადგილიდან. ქულა გაუმჯობესებულია 73.21-დან 75.06-მდე.
3. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება - გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 101-ე ადგილზე გადმოინაცვლა 105-ე ადგილიდან. ქულა გაუმჯობესებულია 39.60-დან 40.24-მდე.

სარეიტინგო ქულები ასევე, გაუმჯობესებულია შემდეგ კომპონენტებში:

- მშენებლობის ნებართვის მიღება - 82.38-დან 82.77-მდე;

- ბიზნესის დაწყება - 97.73-დან 97.78-მდე.

2016 წლის „Doing Business“-ის შეფასება ეფუძნება მნიშვნელოვნად შეცვლილ მეთოდოლოგიას - გაფართოვდა კვლევის ფარგლები და მეთოდოლოგია, კვლევას დაემატა ხარისხობრივი მონაცემები, რომელიც ადრე არ ფასდებოდა. განხორციელდა 6 მნიშვნელოვანი ცვლილება, მათ შორის, რეიტინგს დაემატა 3 ახალი ინდიკატორი,ხოლო 3 შეიცვალა. სწორედ ამ ცვლილებამ განაპირობა ის, რომ ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით გადაანგარიშდა ყველა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს 2015 წლის პოზიციაც და მე-15 ადგილის ნაცვლად, საქართველოს 24-ე ადგილი მიენიჭა.

დღეისთვის ამ მიმართულებებით ყველგან არის პროგრესი, წინა წლებთან შედარებით.

- მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით - საქართველომ შეიმუშავა მშენებლობის კოდექსი, რომელიც უკვე მოიცავს მშენებლობის ხარისხის კონტროლის მექანიზმებს. ჩატარდა კოდექსის პროექტის საჯარო განხილვები.დღეისთვის დოკუმენტი შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ბიზნესთან და უახლოეს სესიაზე წარედგინება პარლამენტს განსახილველად.
- კადასტრით დაფარვა/მიწების აღრიცხვა-რეგისტრაცია - წინა წლებში არ იყო აღრიცხული და დარეგისტრირებული იმ რაოდენობის მიწის ნაკვეთები, რაც დღეს არის და შესაბამისად - კადასტრით დაფარვა იყო ნაკლები. უკვე შემუშავებულია კანონპროექტი, რომელშიც განსაზღვრულია მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები თანამედროვე მოთხოვნების და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკთან ჯერ კიდევ შარშან გააფორმა ხელშეკრულება რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში. ეს პროექტი დაწყებულია და ითვალისწინებს საქართველოს მასშტაბით მიწების ეტაპობრივად სრულად აღრიცხვას.

გარდა ამისა, დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროცესი, რომლის ფარგლებში უკვე იდენტიფიცირებულია: თბილისის მასშტაბით 700 ჰა მიწის ფართობი, ხოლო რეგიონების მასშტაბით - 131 ათას ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 450 ჰა-მდე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ეს პროცესი გრძელდება და დასრულდება 2016 წლის ბოლოსთვის.

ასევე, თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მიწის რეგისტრაციის უფლება, გარდა ცენტრალური ხელისუფლებისა, მიეცათ მუნიციპალიტეტებს, რამაც ფაქტობრივად შექმნა კონკურენცია და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტების მიერ მიწის აღმოჩენა/რეგისტრაციის პროცესს.

ელექტროენერგიის წყაროს საიმედოობა და ტარიფების გამჭვირვალეობა - ინდიკატორი ზომავს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის სიხშირეს, ელექტროენერგიის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობას და ტარიფების გამჭვირვალეობას. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის სიხშირეს და ელექტროენერგიის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობას აკვირდება სემეკი სპეციალური ინდექსების (SAIDI, SAIFI) მეშვეობით, რომლებიც ყოველწლიურად უმჯობესდება. რაც შეეხება ტარიფებს, უკვე შეიცვალა ადრე დამკვიდრებული პრაქტიკა და მიმდინარე წლის სექტემბრიდან დგინდება გამჭვირვალედ, სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად და არა მემორანდუმების საფუძველზე, როგორც ეს ადრე იყო. შესაბამისად, დღეს ჩვენ ამ ნაწილში უკვე გვაქვს გაუმჯობესებული სურათი.

„Doing Business“-ის მეთოდოლოგია, რომელმაც განიცადა ცვლილებები უფრო სიღრმისეულად აფასებს ქვეყნების მდგომარეობას და არ შემოიფარგლება მხოლოდ

პროცედურების თუ სხვა მაჩვენებლების რაოდენობითა თუ ღირებულებით, არამედ აფასებს რეგულაციების ხარისხსაც. აღსანიშნავია, რომ შარშან დაწყებული მეთოდოლოგიის ცვლილება გრძელდება და მომავალ წელსაც იგეგმება მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად საჭირო რეფორმებზე, რაც ასევე აისახება "Doing Business"-ის რეიტინგზე: მომზადებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც უკვე განხილულია ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და პრაქტიკოს იურისტებთან. მზადების პროცესშია ცვლილებები მეწარმეთა შესახებ კანონში და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში. მომზადებულია სამშენებლო კოდექსის პროექტი, შეიქმნა ინვესტორთა საბჭო; შემცირდა მშენებლობის ნებართვის გაცემის ვადა; საქალაქო სასამართლოში ამოქმედდა ელექტრონული დეკლარირების სისტემა. www.icourt.geპლატფორმის საშუალებით შესაძლებელია საჩივრის შეტანა ელექტრონულად, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად; რეფორმები გრძელდება სხვა მიმართულებებითაც.

დასკვნები დარეკომენდაციები: ამრიგად, საქართველოში მიმდინარეობს ბიზნეს გარემოს განვითარების აქტიური პროცესი. რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის მდგრადი სექტორის შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მრავალი პროგრამა განახორციელა ბიზნესის მცირე და საშუალო სექტორის განსავითარებლად, ამ კუთხით მაინც აუცილებელია უამრავი ღონისძიების გატარება. საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი ღონისძიებების გატარებაა: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, დაბალპროცენტიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა, ინფრასტრუქტურის განვითარება, საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება, ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ინვესტორებისთვის სტაბილური სამართლებრივი გარემოს შექმნა, მეწარმეობის განვითარების უკეთესი პროგრამების შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ., ბიზნესი: ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, თბ., 2007.
2. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, 2016.
3. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2002.
4. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბილისი, 2007.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
6. ტერაშვილი ნ., გიგილაშვილი რ., მცირე ბიზნესი საქართველოში. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. Iტ., თბილისი, 1995
7. ДрукерП. ЗадачименеджментавXXIвеке. М., 2002
8. http://www.bbi.ge ბიზნეს ინკუბატორის როლი მეწარმეობის განვითარებაში
9. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10 --..-4----4---0-0l--11-ru-10---10-ka-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL4.6&d=HASH87cd00baf2e9f3bc3a8b5f.7&gt=2
10. http://geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
11. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი (NIS) - მოხსენება 2011 (transparency.ge/nis/ka/2011/biznesi)

12. The World Bank and the International Finance Cooperation, Ease of Doing Business in Georgia, http://doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia#starting-a-business
13. http://www.economy.ge/ge/media/news/msoflio-bankma-2016-wlis-doing-business-is-angarisi-gamoaqveyna

Anotation

The article discusses the reasons why the economic policy of small and medium sized enterprises development is getting more and more actual in our country and what its role is in the ongoing economic processes. Georgia is a country with a transitional economy and to join the list of developed countries it needs lots of stages to go through. Small and medium sized enterprises have a great influence to the establishment of developed market economy.

There are discussed the preconditions for the development of small and medium sized enterprises and its supporting programs in the article. Also, the paper gives an analysis of the problems and the assessment of the role of small and medium sized enterprises for economic development. The work is based on a developed market economy and a competitive market environment-related theories and principles. There are used the local and foreign scientific works and researches, the data of Department of Statistics, also, the news published by the World Bank.

საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების სტატისტიკური ანალიზი

ქრისტინე კოხოძე, მარიკა შონია
მაგისტრატურის I კურსი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხმალაძე**

ანოტაცია

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს ადამიანთა გადაადგილებას მოცემული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ საცხოვრებლის მუდმივად ან დროებით შეცვლის მიზნით. განხორციელების მიხედვით განასხვავებენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითიგანზომილების მიხედვით - მუდმივსა და დროებითს.

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს რთულ დემოგრაფიულ პროცესს. ყოველწლიურად ადამიანთა დიდი ნაწილი იცვლის საცხოვებელ ადგილს, გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან ქალაქში და ა.შ. მიგრაცია განპირობებულია მთელ რიგი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორებით.

საკვანძო სიტყვები: *მიგრაცია, დემოგრაფია, სტატისტიკური მეთოდები, მიგრაციული სალდო.*

მიგრაციას მრავალი მეცნიერება შეისწავლის, თუმცა რა თქმა უნდა, მის ღრმა შესწავლას ახორციელებს დემოგრაფია თავისი სტატისტიკური მეთოდებით.

ზოგადად, მიგრაციისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს, მაგრამ აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენს უკონტროლო და არალეგალური მიგრაცია, რამაც უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა მრავალი სახელმწიფო.

საინტერესოა რა ხდება მიგრაციის მხრივ საქართველოში. როგორც ვიცით, მიგრაცია საქართველოში ძალიან დიდი ხნის პრობლემაა, მრავალმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემგზავრა საზღვარგარეთ. ეს კი ძირითადად იყო შრომითი მიგრაცია. ხალხი მიდის საზღვარგარეთ შემოსავლების მიღების მიზნით. ეს კი რა თქმა უნდა უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარებზეც. წარმოიქმნა ისეთი პრობლემები, როგორიცაა დემოგრაფიული მდგომარეობის დამძიმება, კვალიფიციური კადრების გადინება და ინტელექტუალური პოტენციალის გაფლანგვა.

საქართველოში 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რაოდენობაა 3 720400 ადამიანი. აქედან 2015 წელს ემიგრანტთა საერთო რიცხვი შეადგენდა 95,965 ადამიანს, რაც მთელი მოსახლეობის 2,57%-ს შეადგენს. ხოლო იმიგრანტებისა კი - 92,557-ს, რაც მთლიანი მოსახლეობის 2,48%-ია.

მიგრაციული პროცესების სტატისტიკური ანალიზი. ამ ნაშრომში მოვახდენთ მიგრაციული პროცესების სტატისტიკურ ანალიზს და შევეცდებით შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

მოცემულია ცხრილი, სადაც წარმოდგენილია მონაცემები ემიგრანტებისა და იმიგრანტების რიცხოვნობის შესახებ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2012-2015 წლებში.

ცხრილი 1

ასაკი	2012		2013		2014		2015	
	ემიგრანტი	იმიგრანტი	ემიგრანტი	იმიგრანტი	ემიგრანტი	იმიგრანტი	ემიგრანტი	იმიგრანტი
0	543	621	492	902	680	961	782	939
1-4	2,412	2,177	3,093	3,082	3,017	3,120	3,334	3,263
5-9	2,174	1,649	2,752	2,416	1,795	1,515	2,790	2,709
10-14	2,157	2,169	2,203	1,813	5,473	4,162	2,016	1,848
15-19	7,408	5,161	5,659	4,060	12,677	9,123	5,439	4,146
20-24	12,981	8,217	13,091	10,071	12,953	10,967	12,562	9,692
25-29	12,570	8,839	13,418	12,253	10,663	9,525	13,833	12,458
30-34	10,285	7,721	11,427	10,800	8,839	8,064	11,340	11,167
35-39	8,791	6,760	9,632	9,380	7,429	6,796	9,877	9,335
40-44	8,150	5,980	8,288	8,277	6,716	6,312	8,268	8,068
45-49	5,785	3,228	7,537	7,894	2,410	2,321	7,248	7,391
50-54	7,157	5,460	6,875	7,633	6,151	6,509	6,778	7,215
55-59	4,582	4,191	4,306	5,426	4,384	4,836	4,928	5,700
60-64	2,408	2,804	2,638	3,678	2,321	3,397	2,884	3,819
65-69	1,062	1,360	1,149	1,775	1,091	1,721	1,557	2,117
70-74	1,032	1,375	1,102	1,441	809	1,186	894	1,112

75-79	600	764	767	917	715	878	812	919
80-84	358	401	464	456	384	448	401	433
85 +	110	158	171	184	171	248	222	226
უცნობია	19	28	-	-	26	72	-	-
სულ	**90,584**	**69,063**	**95,064**	**92,458**	**88,704**	**82,161**	**95,965**	**92,557**

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

მიგრაციის სტატისტიკური ანალიზი იწყება მისი ნაკადების გამოთვლით. მიგრაციული ნაკადები ორი სახისაა: წლის განმავლობაში შემოსულები და წლის განმავლობაში წასულები. ამ ორ სიდიდეს შორის სხვაობა გვაძლევს მიგრაციულ მატებას. ვნახოთ, როგორი იყო მიგრაციული მატება (მიგრაციული სალდო) საქართველოში 2012-2015 წლებში:

2012 წელი: 69,063-90,584= -21,5

2013 წელი: 92,458-95,064= -2,6

2014 წელი: 82,161-88,704= -6,5

2015 წელი: 92,557-95,965= -3,4

როგორც ვხედავთ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მიგრაციული მატება უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნიდან წასულთა რიცხვი აღემატება შემოსულების რიცხვს.

ახლა შევხედოთ როგორი იყო ტენდენცია წინა წლების განმავლობაში:

ცხრილი 2

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)	-35,2	-32,6	-27,8	-27,5	5,5	76,3	-12,1	-20,7	-10,2	34,2	18,1	20,2	-21,5	-2,6	-6,5	-3,4



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

ვხედავთ, რომ მიგრაციული სალდო დადებითი იყო მხოლოდ 2004, 2005, 2009, 2010 და 2011 წლებში. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, 2000 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ამ

ხუთი წლის განმავლობაში იყო მიგრაციული სალდო დადებითი, ანუ ქვეყანაში უფრო მეტი ადამიანი შემოვიდა, ვიდრე ქვეყნიდან გავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციული სალდო წინა წელთან შედარებით უფრო დაბალია, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით ემიგრაციაში წავიდა 7,261-ით მეტი ადამიანი. ასევე იმიგრანტების რიცხვიც 2014 წელთან შედარებით 10,396-ით მეტია. ანუ ემიგრაცია 2014 წელთან შედარებით 2015-ში გაიზარდა 7,6 %-ით, ხოლო იმიგრაცია - 11,2%-ით.

ზოგადად, მიგრაციული სალდოს დადებით თუ უარყოფით მნიშვნელობას განაპირობებდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება. ცხრილში და გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ მიგრაციული სალდო ყველაზე მაღალია 2005 წელს, რაც სავარაუდოდ განპირობებული იყო იმით, რომ 2004 წელს საქართველოში პოლიტიკური სისტემა შეიცვალა და ახალი პარტია მოვიდა ქვეყნის სათავეში, რამაც ქვეყნიდან წასულ ემიგრანტებს დაბრუნების სტიმული მისცა.

როგორც ცხრილში ვხედავთ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გვქონდა უარყოფითი მიგრაციული სალდო, რომელიც ყველაზე მაღალი იყო 2012 წელს. თუმცა შემდგომ წლებში შეინიშნება კლებადობის ტენდენცია და 2015 წელს 2012 წელთან შედარებით 6,3-ჯერ შემცირდა მიგრაციული სალდო.თუმცა მოსახლეობის რიცხოვნობაც მკვეთრად, 783,9 ათასი კაცით შემცირდა 2015 წელს 2012 წელთან შედარებით (2012 წელს - 4 497,6 ათასი, 2015 წელს - 3 713,7 ათასი ადამიანი, პირველი იანვრის მონაცემებით).

მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლა. მიგრაციის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლები, რომლებიც უფრო კონკრეტულად გვიხასიათებენ მოვლენას. მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლებია: შემოსვლის კოეფიციენტი, გასვლის კოეფიციენტი, მიგრაციული მატების კოეფიციენტი, მიგრაციის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი, მიგრაციის ეფექტიანობის კოეფიციენტი.
გავიანგარიშოთ აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით:

ცხრილი 3

წელი	მოსახლეობა წლის დასაწყისში	მოსახლეობა წლის ბოლოს	ემიგრანტების რაოდენობა	იმიგრანტების რაოდენობა
2015	3 713,7	3 720,4	95,965	92,557

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

ჯერ უნდა ვიანგარიშოთ საშუალო მოსახლეობა 2015 წელს, რომელიც საშუალო არითმეტიკულით იანგარიშება და მისი ფორმულა შემდეგი სახისაა: $\bar{S}=\frac{S_0+S_1}{2}$ ჩვენს შემთხვევაში მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა 2015 წელს უდრის:

$\frac{3\,720{,}4+3\,713{,}7}{2}$=3717,05

მიგრაციის სალდო კი როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე არის -3,4.
ახლა შეგვიძლია გადავიდეთ მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებაზე:

1) შემოსვლის კოეფიციენტი - გვიჩვენებს, თუ რამდენია შემოსულთა რიცხვი მოცემული ტერიტორიის ყოველ ათას მცხოვრებზე. იგი გამოისახება პრომილეში.

$K_{V^+} = \frac{V^+}{\bar{S}} \times 1000$, სადაც V^+ არის შემოსულთა რიცხვი მოცემულ პერიოდში.

$K_{V^+} = \frac{92.557}{3717.05} \times 1000 = 24,9‰$[1]

ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში მცხოვრებ ყოველ 1000 მოსახლეზე მოდის შემოსულთა 24,9‰.

2) წასვლის კოეფიციენტი - გვიხასიათებს წასულების რიცხვს მოცემული ტერიტორიის ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

$K_{V^-} = \frac{V^-}{\bar{S}} \times 1000$

$K_{V^-} = \frac{95.965}{3717.7} \times 1000 = 25.8‰$

3) მიგრაციული მატების კოეფიციენტი - გვიხასიათებს მიგრაციულ მატებას მოცემული ტერიტორიის ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

$K_{\Delta} = \frac{V^+ - V^-}{\bar{S}} \times 1000$

$K_{\Delta} = \frac{92.557 - 95.965}{3717.05} \times 1000 = -0.91‰$

მიგრაციული მატების კოეფიციენტი ასევე გაიანგარიშება, როგორც სხვაობა შემოსვლისა და წასვლის კოეფიციენტებს შორის:

$K_{\Delta} = K_{V^+} - K_{V^-}$

შესაბამისად გვექნება:

$K_{\Delta} = 24.9‰ - 25.8‰ = -0.9‰$

4) მიგრაციის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი - გვიხასიათებს რამდენი შემოსული და გასული მოდის მოცემული ტერიტორიის ყოველ 1000 მცხოვრებზე:

$K = \frac{V^+ + V^-}{\bar{S}} \times 1000$

$K = \frac{95.965 + 92.557}{3717.7} \times 1000 = 50.7‰$

მეორენაირად მიგრაციის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი გამოითვლება, როგორც შემოსვლის და წასვლის კოეფიციენტების ჯამი:

$K = K_{V^+} + K_{V^-}$

$K = 24.9‰ + 25.8‰ = 50.7‰$

5) მიგრაციის ეფექტიანობის კოეფიციენტი: გვიჩვენებს საერთო მიგრაციის რამდენი პროცენტი მოდის მიგრაციულ მატებაზე.

[1] **პრომილე** (ლათ. per mille — ათასზე) — მთელისმეათასედინაწილი, ესეიგიპროცენტის მეათედინაწილი; აღინიშნება ‰ სიმბოლოთი.

$$K_{ეფ.} = \frac{V^+ - V^-}{V^+ + V^-} \times 100 \text{ ან } K_{ეფ.} = \frac{K_{V^+} - K_{V^-}}{K_{V^+} + K_{V^-}} \times 100$$

$$K_{ეფ} = \frac{92,557 - 95,965}{92,557 + 95,965} \times 100 = -1,8\%$$

$$K_{ეფ} = \frac{24,9 - 25,8}{24,9 + 25,8} \times 100 = -1,8\%$$

მიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით. როგორც ყველა სხვა დემოგრაფიული პროცესები მიგრაციაც გვხვდება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში. მოსახლეობის მიგრაცია რა თქმა უნდა მკვეთრად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამიტომაც საჭიროა მიგრაციის კერძო, ასაკობრივი ინტენსივობის კოეფიციენტის გამოთვლა, როგორც შემოსული, ისე გასული მოსახლეობისათვის და ორივესთვის ერთად. ზოგადად მიგრაციის კერძო კოეფიციენტს ასეთი სახე აქვს:

$$K_x = \frac{V_x}{\overline{S}_x} \times 1000$$

სადაც, K_x არის მიგრაციის კერძო კოეფიციენტი;

V_x მიგრანტთა რიცხვი მოსახლეობის მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში;

$\overline{S}_x$ მოცემული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხვი.

ავაგოთ ცხრილი და გავიანგარიშოთ მიგრაციის კერძო კოეფიციენტები 2014 წლის მონაცემებით:

ცხრილი 4

ასაკი	მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წელს	მოსახლეობის რიცხოვნობა 2015 წელს	ემიგრანტები	იმიგრანტები	მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხვი
0-4	295.5	256.8	3,334	3,263	276.15
5-9	244.8	202.6	2,790	2,709	223.7
10-14	229.1	189.7	2,016	1,848	209.4
15-19	273.1	226.1	5,439	4,146	249.6
20-24	350.4	290.1	12,562	9,692	320.25
25-29	360.1	298.1	13,833	12,458	329.1
30-34	334.9	277.2	11,340	11,167	306.05
35-39	315.6	261.3	9,877	9,335	288.45
40-44	303.3	251.1	8,268	8,068	277.2
45-49	299	247.5	7,248	7,391	273.25
50-54	332.1	274.9	6,778	7,215	303.5
55-59	285.3	236.2	4,928	5,700	260.75
60-64	240.2	198.8	2,884	3,819	219.5
65-69	156.9	129.9	1,557	2,117	143.4

70-74	153.1	126.7	894	1,112	139.9
75-79	153.5	127.1	812	919	140.3
80-84	87.3	72.3	401	433	79.8
85 +	76.3	63.1	222	226	69.7

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

თუ შევხედავთ პირველ ცხრილს, ვნახავთ, რომ მიგრაცია ყველაზე მაღალია 25-29 წლის მოსახლეობაში, შემდეგ მოდის 20-24 წლის მოსახლეობა. ხოლო ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელშიც მიგრაცია ყველაზე ნაკლებია, არის 85 და მეტი წლის მოსახლეობა.

ვნახოთ, რამდენია მიგრაციის კერძო კოეფიციენტი ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიგრანტისათვის და გაანგარიშების შედეგად მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

ცხრილი 5

ასაკი	მიგრაციის კერძო კოეფიციენტი ემიგრანტებისათვის	მიგრაციის კერძო კოეფიციენტი იმიგრანტებისათვის
0-4	12.1	11.8
5-9	12.5	12.1
10-14	9.6	8.8
15-19	21.8	16.6
20-24	39.2	30.3
25-29	42.0	37.9
30-34	37.1	36.5
35-39	34.2	32.4
40-44	29.8	29.1
45-49	26.5	27.0
50-54	22.3	23.8
55-59	18.9	21.9
60-64	13.1	17.4
65-69	10.9	14.8
70-74	6.4	7.9
75-79	5.8	6.6
80-84	5.0	5.4
85 +	3.2	3.2

მართლაც, როგორც აღმოჩნდა, ემიგრაცია ყველაზე მაღალი ინტენსივობით ხასიათდება 25-29 წლის მოსახლეობაში, შემდეგ ადგილზეა 20-24 და 30-34 წლის მოსახლეობა. ხოლო ემიგრაცია ყველაზე დაბალია 85 და მეტი ასაკის მოსახლეობაში. ამას უფრო ნათლად გვიჩვენებს შემდეგი გრაფიკი(აგებულია ემიგრანტებისთვის):



რაც შეეხება იმიგრანტებს, იმიგრაცია ყველაზე მაღალია 25-29 წლის მოსახლეობაში, მას ოდნავ ჩამორჩება 30-34 წლის მოსახლეობა. ხოლო იმიგრაცია ყველაზე დაბალია 85 და მეტი ასაკის მოსახლეობაში:



მიგრაციის ტერიტორიული ანალიზი. მოსახლეობის მიგრაციის ანალიზისას მნიშვნელოვანია ასევე სხვადასხვა ტერიტორიაზე მიგრაციული ნაკადების ინტენსივობის ანალიზი. როგორც ვიცით, მიგრაცია გულისხმობს მოსახლეობის ერთი ტერიტორიიდან გადაადგილდებას სხვა ტერიტორიაზე.

სანამ უშუალოდ ამ მაჩვენებლებს გავიანგარიშებ, ვნახოთ ცხრილი, სადაც მოცემულია მიგრანტების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით 2015 წლისათვის:

ცხრილი 6

მოქალაქეობა	2015					
	ემიგრანტი			იმიგრანტი		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო	67,452	37,711	29,741	50,924	30,411	20,513
რუსეთის ფედერაცია	6,160	3,485	2,675	10,552	5,972	4,580
თურქეთი	3,631	2,796	835	5,810	4,687	1,123
სომხეთი	3,331	2,006	1,325	4,143	2,582	1,561
აზერბაიჯანი	1,574	817	757	2,839	1,554	1,285
უკრაინა	1,130	755	375	2,886	1,414	1,472
ირანი	1,454	1,068	386	1,766	1,368	398
ქუვეითი	1,293	840	453	1,320	850	470

ერაყი	988	770	218	1,618	1,244	374
ა.შ.შ.	916	556	360	1,081	639	442
ჩინეთი	783	601	182	1,267	1,044	223
სხვა ქვეყნის მოქალაქე	7,104	4,321	2,783	8,206	4,836	3,370
არ არის ნაჩვენები	149	91	58	145	91	54
სულ	**95,965**	**55,817**	**40,148**	**92,557**	**56,692**	**35,865**

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*



დავიწყოთ ტერიტორიებს შორის მიგრაციის ინტენსივობის მაჩვენებელი სიდიდეების გაანგარიშება:

1) ორ ტერიტორიას შორის მიგრაციული სალდო: ეს მაჩვენებელი საშუალებას იძლევა დადგინდეს ორ ტერიტორიას შორის მოსახლეობის გაცვლის ხასიათი. თუ შევხდავთ მეექვსე ცხრილს ვნახავთ, რომ საქართველოდან ყველაზე მეტი ადამიანი 2015 წელს წავიდა რუსეთში (6,160 ადამიანი) და ანალოგიურად ყველაზე მეტი ადამიანი შემოვიდა რუსეთიდან (10,552ადამიანი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთთან მიგრაციის დადებითი სალდო აქვს (10,552-6,160=4,392) და შეადგენს 4,392 ადამიანს. წინა წელს აღნიშნული სალდო შეადგენდა 4,268 ადამიანს (ემიგრანტები - 5,424; იმიგრანტები - 9,692).

ცხრილის მონაცემების ანალიზისას ვხედავთ, რომ საქართველოს მოცემულ ქვეყნებთან აქვს დადებითი მიგრაციული სალდო. მიუხედავად ამისა, მთლიანად ქვეყნის მიგრაციული სალდო უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანად ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რიცხოვნობა აღემატება ქვეყანაში შემოსულების რიცხვს.

2)ორ ტერიტორიას შორის მიგრაციული ნაკადების თანაფარდობა გვიჩვენებს რაიმე ტერიტორიიდან მოსულების რიცხვს იმავე ტერიტორიაზე წასულ ყოველ 1000 მოსახლეზე გაანაგრიშებით. მისი გამოსათვლელი ფორმულაა:

$$K=\frac{V^-}{V^+}\times 1000$$

სადაც, K - მიგრაციული ნაკადების თანაფარდობაა, $V^-{}_i$ - არის რაიმე ტერიტორიაზე წასული მოსახლეობა, ხოლო $V^+{}_i$ - კი არის რაიმე ტერიტორიიდან შემოსული მოსახლეობის რიცხოვნობა.

გავიანგარიშებ აღნიშნულ მაჩვენებელს კვლავ რუსეთსა და საქართველოს შორის და გვექნება:

$$K = \frac{6.160}{10.552} \times 1000 = 583.8$$

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან წასულ ყოველ 1000 მოსახლეზე გაანაგრიშებით, რუსეთიდან შემოვიდა დაახლოებით 583 ადამიანი.

ვინაიდან მიგრაციის მაჩვენებლებით მოცემულ ცხრილში მეორე ადგილზეა თურქეთი, ამ მაჩვენებელს გავიანგარიშებ თურქეთისთვისაც და გვექნება:

$$K = \frac{3.631}{5.810} \times 1000 = 624{,}9$$

ანუ თურქეთში წასულ ყოველ 1000 ადამიანზე გაანგარიშებით, თურქეთიდან შემოვიდა დაახლოებით 624,9 ადამიანი.

3) როგორც მოსული, ისე წასული მოსახლეობისთვის, ტერიტორიული მიგრაციული კავშირები გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

წასულებისთვის: $K_{ij} = \frac{V_{ji}}{S_i} \times 10000$

მოსულებისთვის: $K_{ji} = \frac{V_{ij}}{S_j} \times 10000$

სადაც, K_{ij} არის მოცემული ტერიტორიიდან სხვა ტერიტორიაზე მოსახლეობის წასვლის ინტენსიცოვის კოეფიციენტი;

K_{ji} არის სხვა ტერიტორიიდან მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის შემოსვლის ინტენსივობის კოეფიციენტი;

S_j არის სხვა ტერიტორიის მოსახლეობა;

S_i მოცემული ტერიტორიის მოსახლეობა;

V_{ij} არის j-იურ ტერიტორიაზე i-ური ტერიტორიიდან ჩამოსულთა რიცხვი.

ამ მაჩვენებლის არსი მდომარეობს იმაში, რომ მაგალითად, საქართველოში შემოსული მიგრაციული ნაკადების ინტენსივობის დასადგენად სხვადასხვა ტერიტორიების მიხედვით, საჭიროა შემოსულთა რიცხვი შევუფარდოთ არა საქართველოს მოსახლეობას, არამედ იმ მოასხლეობას, საიდანაც მოხდა მიგრაცია და პირიქით. (ვანგარიშობთ ყოველ 10000 მცხოვრებზე - პროდეციმილე).

ჯერ ვნახოთ თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს რუსეთში, თურქეთში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 2015 წლის მონაცემებით (ათასი კაცი, ინფორმაცია ეყრდნობა მოცემული ქვეყნების ოფიციალურისტატისტიკური სამსახურების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას).

ცხრილი 7

წელი	რუსეთი	თურქეთი	უკრაინა	სომხეთი	აზერბაიჯანი
2015	146 300,0	78 741,053	42929,3	3 004,6	9 593,0

გავიანგარიშოთ ზემოთ განხილული მაჩვენებელი თითოეული ქვეყნისთვის ცალ-ცალკე:

საქართველო-რუსეთი:

წასულებისთვის: $K_{ij} = \frac{6.160}{146300.0} \times 10000 = 0.42\%$

მოსულებისთვის: $K_{ji} = \frac{10.552}{3720.4} \times 10000 = 28.36\%$

საქართველო - თურქეთი

წასულებისთვის: $K_{ij} = \frac{3.631}{78741.053} \times 10000 = 0.46\%$

მოსულებისთვის: $K_{ji} = \frac{5.810}{3720.4} \times 10000 = 15.6\%$

საქართველო - უკრაინა:

წასულებისთვის: $K_{ij} = \frac{1.130}{42929.3} \times 10000 = 0.26\%$

მოსულებისთვის: $K_{ji} = \frac{2.886}{3720.4} \times 10000 = 7.76\%$

საქართველო - სომხეთი:

წასულებისთვის: $K_{ij} = \frac{3.331}{3004.6} \times 10000 = 11.08\%$

მოსულებისთვის: $K_{ji} = \frac{4.143}{3720.4} \times 10000 = 11.14\%$

საქართველო - აზერბაიჯანი:

წასულებისთვის: $K_{ij} = \frac{1.574}{9593.0} \times 10000 = 1.64\%$

მოსულებისთვის: $K_{ji} = \frac{2.839}{3720.4} \times 10000 = 7.63\%$

გამოთვლილი მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ყველაზე მეტი მოსახლეობა შემოდის რუსეთიდან, შემდეგ ადგილზეა თურქეთი, ხოლო შემდეგ სომხეთი.

ცხრილი 8

ქვეყანა	შემოსულებისთვის	წასულებისთვის
რუსეთი	28.36%	0.42%
თურქეთი	16.6%	0.46%
უკრაინა	7.76%	0.26%
სომხეთი	11,14%	11.08%
აზერბაიჯანი	7.63%	1.64%

აქვე უნდა აღინიშნოს, ის, რომ თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა შედიან იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ შესვლა.

საქართველოს მოსახლეობა გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისა რა თქმა უნდა სხვა ქვეყნებშიც გვხვდებიანდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაოდენობით. მაგალითად, გერმანიაში 2015 წელს საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა შეადგენდა 22 030 ადამიანს (2014 წელს - 19 142, 2013 წელს - 7 002, 2012 წელს - 15 079, ხოლო 2011 წელს - 13 835).

ვნახოთ თუ როგორაა განაწილებული გერმანიაში მყოფი ქართველები ქალაქებისა და მხარეების მიხედვით 2015 წლის მონაცემებით:

ცხრილი 9

გერმანია	22 030
ბადენ-ვიუტენბერგი	3 666
ბავარია	3 308
ბერლინი	1 298
ბრანდენბურგი	142
ბრემენი	219
ჰამბურგი	500
ჰესენი	1 366
მეკლენბურგ-წინა პომერანია	148
ქვემო საქსონია	2 189
ჩრდილოეთ-ვესტფალია	5 574
რაინლანდ-პფალცი	1 053
ზაარლანდი	192
საქსონია	1 245
საქსონია-ანჰალტი	139
შლეზვიგ-ჰოლშტაინი	344
ტიურინგია	347

წყარო: *destatis.de*

განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით (2015 წლის მონაცემები):

ცხრილი 10

	მამაკაცი	ქალი	სულ
5-ის ქვემოთ	658	543	1201
5 – 10	474	431	905
10 – 15	344	352	696
15 – 20	353	341	694
20 – 25	983	1573	2556
25 – 35	3315	4787	8102
35 – 45	2184	2738	4922
45 – 55	776	761	1537
55 – 65	394	482	876
65 – 75	110	219	329
75 – 85	57	112	169
85 – 95	10	28	38
95+	1	4	5
სულ	9659	12371	22030

წყარო: *destatis.de*

ამასთან, როგორც ვხედავთ გერმანიაში მყოფი ემიგრანტი მამაკაცების რიცხვი ქალების რიცხვზე ნაკლებია 2712-ით (21,9%-ით მეტია ქალების რიცხვი). რაც შეეხება ასაკს, გერმანიაში მყოფი ქართველების უმეტესობა მიეკუთვნება 25-35 ასაკობრივ ჯგუფს. და რაც ყველაზე საინტერესოა, 95 წელზე მეტი ხნის ერთი მამაკაცი ცხოვრობს გერმანიაში და 4 ქალი.

ცხრილი 11

მიგრანტთა განაწილება სქესის მიხედვით

ასაკი	2015					
	ემიგრანტი			იმიგრანტი		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
0	782	385	397	939	494	445
1-4	3,334	1,742	1,592	3,263	1,726	1,537
5-9	2,790	1,517	1,273	2,709	1,412	1,297
10-14	2,016	1,071	945	1,848	1,010	838
15-19	5,439	3,155	2,284	4,146	2,455	1,691
20-24	12,562	7,885	4,677	9,692	6,204	3,488
25-29	13,833	9,047	4,786	12,458	8,351	4,107
30-34	11,340	7,411	3,929	11,167	7,577	3,590
35-39	9,877	6,183	3,694	9,335	6,233	3,102
40-44	8,268	4,877	3,391	8,068	5,325	2,743
45-49	7,248	4,009	3,239	7,391	4,694	2,697
50-54	6,778	3,366	3,412	7,215	4,291	2,924
55-59	4,928	2,359	2,569	5,700	3,044	2,656
60-64	2,884	1,334	1,550	3,819	1,801	2,018
65-69	1,557	657	900	2,117	1,001	1,116
70-74	894	369	525	1,112	477	635
75-79	812	259	553	919	347	572
80-84	401	125	276	433	170	263
85 +	222	66	156	226	80	146
სულ	**95,965**	**55,817**	**40,148**	**92,557**	**56,692**	**35,865**

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

ემიგრანტი მამაკაცების რიცხვი შეადგენს 55,817-ს, რაც მთელ ემიგრანტთა 58,16%-ია, ხოლო ქალების წილი შესაბამისად არის 41,83%. რაც შეეხება იმიგრანტებს, ამ შემთხვევაშიც მამაკაცების რიცხვი აღემატება ქალების რიცხვს და შეადგენს იმიგრანტთა 61,25%-ს, ხოლო ქალებისა კი - 38,75%-ს. (მხოლოდ 50 წლის შემდეგ ემიგრანტი ქალების რიცხვი აჭარბებს მამაკაცების რიცხვს. ხოლო 60 წლიდან იმიგრანტი ქალების რიცხვი მეტია მამაკაცების რიცხვზე):



ამასთან მნიშვნელოვანია ის, რომ მიგრანტი ქალების საშუალო ასაკი აღემატება მამაკაცების საშუალო ასაკს:

ცხრილი 12

ემიგრანტებისა და იმიგრანტების საშუალო ასაკი სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით (2015 წელი):

	2015					
	ემიგრანტი			იმიგრანტი		
მოქალაქეობა	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველოს მოქალაქე	33.9	31.9	36.3	36.4	34.5	39.3
სხვა ქვეყნის მოქალაქე	35.8	36.1	35.5	35.7	36.4	34.6
სულ	**34.5**	**33.3**	**36.1**	**36.1**	**35.4**	**37.3**

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

შიდა მიგრაცია საქართველოში

საქართველოში პრობლემას წარმოადგენს არა მარტო გარე მიგრაცია, არამედ შიდა მიგრაციაც. როგორც ვიცით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაციების გამო უამრავ ადამიანს მოუწია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება და სხვა ადგილას დასახლება (ძირითადად თბილისში) და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა დღესაც გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში პრობლემას წარმოადგენს ეკომიგრაციაც. ეკომიგრანტი არის პირი, ვისაც მოუწია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება სტიქიური უბედურებების გამო.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის 28,5 % წარმოადგენს შიდა მიგრანტებს, ანუ პირებს, რომლებმაც შეიცვალეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (გადავიდნენ სხვა დასახლებულ პუნქტში) საქართველოს ფარგლებში. შიდა მიგრანტთა 33,6 %-ს მამაკაცები, ხოლო 66,4 %-ს ქალები წარმოადგენენ.

შიდა მიგრანტთა უმეტესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე ცხოვრობს თბილისში - 33,1 %, შემდეგაა იმერეთის რეგიონი - 15,1 % და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი - 9,6 %.



შიდა მიგრანტების განაწილება რეგიონების მიხედვით (2014 წელი)

მიგრაციის პრობლემების მართვა. მიგრაცია, როგორც უკვე ბევრჯერ აღვნიშნე ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომაც აუცილებელია ქმედითი მექანიზმის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს როგორც გარე, ასევე შიდა მიგრაციასაც.

მიგრაციის პრობლემების მართვა დაკავშირებულია შემდეგ ურთიერთდაკავშირე-ბულ პროცესებთან: პოლიტიკა, კანონმდებლობა და პროცედურები, ადმინისტრაციული სტრუქტურები, აღსრულება და სამუშაო მექანიზმები.

რა თქმა უნდა, დღესდღეობით ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მიგრანტების სამშობლოში დაბრუნება. ასევე მნიშვნელოვანია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისთვის ხელშეწყობა, რაც ასევე წარმოადგენს პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს. სწორედ ამიტომ, 2015 წელს საქართველოში დაბრუნებული მიგრამტების რეინტეგრაციის ხელშესაწყობად სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყო თანხა 400000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გასცა შესაბამის არასამთავრობოებზე, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებს.

ამას გარდა მიგრაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის, რომ 2003 წლიდან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM – International Organization for Migration) დახმარებას უწევს ევროკავშირის ქვეყნებში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებაში. ამჟამად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია თანამშრომლობს 29 ქვეყანასთან (ძირითადად ევროკავშირის ქვეყნები, შვეიცარია და კანადა). პროგრამის მონაწილეები არიან თავშესაფრის მაძიებლები, რომლებსაც უარი ეთქვათ განცხადების დაკმაყოფილებაზე და არალეგალური მიგრანტები. საინტეგრაციო პაკეტი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, როგორიცაა კონსულტირება, სამედიცინო დახმარება, დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა და ა.შ.

2003 წლიდან მოყოლებული პროგრამის ხელშეწყობით საქართველოში დაბრუნდა 4694 ადამიანი, მათ შორის 2688 ადამიანმა მიიღო რაიმე სახის საინტეგრაციო დახმარება. დასაქმდა 199 ადამიანი, 1518-მა ადამიანმა წამოიწყო ან გააფართოვა კერძო ბიზნესი, 164-მა ადამიანმა გაიარა სხვადასხვა სახის ტრენინგი, სამედიცინო დახმარება მიიღო 360-მა ადამიანმა და 223 ოჯახი იქნა უზრუნველყოფილი თავშესაფრით.

გავეცნოთ პროგრამის ფარგლებში საქართველოში ნებაყოფლობით დაბრუნებულ მიგრანტთა შესახებ სტატისტიკას 2003 წლიდან 2015 წლამდე:

ცხრილი 13

ქვეყნები	დახმარება გაეწია	დაბრუნდა
ბელარუსი	34	68
ბელგია	316	332
ჩეხეთი	79	104
ირლანდია	166	167
პოლონეთი	198	694
შვეიცარია	422	453
გაერთიანებულისამეფო	212	212
სლოვაკეთი	21	33
ლატვია	120	263
ლიტვა	16	50
ნიდერლანდები	146	152
ნორვეგია	25	38
ავსტრია	71	71
ფინეთი	20	31
საბერძნეთი	749	1843
ესტონეთი	22	25
უნგრეთი	3	3
იტალია	17	17
თურქეთი	5	16
უკრაინა	7	7
მაკედონია	2	2
რუმინეთი	5	5
კანადა	10	11
დანია	21	25
ლუქსემბურგი	1	1
მოლდოვა	0	1
სხვა	-	70
სულ	2688	4694

წყარო: *IOM (international organization for migration)*

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ყველაზე მეტი ადამიანი სამშობლოში დაბრუნდა 2014 წელს და მათი რიცხვი შეადგენდა 1220-ს, ხოლო 2015 წელს სამშობლოში დაბრუნდა 791 ადამიანი.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია ასევე ეხმარება საქართველოში მყოფ უცხოელებს სამშობლოში დაბრუნებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები: საქართველო ბოლო წლებში აქტიურად ჩაერთო გლობალურ მიგრაციულ პროცესებში. მიგრაციის როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, კულტურულ თუ სხვა სფეროში. მიგრაციის

პრობლემების ეფექტური მართვა კი ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

2015 წელს შემუშავებულ იქნა მიგრაციის მართვის 2016-2020 წლის სტრატეგია, რომელიც რიგით მესამე დოკუმენტია ამ საკითხთან მიმართებით. (პირველი შეიქმნა 1997 წელს, მეორე იყო 2013-2015 წლების სტრატეგია).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ გამოვლინდა, რომ 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 651100 ადამიანით, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია ის აუცილებელი მიმართულება უნდა იყოს, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მიგრაციასთან დაკავშირებით შემუშავებულ ნებისმიერ სტრატეგიაში.

ზოგადად, საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის მიზანია, 2020 წლისათვის საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას, ხელს შეუწყობს იმიგრანტთა უფლებების დაცვას და საზოგადოებაში ინტეგრაციას, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალის ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენებასა და გაზრდის საქართველოს მაცხოვრებლების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებს.

მიგრაციის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელების ერთ-ერთი ქვაკუთხედი შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაა. მნიშვნელოვანიაშრომის ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის რეგულარული კვლევების განხორციელება და მათიშედეგების გათვალისწინება პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემისგანვითარებაში.

ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და მიგრაციული პროცესების ეფექტიანადმართვისთვის მნიშვნელოვანია, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის კიდევ უფრო ამაღლება საქართველოსა დაევროკავშირს შორის არსებულ სავიზო რეჟიმზე, ლეგალურიმიგრაციის შესაძლებლობებსა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებისა და რისკების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მერაბ ხმალაძე - დემოგრაფია, გამომცემლობა „თბილისი“, 2009
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - geostat.ge
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - nplg.gov.ge
4. http://mra.gov.ge/geo/static/3653
5. http://iom.ge/1/mission
6. http://greenalt.org/webmill/data/file/woodservice.pdf
7. http://www.ambioni.ge/ekomigrantebi-svanetidan-da-mtiani-awaridan
8. http://www.informedmigration.ge/cms/Government-of-Georgia-Publications
9. http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf
10. http://www.migration.commission.ge/index.php?article_id=18&clang=0
11. http://armstat.am/en/?nid=126&id=11001
12. http://www.stat.gov.az/source/demography/indexen.php
13. http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist

14. http://www.gks.ru/wps/wcm/connect/rosstat_main/rosstat/en/figures/population/
15. https://ukrstat.org/en/operativ/operativ2007/ds/nas_rik/nas_e/nas_rik_e.html
16. https://www.destatis.de/EN/FactsFigures/SocietyState/Population/Migration/Migration.html
17. http://migration.commission.ge/

Annotation

Population migration is the movement of people in the area outside the residence permanently or temporarily changes the order. Implementation of voluntary and forced migration is distinguished and temporal dimensions - permanent and temporary.

Population migration is a complex demographic process. Most of the population changes there location, move to different countries, cities, from rural to urban and so on. Migration is caused by social, economic and political reasons.

რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის ზეგავლენა საქართველოს ფინანსურ სისტემაზე

ანანო ლომაია
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი **ნათია კახნიაშვილი**

ანოტაცია

ზემოთ განხილული კვლევა ადასტურებს იმ დადებით შედეგებს, რომლებიც საქართველოს ამ კონფლიქტმა მოუტანა, კერძოდ: ტურიზმის სფეროდან მიღებული გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები; შაჰდენიზის პროექტიდან მოსალოდნელი ბუნებრივი აირი, რომელსაც საქართველო მიიღებს როგორც სატრანზიტო ქვეყანა; საექსპორტო პოტენციალის შესაძლო ზრდა

რაც შეეხება უარყოფით ზეგავლენას, ჩემი კვლევის მიხედვით, რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულმა კონფლიქტმა საქართველოში შეამცირა ფულადი გზავნილების რაოდენობა. როგორც ვიცით, ეკონომიკისა და ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სწორედ უცხოეთიდან მიღებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ქართველები ძირითადად რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან რიცხავენ. აღნიშნულმა გარემოებამ გარდაუვალი გახადა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი, პროგნოზი, სიღარიბის დონე, ფულადი გზავნილები*

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთმა სირიის საზღვართან რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო, რამაც ძლიერი დარტყმა მიაყენა ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას. თურქული მხარე ირწმუნება, რომ ბომბდამშენი მათი საჰაერო სივრცის დარღვევის გამოჩამოაგდეს, რუსები კი აცხადებენ, რომ თვითმფრინავს თურქეთის საჰაერო სივრცე არ დაურღვევია. თუ რომელი მხარე

ამბობს სიმართლეს, ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან სახელმწიფოებმა ერთმანეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესეს, რაც ზეგავლენას მათ პარტნიორ ქვეყნებზეც მოახდენს.

აღსანიშნავია, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ფონზე, საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება, რამეთუ ორ ქვეყანას შორის შექმნილი ვითარება აუცილებლად მოახდენს გავლენას მათ სავაჭრო ეკონომიკურ პარტნიორებზეც. თუმცა, როგორი შედეგების მომტანი იქნება ეს დაპირისპირება საქართველოს ეკონომიკისათვის, ამაზე ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი პასუხის გაცემა ძალზედ რთულია. ამეტაპზე, შესაძლებელია მხოლოდ მოსალოდნელი შედეგების პროგნოზის დონეზე განხილვა, რაც წარმოადგენს კიდეც ჩემი ნაშრომის მიზანს, ამასთან, გაანალიზებული მაქვს საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ამკ ონფლიქტის გავლენა, ასევე განხილული მაქვს ის ტენდენციები, რომლითაც დახასიათდება მოცემული ეკონომიკის სექტორები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი და თურქეთი ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირში არიან. თურქეთისთვის რუსეთი სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორია, ხოლო რუსეთისთვის თურქეთი - მეხუთე. მათ შორის სავაჭრო ბრუნვამ 2015 წლის 9 თვის [1]მონაცემებით 18.1 მლრდ.შეადგინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის აგრარული სექტორი რუსეთზეა მიბმული. აღსანიშნავია ის, რომ რუსეთი თურქეთის მოხმარებული გაზის 60% აკმაყოფილებდა, აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ესმევა ხაზი ამ ორი ქვეყნის მჭიდრო კავშირს. ტურიზმს რაცშეეხება, 2015 წლის 9 თვის მონაცემებით თურქეთს 3 მილიონზე მეტი რუსი ტურისტი ესტუმრა.

ქვეყნებს შორის კონფლიქტის ესკალაციას მოჰყვა რუსეთის მხრიდან შემდგომი შეზღუდვები:

1. აიკრძალა თურქული ხილ-ბოსტნეულის, ფრინველისა და მარილის იმპორტი- 2016 წლის პირველი იანვრიდან თურქეთი ფორთოხალს, მანდარინს და რამდენიმე სახეობის პროდუქტს ვეღარ შეიტანს და ათეულობით მილიარდი დოლარის პროდუქტისათვის გასაღების სხვა ბაზრების ძებნა მოუწევს;
2. რუსი მოქალაქეების ტურისტული ვიზიტებით ურქეთში - რუსეთი თურქეთში ტურისტული ნაკადის სიდიდით მეორე წყაროა (ტურისტების საერთო მოცულობის 12%) გერმანიის შემდეგ (დაახლოებით 15%).
3. თურქული ფირმების სამშენებლო პროექტები რუსეთში, სანამ ის სპეციალურად არ იქნება განთავისუფლებული შეზღუდვებისგან.

ამასთანავე, რუსეთმა შეაჩერა ახალი შავი ზღვის მილსადენის მშენებლობა, რომელსაც რუსული გაზის ექსპორტი უნდა გაეზარდა თურქეთში.

აღნიშნული შეზღუდვები დიდ გავლენას ახდენს როგორც თურქეთზე, ასევე რეგიონზე. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორად იქნას შეფასებული მოსალოდნელი საფრთხეები და დადებითი შედეგები, რაც შეიძლება მოყვეს აღნიშნულ დაპირისპირებას.

რაც შეეხება რუსეთსა და თურქეთს, ორივე ქვეყნა საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან, ამიტომ ამ ქვეყნებში მომხდარი ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა აუცილებლად ჰპოვებს ასახვას საქართველოზეც. უფრო მეტიც, საქართველოს ეკონომიკა ამ კონფლიქტის ფონზე ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება, დიდი ალბათობით, შემცირდება ეკონომიკური ზრდა, გაიზრდება სიღარიბის დონე და საფრთხის ქვეშ დადგება მაკროეკონომიკური სტაბილურობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტს

[1] geostat.ge

საქართველოსთვის დადებითი შედეგების მოტანაც შეუძლია და იმ შემთხვევაში, თუ სწორად გავაანალიზებთ მოსალოდნელ რისკებს, შესაძლოა დამატებითი შემოსავლებიც მივიღოთ.

2016 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი (475 მლნ. აშშდოლარი), კანადა (450 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (256 მლნ. აშშ დოლარი).

შესაძლებელია, გამოვყოთ საქართველოს ეკონომიკის ის შემადგენელი ნაწილები, რომელზეც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ორ გიგანტურ სახელმწიფოს შორის დაპირისპირება. ესენია: საგარეო ვაჭრობა; ფულადი გზავნილები; ტურიზმი.

ტურიზმი - სანქციების ომი ტურიზმის სფეროსაც შეეხო, რუსეთმა აკრძალა თურქეთში ვიზიტები, საქართველოს უჩნდება დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალება. იქიდან გამომდინარე, რომ თითო ტურისტი საშუალოდ 700-750$-ს ხარჯავს, [1]ვფიქრობ, რომ რუსი ტურისტების თუნდაც მცირე რაოდენობის ჩამოსვლის შემთხვევაშიც, საქართველო მიიღებს გაზრდილ შემოსავლებს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვმა 1134 436 შეადგინა, რაც 14.7%-ით აღემატება წინაწლის მაჩვენებელს. ვიზიტორთა 47,4% ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ქვეყანაში, ხოლო ტურისტების წილი 35,9%-ს შეადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 წელს 8,3%-ით გაიზარდადა 1,9 მილიარდი ლარი შეადგინა. ეროვნულ ბანკს 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემები გამოქვეყნებული არ აქვს, შესაბამისად ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენით გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში უცხოური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები 219 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 47 მილიონი ლარით მეტია. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც.

ფულადი გზავნილები - საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსურის ტაბილურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია უცხოეთიდან ფულადი გზავნილები, რომლებსაც ქართველები ძირითადად რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან რიცხავენ. რუსეთსა და საბერძნეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებდა ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებაზე. აღნიშნულმა გარემოებამ გარდაუვალი გახადა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება. რუსეთიდან მიღებული ტრანსფერების წილი მთლიან მოცულობაში თითქმის განახევრებულია, რაც საკმაოდ მძიმე შედეგის მომტანი იქნება ქართული ეკონომიკისთვის.

2015 წლის სექტემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 88,6 მლნ აშშ დოლარი, ანუ 212,5 მლნ ლარი, შეადგინა, რაც 32,9 პროცენტით (43,5 მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია 2014 წლის სექტემბერის ანალოგიურ მაჩვენებელზე. პირველ ადგილს, ამ თვალსაზრისით, ინარჩუნებს რუსეთი, საიდანაც გადმორიცხვებმა 2015 წლის სექტემბერში 36,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

[1] http://www.worldsrichestcountries.com/top-russia-exports.html

იმ პირობებში, როცა გზავნილები ქვეყნის მშპ-ს 9 პროცენტს შეადგენს და, შესაბამისად, სავალუტო შემოდინებებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ეს ტენდენცია საკმაოდ შემაშფოთებელია - მით უფრო, რომ ფაქტორები, რომელთა გამოც ეს შემცირება მოხდა, დროში მდგრადია და უახლოეს ხანებში გამოსწორებას არ ექვემდებარება.

საგარეო ვაჭრობა - იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის ბაზარი ჩაიკეტა თურქეთისთვის, შესაძლოა თურქეთის ახალი მარკეტინგული პოლიტიკა განისაზღვროს, რაც გულისხმობს ახალი ბაზრების დაპყრობას, მათ შორის საქართველოსიც. ასევე შესაძლოა შეიჭრას ისეთ ბაზრებზეც, სადაც საქართველოს გააქვს საექსპორტო საქონელი. რაც საქართველოს მცირე ექსპორტს ისედაც შეამცირებს. მეორეს მხრივ, რუსეთმა დაიწყო ზრუნვა თურქული იმპორტის ჩანაცვლებაზე, რეალური კანდიდატი არის ეგვიპტე, [1]თუმცა საქართველომ ეს სიტუაცია თავის სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენოს და ეგვიპტესთან ერთადრუსეთსმიაწოდოსპროდუქცია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ყველაზე არასაიმედო პარტნიორია ჩვენს რეგიონში.

2016 წლის პირველ კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 2,145 მლრდ დოლარი შეადგინა. რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე 7%-ითნაკლებია. აქედან ექსპორტი შემცირებულია 12%-ით, ხოლო იმპორტი 5%-ით. თუ გადავხედავთ საგარეო ვაჭრობის დინამიკას, ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ნათლად დავინახავთ იმ ფაქტორებს რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის იმპორტ-ექსპორტის მოცულობაზე. დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარ-მარტში 574 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა რაც 15%-ით ნაკლებია წინაწლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საქმე იმაშია, რომ სწორედ დსთ, ანუ ჩვენი რეგიონის ქვეყნებში, გასულ წელს იყო სერიოზული სავალუტო და ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2016 წელსაც გრძელდება. უფრო კონკრეტულად კი, ნავთობზე დაბალი ფასები კვლავ ნარჩუნდება, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის რუსეთსა და აზერბაიჯანის ეკონომიკებს. პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში აგრძელებს ცხოვრებას უკრაინა რაც მის ეკონომიკას ყოველდღიურად ასუსტებს. სწორედ ეს არის ის მთავარი ფაქტორები რამაც რეგიონის ქვეყნებთან გააუარესა საგარეო ვაჭრობის მონაცემები.

დასკვნა და რეკომენდაცია: ზემოთ განხილული კვლევა ადასტურებს იმ დადებით შედეგებს, რომლებიც საქართველოს ამ კონფლიქტმა მოუტანა, კერძოდ: ტურიზმის სფეროდან მიღებული გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები; შაჰდენიზის პროექტიდან მოსალოდნელი ბუნებრივი აირი, რომელსაც საქართველო მიიღებს როგორც სატრანზიტო ქვეყანა; საექსპორტო პოტენციალის შესაძლო ზრდა. რაც შეეხება კიდევ ერთ დადებით მხარეს, რაც საქართველოსთვის რუსეთ-თურქეთის კონფლიქტს მოჰყვა, ესაა „შაჰდენიზ 2“-ის პროექტის დაჩქარება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში 400-700 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდება და შეიქმნება სამუშაო ადგილები, ამასთან საქართველოს უჩნდება შესაძლებლობა ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირის 5% შეიძინოს შეღავათიან ფასად.

რაც შეეხება უარყოფით ზეგავლენას, ჩვენი კვლევის მიხედვით რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულმა კონფლიქტმა საქართველოში შეამცირა ფულადი გზავნილების რაოდენობა. როგორც ვიცით, ეკონომიკისა და ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ უცხოეთიდან მიღებული ფულადი სახსრებია, რომლებსაც ქართველები ძირითადად რუსეთიდან, თურქეთიდან და საბერძნეთიდან რიცხავენ. აღნიშნულმა გარემოებამ გარდაუვალი გახადა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება.

[1] http://defencegeorgia.blogspot.com/2012/05/blog-post_5340.html

გამოყენებული ლიტერატურა

1. Turkey faces big losses as Russia sanctions bite; http://www.bbc.com/news/world-europe-35209987 (ნანახია 27.05.2016).
2. Russian-Turkish conflict: prospects and consequences; http://112.international/article/russian-turkish-conflict-prospects-and-consequences-1617.html (ნანახია 27.05.2016).
3. geostat.ge (ნანახია 27.05.2016).
4. http://www.worldsrichestcountries.com/top_turkey_exports.html (ნანახია 27.05.2016).
5. http://www.worldsrichestcountries.com/top-russia-exports.html (ნანახია 27.05.2016).
6. http://defencegeorgia.blogspot.com/2012/05/blog-post_5340.html (ნანახია 27.05.2016).
7. http://factcheck.ge/article/2016-tslis-sam-thveshi-saerthashoriso-vizitorebis-raodenoba-14-7-ith-gaizarda (ნანახია 10.06.16).
8. http://www.gurianews.com/_/left_wide/37739_67_ka/2016_wels_dsTsTan_sagareo_vaWroba_Semcirda_xolo_evrokavSirTan_gaizarda.html (ნანახია 10.06.16).

Annotation

The above study confirms the positive results which are caused by the conflict, namely: the increase budgetary incomes from the turism sector; prospective natural gas from the Shah Deniz project, which will take Georgia as a transit country, the possible increase of export potential.

As concerns negative impacts, according to my research, it's clear that conflict between Russia and Turkey has made the reduction of the remittance in Georgia. As we know, foreign monetary resources are one of the determining factors of economy and finance stability, which Georgians transfermanely from Russia, Turkey and Greece. The mentioned circumstences made it inevitabledevaluting of Lari's exchange rate.

პერსონალის პიროვნული მახასიათებლები კონფლიქტ-მენეჯმენტთან მიმართებაში

თეონა მაისურაძე

დოქტორანტურის I კურსის სტუდენტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნინო ფარესაშვილი**

ანოტაცია

ადამიანთა ქცევა რაციონალურია, თუმცა ხშირ შემთხვევებში რთულია მისი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება. სწორედ სამუშაო ადგილზე იჩენს თავს პიროვნულ მახასიათებელთა განსხვავებები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დასაქმებულები ხშირად მსგავს სტიმულებზე განსხვავებულად რეაგირებენ, შესაბამისად, იზრდება ალბათობა იმისა, რომ წარმოიშობა სხვადასხვა სიძლიერისა და ტიპის კონფლიქტები და საჭირო ხდება ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მენეჯერებმა მრავალი ცვლადი უნდა გაითვალისწინონ დასაქმებულთა ქცევის გასაანალიზებლად. ეს ცვლადები მოიცავს შესაძლებლობებს, უნარებს, პიროვნულობას, აღქმას, გამოცდილებას და დემოგრაფიულ ცვლადებს. სწორედ ამ ყველაფრის კომბინაცია ხდის რთულს ადამიანის ქცევას.

ნაშრომში გაანალიზებულია დასაქმებულთა პიროვნული მახასიათებლების (სქესი, ასაკი, განათლების დონე, სამუშაო სფერო, სამსახურებრივი პოზიცია, ოჯახური მდგომარეობა, ემოციების კონტროლი) ზეგავლენის შედეგად გამოვლენილი კონფლიქტები და შესაბამისად დასახულია მათი გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტები, ფსიქოდინამიკური თეორია, ორიენტაცია, დიდი ხუთეულის მოდელი, მოლაპარაკებები, მენეჯმენტი.*

ადამიანთა ქცევა რაციონალურია. თუმცა, ხშირ შემთხვევებში, რთულია მისი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება. წესები, ნორმები, ღირებულებები, მისწრაფებები, ზოგადად კი პიროვნულობა მართავს დასაქმებულთა ქცევას. პირადი ცხოვრების შემთხვევაში ამას ყურადღებას არ აქცევს ადამიანი, რადგან ძირითადად ახლო ურთიერთობებს მის მსგავს ადამიანებთან ამყარებს. თუმცა, როდესაც ეს ეხება სამუშაო ადგილს, სწორედ იქ იჩენს თავს განსხვავებები. დასაქმებულები, ხშირად, მსგავს სტიმულებზე განსხვავებულად რეაგირებენ. შესაბამისად, წარმოიშობა სხვადასხვა ტიპისა და სიძლიერის კონფლიქტები. კონფლიქტი ცხოვრების გარდაუვალი მოვლენაა. ის ორგანიზაციისათვის შეიძლება იყოს როგორც კონსტუქციული, ისე დესტრუქციული ხასიათის. შესაბამისად, ორგანიზაციებში საჭირო ხდება კონფლიქტ–მენეჯმენტის ქმედითუნარიანი ღონისძიებების გამოყენება.

მენეჯერებს გარკვეული უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეთ დასაქმებულთა ქცევის ისეთი ცვლადი მახასიათებლების გასაანალიზებლად, როგორიცაა: შესაძლებლობები, უნარები, პიროვნულობა, აღქმა, გამოცდილება და დემოგრაფიულ ცვლადები. სწორედ ამ ყველაფრის კომბინაცია ხდის რთულს ადამიანის ქცევას.

უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ პერსონალური მახასიათებლები ეხმარება როგორც ცალკეულ ინდივიდს მოლაპარაკების პროცესში, ასევე მხარეებს რათა უფრო ეფექტიანად:

1. გაშიფრონ და გააცნობიერონ ფსიქოლოგიურად კონფლიქტი – ნაწილობრივ კი ის ინტერესები, რომლებიც უცნობი რჩება პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე;
2. მიმდინარე მოვლენებზე რეაგირება მოახდინონ ისე, რომ გაამარტივონ კონსტრუქციული გადაწყვეტილების პროცესი ესკალაციისაგან თავის არიდებით;
3. მოახდინონ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების გენერირება ორივე მხარის პრიორიტეტულ საჭიროებებთან თანხვედრით.

პიროვნულობის თეორული ასპექტები და ფსიქოდინამიკური თეორია. პიროვნულობის სწავლებისადმი განსხვავებული თეორიული მიდგომები არსებობს, რომელთაგან საყურადღებოა ფსიქოდინამიური მოდელი, რომელიც ცდილობს ადამიანის ბუნების შესახებ დასკვნების გაკეთებას.

ზიგმუნდ ფროიდი, 1880–1930 წლების შრომებში, საუბრობს ადამიანის პიროვნულობის ფსიქოდინამიური სწავლების მნიშვნელობაზე. მისმა მიმდევრებმა მოახდინეს მისი ორიგინალური იდეების მოდიფიცირება, შესწორება, გაფართოება. ისინი ცდილობდნენ მოეძებნათ კოგნიტური პროცესების ადეკვატური ახსნა, რომლებსაც ცენტრალური ადგილი

უკავიათ ადამიანის რეალობასთან დამოკიდებულებაში. ფსიქოდინამიურ მიდგომას ახასიათებს:[1]

აქტიური გაუცნობიერებლობა. ადამიანებს ურჩევნიათ არაფერი იცოდნენ მათი იმპულსების, ფიქრების და მოქმედებების შესახებ, რომლებიც აიძულებს მათ იგრძნონ უარყოფითი ემოციები (მაგალითად, შეშფოთება, დანაშაულის გრძნობა ან სირცხვილი).

შინაგანი კონფლიქტი. ადამიანებს შესაძლოა ჰქონდეთ შინაგანი კონფლიქტი სურვილებსა და სინდისს, სურვილებსა და შიშს, "კარგ მეს'' და "ცუდ მეს'' სურვილებს შორის. კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას გაცნობიერების გარეშე.

კონტროლის და დაცვის მექანიზმები. ადამიანები ივითარებენ ტაქტიკას და სტრატეგიას თავიანთი იმპულსების, ფიქრების, მოქმედებების და რეალობის გასაკონტროლებლად, რათა არ იგრძნონ შეშფოთება, სირცხვილი ან არ დაეუფლოთ დანაშაულის გრძნობა.

განვითარების საფეხურები. დაბადებიდან გვიან სიბერემდე ადამიანები გადიან განვითარების საფეხურებს. ყველაზე ახალი ფსიქოდინამიური თეორიები ემხრობიან ხედვას, რომ განვითარების საფეხურები ირეკლავს როგორც ბიოლოგიურ, ასევე სოციალურ დეტერმინანტებს. განვითარების პროცესში ნორმალურია იმედგაცრუებები, განვითარების კრიზისი და ტიპიური დაცვითი მექანიზმები. თუმცა, მოსალოდნელია განვითარდეს ფსიქოპათოლოგიის გარკვეული ფორმები, თუ იმედგაცრუება და კრიზისი აქვს ახალგაზრდას განვითარების რომელიმე საფეხურზე. შედეგად ამ ეტაპზე ახალგაზრდა ხდება "ფიქსირებული''. ამ ყველაფრის შედეგია მოზრდილების ხასიათის თვისებები.

მრავალსაფეხურიანი პიროვნულობა. ადამიანის პიროვნულობა და შესაბამისად მისი მახასიათებლები განსაზღვრავს თუ როგორ გაივლის ეს პიროვნება განვითარების საფეხურებს. მაგალითად, პარანოიდული, შიზოფრენული მოზარდის პიროვნულობა იმის შედეგია, რომ მას განვითარების ადრეულ საფეხურზე არ გამოსცადა მინიმალური სიყვარული და მზრუნველობა, რაც აგრძნობინებდა ნდობას. მრავალსაფეხურიანი პიროვნულობა არ გულისხმობს იმას, რომ ადრეულ ასაკში არსებულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნაკლებობის ანაზღაურება, აღდგენა შეუძლებელია. თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ პიროვნულობა, რომელსაც შემდგომ ასაკში გარკვეული დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და შევსება დასჭირდა დაემსგავსება პიროვნებას, რომელსაც ეს რთული გზა არ გაუვლია. მძიმე იმედგაცრუების და შფოთის დროს, ასეთი პიროვნულობა რეგრესს განიცდის უფრო ადრეულ სტადიაზე. ასევე, მრავალსაფეხურიანი პიროვნულობის კონცეფცია არ ნიშნავს, რომ ხელუხელებელ მოზრდილის პიროვნულობას შეუძლია სრულებით გაუმკლავდეს მუდმივ ან დროებით ეჭვებს და პარანოიას თუ მიმდინარე სოციალური გარემო საკმაოდ მძიმეა და მტრული საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

სხვასთან კონფიქტს შეუძლია გამოიწვიოს ინტრაფსიქოლოგიური კონფლიქტი და შეშფოთება. ადამიანები შეიძლება შეშფოთდნენ, თუ იგრძნობენ, რომ კონფლიქტის პროცესში ვერ აკონტროლებენ დესტრუქციულ ან ბოროტ იმპულსებს სხვების მიმართ. შესაძლებელია კონფლიქტმა წარმოშვას უუნარობის და უმწეობის გრძნობა, თუ მოწინააღმდეგისაგან იგრძნობა სიძლიერე. თუ კონფლიქტის მიერ გამოწვეული შეშფოთება ინტენსიურია, ინდივიდმა შეიძლება მიმართოს უსინდისო დაცვით მექანიზმებს ამ შეშფოთების შესამცირებლად. მაგალითად, სტუდენტი, რომელიც შფოთავს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ, თავს არიდებს სწავლას და მიდის ცუდ შედეგებამდე. ის ასკვნის, რომ ცუდი ნიშნები შედეგია მოტივაციის და ძალისხმევის ნაკლებობისა. მისი ნიშნები აღრმავებს შეშფოთებას მისი

[1] Deutsch M., Coleman P.T., Marcus E.C., The handbook of conflict resolution: theory and practice, 2nd edition.

შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც იწვევენ თავდაცვას. დაცვა პათოლოგიური არ იქნებოდა თუ გარე გარემოებები ააცილებდა მას სწავლას და მიეცემოდა შესაძლებლობას მეტი ძალისხმევა ჩაედო მასში.

დაცვითი მექანიზმები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ განსაზღვრულია მათი პიროვნულობით. სწორედ დაცვის მექანიზმები განაპირობებს პერსონალის ქცევის განსხვავებებს კონფლიქტის დროს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომაში კონფლიქტი არაა ორიენტირებული პოზიტიურ მოტივებზე. კოგნიტური ფუნქციების სწავლებასა და განვითარებაზე ან პერსონალური განვითარების ფართო სოციალურ და კულტურულ დეტერმინანტებზე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სასარგებლოა იმ საკითხის გასაგებად, რომელსაც ვხვდებით განვითარებისას (უსაფრთხოება, კონტროლი და ძალა, სქესობრივი იდენტობა, ტრანსფორმაცია ბავშვობიდან მოზარდობამდე) რაც შესაძლებელია ადრეულ წლებში არაადეკვატური ზრუნვის და მკაცრი გარემოებების შედეგი იყოს. ეს თეორია არ გვიჩვენებს როგორ შეიძლება აღნიშნულ მახასიათებლებზე დაკვირვება და გაზომვა. თუმცა ის ინტელექტუალური ჩარჩოა პიროვნულობის შესახებ ფიქრისა და მისი განვითარებისათვის.

პიროვნულობა და ფსიქოლოგიური ორიენტაციები. პიროვნულობის გაგების ძიებისას საინტერესოა დეუჩის მიდგომა ფსიქოლოგიური ორიენტაციებისადმი. ის განასხვავებს შემდეგი ტიპის ორიენტაციებს:

შემეცნებითი ორიენტაცია მოლოდინის, სოციალური გარემოს და ამ გარემოში არსებული ხალხის ქცევის კომბინაციაა. ეს საშუალებას იძლევა რომ სწრაფად განვმარტოთ და რეაგირება მოვახდინოთ გარკვეულ სიტუაციაზე. თუ მოლოდინებს მივყავართ შეუსაბამო ინტერპრეტაციებსა და საპასუხო შედეგებთან მაშინ მოლოდინი გადასახედია.

მოტივაციური ორიენტაცია გვფრთხილებს, რომ სიტუაციებში გარკვეული სახის მოთხოვნილებები შესაძლოა იქნას დაკმაყოფილებული, შესაძლოა არა. ის გვიჩენს კითხვებს: რა გვინდა აქ? როგორ მივიღებთ მას? რა უნდა დავაფასოთ და რისი გვეშინოდეს ამ ურთიერთობაში? ბიზნეს მოლაპარაკებებში მენეჯერი ორიენტირებულია ფინანსურ და არა ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

მორალური ორიენტაცია ფოკუსირებას ახდენს საერთო ვალდებულებებზე, წესებსა და იმ პიროვნებების წოდებებზე, რომლებიც მონაწილეობენ ამ ურთიერთობებში. მორალური ორიენტაცია გულისხმობს, რომ ურთიერთობებში როგორც ჩვენ, ისე სხვები ერთობლივად აღვიქვამთ იმ ვალდებულებეს, რაც გაგვაჩნია ერთმანეთის მიმართ და, რასაც ერთობლივად ვაფასებთ, მაგალითად, სოციალური ნორმების ჩარჩოებს, რაც განსაზღვრავს რა არის სამართლიანი და არასამართლიანი ურთიერთქმედებებსა და შედეგებში.

დეუჩის შეხედულება იმ ურთიერთობაზე, რაც არსებობს სოციალურ სიტუაციასა და ფსიქოლოგიურ ორიენტაციას შორის, არ არის მარტო ის, რომ კონკრეტული სიტუაცია ხელს უწყობს კონკრეტულ ფსიქოლოგიურ ორიენტაციას, არამედ ისიც, რომ ცალკეული პირები იცვლებიან ფსიქოლოგიური ორიენტაციისა და პიროვნულობის მხრივ. ზოგიერთი ადამიანი, ცხოვრების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიისწრაფვის ერთად მუშაობისკენ, გათანაბრებისკენ და სოციალურ-ემოციური მიმართულებისკენ, ზოგი კი - კონკურენციის, ძალის მოძიებისა და დავალებაზე ორიენტირებისკენ. მაგალითად, მრავალ კულტურაში თუ შევადარებთ ქალების და კაცების მისწრაფებებს დავინახავთ, რომ ქალებს უფრო ძლიერი მიდრეკილება აქვთ თანამშრომლობისკენ, ხოლო კაცებს კონკურენციისკენ.

პიროვნული ხასიათი გავლენას ახდენს სოციალური სიტუაციისა და სოციალური ურთიერთობების არჩევაზე. ადამიანები ირჩევენ ისეთ სოციალურ ურთიერთობებს და სიტუაციებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ ძირითად ფსიქოლოგიურ ორიენტაციას. ისინი ასევე ცდილობენ შეცვალონ ან თავი მიანებონ სოციალურ ურთიერთობას ან სიტუაციას, თუ ის შეუსაბამოა მათ ხასიათთან. თუ ეს შეუძლებელია, ისინი მიმართავენ იმ ალტერნატიულ ფარულ ფსიქოლოგიურ მიმართულებებს, რომლებიც თავსებადია სოციალურ სიტუაციებთან.

დიდი ხუთეულის მოდელის როლი პიროვნულობის აღწერისას ადამიანების აღწერისათვის ბევრი განსხვავებული დაშვება გამოიყენება. ბოლო ორ ათწლეულში ეს ფაქტორები გაერთიანდა ადამიანის პიროვნულობის აღწერის 5 მთავარ ფაქტორად. ორგანიზაციულმა მკვლევარებმა მას დიდი ხუთეული უწოდეს.[1]

კეთილსინდისიერება. ადამიანის მშრომელი, ორგანიზებული, ბეჯითი, მტკიცე ქცევა. არიან მოტივირებულები და ბევრ სფეროში კარგი შემსრულებლები. კეთილსინდისიერება მიმართულია მიღწევების, კომპეტენციების და თვითდისციპლინის მიღწევაზე, მიისწრაფიან შესანიშნავისაკენ, უკეთესობისკენ. ამ შკალის დაბალ დონეზე მყოფნი მიდრეკილნი არიან არაორგანიზებულობის ან სიზარმაცის მიმართ. ვისაც კეთილსინდისიერება დაბალ დონეზე აქვთ ისინი დაბრკოლებებს წინააღმდეგობას ვერ უწევენ და ადვილად ნებდებიან. მათგან მოსალოდნელია, რომ კონფლიქტის გადაჭრას პირდაპირ ეცდებიან. ამ ფაქტორის მიხედვით დაბალ ქულებს იმსახურებს ზარმაცი, არაორგანიზებული და არასანდო ადამიანი.

ექსტრავერსია–ინტროვერსია. ექსტრავერტი ირჩევს ცხოვრების სოციალურ და პრაქტიკულ ასპექტებს, ოპერაციებს რეალურ გარე ობიექტებთან, ხოლო ინტროვერტი კი ირჩევს ფიქრების და წარმოდგენების სამყაროში ჩაძირვას. ექსტრავერტი მიმართულია საკუთარი ენერგიის დახარჯვაზე, მართავს მას გარე ობიექტების მიმართულებით, ინტროვერტი კი ენერგიას აგროვებს და მართავს მას შინაგან სამყაროზე. ექსტრავერტი ესაა გარე სამყაროზე ორიენტირებული პიროვნება. რომელიც ცდილობს იყოს სოციალური, გუნდური, აქტიური. ცდილობს მიიქციოს სხათა ყურადღება. სოციალური აქტივობების სურვილში განსხვავებები ჩართულია ექსტრავერსიულ შკალაში, რომელიც მოიცავს ისეთ ინდივიდუალურ ხასიათის თვისებებს, როგორიცაა სითბო, აქტიურობა და პოზიტიური ემოციები. რადგან ექსტრავერტები ხედავენ თავიანთ მოქმედებებს პოზიტიურად და ეფექტურად, სიამოვნებას იღებენ სოციალური კავშირებისგან, ისინი პირდაპირ მოქმედებენ კონფლიქტურ სიტუაციებში. მათი თვისებების გამო მოსალოდნელია თავიდან აიცილონ კონფლიქტური სიტუაცია. აღმოაჩინეს, რომ ექსტრავერტული ადამიანები კარგად ასრულებენ გაყიდვების და მენეჯერულ სამუშაოს, უკეთესები არიან ტრეინინგებში და სამუშაო კმაყოფილების მაღალი დონით გამოირჩვიან. ექსტრავერტები იღებენ ენერგიას გარე სამყაროსაგან – მოქმედებებისაგან, ადამიანების, ადგილებისა და საგნებისაგან.თუ ისინი დიდხანს უსაქმურად არიან, შინაგან სამყაროზე კონცენტრირდებიან, უწევთ მარტო ყოფნა ერთ ადამიანთან ურთიერთობა – ეს ყველაფერი აკარგვინებს მათ ცხოვრების აზრის შეგრძნებას.

[1] Gibson L.J.,Ivansevich J.M.,Donelly J.H., Donnelly J.H., Knopaske R.,Organizations Behavior, Structure, Porcesses,4th edition, McGraw-Hill,NY,2012 – pg. 111.

ექსტრავერტებს შეუძლიათ ბევრი რამ შესთავაზონ საზოგადოებას: მათ ადვილად შეუძლიათ საკუთარი აზრის გადმოცემა, ისინი კონცენტრირდებიან შედეგებზე, უყვართ ბევრ ხალხში ყოფნა და მოქმედება. ექსტრავერტები, მზის ბატარეების მსგავსნი არიან. მათთვის მარტოობაში ყოფნის მდგომარეობა ან შინაგან სამყაროში ყოფნა, როგორც მძიმე და მკვრივი ღრუბლების ქვეშ ყოფნაა. მზის ბატარეის დატენვისათვის მზე აუცილებელია, აგრეთვე ექსტრავერტებისათვის აუცილებელია ხალხში ყოფნა.

ინტროვერტი – ეს პიროვნების ტიპია, რომელიც თავის შინაგან სამყაროზეა ორიენტირებული.ინტროვერტების ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი ენერგიის წყაროში მდგომარეობს: ინტროვერტები ენერგიას საკუთარი ემოციების, შთაბეჭდილებებისა და იდეების შინაგანი სამყაროდან იღებენ.ისინი ენერგიის კონსერვირებას ახდენენ.ინტროვერტებს ახასიათებთ დამოუკიდებელი ხედვა, მათ შეუძლიათ ღრმად კონცენტრირება და შემოქმედებითი საქმიანობა.ინტროვერტებისათვის აუცილებელია დასვენება და პერიოდულად ენერგიის ხარჯვის შეწყვეტა, რათა ისევ დააგროვონ ენერგია.ინტროვერტები ხშირად გვხვდებიან პროგრამისტებში, აგრეთვე ინტროვერტი შეიძლება გამოვიდეს მშვენიერი მეცნიერი, მკვლევარი, დამკვირვებელი, მწერალი.

თუ ექსტრავერტისთვის აუცილებელია სხვა ადამიანების არსებობა მის გარშემო, რათა თავი კომფორტულად იგრძნოს, ინტროვერტი მარტო ყოფნაში და ინდივიდუალურ მუშაობაში პოულობს კომფორტს.[1]

თანამშრომლობა (შეთანხმება, დათმობა). ხარისხი, იმუშაო სხვებთან ნდობის, სითბოსა და შეთანხმებულობის გაზიარებით. დათმობაზე მიდრეკილნი არიან ისეთი პიროვნებები, ვინც არიან სანდო, გულუხვნი, შემწყნარებელნი და კარგი ბუნების. მაღალი დათმობის უნარის მქონე ადამიანებს სიმპატიები აქვთ სხვების მიმართ და ასევე უკურეაქციით სარგებლობენ. ადამიანები, ვისაც ამ ფაქტორში დაბალი ქულები აქვთ, არიან ცივები, მგრძნობიარე და ანტაგონისტები. ხოლო მაღალი ქულის მქონე მუშაკებს აქვთ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები და უკეთესი ურთიერთობები აქვთ კოლეგებთან, მომხმარებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. ასეთ პიროვნებებზე დიდი მოთხოვნაა ისეთი სამსახურებში, როგორიცაა მომხმარებელთა მომსახურება, გაყიდვები, სწავლება და სოციალური სამუშაოები.

კონფლიქტის თვალსაზრისით მაღალი დათმობის უნარის მქონე მუშაკები შეიძლება შეჩერდნენ დაჟინებით და სხვებიც შეაყოვნონ. კონფლიქტურ სიტუაციებში ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მათი ინტერესების საწინააღმდეგო იქნება. ასეთი ადამიანები ირჩევენ ისეთ კონსტრუქციულ სტრატეგიებს, როგორიცაა მაგალითად მოლაპარაკება. შკალაზე დაბალი მაჩვენებლის მქონეთ კი ახასიათებთ ეჭვი, ანტაგონიზმი, კრიტიკა. ისინი კონფლიქტურ სიტუაციებში გაბრაზებას ვერ მალავენ და კოოპერაციის ნაცვლად ებმევიან კონკურენციაში .

ემოციური სტაბილურობა (ნეიროტიზმი). ადამიანის შესაძლებლობა გაუმკლავდეს სტრესს და დარჩეს მშვიდი, ფოკუსირებული, თავდაჯერებული, ნაცვლად აღელვების და დეპრესიისა. ნეიროტიზმი არის ტენდენცია გამოსცადო არსასიამოვნო ემოციები. ის მოიცავს 6 ქვეშკალას: შფოთი, მტრობა, დეპრესია, თვითშეგნება, იმპულსურობა და დაუცველობა. ადამიანები ძლიერი ნეიროტიზმით ნაკლებს ფიქრობენ თავიანთი ემოციების კონტროლზე და ეფექტურად უმკლავდებიან სტრესს. ინდივიდებისათვის, ბრაზის, მტრობის, დეპრესიის,

[1] მარი ხარშილაძე, რა არის ექსტრავერსია და ინტრავერსია, 2014, 14 სექტემბერი

დაუცველობის და თვითშეგნების მაღალი დონით, კონფლიქტი შეიძლება აღმოჩნდეს შემაშფოთებელი. მაშინ ისინი ეცდებიან მის თავიდან აცილებას ან გამოიყენებენ სხვა ტაქტიკას. მეორე მხრივ, ადამიანები დაბალი ნეორიტიზმით ნაკლებად მოსალოდნელია ახდენდნენ სიტუაციის ინტერპრეტირებას და ახდენენ მეტად კონსტრუქციული სტრატეგიების შემუშავებას. ადამიანები, რომელთაც მაღალი ქულები აქვთ ამ ფაქტორსა და კეთილსინდისიერებაში, ახასიათებთ შესრულების მაღალი დონე და სასურველია მათი დარჩენა ორგნიზაციაში.

გახსნილობა. ადამიანის ინტერესთა სპექტრი სიახლეებში. გახსნილი ადამიანები არიან კრეატიულები, ცნობისმოყვარეები, მგრძნობიარეები. გახსნილობა გულისხმობს იდეების და გამოცდილების პატივისცემას. ხელს უწყობს ფანტაზიას, გრძნობების გამოხატვას, ქმედებებს, იდეებსა და ღირებულებების მიმართ ღიაობასა და გულწრფელ დამოკიდებულებას. გახსნილობა მოიცავს ინტელექტულურ აქტივობას, ორიგინალურობას, განსხვავებულობის საჭიროებას და კოგნიტურ სირთულეებს. ამ შემთხვევაში ინდივიდები პატივს სცემენ კონფლიქტურ სიტუაციებს და მოელიან მასში მონაწილეების გახსნილობასა და გულწრფელობას. მონაწილეები უპირატესობას ანიჭებენ სტრატეგიებს, რომლებიც მოითხოვს მოქნილობას, ალტერნატივების გენერირებას, სხვისი თვალსაზრისის განხილვას, კონსტრუქციულ მოლაპარაკებას. მეორე მხრივ, "დახურულ" ადამიანებს ახასიათებთ წესრიგის და კონფრონტაცია, ურთიერთდაპირისპირულობის ტენდენცია. ისინი არიან ნაკლებად მოქნილები, უჭირთ სხვის ხედვების გაგება, უპირატესობას ანიჭებენ კონფლიქტის ეფექტურ, სწრაფ გადაწყვეტას. ასეთი ადამიანები კარგი შემსრულებლები არიან იქ, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და არსებობს ინოვაციის საჭიროება.

ხუთი ფაქტორის ცვლადები ყველანაირი ტიპის, ასაკის და წარმოშობის ადამიანში გამოვლინდა. ჩვენ განვიხილეთ 5 ფაქტორის მოდელი, რადგან ის:[1]

- ✓ უფრო ამომწურავია, ვიდრე სხვა ხასიათის თვისებების მოდელები;
- ✓ მოიცავს ნორმალურ ქცევებს, ისევე როგორც ექსტრემალურებს პიროვნული უწესრიგობისას;
- ✓ განიხილავს პიროვნულობას, რომელიც განსხვავებულ ენებსა და კულტურებში შეგვიძლია გამოვიყენოთ;
- ✓ მიმდინარე კვლევებში გამოყენებული ყველაზე გასაგები და სწორი მოდელია.
- ✓ მრავალი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ დიდ ხუთეულის მოდელს მნიშვნელოვანი როლი უკავია ორგანიზაციებში მომუშავეთა ქცევის განსაზღვრაზე და შესაბამისად, ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებაზე. ინდივიდის პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით შესაფერისი სამუშაოს პოვნა წარმატების მიღწევის მთავარი წინაპირობაა.

პიროვნულობის სხვა ტაქსონომიები: პიროვნულობის შეფასების ერთ-ერთი ცნობილი მოდელია მეიერს-ბრიგსის ტიპის ინდიკატორი (მბტი). ეს შექმნილია ფსიქოლოგ კარლ ჯანგის მიერ ფსიქოლოგიური ტიპების შესაფასებლად. მბტი აფასებს ინდივიდებს 4 პარამეტრით:

- ექსტრავერსია (იყო ენერგიულად ადამიანების და სოციალური საუბრებისგან) ინტროვერსიის წინააღმდეგ (იყო ენერგიულად პირადი დროის და შედეგების გამო);
- მგრძნობელობა (უპირატესობა მიანიჭო სუფთა და კონკრეტულ ფაქტებს და ინფორმციას) ინტუიციის წინააღმდეგ (თეორიასა და წარმოსახვაზე დაყრდნობილი ინტუიცია და

[1]Deutsch M., Coleman P.T., Marcus E.C., The handbook of conflict resolution: theory and practice, 2nd edition.,348,

სპეკულაციები);

- ფიქრი (მიხვიდე გადაწყვეტილებამდე ლოგიკით და კრიტიკული ანალიზით) გრძნობის წინააღმდეგ (მიხვიდე გადაწყვეტილებამდე სხვების მოთხოვნილებების და გრძნობების გათვალისწინებით)
- განსჯა (დავალებებისადმი მიდგომა დაგეგმვით და მიზნების დასახვით) აღქმის წინააღმდეგ (დავალებების შესრულების დროს სპონტანურობა და მოქნილობა).

მბტი ადამიანებს 16 კატეგორიად ყოფს შესრულების მიხედვით. კველევებმა აჩვენა, რომ მენეჯერები არიან უფრო მეტად განსჯის უნარის მქონენი, ვიდრე სხვა ადამიანები. სხვადასხვა ტიპის ადამიანები გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდობიან სხვადასხვა ფაქტებს, ლოგიკას და გეგმებს. მბტი–ს გამოყენება უფრო მეტად სასურველია გუნდში, წევრების უკეთ გასაცნობად. რაც შეეხება დაქირავების პროცესს და ამ მოდელის გამოყენებას, მისი დასკვნები ამ შემთხვევაში საეჭვო შეიძლება იყოს გარემო პირობებიდან გამომდინარე..

კიდევ ერთი საზომია RIASEC მოდელი, რომელიც ინტერესებს აჯამებს 6 განსხვავებული პიროვნულობით:

- **რეალისტი:** სიამოვნებს პრაქტიკული, რაეალური ამოცანების კეთება.
- **გამომძიებელი:** სიამოვნებს აბსტრაქტული, ანალიტიკური, თეორიაზე დაყრდნობილი დავალებები.
- **მსახიობი:** სიიამოვნებას ანიჭებს გასართობი დავალებები და სხვების ჩართვა წარმოსახვაში.
- **სოციალური:** სიამოვნებს დახმარება, მომსახურება, სხვების ასისტენტობა.
- **მეწარმე:** სიამოვნებს დარწმუნება, ლიდერობა ან დავალებების შესრულება.
- **ჩვეულებრივი:** სიამოვნებს ორგანიზება, დათვლა, ადამიანების და ნივთების რეგულირება.

ამ მოდელის მიხედვით, მისი პარამეტრების წარმოდგენა ორგვარად შეიძლება. ერთი ადამიანებს ურჩევნიათ ინფორმაციასთან და იდეებთან მუშაობა; მეორე – ადამიანებს საგნებთან მუშაობას ურჩევნიათ კომუნიკაცია და ურთიერთთანამშრომლობა ადამიანებთან.



ნახაზი 1. ჰოლანდის RIASEC მოდელი[1]

[1] Colquitt J.A., Lepine J.A, Wesson M.J., Organizational Behaviour, Improvin performance and commitment in the workplace, 2nd edition, McGraw-Hill/Irwin, NY, 2011 –pg. 309.

მაგალითაად, რეალისტს ურჩევნია სააგნებთან და ინფორმაციასთან მუშაობა, ადამიანებთან და იდეებთან მუშაობას. მოდელი წარმოგვიდგენს პიროვნულობის ტიპებს ექვსკუთხედში, რომელიც გვიჩვენებს, რომ რომელიღაც ტიპი ახლოსაა ერთთან და შორსაა მეორისაგან. ფიგურის ცენტრალური ნაწილი გვიჩვენებს დასაქმებულებს, რომლებიც უფრო მეტად არიან კმაყოფილნი კარიერით და დიდ ხანს მუშაობენ ერთ ადგილას.

პიროვნული მახასიათებლების კავშირი კონფლიქტის მართვის გზებზე საქართველოს მაგალითზე. კვლევითი ნაწილი ეხება საქართველოში დასაქმებულთა პიროვნული მახასიათებლების გავლენას მათი კონფლიქტის მართვის გზებზე. ეს პიროვნული მახასიათებლებია: სქესი, ასაკი, განათლების დონე, სამუშაო სფერო, სამსახურებრივი პოზიცია, ოჯახური მდგომარეობა, ემოციების კონტროლი. სულ გამოიკითხა 110 დასაქმებული ინტერნეტის გამოყენებით (დანართი 1). მათგან 20–30 ასაკობრივი ჯგუფში იყო 91%. კვლევაში მონაწილეობდა 65% მდედრობითი, 35% მამრობითი სქესის ადამიანი, რომელთაგან 90% აქვს უმაღლესი განათლება.

რაც შეეხება კონფლიქტის გადაჭრის გზებს, გამოკითხულთა 57% კონფლიქტის გადაჭრას სხვადასხვა გზით, სიტუაციის შესაბამისად ახდენს, 28% მოლაპარაკების გზით, დანარჩენები კი მიმართავს თავის არიდებას, კომპრომისს და კონკურენციას (გრაფიკი 1).



გრაფიკი 1. კონფლიქტის გადაჭრის გზები

გამოკითხულთა 55,6%–ის აზრით, სწორედ პიროვნული მახასიათებლები ხდება კონფლიქტის გამომწვევი ძირითადი მიზეზი. 26% კი მიიჩნევს, რომ კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს გარემო ფაქტორებმა (გრაფიკი 2).



გრაფიკი 2. კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები

ზემოთ აღნიშნული პიროვნული მახასიათებლები განსხვავებულ გავლენას ახდენს კონფლიქტის გადაჭრის გზებზე. მაგალითად, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კვლევისას გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდები (20-30 წლის) იყენებენ თავის არიდებას, კონკურენციას, მაშინ

როდესაც მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში ეს მაჩვენებელი არ ფიქსირდება. ეს უკანასკნელნი უპირატესობას მოლაპარაკების გზას ანიჭებენ.

განათლების დონე ის მახასიათებელია, რომელიც გავლენას ახდენს კონფლიქტის გადაჭრის გზაზე, პინტოს და ფერერის 2002 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით.[1] თუმცა, ჩვენს გამოკითხულებში სტუდენტებს და საშუალო განათლების მქონე ადამიანებს არ აქვთ კონფლიქტის მართვის გამოკვეთილი სტილი.

დასაქმებულები ორგანიზაციაში სხვადასხვა იერარქიულ დონეზე იმყოფებიან, შესაბამისად განსხვავებულია მათი კონფლიქტის მართვის სტილი. კვლევისას გამოვლინდა, რომ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერები მიმართავენ მოლაპარაკებების და კონკურენციის გზებს, ხოლო დაბალი რგოლის მენეჯერები და სხვა დასაქმებულები კი თავის არიდებას.

რაც შეეხება ოჯახური სტატუსს და შვილების ყოლას, იმ გამოკითხულებს შორის ვინც დაოჯახებული იყო და შვილებიც ჰყავდათ და მათ შორის ვინც დასაოჯახებელი იყო, კონფლიქტის გადაჭრის გზებს შორის სხვაობა არ გამოვლენილა. აღნიშნული შედეგი დაფიქსირდა ხორვატიაში 2010 წელს ნინა პოლოსკსი ვოკისის და სანია სონტორის კვლევის დროსაც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტორი საერთოდ არ ახდენს გავლენას ან მისი გავლენა ძალიან მცირეა.

ემოციების კონტროლი ადამიანთა ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე კონფლიქტების მართვას ეხება. გამოკითხულთა 66.7% ახერხებს ყოველთვის მართონ ემოციები, 31.5 კი იშვიათად, ხოლო 18% საერთოდ ვერ ახერხებს. (გრაფიკი 3).



გრაფიკი 3. ემოციების მართვის შესაძლებლობა

კვლევამ ცხადყო, რომ კონფლიქტის მართვის დროს აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული დასაქმებულთა ასაკი, სქესი, იერარქიული დონე, ემოციების კონტროლის უნარი. ვინაიდან აღნიშნული პიროვნული მახასიათებლები დიდ გავლენას ახდენენ კონფლიქტის მართვის სტილზე.

დასკვნები და რეკომენდაციები: ნაშრომში წარმოდგენილია განსხვავებული მიდგომები მომუშავეთა პიროვნული მახასიათებლების ქცევაზე გავლენის დასადგენად. აქ იგულისხმება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის ქცევები.

კონფლიქტ–მენეჯმენტის შესწავლისას მთავარი საკითხი, ჩვენი აზრით, მომუშავეთა ქცევის შეფასებაა. ქცევას კი პიროვნულობა განსაზღვრავს. ადამიანთა ქცევას ვერ

[1] Poloski Vokis.N, Sontor S.,2010, The relationship between individual characteristics and conflict handling styles – the case of Croatia, Problems and Perspectives in Management, Volume 8, Issue 3 Pages 56-67

ვიწინასწარმეტყველებთ. როგორც თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში ვნახეთ, მას განსაზვრავს ისეთი ცვლადები, როგორიცაა აღქმა, დამოკიდებულება, შესაძლებლობები და უნარები, ოჯახი, ღირებულებები, ასაკი, სქესი, გამოცდილება, გარემო, სიტუაცია. ცხადია, ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუმცა, მეცნიერებმა ისინი დიდ ხუთეულში გააერთიანეს და ამ მიდგომით დიდი შეღავათი გაუწიეს დღევანდელ მენეჯერებს.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კონკრეტულად ასაკი, სქესი, სამუშაო ადგილი, ოჯახური სტატუსი როგორ გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე, კერძოდ კი მათ მიერ კონფლიქტის გადაჭრის გზებზე. აღნიშნული ცოდნა დაგვეხმარება ემოციების გაკონტროლებაში და შეაჩერებს დესტრუქციულ, დაცვით ქცევას კონფლიქტის დროს. ამ ყველაფრის გაანალიზება დაეხმარება დასაქმებულებს კარგად გაიაზრონ კონფლიქტის პროცესი და მისი თანმდევი მოვლენები, მენეჯერებს კი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კონფლიქტების უკეთ მართვაში და მოლაპარაკებების შედეგიან წარმართვაში.

პიროვნული თვისებებით განსხვავებული ადამიანები განსხვავდებიან კონფლიქტისადმი მიდგომით და შესაბამისად, კონფლიქტის დროს მათი ქცევაც განსხვავებულია. ადამიანთა უმეტესობისათვის, სიტუაციური ფატორები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კონფლიქტში ქცევის განმსაზღვრელი პიროვნული თვისებები. მიუხედავად ამისა, არსებობენ მტკიცე, ექსტრემალური პიროვნული მახასიათებლების მქონე ადამიანები, რომლებიც კონფლიქტში მოუქნელები არიან. ღირებულია პატივი ვცეთ პიროვნულობის მამოძრავებელ ქცევის ტენდენციებს, რათა ვაკონტროლოთ ისინი კონფლიქტურ სიტუაციაში შეუსაბამობის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Colquitt J.A., Lepine J.A, Wesson M.J., 2011. Organizational Behaviour, Improvin performance and commitment in the workplace, 2nd edition, McGraw-Hill/Irwin, NY. pg. 654.
2. Deutsch M., Coleman P.T., Marcus E.C., The handbook of conflict resolution: theory and practice, 2nd edition.
3. Gibson L.J.,Ivansevich J.M.,Donelly J.H., Donnelly J.H., Knopaske R.,Organizations Behavior, Structure, Porcesses,4th edition, McGraw-Hill,NY,2012 – pg. 618
4. Nwadukwe U.C., 2012. Management Styles and Organizational Effectiveness, American International Journal of Contemporary Research. Issue 9, 198-204.
5. Poloski Vokis.N, Sontor S.,2010, The relationship between individual characteristics and conflict handling styles – the case of Croatia, Problems and Perspectives in Management, Volume 8, Issue 3 Pages 56-67
6. მარი ხარშილაძე, რა არის ექსტრავერსია და ინტრავერსია, 2014, 14 სექტემბერი

Annotation

Human behavior is rational, but in many cases it is difficult to identify its causes. When it is related to jobs, here the differences arise. The employees often respond differently to the same incentives and the conflict-management becomes necessary.

Managers must take into account many variables to analyze the behavior of employees. These variables include the ability, skills, personality, perception, experience and demographic variables. The combination of all this makes human behavior difficult.

The Survey was conducted to evaluate the influence of personal characteristics on conflict management ways for employees in Georgia. In particular, the following personal characteristics: gender, age, education level, work field, official position, marital status, control level of emotions. As a result it was defined how they affect people's behavior, in particular their conflict resolution

დასაქმების პრობლემები საქართველოში

თეონა მექვაბიშვილი
ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი **მანანა ლობჟანიძე**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების, ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, რაც ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებელი წინაპირობაა, განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა დასაქმების პრობლემები.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში, უზრუნველყოფილი იყო კურსდამთავრებულთა პირველადი დასაქმება ცენტრალიზებული განაწილებით. არსებული სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა დამყარებული იყო შრომითი რესურსების აუცილებელ ცენტრალიზებულ განაწილებაზე. იმ პირობებში, როდესაც ერთ დარგში ახალგაზრდა სპეციალისტთა სიჭარბე იყო, ხოლო მეორეში კი დეფიციტი, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელი იყო.

თავისუფალი აზროვნების შეზღუდვამ და არასრულყოფილმა, მოძველებულმა განათლების სისტემამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც დანარჩენი ქვეყნები მუდმივად ვითარდებოდნენ, საბჭოთა კავშირში ვითარება არ იცვლებოდა. საბოლოოდ, მომწიფდა ვითარება და სისტემამ ერთიანად კრახი განიცადა.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსფორმაცია, ეთნიკური კონფლიქტი, ფინანსური კრიზისი, თვითდასაქმება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.*

1990-იანი წლების დასაწყისში, ეროვნულ მეურნეობაში გამოწვეული მკვეთრი ცვლილებების დროს, ეკონომიკის საერთო კრიზისის ფონზე, განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა დასაქმების კრიზისი. ბუნებრივია, რომ გართულდა ახალგაზრდა სპეციალისტების შრომითი მოწყობაც. დასაქმების პრობლემაზე ლაპარაკი იმ ქვეყანაში,რომელიც დაახლოებით 70 წლის განმავლობაში განვითარების ვაკუუმში იმყოფებოდა და ასე ვთქვათ ამოვარდნილი იყო მსოფლიო განვითარების ლოგიკიდან.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდმა და გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საკმაოდ მწვავედ დასვა დასაქმების საკითხი ქვეყანაში,ამ ყველაფერს თან დაერთო სამოქალაქო ომი, ეთნიკური კონფლიქტები და აღნიშნულ პერიოდში

საქართველო “ქრონიკული დასაქმების” ქვეყნიდან გარდაიქმნა უმწვავესი უმუშევრობის პრობლემის მქონე ქვეყნად.რასაც ნათლად გვიჩვენებს ქვემოთ მოცემული ცხრილი.

ამგვარად, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მოსახლეობის 1/5-ით შემცირებისას დასაქმება შემცირდა 2/5-ით და მეტად, ხოლო დაქირავებით დასაქმება – 3.3-ჯერ.

შრომითი რესურსების დინამიკა 2010 წელს 1990 წელთან შედარებით

(1990 = 100)

	2010 %-ით 1990-თან
მოსახლეობა	81
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	71
დასაქმებულთა რაოდენობა	59
დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა	30

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის შემდეგ დღევანდელ საქართველოში სრული, ანუ 100%იანი დასაქმების მიღწევა, როგორც ეს იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის პირობებში, შეუძლებელია. ამის მიზეზია სტუქტურული და ფრიქციული უმუშევრობები, რომელთა ჯამიც უმუშევრობის ბუნებრივ დონეს წარმოადგენს. პირველის მიზეზია ის, რომ ეკონომიკური საქმიანობა არის დინამიური პროცესი, რომელიც მუდმივად ვითარდება და იცვლება, განუწყვეტლივ მიმდინარეობს ახალი საქონლის წარმოება, ახალი პროფესიების წარმოშობადა ძველი პროფესიების გაქრობა. ბაზარზე ახალ პროფესიებზე მოთხოვნა მუდმივად წინ უსწრებს მის მიწოდებას. ამიტომ, მაშინაც კი როდესაც უმუშევრობის დონე მაღალია,ყოველთვის არსებობს ვაკანტური სამუშაო ადგილების გარკვეული რაოდენობა. ამიტომ სრული დასაქმების აუცილებელი პირობა არა მარტო მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობა, არამედ სამუშაო ადგილებზე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არსებობაა,რასაც სამუშაო ადგილების ეკონომიკურად მიზანშეწონილობა ეწოდება.

სტრუქტურული უმუშევრობა განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, სადაც ფასეულობების გადასინჯვა მოხდა და საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები „არასათანადო” აღმოჩნდა. არასათანადოდ განათლებული სამუშაო ძალა მხოლოდ უფროს თაობებს არ მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია ისეთი მომავალი ლიდერების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ განვითარებული. ამ ვარაუდს ადასტურებს ის ფაქტიც,რომ უმუშევართა დიდ ჯგუფს ახალგაზრდები შეადგენენ. გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს, ანუ იმ რესპონდენტთა 40%, რომლებიც უმუშევრად თვლიან თავს, 18-35 წლის ადამიანები არიან. უმუშევართა მეორე ჯგუფის ასაკი 36-დან 55 წლამდე მერყეობს. ეს აჩენს ასაკობრივი დისკრიმინაციის პრობლემას შრომის ბაზარზე, რადგან სამუშაო ადგილის მოთხოვნები არ შეესაბამება მომუშავის კვალიფიკაციას.

ვინაიდან საბჭოთა განათლებამიღებული სამუშაო ძალა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც კომპანიები პოტენციურ თანამშრომლებს უყენებენ.

აგრეთვე დასაქმების საკითხი კიდევ ერთი პრობლემაა,რომ საკმაოდ ხშირად ვაწყდებით ისეთ განცხადებებს ვაკანსიის თაობაზე, სადაც დისკრიმინაციული მოთხოვნებია, მაგალითად, სამუშაოს დაწყების მსურველი კონკრეტული სქესის ან ასაკისა უნდა იყოს. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი დისკრიმინაცია მკაცრი კანონებით რეგულირდება, რომლებიც საქართველოში არ მოქმედებს.

დღევანდელი დასაქმების პრობლემის დიდი მიზეზი საქართველოში საბჭოთა წარსულია, ამას რამდენიმე ახსნა აქვს:

1. შრომის ვალდებულება–საბჭოთა კავშირში შრომა სავალდებულო იყო, ყველა მუშაობდა მისი საქმიანობის ხარისხის მიუხედავად;
2. შეზღუდული ვაჭრობა–საქართველოს, საბჭოთა კავშირის დასრულებისათვის, არ ჰქონდა პირდაპირი ვაჭრობა უცხოეთთან, მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთანაც–ისეთ მნიშვნელოვან სექტორებშიც კი, როგორც ხორბალი და საწვავია, საბჭოთა საწარმოების უმეტესობა ძალიან დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა, რომელიც მსოფლიო ბაზარს ხარისხით ჩამოუვარდებოდა. შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთანავე ეს საწარმოები ჯართად იქცა და დაიხურა.
3. შრომის გლობალურ განაწილებაში დიდი ხნით არმონაწილეობა–მის გარეშე შეუძლებელი იყო მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილის მონახვა;
4. მსოფლიო პროცესებში მონაწილეობის გამოუცდელობა–ბაზრების გახსნა რთული პროცესია;
5. არასწორად მიმართული საგანმანათლებლო სისტემა–მიდგომამ – რაც მეტი ინფორმაცია, მით უკეთესი–განათლებას გამოაცალა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა;.
6. შრომის ფასები არ გამოხატავდა არც მის ხარისხს და არც რეალურ დანახარჯებს – ეს ბაზარზე სერიოზულ მენეჯერულ შეცდომებს იწვევდა;
7. შრომითი რესურსების მოუქნელი გამოყენება ზრდიდა შრომით დანახარჯებს;
8. დანახარჯებზე დაბალი შრომის მწარმოებლურობა;

საქართველოში კიდევ ერთ პრობლემას მიეკუთვნება ის,რომ დაქირავებით დასაქმებულთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია.

თვითდასაქმებულთა ორი განმარტება არსებობს.ერთი მხრივ, თვითდასაქმებული ადამიანი შესაძლოა წარმატებული მეწარმე იყოს, მეორე მხრივ კი, ადამიანი, რომელსაც უჭირს „ფორმალური" სამუშაოს პოვნა და იძულებულია, თავის გადასარჩენად თვითდასაქმდეს. ამიტომ, თვითდასაქმების ინტერპრეტირება ორგვარად შეიძლება - როგორც მეწარმეობა და როგორც უმუშევრობა. საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ეს კატეგორია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო ამ სექტორში პროდუქტიულობის დონე საკმაოდ დაბალია. როგორც პირველად წარმოებაში, ასევე კვების პროდუქტების გადამუშავებაში, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს შეადგენს. საკამათო ნამდვილად არ არის ის, რომ მშპ-ში იმ სექტორის წილი, რომელშიც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 50%-ია ჩართული, 9%-ზე მეტი უნდა იყოს. სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია, რაც იმას ნიშნავს რომ ისინი სოფლის მეურნეობის სექტორში არიან ჩართულნი. ზემოთ ნათქვამს კიდევ ერთხელ ადასტურებს მოცემული ცხრილი. სადაც ჩანს,რომ დასაქმების დონე რეგიონულ ჭრილში ყველაზე დაბალია თბილისში, რომელიც საქართველოს

ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენს. დანარჩენ რეგიონებში კი დასაქმების მაღალი დონე თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილითაა განპირობებული.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში

2015	ათასი კაცი								
	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი*	დანარჩენი რეგიონები**	საქართველო
სულ აქტიური მოსახ-ლეობა (სამუშაო ძალა)	192.0	447.7	148.9	212.2	200.7	216.6	376.5	226.8	2021.5
დასაქმებული	180.7	352.0	135.5	192.2	170.4	189.5	343.5	216.1	1779.9
დაქირავებული	53.2	293.6	42.4	64.0	69.1	69.2	111.4	50.6	753.4
თვითდასაქმებული	127.4	58.4	93.1	128.1	101.1	114.9	229.8	165.2	1018.1
გაურკვეველი	0.1	0.0	0.0	0.1	0.2	5.4	2.3	0.4	8.4
დასაქმების დონე (პროცენტებში)	67.1	44.5	64.4	66.0	60.1	61.8	64.6	72.9	59.7

დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს მთელი ინვესტიციების უდიდეს ნაწილს შეადგენს, ვინაიდან ადგილობრივი დანაზოგები არ არის საკმარისი ადგილობრივი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პროდუქციის ზრდისა და დასაქმების მატების მნიშვნელოვან წყაროდ არის მიჩნეული. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში პოზიტიური ცვლილებები გავლენას ახდენს დასაქმების მაჩვენებლებზე, თუმცა ეს პოზიტიური ზემოქმედება არ არის ძლიერი და უარესდება. მოკლედ თუ ვიტყვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში დასაქმებაზე არ მოქმედებს იმ მაქსიმალური მასშტაბით, რა მასშტაბითაც შეუძლია, იმოქმედოს. მიმაჩნია, რომ ამის მიზეზი ისევ და ისევ სტრუქტურული უმუშევრობაა. ამის გამო უცხოელი ინვესტორები, ძირითადად, ერთნაირ პოლიტიკას ატარებენ, - მართვის აპარატში, მაღალანაზღაურებად ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების თანამდებობებზე თავიანთი ხალხი მოჰყავთ და მხოლოდ, დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე ასაქმებენ ადგილობრივ მოსახლეობას. „დასაქმების პრობლემის კიდევ ერთ დეტერმინანტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დარგები,რომლებშიც დასაქმების მოცულობა დიდია, ნაკლებად ვითარდება.

სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ეკონომიკური ზრდის 80% იმ დარგებზე მოდის, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 20%-ს არ აღემატება. ეკონომიკური ზრდა არ შეინიშნება სოფლის მეურნეობის სექტორში,დასაქმებულთა დიდი ნაწილი კი, სწორედ ამ დარგშია. ევროკავშირში სამეწარმეო სექტორში მთლიანი შიგა პროდუქტის 60-65%-ს მცირე ბიზნესი ქმნის, 35-40%-ს - მსხვილი ბიზნესი. საქართველოში კი პირიქით არის: 2003 წელს საშუალო და მცირე ბიზნესზე ბიზნესსექტორში შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტის 24% მოდიოდა, დღეს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა და 15%-ს შეადგენს. მსხვილი ბიზნესის წილი კი ბიზნესსექტორში შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტის 85%-ს შეადგენს. დასაქმების

ზრდას მსხვილ ბიზნესზე მეტად ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უწყობს. თუ არის, მაგალითად, ერთი მილიონი ლარის ინვესტიციის შესაძლებლობა, ამ თანხის წვრილ და საშუალო ბიზნესში ინვესტირება უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნის, ვიდრე მისი მსხვილ ბიზნესში ინვესტირება.

სოფლის მეურნეობას ყოველთვის გადამწყვეტი ადგილი ეკავა საქართველოს ეკონომიკაში. 1990 წელს სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 29,7%-ს შეადგენდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ სექტორის პარალიზება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სექტორში სამუშაო ძალის 2/3-ზე მეტი იყო დასაქმებული, წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა: 2013 წელს სოფლის მეურნეობამ მშპ-ის მხოლოდ 9,3% შეადგინა. ასევე მკვეთრად შემცირდა მწარმოებლურობა, რამაც გამოიწვია საქართველოს ჩამორჩენა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს ფერმერების დაახლოებით 95% მცირე ფერმერები არიან, რომლებიც ჩვეულებრივ ამუშავებენ ერთ ჰექტარ მიწას და საშუალოდ ორ ძროხას ფლობენ. შეზღუდული წარმოება ართმევს მათ შესაძლებლობას, კონკურენცია გაუწიონ იმპორტს და, ამავე დროს, დაბალი შემოსავალი იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ შეძლებენ ხელახალ ინვესტირებას მათი მიწისა და საქონლის მწარმოებლურობის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად ვღებულობთ ფერმერული საქმიანობის მხოლოდ თავის გატანის მიზნით წარმოების და სიღარიბის მანკიერ წრეს. ამიტომ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის.

ქვეყანაში ძალიან მაღალია დასაქმების პრობლემა ახალგაზრდებს შორის. რაც შრომითი მიგრაციის მთავარი წყაროა, შესაბამისი გამოცდილების, ცოდნის, კვალიფიკაციის უქონლობა ხდება მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლები უარს აცხადებენ ახალგაზრდებისათვის სამსახურის შეთავაზებაზე და უპირატესობას უფრო გამოცდილ კადრებს ანიჭებენ. ვაკანსიების გამოცხადებისას, უმეტეს შემთხვევაში მითითებულია გამოცდილების ქონა, როგორც სავალდებულო მოთხოვნა. ბევრი ახალგაზრდა სწორედ იმიტომ მიდის ქვეყნიდან, რომ აქ სამსახურს ვერ შოულობს, მაშინ როდესაც ყველა ასაკობრივ ჯგუფს შორის ახალგაზრდებში დასაქმების სურვილი ყველაზე მაღალია. სამუშაო ადგილების სიმცირის გარდა, ახალგაზრდებში უმუშევრობას ისიც უწყობს ხელს, რომ დამსაქმებლები ხშირად უფრო გამოცდილ კადრებს ითხოვენ. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანაში განვითარებული იყოს სტაჟირების და სასწავლო პრაქტიკის პროგრამა.

გარკვეული პროფესიების პრიორიტეტულობა სხვადასხვა სფეროებში კადრების დისბალანსს იწვევს. მეორეს მხრივ, ერთნაირი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულებს ერთი ტიპის პოზიციისთვის უწევთ ბრძოლა, რის შემდეგაც ბევრს თავისი პროფესიისგან განსვავებულ სფეროებში უწევთ მუშაობა. ამას ადასტურებს ჩატარებული კვლევა: გამოკითხულთა 35% თავის სფეროში არ მუშაობს.

დღევანდელ საქართველოში ასევე მაღალია არაფორმალური დასაქმების წილი. საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძირითადად გავრცელებულია არაფორმალური ეკონომიკის ე.წ. "ნახევრადსამართლებრივი''ფორმა, ანუ საქმიანობა, რომელიც თავისი მიზნებით არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, მაგრამ გამოყენებული საშუალებებით ხშირად სცდება კანონის ფარგლებს (მაგ. გადასახადების თავიდან აცილების სხვადასხვა გზები – შემოსავლების დაფარვა, ბარტერული გაცვლები, მუშაობა პატენტისა და ლიცენზიის გარეშე, გაუფორმებლად თანამშრომლის დაქირავება და სხვ). არ არსებობს სტატისტიკა იმისა, თუ რამდენი ადამიანი არის დასაქმებული არაფორმალურ სექტორში, მაგრამ ყველა ჩვენგანი იცნობს მაგ. "ტაქსისტს'', რომელსაც ულიცენზიოდ გადაყავს მგზავრები, სკოლის

მასწავლებელს, რომელიც შეთავსებით "რეპეტიტორიც" არის, მცირე მეწარმეს, რომელიც გამოშვებული პროდუქციისა თუ მომსახურების ნაწილს `საგადასახადოს არ უჩვენებს და ა.შ. შეუძლებელია ამ გზით მიღებული შემოსავლების თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით დათვლა, მაგრამ განუვითარებელი სამოქალაქო ეკონომიკის პირობებში, არაფორმალური დასაქმება ხშირად არის ერთადერთი საშუალება ადამიანებისათვის, რომ როგორმე "თავი გაიტანონ". ცხადია, რომ საქმიანობის ოფიციალური რეგისტრაციისგან თავის არიდება, მათ სრულიად უუფლებო მდგომარეობაში აყენებთ, მათი შრომის პირობები და ანაზღაურება მთლიანად "დამკვეთის" კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ეს დამატებითი (და ხშირად ერთადერთი) შემოსავლის წყარო იმდენად მნიშვნელოვანია მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, რომ ისინი იძულებულნი არიან ასე იმოქმედონ.

ათწლიან პერიოდში თუ განვიხილავთ დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკას დავინახავთ,რომ აქ მნიშვნელოვან კლებას ადგილი ჰქონდა 2008 წლის პერიოდში რისი მიზეზიც ძირითადად აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი და იმ პერიოდში წარმოქმნილი მასობრივი მსოფლიო კრიზისია.

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1	2021.5
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2	1779.9

დასაქმებულთა დინამიკა უკანასკნელი ათი წლის მონაცემების მიხედვით

ამგვარად, დასაქმებულთა რაოდენობას თუ განვიხილავთ ასაკობრივ ჭრილში,ადვილი შესამჩნევია,რომ დასაქმების დონე ყველაზე დაბალია 15-19 და 20-24 ასაკობრივ ჯგუფებში,გამომდინარე იქიდან რომ ამ პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი განათლების მიღებითაა დაკავებული.აქ აღსაღნიშნავია ის ფაქტი,რომ დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება 45 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებში,რაც დაქირავებით დასაქმებულთა წილის ზრდის ხარჯზე ხდება.

დასაქმებულთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში 2015 წლის მონაცემების მიხედვით

2015	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	65+	ათასი კაცი სულ
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	37.2	140.1	191.4	189.7	180.3	207.4	208.8	230.2	209.3	170.3	256.7	2021.5
დასაქმებული	27.5	95.3	151.7	160.9	153.2	184.7	189.2	207.7	193.5	161.6	254.5	1779.9
დაქირავებული	7.3	55.8	91.5	92.3	77.8	96.7	81.2	83.0	71.2	51.6	45.1	753.4
თვითდასაქმებული	19.9	38.2	58.6	67.8	74.5	87.8	106.6	123.9	121.9	109.5	209.4	1018.1
დასაქმების დონე (პროცენტებში)	13.1	41.6	59.3	66.9	69.5	77.1	77.6	77.4	76.8	71.0	42.9	59.7

დასკვნები და რეკომენდაციები: დასაქმების პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება.პირველ რიგში რეფორმები უნდა გატარდეს განათლების სისტემაში.ეს პროცესი საბაზისო განათლებით უნდა დაიწყოს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საუნივერსიტეტო სწავლებაში თეორიულ ცოდნასთან ერთად უნდა დაინერგოს პრაქტიკის პროგრამები და უმარლესი გამნათლება შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. რაც ნაწილობრივ მოხსნის სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემას და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას. უნდა გაიზარდოს მნიშვნელოვანია განათლების წილის ზრდა მშპ-ში, რადგან კვალიფიციური და განათლებული შრომითი რესურსებია ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველი და ამ მხრივ განათლებაში, ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე დიდი უკუგების მომტანია. განათლებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში, მაშინ როდესაც ხელით შრომას მანქანური შრომა ანაცვლებს სულ უფრო და უფრო იცვლება დასაქმებულთა სტრუქტურა, მატულობს მასში მაღალკვალიფიციურ მომუშავეთა რიცხვი. დინამიური საბაზრო ეკონომიკა კი, როდესაც მუდმივად იცვლება დარგებს შორის თანაფარდობა, ჩნდება ახალი პროფესიები, რაც უწყვეტი განათლების აუცილებლობას განაპირობებს.

მეორე მიმართულება, სადაც უნდა მოხდეს აქტიური რეფორმების გატარება, ეს არის მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, რადგან დასაქმების საკითხში განსაკუთრებული როლი სწორედ მათ ენიჭებათ. ამ მხრივ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს, რომ შექმნას კარგი ბიზნესგარემო ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისათვის და ეკონომიკური აქტიურობის ზრდისათვის, რაც ავტომატურად გამოიწვევს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდასაც. ამ მიმართულებით უნდა მოხდეს იგივე ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, მეტი სუბსიდიების გაცემა, საწყის ეტაპზე გადასახადების შემცირება.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი დარგების განვითარებას,რომლებიც დასაქმების ფართო შესაძლებლობებს შეიცავენ,მაგალითად სოფლის მეურნეობა,სადაც დასაქმებულთა თითქმის ნახევარი მოდის,მშპ-ს მხოლოდ 9 % ს შეადგენს. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ამ დარგის სტიმულირება შეღავათიანი კრედიტებისა და გადასახადების მხრივ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შრომის ეკონომიკა. ავტორთა კოლექტივი. სახელმძღვანელო. თბილისი, უნივერსალი, 2009წ.
2.http://geostat.ge/
3. http://www.nplg.gov.ge/

Annotation

There are many reason, which cause problems of employment. First of them is the past of Georgia, which was a part of soviet union and it reduced development of Georgia. Another reason of the problem of employment is less developed branches, which have many possibilities to make workplaces, for example in agriculture. Another problem of this reason is small market share of small-scale business.

Labor with inadequate education cause structural unemployment. I think in case to make active politic of employment is essential to solve this problems.

სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა საქართველოში, როგორც საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის საშუალება

თინათინ მეძმარიაშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების I კურსის დოქტორანტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი **იაკობ (იაშა) მესხია**

ანოტაცია

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის მთლიანი შიდა ეკონომიკური აქტივობისმნიშვნელოვანი ნაწილია და მისი წილი ქვეყნის შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს უტოლდება. დიდია სახელმწიფო შესყიდვების როლი ეროვნული ეკონომიკის მდგრადგანვითარებაში. აქედან გამომდინარე, გამჭირვალე, კონკურენტულ და სამართლიან გარემოში შესყიდვების განხორციელება წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. რეფორმების შედეგად, ბოლო წლების მანძილზე, ქვეყანაში შეიქმნა ყველაზე გამჭირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რომელიც ყოველდღიურად განიცდის სრულყოფასა და დახვეწას.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო შესყიდვები, რეფორმა, საბიუჯეტო სახსრები, ხარჯები, დისკრიმინაციული მიდგომა, კონსოლიდირებული ტენდერები.*

სახელმწიფო შესყიდვებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი აკისრია, რადგან მთლიანი შიგა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და ემსახურება სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. 1998 წელს პირველად მიიღეს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც ორიენტირებული იყო საჯარო სფეროში განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში გამჭირვალე და კონკურენტუნარიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე. 2001 წელს საჭირო გახდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება და შესყიდვების სისტემის საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის სრულყოფის მიზნით დიდი ფინანსური და ტექნიკური დახმარება იქნა გაწეული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების სისტემური რეფორმირების მიზნით [1. გვ. 93]. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირეული რეფორმის ეტაპი 2005 წლისათვის დაიწყო შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილებების სახით, თუმცა ესეც არ აღმოჩნდა სამართლიანი და გამჭირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გარანტი.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები 2010 წლამდე ხორციელდებოდა ქაღალდური წესით, რაც დაკავშირებული იყო შრომატევად სამუშაოსთან, საზოგადოების სახელმწიფო შესყიდვების სისტემისადმი უნდობლობასთან, კონკურენციის შეზღუდვის, კორუფციასთან და

დისკრიმინაციულ მიდგომებთან დაკავშირებულ რისკებთან. აღნიშნული წესით ჩატარებულ ტენდერებში მონაწილეობა პრობლემას წარმოადგენდა რეგიონული კომპანიებისათვის, რადგან ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ხშირად უწევდათ დედაქალაქში ვიზიტი. მსოფლიო ბანკის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა შეფასებული იყო, როგორც კორუფციის „მაღალი რისკის მატარებელი სისტემა". საჭირო იყო არსებითი ცვლილებების განხორციელება და სახელმწიფოს მიერ დაისახა რეფორმის მიზნები, რომელთაც წარმოადგენდა შესყიდვების პროცესის მაქსიმალური გამჭირვალობის, სახელმწიფო ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვის, პრეტენდენტების შეფასებისას ობიექტური გადაწყვეტილების, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა. საჭიროება მოითხოვდა ჩამოყალიბებულიყო შესყიდვების სისტემა, რომელიც გავლენას მოახდენდა კონკურენციის გაზრდაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დაზოგავდა სახელმწიფო ბიუჯეტის არსებით ნაწილს.

დისკრიმინაციული მიდგომის გამორიცხვისა და ყველა მიმწოდებელი თანაბარ პირობებში ყოფნისათვის სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ" სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის პროგრამული შემუშავება. ამრიგად, 2010 წლის დასაწყისიდან საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემას და 2010 წლის ოქტომბერში პირველი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. 2010 წლის დეკემბრიდან გაუქმდა ქაღალდური წესის ტენდერები და ყველა სახელმწიფო ტენდერი მხოლოდ ელექტრონულად ტარდება. გამჭირვალე სისტემის შექმნამ მარტივად აღსაქმელი გახადა შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურები და საზოგადოება ჩაერთო სისტემაში, როგორც მონაწილის, ასევე დამკვირვებლის როლში. ასევე, მოგვარდა გეოგრაფიული უთანასწორობის პრობლემა, რადგან ქაღალდური წესის ტენდერების დროს რეგიონებში განთავსებული საწარმოები პრაქტიკულად ვერ ახერხებდენ მონაწილეობის მიღებას მაღალი დანახარჯების გამო.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ამოქმედებიდან 2015 წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაზოგილმა თანხამ ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა {9. გვ. 2}. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნის შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან გაიზარდა გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და 2011 წელს ელექტრონული ტენდერების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2010 წლის ქაღალდური წესით განხორციელებული ტენდერების მოცულობას 14-ჯერ აღემატებოდა (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1



წყარო: გრაფიკი სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს'' მონაცემთა ბაზაზე შედგენილია ავტორის მიერ

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერების განხორციელების შედეგად სახელმწიფო ფინანსური სახსრების ეკონომია თითქმის ყოველწლიურად იზრდება. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით 2011 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 191487127 ლარი დაიზოგა, რაც სავარაუდო ღირებულების 16.5%-ს წარმოადგენდა, 2012 წელს - 155610107, სავარაუდო ღირებულების - 10%, 2013 წელს - 231053588, სავარაუდო ღირებულების - 14%, 2014 წელს - 241132563 ლარი, სავარაუდო ღირებულების - 12%, ხოლო 2015 წელს - 299704216 ლარი, სავარაუდო ღირებულების - 13%. აღნიშნული სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვანი დანაზოგს წარმოადგენს (იხ. გრაფიკი 2). გამონაკლისს წარმოადგენდა 2012 წელი რაც განპირობებული იყო კონკურენციის ინტენსივობით და ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციებმა 2011 წელთან შედარებით სავარაუდო ღირებულებები უფრო მეტი სიზუსტით დაიანგარიშეს [6. გვ. 18].

გრაფიკი 2



წყარო: გრაფიკი სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს'' მონაცემთა ბაზაზე შედგენილია ავტორის მიერ

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვამ და შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია მიმწოდებელთა შორის, ტენდერში მონაწილეობა გახდა არაბიუროკრატიული, არადისკრიმინაციული და სრულიად გამჭირვალე.

რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო სახელმწიფო ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას.

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის დავალებით სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ 2012 წლიდან რიგ შესყიდვის ობიექტებზე (საწვავი, სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერები, ფიჭური სატელეფონო მომსახურება, A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავები) ატარებს კონსოლიდირებულ ტენდერებს. საქართველოს მთავრობის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე სააგენტო უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებას და საუკეთესო სატენდერო წინადადების გამოვლენას კანონმდებლობის შესაბამისად. კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით იზოგება სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი. მხოლოდ 2015 წელს კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით დაზოგილმა თანხამ ჯამში 40 მილიონ. ლარს (აღნიშნულ თანხაში არ შედის ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების კონსოლიდირებულად შესყიდვის მიღებული დანაზოგი) გადააჭარბა {9. გვ. 30}. მიუხედავად საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა კონსოლიდირებული ტენდერი გარკვეულწილად ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული ხდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი (გარდა ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერისა) და შესაბამის შესყიდვებზე გათვლილი სახელმწიფო ფინანსური სახსრების ერთადერთ მიმღებადაც გვევლინება. შესაბამისად, ბაზარზე დანარჩენ მოთამაშეებს შედარებით მცირე წილი რჩებათ კერძო სექტორის სახით. აღნიშნულით ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ზარალდებიან, რომელთაც არ შეუძლიათ კონსოლიდირებულ ტენდერში დააფიქსირონ დაბალი ფასი და შესაბამისად, ვერ უწევენ კონკურენციას დიდ საწარმოებს.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები შესყიდვის სხვა საშუალებების (ტენდერი, კონკურსი, კონსოლიდირებული ტენდერი) გარდა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რა დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ფინანსური რესურსების არარაციონალურ ხარჯვას, რადგან შემსყიდველი ორგანიზაცია თავად იღებს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად შეარჩიოს მიმწოდებელი კომპანია. აღნიშნული საკითხის პრევენცირება სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ“ ბოლო პერიოდისათვის მოახერხა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მიხედვით 2015 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედა გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების ახალი წესი. გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება თანხმდება სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მომართვის სისტემის შმP მოდულში წადგენის გზით, რაც ხელს შეუწყობს შესყიდვების პროცესის უფრო მეტ გამჭვირვალობას, გაზრდის საზოგადოების ნდობასა და ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას. შეთანხმება ეხება გამარტივებული შესყიდვის საფუძვლებს, როდესაც საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა, არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა

განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისათვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები.

საერთო ჯამში, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვაზე და შესაძლებელია დადებითად შეფასდეს. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვამ საგრძნობლად გაზარდა კონკურენცია მიმწოდებელთა შორის. შესყიდვების პროცესების ელექტრონულმა წარმართვამ ტენდერში მონაწილეობა სრულიად გამჭირვალე გახადა, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა. ამასთან მთავრობის მიერ კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამ და სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიერ გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების სისტემის შემუშავებამ მნიშვნელოვნად მოახდინა სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. თუმცა აღსანიშნავია, რომ კონსოლიდირებული ტენდერები ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯების გარდა გარჯვეულწილად ზღუდავს კონკურეციას და ბაზარზე ხშირად მონოპოლისტებს ჰქმნის და წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ორი მთავარი მიზანი: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა და სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კუთხით შესაბამისი ღონისძიებების გატარება. სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მუდმივი დახვეწისა და განვითარების რეჟიმშია სამომავლოდაც განხორციელებული რეფორმები დიდ გავლენას იქონიებს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №4, 2012 წელი ივლისი -აგვისტო
2. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება
3. საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტურობისა და გამჭირვალობის ამაღლების ანგარიში, თბილისი, ივნისი 2013
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
5. სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2011 წლის ანგარიში
6. სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2012 წლის ანგარიში
7. სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2013 წლის ანგარიში
8. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2014 წლის ანგარიში
9. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2015 წლის ანგარიში
10. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“www.procurement.gov.ge
11. Gaprindashvili G., Public Procurement Development Stages in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering Vol: No:3, 2015

Annotation

State procurement is the important part of gross internal economic activity of the country. Its share in country gross domestic product amounts to approximately 10 %. The state procurement plays an important part in sustainable development of national economy. Hence, provision for transparent, competitive and fair environment for procurement procedures is one of the main challenges of the country. As a result of conducted reforms, The country has acquired the most transparent state procurement system during the past years, which is being permanently improved and enhanced State procurement is the important part of gross internal economic activity of the country. Its share in country gross domestic product amounts to approximately 10 %. The state procurement plays an important part in sustainable development of national economy. Hence, provision for transparent, competitive and fair environment for procurement procedures is one of the main challenges of the country. As a result of conducted reforms, The country has acquired the most transparent state procurement system during the past years, which is being permanently improved and enhanced State procurement is the important part of gross internal economic activity of the country. Its share in country gross domestic product amounts to approximately 10 %. The state procurement plays an important part in sustainable development of national economy. Hence, provision for transparent, competitive and fair environment for procurement procedures is one of the main challenges of the country. As a result of conducted reforms, The country has acquired the most transparent state procurement system during the past years, which is being permanently improved and enhanced.

სოციალური მდგომარეობის სტატისტიკა საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში

გვანცა მიქელაძე

მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

მეცნიერ - ხელმძღვნელი, პროფესორი **სიმონ გელაშვილი**

ანოტაცია

თანამედროვე პირობებში საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში არსებული სოციალური განვითარების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. აღნიშნული უთანაბრობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისთვის და აუცილებელია მისი გათვალისწინება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას.

წარმოდგენილი სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონების სოციალური განვითარების უთანაბრობის სტატისტიკური ანალიზი, რეგიონული განვითარების წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამოვლენა, აგრეთვე არსებული უთანაბრობის აღმოსაფხვრელად სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ბუნებრივ–გეოგრაფიული, სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების

შესწავლა, რეგიონულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და არსებული სოციალური უთანაბრობის დონის განსაზღვრა, ასევე სახელმწიფო ფინანსური დახმარებისა და სხვადასხვა სამთავრობო სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესწავლა.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს თბილისსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის დასაქმების, უმუშევრობისა და სოციალური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და გურიის რეგიონები. აღნიშნულ რეგიონებში როგორც საავადმყოფოების, ასევე კვალიფიციური ექიმების დეფიციტია, მოსახლეობის მიგრაცია კი საგანგაშო მასშტაბებს აღწევს.

საკვანძო სიტყვები: *სტატისტიკა, დასაქმება, უმუშევრობა, თვითდასაქმებულები, ურბანული ცენტრები.*

თანამედროვე პირობებში საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში არსებული სოციალური განვითარების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. აღნიშნული უთანაბრობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისთვის და აუცილებელია მისი გათვალისწინება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას.

წარმოდგენილი სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონების სოციალური განვითარების უთანაბრობის სტატისტიკური ანალიზი, რეგიონული განვითარების წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამოვლენა, აგრეთვე არსებული უთანაბრობის აღმოსაფხვრელად სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ბუნებრივ–გეოგრაფიული, სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების შესწავლა, რეგიონულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და არსებული სოციალური უთანაბრობის დონის განსაზღვრა, ასევე სახელმწიფო ფინანსური დახმარებისა და სხვადასხვა სამთავრობო სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესწავლა.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს თბილისსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის დასაქმების, უმუშევრობისა და სოციალური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და გურიის რეგიონები. აღნიშნულ რეგიონებში როგორც საავადმყოფოების, ასევე კვალიფიციური ექიმების დეფიციტია, მოსახლეობის მიგრაცია კი საგანგაშო მასშტაბებს აღწევს.

დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკა საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შრომის ბაზრის ისეთ მაკროეკონომიკურ მახასიათებლებზე, როგორიცაა დასაქმებისა და უმუშევრობის დონე.

საქართველოში სამუშაო ძალის ძალიან დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ურბანულ ზონებში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 59,9%-ია ეკონომიკურად აქტიური.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლადაა დასახლებული, შესაბამისად, მუშახელის უმეტესობა სოფლის მეურნეობის

დარგშია დასაქმებული. არსებული მონაცემებით, მთლიანი დასაქმების დაახლოებით 40% ქალაქებზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თვითდასაქმებულთა დონე საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით სოფლად, სადაც 1990-ანი წლების მიწის რეფორმის დროს ყველა მოსახლეს მცირე ზომის მიწის ნაკვეთი გადაეცა. სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების მფლობელი მოსახლეობა განიხილება სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულად.



თვითდასაქმების მაჩვენებელი მაღალია ქალაქებშიც, თუმცა სოფლის ზონებს მაინც ჩამოუვარდება.



2000 წლიდან მოყოლებული, თვითდასაქმებულთა საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. 2004 წელს კი პიკს მიაღწია და მთლიანი სამუშაო ძალის ორი მესამედი შეადგინა. დღესაც, საქართველოში დასაქმებულთა უმრავლესობა თვითდასაქმებულად რჩება.

კერძო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. დაქირავებულთა დაახლოებით 50% ისეთ კომპანიებში დასაქმებული, რომელთა მთავარი მეწილე სახელმწიფოა. მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებში დასაქმების მაჩვენებელი უმნიშვნელოა და მათი საერთო წილი 10%-ზე ნაკლებია.

მთავარი რეგიონული უთანაბრობა საქართველოს შრომის ბაზარზე თბილისსა და ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს შორის აღინიშნება, თუმცა რეგიონთაშორისი განსხვავებებიც მრავლადაა.



წყარო: საქსტატი

ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე სოფლად გაცილებით დაბალია, ვიდრე ქალაქებში და აღნიშნული სხვაობა დაახლოებით 22%-ს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად დასაქმებულთა დიდი წილი თვითდასაქმებულ ფერმერებზე მოდის - მინიმალური შემოსავლებითა და სამუშაო ძალით.



** რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით;*
*** სამცხე–ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.*

უმუშევრობის დონის ანალიზი, გვაძლევს საშუალებას, რეგიონები დავაჯგუფოთ სამ ჯგუფად: რეგიონები, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია (თბილისი, აჭარის არ, სამეგრელო–ზემო სვანეთი), რეგიონები უმუშევრობის საშუალო დონით (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) და რეგიონები, სადაც უმუშევრობის დონე დაბალია (კახეთი, სამცხე–ჯავახეთი, გურია, მცხეთა–მთიანეთი). 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს უმუშევრობის დონე გაზრდილია კეხეთსა და შიდა ქართლში, ხოლო დანარჩენ რეგიონებში კლება აღინიშნება.



** რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით;*
*** სამცხე–ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.*

დასაქმების დონის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე–ჯავახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი. დასაქმების საშუალო დონე ფიქსირდება და თითქმის ერთნაირია, შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. ხოლო ყველაზე დაბალი დასაქმების დონე აღინიშნება თბილისში და აჭარის ავტონომიურ რეს[უბლიკაში. 2014 წელთან შედარებით, დასაქმების დონე შემცირდა მხოლოდ ორ რეგიონში: კახეთსა და შიდა ქართლში.

ურბანიზაციის დონის ზემოქმედება რეგიონულ უმუშევრობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, ერთადერთი გამონაკლისი იმერეთია, რომლის ურბანიზაციის ხარისხი ყველაზე მაღალია თბილისის შემდეგ, თუმცა უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. იმავე ხარისხის ურბანიზებულობის პირობებში - აჭარაში უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. აღნიშნული შესაძლოა ეკონომიკური სტრუქტურის განსხვავებულობით აიხსნას. აჭარის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის, ხოლო იმერეთში საწარმოო მრეწველობა დომინირებს. ტურიზმსა და მშენებლობის სექტორში დასაქმება მოკლევადიანია, თუმცა, მუდმივ სამუშაოსთან შედარებით მარტივად მოსაპოვებელია.

დასაქმების მაჩვენებელი 2008 წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ფინანსური კრიზისის დასაწყისში დაეცა და მას შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა. ერთადერთ გამონაკლისს აჭარა წარმოადგენდა, სადაც კრიზისის განმავლობაშიც დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. აღნიშნული მოვლენა შეიძლება აიხსნას ტურიზმისა და მშენებლობის სექტორების განვითარებით. დასაქმების მაჩვენებელი თბილისში საგრძნობლად ჩამოუვარდება საქართველოს ნებისმიერ სხვარეგიონში დაფიქსირებულ მონაცემს. სხვა მხრივ, რეგიონებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

სიღარიბის რეგიონული სტატისტიკა

სიღარიბე მთავარ პრობლემად მთელს საქართველოში რჩება და ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებით მასშტაბურია. იგი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია უმუშევრობითა და ასევე, თვითდასაქმებულთა არასაკმარისი შემოსავლით. სიღარიბის მასშტაბები საქართველოში უფრო დიდია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. ქვეყანაში ღარიბთა დაახლოებით ორი მესამედი სასოფლო ტიპის დასახლებებში ცხოვრობს.

ის ადამიანები, რომლებიც მოხმარების მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, მიეკუთვნებიან ღარიბ ადამიანებს, ხოლო მათ ხვედრით წილს მთლიან მოსახლეობაში გამოსახულს პროცენტებში, გვიხასიათებს სიღარიბის დონე. 2007–2015 წლებში სიღარიბის დონეს შემდეგნაირად იცვლებოდა საქართველოში.



სიღარიბის დონის მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი 2007–2009 წლებში, რაც აგვისტოში რუსეთთან მომხდარი ომით და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით შეიძლება ავხსნათ. 2015 წელს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014 წელთან შედარებით, სიღარიბის დონე 1,5%-ით არის შემცირებული. ცხოვრების დონის განსახილვე-ლად, მნიშვნელოვანია საარსებო მინიმუმის ანალიზი. 2016 წლის მაისის მდგომარეობით, საქართველოში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი შეადგენდა 142.3 ლარს.

2014 წელს საქართველოში მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში შეადგენდა 21.4%-ს, აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წელს შემცირდა 20.1%-მდე. რაც შეეხება მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით მყოფ მოსახლეობას, 2014–2015 წლებში შესაბამისად 8 და 7.1%-ი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქებში.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთთან ომმა სიღარიბის მასშტაბები და სიმძიმე ქვეყანაში კიდევ უფრო გაზარდა. სოფლად ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელმა 2009 წელს 24.7% შეადგინა, 2014 წელს 27.4%, ხოლო 2015 წელს იგი 25.3 %-მდე შემცირდა.

საქართველოში, სოციალურად დაუცველთა მდგომარეობა რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქალაქ თბილისში საარსებო შემწეობას პროცენტულად ყველაზე ნაკლები ოჯახი იღებს, შემდეგ მოდის სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აჭარა. რეგისტრირებულ ღარიბთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, მთიან და ეკონომიკურად სუსტ მცხეთა-მთიანეთზე მოდის, ასევე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე.



წყარო: *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

ბოლო წლებში შიდა ქართლში რეგისტრირებული ბენეფიციარების მკვეთრი ზრდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადის შემოსვლის შედეგია. რაც შეეხება მთაში შემწეობის მიმღებთა რაოდენობის შედარებით კლებას, აღნიშნული იქაური მოსახლეობის რიცხვის შემცირებითაა გამოწვეული.



წყარო: *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

თბილისში საშუალო შემოსავალი ერთ მოსახლეზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ქვეყნის ნებისმიერ სხვა რეგიონში.





როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ანალიზიდან შეგვიძლია რეგიონები დავაჯგუფოთ მაღალი, საშუალო და დაბალი შემოსავლების და ხარჯების მქონე ჯგუფებად. შედარებით მაღალი შემოსავლებით და ხარჯებით გამოირჩევა თბილისი, კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, საშუალო ჯგუფში ხვდება შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ხოლო ყველაზე დაბალი შემოსავლები და შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი ახასიათებს, გურიას, სამცხე-ჯავახეთს, მცხეთა-მთიანეთს.

ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკა

საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ქსელი შეიქმნა 2004 წელს, ხოლო 2006 წლიდან დაინერგა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის და მოწყვლადი ოჯახების ფინანსურ დახმარებაზე. 2009 - 2011 წლებში სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლების შემცირების მიუხედევად, რომელშიც გარკეული წილი მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემას მიუძღვის, 2011 წლისათვის საქართველოში ოჯახების დაახლოებით მეხუთედი კვლავ ფარდობითი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ ჯინის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს მონაცემების გაფანტულობის საზომს, მაღალია და ბოლო ათწლეულის განმავლობაში 0,41 ფარგლებში მერყეობს. ანუ საშუალო შემოსავლის სიდიდისგან სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლები მნიშვნელოვნად განსხვავდება.

2014 წლის 1 დეკემბრისთვის პჯდ ცენტრებში 2 882 238 ადამიანი იყო რეგისტრირებული, ხოლო საყოვალთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებიდან სულ დაფიქსირდა 822 413 შემთხვევა.

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები 2014											
	თბილისი	აჭარის არ	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ექიმების რიცხოვნობა დაკავებული თანამდებობების მიხედვით, ათასი*	12.5	1.9	0.3	2.6	1.1	0.4	0.1	1.3	0.4	1.3	0.8
საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა, ათასი	7.4	1.6	0.3	2.2	0.7	0.3	0.2	1.0	0.4	1.0	0.6
საავადმყოფოების რიცხვი, ერთეული	111	15	7	29	16	5	4	19	9	20	10
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	6.0	1.1	0.1	1.8	0.4	0.1	0.1	0.6	0.4	0.7	0.4
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა, ერთეული	334	227	85	351	251	71	62	278	99	205	147
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რიცხვი წლის განმავლობაში	6228.7	894.7	191.8	1514.4	645.4	173.5	41.6	567.3	221.5	541.3	694.8

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2014 წლის 1 ივნისიდან დაიწყო მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა. იმ რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული ბალანსის მაჩვენელი უარყოფითია, (რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო, სვანეთი, გურია, სამეგრელო - ზემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი) ყოველ დაბადებულ მესამე და მომდევნო ბავშვზე ბარში - 150, ხოლო მთაში - 200 ლარი გაიცემა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 1 სექტემბრიდან პენსიის ოდენობა 150 ლარამდე გაიზარდა, ასევე 8000-ით გაიზარდა პენსიის მიმღებთა რაოდენობა, რაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით არის გამოწვეული. 2014 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობამ შეადგინა 697240 პირი და ყოველთვიურად გაიცემოდა 105539429 ლარი.

2013 წლის 1 სექტემბრიდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა გასაცემლის ოდენობა 150 ლარამდე გაიზარდა, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთათვის და შშმ ბავშვთათვის გასაცემლის ოდენობა გაიზარდა 70-დან 100 ლარამდე. ამავე წლიდან მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეპრესირებულთა გასაცემლის ოდენობა 55 ლარიდან გაიზარდა 100 ლარამდე. ამჟამად, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა ოჯახის წევრზე შეადგენს 500 ლარს.

საქართველოს მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. თბილისი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის უდავო ცენტრია, 48 უმაღლესი და 5 საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებით, რაც ქვეყნის დანარჩენ ნაწილში არსებულ მსგავსი ტიპის დაწესებულებებზე მეტია.



თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელს. უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის თვალსაზრისით, მეორე, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იმერეთი იკავებს. მესამე ადგილზე აჭარაა. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო-სვანეთში უნივერისტეტები არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა რეგიონი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილით თბილისს ბევრად ჩამორჩება, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხვი, სხვა რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია.

ქვემო ქართლის ურბანულ ცენტრებში და სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფლის ტიპის დასახლებებში განათლების დონე საშუალოზე დაბალია. ეს, შესაძლოა იყოს განპირობებული ამ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების მაღალი კონცენტრაციით, რომელთა უმრავლესობა არ არის ინტეგრირებული არც ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში და არც შრომის ბაზარში.

პროფესიული განათლება უმაღლესი განათლების ალტერნატივას წარმოადგენს. ბოლო ათწლეულში განხორციელებული რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის პირობებში, მიღებული იქნა საქართველოს კანონები „პროფესიული განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ამოქმედდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები, დაინერგა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, ჩატარდა ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული და საგნობრივი უნარების განვითარების მიზნით, შემუშავდა ახალი სახელმძღვანელოები, განხორციელდა სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტები. თუმცა, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, პროფესიული განათლების სისტემამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური მუშახელის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, ვერ უპასუხა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს.

დღეს ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 18 კოლეჯი ფუნქციონირებს, რომელიც სახელმწიფოს მონაწილეობითაა დაფუძნებული. მიუხედავად ამისა, კრიტიკული ვითარებაა რეგიონებში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

საქართველო ბუნებრივი და კულტურული რესურსების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქვეყანაში 12000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლია. ქვეყანაში კარგად განვითარებული მთის, ზღვის და სპა კურორტებია. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ტურისტების რიცხვმა საქართველოში მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე

გაცილებით სწრაფად იმატა. ბათუმი და თბილისი ლიდერობენ ბაზარზე პოპულარული, საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებით. ტურისტული საქმიანობის თვალსაზრისით რეგიონებს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. აჭარის პრიორიტეტი საზღვაო ტურიზმია. საქმიანი და ურბანული ტურიზმის წილით თბილისი ლიდერობს. სამცხე-ჯავახეთი (ბაკურიანი და ბორჯომი) ცნობილია ზამთრის და სამკურნალო ტურიზმით.

ქვეყნის ადმინისტრაციულ რეგიონებში არსებული უთანაბრობის აღმოფხვრისთვის, საჭიროა მთავრობამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები. მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის და მიგრაციის ფონზე, სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისთვის გაცემული სოციალური დახმარება არ არის საკმარისი. ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის შესამცირებლად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების წარმოების პროცესში დანერგვის ხელშეწყობა, კონკრეტული რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის დარგების სუბსიდირება. შრომის ბაზარზე არსებული ვითარების გამოსწორება, რომელიც მიიღწევა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებით, დადებითად აისახება არამხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაზე, არამედ მოსახლეობის ცხევრების დონეზეც.

დასკვნები და რეკომენდაციები: ამრიგად, ქვეყნის ადმინისტრაციულ რეგიონებში არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობისა და მიგრაციის ფონზე, სოციალური უთანაბრობის აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისთვის გაცემული სოციალური დახმარება არ არის საკმარისი და ვერ პასუხობს საქართველოში ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს.

დღეისთვის, საქართველოს რეგიონებში ერთ–ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას არსებული სიღარიბის დონე წარმოადგენს. შრომის ბაზარზე მიმდინარე ვითარების გამოსწორება, რომელიც მიიღწევა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებით, დადებითად აისახება არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკაზე, არამედ მოსახლეობის ცხოვრების დონეზეც. სწორედ ამიტომ, არსებითად მნიშვნელოვანია დასაქმების და სოციალური დაცვის პოლიტიკის სრულყოფა.

ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის შესამცირებლად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად,საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება (განსაკუთრებით რეგიონებში), ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების წარმოების პროცესში დანერგვის ხელშეწყობა და კონკრეტული რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის დარგების სუბსიდირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. თბ., 2013 (ელ. ვერსია).
2. რობიტაშვილი ნ. უმუშევრობის გამომწვევი ფაქტორები და შედეგები სტატისტიკურ ჭრილში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014
3. ქინქლაძე რ. სიღარიბის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014
4. www.geostat.ge
5. www.mrdi.gov.ge
6. www.mes.gov.ge
7. www.moh.gov.ge

Anotation

Recently, the social development ratios between Georgian administrative regions significantly differ. Inequality is a major problem for the country and it is essential to take it into account in economic and social policy.

The main goal of this thesis is to study and analyze the inequality in social development of regions, to reveal the problems of regional economic and social development and also to put forward recommendations for eliminating disparities.

The main tasks of thesis are: to study the natural - geographic, socio - economic and cultural differences between Georgian regions, analyze the factors which influence the regional development and determine the level of social inequality, analyze the state financial aid, various social programs and disclose problems in this direction.

Analysis showed significant imbalance in employment, unemployment and social condition ratios between the capital city and other regions of country. In particular, for Racha-Lechkhumi, Lower Svaneti, Mtskheta-Mtianeti and Guria regions special attention is needed. There is a shortage of the hospitals and qualified doctors in this regions and migration of the population is alarming.

ბაქო - თბილისი – ყარსის რკინიგზა გამოწვევები, შესაძლებლობები საქართველოსთვის

მამუკა ოქროპირიძე

ბაკალავრიატის II კურსის სტუდენტი

ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი **ირინე გოგორიშვილი**

ანოტაცია

უპირველეს ყოვლისა პროექტის ღირებულებასა და ინვესტიციებზე უნდა ითქვას ორი რამ. ქართულ მხარეს ამ რკინიგზის მონაკვეთი ორ ნაწილად იყოფა: პირველი მონაკვეთი _ 160 კილომეტრი მარამბდა _ ახალქალაქი 160 კილომეტრის გზა, რომელიც არსებობს, მაგრამ რეაბილიტაციას საჭიროებს. მეორე მონაკვეთი – -კარწახი თავიდან არის ასაშენებელი.

პროექტისთვის აზერბაიჯანულმა მხარემ საქართველოს მისცა კრედიტი ორ ტრანშად: 200 მლნ დოლარი 1%-ის კრედიტით და შემდეგ 575 მლნ დოლარი 5%-ად (ეს წმინდა კომერციული კრედიტია. Aასეთი თანხების ასეთ ფასში გაცემა საერთოდ ნონსენსია გლობალურ ეკონომიკაში, მითუმეტეს რომ აზერბაიჯანული მხარე ყველაზე მეტად არის დაინტერესებული ამ პროექტით. საერთო ჯამში 775 მლნ დოლარი 25 წლითაა გადაცემული ქართული მხარისთვის. გამოდის ,რომ პირველი 10 წლის განმავლობაში საქართველომ კრედიტის დასაფარად (ძირითადი ფული პლუს კრედიტის პროცენტი) წლიურად მინიმუმ 45 მლნ დოლარი უნდა იხადოს. პირველი წლების განმვალობაში ტვირთბრუნვა 3-დან 7 მლნ ტონამდე იქნება. 10 წლის შემდეგ კი იგი 15 მლნ-ს მიაღწევს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ ვაგონი ეკუთვნის არა საქართველოს რკინიგზას, არამედ გადამზიდავ კომპანიას, მაშინ გადაზიდვის და მომსახურების ფასები გაცილებით დაბალია, შესაბამისად საქაღთველოს მოგებაც მცირდება პარალელებს თუ

გავავლებთ, რა ხდება საავტომობილო გადაზიდვების შემთხვევაში, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა სატვირთო გადამზიდავებისა თურქული და აზერბაიჯანული კომპანიებია (ქართველებს ეს სიამოვნება ნაკლებად აქვთ). უნდა ვივავარუდოდ, რომ რკინიგზის შემთხვევაშიც ვაგონების და პლატფორმების აბსოლუტური უმრავლესობა არაქართული საკუთრება იქნება. აქედან გამომდინარე შემოსავლებიც შესაბამისად მცირდება.

ყველაზე ცუდი გათვლებითაც კი საქართველო 10 წლის განმავლობაში ამ ტრანშის დასაფარად რკინიგზის ამ ხაზიდან ამოღებულ თანხით ვერ დაფარავს კრედიტს და სხვა შემოსავლებიდან მოუწევს კრედიტის დასაფარი თანხის შევსება. საბოლოო ჯამში 25 წლის განმავლობაში საქართველოს რკინიგზას მოუწევს (უხეში გათვლებით) 1,4 მლრდ დოლარის გადახდა. უკვე მიღებული კრედიტიდან რაში რა არის დახარჯული რკინიგზის ახალი დირექტორატისათვის ჯერ არ არის ცნობილი. არ არის რევიზია გაკეთებული რა მდგომარეობაშია ამ ხაზის მშენებლობა. დიდის ალბათობით ხაზის ღირებულება შესაძლებელია კიდევ გაიზარდოს მინიმუმ 100-150 მლნ დოლარით. თავისთავად უკვე ძალიან უხეში გათვლებით ძალიან კარგად ჩანს, რომ ქართული მხარე რკინგიზის ამ მონაკვეთით მოგებას ვერ მიიღებს მინიმუმ 10 წელი და პირიქით იგი დოტაციურიც იქნება.

დღეს არსებული მდგომარეობით საქართველოს რკინიგზის მაქსიმალური ტვირთბრუნვა 8მლნ ტონაა წელიწადში, ტვირთების აბსოლუტური უმრავლესობა ნავთობგადაზიდვებზე მოდის, ამათგან აბსოლუტური უმრავლესობა აზერბაიჯანის და ყაზახეთის ნავთობზე მოდის. მთავარი მიმღები კი თურქეთია.

რკინიგზის ეს ხაზი სერიოზული მოგების მომტანია საქართველოს ეკონომიკისათვის, რადგან მასზე დანახარჯები უკვე კარგა ხანია ამოღებულია რკინიგზის გადაზიდვებიდან შემოსული შემოსავლებით. ამავდროულად მუშაობს ფოთის და ბათუმის პორტები, რომლითაც გადააქვთ ტვირთები უკრაინაში, ბულგარეთში და რუმინეთში. A ამავდროულად აზერბაიჯანისთვის და ყაზახეთისთვის ეს გზა საკმაოდ ხარჯიანია. (კონკრეტული მაგალითი- საქართველოს საზღვრიდან ფოთამდე 500 კმ-მდე მანძილია, შემდეგ გადატვირთვა გემებზე ან კიდევ ვაგონების გადაყვანა ბარჟებზე, შემდეგ იქიდან ისევ შავი ზღვის პორტებში- გადაქაჩვა ვაგონებში ან კიდევ ბარჟიდან ვაგონების გადატანა სარკინიგზო ლიანდაგზე)

ახალი ხაზის შემთხვევაში კი გზა მხოლოდ 280კმ-ია ამავდროულად თურქეთის ტერიტორიაზე გადასვლა ხდება ყოველგვარი შუალედური რგოლების გარეშე, თურქეთში კი ყარსიდან შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით ტვირთის გაგზავნა – ჯეიჰანისკენ, სტამბულისკენ, ანკარისკენ ანუ ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე.

გასათვალისწინებელია შემდეგი ტენდენციაც- ბაქო აპირებდა ფოთთან ბუნებრივი აირის გამათხევადებელი ქარხნის აშენებას, რომლის საშუალებით ბუნებრივი აირი სპეციალური კონტეინერებით ჩავიდოდა. იქ შემდეგ გათხევადებული სახით (ეს უფორ მეტი ტევადობის საშუალებას იძლევა. მაგალითად ერთი გემით 0.5 მლნ კბ.მ გაზის გადატანა შეიძლება) თურქეთისკენ და ევროპისკენ გაგზავნა მოხდებოდა. Aამ ტექნოლოგიის განვითარება 21-ე საუკუნის ნოუ-ჰაუა. ამ ტექნოლოგიას ყოველთვიურად აუმჯობესებს აშშ და 2102 წელს მის ისტორიაში პირველად დაიწყო ფიქალის გათხევადებული გაზის იმპორტირება ევროპისკენ. იმის გატვალისწინებით, რომ ახალი სარკინიგზო მონაკვეთი უფრო მომგებიანი გახდება აზერბაიჯანისთვის და ყაზახეთისთვის, ამავდროულად თურქეთი მათი სტრატეგიული პარტნიორია, გაცილებით მომგებიანია გაზის გამათხევავდებელი საწარმო თურქეთში გაკეთდეს და არა საქართველოში.

უნდა აღინიშნოს 500მლნ ევრობონდების საკითხიც, რომელიც ლონდონის ბირჟაზე ტრიალებს. ზემოთ არნიშნული პროექტის ფარგლებში ადვილად შეიძლება დავინახოთ, რომ თურქული და აზერბაიჯანული მხარე დაინტერესებული იქნება არამარტო ევრობონდების შესყიდვით, არამედ მთლიანად საქართველოს რკინიგზის ყიდვით. არსებობს მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილი აპირებდა კიდეც 1 ოქტომბრის გამარჯვების შემთხვევაში მის მიყიდვას თურქულ-აზერბაიჯანული მხარისათვის.

ახალი ხელისუფლების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა ამ ევრობონდების გამოსყიდვა და რკინიგზაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუსწორებელი შეცდომა მოგვივა, რომელიც საქართველოს უდიდეს საფთხეს შეუქმნის.

ძალიან დილეტანტური ხედვითაც კი ცალსახად ჩანს, რომ საბაზერო ეკონომიკის კანონებიდან გამომდინარე, საქაღთველოს რკინიგზის ძველი ხაზი შედარებით არარენტაბელური იქნება აზერბაიჯანისთვის და ყაზახეთისთვის. აქედან გამომდინარე სამუშაო და შემოსავლებიც შემოაკლდებათ ფოთის და ბათუმის პორტებსაც.

წინა ხელისუფლება და მისის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აზიური ტვირთები (ინდო - ჩინეთის სივრცის ქვეყნები) აქამდე თუკი რუსეთის გავლით აწვდიდნენ ევროპას საქონელს, ახლა ამ ხაზზე გადაამისამართებენ ტვირთებს. მოსაზრება საფუძველშივე მცდარია ინდო - ჩინეთის სივრციდან ევროპამდე გზა რუსეთის გავლით უფრო მოკლეა.

რუსეთს სატარიფო პოლიტიკა სახელმწიფოთაშორისო და გლობალური პოლიტიკური თამაშის წესებზე აქვს მორგებული და აქედან გამომდინარე მას აქვს ყველა შესაძლებლობა, რომ ტვირთები არ გაუშვას სხვა მიმართულებით.

ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით ინდოჩინეთის სივრცის ქვეყნებისათვის რუსული მაგისტრალი დღეისათვის სრულიად მისაღებია და არ ჩანს არანირი გლობალური პოლიტიკური ან ეკონომიკური ტენდენციები, რომელიც აჩვენებს, რომ რუსეთი დაკარგავს სატრანზიტო ტვირთებს. შესაბამისად ეკონომიკურ პარტნიორებს და შემოსავლებს.

თუ ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის რუკას დავხედავთ დავინახავთ, რომ დიდი თურანის სივრცე სარტყლად ევლება რუსეთის სამხრეთ ნაწილს. ამით იქმნება საშიშროება რუსეთმა დაკარგოს გავლენები კავკასიაში, ცენტრალური აზიის ქვეყნებში. Dდიდი თურანის სივრცის შექმნა გარკვეულ წილად ნაციონალურ-რელიგიურ ნიადაგზე ხდება. რელიგია აქ არ წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ღერძს, მაგრამ იგი არის მთავარი ინსტრუმენტი თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. დიდი თურანის სივრცეს რუსეთის საზღვარზე ემიჯნება რუსეთის მუსულმანური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი: ჩრდილო კავკასია - სათათრეთი, ბაშკირეთი, მორდოვია, კალმიკია. თვით რუსეთში დღეისათვის მოსახლეობის 25% მუსულმანია და ამ საფრთხეს პუტინი კარგად ხედავს. დიდი თურანი რუსეთის სახელმწიფოს არსებობას უქმნის საფრთხეს და აქედან გამომდინარე ცალსახად უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს არ დაუშვას დიდი თურანის სივრცის შექმნა. ამ სივრცეში ყველაზე სუსტი წერტილი საქრთველოა, რადგან ეს ერთადერთი რეგიონია, რომელიც ანტი რუსულადაა განწყობილი და არ არის თურქული მოდგმის ერი. დიდი თურანის მიერ საქართველოს ათვისება ნიშნავს, რომ სუსტი წერტილი აღარ იარსებებს და მაშინ რუსეთს მთლიან სივრცესთან მოუწევს შეჭიდება, რაც მისთვის უაღრესად მძიმე იქნება. ამიტომ რუსეთის №1 პირველი ამოცანა სუსტი წერტილის განეიტრალებაა. ანუ საქართველო ორმაგი დარტყმის ქვეშ ხვდება - „ან მგელი შეგვჭამს ან კიდევ მგლისფერი ძაღლი“- ჩემს ნაშრომში მგონი კარგად დაინახავ თუ

რა ნაბიჯები გადაიდგა უკვე თურქეთის აზერბაიჯანის და საქართველოს წინა ხელისუფლების მხრიდან ამ სივრცის შესაქმენლად. ბაქო -ყარსის რკინიგზა კი ამ სივრცის ათვისების ერთერთი მთავარი ინსტრუმენტი გახდება. დივიდენდი კი ასე შეიძლება გამოვხატოთ - გარკვეულ დრომდე და პროცესებამდე თურქეთი დასავლეთის პარტნიორი იქნება, მაგრამ დადგება ზღვარი (არადა ერდოღანის პოლიტიკური კურსი სწორედ აქეთკენ მიდის), როდესაც რუსეტის და დასავლეთის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა და ორივე თურქეთის წინააღმდეგ იმუშავებს (ეს ჰანტინგტონის, ფუკუიამას და ტოიმბის თეორიების მიხედვით პრაქტიკულად გარდაუვალია). მაშინ საქართველო იძენს ახლ ფუნქციას – აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის არსებული ტერიტორია, სადაც დაპირისპირება მინიმუმზე უნდა დავიდეს, რათა ომი გამოირიცხოს. გეოპოლიტიკური თამაშის წესებით ასეთ ტერიტიაზე ორივე დაპირისპირებული მხარე შეეცდება არ დაარღვიოს დადაგენილი თამაშის წესები, ხოლო ვინც დაარღვევს ის ისჯება. ორივე მხარე მოწოდებულია (ან იძულებულია) ამ ტერიტორიაზე სტაბილურობა იყოს, რათა ბალანსის დარღვევა არც შიგნიდან და არც გარედან არ მოხდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. analitika. Az
2. AZE.az
3. azglobus.net
4. Haqiin.az
5. http://inosmi.ru/asia/20121021/201185539.html#ixzz29uVeATO8
6. http://lenta.ru/news/2012/10/30/budget/
7. http://scout-thedeaddistrict.blogspot.com/
8. Jane's.com
9. news.am
10. regnum.Ru

Annotation

Firstly, we have to say some words about this project. It is divided into two parts: first one is 160 km length Akhalqalaqi-Marabda, which needs rehabilitation and the second part - Akhalqalaqi-kartsaki, which must be rebuilt.

Georgia got credit from Azerbaijan in two tranche: 200 000 000 $ in 1% profit rate and 500 000 000 $ in 5% profit rate. Georgia has 25 years for repayment all (basic credit + profit rate) loans. It means Georgia has to pay 450000 every year.

The turnover during first 10 will be from 3 to 7 millions of tone and after 15 million tone.

Even consider the worst calculation, Georgia could not cover credit during first 10 year and it causes to finance this project from other financial funds. In conclusion, after 25 years ,Georgia has to pay 1,4 billion $ to cover all expenses. As a result Georgia will not get profit from this project.

საბაზრო ეკონომიკის სკანდინავიური მოდელი და „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების პერსპექტივები საქართველოში

დალი სეხნიაშვილი
მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნინო პაპაჩაშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

დანია, შვედეთი და ნორვეგია - ეს ქვეყნები თავიანთი ეკონომიკური სისტემით განეკუთვნებიან „სკანდინავიური სოციალიზმის“ მოდელს, რაც სოციალური საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი ვარიანტია და გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

სკანდინავიური მოდელი დღესაც აქტუალური განხილვის საგანია. იგი მსოფლიოში ცნობილია, როგორც ეკონომიკური განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც მცირე ქვეყნისთვის ხელსაყრელია ისე, რომ ჰყავდეს დაცული და უზრუნველყოფილი მოსახლეობა. ამ მოდელის ეფექტიანობიდან გამომდინარე, ბევრი ქვეყანა ცდილობს გადმოიღოს მისთვის დამახასიათებელი რეფორმები, მაგრამ ამ მოდელის „კოპირება“ თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამ მოდელის მიმზიდველობისა, დღევანდელ ეტაპზე მისი საქართველოში დანერგვისა და იგივე ეფექტის მიღების შესაძლებლობა ძალიან დაბალია. თითოეული მოდელი კონკრეტულ ქვეყანასა და ხალხზეა მორგებული.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის სკანდინავიური მოდელი, „კეთილდღეობის სახელმწიფო“.

დასავლეთ ევროპის რეგიონი ოცზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს. მათ შორისაა მსხვილი, საშუალო, მცირე და ე.წ. „ჯუჯა სახელმწიფოები“. მათი დიდი ნაწილი მაღალგანვითარებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური მოდელი, რაც არსებითად განსხვავდება აშშ-სა და იაპონიის ეკონომიკური განვითარების მოდელებისგან. მათ შორის არსებითია ის, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის სოციალურმა ორიენტაციამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია - სახელმწიფო აქ მრავალ სოციალურ ფუნქციას ასრულებს.

დასავლეთ ევროპის ე.წ. მცირე ქვეყნებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნებს - დანიას, შვედეთსა და ნორვეგიას. ამ ქვეყნების ეკონომიკური სისტემები განეკუთვნება „სკანდინავიური სოციალიზმის“ მოდელს, რაც სოციალური საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი ვარიანტია და გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით. ამ მოდელმა აღნიშნულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის თვალსაზრისით.

სკანდინავიური მოდელი დღესაც აქტუალური განხილვის საგანია. უწინარეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს ეკონომიკური განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც მცირე ქვეყანას ხელს უწყობს, დაცული და უზრუნველყოფილი მოსახლეობა ჰყავდეს. ამ მოდელის ეფექტიანობიდან გამომდინარე, ბევრი ქვეყანა ცდილობს გადმოიღოს მისთვის დამახასიათებელი რეფორმები, მაგრამ როგორც შემდეგ ვნახავთ ამ მოდელის „კოპირება“ თითქმის შეუძლებელია.

სკანდინავიის ქვეყნები მსოფლიოში მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობით გამოირჩევიან. შვედეთს, დანიასა და ნორვეგიას „კეთილდღეობის სახელმწიფოებს“ უწოდებენ. ეკონომისტების შეფასებით, სწორედ ამ ქვეყნებში ვხვდებით ისეთ პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც სოციალური პოლიტიკა მთავრობის პრიორიტეტული მოღვწეობის სფეროა. სახელმწიფო თავის თავზე იღებს ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვას. როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ, ჩრდილოეთ ევროპის ეკონომიკური დაწინაურება, ძირითადად, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. ეს პროცესები თითოეულ ქვეყანაში დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად განვითარდა, თუმცა მათთვის სწორედ დროის ეს მონაკვეთი გახდა გარდამტეხი. ეს ქვეყნები განეკუთვნებიან საზღვაო საელმწიფოებს, ზღვა მათი ეკონომიკური განვითარების მთავარი გასაღებია.

სკანდინავიის ქვეყნებში ფინანსურ კეთილდღეობაზე წინ განათლებას, ჯანდაცვას და უსაფრთხოებას აყენებენ. მიიჩნევენ, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი მიზეზი პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაა, რაც გამოიხატება შემდეგში: უფასო სოციალური სერვისები; საკუთრების უფლების დაცვა; ბიზნესის კეთების სიმარტივე; სახალხო პენსიების სისტემა; თავისუფალი ვაჭრობისთვის დაბალი ბარიერები; ბაზრის მცირე რეგულაცია და ბაზრის თავისუფლება; პროფკავშირების სიმრავლე; კორუფციის ძალიან დაბალი დონე.

სკანდინავიის ქვეყნები ბუნების მრავალფეროვნებითც გამოირჩევიან. რეგიონის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს ტყეებს. შვედეთის, ფინეთისა და ნორვეგიის ტყეებზე დასავლეთ ევროპის ტყეების 1/3 მოდის. რეგიონის დარგობრივი სტრუქტურები დროთა განმავლობაში სპეციფიკურ ვითარებაში შეიქმნა. ასეთი იყო სწორედ საერთაშორისო კაპიტალის კონკურენცია, რომელმაც საშუალება მისცა ქვეყნებს, განევითარებინათ რეგიონისთვის მისაღები, პრიორიტეტული დარგები, რამაც ეს ქვეყნები ჩააყენა განვითარებული ქვეყნების რიგში. სპეციალიზებული დარგების პროდუქციის ექსპორტით სკანდინავია პირველ ადგილზეა ევროპაში.

სკანდინავიური ქვეყნები არა მხოლოდ გაექცნენ ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც მსოფლიოში ვრცელდება, არამედ მათ თავიდან აიცილეს ბევრი პრობლემა. ეს დასტურდება იმით, რომ მრავალი ეკონომიკური და სოციალური ინდიკატორით ისინი თითქმის ყველა რანგირებაში უმაღლეს პოზიციებს იკავებენ. თუმცა სკანდინავიელები მაინც უამრავი პრობლემის წინაშე დგანან და განაგრძობენ თავიანთი მოდელის მუდმივ განახლებას. მათი გადასახადები ძალიან მაღალია და ამიტომ ახალ სტრუქტურულ რეფორმებზე მუშაობენ. მართალია ამას შედარებით ნელა აკეთებენ, მაგრამ დათმობების გარეშე. მათ მოდელს უფრო ღირებულს ხდის შესაძლებლობა, განახორციელონ ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში და ამასთანავე, დაიცვან ხალხი კაპიტალისტური სისტემის დარღვევებისაგან.[1]

მსოფლიოს დიდი ნაწილი ახლა დგას იმ პრობლემების წინაშე, რომელსაც სკანდინავიური ქვეყნები შეხვდნენ 1990-იან წლებში. სამხრეთ ევროპას სკანდინავიური მკაცრი აზროვნების „დოზა“ სჭირდება იმისათვის, რომ საკუთარი ფინანსები კონტროლის ქვეშ მოაქციოს, ხოლო ამერიკას სკანდინავიური პრაგმატიზმის „დოზა“ საჯარო სექტორში ეფექტიანი რეფორმების გასატარებლად სჭირდება.

სკანდინავიის ქვეყნები გვაძლევენ იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გახდეს პატარა ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი. მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიური ეკონომიკური მოდელი ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპს - „იფიქრე მოქალაქეებზე, მიეცი მათ სასურველი

[1] The Nordic countries are probably the best-governed in the world, The Economist, The secret of their success, http://www.economist.com/news/special-report/21570835-nordic-countries-are-probably-best-governed-world-secret-their

სახელმწიფო და ისინი დაგეხმარებიან მართო სისტემა სწორად“, თითოეულ მათგანს მაინც ახასიათებს თავისებურებები, რასაც ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ და გარკვეული პარალელების გავლებას შევეცდებით საქართველოსთან.

შვედეთის სამეფო: *ფართობი - 449 964 კმ²; მოსახლეობა - 9,8 მლნ კაცი (2015 წლის მონაცემებით); მშპ - $483 724 მილიარდი (2015 წლის შეფასებით); ერთ მოსახლეზე - $48 966; დედაქალაქი - სტოკჰოლმი; პოლიტიკური სისტემა - კონსტიტუციური მონარქია; სახელმწიფოს მეთაური - მეფე კარლ XVI გუსტავი (1973 წლიდან); ოფიციალური ენა - შვედური; ვალუტა - შვედური კრონი; ევროკავშირის წევრი ქვეყანა - 1995 წლის 1 იანვრიდან; შენგენის წევრი - 2001 წლის 25 მარტიდან.*

შვედეთი მრავალფეროვანი და განვითარებული ეკონომიკური სისტემით გამოირჩევა, რომლის უმთავრესი საწარმოო ფაქტორები ხე-ტყე, ჰიდრორესურსები და რკინის მადანია. ქვეყანა ორიენტირებულია საგარეო ვაჭრობაზე. მრეწველობის ძირითადი დარგებია მანქანათმშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ფარმაცევტიკა, მეტყევეობა, რკინის მოპოვება და ფოლადის გამოდნობა, მიკროინსტრუმენტების, ქიმიური პროდუქციისა და საშინაო მოხმარების საქონლის წარმოება.

მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში შვედეთი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, ამიტომ საბაზრო ეკონომიკური სისტემის პირობებში მოსახლეობისათვის ცხოვრების უმაღლესი დონის მიღწევა შეძლო, რაც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებასა და საყოველთაო სოცუზრუნველყოფას ეფუძნება. ამჟამად შვედეთის ცენტრალური ბანკი ცდილობს ვალუტის კურსი დაასტაბილუროს და ინფლაციის დონე 2%-ზე შეინარჩუნოს.

XX საუკუნეში შვედეთში განვითარებულ პროცესს ხშირად „ეკონომიკურ სასწაულს“ უწოდებენ. რამდენიმე ათწლეულში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს სახელმწიფოდ იქცა. შვედეთის მაგალითზე ნათლად ვხედავთ, რომ საგადასახადო ტვირთი ქვეყანაში საკმაოდ მძიმეა, მაგრამ ადამიანების ანაზღაურება იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ გადასახადების სიმძიმე ნაკლებად იგრძნონ. შვედეთში სწავლა, მედიცინა, ბავშვების აღზრდა, პენსია ნაწილობრივ ან მთლიანად, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსდება.

შვედური მოდელის სათავე უნდა ვეძიოთ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, როცა სოციალურ-დემოკრატიულმა მთავრობამ შეთანხმება დადო გლეხთა პარტიასთან საზოგადოებრივი წარმოების შეუფერხებელი პროცესის უზრუნველყოფისთვის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თაობაზე. მისი ძირითადი მიზანი იყო ეფექტიანი მოთხოვნის მხარდაჭერა და მოსახლეობის სრული დასაქმება. თუმცა ახალი კურსის ძირითადმა მიღწევებმა ომის შემდგომ პერიოდში იჩინა თავი.

ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე შვედეთში მიღწეულ იქნა, ჯერ ერთი, ხელსაყრელი ისტორიული პირობებით (ნეიტრალიტეტის დაცვით, მას არც ერთ მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიუღია და ომით არა თუ არ დაზარალებულა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდასაც მიაღწია)[1], და მეორე, ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის სიმდიდრით: შვედეთს აქვს დასავლეთ ევროპაში მერქნისა და რკინის მადნის დიდი მარაგი, ასევე, უხვი ჰიდროენერგია.

შვედეთის სოფლის მეურნეობა ტექნოლოგიური წარმოების წესს ემყარება და გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით. სამამულო წარმოება ქვეყნის სურსათზე მოთხოვნილების 4/5-ს

[1] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ.129.

უზრუნველყოფს, მათ შორის, პრაქტიკულად მთლიანად - რძით და ხორცით. სოფლის მეურნეობაში დომინირებს მსხვილი ფერმები, წამყვანი დარგი კი - მეცხოველეობაა.

შვედეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონე. მრეწველობის წამყვან დარგებში, გემთმშენებლობაში, საბანკო და სადაზღვევო საქმეში დომინირებს უმსხვილესი კონცერნები, რომელთა უმეტესობა ტრანსნაციონალური კომპანიებია. შვედეთის 20 უმსხვილეს საერთაშორისო კორპორაციაზე მოდის ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მოცულობის დაახლოებით 40%.

სახელმწიფო სექტორის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დიდი ოდენობით ფულადი სახსრების აკუმულაცია და სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისათვის გადანაწილებაა. მისი საქმიანობა ხასიათდება მაღალი ხარისხითა და დაბალი დანახარჯებით საზოგადოებრივი მომსახურების შემდეგ სექტორებში: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.

შვედეთის ეკონომიკის საფუძველი კერძო საკუთრება და ინდივიდუალური მეწარმეობაა. სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა არა კერძო კაპიტალის ნაციონალიზაცია და ეკონომიკაში პირდაპირი ჩარევა, არამედ ძლიერი და ეფექტიანად მოქმედი კერძო სექტორის მიერ შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის გადანაწილებაა. ეკონომიკური სისტემის შვედური მოდელის არსებითი ნიშანია - კერძო საკუთრების დომინირებადობა წარმოების სფეროში და მოხმარების საზოგადოებრივი ხასიათი. შვედეთი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყნიდან, სადაც შეძლეს ე.წ. "მაგიური ოთხკუთხედის" მიზნების რეალიზაცია. ეს მიზნებია: სტაბილური ეკონომიკური ზრდის ტემპი, დასაქმების მაღალი დონე, ინფლაციის დაბალი ტემპი და საგადასახადო ბალანსის წონასწორობა, რასაც მოჰყვა ქვეყნის კეთილდღეობა და აყვავება.

შვედურ მოდელში წინა პლანზეა წამოწეული სრული დასაქმებისა და შემოსავლების გამოთანაბრების კონცეფცია ფასების სტაბილურობის პირობებში. ორივე მათგანი თითქმის ყოველთვის იყო ქვეყნის ხელისუფლების მთავარი და უცვლელი მიზანი, რასაც შვედი ხალხი აქტიურად უჭერდა მხარს. საყურადღებოა, თუ როგორ არის დაყენებული შვედეთში მოსახლეობის დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების საკითხები. დაქირავებულ მუშაკთა წილი ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 92% შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოში უმუშევრად ითვლება ის, ვინც, თუნდაც ზედიზედ 6 დღე იყო დაუსაქმებელი. შრომის ანაზღაურების შვედური სისტემის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მუშაკთა ხელფასებს შორის სხვაობა განპირობებულია შესრულებული სამუშაოს ხარისხითა და სახეობით და არაა დამოკიდებული არც ცალკეული კომპანიის და არც მთლიანად დარგის რენტაბელობაზე. სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დახმარებებს უმუშევრობისთვის. იმისდა მიუხედავად, რომ მსოფლიოში შვედეთი ითვლება მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტის ერთგვარ ეტალონად, უმუშევრობა ქვეყანაში მაინც არსებობს. სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს არა მარტო უმუშევართა დასასაქმებლად, არამედ მათ მატერიალურადაც ეხმარება. დახმარებების გაცემა უმუშევრებისთვის ხდება სამუშაო ადგილის დაკარგვიდან 5 დღის შემდეგ. დახმარების აღმოჩენის მაქსიმალური ვადა შეადგენს 300 დღეს, ხოლო 55 წელზე უფროსი ასაკის პირებისათვის კი 450 დღეს.

შვედეთის კეთილდღეობის საზოგადოებას საფუძველი ჩაუყარეს ცოლ-ქმარმა ალვა და გუნარ მიურდალებმა. ორივე ნობელის პრემიის ლაურეატი იყო. მათი მტკიცებით, საჭიროა ოჯახებს სახელმწიფომ აღმოუჩინოს ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება. ამის შედეგად, შვედეთში დაწესდა ძალიან მაღალი გადასახადები, პრაქტიკაში დამკვიდრდა ბიუჯეტის

სოლიდური ხარჯები და საზოგადოების სოციალური დახმარებების ყოვლისმომცველი სისტემა. ამასთან, ეს უკანასკნელი ისეთი გამართული და გამჭვირვალეა, რომ ნებისმიერი შვედი ხედავდა, თუ სად მიდიოდა მისი გადასახადებით აკუმულირებული თანხა. მიურდალების მიერ დანერგილი სტრატეგიის შედეგები განავითარეს სოციალ-დემოკრატებმა. შვედი მშობლები „ნებივრობენ“ ბიუჯეტის მიერ დაფინანსებულ გრძელვადიან შვებულებებში და როდესაც ხედავ ასეთ უზრუნველ სამყაროს, შეუძლებელია სურვილმა არ წაგძლიოს და არ გაიფიქრო, რომ ღირს ასეთი საზოგადოების მოწყობის მიზნით თუნდაც ნახევარი ხელფასის ბიუჯეტისათვის დათმობა.[1] უმთავრესი, რაზედაც მიურდალებმა შვედური იდილია დააფუძნეს, ესაა სახელმწიფო დაწესებულებებისადმი შვედების ნდობა, რომელიც წლების განმავლობაში მყარდებოდა და მტკიცდებოდა.

2014 წელს შვედეთის ექსპორტმა 159 მილიარდი დოლარი შეადგინა, რითაც ოცდამეთერთმეტე ადგილი დაიკავა მსოფლიოს ყველაზე დიდ ექსპორტიორ ქვეყანათა შორის. ბოლო 5 წლის განმავლობაში შვედეთის ექსპორტი 4,7%-ით გაიზარდა. რაც შეეხება სავაჭრო ბალანსს, შვედეთი ინარჩუნებს დადებით სალდოს. შვედეთის ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, რაც დაბალი და სტაბილური ინფლაციის დონეს გულისხმობს. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად ინფლაციის მაჩვენებელი 0,8%-ს აღწევს,[2] მიზნობრივი მაჩვენებელი კი წლიური 2%-ია. 2014 წლის მონაცემებით, შვედეთის მთლიანი წვლილი ევროკავშირის ბიუჯეტში 3,828 მლრდ ევროს შეადგენდა. ევროკავშირის დანახარჯები კი შვედეთში 1,691 მლრდ ევრო იყო. ეს თანხა ძირითადად სხვადასხვა პროგრამებზე გადანაწილდა, რომლებიც შვედეთში ევროკავშირის დაფინანსებით გატარდა.

შვედური ეკონომიკური მოდელის დიდმა პოპულარობამ მისი წარმატების ფაქტორების ძიების სურვილიც გაზარდა, რაც უამრავ სამეცნიერო და პოპულარულ სტატაში აისახა. მაგალითად, შვედეთის ოფიციალურ საიტზე ვხვდებით სტატიას სახელწოდებით „როგორ შექმნა შვედეთმა ეკონომიკის მოდელი“.[3] მასში განხილულია 3 ძირითადი ფაქტორი, რომელმაც შვედური მოდელის წარმატება განაპირობა. ესენია: სტაბილურობა, დაბალანსებული ბიუჯეტი და დინამიკური ეკონომიკა. შვედეთს დღეისათვის ყველაზე დაბალი ეროვნული ვალი აქვს ევროკავშირში; ასევე, დაბალი და სტაბილური ინფლაცია და ჯანსაღი საბანკო სისტემა აქვს. მაგრამ ეს მუდამ ასე არ იყო. შვედეთის ეკონომიკა განიცდიდა დაბალ ზრდასა და მაღალ ინფლაციას, შვედური კრონაც არაერთხელ გაუფასურდა, რასაც დაემატა ფინანსური კრიზისი 1990-იან წლებში. შედეგად, ბანკები არასტაბილური გახდა, უმუშევრობა სწრაფად გაიზარდა, სახელმწიფო ხარჯები კონტროლიდან გამოვიდა და შესაბამისად, ეროვნული ვალიც. გზა სტაბილურობისა და წარმატებისაკენ ადვილი არ იყო შვედეთისთვის, მაგრამ ინოვაციური და გაბედული რეფორმების გატარებით ეკონომიკის ტრანსფორმაცია განახორციელეს.

შვედეთის განხილვისას შეუძლებელია არ ვახსენოთ ნობელის პრემია. შვედეთის სიამაყეა ლეგენდარული ალფრედ ნობელი და მისი პრემია. ალფრედ ნობელი იყო შვედი მრეწველი და გამომგონებელი. მას ეკუთვნის დინამიტის აღმოჩენა.[4] 1895 წელს ნობელმა შეადგინა ანდერძი, რომლითაც მისი ქონება, რაც მისი გარდაცვალების წინ (1896 წ.) 9,2 მლრდ დოლარი იყო, უნდა დაყოფილიყო ყოველწლიურად 5 თანაბარ ნაწილად და გადანაწილებულიყო იმ ადამიანებზე,

[1] ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008, გვ. 432.

[2] შვედეთის ცენტრალური ბანკი http://www.riksbank.se/en/Monetary-policy/

[3] HOW SWEDEN CREATED A MODEL ECONOMY https://sweden.se/business/how-sweden-created-a-model-economy/

[4] ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბ. 2001, გვ. 345.

რომლებმაც კაცობრიობას ყველაზე დიდი სიკეთე მოუტანეს. ანდერძი გაიხსნა 1897 წელს. ნობელის პრემიის ლაურეატების სახელები, როგორც წესი, ცხადდება ალფრედ ნობელის დაბადების დღეს - 21 ოქტომბერს და დაჯილდოვება ხდება მისი გარდაცვალების დღეს - 10 დეკემბერს. პრემია გადაიცემა შვედეთის მეფის სტოკჰოლმის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

შვედეთი გახდა მსოფლიოს პირველი ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ტელეფონის ნომერი აქვს. +46771793336-ზე დარეკვით ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს გაესაუბროს შემთხვევით შერჩეულ შვედეთის მოქალაქეს. იდეის ინიციატორი შვედეთის ტურიზმის სამინისტრო გახდა. [1]

დანიის სამეფო: *ფართობი - 43069კმ²; დედაქალაქი - კოპენჰაგენი; მოსახლეობა - 5,6მლნ. კაცი (2015 წლის შეფასებით); მშპ - $333მლრდ., პოლიტიკური სისტემა - კონსტიტუციური მონარქია; სახელმწიფოს მეთაური - დედოფალი მარგრეტე II (1972 წლიდან); ოფიციალური ენა - დანიური; ვალუტა - დანიური კრონი; ევროკავშირის წევრი ქვეყანა - 1973 წლის 1 იანვრიდან; შენგენის წევრი - 2001 წლის 25 მარტიდან.*

დანია სკანდინავიურ ქვეყნებს შორის ყველაზე სამხრეთით მდებარე სახელმწიფოა. მდებარეობს შვედეთისა და ნორვეგიის სამხრეთით და ერთადერთი სახელმწიფო, რომელთანაც სახმელეთო საზღვარი აქვს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა. დანიას სტრატეგიული მდებარეობა აქვს, გამოირჩევა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკით, სადაც ფასები საქონელსა და მომსახურებაზე თავისუფალი ფასების სისტემით განისაზღვრება. დანიას აქვს მრავალფეროვანი და შერეული ეკონომიკა, რომელიც უმეტესად ადამიანურ რესურსებს ეყრდნობა. ამასთან, დანიას რამდენიმე მნიშვნელოვანი და ღირებული ბუნებივი რესურსი აქვს, მათ შორის ნავთობისა და გაზის რესურსები (ჩრდილოეთ ზღვაში). მისი ნომინალური მშპ შეფასებულია 333 მილიარდ დოლარად, რითაც მსოფლიოში 32-ე ადგილს იკავებს.

დანია უნიტარული სახელმწიფოა, თუმცა საკუთარი შიდა საკითხების მოგვარების უფლება ცენტრალური მთავრობის მიერ გრენლანდიისა და ფარერის კუნძულების მოსახლეობისადმი არის დელეგირებული. დანია 1973 წელს გახდა ევროკავშირის წევრი, თუმცა დღემდე რჩება ევროზონის გარეთ, ამავდროულად გრენლანდიამ და ფარერის კუნძულებმა უარი თქვეს ევროკავშირში შესვლაზეც. სამეფო არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ნატოსა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის დამფუძნებელი, ასევე ეუთოს წევრი. საკმაოდ ხშირად დანიას მსოფლიოში ყველაზე ბედნიერ და ყველაზე არაკორუმპირებულ ქვეყანად მიიჩნევენ. ფორბსის სტატიაში - „მსოფლიოს 10 ყველაზე ბედნიერი ქვეყანა“ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, დანია იკავებს პირველ ადგილს.[2]

იმისათვის, რომ დღევანდელი შედეგებისათვის მიეღწია, დანიას წლების მანძილზე ჰქონდა ძალიან მაღალი და მუდმივად მზარდი გადასახადები. ზოგი თვლის, რომ დანიის კეთილი ნების სახელმწიფო ძალიან ძვირია, მაგრამ იმასაც აცხადებენ, რომ ის ამ ფასად ღირს. თუ მაღალი გადასახადები ისეთ საზოგადოებას უზრუნველყოფს, სადაც ხალხი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, სადაც დამნაშავეობის დონე ძალიან დაბალია, სადაც ხალხი კარგ განათლებას იღებს და დიდხანს და ჯანმრთელად ცხოვრობს, იქნებ მაღალი გადასახადები არც ისე ცუდი რამ იყოს. თუმცა, არის დანიური მოდელის მძაფრი კრიტიკაც, რომელიც არსებითაც

[1] შვედეთის ტურიზის სამინისტრო https://www.swedishtouristassociation.com
[2] The World's 10 happiest Countries, Forbes http://www.forbes.com/

სახელმწიფოს გადაჭარბებულ როლს უკავშირდება.[1] მიუხედავად ამისა, დანიაში ხალხი სოციალურად დაცულად გრძნობს თავს. მართალია ისინი პენსიებით ვერ მდიდრდებიან, მაგრამ კომფორტულად ცხოვრობენ. პრაქტიკულად ყველა ადამიანი ამა თუ იმ პროგრამაშია ჩართული.

დანიის ეკონომიკის წამყვანი დარგებია: გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკური, ქიმიური, კვების მრეწველობა. ხოლო უდიდესი კომპანიები – კარლსბერგი, ეგმონტი, ლეგო, ნოვო, ტუბორგი. ბოლო 5 წლის განმავლობაში დანიის ექსპორტი გაიზარდა თითქმის 3%-ით. მისი მთავარი საექსპორტო საქონელია: ელექტრონიკა, მანქანები, მედიკამენტები, ნავთობი, ხორცი, ავეჯი, რკინა და თევზი. დანია ღორის ხორცის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელია მსოფლიოში და ამ პროდუქტის უმსხვილესი ექსპორტიორი ევროკავშირში.[2]

ძირითადი მიზეზი, რის გამოც დანია შეუერთდა ევროპულ თანამეგობრობას, იყო სურვილი, უზრუნველყო საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი დიდი ბრიტანეთში. დანიამ მიმართა ოფიციალურად გაერთიანების სურვილით ევროპულ თანამეგობრობას 1961 წლის 10 აგვისტოს, მაგრამ ამ დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა ვეტო დაადო ბრიტანეთის გაწევრიანებას და დანიამ მის გარეშე გაწევრიანება აღარ ისურვა. საბოლოოდ, მოლაპარაკებების შედეგად, 1973 წლის 1 იანვრიდან ირლანდია, დანია და გაერთიანებული სამეფო შეუერთდა ევროპის საზოგადოებას. დანია იყენებს კრონს, როგორც თავის ვალუტას და უარს ამბობს ევროზე. 2000 წელს სახელმწიფომ ჩაატარა რეფერენდუმი ევროს შემოღებაზე, რომელიც უარყოფითი შედეგით დამთავრდა: 46,8% - იყო თანახმა; 53,2% კი - წინააღმდეგი.

ნორვეგიის სამეფო: დედაქალაქი - ოსლო; ფართობი - 385252 კმ^2; მოსახლეობა - 5223 256მლნ. კაცი (2016 წლის 1 აპრილის მონაცემებით); მშპ - $367873 მლრდ; ერთ მოსახლეზე - $69712; პოლიტიკური სისტემა - კონსტიტუციური მონარქია; სახელმწიფოს მეთაური - მეფე ჰარალდ V (1991 წლიდან); ოფიციალური ენა - ნორვეგიული; ვალუტა - ნორვეგიული კრონი.

ნორვეგია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, ექსპორტზე ორიენტირებული ღია ეკონომიკით ხასიათდება, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია მსოფლიოში. ეკონომიკის ძირითადი დარგებია: ნავთობისა და გაზის მოპოვება-წარმოება, გემთმშენებლობა, ქაღალდის წარმოება, მეტალურგია, ქიმიკატების წარმოება, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა, სამთო მრეწველობა, მეთევზეობა.

ეკონომიკური აღმავლობა ნორვეგიაში მე-17 საუკუნეში დაიწყო, როდესაც ნორვეგიელმა ვაჭრებმა ხე-ტყის თავისუფლად გატანა დაიწყეს ინგლისში საკუთარი გემებით. ამან გამოიწვია ფლოტის გაფართოება, გაიზარდა ტყის დამუშავება, შეიქმნა ხის საამქროები. 1969 წელს, ნავთობის აღმოჩენამდე, სტავანგერში მეთევზეობით ირჩენდნენ თავს. ოქროს ხანად მიაჩნდათ მე-19 საუკუნის შუა პერიოდი - ქაშაყის ბუმი, რომელსაც ბოლო მოეღო 1870 წლის შემდეგ, როცა მკვეთრად იკლო თევზის მარაგმა. მაშინ სტავანგერი, ნორვეგიის ბევრი სხვა დასახლების მსგავსად, უფუნქციო იალქნიანი გემებისა და სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული ეკონომიკის ამარა დარჩა. ნავთობმა კი ყველაფერი შეცვალა.

ნავთობის აღმოჩენა არც ერთი ქვეყნისათვის, მათ შორის, არც ნორვეგიისათვის ყოფილა ეკონომიკური წარმატებისა და მოსახლეობის გამდიდრების გარანტი. დასაწყისში ნორვეგიასაც შეექმნა პრობლემა, რომელსაც „ჰოლანდიურ დაავადებას“ უწოდებენ. ტერმინი მომდინარეობს

[1] ჰანსენი ჰ. დანია: პოტიომკინის სოფელი. სოციალდემოკრატია, წიგნში: რეფორმები და თავისუფლება http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin

[2] Haman K. An Overview of Danish Pork Industry Integration and Structure http://www.prairieswine.com/pdf/2470.pdf

ჰოლანდიის გამოცდილებიდან, 60-იან წლებში ბუნებრივი აირის აღმოჩენის შემდეგ. გაზის ექსპორტის მეშვეობით ჰოლანდია უცებ კიდევ უფრო გამდიდრდა, მაგრამ, ამავე დროს, შესუსტდა მისი სამრეწველო სექტორი, რადგან გაზის მრეწველობამ კაპიტალი და კვალიფიცირებული მუშახელი მიიზიდა მრეწველობიდან და სოფლის მეურნეობიდან. ნორვეგიამ 4 წელი იცხოვრა „ჰოლანდიური დაავადებით“. ხელფასები იზრდებოდა, ფაბრიკა-ქარხნები კარგავდა საუკეთესო კადრებს, რომლებიც გაცილებით უკეთეს ანაზღაურებას ეძებდნენ ნავთობის მრეწველობაში. ნავთობის ბუმით მიზიდული უცხოელების ინვესტიციები ნორვეგიის ვალუტის კურსს ზრდიდა და, შედეგად, ძვირდებოდა ნორვეგიის სხვა საექსპორტო ნაწარმი. ამ ტენდენციას ბოლო მოეღო 1976 წელს. ოსლომ გადადგა ნაბიჯი, რომელიც არასოდეს გადაუდგამს ერაყს ან ნავთობის მწარმოებელი დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობას: მან შეზღუდა ნავთობიდან მიღებული შემოსავლის გამოყენება. ჯერ გადაწყვიტა, სახელმწიფო ნავთობკომპანიების მთელი მოგება ჩაედო ნავთობის ახალი საბადოების ძებნა-ათვისებაში. ხოლო 1995 წლიდან, როცა გაირკვა, რომ ვერც ამ გზით ახერხებდა შემოსავლების გონივრულად გამოყენებას, ჩამოაყალიბა საგანგებო ფონდი. მასში ირიცხება ნავთობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც ნორვეგიელთა მომავალი თაობების საკუთრებად ითვლება. მთავრობას ეკრძალება ამ ფულის 4%-ზე მეტის გამოყენება.

აყვავებული ნავთობის მრეწველობისა და მკვეთრი საინვესტიციო ბრუნვის მეშვეობით, ნორვეგიამ დააგროვა ერთ-ერთი უმსხვილესი საპენსიო ფონდი მსოფლიოში. ასევე, მისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე იკავებს მეოთხე ადგილს მსოფლიოში. ნოვეგიას აქვს საკუთარი ვალუტა, ნორვეგიული კრონი, შესაბამისად ატარებს დამოუკიდებელ მონეტარულ პოლიტიკას. ნორვეგია ნავთობის რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში და მნიშვნელოვნად განსხვავდება ნავთობის სხვა ექსპორტიორებისაგან თუნდაც იმით, რომ რესურსების წყალობით მოპოვებული სიმდიდრე არ რჩება მხოლოდ მმართველი ელიტის ხელში. ნავთობიდან წლიურ შემოსავალთან ერთად, ნორვეგიას ეკონომიკის მრავალი დარგის წარმატება აძლევს საშუალებას მთელ მოსახლეობაზე გაანაწილოს სიმდიდრე. გამოკითხვებს არაერთხელ უჩვენებია, რომ ნორვეგია მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნებს, რომლებშიც ყველაზე მცირეა მოქალაქეთა შემოსავლებს შორის სხვაობა.

ნორვეგიელებს მუდამ ჰქონდათ განსხვავებული შეხედულებები ევროკავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსებს წლების განმავლობაში ჰქონდათ ამის სურვილი, ჩატარებულმა რეფერენდუმებმა აჩვენა უარყოფითი შედეგი: 1972 წელს წინააღმდეგი გამოვიდა ნორვეგიელების 53,5%, ხოლო 1994 წელს კი - 52,2%.[1] გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გაწევრიანების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები არ უკავშირდება ეკონომიკას. უმეტესობა ძირითად მიზეზად ასახელებდა სუვერენიტეტს და ამბობენ, რომ არ არიან მზად, დათმონ თავიანთი თავისუფლება თუნდაც ისეთ ზეეროვნულ კავშირში შესასვლელად, როგორიც ევროკავშირია. ისინი კმაყოფილნი არიან პოლიტიკური სისტემით, რომელიც ხასიათდება სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირით და მზად არიან კიდევ გადადონ ევროკავშირში გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდა იყო ორივე რეფერენდუმის დროს მხარდამჭერთა ყველაზე დიდი არგუმენტი, ძალიან ძნელია, წინასწარ შეფასდეს, რა გავლენას იქონიებს ნორვეგიის ეკონომიკაზე ევროკავშირში შესვლა. ნორვეგია უზრუნველყოფს დაფინანსებას ევროპაში სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

[1] Ladegaard I. Why Norwegians never wanted EU membership, ScienceNordic, August 21, 2012, http://sciencenordic.com/why-norwegians-never-wanted-eu-membership

2009-2014წწ. 16 ევროპულ ქვეყანაში ევროპის ეკონომიკური ზონის და ნორვეგიის გრანტებით დააფინანსებული პროგრამების საერთო ღირებულებამ 1,8მლრდ. ევრო შეადგინა.[1] ასევე, 2014 წელს ნორვეგიამ შეიტანა 306 მლიონი ევრო ევროკავშირის პროგრამულ ბიუჯეტში. ნორვეგია არის მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ინვესტორი ევროკავშირში. ევროკავშირის ქვეყნების თითქმის 200 000 მოქალაქე დასაქმებულია ნორვეგიაში. იგი მსოფლიოში გაზის მესამე და ნავთობის მეათე ექსპორტიორია. ევროკავშირში კი ენერგოპროდუქციის, მათ შორის, ნედლი ნავთობის, ბუნებრივი და თხევადი გაზის მეორე ყველაზე დიდი მიმწოდებელია (რუსეთის შემდეგ).

ნორვეგიის საპენსიო ფონდი თანამედროვე ეკონომიკის უნიკალური მოვლენა. ფონდი შეიქმნა დაახლოებით 25 წლის წინ და მისი მიზანია ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტის დამატებითი შემოსავალი არა მხოლოდ ქვეყნის ამჟამინდელ მაცხოვრებლებს, არამედ მომავალ თაობებსაც დარჩეს. ნორვეგიელებს მსოფლიოს უმსხვილესი სტაბილიზაციის ფონდი აქვთ: მისი რესურსი 830მილიარდ დოლარს აღწევს.

ნორვეგია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ტყის ჩეხვის ნულოვან მაჩვენებელზე დაყვანის რეგულაციას მიაღწია. ნორვეგია მთელი მსოფლიოს მასშტაბით აფინანსებს ტყის კონსერვაციის პროექტებს და მხარს უჭერს სატყეო საზოგადოებათა უფლებების პროგრამებს. 2014 წელს, ნორვეგია ნიუ-იორკში, გაეროს კლიმატის სამიტზე, გერმანიასთან და გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად შეუერთდა დეკლარაციას, რომლის თანახმადაც მან აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველეყო ეროვნული საზოგადოების მხარდაჭერა ნულოვანი დეფორესტაციის პირობებში ქვეყნის რესურსებით მომარაგების მისაღწევად; მათ შორის, შეექმნა საზოგადოების უზრუნველყოფის პოლიტიკა ისეთი პროდუქტების მდგრადი წყაროსათვის, როგორებიცაა პალმის ზეთი, ძროხის ხორცი, სოიო და ხე-ტყე.[2]

ნორვეგიის მოდელი შესაძლოა გამოუსადეგარი აღმოჩნდეს სხვაგან - ქვეყნებში, რომლებისთვისაც უცხოა მოქალაქეთა სოლიდარობის ტრადიცია და მთავრობისადმი ისეთი ნდობა, ნორვეგიას რომ ახასიათებს.

საქართველო: ფართობი - 69700 კმ^2; დედაქალაქი - თბილისი; მოსახლეობა - 3,7 მლნ. კაცი (2016 წლის მონაცემებით); მშპ - $13959 მილიონი (2015 წლის შეფასებით); ერთ მოსახლეზე - $3743,1; პოლიტიკური სისტემა - საპარლამენტო რესპუბლიკა; პრეზიდენტი - გიორგი მარგველაშვილი (2013 წლიდან); ოფიციალური ენა - ქართული; ვალუტა - ქართული ლარი.

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად უდიდეს როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში. დღესაც, ეს რეგიონი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ენერგომატარებლების მსოფლიო განაწილების სქემებში და მილსადენების ახალ პროექტებში. იგი წარმოადგენს დასავლური და აღმოსავლური ინტერესების გადაკვეთის წერტილს. საქართველოს ტერიტორიის კლიმატური, გეოტექტონიკური და გეოლოგიური თავისებურებები განაპირობებს ქვეყნაში გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნებასა და მდიდარ მინერალურ-რესურსულ ბაზას.

[1] Norway and the EU, partners for europe, Norwegian Ministry of Foreign Affairs, p.4, http://www.noorwegen.nl/System/logoer/DEL/Brosjyre%20endelig%20-%20WEB-versjon.pdf

[2] First country in the world to commit to zero deforestation, The Independent, 4 June 2016 http://www.independent.co.uk/

საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დაიწყო. დროთა განმავლობაში გეზი ევროპისკენ აიღო და ევროინტეგრაცია ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიად გამოაცხადა. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში 1995 წლიდან იმყოფება. 1997 წელს დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გრძელი პროცესი. ზოგადად, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება გულისხმობს ქვეყნებს შორის ვაჭრობის ბარიერების გაუქმებას და საქონლის, სერვისების, ადამიანებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შექმნას და ამით პარტნიორ ქვეყნებთან შეღავათიანი რეჟიმის დამყარებას. როიტერის ფინანსური ლექსიკონი თავისუფალ სავაჭრო ზონას განმარტავს, როგორც „ქვეყნის გამოყოფილ ტერიტორიას, რომელშიც ბიზნესებს შეუძლიათ უბაჟოდ ან ვალუტის შეზღუდვების გარეშე ოპერირება. მოგება ძირითადად გადასახადისგან თავისუფალია გარკვეული პერიოდის განმავლობაში“. შესაბამისად, იმპორტ-ექსპორტის ტარიფების ელიმინაცია ქვეყნებს შორის თავისუფალ სავაჭრო ზონაზე შეთანხმების ძირითადი მახასიათებელია.[1] 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესახებ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჰარმონიზაციას და სხვადასხვა სფეროებში პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის.[2] ფასების სტაბილურობა არის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც აუცილებელია მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწოვ ფუნქციასაც და შესაბამისად სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში.

როგორი მოდელია დღეს საქართველოში და რა იქნებოდა იდეალური ჩვენი ქვეყნისათვის? შესაძლებელია თუ არა „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება ჩვენს ქვეყანაში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გამოცდილ თეორეტიკოსებს და ეკონომისტებსაც კი უჭირთ. შევეცდებით გარკვეული პარალელების გავლებას.

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიული საფუძვლები გარკვეულწილად უპირისპირდება ადრე არსებულ კონცეფციებს, რომელთა თანახმად, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამართალდარღვევათა შემთხვევების გარდა. იყო პერიოდი, როდესაც ეკონომიკა მთლიანად კერძო ინიციატივაზე იყო დაფუძნებული და სახელმწიფოს ჩარევა ამ სფეროში სოციალურ ბოროტებად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფად აღიქმებოდა. მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე სახელმწიფომ თანდათან აქტიურად იწყო ჩარევა ეკონომიკაში და თვითონ გახდა მსხვილი სამეურნეო სუბიექტი. იგი ზემოქმედებს კერძო სექტორზე გადასახადების, ინვესტიციების, სახელმწიფო შეკვეთების, საკრედიტო პოლიტიკის

[1] სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2015, ტ. 3, №2.
[2]საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge

რეგულირებისა და კონტროლის სხვა საშუალებებით. იგი ატარებს სოციალური მომსახურების პოლიტიკას, რაც გულისხმობს სოციალურ უზრუნველყოფასა და დაზღვევას, დახმარებებს ავადმყოფობის, მოხუცებულობის, უმუშევრობის შემთხვევაში, ზრუნავს ბავშვებზე, ჯანდაცვაზე, აბანდებს სახსრებს მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში და ა. შ. სახელმწიფო ახორციელებს მსხვილ პროგრამებს სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. ასეთი პოლიტიკის შედეგად არაერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში იქნა მიღწეული ცხოვრების მაღალი დონე, რაც იქცა კიდეც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის ბაზად. მისი ძირითადი იდეა მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, თითოეულ პიროვნებას უფლება აქვს, თანაბრად მიიღოს მონაწილეობა კეთილდღეობაში, მაშინაც კი, როდესაც არა აქვს აუცილებელი წყაროები ამის უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ მოდელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ წარმატებული, თუ ამ ქვეყნის მოსახლეობა სოციალურად დაცული და ფინანსურად უზრუნველყოფილია. „კეთილდღობის სახელმწიფოს“ სკანდინავიური სწორედ ამ მიზნებზეა ორიენტირებული.

საქართველოს ეკონომიკურ მოწყობასა და კურსზე ბევრს მსჯელობენ და კამათობენ. არსებობს სხვადასხვა მოდელების გადმოღებისა და ჩვენს ქვეყანაში მათი დანერგვის იდეებიც, მათ შორისაა ე.წ. „სკანდინავიური მოდელიც“. იგი მაგალითია იმის, თუ როგორ შეუძლია მცირე ქვეყანას თავისი მოსახლეობა სოციალურად დაცული და უზრუნველყოფილი ჰყავდეს. მიუხედავად ამ მოდელის მიმზიდველობისა, მისი საქართველოში დანერგვისა და იგივე ეფექტის მიღების შესაძლებლობა, ჩვენი აზრით, ძალიან დაბალია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ თითოეული მოდელი კონკრეტულ ქვეყანასა და ხალხზეა მორგებული. სკანდინავიური ეკონომიკური მოდელის ყველაზე მთავარი მახასიათებელი ამ ქვეყნებში მთავრობების მიმართ არსებული დიდი ნდობაა, რომელსაც მათ ხალხი უცხადებთ. ამ ქვეყნების ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავალი ნაწილდება ისე, რომ უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის კეთილდღეობას. ჩვენ გვაქვს ეკონომიკა, სადაც ბიუჯეტი იზრდება, მაგრამ ადამიანთა კეთილდღეობა ბიუჯეტზე არ არის დამოკიდებული. სოციალური უთანასწორობა, განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის კი არ იკლებს, პირიქით, მატულობს. ამიტომ საქართველო ამ ცნობილი მოდელის ჩარჩოში ალბათ ვერ ჩაჯდება (იხ. ნახ.1).

ნახ. 1. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი 1998-2013 წწ.
წყარო: *GINI index (World Bank estimate) www.worldbank.org*

აღნიშნული მაჩვენებელი იგივეა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით - 2013, 2014 და 2015 წლებში 0,4-ს უტოლდება.[1] აღნიშნულთან ერთად ყურადღება უნდა მივაქვციოთ იმ ფაქტსაც, რომ სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი თითქმის არ იცვლება უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამასთან, ეს არის რეგისტრირებული სიღარიბე (იხ. ცხრილი 1).

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) (%)	6.4	8.4	9.9	9.7	9.2	9.7	9.7	11.6	10.1

ცხრილი 1. რეგისტრირებული სიღარიბე საქართველოში, 2007-15, %

წყარო: *http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo*

დასკვნები და რეკომენდაციები: მოკლედ რომ დავახასიათოთ, საქართველო უფრო მეტად არის სახელმწიფო შემოსავლის ზრდაზე ორიენტირებული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ შემოსავლის გადანაწილება არ არის ერთადერთი პრობლემა. როგორც არაერთი ექსპერტი მიუთითებს, პრობლემის სათავე ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებასა და შესრულებაშია.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რომელი მოდელია ამა თუ იმ ქვეყნისათვის საუკეთესო? ალბათ ის, რომელშიც ტრადიცია და კულტურა მიესადაგება ეკონომიკას. მივიჩნევთ, რომ საქართველოსათვის იდეალური იქნება, თუ ქართველი ხალხი გაითვალისწინებს ისტორიულ ფაქტორსაც. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ წიგნებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით შექმნილი მოდელი. საქართველო აგრარული ქვეყანაა და მან პირველ რიგში აგრარული სექტორი უნდა განავითაროს. მეორე მხრივ, კარგად უნდა გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რადგან საქართველო დამაკავშირებელი ჯაჭვია ევროპასა და აზიას შორის.

საქართველოს გეოპოლიტიკური როლის გამოკვეთასა და დაფიქსირებას სჭირდება უფრო მეტი შესაბამისი სამთავრობო ქმედება. საქართველოს ტერიტორიის თავისებურებები განაპირობებს ქვეყნაში გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნებასა და მდიდარ მინერალურ-რესურსულ ბაზას. ჰიდროენერგორესურსების სიმკვრივით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში. ყველა თანხმდება ამ მხრივ საქართველოს პოტენციალზე და სასურველად მიიჩნევა დიდი ინვესტიციების მოზიდვა. აღნიშნულს კი წინ უნდა უსწრებდეს ინფრასტრუქტურის განვითრება. შესაბამისად, საჭიროა ამ კუთხით მუშაობა და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რკინიგზის განვითარებას და ამ კუთხით საქართველოს პოტენციალის სრული დატვირთვით გამოყენებას მივიჩნევთ. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში, საქართველოს ტერიტორიაზე, სარკინიგზო ტრანზიტული გზის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეასრულებს ახალი პროექტი „ბაქო-თბილისი-ყარსი“. ამ პროექტის განხორციელებით, აზერბაიჯანი-საქართველოს სარკინიგზო გზა დაუკავშირდება თურქეთის სარკინიგზო ხაზს, რომელიც ჩაებმება სტამბული-ანკარას სარკინიგზო მარშრუტს, რომელიც 2013 წლის ბოლოს დასრულდა და იგი მარმარის გვირაბით გავა ევროპაში. პროექტი თურქეთის სარკინიგზო მარშრუტით ევროპას საქართველო-აზერბაიჯანი–ყაზახეთის გავლით, ჩინეთთან დააკავშირებს. ცნობილია, რომ ჩინეთი და საქართველო „ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარების“ მიმართულებით ერთმანეთთან ითანამშრომლებენ. ჩინეთის

[1] ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

პრეზიდენტის ინიციატივით, უკვე შექმნილია აბრეშუმის გზის ფონდი, რომლის კაპიტალი 40 მილიარდ დოლარს შეადგენს. ტრანს-აზიურ-კავკასიური მატარებელი იძლევა საშუალებას, ხუთჯერ შემცირდეს სატრანზიტო დრო საზღვაო გადაზიდვასთან შედარებით. (თუ ზღვით ტრანსპორტირების შემთხვევაში საჭიროა 40-45 დღე, ამ შემთხვევაში ტვირთი ჩინეთიდან საქართველოში 9 დღეში ჩამოვა). „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლების განცხადებით, ფაქტი ისტორიულია და აქამდე არსებული საზღვაო კავშირის დამატებით ალტერნატივას წარმოადგენს. პროექტის მეშვეობით ტვირთი უმოკლეს დროში შეუფერხებლად იმოძრავებს ჩინეთიდან საქართველოს შავი ზღვის პორტების მიმართულებით და უზრუნველყოფილი იქნება ტვირთის შემდგომი ტრანსპორტირება როგორც ევროპის, ასევე ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნების მიმართულებით. აღნიშნული პროექტის განხორციელებით საქართველოს პორტებისა და საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვა, დაახლოებით $100-120 მილიონის დამატებით ფულად ნაკადს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკისთვის. მომავალში ბლოკ მატარებლის ორივე მიმართულებით (ჩინეთი-საქართველო, თურქეთი-ყაზახეთი) დატვირთული მუშაობის შედეგად ეს მაჩვენებელი გაორმაგდება.[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვერც ერთი პროგრამა ვერ იქნება ქმედითუნარიანი, თუ იგი მხედველობაში არ მიიღებს საქართველოს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობასა და როლს. ამიტომ, საქართველოსთვის უნდა მოხდეს ისეთი მოდელის შერჩევა ან ჩამოყალიბება, რომელშიც ქვეყნის კულტურა და ტრადიციები მისადაგებული იქნება ეკონომიკასთან, სწორად ჩამოყალიბდება პრიორიტეტები და მორგებული იქნება საქართველოს მოქალაქეებზე.

სკანდინავიის ქვეყნები გვაძლევენ იმის ნათელ მაგალითს თუ, როგორ შეიძლება გახდეს პატარა ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი. დასავლურ გამოცემებში წერენ, რომ სკანდინავიური მოდელი შეიცავს ძალიან მარტივ ფორმულას: იფიქრე მოქალაქეებზე, მიეცი მათ სასურველი სახელმწიფო და ისინი დაგეხმარებიან მართო სისტემა სწორად – სისტემის სწორი მართვა კი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ჰარმონიაში გამოიხატება.

დღეისათვის საქართველოში არსებული ვითარება - უკანასკნელ წლებში სიღარიბის მდგრადი მაჩვენებლისა და ჯინის მაღალი ინდექსის შენარჩუნება - გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე, გვაფიქრებინებს, რომ სკანდინავიური მოდელის დანერგვა ამ ეტაპზე ვერ გაამართლებს, რადგან მისი ფუნქციონირების საყრდენი სახელმწიფოსადმი მაღალი ნდობაა, სოციალური თანასწორობის მიმართულებით გაწეულ ქმედებებში, რომ მოქალაქეების მიერ გადახდილი მაღალი გადასახადები ისევ მათ დაუბრუნდებათ მაღალი კეთილდღეობის დონის უზრუნველყოფის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები

1. გოგოხია რ., შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004;
2. გრიშიკაშვილი ა., გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, თბ., 2005;
3. ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბ., 2001;
4. ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008;
5. მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2004;

[1] ჩინეთიდან საქართველოში პირველი სარკინიგზო ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია http://www.economy.ge/

6. პაპაჩაშვილი ნ., ჯამაგიძე ლ. ევროკავშირის ეკონომიკა. ელექტრონული ლექციების კურსი, თბ., 2013;
7. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2015, ტ. 3, #2;
8. ჰანსენი ჰ. დანია: პოტიომკინის სოფელი. სოციალდემოკრატია, წიგნში: რეფორმები და თავისუფლება http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin
9. European Association for Banking and Financial History. „Financial revolution and economicmodernisation in Sweden“.
10. First country in the world to commit to zero deforestation, The Independent, 4 June 2016 http://www.independent.co.uk/
11. Haman K. An Overview of Danish Pork Industry Integration and Structure http://www.prairieswine.com/pdf/2470.pdf
12. HOW SWEDEN CREATED A MODEL ECONOMY https://sweden.se/business/how-sweden-created-a-model-economy/
13. Ladegaard I. Why Norwegians never wanted EU membership, ScienceNordic, August 21, 2012, http://sciencenordic.com/why-norwegians-never-wanted-eu-membership
14. Michael Barrett. The local Denmark. “Five reasons Denmark should want Britain to stay in the EU”.
15. Norway and the EU, partners for europe, Norwegian Ministry of Foreign Affairs http://www.noorwegen.nl/System/logoer/DEL/Brosjyre%20endelig%20-%20WEB-versjon.pdf
16. The Nordic countries are probably the best-governed in the world, The Economist, The secret of their success, http://www.economist.com/news/special-report/21570835-nordic-countries-are-probably-best-governed-world-secret-their
17. The Scandinavian Reform Model and the European Union.Prepared for the European Union Studies Association meeting. Eric S. Einhorn, John Logue.
18. The World’s 10 happiest Countries, Forbes http://www.forbes.com/
19. დანიის ეროვნული ბანკი www.nationalbanken.dk
20. ევროკავშირის ოფიციალური საიტი europa.eu/
21. ნორვეგიის ცენტრალური ბანკი www.norges-bank.no
22. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/
23. საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge
24. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge/
25. შვედეთის სტატისტიკის სამსახური. www.scb.se
26. შვედეთის ცენტრალური ბანკი http://www.riksbank.se/en/Monetary-policy/
27. შვედეთის ტურიზის სამინისტრო https://www.swedishtouristassociation.com

Annotation

Denmark, Sweden and Norway - by their own economic system they belong to the "Scandinavian socialism" model, which is a social market economy with the important role of the state in the economy, particularly in terms of social security. The Scandinavian model is still topical subject of discussion. This model is known in the world as the Economic Development Plan, which is the most favorable for small country to have protected and secured population. Because of the effectiveness of this model many countries are seeking to borrow its reforms, but "to copy" this model is almost impossible. Despite the attractiveness of this model, the possibilities of its implementation in Georgia at the current stage to receive the same effect are very low. Each model is tailored to a particular country and the people.
Key words: Scandinavian Model of Market Economy; "Welfare State".

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი

ლევან სილაგაძე
დოქტორანტურის I კურსი
მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი **სიმონ გელაშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ლევან სილაგაძის ნაშრომში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი“ განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) განსაკუთრებული აქტუალურობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე და გაკეთებულია გლობალურ დონეზე ზოგიერთი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი. ავტორის დასკვნით: მსოფლიოს მასშტაბით, FDI -ის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, მაგრამ მათმა მოცულობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია 2007 წლის ბუმის დონეს; პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეედინება, რომელმაც უკვე გადააჭარბა და 2007 წლის დონეს; მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულნი ხდებიან მომპოვებელ დარგებში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებზე.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შედარებითი ანალიზი, პროგნოზი, გარდამავალი ეკონომიკა.*

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებების დაჩქარებას ხელი შეუწყო ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული მოდელების გამოყენებამ. ასეთ მოდელებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გააქტუალურდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებმა (FDI) განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. ასეთი ნაკადები დიდად განსაზღვრავს მსოფლიო თუ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების დინამიკას. ამ პროცესებში უფრო მეტად ის ქვეყნები სარგებლობენ, რომლებიც შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკების შესაბამისად, უცხოურ ინვესტიციებს ქვეყნის პრიორიტეტების შესაბამისად მიმართავს. ამ მხრივ, აქტუალურობას არ კარგავს ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის გუნარ მიურდალის მოსაზრება: დასავლეთიდან უცხოურ დახმარებას, მიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება, მაგრამ იგი მხოლოდ დამხმარე ფაქტორია ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გარეშე (2).

მრავალმხრივი საკვლევი პრობლემის ასპექტები გამოკვლეულია სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში (1-10). ამჯერად მივმართავთ მხოლოდ გლობალურ დონეზე ზოგიერთი მაჩვენებლის შედარებით ანალიზს.

თანამედროვე მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკაში ინვესტიციების მოზიდვის წასახალისელად ძირითადად ლიბერალური მიდგომები იკვეთება. თუმცა, ეკონომიკის განვითარებაში წარმოშობილი პრობლემების, მათ შორის ფინანსური კრიზისების გამო, ინვესტიციების დონორ და, ასევე ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში შეიმჩნევა, როგორც წამახალისებელი, ასევე, „ინვესტიციების შემზღუდავი“ ღონისძიებები“. ერთ შემთხვევაში საქმე

გვაქვს სამამულო ქვეყანაში ინვესტიციების გამოყენების დამატებით სტიმულირებასთან, მეორე შემთხვევაში - ხელოვნურ ბარიერებთან.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის და 2012-2014 წწ. ჩავარდნების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ნაკადები 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 38%-ით - $1.8 ტრლნ-მდე. ამავე პერიოდში ინვესტიციების გადინებებში მხოლოდ 12%-იანი ზრდა დაფიქსირდა.[1]

ამჯერად, უფრო კონკრეტულად გავაანალიზოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო და რეგიონალური ნაკადების ტენდენციები. კერძოდ, გავარკვიოთ თუ როგორი ტენდენციებით ხასიათდება მსოფლიო, განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკები ბოლო წლებში (ცხრილი 1).

რეგიონი	**FDI შედინება**					**FDI გადინება**				
	2011	2012	2013	2014	2015	2011	2012	2013	2014	2015
მსოფლიო, სულ	1700	1 567	1427	1277	1762	1712	1347	1 311	1318	1474
განვითარებული ეკონომიკა	818	788	680	522	962	1128	918	826	801	1065
ევროპა	478	483	323	306	504	559	412	320	311	576
ევროკავშირი	426	447	320	292	440	492	352	273	297	487
ჩრდილო ამერიკა	263	204	283	165	429	439	422	363	372	367
განვითარებადი ეკონომიკა	725	729	729	698	765	423	440	409	446	378
აფრიკა	48	55	52	58	54	7	12	16	15	11
აზია	431	415	431	468	541	304	302	359	398	332
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	244	256	176	170	168	111	124	32	31	33
ოკეანეთი	2.4	3.6	2.9	2.0	2.3	1.0	1.6	2.2	1.4	1.8
გარდამავალი ეკონომიკა	79	65	85	56	35	56	33	76	72	31
მსოფლიო FDI-ს ნაკადების პროცენტული წილი										
განვითარებული ეკონომიკა	51.8	38.8	47.7	40.9	54.6	71.0	63.3	63.0	60.7	72.3
ევროპა	28.8	16.2	22.7	24.0	28.6	34.2	17.7	24.4	23.6	39.1
ჩრდილო ამერიკა	15.5	15.3	19.8	12.9	24.3	25.6	31.4	27.7	28.2	24.9
განვითარებადი ეკონომიკა	24.9	54.8	46.4	54.7	43.4	24.7	32.7	31.2	33.8	25.6
აფრიკა	2.8	4.1	3.7	4.6	3.1	0.4	0.9	1.2	1.2	0.8
აზია	25.3	31.2	30.2	36.6	30.7	17.8	22.4	27.4	30.2	22.5
ლათინური ამერიკა და	14.3	19.2	12.3	13.3	9.5	6.5	9.2	2.5	2.4	2.2

[1] WORLD INVESTMENT REPORT. 2014-2016. UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT. UNCTAD. UNCTAD. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2014_en.pdf ; http://unctad.org/en/Publications Library/wir2016_ Overview_en.pdf გვ.12. 15. 06. 2016.

კარიბის აუზი										
ოკეანეთი	0.1	0.2	0.2	0.2	0.1	0.1	0.1	1.1	1.1	0.5
გარდამავალი ეკონომიკა	5.6	6.3	5.9	4.4	2.0	4.3	4.0	5.8	5.5	2.1

ცხრილი 1. FDI ნაკადები რეგიონულ ჭრილში, 2011-2013 წწ (მლრდ დოლარში და %-ში)
UNCTAD, World Investment Report 2014. გვ. 14.; http://unctad.org/en/ Publica tionsLibrary/wir2014_en.pdf; http://unctad.org/en/Publications Library/wir2016_Overview_en.pdf გვ. 12.10.06.2016.

გაეროს გენერალური ასამბლეის ორგანოს-ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (United Nations Conference on Trade and Development, UNCTAD) მონაცემებით (ცხრილი 1) ირკვევა, რომ 2013 წლამდე: FDI-ის ძირითადი ნაკადი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეედინებოდა, 2015 წელს კი მდგომარეობა შეიცვალა და ინვესტიციების ნაკადის ყველაზე დიდი წილი (54.6%) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის; ინვესტიციების ძირითადი მასაც განვითარებული ქვეყნებიდან გაედინება (2015 წ. - 72.3%).

არსებული პროგნოზების მიხედვით, 2016 წელს მოსალოდნელია FDI-ის შემცირება 10-15%-ით, რაც ასახავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში არამდგრადობის, ერთობლივი მოთხოვნის შემცირების, გეოპოლიტიკური, რეგიონული რისკების გაძლიერების და სხვა მოსალოდნელ ნეგატიურ ტენდენციებს. (იხ. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2016 Overview_en.pdf).

თუ წინა წლებში, ინვესტიციებს განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მომპოვებელი დარგები იზიდავდა, ბოლო პერიოდში ინვესტიციების დიდი ნაკადები მრეწველობით განვითარებული ქვეყნებში რჩება ან მიედინება. მაგალითად, 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება და გადინება შესაბამისად: გაიზარდა ევროკავშირში 50.5%-ით და 64.4%-ით; შეერთებულ შტატებში შედინება - 3-ჯერ გაიზარდა, გადინება კი შემცირდა და ა. შ. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ტენდენციები უმუშევრობის საფრთხემ და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობამაც განაპირობა. ამ მიზნით, ინვესტიციების ქვეყნის შიგნით დაბანდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა, თუმცა ამ მიმართულებით განვითარება ინვესტიციებისთვის შესაბამისი მიმზიდველი პირობების შექმნასაც მოითხოვს.

ბოლო წლებში, განვითარებადი ქვეყნებიდანაც ინვესტიციების გადინებამ რეკორდული პროგრესი განიცადა. ამას ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) გაფართოებამ და მათ მიერ უცხოური კომპანიების ფილიალების შესყიდვამ. 2015 წელს განვითარებადი ქვეყნებიდან გატანილმა ინვესტიციებმა, შემოდინებული ინვესტიციების თითქმის ნახევარი შეადგინა. მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულნი ხდებიან მომპოვებელ დარგებში განხორციელებულ ინვესტიციებზე.

ამ ბოლო წლებში, მსოფლიო და რეგიონულ ჭრილში იკვეთება შემდეგი ტენდენციები:

- შემცირების შემდეგ, 2013 და 2015 წლებში გაიზარდა მსოფლიო FDI-ის შედინების ნაკადები განვითარებულ ეკონომიკაში, ხოლო გადინების ნაკადების მოცულობა ჯერჯერობით ჩამორჩება 2011 წლის დონეს;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებისა და გადინების პროცენტული წილით ლიდერობს განვითარებული ეკონომიკა (2015 წელს შესაბამისად: 54.6% და 72.3%), მაშინ, როდესაც 2012 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (54%) განვითარებად ეკონომიკაში შეედინებოდა;
- 2012 წელს, მსოფლიო ინვესტიციებში განვითარებადი ეკონომიკის წილი გაიზარდა, 2015 წელს კი შემცირდა;

- გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების წილი მსოფლიო ინვესტიციებში 2015 წელს მინიმუმამდე-3-ჯერ და მეტად შემცირდა 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ასევე მკვეთრად შემცირდა გარდამავალი ეკონომიკიდან „გადინების მაჩვენებლებიც“;
- 2013 წელს FDI ნაკადები განვითარებადი ეკონომიკის თითქმის ყველა რეგიონში გაიზარდა. მაგალითად, გაიზარდა ინვესტიციების შედინების მაჩვენებლები აფრიკაში 3,7%-ით (2012წ.- 14,6%), აზიაში კი - 2, 7%-ით (2012 წ. - 3.7%-ით შემცირდა);
- ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის განვითარებად ეკონომიკებში FDI-ის ზრდის ტემპი 2013 წელს იყო 14,1% (2012 წ.-5%). ამ რეგიონში სათბობ-ენერგეტიკულ და გადამამუშავებელი სექტორების განვითარების პერსპექტივები ინვესტიციების მიზიდვას ხელსაყრელს პირობებს უქმნიდა;
- 2013 წელს, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინების მოცულობა გაიზარდა 28%-ით და რეკორდულ დონეს - 85 მლრდ. დოლარს, გადინებამ კი 76 მლრდ. დოლარს მიაღწია. თუმცა, 2015 წელს შეინიშნება ამ მაჩვენებლების მკვეთი შემცირებაც, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების - სომხეთი, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა...) გაუარესებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს უკავშირდება. საქართველომ 2015 წელს, თითქმის 2-ჯერ მეტი ინვესტიცია მოიზიდა 2012 წელთან შედარებით. ჩვენ ქვეყანაში ინვესტიციების ზრდას უდაოდ წაახალისებს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და რეფინანსირების თანხების გადასახადებისგან განთავისუფლება. (11). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგადი ტენდენციები და უახლოესი წლების პროგნოზი წარმოდგენილი ნახაზზე 1.



ნახაზი1. გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2005-2015 წწ. და 2016-2018 წწ.(პროგნოზი), (მლრდ დოლ; %-ში)
http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2016_Overview_en.pdf გვ.2.

პროგნოზული გაანგარიშებით, უახლოეს 2-3 წელში ადგილი ექნება ინვესტიციების ნაკადის არა პიკურ აღმასვლებს, არამედ ნაკადების დასტაბილურებას. ამჯერად კი „ლიდერთა ოცეულში“ ლიდერობს შეერთებული შტატები, ჰონგ კონგი (ჩინეთი) და ჩინეთი (ნახაზი 2).



დიაგრამა 2. FDI -ის შედინებით „ლიდერთა ოცეული“ World Investment Report, 2016 http://unctad.org/en/Pages/DIAE/ World%20 Investment %20Report/ 15.06.16.

როგორც დიაგრამ1 5-დან ირკვევა, მსოფლიოს 20 ლიდერ ქვეყანას შორის, თითქმის ნახევარს განვითარებადი ქვეყნები შეადგენენ.

დასკვნები და რეკომენდაციები: ბოლო წლების მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკის მიხედვით, ქვეყნების უმრავლესობა ასტიმულირებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყნების ნაწილი კი ინვესტიციების გატანას ზღუდავს. ამასთან: მსოფლიოში FDI-ის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, მაგრამ მსოფლიოს ჯამური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ (ისე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში) ჯერჯერობით 2007 წლის პიკურ დონეს ვერ მიაღწია; FDI-ის ძირითადი ნაკადი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეედინება და მათმა უკვე კრიზისამდელი - 2007 წლის დონის მიღწევა შეძლეს.

განვითარებადი ქვეყნებიდან FDI-ის გადინების ზრდის მთავარი მიზეზია ამ ქვეყნების ტრანსეროვნული კომპანიების მიერ ამავე ქვეყნებში არსებული უცხოური კომპანიების ფილიალების მასობრივად შესყიდვა; მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულნი ხდებიან მომპოვებელ დარგებში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებზე, რამდენადაც მათი წილი ახალ საინვესტიციო პროექტებში მკვეთრად შემცირდა; გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებამ მკვეთრად იმატა, მაგრამ ბოლო ორი წელია, პრობლემური მოვლენების გამო, მისი მასშტაბები შეიკვეცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს., მუჩიაშვილი მ., მაისურაძე ი., (2012). მაკროეკონომიკური სტატისტიკა. თბილისი (ელ. ვერსია).

2. მარშავა ქ., საერთაშორისო ურთიერთობების სტატისტიკა. http://www.bpa.ge/ book/book59.pdf
3. სილაგაძე ა., (2010). ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი.
4. სილაგაძე ლ., (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ასპექტები. ჟურნ. „ეკონომისტი“. №5. გვ. 53-57.
5. სილაგაძე ლ., (2016). „პორტფელური ინვესტიციების“ დოქტრინის შესახებ. თსუ: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (1-2 ივლისი, 2016). გვ. 533-534. http://www.pgie.tsu. ge/contentimage/konferenciebi/2016_Konferencia_-.pdf
6. სიჭინავა ალ., (2010). ინვესტიციები. თბილისი.
7. ხურცია ლ., (2006). საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. თბილისი. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0--0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d= HASH0 14a344347d12d1526bbe3a0&gt=1 08.08.2016.
8. ქოქიაური ლ., (2010). საინვესტიციო საქმე. თბ.. სტუ .
9. Markowitz H. M.,(1990). Mean Variance Analysis in Portfolio Choice and Capital Markets. Basil. Blackwell.
10. Myrdal G., (1968). Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations. Vol.1-3. N.Y.
11. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო -2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855 15.06.2016.
12. United Nations Conference on Trade A nd Development. UNCTAD. World InvestmentReport, 20062016http://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/World_Investment_Report.aspx; http://unctad.org/ en/pages/PublicationWebflyer.aspx? publicationid=1555 15.06.2016.
13. http://data.worldbank.org/indicator 15.06.2016.
14. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo 15.06.2016.
15. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 15.06.2016.

Annotation

Levan silagadze's labour "Comparative analysis of Foreign Direct Investment indicators" are discussed in foreign direct investment (FDI) made more urgent by globalization of the world economy on the contemporary level and made some comparative analysis. The author concludes: The world, foreign direct investments growth tendency is defined after world financial crisis, but their volume still did not reach the boom level of 2007. Foreign direct investments main flow in developing and transition countries are streamed, which still exceeded the level of 2007. The world's poorest countries will be less dependent on foreign investment in the mining sectors.

საგადასახადო რეფორმა საქართველოში და ესტონური მოდელი

ეკა უთალიშვილი
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **შოთა შაბურიშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა ძირითადად შეესაბამება განვითარებული ქვეყნებისას, მაგრამ მისი სრულყოფის პროცესში ამოსავალი უნდა იყოს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების სტრატეგიული ინტერესები. საგადასახადო რეფორმა მუდმივი განსჯის საგანია, რადგან ფაქტობრივად არ არსებობს სრულყოფილი საგადასახადო კოდექსი. გამომდიბარე აქედან, მუდმივად მიმდინარეობს კამათი თუ რა უნდა შეიცვალოს ჩვენს სისტემაში და როგორ უნდა მოერგოს იგი ქვეყნის სიციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ ესტონური საგადასახადო მოდელი ხშირად განიხილება, როგორც სრულყოფილებასთან ყველაზე ახლოს მყოფი. წინამდებარე სტატიაში განხილულია ესტონური მოდელის ძირითადი თავისებურებები, საქართველოში მისი დანერგვის პერსპექტივები და ის ნაკლოვანებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას საგადასახადო სისტემაში რეფორმის ამოქმედებიდან მცირე ხნის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: *დაბეგვრა; საგადასახადო რეფორმა; მოგების გადასახადი; რეინვესტირებული მოგება; ქონების გადასახადი.*

შესავალი. საქართველოში მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის ძირეული გარდაქმნა. გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში მოწესრიგებული, გამართულად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი პირობაა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა ძირითადად შეესაბამება განვითარებული ქვეყნებისას, მაგრამ საგდასახადო სისტემის სრულყოფის პროცესში ამოსავალი უნდა იყოს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების სტრატეგიული ინტერესები.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქარტველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, ასევე მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლის (ესტონური მოდელი) საფძველზე საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა, რომ მხოლოდ ეკონომიკური პოტენციალის ზრდას შეუძლია საგდასახადო ბაზის გაზრდა. ამასთან დაკავშირებით, დაბეგვრის, როგორც ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების ინსტრუმენტის, სრულყოფისა და განვითარების პრობლემა არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. საგადასახადო რეფორმა მუდმივი განსჯის საგანია. დაუსრულებლად მიმდინარეობს კამათი, თუ რა უნდა შეიცვალოს, გაუმჯობესდეს და როგორ უნდა მოერგოს საგადასახადო კოდექსი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებს.

ესტონური მოდელის თავისებურებები. საქართველოს და უცხოური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სრულყოფილი საგადასახადო სისტემის პრაქტიკულად არ არსებობს. თუმცა, ცნობილი ექსპერტები და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად გამოარჩევენ დაბეგვრის ესტონურ მოდელს და მიუთითებენ მის უპირატესობებზე. 2015 წლის მონაცემებით, საერთაშორისო საგადასახადო კონკურენტუნარიანობის მიხედვით, ესტონეთი პირველ ადგილზეა. ესტონური მოდელის ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებებია:

- ქონების გადასახადით იბეგრება მხოლოდ მიწის ღირებულება და არა მასზე განთავსებული შენობანაგებობები; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებს შორის, მხოლოდ ესტონეთმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ქონების დაბეგვრასთან დაკავშირებით. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბევრ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში ქონების გადასახადი ითვალისწინებს როგორც მიწის, ასევე მასზე განთავსებული შენობა ნაგებობის ღირებულებას, ანუ თუ ბიზნესი საკუთარ მიწაზე ააშენებს შენობას, მაღალი ქონების გადასახადის წინაშე აღმოჩნდება, რაც გარკვეულად უკარგავს სტიმულს ბიზნესის გაფართოებას და კაპიტალიზაციის ზრდას.
- დაბეგვრის ტერიტორიული რეჟიმი, რომელიც გულისხმობს საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლის გადასახადებიდან გათავისუფლებას. ესტონეთი 100%–ით ათავისუფლებს უცხოეთიდან მიღებულ ყველა შემოსავალს, ასეთი მიდგომა ხელსაყრელ პირობებს ქმნის საერთაშორისო ბისზნესში აქტიურად ჩერთული კომპანიებისათვის, რათა თავის შვილობილი კომპანიები დაარეგისტრირონ ესტონეთში და გამოიყენონ დაბეგვრის ოპტიმიზაციის რგოლად.
- ნეიტრალურად სტრუქტურირებული საგადასახადო სისტემა, რაც დანაზოგებისა და ინვესტიციების მიმართ თანაბარმნიშვნელოვანი მიდგომას გულისხმობს.
- კორპორაციული მოგების დაბეგვრის მოქნილი სისტემა და დაბალი განაკვეთი – 21%. ის გამორიცხავს დივიდენდიდან მიღებული შემოსავლის ორმაგ დაბეგვრას. ესტონეთში მხოლოდ განაწილებული მოგება იბეგრება 21%–ით. ასევე მოგების გადასახადიდან გათავისუფლებულია რეინვესტირებული მოგება. თუ მაგალითად ბიზნესი გამოიმუშავებს 100 დოლარს და მას მთლიანად გადაუხდის აქციონერებს, ამ განაწილებული მოგებიდან ის ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი 21 დოლარი. თუ ბიზნესი მოახდენს ამ 100 დოლარის რეინვესტირებას, ის აღარ დაიბეგრება.

რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. ბოლო პერიოდში ქართულ სამეცნიერო და სამთავრობო წრეებში აქტიურად განიხილება ესტონური მოდელის ზოგიერთი კომპონენტის დანერგვა საქართველოს დაგადასახადო სისტემაში. კერძოდ საუბარია რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებაზე. განასხვავებენ ორი სახის რეინვესტიციის განთავისუფლებას:

- რეინვესტიციის განთავისუფლება, რომელიც შეზღუდულია განსაზღვრული პირობებით;
- ესტონური მოდელი, რომლის დროსაც ბიზნესის მიერ არ ხდება დადასტურება იმისა, თუ რაში გააკეთა მან რეინვესტირება და ბიზნესი თავისუფალია არჩევანში;

წორედ ამ უკანასკნელის დანერგვა ხდება საქართველოში. **ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მოგების გადასახადის რეფორმა 2017 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში.** კანონპროექტით დაგეგმილი საგადასახადო ცვლილებები სამ ეტაპად ამოქმედდება:

- პირველ ეტაპზე ეს შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს - ძირითადი საშუალებების იმპორტის დროს, დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა საჭირო

აღარ იქნება, რაც გულისხმობს ასევე საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას. აღნიშნული ცვლილება კანონპროექტის მიღებისთანავე ამოქმედდება.

- მეორე ეტაპზე მოგების გადასახადი ჩანაცვლდება განაწილებული მოგების გადასახადით, რომელიც 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება.
- მესამე ეტაპი შეეხება საფინანსო სექტორს, რომელზეც კანონპროექტი 2019 წლის 1-ლი იანვრიდან გავრცელდება.

ნავარაუდევია, რომ რეფორმა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომას. ზოგადად, ბიზნესს განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება, შესაბამისად, კრიზისულ პერიოდებში გაიზრდება მისი მდგრადობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია საგადასახადო ადმინისტრირების და აღრიცხვის გამარტივება. არსებულ მოდელშიც, რომელსაც დღეს ვიყენებთ, საკმაოდ იოლია საგადასახადო ადმინისტრირება, თუმცა, ბევრად უფრო გამარტივდება ეს პროცესი, როგორც ბიზნესისათვის, ისე სახელმწიფოსათვის, რაც ნიშნავს დაზოგილ თანხას ბიზნესისათვის და შემცირებულ ხარჯებს სახელმწიფოსათვის.

საგადასახადო რეფორმის ეკონომიკური შედეგების შესახებ საყურადღებოა USAID - ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები. მოგების გადასახადის რეფორმა ამოქმედებიდან 1,5 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე შემდეგი მიმართულებებით მოახდენს გავლენას:

- გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, 3,23 %-ით გაიზრდება კაპიტალის მოცულობა;
- რეფორმის დადებითი ეფექტი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებელში 1,44 %-ით აისახება;
- მოსალოდნელია მოხმარების ხარჯების 0.85 %-იანი ზრდა.

ყურადღება გამახვილებულია ასევე მოკლევადიან რისკებზეც: კერძოდ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, საგადასახადო შემოსავლების კლებაა. მოგეხსენებათ, ბიუჯეტის შემოსულობები მეტწილად საგადასახადო შემოსავლებზეა დამოკიდებული. 2015 წელს დამატებული ღირებულების გადასახადმა საგადასახადო შემოსავლების 45%, საშემოსავლო გადასახადმა 27%, ხოლო მოგების გადასახადმა 13% შეადგინა. თუ, საქართველოში, ესტონეთის მსგავსად, საწარმოები მოგების 50%-ის რეინვესტიციას მოახდენენ და შესაბამისად, არ დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, მოგების გადასახადის სახით, დაახლოებით, 540 მლნ. ლარი დააკლდება. ამ ბალანსის აღდგენა შესაძლებელია გადასახადების ზრდის ან საბიუჯეტო ხარჯების შემცირებით, თუმცა ეს მოკლევადიან პერიოდში, სანამ დადგება რეფორმის შედეგების ეფექტი, კერძოდ, ვიდრე გააქტიურდება ბიზნესი და გაიზრდება ეკონომიკა.

დასკვნები და რეკომენდაციები. საგადასახადო სისტემას ახასიათებს არსებული სოციალურ-ეკონომიკური წყობის ნაკლოვანებანიც და დადებითი მომენტებიც. მაგრამ გამართულ საგადასახადო სისტემას შეუძლია და უნდა იყოს კიდევაც ერთერთი მთავარი ღერძი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა. როგორც ეროვნული და საზღვარგარეთული ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ყველა საგადასახადო სისტემა არასრულფასოვანია და შეიძლება გაუმჯობესება. თუმცა, არასრულყოფილი, მაგრამ სტაბილური საგადასახადო სისტემა უფრო უკეთესია, ვიდრე სისტემის ფაქტობრივი არარსებობა ანდა მასში ხშირი ცვლილებების შეტანა.

როგორც აღინიშნა, საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი მიჩნეულია, სრულყოფილებასთან ყველაზე ახლოს მდგომად მსოფლიოს ქვეყნების საგადასახადო სისტემებს შორის. თუმცა, საგადასახადო შემოსავლების შემცირება რეფორმის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ამ ბალანსის აღდგენა შესაძლებელია გადასახადების ზრდის ან საბიუჯეტო ხარჯების შემცირების ხარჯზე, თუმცა ეს მოკლევადიან პერიოდში, სანამ დადგება რეფორმის შედეგების ეფექტი, კერძოდ, ვიდრე გააქტიურდება ბიზნესი და გაიზრდება ეკონომიკა.

ამასთან, ჩვენი აზრით ესტონური გამოცდილებიდან მოგების გადასახადის რეფორმირებასთან ერთად მიზანშეცონილი იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა:

- ქონების გადასახადით დაბეგვრის ესტონური რეჟიმი, რაც გულისხმობს ქონების გადასახადით მხოლოდ მიწის ღირებულების და არა მასზე განთავსებული შენობანაგებობებს დაბეგვრას. ეს არსებით სტიმულს მისცემდა ბიზნესის გაფართოებას და კაპიტალიზაციის ზრდას საქართველოში.
- ესტონეთი 100%ით ათავისუფლებს უცხოეთიდან მიღებულ ყველა შემოსავალს, ასეთი მიდგომის გაზიარება ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა საერთაშორისო ბისზნესში აქტიურად ჩერთული კომპანიებისათვის რათა თავის შვილობილი კომპანიები დაარეგისტრირირებინათ საქართველოში, ეს გაზრდიდა უცხოური ინვესიტიციების მოდინებას და ეკონომიკირი ზრდის ტემპს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალადაშვილი ი., „რას გულისხმობს ესტონური საგადასახადო მოდელი“, 19/01/2016; http://www.afba.ge/ge/http://bfm.ge/ekonomika/ras-guliskhmobs-premieris-mier-inicirebuli-estonuri-sagadasakhado-modeli/
2. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, თბილისი 2011;
3. ნანუაშვილი ნ., “მოგების გადასახადის რეფორმა - ესტონური გაკვეთილი საქართველოსათვის“, Forbes Georgia, 15/10/2015; http://forbes.ge/news/904/estonuri-gakveTili-saqarTvelosaTvis
4. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., „გადასახადები და დაბეგვრა“, თბილისი, 2011.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული პუბლიკაციები, 22/06/2016; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
6. www.mof.ge
7. www.rs.ge
8. www.geostat.ge

Annotation

The current tax system of Georgia mainly corresponds to the world's developed countries ones. But the primary in the perfection of the tax system should be existent economic situation and strategic views of development. As the perfect tax system doesn't exist there is always a big controversy about it. With all ensuing consequences there is always a discussion about what should be done in order to fit the tax system to our country's social, economic and political interests.

We have to mention that the Estonian tax system is often discussed to be close to the perfection. In the foregoing article is discussed some main issues: specific characteristics of the Estonian tax system,

Georgia's prospects after implementation of this reform and the disadvantages which would be caused in payments after a while of carrying through this project.

აგრობიზნესის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში

თამარ ღუტიძე
დოქტორანტურის II კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ლეილა ღუდუშაური**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება და მისი წარმატებით გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა ქვეყნის არსებული სასურსათო პოტენციალი, სანახევროდაც არ არის გამოყენებული. შექმნილი ვითარების უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი არის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები. მოცემული სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების პრობლემები და პერსპექტივები დღეისათვის წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკის, დასაქმებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხსა და აქტუალურ თემას.

სტატიაში განხილულია აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმი; წარმოჩენილია აგრობიზნესის ხელშეწყობის მიმდინარე პროექტები; ევროკავშირის გამოცდილებისა და საქართველოს არსებული მდგომარეობის ურთიერთშედარების საფუძველზე გამოვლენილია ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პერსპექტივები და საფრთხეები; შემუშავებულია ძირითადი რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: *აგრობიზნესი, ფინანსური უზრუნველყოფა, დაკრედიტება, ევროკავშირი.*

მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება და მისი წარმატებით გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს სოფლის მეურნეობას საამაყო პერიოდი ნამდვილად არ უდგას. დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწები საკმაოდ დიდ ფართობს იკავებს. ქვეყნის არსებული სასურსათო პოტენციალი სანახევროდაც არ არის გამოყენებული. საქართველოს დასაქმებული მოსახლეობის 50% მოდის აგრარულ სექტორზე, მაშინ როცა აგრარული სექტორის წილი ბოლო მონაცემებით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 9.2 %-ს შეადგენს და უზრუნველყოფს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის 20%-მდე. საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების არასაკმარისი ტემპები უამრავ

ობიექტურ თუ სუბიექტურ სიძნელესთანაა დაკავშირებული. შექმნილი ვითარების უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი არის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები. მოცემული სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების პრობლემები და პერსპექტივები დღეისათვის წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკის, დასაქმებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხსა და აქტუალურ თემას.

გრაფიკი 1

საქართველოს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)



აგრარულ სექტორს უძველესი პერიოდიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო დონეზე და მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიმართულება (მოდელი) შეიქმნა:

1. რესურსების მოხმარების;
2. კონსერვაციული;
3. ლოკაციის;
4. დიფუზიისა
5. მაღალი ანაზღაურების (13. გვ. 14).

თითოეული მათგანი განსხვავებულ პირობებსა და მიდგომებს ქმნიდა აგრარული სექტორისადმი, თუმცა სახელმწიფოს როლი ყოველთვის გადამწყვეტი იყო. განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებას, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმების განსაზღვრას და ასევე, ეროვნული ბაზრის პროტექციონისტული დაცვის მეთოდებს.

განვითარების მაკროეკონომიკურ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრარული სექტორის ტრანსფორმირებასა და განვითარებას. ამ მიმართულებით გამოყოფენ: ზრდის სტადიების თეორიებს (ლისტი, მარქსი); დუალისტური ეკონომიკის მოდელებს; სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიებს; დამოკიდებულების თეორიას (14. გვ. 1).

ვოლტ როსტოუმ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკური ზრდის ეტაპების მოდელი განიხილა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა 5 ეტაპს გადის:

1. ტრადიციული საზოგადოება;
2. გარდამავალი სტადია;
3. ნახტომის სტადია;
4. სიმწიფისკენ მოძრაობა;
5. მასობრივი მოხმარების სტადია.

თეორიის თანახმად ყველა ქვეყანას სხვადასხვა სტადიაზე ყოფნის სხვადასხვა პერიოდი სჭირდება, თუმცა პირველი სტადიიდან ბოლო სტადიამდე გადასასვლელად შუალედურ გარდამავალ სტადიებში უნდა განისაზღვროს რამდენიმე სექტორი, რომელიც ზრდის საშუალებას მისცემს ქვეყანას და ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი იქნება. გარდამავალ ეტაპზე ეს არის აგრარული სექტორი (12. გვ. 4), ხოლო განვითარებულ სტადიაზე მრეწველობა იკავებს მოწინავე პოზიციებს. მცირდება აგრარული სექტორის წილი, თუმცა ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

აქვე უნდა შევეხოთ ფიზიოკრატების ეკონომიკურ მოძღვრებასაც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სიმდიდრე არ იქმნება მიმოქცევაში, იგი იქმნება წარმოებაში და მის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (ფრანსუა კენე). ფრანსუა კენე მე-18 საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებას მწარმოებელ და უნაყოფო კლასებად ჰყოფდა. პირველს მიაკუთვნებდა სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და ფერმერებს, რომლებიც წმინდა პროდუქტს ქმნიდნენ, ხოლო უნაყოფო კლასში აერთიანებდა მეურნეობის სხვა დარგში დასაქმებულთ. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების საკითხის განხილვა სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხორციელდებოდეს. სოფლის მეურნეობა გადაჯაჭვულია მრეწველობასთან. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფა ზრდის საერთო პროდუქტიულობასა და შემოსავლებს.

თავისთავად უნდა გავითვალისწინოთ ქართველი მეცნიერების მიდგომები აგრარული სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მეცნიერთა დიდი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე ორიენტირება თანამედროვე ინდუსტრიის უგულებელყოფის შემთხვევაში განაპირობებს ქვეყნის ჩამორჩენას, ასევე, არც მხოლოდ მრეწველობის პრიორიტეტულად შეფასება არის მართებული და აუცილებელია დარგებს შორის ბალანსის დაცვა, რადგან ეს ორი ურთიერთშემავსებელი სექტორია და ერთად ქმნის ქვეყნის ხერხემალს. მეცნიერები გადამწყვეტ როლს სექტორის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს ანიჭებენ (დ. ბაიდაური (2. გვ. 16), ნ. სამჭკუაშვილი (5. გვ. 31), ზ. ბერიძე (3. გვ. 51), ლ. გაგვიშვილი (4. გვ. 20)) და ასაბუთებენ მის აუცილებელ მონაწილეობას აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის (საკრედიტო, სადაზღვევო დაცვის) საქმეში. როგორც ვხედავთ არაერთი მეცნიერი აგრარულ სექტორს ქვეყნის განვითარების რელსებზე დაყენების მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილად განიხილავს, მაგრამ სექტორს არ შეუძლია ეს თვითდინებით განახორციელოს, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა და სწორად გათვლილი სტრატეგია.

საქართველო, სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე, მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დგას. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში 2013 წლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი მთავრობას მიტოვებული ჰქონდა, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად იგი მხოლოდ სიტყვიერად ჰქონდა გამოცხადებული. მოცემულ მიდგომას თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება და იმპორტზე დამოკიდებულების ზრდა. 2013 წელს შემუშავდა სახელმწიფოს ახალი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის მიმართულებით და მრავალი ახალი საკანონმდებლო ინიციატივა იქნა წარმოდგენილი. ამავე წელს ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დაფინანსება 61.8%-ით გაიზარდა. თუმცა, შედეგი ცალსახად დადებითი

ტენდენციებით არ ხასიათდება მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა. მშპ-ში სექტორის წილი და სოფლად მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლებში შემცირებით გამოირჩევა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ძირითადი პროექტების შედეგები კი ასე გამოიყურება:

- „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს აღნიშნული რგოლების მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. გასულ წლებში სოფლის მეურნეობაში გაცემული სესხის რაოდენობა საბანკო პორტფელში მხოლოდ 1%-ს შეადგენდა. მოცემული პროექტით კრედიტის სუბსიდირება, ერთი მხრივ, საბანკო ინსტიტუტებისთვის რისკს ამცირებს, რადგან პროცენტის დიდ ნაწილს ფონდი აფინანსებს, მეორე მხრივ, ფერმერებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას ზრდის. პროექტი 2013 წელს დაიწყო და დღესაც წარმატებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში 2013-2014 წლებში გაცემულ იქნა 27 177 კრედიტი, გაცემული სესხის ოდენობამ შეადგინა 722,766,960 ლარი, მათ შორის, 2014 წელს გაცემული იყო 480,416,394 ლარი (1. გვ. 28). პროექტის ფარგლებში გაიხსნა 89 ახალი საწარმო.
- „აწარმოე საქართველოში“ - აგრო ნაწილი. პროექტი 2014 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მეშვეობით. 2014 წელს პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაფორმდა 9 შეთანხმება (1. გვ. 29) და დამტკიცებული სესხების ჯამური ოდენობა შეადგენს 14,670,000 აშშ დოლარს.
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება. პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნით დაინტერესებული კომპანიებისათვის (მათ შორის კოოპერატივებისათვის) ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შეღავათიან აგროკრედიტს ან ლიზინგს და თანმხვედრ გრანტს, ხოლო ტექნიკური - დახმარებას ბიზნეს-გეგმის შედგენაში, დანადგარების მოძიებასა და შერჩევაში, პერსონალის მომზადებასა და სხვა. 2014 წელს დამტკიცებულია 16 სესხი, ჯამური ღირებულებით 11,703,238 აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს - 4,681,295 აშშ დოლარს (1. გვ. 30); 2014 წელს სულ გრანტის სახით გაცემულია 1,108,120 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. ერთწლიანი კულტურების წარმოებისა და ნათესი ფართობის მონაცემების განზოგადებისას 2011-2015 წლების ჭრილში, შეგვიძლია გამოვკვეთოთ გარკვეული ტენდენციები: კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის საკმაოდ სუსტია და 0.2 შეადგინა, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ შემდეგი: 1) ნათესი ფართობების ზრდა ან შემცირება პირდაპირპროპორციულად არ განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებაში ცვლილებებს; 2) მიუხედავად სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის ზრდისა, შედეგი სულ სხვა მივიღეთ, ეფექტი ძირითადად მომენტალურად აისახა 2013 წლის შედეგებზე, მაგრამ არა შემდგომ წლებში. მოცემული ფაქტორი მეორე არსებითი საკითხის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს - სახელმწიფოს დაფინანსების ზრდა ან სუბსიდირება,

რომელიც გამოსაშვები პროდუქციის ერთეულზე იქნება მიმართული ვერ უზრუნველყოფს რამდენიმეწლიან პერიოდში გრძელვადიან ზრდას. ზრდა უნდა შეეხებოდეს ინფრასტრუქტურულ და ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხებს, სხვა შემთხვევაში დაფინანსება გაღებული კონკრეტულ წელს მხოლოდ კონკრეტული წლის შედეგებში აისახება. თუ ჩვენ გრძელვადიანი ზრდა და აგრარული სექტორის ხელშეწყობა გვჭირდება, აქ მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოს აგრარული მიმართულებით ცოდნის განახლებასა და ახალი კადრების გადამზადებას, ასევე, თანამედროვე ინოვაციების დანერგვას წარმოებაში.

ასევე, როგორც კვლევიდან ჩანს, სამაცივრე მეურნეობების, სასაკლაოებისა და ელევატორების ყველაზე დიდი პრობლემა თანამედროვე ტექნოლიგიისა და აღუჭურვილობის არქონაა, რაც განპირობებულია ფინანსების უქონლობით. უმეტესობა მათგანს აღებული აქვს სესხი ტექნოლოგიური და კაპიტალური გადაიარაღებისთვის. სამაცივრე მეურნეობა და ელევატორი 70-80%-ით გამოიყენება იმპორტირებული პროდუქტისთვის, რისი 20-30%-ის რეალიზებაც ხდება უცხოურ ბაზრებზე. მოცემული ყველაფერთან ერთად ხაზს უსვამს საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებს და ხელშეწყობის აუცილებლობას არა მარტო ფინანსური კუთხით, არამედ ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო სისტემების შექმნით.

რაც შეეხება სასურსათო უზრუნველყოფას, საქართველო სურსათის წარმოების თვალსაზისით ძირითადად თვითმოხმარების მოთხოვნის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს, მისი წარმოების ძირითადი კატეგორიები ან უშუალოდ მწარმოებელ შინამეურნეობებს ხმარდება, ან ადგილობრივი ბაზრებით არის გაჯერებული. ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში იმპორტს კი ისევ საკმაოდ დიდი წილი უკავია, მაგალითად, ხორბლის შემთხვევაში. მოცემული კვლავ ხაზს უსვამს შემდეგს - სახელმწიფო ფინანსური უზრუნვეყოფის ხელშეწყობის პროგრამების ძირითადი ნაწილი მხოლოდ მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას უზრუნველყოფს ამ ეტაპზე, რაც ძირითადად მიმართულია თვითუზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და არა კომერციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

თავისთავად, აუცილებელია ამ მხრივ ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება. ევროკავშირში დღეისათვის მოქმედებს 1962 წელს შემუშავებული საყოველთაო აგრარული პოლიტიკა - Common Agricultural Policy (CAP), რომელიც საერთოა ყველა წევრი ქვეყნისთვის. პოლიტიკამ 1962 წლიდან დღემდე რამდენმჯერმე განიცადა სახეცვლილება და იგი საკუთარი წარმატების მსხვერპლიც კი გახდა – საბაზრო მოთხოვნაზე მიწოდების სიჭარბე შეიქმნა, რამაც "სასურსათო მთების" ფორმირება განაპირობა (10. გვ. 5). შესაბამისად, ევროკავშირს მოუწია რამდენიმე ღონისძიების შემუშავება, რათა საბაზრო წონასწორობის დაცვისთვის ხელი შეეწყო. ევროკავშირმა აქცენტი საბაზრო მხარდაჭერის ნაცვლად საწარმოო მხარდაჭერაზე გააკეთა და დღეს პოლიტიკა მიმართულია ფერმერთა გარემოსადმი მეგობრული დამოკიდებულების წახალისებისაკენ - ფერმერები იღებენ საშემოსავლო დახმარებას იმის მიხედვით, თუ როგორ უვლიან მიწებს, ზრუნავენ გარემოზე, ცხოველთა კეთილდღეობასა და სასურსათო სტანდარტების დაცვაზე; რეფორმა მოწოდებულია სექტორის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის ზრდისაკენ, რათა ხელი შეუწყოს ინოვაციების დანერგვასა და სასოფლო რეგიონის განვითარებას.

მოცემული მიმართულებით მთლიანად ევროკავშირი თავისი ბიუჯეტის 38%-ს ხარჯავს (50 მილიარდი ევრო) (8. გვ. 2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დაფინანსება ბოლო 30 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა, თუ აქამდე ევროკავშირის ბიუჯეტის 75%

ხმარდებოდა მხოლოდ ამ სექტორს, ამჟამად მისი დაფინანსება 38%-მდეა შემცირებული. თუ იმ ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროკავშირს 13 ახალი წევრი შემოემატა და შესაბამისად, გაიზრდა ფერმერთა რაოდენობა, დაფინანსება კი უცვლელი დარჩა, მოცემულმა თავისთავად განაპირობა ერთეულ ფერმერზე გამოყოფილი დაფინანსების შემცირება.

ევროკავშირის პოლიტიკა სამი მიმართულებისგან შედგება, რომლებიც შემდეგნაირად ფორმირდება 2 ძირითად სვეტად - "The First Pillar" – აერთიანებს პირდაპირ გადახდებსა და საბაზრო ღონისძიებებს; "The Second Pillar" - მოიცავს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. პროცენტულად ამ სამ მიმართულებაზე CAP-ის ბიუჯეტი შემდეგნაირად ნაწილდება: 1) პირდაპირი გადახდები - 70%, 2) საბაზრო ღონისძიებები - 10%, 3) სოფლის განვითარება – 20%. პირველი მათგანი დაფინანსებას იღებს ევროპის სასოფლო-სამეურნეო საგარანტიო ფონდიდან - The European Agricultural Guarantee Fund (EAGF), მეორე მათგანი ფინანსდება ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან - The European Agricultural Fund For Rural Development (EAFRD), რომელიც 100 მილიარდ ევროს შეადგენს 2014-2020 წლებისათვის. დღეისათვის განვითარების 118 პროექტია ინიცირებული 28 ქვეყანაში თითოეულის საჭიროებიდან გამომდინარე. ყველაზე მეტი პროექტი ხორციელდება ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში - ერთად აღებული 72 პროექტი (სწორედ ეს ქვეყნები არიან მძლავრი წამყვანი აგროპროდუქტების გამოშვების თვალსაზრისით და ისინი იღებენ ყველაზე მეტ დაფინანსებას მთლიანი ბიუჯეტიდან).

ევროკავშირი ფერმერებს ეხმარება ჩამოაყალიბონ გასაღების ორგანიზაციები, შექმნან კოოპერაციები კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, მოახდინონ სპეციალიზება გარკვეული სახის წარმოებაზე (მაგ, ორგანული ფერმერობა), შექმნან საერთო ფონდები და სადაზღვევო სქემები, რაც მათ საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ სტაბილურობა საბაზრო მერყეობის დროს.

ცხრილი 1

ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის რეფორმის მიხედვით 2014-2020 წლებში გათვლილი დაფინანსების სტრუქტურა - მილიარდი ევრო (წყარო: ევროპის კომისია)

	2014-2020 წლების ზღვარი (მიმდინარე ფასებში)	2014-2020 წლების ზღვარი (2011 წლის ფასებში)
სვეტი 1	312.74	277.85
სვეტი 2	95.58	84.94
მთლიანად CAP -ის ბიუჯეტი	408.31	362.79

ევროკავშირი ყველაზე მსხვილი იმპორტიორია მსოფლიოში სურსათის კუთხით, ყოველ წელიწადს საშუალოდ 60 მილიარდი ევროს ღირებულების პროდუქტის იმპორტირება ხორციელდება. მთელი 50-წლიანი პოლიტიკის მანძილზე ევროკავშირმა ბოლო 5 წლიან პერიოდში შეძლო ექსპორტის მძლავრი ზრდა. სწორედ ამ პერიოდში შეწყვიტა ექსპორტის სუბსიდირება და პირდაპირი დახმარების მოცულობა საგრძნობლად შეამცირა (თითქმის 8-ჯერ).

2010 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა განვითარების სტრატეგია "ევროპა 2020", რომელიც ორიენტირებას აკეთებს ნათელ, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ამავე დოკუმენტში

გამოყოფილ იქნა ევროკავშირის სისუსტეები და საფრთხეები: 1) ზრდის დაბალი მაჩვენებელი სხვა პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ბიზნეს სექტორში ნაკლები ინვესტიციებით კვლევებსა და განვითარებაში, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების შეუსაბამო გამოყენებითა და საბაზრო ბარიერებით (7. გვ. 9); 2) დემოგრაფიული დაბერების დაჩქარებით; 3) საერთაშორისო ბაზარზე მოთამაშე ქვეყნები ინვესტირებას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ახდენენ, რაც ევროპელი მწარმოებლებისათვის წინააღმდეგობაც არის და გამოწვევაც.

ზემოთ აღნიშნულმა გარკვეულწილად განაპირობა CAP-ის სრულიად ახალ რელსებზე გადასვლა და ფოკუსირება აგრარულ სექტორში ინოვაციებზე, ცოდნის გადაცემასა და ტექონოლოგიების მასშტაბურობაზე, ასევე ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებაზე ამ მიმართულებით. განსაკუთრებით კი ახალი წევრი ქვეყნების ხელშეწყობა გახდა აქტუალური. ასევე, ევროკავშირი აქცენტის გადატანას ახდენს „საგრანტო პროექტების“ დაფინანსებიდან „სასესხო პროექტების“ ხელშეწყობისაკენ, რომლებიც გრძელვადიანი ზრდის პირობებში მომავალში თავად შეძლებენ ფინანსური რესურსებით თვითუზრუნველყოფას. ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით ევროკავშირის ძირითადი რეკომენდაცია წევრი ქვეყნებისათვის გულისხმობს პროექტებში სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის ჩართვას (სესხი, გარანტია, კაპიტალში მონაწილეობა და სხვა) და ბენეფიციარის ხელშეწყობას ფინანსური ინსტიტუტების მოშუამავლობით.

ევროპის ბევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში, სხვადასხვა მაჩვენებლისა და ინდიკატორის შეფასების კუთხით სიტუაცია საქართველოს მსგავსია. შედარებისათვის ავიღეთ აღნიშნული ქვეყნები, რადგან ყველაზე ახლოს დგანან ჩვენს ქვეყანასთან და ათვლის წერტილი დაახლოებით ერთნაირია მათთვის. ამიტომ აუცილებელია მოცემული ქვეყნების გამოცდილების განხილვა და მათი საქართველოსთან მისადაგების შემთხვევაში საქართველოსთან ადაპტაცია და არა პირდაპირი იმპლემენტაცია, რასაც ძალიან ხშირად „ინსტიტუციურ ხაფანგში“ შეჰყავს ქვეყანა ან იწვევს „ინსტიტუციურ დისფუნქციას“.

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში დაბალია აგრარული სექტორის პროდუქტიულობა (როგორც შრომის, ასევე სხვა ფაქტორების მიხედვით), ძალიან ბევრი წვრილი საოჯახო ფერმაა, რომელიც ამუშავებს ძალიან ფრაგმენტირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს და ჰყავს ძალიან ცოტა დასაქმებული (5 პერსონაზე ნაკლები) და პირუტყვი (5 ერთეულზე ნაკლები). მოცემული განპირობებულია გარდამავალ ეტაპზე ძველი სისტემის მოშლით, ეკონომიკური კრიზისებით, პოლიტიკური არასტაბილურობით. ასევე, ამას ემატება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიმწირე, აგრარულ სექტორში მომუშავეთა და უშუალოდ ფერმერთა არასათანადო დონეზე გადამზადების ტენდენციები. თავისთავად, ამ ქვეყნებს გაცილებითი დიდი ზრდის პოტენციალი აქვთ უკვე განვითარებულ წამყვან ქვეყნებთან შედარებით, რაც საჭიროებს მეტ ფინანსურ უზრუნველყოფას. თუმცა, მოცემული ქვეყნები ინტეგრაციის შემდგომ სრულიად სხვა პროპორციით იღებენ დაფინანსებას ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ვიდრე მანამდე წამყვანი წევრი ქვეყნები ღებულობდნენ. სექტორში ინვესტიციების ოდენობაც საკმაოდ მცირეა ამ ქვეყნებში, რაც ზრდის პოტენციალის გამოყენების შანსებს ამცირებს.

აქვე აუცილებელია შევეხოთ ევროკავშირის წევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და დასავლურ ნაწილს შორის კონვერგენციის საკითხს. საკმაოდ დიდია კორელაცია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ასევე, კონვერგენციაც ახალ და ძველ წევრებს შორის დადებითი ასპექტებით ვითარდება, ხოლო მთლიანად სრული დაახლოებისათვის ქვეყნებს 8-დან 33 წელი დასჭირდებათ (11. გვ. 3). ყველაზე დიდი პერიოდი ესაჭიროებათ ბულგარეთს, რუმინეთსა და

პოლონეთს, რომლებთანაც საქართველოს ინდიკატორები ერთი-ორად ახლოს დგას და ეს მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი გამოცდილების გასათვალისწინებლად.

ევროკავშირისთვის სოფლის მეურნეობის ყველაზე დიდი პრობლემაა მომუშავეთა ასაკის ზრდა და ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა ამ მიმართულებით, რაც ქმნის ცოდნის გადაცემის კუთხით პრობლემას და სოფლების დაცლის საშიშროებას უახლოეს პერიოდში. საქართველოს მოცემული პრობლემა დიდი ხანია უდგას და აღნიშნული ფაქტორები აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს შემთხვევაშიც.

გრაფიკი 2

ევროკავშირში შრომის პროდუქტიულობა (ევრო/პერსონა) 2014 წელი



დასკვნები და რეკომენდაციები: მოცემული საკითხის კვლევისას გამოვლინდა სექტორის განვითარებისა და ფინანსური უზრუნველყოფის არაერთი პრობლემა, რაც საჭიროებს ქმედით ნაბიჯებსა და სისტემურ მიდგომას მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის. შესაბამისად, აუცილებელია ცალკეული საკითხის განხილვა და დროული ღონისძიებების შემუშავება:

1. საქართველოში აგრარულ სექტორთან მიმართებით შემდგომი კვლევებისა და განვითარების სურათის უკეთ დანახვის მიზნით, ასევე საერთო სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების, დანერგვისა და შედეგების შეფასებისათვის, აუცილებელია ევროკავშირის მიერ შემუშავებული სპეციალური ინდიკატორების დანერგვა და გამოყენება (საუბარია ევროკავშირის CAP პოლიტიკის მთავარ 45 ინდიკატორზე). მოცემული ასევე გაადვილებს საქართველოს ამ სექტორში განვითარების ტენდენციების ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებთან ურთიერთშედარებას.
2. მიუხედავად ინტეგრაციისა, ევროპის დასავლურ ნაწილსა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა აგრარული სექტორის განვითარების კუთხით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ნამდვილად დიდი წარმატებით დაძლიეს ბევრი წინააღმდეგობა, რაც საქართველოსთვის ასე ნაცნობია. თუმცა, სხვაობა ძველ და ახალ წევრებს შორის კვლავ რჩება დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთების რაოდენობის, პროდუქტიულობის, განხორციელებული ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური გადაიარაღების კუთხით, რაც ძირითადად განპირობებულია სექტორის დაფინანსების დისპროპორციებით. თუ გავითვალისწინებთ EU15-ისა (2003 წლის 31 დეკემბრამდე ევროკავშირის წევრი ქვეყნები) და EU13-ის (2003 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ევროკავშირში ინტეგრირებული ქვეყნები) ფერმერების საწყის ათვლის წერტილს, ახალი

წევრი ქვეყნების აგრარული სექტორი არამომგებიან პირობებში იმყოფება. მიუხედავად ზრდის დიდი პოტენციალისა, დაფინანსების სიმცირე ძველ წევრ ქვეყნებთან შედარებით ზრდის იმ მასშტაბებს ვერ აღწევს, რაც შესაძლებელია ჩამორჩენილობის გასათანაბრებლად. მოცემული საქართველოსთვის გასათვალისწინებელი პირობაა სახელმწიფოს მიერ სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობისა და ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის სურვილიდან გამომდინარე.

3. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება სტრატეგიის განხორციელებისას. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის სისუსტე – "საბაზრო პრინციპების იგნორირება". მასშტაბის ეკონომიისა და პროდუქციის რაოდენობის მიხედვით სუბსიდირებამ გამოიწვია ბაზარზე მიწოდების სიჭარბის ფორმირება და შეიქმნა ე.წ. "სურსათის მთები". ანალოგიურად, სურსათის ექსპორტი გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც შემცირდა სურსათის ექსპორტის პირდაპირი სუბსიდირება; მოცემული ცხადყოფს, რომ აუცილებელია სამოქმედო გეგმის შესაბამის მომენტში დროული ცვლილება და სიტუაციასთან ადაპტირება საბაზრო ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად.
4. აქვე აუცილებელია შევეხოთ კონვერგენციის ფაქტორს, როგორც კვლევამ აჩვენა, დიდია EU13-ის კონვერგენცია EU15-თან მიახლოების. განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის მიერ მოცემული სხვაობის დაფარვის პერიოდებს შორის საკმაოდ ვარირებს 8-33 წლებში. თუკი საქართველოს დღევანდელ პოზიციას განვიხილავთ ბულგარეთთან მიმართებით, პერიოდი ერთი-ორად გაიზრდება და შესაძლოა EU15-თან მიმართებით სხვაობის დასაფარად საკმაო დროც კი დასჭირდეს. მოცემული თავისთავად ეხება აგრარული სექტორის ევროკავშირის ბაზართან ჰარმონიზაციის თემატიკასაც. ამ ეტაპზე აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.
5. აგროკრედიტების მიღების მსურველთა ნაწილი სახელმწიფოს პროგრამის „შეღავათიანი აგრო კრედიტის" ფარგლებში სესხს როგორც საჩუქარს ისე აღიქვამს, ამიტომ საფინანსო ინსტიტუტები პროექტის ფარგლებში „სტარტ–აპების" დიდი ნაწილის დაფინანსებაზე უარს ამბობენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღეს რეგიონებში განათლების პრობლემაცაა, კერძოდ კი იმისთვის, რომ ფერმერი ჩამოყალიბდეს ბიზნესმენად, მას სათანადო ცოდნა არ გააჩნია. მათ არ შეუძლიათ შესაბამისი გათვლების წარმოება და არც შემოსავლების აღრიცხვას აწარმოებენ. ასევე, თანამედროვე აგრო-ტექნოლოგიური პროცესებისა და აგრო-რისკების მართვის არასრულყოფილმა ცოდნამ კი შესაძლოა ხელი შეუშალოს სესხის მიმღებ ფერმერებს ოპტიმალური მოსავლის მიღებაში, რაც შეამცირებს მათ შემოსავლებს და გაზრდის სესხის დაფარვის რისკს. ცოდნის მხრივ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა პირობებთან ერთად, EU13-სა და EU15-ში ფერმერთა და დასაქმებულთა ცოდნის დონეს შორის სხვაობა სექტორის პროდუქტიულობას შორის დიდ დისპროპორციებს განაპირობებს. აუცილებელია ჩამოყალიბდეს აგრარული ცოდნის (მოწინავე მეთოდებისა და ტექნოლოგიების) ექსტენციის ცენტრალური ბირთვი, პროფესიონალთაშორისი (როგორც პრაქტიკოსთა, ასევე მეცნიერთა) გაერთიანება, რომელიც დროულად ჩაუტარებს შესაბამის ტრენინგებს როგორც საკონსულტაციო ცენტრების, ასევე საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების პერსონალს (ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრო-რისკებზე, მათ პრევენციასა და მართვაზე), რათა მათ დროულად და კვალიფიციურად შესძლონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება. მაგალითად ევროკავშირი დღეისათვის სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სწავლება-დანერგვაზე ამახვილებს

ყურადღებას, რაც საშუალებას იძლება მიიღწეს მაქსიმალური შედეგი მცირე რესურსების პირობებში (Horizon 2020 - ის ინოვაციებისა და კვლევების ბიუჯეტიდან 2014-2020 წლებისათვის სოფლის მეურნეობის მიმართულებით გათვალისწინებულია 4 მილიარდი ევრო).

6. მიზანშეწონილი იქნება, თუ დაუყოვნებლივ დაიწყება მზადება მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ ფერმერთა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და ჩართვისათვის ამ პროცესებში, რომლებიც აგრარული საქმიანობის თანამონაწილეებიც იქნებიან და რომლებთანაც ფერმერებს გაცილებით კორპორატიული ურთიერთობები ექნებათ (თუნდაც უკვე აპრობირებული სასოფლო-საკრედიტო კავშირების სახით). ასეთმა ორგანიზაციებმა დაკრედიტების პროცესში თანდათანობით უნდა ჩაანაცვლონ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.
7. ბევრ ფერმერს უჭირს აგრო-სესხის საგარანტიო უზრუნველყოფის მოძიება, რის გამოც მისი ბიზნესისათვის საჭირო რაოდენობის კრედიტს ვერ იღებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას ჩვენს ქვეყანაში დაბალი ფასი აქვს. გამოსავალი მიწის იჯარით გაცემაა.
8. მეწარმეების ყველაზე დიდი პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრება ან საექსპორტო ბაზრების მოძიება (აქ არ იგულისხმება ის, ვისაც ბიზნესი უკვე აწყობილი აქვს). მაღალი კონკურენციისა და/ან მონოპოლიებისაგან ბაზრის დაუცველობის გამო, ბევრი თავს არიდებს კრედიტის აღებას, რადგანაც დიდი რისკია, რომ გაკოტრდეს. კრედიტის აღებამდე კი კრედიტ-ოფიცრებმა კარგად უნდა განუმარტონ, თუ რა რისკებზე მიდიან. ასევე, მცირე ფერმერებისთვის კოოპერირება გასაღების მიმართულებით იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ერთიანი ძალებით დაძლიონ მსგავსი წინააღმდეგობა.
9. სადაზღვევო კომპანიებისათვის აგრარული სექტორის დაზღვევა ძალიან სარისკო და ზარალიანია. უდავოა, რომ სახელმწიფოს თანამონაწილეობამ ხელი შეუწყო ამ მხრივ საქმის დაძვრას. თუმცა თავდაპირველ ეტაპზე პროგრამა ბევრი ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემის წინაშე დადგა, რაც მოუმზადებლობით იყო გამოწვეული. აუცილებელია ამ კუთხით როგორც სააგენტოს, ასევე სადაზღვევო კომპანიების შეთანხმებული მუშაობა.
10. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსავლის დროული აღების, შენახვისა და რეალიზაციის პრობლემების გადაჭრა. აქედანვე უნდა იქნეს დაჭერილი თადარიგი სათანადო რაოდენობის შესაბამისი მოსავლის ამღები კომბაინებისა და დანადგარების უზრუნველსაყოფად. თუ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება ისევ იმაზე მეტი აღმოჩნდება, ვიდრე იმპორტირებული პროდუქციის საცალო ფასი, ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობა ისევ იაფფასიან იმპორტირებულ პროდუქციას შეიძენს. ადგილობრივი წარმოების პროდუქტი კი კვლავ არ გაიყიდება და ამდენი ძალისხმევაც წყალში ჩაიყრება. როგორც მოხდა ატმის მოსავალთან დაკავშირებით, როცა რეალიზაციის პრობლემების გამო ფერმერებმა ვერ შეძლეს მიღებული მოსავლის გაყიდვა 10 თეთრადაც კი. ეს არის იმის მაგალითი, რომ ქვეყანაში აუცილებელია სასოფლო ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნების არსებობა, სხვაგვარად სასოფლო ნედლეულის წარმოების ზრდა არ არის მხოლოდ წარმატების საწინდარი. მოცემულმა შეიძლება უკუპროცესიც კი გამოიწვიოს. საჭიროა აგრარული ბაზრის დარეგულირება, ჯანსაღი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ადგილობრივ პრაქტიკაზე, გამოცდილებაზე და სამართლიანი ვაჭრობის საერთაშორისო პრინციპებზე იქნება დაფუძნებული და არა მხოლოდ უცხოურ რეკომენდაციებზე. აუცილებელია ამ ყველა

საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა და ერთიან ჭრილში გადაწყვეტა. კვლავაც ბევრი ღონისძიებაა გასატარებელი, რათა მოხერხდეს აგრარული სექტორის განვითარების დაწყებული პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორებისა და რისკების მინიმიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2014.
2. ბაიდაური დ. სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები საქართველოს აგრარულ სექტორში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 2006.
3. ბერიძე ზ. ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში. დისერტაცია. თბ., 2011.
4. გაგვიშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების რეზერვები (იმერეთის მაგალითზე). დისერტაცია. თბ., 2006.
5. სამჭკუაშვილი ნ. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის მაგალითზე). დისერტაცია. თბ., 2013.
6. CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, 2015.
7. COMMUNICATION FROM THE COMMISSION EUROPE 2020 A strategy for smart, sustainable and inclusive growth, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2010.
8. EU agriculture spending – Focused on results, European Commission, 2015.
9. INDICATORS IN THE RURAL DEVELOPMENT REPORT 2013, EUROPEAN COMMISSION, 2013.
10. THE EUROPEAN UNION EXPLAINED A partnership between Europe and farmers Agriculture – “The EU’s common agricultural policy (CAP): for our food, for our countryside, for our environment”, EUROPEAN COMMISSION, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2014.
11. Ryszard Rapacki and Mariusz Próchnia – “The EU Enlargement and Economic Growth In the CEE New Member Countries”; European Communities, 2009.\
12. Walt Whitman Rostow- The Stages of Economic Growth: A Non - Communist Manifesto, Cambridge University Press, 1960.
13. VERNON W RUTTAN – Lectures on Technical and Institutional Change In Agricultural Development with comments by Syed Nawab Haider Naqvi, PAKISTAN INSTITUTE OF DEVELOPMENT ECONOMICS, ISLAMABAD, 1987.
14. Vernon W Ruttan - Growth Stage Theories and Agricultural Development Policy, THE ECONOMIC WEEKLY, 1965.
15. http://geostat.ge.
16. . http://ec.europa.eu/agriculture/statistics.

Annotation

Food supply maintenance of the populationbelongs tothe problem ofglobal issues and it’s successfulsolution is the foundation of development any national economic. Georgia's an agricultural country, butthecountry'sfoodpotential is used only partially. The main determining factor of the problems of the current situation is the provision of financial resourcesproblems. Crediting of a given sector, lending prospects and problems today are vital issues for the agriculture as well as for the economy and employment.

The articlediscusses theperformanceof the agriculturalsector inthe economy-and itslegal aspectsof financial mechanism; There is presented current promotion projects ofagribusiness. On the basis of Comparative analysis of experiences and the current states of The European Union and Georgia has been detected financial system development prospects and dangers. Also, the essential recommendations have been designed to eliminate them.

საქართველოს ფოსტის მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით

დოდო ყურაშვილი
მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელიასისტენტ-პროფესორი **რუსუდან სეთურიძე**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტ-მომხმარებელთა სწრაფმა ზრდამ და მსოფლიო გლობალურ სივრცეში ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში ფოსტის როლი. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ დადებითი და უარყოფითი ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც მოქმედებენ „საქართველოს ფოსტაში“ არსებული სერვის ცენტრების მუშაობის ეფექტურობაზე. ჩატარებული კვლევიდან დადგინდა, რომ „საქართველოს ფოსტის“ სერვის ცენტრების რეიტინგულ მაჩვენებლებზე მოქმედებენ სხვა ფაქტორებიც, რომელსაც კომპანია არ ითვალისწინებდა. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეიტინგების დათვლისას ჩვენს მიერ გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინება ხელს შეუწყობს კომპანიის თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობისა და მოტივაციის გაზრდას, ეს კი ემსახურება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც კომპანიას წარმატების საწინდარია.

საკვანძო სიტყვები: *ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტეგრაცია, ელექტრონული კომერცია, მომსახურების ხარისხი.*

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტ-მომხმარებელთა სწრაფმა ზრდამ და მსოფლიო გლობალურ სივრცეში ინტეგრაციამ ელექტრონული კომერცია ერთ-ერთი ყველაზე მზარდ დარგად გადააქცია. ამ პროცესმა კი მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში ფოსტის როლი.

საქართველოში ათეულობით ფოსტა ფუნქციონირებს. ესენია: „საქართველოს ფოსტა“, „მერიდიან ექსპრესი - UPS“, DHL, “ექსპრეს ფოსტა”, FEDEX, TNT, “არამექს ჯორჯია” და სხვა. ჩვენი კვლევის ობიექტი, ქართულ ბაზარზე უმსხვილესი საფოსტო კომპანია - „საქართველოს ფოსტა“ წარმოადგენს ქართულ ბრენდს. სხვა კონკურენტებთან შედარებით ის სთავაზობს მომხმარებელს სერვისების დიდ არჩევანს, გააჩნია სერვის ცენტრების ყველაზე ფართო ქსელი და ყველაზე დიდი ტვირთბრუნვა საქართველოში. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების შედეგად კომპანიამ გააუმჯობესა თავისი საქმიანობა, განაახლა სერვის ცენტრები და დღეისთვის ფილიალების უმეტესობა წარმოადგენს თანამედროვედ აღჭურვილ ოფისებს. კომპანია ორიენტირებულია თანამედროვე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე და უზრუნველყოფს იმ სერვისსა და მომსახურებებს, რომლებიც

ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კომპანიამ განაახლა ასევე თავისი მენეჯერული საქმიანობა და ახალი მიზნები დაისახა, ამჟამად შეიძლება ითქვას ის უკვე ლიდერი ბრენდია საქართველოს ბაზარზე და მისი მიზანია თავი დაიმკვიდროს ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

დღეს, „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლებს სთავაზობს საფოსტო მომსახურების მთელ სპექტრს, კომპანია ახორციელებს :

- საფოსტო გზავნილთა (წერილობითი კორესპონდენცია, ამანათი, EMS გზავნილი, ავია გზავნილი) მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვასა და ჩაბარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ - 190-ზე მეტ ქვეყანაში;
- კომუნალური მომსახურების გადასახადების მიღებას;
- ფულადი გზავნილების გაგზავნასა და სატელეგრაფო მომსახურებას.

საქართველოს ფოსტა აერთიანებს "საქართველოს საერთაშორისო დაჩქარებულ ფოსტას" (EMS), რომელიც 2001 წლის 1 მარტიდან არის ჩართული "Express mail services"-ის მსოფლიო ქსელში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ფოსტა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია მთელს საქართველოში. კომპანია პერიოდულად სთავაზობს მსურველებს სხვადასხვა ვაკანსიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს კადრების მოზიდვას.

საქართველოს ფოსტას საქართველოს ყველა რეგიონში და თბილისის ყველა უბანში გააჩნია მომსახურების სერვის ცენტრი:

- თბილისი, მცხეთა მთიანეთი;
- ქვემო ქართლი;
- კახეთი;
- შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ;
- იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი;
- აჭარისა და გურიის რეგიონი ;
- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონი.

საქართველოს ფოსტაში ეფექტურად მუშაობს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელმაც 2015 წელს საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელებს წარუდგინა დეპარტამენტის მიერ შექმნილი საფოსტო პროგრამა WoodooPost. პროგრამა უზრუნველყოფს ყველა საფოსტო პროცედურის ელექტრონულ ბაზაში ასახვას და საჭირო ინფორმაციის სხვადასხვაფორმატში მოძიებას. პროგრამული უზრუნველყოფა კომპანიის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა და პირდაპირ კავშირშია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანიაში კურიერების სამოქმედო არეალის დაგეგმარებისა და საფოსტო გზავნილების ჩაბარების მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის შეიქმნა ინტერაქტიული რუკა, რომლის მიხედვით სექტორებად იყოფა, როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების ტერიტორიები და თითოეული კურიერი მოძრაობს მისთვის განსაზღვრულ მარშრუტზე. აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო გზავნილების ჩაბარების ვადის მნიშვნელოვნად შემცირებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

ნებისმიერი კომპანიის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია სწორი შიდა მენეჯმენტის სრულყოფა და მის შიგნით არსებული სხვადასხვა განყოფილებების ურთიერთთანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა და შეთანხმებული მუშაობა. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებული კადრები, მათი სწორად შერჩევა და გადამზადება, მათი პროფესიონალური განვითარებისთვის ხელის შეწყობა. თუმცა ეს ყველაფერი საკმარისი არ არის, ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს მოტივაცია, რომელიც კომპანიამ უნდა შეუქმნას საკუთარ კადრებს, რაც შედეგად

მუშაობის ხარისხს აუმჯობესებს. კომპანიები მოტივაციის ამაღლებისათვის მიმართავან მატერიალური თუ მორალური წახალისების სხვადასხვა საშუალებებს.

საქართველოს ფოსტა საკუთარი თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის და მოტივაციის გაზრდისთვის ყოველი თვის ბოლოს აქვეყნებს სერვის ცენტრების რეიტინგს და ავლენს სამ საუკეთესოს გზავნილების ჩაბარებების მიხედვით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით გავაანალიზეთ და დავადგინეთ თუ რამდენად სწორად ახდენს კომპანია ფილიალების რეიტინგის გამოვლენას, რა ფაქტორები მოქმედებენ მასზე და როგორ გავლენას ახდენს თითოეული ფაქტორი ფილიალების მუშაობაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ დადებითი და უარყოფითი ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც მოქმედებენ ფოსტაში არსებული თანამშრომლებისა და ზოგადად თბილისში არსებული სერვის ცენტრების მუშაობის ეფექტურობაზე. ასევე იმის დადგენა, თუ რამდენად სწორ საშუალებებს იყენებს საქართველოს ფოსტის ხელმძღვანელობა, იმისათვის რომ საკუთარ თანამშრომლებს შეუქმნას მოტივაცია, რაც კომპანიის წარმატებული მუშაობის ერთ-ერთი ამოსავალი პირობაა.

განვიხილეთ თბილისში არსებული საფოსტო სერვის ცენტრების რეიტინგები, რომელსაც ყოველი თვის ბოლოს ადგენს კომპანიის ხელმძღვანელობა და ავლენს მუშაობის ეფექტურობის მხრივ საუკეთესო ფილიალებს. ისინი ითვლიან კურიერების მიერ გზავნილების ჩაბარების კოეფიციენტს და ამ კოეფიციენტის მიხედვით ადგენენ რეიტინგს.

კვლევის მიზნის მიღწევისათვის დაისვა შემდეგი ამოცანები:

- ✓ საკვლევი ობიექტის შესწავლა;
- ✓ იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც მოქმედებენ რეტინგულ მაჩვენებლებზე;
- ✓ თითოულიფაქტორის შეფასება.

კვლევის განსახორციელებლად ავიღეთ რეალური მონაცემები, ხუთი თვის მაგალითზე, რომლებიც ასახავენ თბილისში არსებული ფოსტის სერვის ცენტრების რეიტინგებს. ეს მონაცემები დავამუშავეთ პროგრამულად და პირველ ეტაპზე ავაგეთ რეგრესიული მოდელი, რომელშიც ჩავრთეთ ის ფაქტორებიც, რასაც კომპანია არ ითვალისწინებს რეიტინგების გამოვლენისას (იხ. ცხრილი N1).

ინდექსი	ფილიალების სიდიდე	ს/ც	საწყისი ნაშთი	მიღებული წერილი	ადგილი	ჩაბარებული წერილი	ოპერატორის ჩაბარება	დბრუნებული წერილი	საბოლოო ნაშთი	კურიერის კოეფიციენტი
0102	U	თბილისი	403	13346	9129	9254	319	4089	87	0.70
0198	S	თბილისი	319	3596	2424	2723	3	940	249	0.70
0114	U	თბილისი	1181	19870	7979	13353	540	6178	980	0.66
0119	M	თბილისი	266	8470	3881	5370	307	2734	325	0.65
0179	U	თბილისი	835	16121	6014	10214	507	5541	694	0.63
0144	M	თბილისი	1209	9901	4610	5996	443	3736	935	0.58
0137	S	თბილისი	426	4406	2142	2551	228	1845	208	0.58
0186	M	თბილისი	1378	15062	5630	9137	413	5321	1569	0.58
0160	U	თბილისი	2770	18223	8616	10974	757	7663	1599	0.56
0167	M	თბილისი	591	11530	5472	5983	505	5533	100	0.54
0159	M	თბილისი	1571	11265	5692	6204	507	4896	1229	0.52
0180	M	თბილისი	2026	11194	0	6309	224	5405	1282	0.49
0190	U	თბილისი	1219	14191	6003	6396	863	6552	1599	0.47
0178	M	თბილისი	1546	11866	4826	5625	511	6023	1253	0.46

ცხრილი 1. საქართველოს ფოსტის თბილისის სერვის ცენტრების რეიტინგული მაჩვენებლები

ცხრილი 1-ის პირველ სვეტში მოცემულიათბილისში არსებული სერვის ცენტრების საინდექსო კოდები, ხოლო მეორე სვეტში ფილიალები სიდიდის მიხედვით, კერძოდ კი U- წარმოადგენს დიდ ფილიალს, M - საშუალოს და S - პატარას. ფილიალების სიდიდე განისაზღვრება მათი დატვირთვის და უბნების სიდიდის მიხედვით.

პირველე ტაპზე გავაკეთეთ რაოდენობრივი რეგრესიული ანალიზი ხუთითვის მონაცემების მიხედვით ოთხი ცვლადის მიმართ, დამოკიდებულ ცვლადად (Y) ავიღეთ კურიერების კოეფიციენტი, რომლითაც განისაზღვრება საფოსტო სერვის ცენტრების რეიტინგი, ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებად (X) რამდენიმე რაოდენობრივი ფაქტორი: „გასაცემი წერილები“, „ადგილი“ ანუ კურიერების მიერ გაკეთებული ვიზიტების საერთო რაოდენობა, „ჩაბარებული წერილების რაოდენობა“ და „ოპერატორის ჩაბარება“ ანუ სერვის ცენტრიდან გაცემული გზავნილები.

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.918532046
R Square	0.843701119
Adjusted R Square	0.834082726
Standard Error	0.035049037
Observations	70

ANOVA

	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*
Regression	4	0.431020866	0.107755	87.717475	1.80798E-25
Residual	65	0.079848275	0.001228		
Total	69	0.510869141			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	0.600725238	0.011353857	52.90935	3.67061E-55	0.57805002	0.6234	0.57805002	0.623400456
გასაცემი წერილები	-4.9181E-05	4.1312E-06	-11.9048	5.52548E-18	-5.74315E-05	-4.1E-05	-5.7432E-05	-4.09304E-05
ჩაბარებული წერილი	7.80648E-05	5.99479E-06	13.0221	8.85817E-20	6.60923E-05	9E-05	6.6092E-05	9.00372E-05
ადგილი	2.99066E-06	3.26652E-06	0.915547	0.363288519	-3.53304E-06	9.51E-06	-3.533E-06	9.51435E-06
ოპერატორის ჩაბარება	0.000105208	4.45217E-05	2.363066	0.021126087	1.62917E-05	0.000194	1.6292E-05	0.000194124

სურათი 1. წრფივი რეგრესიული მოდელი ოთხი ცვლადის მიმართ

სურათი 1-ზე წარმოდგენილი მოდელიდან დადგინდა, რომ ერთი ცვლადი, კერძოდ კი „ადგილი“ (კურიერის მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა) არამნიშვნელოვანია, შესაბამისად გამოიკვეთა, რომ კურიერების ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ჩაბარების კოეფიციენტზე.

მეორე ეტაპზე მოდელიდან ამოვიღეთ არამნიშვნელოვანი ცვლადი და დარჩენილ სამ ცვლადზე ხელახლა მოვახდინეთ რეგრესიული ანალიზი.

სურათი 2-დან ჩანს, რომ ერთი ცვლადი - „გასაცემი წერილები“ ჩვენს საპროგნოზო მაჩვენებელზე უკუპროპორციულად ახდენს გავლენას, ხოლო დანარჩენი ორი პირდაპირპროპორციულად.

მიღებული მოდელიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ დამატებული ფაქტორი - „ოპერატორების ჩაბარება“ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩაბარების კოეფიციენტზე. აღსანიაშნავია, რომ საქართველოს ფოსტაში მხოლოდ დანარჩენ ორ ფაქტორს ითვალისწინებენ.

მესამე ეტაპზერეგრესიულ მოდელში ჩავრთეთ თვისობრივი ფაქტორიები, რომლებიც შესაძლებელია გავლენას ახდენდნენ დამოკიდებულ ცვლადზე ანუ კურიერის კოეფიციენტზე. დამოუკიდებელ თვისობრივ ცვლადებად ავიღეთ უბნის სირთულე, ხოლო რაოდენობრივი მაჩვენებლები იგივე დავტოვეთ. თვისობრივი დამოუკიდებელი ცვლადის მოდელირებისთვის

ჩვენ შევქმენით დამოუკიდებელი - ფიქტიური ცვლადი, თვისობრივი ცვლადის ყველა შესაძლო მნიშვნელობისათვის, გარდა ერთისა.

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.917434205
R Square	0.84168552
Adjusted R Square	0.834489407
Standard Error	0.035006056
Observations	70

ANOVA

	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*
Regression	3	0.429991159	0.14333	116.9639153	2.315E-26
Residual	66	0.080877982	0.001225		
Total	69	0.510869141			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	0.602667197	0.011140292	54.09797	2.14097E-56	0.580424888	0.624909507	0.580424888	0.624909507
გასაცემი წერილები	-5.04644E-05	3.88133E-06	-13.0018	7.18532E-20	-5.82137E-05	-4.2715E-05	-5.8214E-05	-4.2715E-05
ჩაბარებული წერილი	8.10379E-05	5.0329E-06	16.10161	1.51151E-24	7.09893E-05	9.10864E-05	7.09893E-05	9.10864E-05
ოპერატორის ჩაბარება	0.000125077	3.88266E-05	3.221412	0.00198176	4.75567E-05	0.000202597	4.75567E-05	0.000202597

სურათი 2. წრფივი რეგრესიული ანალიზი სამი დამოუკიდებელი ფაქტორის გათვალისწინებით

ფილიალები დავყავით მარტივ და რთულ უბნებად, თვისობრივ ფაქტორად სწორედ უბნის სირთულე ავიღეთ. უბნების სირთულე განვსაზღვრეთ შემდეგნაირად: მარტივ უბანს მივანიჭეთ ციფრი - 1, ხოლო რთულ უბანს - 2.

შემოვიღეთ ფიქტიური ცვლადები და საბაზისოდ ავირჩიეთ მარტივი უბანი, შესაბამისად რეგრესიულ განტოლებაში დავტოვეთ მხოლოდ ერთი ფიქტიური ცვლადი Q (რთული უბანი), If - ფუნქციის საშუალებით გამოვიყვანეთ ფორმულა და მივანიჭეთ სერვის ცენტრებს კოდები უბნის სირთულის მიხედვით, რის შემდეგადაც ავაგეთ წრფივი რეგრესიული მოდელი თვისობრივი ცვლადით (იხ. ცხრილი 2).

ინდექსი	1	კურიერის კოეფიციენტი	რთული	უბნების სირთულე	ჩაბარებული წერილი	ოპერატორის ჩაბარება	გასაცემი წერილები
0198	1	კურიერის კოეფიციენტი	რთული	უბნების სირთულე	ჩაბარებული წერილი	ოპერატორის ჩაბარება	გასაცემი წერილები
0198	2	0.72	0	1	3055	4	4241
0198	3	0.70	0	1	2723	3	3915
0198	4	0.72	0	1	2333	29	3275
0198	5	0.67	0	1	3360	34	3562
0102	1	0.64	0	1	7249	181	11521
0102	2	0.65	0	1	8426	346	13476
0102	3	0.70	0	1	9254	319	13749
0102	4	0.74	0	1	9131	333	12807
0102	5	0.69	0	1	8244	294	12400

ცხრილი 2. ფიქტიური ცვლადების შემოღება

აღმოჩნდა, რომ ყველა ცვლადი მნიშვნელოვანია, ამის შედეგად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს მიერ დამატებული ის ცვლადები, რომლებსაც რეიტინგების გამოვლენისას კომპანია ყურადღებას არ აქცევდა გასათვალისწინებელია. ესენია: რაოდენობრივი ცვლადი "ოპერატორის ჩაბარება" და თვისობრივი - „უბნების სირთულე".

Regression Statistics	
Multiple R	0.936579696
R Square	0.877181527
Adjusted R Square	0.869505372
Standard Error	0.030586762
Observations	69

ANOVA

	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*
Regression	4	0.427634529	0.106908632	114.2735622	2.08872E-28
Residual	64	0.059875201	0.00093555		
Total	68	0.48750973			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	0.600360253	0.010203745	58.83724687	1.93392E-57	0.57997593	0.620744577	0.57997593	0.620744577
რთული	-0.027559808	0.008105426	-3.400167616	0.001164257	-0.043752258	-0.011367358	-0.043752258	-0.011367358
გასაცემი წერილები	-4.56918E-05	3.60485E-06	-12.67508485	4.13478E-19	-5.28934E-05	-3.84903E-05	-5.28934E-05	-3.84903E-05
ჩაბარებული წერილი	7.46858E-05	4.71627E-06	15.83579667	8.067E-24	6.5264E-05	8.41077E-05	6.5264E-05	8.41077E-05
ოპერატორის ჩაბარება	0.000117555	3.42314E-05	3.434119754	0.001047891	4.91696E-05	0.00018594	4.91696E-05	0.00018594

სურათი 3. წრფივი რეგრესიული მოდელი თვისობრივი ცვლადით

აღსანიშნავია, რომ რეგრესიული მოდელის ვერიფიკაციის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ აგებული განტოლების კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შეფასებით. ასევე მნიშვნელოვანია მთლიანად მოდელის შეფასება, ანუ იმის დადგენა, შეესაბამება თუ არა მთლიანობაში მიღებული მათემატიკური მოდელი დაკვირვების მონაცემებს და საკმარისია თუ არა მოდელში ჩართული ამხსნელი ცვლადები შედეგობრივი ცვლადის აღწერისათვის.

ამისათვის, პირველ რიგში, განვსაზღვრეთ არსებობს თუ არა კორელაციური კავშირი მოდელში ჩართულ ცვლადებს შორის. დადგინდა, რომ ორ ცვლადს: „კურიერის ჩაბარებების რაოდენობასა" და „გასაცემი წერილების რაოდენობას" შორის ფუნქციონალური კავშირი არსებობს (იხ. ცხრილი N3). აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ ჩვენს განტოლებაში მულტიკოლინიარობას აქვს ადგილი. იმისათვის, რომ მოდელს მნიშვნელობა ჰქონდეს, საჭიროა მისი აღმოფხვრა.

	რთული	*გასაცემი წერილები*	*ჩაბარებული წერილი*	*ოპერატორის ჩაბარება*
რთული	1			
გასაცემი წერილები	0.109759	1		
ჩაბარებული წერილი	-0.02952	0.93364155	1	
ოპერატორის ჩაბარება	0.18611	0.70918483	0.498757874	1

ცხრილი 3. ცვლადებს შორის კორელაციური კავშირი

ის ცვლადი, რომელიც უფრო ახლოს იყო საშედეგო მაჩვენებელთან დავტოვეთ, ამ შემთხვევაში ეს ცვლადი აღმოჩნდა „ჩაბარებული წერილები", ხოლო ცვლადი „გასაცემი წერილები" გამოვრიცხეთ და ავაგეთ ახალი მოდელი უკვე სამი ფაქტორის გათვალისწინებით.

SUMMARY OUTPUT								
Regression Statistics								
Multiple R	0.754236731							
R Square	0.568873047							
Adjusted R Square	0.54897488							
Standard Error	0.056864019							
Observations	69							
ANOVA								
	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*			
Regression	3	0.277331145	0.092444	28.58922	6.61251E-12			
Residual	65	0.210178585	0.003234					
Total	68	0.48750973						
	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*	*Lower 95.0%*	*Upper 95.0%*
Intercept	0.570653658	0.018462657	30.90853	1.39E-40	0.533781186	0.607526	0.533781186	0.607526131
რთული	-0.06190063	0.014202099	-4.35856	4.76E-05	-0.090264179	-0.03354	-0.090264179	-0.033537081
ჩაბარებული წერილი	1.76077E-05	2.60578E-06	6.757172	4.65E-09	1.24036E-05	2.28E-05	1.24036E-05	2.28118E-05
ოპერატორის ჩაბარება	-0.000218327	4.0286E-05	-5.41943	9.36E-07	-0.000298784	-0.00014	-0.000298784	-0.000137871

სურათი 4. წრფივი რეგრესიული მოდელი სამი ფაქტორის გათვალისწინებით

სურათი 4-ში მიღებული რეგრესიის თანახმად შესაძლებელია ავაგოთ შემდეგი სახის განტოლება: **თვეების მიხედვით პროგნოზირებული რეიტინგები = 0.57 – 0,0619 X (უბნის სირთულე) + 0,00000176 X (ჩაბარებული წერილები) - 0,00022 X (ოპერატორის ჩაბარება).**

მოდელიდან ჩანს, რომ სამივე დამოუკიდებელი ცვლადი მნიშვნელოვანია. ANOVA ცხრილში მოცემული F signification = 6.61E-12 გვიჩვენებს, რომ ძალიან მცირეა სხვა ფაქტორების როლი.

დეტერმინაციის კოეფიციენტმა მართალია დაიწია, რაც არც თუ ისე სახარბიელო შედეგია, მაგრამ ვინაიდან ის 50%-ზე მაღალია, მოდელი შესაძლოა ვარგისიანად მივიჩნიოთ.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აგებული მოდელით ჩვენი მიზანი მიღწეული იქნა, ანუ გამოვავლინეთ ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ჩვენს საშედეგო პროგნოზულ მაჩვენებელზე. ესენია: „ოპერატორის მიერ ჩაბარებული წერილები“, „კურიერის მიერ ჩაბარებული წერილები“ და „უბნის სირთულე“, რომელთაგანაც ერთი ფაქტორი - „კურიერის მიერ ჩაბარებული წერილები“ პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენსპროგნოზულ მაჩვენებლზე, ხოლო დანარჩენი ორი ცვლადი უკუპროპორციულს.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტ-მომხმარებელთა სწრაფმა ზრდამ და მსოფლიო გლობალურ სივრცეში ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში ფოსტის როლი;
- ჩატარებული კვლევიდან დადგინდა, რომ „საქართველოს ფოსტის“ სერვის ცენტრების რეიტინგულ მაჩვენებლებზე მოქმედებენ სხვა ფაქტორებიც, რომელსაც კომპანია არ ითვალისწინებდა, ესენია: თვისობრივი ფაქტორი - „უბნის სირთულე“ და რაოდენობრივი - „ოპერატორების ჩაბარება“ ანუ სერვის ცენტრიდან გაცემული წერილები;
- ფოსტის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდამიანიჭოს უბნის სირთულეს,რაც ცხადყო ჩვენმა კვლევამ. ვინაიდან იმ სერვის ცენტრების კურიერები, რომელთაც უფრო რთულ უბნებში უწევთ მუშაობა, შესაძლებელია ჰქონდეთ უფრო ნაკლები წერილების ჩაბარების რაოდენობა, თუმცა ხარჯავდნენ მეტ დროს და რესურსებს, ამიტომ

რეტინგის გამოვლენა მხოლოდ პროცენტული დათვლებით შესაძლებელია არ იყოს სამართლიანი, რაც გასათვალისწინებელია;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეიტინგების დათვლისას ჩვენს მიერ გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინება ხელს შეუწყობს კომპანიის თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობისა და მოტივაციის გაზრდას, ეს კი ემსახურება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც კომპანიას წარმატების საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი. ეკონომეტრიკა, სახელმძღვანელო, თბილისი 2011, გვ. 125-187
2. Wayne L. Winston, MicrosoftOffice Excel2007: Data Analysis and Business Modeling (Business Skills)
3. Greene W.H. (2000). Econometric analysis. Prentice Hall, Upper Saddie River, New Jersey
4. Mikiashvili N. Mekantsishvili E (2008) Econometrics 1. Tbilisi, Sitkva
5. http://www.gpost.ge/

Anotation

Development of information technologies, and the rapid growth of Internet users in the world of global integration has significantly increased the role of the post office in Georgia.
The objective of research is to identify positive and negative factors that have an influence of the efficiency of the Georgian post office service centers. the research reveals that on the rating indicators of service centers influence also other factors. to consider the factors that we identified will help the company's employees to work more effectively and more motivated, and this serves improve the quality of services that is guarantee for success of company.

ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა საქართველოში

თეონა შარიქაძე
ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელიასოცირებული პროფესორი **გულნაზ ერქომაიშვილი**

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი და მისი მოქმედების შედეგები საქართველოში. მოცემულია მიზნობრივი ინფლაციის მიღწევის საშუალებები ტეილორის წესის გამოყენებით. ამ წესიდან გამომდინარე დადგინდა ერთი მთავარი პირობა, რომ თუ ეროვნული ბანკი ინფლაციის მიზნობრივ ტემპს აირჩევს, ის ამ ტემპის მიღწევას ნომინალური საპროცენტო განაკვეთის კორექტირებით უნდა ეცადოს. ეროვნულმა ბანკმა არა მხოლოდ მიმდინარე ინფლაცია უნდა გაითვალისწინოს გარკვეული პოლიტიკის გატარებისას, არამედ უმუშევრობის არსებული დონეც. ნაშრომში განხილული ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული გადაცემის მექანიზმი, ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მონეტარული პოლიტიკის

ცვლილებები აისახება ეკონომიკაზე. გადამწყვეტ როლს თამაშობს გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობა, რომლის საშუალებითაც მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე დაშემდგომ ინფლაციაზე. ჯერ-ჯერობით ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას უარყოფითი ეფექტი არგამოუწვევია საქართველოში, პირიქით ეს პოლიტიკა დადებითზე გავლენას ახდენს რეალური ეკონომიკის კლიმატზე.

საკვანძო სიტყვები: *ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირება, ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა საქართველოში.*

ინფლაციის თარგეთირება არის მონეტარული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ცენტრალური ბანკის გამოკვეთილი სამიზნე ინფლაციის არსებობას საშუალოვადიან პერსპექტივაში და აქვეყნებს საჯაროდ მოცემულ მაჩვენებელს. მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მონეტარულმა პოლიტიკამ მხარი უნდა დაუჭიროს ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფით.

ეს რეჟიმი შედარებით ახალ პრაქტიკას წარმოადგენს და 90–იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ წარმატებული გამოდგა ინფლაციასთან ბრძოლაში. აღნიშნული რეჟიმი პირველად ახალი ზელანდიის ცენტრალურმა ბანკმა დანერგა 1990 წელს.

მრავალ ქვეყანაში ცენტრალურმა ბანკებმა როგორც მოკლე, ასევე საშუალოვადიან პერიოდში, თავის უპირველეს მიზნად ინფლაციის დაბალი ტემპის მიღწევა დაისახა ანუ ინფლაციიის თარგეთირება:

- საშუალოვადიან პერიოდში მოცემული მიზნობრივი ინფლაციის მიღწევის მცდელობა ნომინალური ფულის მიზნობრივი ზრდის მიღწევასთან შედარებით აშკარაპროგრესად გამოიყურება. ყოველივე ამის შემდეგ, საშუალოვადიან პერიოდში მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი ინფლაციის მოცემული ტემპის შენარჩუნებაა. უკეთესია გვქონდეს მიზნობრივი ინფლაციის ტემპი, ვიდრე მიზნობრივი ნომინალური ფულის ზრდა, რომელმაც შეიძლება ინფლაციის სასურველი ტემპის მიღწევა არ განაპირობოს.
- მოცემული მიზნობრივი ინფლაციის მიღწევა მოკლევადიან პერიოდში, როგორც ჩანს, უფრო საკამათოა. მხოლოდ ინფლაციაზე ყურადღების გამახვილება,თითქოს გამოშვების რყევების შემცირებაში მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერ როლს მონიმუმამდე დაიყვანდა. მაგრამ, ფაქტობრივად, ასე არ ხდება.

ცენტრალურ ბანკს მიმდინარე ინფლაციაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ერთი მხრივ, მოლოდინების კონტროლით, რომელიც პროგნოზირებული ინფლაციის მაჩვენებლით აღიწერება და მეორე მხრივ, უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ცვლილებით.

დღესდღეობით, ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის საფუძველი არის საზოგადოების რაციონალური მოლოდინების მართვა. ამ შემთხვევაში ინფლაციის პროგნოზირებულ მაჩვენებელზე ზემოქმედებას ახდენს ეროვნული ბანკი, რის შედეგადაც საჭირო არ ხდება უმუშევრობის ცვლილება, იმისათვის რომ შევინარჩუნოთ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი.

ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები. მოცემულ განაკვეთში იგულისხმება რეფინანსირების განაკვეთი, რომელსაც ადგენს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი და ამტკიცებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.რეფინანსირების ანუ იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემულ ერთკვირიანი

სესხების მინიმალურ საპროცენტო განაკვეთს.მოცემული განაკვეთი პირდაპირ ზემოქმედებს ბანკთაშორისო განაკვეთებსა და კორპორაციული ბანკების მიერ მსესხებლებისთვის დაწესებულ განაკვეთზე.იმისთვის რომ მოხდეს მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა, საჭიროა მკვეთრი პოლიტიკის გატარება საპროცენტო განაკვეთების სპეციალურ ნიშნულზე დაფიქსირებითა და შედეგად გამოშვების რაოდენობაზე ზემოქმედების მოხდენით.

მიზნობრივი ინფლაციის მიღწევის საშუალებები

ზემოთ განხილულის გათვალისწინებით, ისმევა კითხვა, როგორ მიიღწევა მიზნობრივიინფლაცია. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯონ ტეილორმა დაასაბუთა რომ, რადგან ცენტრალური ბანკი ზეგავლენას დანახარჯებზე საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით ახდენს, ცენტრალურმა ბანკმა უშუალოდ საპროცენტო განაკვეთის და არა ნომინალური ფულის ზრდის ტემპის არჩევაზე უნდა იფიქროს. მან შემდეგ შემოგვთავაზა წესი, რომლის თანახმადაც, ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთის დაწესებას უნდა მიყვეს. ეს წესი, რომელიც ტეილორის წესის სახელითაა ცნობილი, მიყვება შემდეგ თანმიმდევრობას:$i = i^* + a (\Pi - \Pi^*) - b (U - U^*)$

- Π იყოს ინფლაციის ტემპი და Π^* კი ინფლაციის მიზნობრივი ტემპი.
- I იყოს ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და i^* მიზნობრივი ნომინალურისაპროცენტო განაკვეთი – ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საშუალო ვადიან პერიოდში დაკავშირებულია ინფლაციის მიზნობრივ ტემპთან, Π^* –სთან.
- U – უმუშევრობის დონეა, U^* კი უმუშევრობის ბუნებრივი დონე
- a და b არიან დადებითი კოეფიციენტები

წესი გვეუბნება, რომ:

- თუ ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის და უმუშევრობის ბუნებრივი დონისტოლია, მაშინ ცენტრალურმა ბანკმა უნდა დააწესოს ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მისი მიზნობრივი მაჩვენებლის ტოლი იქნება. ამ შემთხვევაში კი ეკონომიკამ შეიძლება შეინარჩუნოს ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის დონეზე, უმუშევრობა კი ბუნებრივი უმუშევრობის დონეზე;
- თუ ინფლაცია მიზნობრივზე მაღალია, ცენტრალურმა ბანკმა უნდა დააწესოს ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მიზნობრივ საპროცენტო განაკვეთზე მაღალი იქნება. მაღალი საპროცენტო განაკვეთი გაზრდის უმუშევრობას და უმუშევრობის ზრდა შეამცირებს ინფლაციას;
- როცა უმუშევრობის დონე მის ბუნებრივ დონეს აღემატება, ცენტრალურმა ბანკმა ნომინალური საპროცენტო განაკვეთი უნდა შეამციროს. უფრო დაბალი საპროცენტო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი გამოშვებას გაზრდის, რაც უმუშევრობის შემცირებას გამოიწვევს.

ამ წესიდან გამომდინარე დადგინდა ერთი მთავარი პირობა, რომ თუ ცენტრალური ბანკი ინფლაციის მიზნობრივ ტემპს აირჩევს, ის ამ ტემპის მიღწევას ნომინალური საპროცენტო განაკვეთის კორექტირებით უნდა ეცადოს. ცენტრალურმა ბანკმა არა მხოლოდ მიმდინარე ინფლაცია უნდა გაითვალისწინოს გარკვეული პოლიტიკის გატარებისას, არამედ უმუშევრობის არსებული დონეც.

ინფლაციის თარგეთირების საერთაშორისო მიმოხილვა

როგორ მუშაობს ინფლაციის თარგეთირება იმ ქვეყნებში, რომლებმაც ეს რეჟიმი მიიღეს? ფრედერიკ მიშკინმადაადამ პოსენმაგამოიკვლიეს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი იმ სამი ქვეყნის მაგალითზე, რომლებმაც პირველმა გადაწყვიტეს აღნიშნული პოლიტიკის გატარება. ეს ქვეყნებია: ახალი ზელანდია, კანადა, გაერთიანებული სამეფო.

ახალი ზელანდია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ფორმალურად დანერგა აღნიშნული რეჟიმი 1990 წელს. განსაკუთრებით წარმატებული იყო ის ამ ქვეყნისთვის, რადგან ახალი ზელანდიისთვის დამახასიათბელი იყო მაღალი და მერყევი ინფლაცია. ამ გამოცდილების საფუძველზე მან მიაღწია ეკონომიკურ ზრდას დაბალი ინფლაციის პირობებში, თუმცა ახალი ზელანდიის მაგალითიდან შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მოქცეულია ვიწრო სპექტრში. იგი იწვევს პოლიტიკური ინსტრუმენტების არასასურველ მოძრაობას. ამას შედეგად მოყვება მოლოდინების მექანიზმის გაუარესება ინფლაციის ძირითადი ტრენდის შენარჩუნების პირობებშიც.

ინფლაციასა და გაცვლით კურსს შორის კავშირის დანახვის შემდეგ ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა კურსი გამოეყენებინა როგორც ინფლაციის თარგეთირების ერთ–ერთი საშუალება. ამისათვის გამოიყენეს მონეტარული პირობების ინდექსი როგორც ფულად–საკრედიტო პოლიტიკის ინდიკატორი. ინდექსი წარმოადგენდა საშუალო შეწონილს გაცვლითი კურსისა და მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების.

კანადის გამოცდილება გვკარნახობს, რომ ინფლაციის თარგეთირება ნაკლებად ხისტი ინსტიტუციონალური სტრუქტურით არის წარმატების გარანტია. მოცემულმა რეჟიმმა კანადა უზრუნველყო დაბალი და სტაბილური ინფლაციის მაჩვენებლით, მიუხედავად იმისა რომ პასუხისმგებლობა ამ მხრივ ენიჭებოდა საზოგადოებას და არა მთავრობას სპეციალური კონტრაქტების საფუძველზე.

დიდმა ბრიტანეთმა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის გატარება 1992 წელს დაიწყო, მას შემდეგ რაც განიცადა უცხოური გაცვლითი კურსების კრიზისი. 1997 წლის მაისამდე ინფლაციის თარგეთირების პროცესი მიმდინარეობდა მკაცრი პოლიტიკური შეზღუდვების პირობებში. ეს გულისხმობდა ისეთი სისტემის არსებობას, რომელშიც მთავრობა და არა ცენტრალური ბანკი განკარგავდა მონეტარულ ინსტრუმენტებს. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა ბრიტანეთში ინფლაციის თარგეთირებამ მაინც უზრუნველყო დაბალი და სტაბილური ინფლაციის მიღწევა. ესეც აიხსნებოდა ბრიტანეთში გამჭირვალობის მაღალი მაჩვენებლით.

ჯერ–ჯერობით ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს უარყოფითი ეფექტი არ გამოუწვევია არც ერთ ქვეყანაში რომელიც ამ მეთოდს იყენებს, პირიქით, ეს პოლიტიკა დადებით ზეგავლენას ახდენს რეალური ეკონომიკის კლიმატზე.

ეროვნული ბანკის სტრატეგია და ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოში

ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველო წარმოადგენს მზარდ ეკონომიკას და მსგავსი ტიპის ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ინფლაციის და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპი, 2015-2016 წლებისთვის ეროვნულმა ბანკმა მიზნობრივი ინფლაცია განსაზღვრა 5 პროცენტით, 2017 წლისათვის კი - 4 პროცენტით, ხოლო 2018 წლიდან - 3 პროცენტით. გრძელვადიან პერიოდში, საქართველოს

ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოების პარალელურად, ეტაპობრივად შემცირდება ინფლაციის ოპტიმალური დონე და შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შემცირდება მის გრძელვადიან დონემდე.



კაპიტალის თავისუფალი მობილობის (ლიბერალიზებული კაპიტალის ანგარიშის) პირობებში, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მოითხოვს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის არსებობას. აღნიშნული რეჟიმის პირობებში სავალუტო ბაზარი ხასიათდება მოკლევადიანი რყევებით. ასეთი რყევები კიდევ უფრო დიდია საქართველოს მსგავს პატარა და ღია ეკონომიკის, მაღალი დოლარიზაციის მქონე ქვეყნებში, რაც უკავშირდება სავალუტო ბაზრის მცირე მოცულობასა და კაპიტალის მერყევ ნაკადებს. სამთავრობო თუ კერძო სექტორის ოპერაციებით გამოწვეული გაცვლითი კურსის გადაჭარბებული მერყეობის შემცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დროგამოშვებით ახორციელებს ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს არ გააჩნია გაცვლითი კურსის მიზნობრივი მაჩვენებელი.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა. 2010 წლის აპრილში მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გააქტიურების შემდგომ შემცირდა ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობა და შედეგად გაიზარდა ლარის ფულადი ბაზრის მოცულობა.ფულადი ბაზრის განვითარებამ საშუალება მისცა კომერციულ ბანკებს, უფრო ეფექტიანად მართონ ლიკვიდობა, რამაც ლარის რესურსს ბანკებისთვის უფრო მეტი მიმზიდველობა შესძინა.აღნიშნულის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ბანკების ვალდებულებების ლარიზაციის მაჩვენებელი. რეფინანსირების განაკვეთისადმი სანდოობის ზრდის პარარელურად კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს მსესხებლებისთვის ეროვნული ვალუტით ცვლადი განაკვეთით სესხების შეთავაზება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მონეტარული პოლიტიკის გადაცემა.

ოპტიმალური ინფლაციის დონე საქართველოში

რატომ შეიძლება იყოს მაღალი ინფლაცია დამაზიანებელი ეკონომიკისთვის და რატომ ცდილობს ეროვნული ბანკი დაბალი და სტაბილური ინფლაციის შენარჩუნებას. საქმე ის არის რომ, მაღალი ინფლაცია დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ხარჯებთან საზოგადოებისთვის, რაც საბოლოო ჯამში წარმოშობს კეთილდღეობის დანაკარგებს. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ფაქტორები რომლებიც მაღალი ინფლაციის შემთხვევაშ იწვევენ სარგებლიანობის დანაკარგებს:

მაღალი ინფლაცია და საინვესტიციო რისკი – მაღალი და ცვალებადი ინფლაცია აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, პირველ რიგში, როგორც საშინაო, ასევე უცხოურ ინვესტიციებზე აქვს უარყოფითი გავლენა. მიმდინარე პერიოდში მაღალი ინფლაცია ინვესტორებისთვის ქმნის

მაღალი ინფლაციის მოლოდინებს, შესაბამისად, სურვილი იმისა, რომ თანხები ჩადონ ისეთ ქვეყანაში, სადაც ინფლაცია არასტაბილურია, რა თქმა უნდა არ იქნება. თუ საქართველოს მაგალითს მოვიყვანთ, შეიძლება ვთქვათ, რომ პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს საკმაოდ დიდი წილი უჭირავთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტორები ძირითადად ეძებენ განვითარებად ქვეყნებს ფულის ჩასადებად, რადგან უკუგება განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით უფრო სწრაფად და დიდი რაოდენობით მიიღწევა.



კავშირი ქვეყნის ინფლაციას დონესა და საკრედიტო რეიტინგს შორის

მაღალი საკრედიტო რეიტინგის ქვეყნებში საშუალოდ უფრო დაბალი ინფლაციით ხასიათდებიან, ხოლო მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნები ინვესტორებისთვის უფრო სარისკო ქვეყნებად არიან მიჩნეულები.

ფასების სასიგნალო ფუნქციადა ფასების სტაბილურობის მნიშვნელობა

ფასების დონე წარმოადგენს ერთ–ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ეკონომიკაში. იგი განსაზღვრავს მომხმარებლის არჩევანს იმასთან დაკავშირებით თუ რა და სად შეიძინოს. ფასები წარმოადგენს გარკვეულ სიგნალს მწარმოებლისთვისაც, რადგან ისინი იგებენ თუ რისი წარმოება იქნება უფრო მომგებიანი მათთვის. მაღალი ინფლაციის შემთხვევაში, ფირმებისთვის და მომხმარებლებისთვის რთულია იმის გარჩევა ცალკეულ პროდუქციაზე ფასის ზრდა წარმოადგენს ფარდობით ზრდას სხვა პროდუქტებთან შედარებით, თუ ამავდროულად ფასი გაიზარდა ყველა პროდუქტზე ინფლაციური პროცესების გამო.

ფასების სტაბილურობა არის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც აუცილებელია მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. მაღალი ინფლაცია კი, რომელიც ამავდროულად დიდი რყევებითაც ხასიათდება, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერიოდში. ეროვნული ბანკის მიზანია ფასების ზრდის დინამიკის შემცირება საშუალოვადიან პერიოდში იმ დონემდე, რომელიც არ მოახდენს უარყოფით გავლენას ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე.

ქვეყანაში ფასების დონის ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) ცვლილება. (სფი) ინდექსის შეფასება ხდება სამომხმარებლო კალათის მიხედვით, რომელიც მოიცავს საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილ საქონელსა და მომსახურებას. შესაბამისად, კალათაში შესულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების მატება იწვევს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას.

									2016				
	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V
სულ	3.5	4.5	4.9	5.4	5.2	5.8	6.3	4.9	5.6	5.6	4.1	3.2	2.1
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.9	5.7	7.1	6.3	4.2	4.1	5.2	3.8	5.1	4.6	2.3	1.9	1.4
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	11.9	11.4	11.7	13.1	13.4	13.5	13.4	11.0	7.3	14.3	14.0	14.7	12.6
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-5.0	-3.3	-1.3	-0.9	-0.5	1.3	1.8	1.6	1.7	-0.4	-0.8	-1.1	-1.9
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	1.5	1.0	0.4	5.0	7.2	8.2	9.2	8.3	8.4	6.0	5.6	5.4	5.5
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	7.1	8.2	7.8	9.3	11.6	13.1	12.9	9.2	10.4	10.5	6.7	5.7	4.2
ჯანმრთელობის დაცვა	6.6	7.4	7.3	9.1	9.8	11.1	11.5	10.5	11.0	10.5	10.2	7.5	5.7
ტრანსპორტი	-3.2	-0.6	-0.9	-1.6	-1.8	-1.1	-1.6	-4.2	-1.6	-1.5	-3.6	-6.1	-8.3
კავშირგაბმულობა	1.1	0.9	0.1	0.3	0.6	0.5	0.5	0.1	0.4	4.6	3.9	3.2	2.9
დასვენება, გართობა და კულტურა	3.9	4.1	4.2	4.3	5.3	6.0	6.9	6.5	6.0	5.8	4.2	3.4	2.3
განათლება	3.3	2.9	3.0	3.3	3.7	4.3	4.3	3.8	3.7	3.4	2.5	2.1	1.6
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.6	3.9	5.1	6.1	4.7	6.5	6.2	5.5	6.5	7.4	7.1	7.0	6.1
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	6.2	8.1	8.1	8.0	8.5	8.7	9.5	8.9	8.3	6.9	5.7	4.6	2.7

„მენიუს ცვლილების დანახარჯები“

მაღალი ინფლაციის პირობებში ეკონომიკურ აგენტებს ხშირად უწევთ ფასების შეცვლა, რაც მათთვის პირდაპირ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც მენიუს ცვლილების ხარჯები ეწოდება. იქიდან გამომდინარე რომ ფასების ცვლილება ფირმებისთვის გარკვეულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ისინი უფრო იშვიათად ცვლიან ფასებს, ვიდრე ეს გამართლებული იქნებოდა მაღალი ინფლაციის პირობებში. შესაბამისად, ვითარდება ფასებისა და ხელფასების სიხისტე, რაც ამცირებს ფირმების, ისევე როგორც დასაქმებულების რეალურ შემოსავალს.

როგორც აღვნიშნეთ, მაღალი ინფლაციის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ტიპის დანახარჯი, მათ შორის მნიშვნელოვანია საინვესტიციო რისკი, ფასების სასიგნალო ფუნქციის დარღვევა და მენიუს ცვლილების ხარჯები.

რატომ არ არის ინფლაცია 0%–ის ტოლი?

მაღალ ინფლაციასთან დაკავშრებული ხარჯების შესახებ ზემოთ მოცემულ მსჯელობას ლოგიკურად მივყავართ იმ აზრამდე, რომ შესაძოა ეკონომიკისთვის ოპტიმალური იყოს ნულოვანი ინფლაციის შენარჩუნება. თუმცა არსებობს გარკვეული არგუმენტები, რომლებიც დაბალი პოზიტიური ინფლაციის სასარგებლოდ მეტყველებენ. მათ შორისაა: დეფლაციური რისკის თავიდან არიდება, ფასების ასიმეტრიული სიხისტე და ინფლაციის გაზომვისას სტატისტიკური ცდომილებები.

დეფლაციის რისკი

დაბალი ინფლაციის სასარგებლოდ ერთ-ერთი არგუმენტია დეფლაციური ზონისგან მოცილებით ყოფნა, რაც ქვეყანაში დეფლაციის რისკს ამცირებს. დეფლაცია შესაძლოა უფრო ხარჯიანი იყოს ეკონომიკისთვის, ვიდრე მაღალი ინფლაცია. აქედან გამომდინარე, დეფლაციის თავიდან არიდება მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. დეფლაციის ნეგატიური ზეგავლენის ყველაზე ცნობილი მაგალითია 90-იანი წლების იაპონია, რომლმაც დეფლაციურ სპირალს ვერ დააღწია თავი. დეფლაციური სპირალის არსი მდგომარეობს შემდგომში: თუ კი ფასები იწყებს შემცირებას ეკონომიკური აგენტები დაიწყებენ საკუთარი მომხმარების გადავადებას ფასების კიდევ უფრო შემცირების მოლოდინის გამო, რაც გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვმის შემცირებას, რაც თავის მხრივ დამატებით შეამცირებს ფასებს. საბოლოო ჯამში შესაძლოა მივიღოთ დეფლაციური სპირალი, სადაც ფასების შემცირებისა და მოთხოვნის შემცირების პროცესები ერთმანეთს აძლიერებენ და საბოლოო ჯამში რეცესიას იწვევენ ეკონომიკაში. ფასების კლების ფარალელურად წნეხის ქვეშ ექცევიან დებიტორებიც რადგან მათთვის ვალის წნეხი მატულობს, რადგან მათ მიერ აღებული ვალის რაოდენობა იზრდება, აქედან გამომდინარე ეს სიტუაცია სასარგებლო კრედიტორებისთვის ხდება.

ხელფასების ასიმეტრიული სიხისტე

დაბალი ინფლაციის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტია ხელფასების ასიმეტრიული სიხისტე, რაც იმას ნიშნავს , რომ ეკონომიკური შოკების შემთხვევაში დამსაქმებლებს უფრო ადვილად შეუძლიათ ხელფასების გაზრდა, ვიდრე მათი შემცირება.

ეკონომიკური ექსპერიმენტები ადასტურებენ, რომ რეალური ხელფასის განაკვეთის უცვლელად დატოვების შემთხვევაში, დასაქმებულებს ურჩევნიათ ნომინალური ხელფასი იზრდებოდეს, ვიდრე მცირდებოდეს. მაგალითი მდგომარეობს შემდეგში: დასაქმებულებს ურჩევნიათ 12% -იანი ინფლაციის პირობებში ნომინალური ხელფასი იზრდებოდეს 5% -ით, ვიდრე 0%–იანი ინფლაციის შემთხვევაში ხელფასი მცირდებოდეს 7%-ით. დასაქმებული რეალურად ერთსა და იმავე ხელფასს იღებს, თუმცა ნომინალური ხელფასის შემცირება ცუდად აღიქმება დასაქმებულების მხრიდან. ეს იწვევს მათი მოტივაციისა და პროდუქტიულობის შემცირებას. აქედან გამომდინარე ეკონომიკური რეცესიისას ფირმები ხარჯების შესამცირებლად უმეტეს შემთხვევაში ათავისუფლებენ დასაქმებულებს ან ამცირებენ სამუშაო საათების რაოდენობას, და იშვიათად უმცირებენ მათ ნომინალურ ხელფასს. შემცირების მიმართ ნომინალური ხელფასების სიხისტე ამცირებს ეკონომიკის მოქნილობას და შესაბამისად ქმნის კეთილდღეობის დანაკარგებს.

უარყოფითი რეალური საპროცენტო განაკვეთის შესაძლებლობა

როგორც ვიცით, ფირმებისა და ინდივიდების გადაწყვეტილებებს დაზოგვასა და ინვესტირებასთან დაკავშირებით განაპირობებს რეალური საპროცენტო განაკვეთი, რაც უფრო დაბალია იგი, მით უფრო ნაკლებად მიმზიდველია დაზოგვა. ამასთან, დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთის პირობებში, ფირმებს მეტი მოტივაცია აქვთ ინვესტირებისთვის. აქედან გამომდინარე ეკონომიკურ აქტივობასა და ფასებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს რეალურ საპროცენტო

განაკვეთზე. რომელიც შედგება ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა და მოსალოდნელი ინფლაციისგან. იმისათვის რომ ცენტრალურმა ბანკმა წაახალისოს ერთობლივი მოთხოვნა, უნდა მოხდეს რეალური საპროცენტო განაკვეთის შემცირება, რაც მიიღწევა ნომინალური განაკვეთის შემცირებით.

ზემოთ მოყვანილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ზედმეტად დაბალმა ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელმა შესაძლოა შეზღუდოს ცენტრალური ბანკის შესაძლებლობები, თუკი ნომინალური განაკვეთი ნულოვან საზღვარს მიაღწევს. 0%–თან ახლოს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის განსაზღვრა საგრძნობლად შეზღუდავს ცენტრალური ბანკის მოქმედების არეალს ეკონომიკური კრიზისის პირობებში. მეორეს მხრივ, რაც უფრო მოშორებით იქნება ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლი 0%–დან, ცენტრალურ ბანკს შეეძლება მით უფრო ნეგატიური გახადოს რეალური საპროცენტო განაკვეთი და ხელი შეუწყოს ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის წახალისებას, რაც დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ინფლაციის პოზიტიური სამიზნე მაჩვენებლის სასარგებლოდ.

ცდომილება ინფლაციის გაზომვისას

ინფლაციის გასაზომად ქვეყნების უმეტესობა სამომხმარებლო ფასების ინდექსს იყენებს, რომელიც იზომება სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ფასების მიხედვით. ნაკლი ის გააჩნია ამ ინდექსს, რომ ის ვერ ითვალისწინებს ბოლომდე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა გამოიწვიოს ინფლაციის მაჩვენებლის გადამეტება რეალურ ინფლაციასთან შედარებით.თუკი პროდუქციის ფასი უცვლელი დარჩა, ხოლო მისი ხარისხი გაუმჯობესდა, მივიღებთ, რომ იმავე ფასად მომხმარებელი უკეთეს პროდუქტს იღებს, რაც იმას ნიშნავს რომ მომხმარებლისთვის უცვლელი ხარისხის საფუძველზე დათვლილი ფასები შემცირდა.

იმისათვის, რომ ცენტრალურმა ბანკმა მიაღწიოს ფასების სტაბილურობას, ინფლაცია 1%-ის ფარგლებში უნდა შეინარჩუნოს. ინფლაციის ინდექსების ამ ნაკლოვანების გათვალისწინებით 0%-იანი ინფლაცია ამ შემთხვევაში რეალურად ფასების შემცირების ექვივალენტურია.

როგორ განისაზღვრება მიზნობრივი ინფლაცია

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი უნდა ასახავდეს ფასების ცვლილების ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ოპტიმალური იქნება ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორები. პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ სამომხმარებლო კალათის სხვადასხვა კომპონენტებზე ფასების ცვლილება არ არის ერთნაირი. აქედან გამომდინარე ინფლაციის 0%-მდე შემცირება გულისხმობს, რომ ზოგიერთ საქონელზე ან მომსახურებაზე ფაქტობრივად უნდა იყოს დეფლაცია. ინფლაციის დადებითი მიზნობრივი მაჩვენებელი კი საშუალებას იძლევა აცილებულ იქნას დეფლაციის რისკი და მისი უარყოფითი შედეგები ეკონომიკაზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ინფლაციის შესაფასებლად გამოყენებულ CPI ინდექსს ახასიათებს გარკვეული ცდომილება (გვიჩვენებს უფრო მაღალ ინფლაციას ვიდრე რეალურად არის), რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

1. CPI ინდექსი არა პირდაპირ აფასებს სამომხმარებლო ხარჯების ცვლილებას, არამედ ეყრდნობა საშუალო მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფიქსირებული კალათის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, ვერ იქნება გათვალისწინებული მომხმარებლის მიერ გაძვირებული პროდუქციის სანაცვლოდ მისი საქონელ-ჩამნაცვლებლის გამოყენება.
2. დროთა განმავლობაში ხდება საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მასზე ფასის მატება შეიძლება ამით იყოს განპირობებული. თუმცა ხარისხის ცვლილებით გამოწვეული ფასის მატება შეუძლებელია სრულყოფილად გამოიყოს სამომხმარებლო ფასის ინდექსის გამოთვლისას.
3. ბაზარზე მუდმივად გამოდის ახალი პროდუქცია, რომელიც ჩაანაცვლებს სამომხმარებლო კალათაში შეტანილს. ამის ასახვა კი ხდება დროში დაყოვნებით.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დადგენისას მხედველობაში მიიღება ქვეყნის ზრდის ტემპი და თუ როგორ ვითარდება პროდუქტიულობა სავაჭრო და არასავაჭრო სექტორებში. ზოგადად, განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებიან პროდუქტიულობის უფრო მაღალი ზრდის ტემპით, ვიდრე ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სავაჭრო სექტორებში. პროდუქტიულობის ზრდა სავაჭრო სექტორში, რასაც თან ახლავს ამ სექტორში ხელფასების მატება, შრომითი რესურსების მობილურობის პირობებში, იწვევს ხელფასების დონის ზრდას არასავაჭრო სექტორისთვისაც (იმ შემთხვევაშიც კი თუ არასავაჭრო სექტორში პროდუქტიულობა არ შეცვლილა). საბოლოოდ, გაზრდილი ხელფასების ფონზე ვიღებთ გაზრდილი ფასების დონეს მთელს ეკონომიკაში. მაშასადამე, რაც უფრო მაღალია ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით კი სავაჭრო სექტორში, მისთვის დამახასიათებელი იქნება ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი. საქართველოში არასავაჭრო სექტორთან შედარებით სავაჭრო სექტორში პროდუქტიულობის უფრო სწრაფი ზრდის შედეგად მიღებული ინფლაცია უხეში შეფასებით 2%-ს შეადგენს. დროთა განმავლობაში, პროდუქტიულობის ზრდის ტემპის შემცირებასთან ერთად, ეროვნული ბანკი თანდათანობით შეამცირებს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელს. გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონეს წარმოადგენს წლიური ინფლაცია 3%-ის ოდენობით. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ფორმულირება არის ორიენტირებული მომავალზე (Forward-looking policy) და მისი განსაზღვრა ხდება არა ქვეყნის მიმდინარე ინფლაციის დონის მიხედვით, არამედ საპროგნოზო მაჩვენებლისა და ეკონომიკური აგენტების ინფლაციის მოლოდინის გათვალისწინებით.

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მონეტარული პოლიტიკის ცვლილებები აისახება ეკონომიკაზე. შესაბამისად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანის-მიზნობრივი ინფლაციისმისაღწევად გადამწყვეტ როლს თამაშობს გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობა, რომლის საშუალებითაც მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და შემდგომ ინფლაციაზე.მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ერთობლივ მოთხოვნაზე სხვადასხვა არხებით ზემოქმედებს. საქართველოში საპროცენტო განაკვეთების გადაცემა ეკონომიკაზე ხდება შემდეგი არხებით:

✓ საკრედიტო არხი

✓ გაცვლითი კურსის არხი

✓ საპროცენტო განაკვეთების არხი
✓ მოლოდინის არხი

საკრედიტო არხი

ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ცვლილება (მაგალითად პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ზრდა) ზეგავლენას ახდენსქვეყნის ეკონომიკაზე კრედიტების მიწოდებისცვლილების საშუალებით.პოლიტიკის განაკვეთის აწევა თავდაპირველად გადაეცემა ფულად ბაზარს და აისახება მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე. შემდგომ კი გავლენას მოახდენს გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პირობებში რთულდებაკრედიტის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე მცირდება კარგი საკრედიტო პროექტების რაოდენობა, რაც იწვევს ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობის შემცირებას. საბოლოოდ კი ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და ფასების დონეზე.

ამასთანავე, საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად მატულობს კომპანიების მიერ „მორალური რისკის“ (Moral Hazard) წარმოქმნის საფრთხე, ვინაიდან მათ უჩნდებათ დაინტერესება ჩაებან უფრო სარისკო საინვესტიციო პროექტებში დიდი შემოსავლიანობის მისაღებად. აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთების ზრდა არის სიგნალი ბანკებისათვის, რომ ეკონომიკაში გაიზარდა რისკები და შესაბამისად მკაცრდება სესხის გაცემის პირობები. ამავდროულად, გაზრდილი საპროცენტო გადასახადების ფონზე იზრდება სესხის მომსახურების მოცულობის თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან, რაც ბანკების უფრო კონსერვატორული საკრედიტო პოლიტიკაზე გადასვლას განაპირობებს. აღნიშნულის შედეგად მცირდება ბანკების მხრიდან ეკონომიკის დაკრედიტება.

საბოლოოდ კი, შემცირებული დაკრედიტების ფონზე, კლებულობს ერთობლივი მოთხოვნა და ფასების დონე. პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას კი საპირისპირო შედეგი აქვს, და იწვევს დაკრედიტების ზრდას და ინვესტიციების წახალისებას. შედეგად იზრდება ერთობლივი მოთხოვნა.





საკრედიტო არხი

გაცვლითი კურსის არხი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე ვალუტის კურსის ცვლილების გზით. სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებზე მოთხოვნის ზრდას და ამყარებს ეროვნულ ვალუტას. გაცვლითი კურსის გამყარება ამცირებს იმპორტირებული საქონლის ფასს და პირიქით კურსის გაუფასურება იწვევს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდას. აღსანიშნავია, რომ კურსის გამყარება და გაუფასურება თანაბრად (სიმეტრიულად) არ აისახება ფასების დონის ცვლილებაზე: კურსის გაუფასურება უფრო მეტად გაზრდის ფასებს, ვიდრე კურსის გამყარება შეამცირებს მათ.

გარდა ამისა გაცვლითი კურსის გამყარება ზრდის იმპორტზე მოთხოვნას და შესაბამისად ამცირებს ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნას. კურსის გაუფასურების პირობებში კი მოთხოვნა იმპორტიდან გადაინაცვლებს ადგილობრივ ბაზარზე.



საპროცენტო განაკვეთების არხი

ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ზრდა პირდაპირ აისახება საბანკო სექტორის მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე. მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება გადაეცემა უფრო გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს და საბოლოო ჯამში საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი იწვევს დანაზოგების ზრდას და

ამცირებს ფირმების ინვესტიციებსა და სამომხმარებლო დანახარჯებს. სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული პროცესი ერთობლივი მოთხოვნის შებოჭვას და შედეგად ფასების დონის შემცირებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის გამო აღნიშნული არხის მოქმედება შეზღუდულია მხოლოდ ლარის სესხებისთვის და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით ეროვნული ბანკი ვერ მოახდენს გავლენას უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებზე.

ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებობს კავშირი და რაც უფრო მაღალია ეს კორელაცია, მით უფრო ეფექტიანი იქნება გატარებული მონეტარული პოლიტიკა.



მოლოდინის არხი

გარდა განხილული არხებისა, ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური აგენტების მოლოდინის ფაქტორი. როდესაც ქვეყანაში მოსალოდნელი ინფლაციის დონე აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს და ეროვნული ბანკი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას ერთობლივი მოთხოვნის შესაბოჭად, საზოგადოებაში შეიძლება წარმოიშვას ორგვარი მოლოდინი. ერთი მხრივ, ხალხს შეიძლება გაუჩნდეს დადებითი მოლოდინი, რომ მომავალი უარყოფითი ფაქტორები იქნება განეიტრალებული, ხოლო მეორე მხრივ შესაძლოა წარმოიშვას მოსაზრება, რომ ეკონომიკური სიტუაცია არის უფრო ცუდი, ვიდრე ელოდნენ. თუ მაღალია ხალხის ნდობა მონეტარული პოლიტიკისადმი, მოლოდინები იქნება დადებითი და შემცირდება მოლოდინების მხრივ გამოწვეული ზეწოლა ფასების დონეზე. რაც უფრო დიდია ნდობა მონეტარული პოლიტიკისადმი, მით უფრო ეფექტური ხდება აღნიშნული არხი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი შედარება სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების ინსტრუმენტებთან

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტისთვის საოპერაციო ორიენტირს წარმოადგენს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიღწევაც აუცილებელია ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ოპერაციული ორიენტირის მისაღწევად სებ-ი იყენებს საოპერაციო ჩარჩოს, რომელიც შედგება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და პროცედურებისაგან. საოპერაციო ჩარჩო განსაზღვრავს თუ როგორ შეიძლება არსებული ინსტრუმენტებით ფულად ბაზარზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის მიღწევა. სებ-ის საოპერაციო ჩარჩო შედგება შემდეგი ინსტრუმენტებისაგან:

- ✓ რეფინანსირების სესხები;
- ✓ სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები;
- ✓ სახაზინო ობლიგაციების აუქციონები;
- ✓ ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები;
- ✓ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში კი წარმოდგენილია ქვეყნები, რომლებიც იყენებენ ინფლაციის თარგეთირების მეთოდსდა მათი ცენტრალური ბანკების მთავარ ინსტრუმენტებს.

	მთავარი ინსტრუმენტები	**მთავარი ინსტრუმენტების ტიპები**	**ხანგრძ-ლივობა**	**აუქციონების სიხშირე**	**საპროცენტო განაკვეთების კორიდორი**
ჩეხეთი	რესპოტენდერები	ლიკვიდურობის შეწოვა	2 კვირა	სამჯერ კვირაში	+ / – 0,22pp
პოლონეთი	რეგულარული NBP-ის ჩეკების გამოშვება	ლიკვიდურობის შეწოვა	7 დღე	ერთხელ კვირაში, პარასკევობით	+/ - 1 pp
უნგრეთი	სამთვიანი MNB დეპოზიტები	ასახავს მონეტარული პოლიტიკის პოზიციასა და ცვლილებებს	3 თვე	ყოველკვირეუ ლად	+ / - 1.5pp
სერბეთი	სარეზერვო რეპო ტრანზაქციები	ღია ბაზრის ოპერაციების განხორციელება	1 კვირა	წინასწარ შედგენილი კალენდრის მიხედვით	+/ - pp

დასკვნები და რეკომენდაციები: მოცემულ თემაში განხილულია მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკა - ინფლაციის თარგეთირება. შედარებულია ის აქამდე დამკვიდრებულ ტრადიციულ მონეტარული თარგეთირების რეჟიმს და გამოვლენილია მისი ძირითადი უპირატესობები. ახსნილია მისი მოქმედების მექანიზმი და ამ პოლიტიკის გატარების გზები. გადმოცემულია მოცემული რეჟიმის გამტარებელი წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითები, განხილულია მათი ცენტრალური ბანკების მთავარი ინსტრუმენტები და ახსნილია ინფლაციის თარგეთირების მნიშვნელობა ეკონომიკის ზრდის პროცესში.

აღნიშნულია, რომ საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკის როლი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, რომელიც სწორი მონეტარული პოლიტიკის არჩევის საშუალებით თუ განხორციელდება, სწორედ ესაა ინფლაციის თარგეთირების მთავარი მიზანიც, რომელსაც ისახავს ჩვენი ეროვნული ბანკი. ნაშრომში აღნიშნულია ის მექანიზმები, რომლითაც ეროვნული ბანკი იყენებს ამ პოლიტიკის გატარებისას სასურველი შედეგის მისაღებად. საქართველოს ეკონომიკა ქმნის სასურველ გარემოს თავისუფლად განხორციელდეს არსებული პოლიტიკა, მთავარია საზოგადოებაში განმტკიცდეს ნდობა ცენტრალური ბანკის მიმართ, რომლის ჩამოყალიბებაშიც მოლოდინებს დიდი როლი მიუძღვით, და ჩამოყალიბდეს მყარი ორმხრივი კომუნიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პოლ კრუგმანი- საერთაშორისო ეკონომიკა (სახელმძღვანელო), 2000
2. ოლივერ ჯინ ბლანშარდი – მაკროეკონომიკა (სახელმძღვანელო), 2015
3. ინფლაციის თარგეთირებისჩარჩო განვითარებად ქვეყნებში – საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ოქტომბერი, 1997
4. Friedman M., Schwartz A. Money and Business Cycles. Cheltenham, U.K. and Northampton, Mass.: Elgar, 1999
5. Masson, Paul R., Savastano, Miguel A. and Sharma, Sunil. "The Scope for Inflation Targeting in Developing Countries," IMF Working Paper 97/130, October, 1997.
6. http://geostat.ge
7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
8. http://www.imf.org/external/country/
9. https://www.cnb.cz/en/
10. http://www.nbp.pl/homen.aspx?f=/srodeken.htm
11. https://www.mnb.hu/en
12. http://www.nbs.rs/internet/english/

Annotation

The research above is about inflation targeting policy and its outcomes in Georgia. Discussed above shows that inflation targeting can be achieved using Taylor rules. According to this rules one important condition was found, if national bank comes to choose inflation targeting, chosen pace should be achieved by the adjustment of a nominal interest rate. National bank needs to take into account not only current inflation when registering policy, also existent unemployment rate. The study above shows that for achieving inflation targeting national bank uses transmission mechanism. This mechanism is a process through which monetary policy affects economy. Key role in the transmission mechanism has effectiveness, through which short-term interest rates have an impact on aggregate demand and further on inflation itself. So far, inflation targeting policy have not caused any negative effect in Georgia. On the contrary, this policy has a positive impact on the real economy climate.

ცოდნის ინკუბაცია

დავით შატაკიშვილი, ანდრო კიკაბიძე

ბაკალავრიატის VI და VIII სემესტრის სტუდენტები

მეცნიერ-ხელმძღვანელი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი **გულადი ნაკაშიძე**

ანოტაცია

სტატია არის ინოვაციური, უნიკალური და ახალი პროექტის იდეის შესახებ, რომელიც უკვე მრავალი წელიწადია წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას მსოფლიო მასშტაბით. წარმოდგენილი პროექტია - ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას დახვეწონ და განავითარონ თავიანთი ბიზნეს იდეები პროფესიონალთა

დახმარებით, გაიუმჯობესონ ბიზნესის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გახდნენ მეტად მოთხოვნადი შრომის ბაზარზე, რაც აუცილებლად დაეხმარებათ მათ წარმატების მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაცია, ბიზნეს-იდეა, წარმატებული სტარტაპები, ტენდეციები, ბიზნეს-ტექნოლოგიები*

ბიზნეს ინკუბატორი არის ახალი და უნიკალური პროექტი საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდა თაობაზე, იმ ხალხზე, რომელთაც სურვილი აქვთ დაიწყონ ახალი ბიზნესი ან გააფართოვონ უკვე არსებული. პროექტის ფარგლებში ყველაზე წარმატებული სტარტაპები ხვდებიან მსოფლიო დონის წარმატებულ ბიზესმენებს, ინვესტორებს, ბიზნეს ანგელოზებს და მათ წინაშე ახდენენ საკუთარი თავისა და იდეის პრეზენტაციას. ინკუბატორის მიზანია გავცეთ პასუხი შემდეგ შეკითხვას: როგორ დავიწყოთ ბიზნესი? როგორ გავხადოთ ის წარმატებული?

საკითხის გადაწყვეტაში სტუდენტებს დაეხმარებიან ლექტორები, შემდგარი ბიზნესმენები, საერთაშორსიო გამოცდილების მქონე მენეჯერები.

სტუდენტებს შეეძლებათ:

- კვალიფიციური ბიზნეს წინადადების მომზადება;
- პოტენციური ინვესტორების მოზიდვა;
- წარმატებული სტარტაპების, ტენდეციების და გარემოს ანალიზი;
- თანამედროვე პრაქტიკაში დანერგვა;
- იდეების საერთაშორისო ბიზნეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- პრაქტიკული რჩევების მიღება ინვესტორებისგან.

პირველი ბიზნეს ინკუბატორი დაარსდა 1959 წელს აშშ-ში, მას შემდეგ დაიწო უზარმაზარი ზრდა სტარტაპ-ის. (სტარტაპი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს ადგილობრივი სამეწარმეო სექტორის განვითარების). დღესდღეობით აშშ-ში ფიქსირდება დაახლოებით 1,200 საინკუბაციო პროგრამა, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით 7,000.

ბიზნეს ინკუბატორები 21-ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხელშემწყობ უმთავრეს მექანიზმად იქცა. ინკუბაციის კულტურა მსოფლიოში დღითიდღე ვითარდება. "ბიზნეს ინკუბატორების ეროვნული ასოციაციის (NBIA) 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მსოფლიოში 7000-მდე მოქმედი ინკუბატორია, რომელთაც ათი ათასობით დამწყებ ბიზნესს მისცეს განვითარებისა და ზრდის საშუალება. იმ სტარტაპების 87% კი – რომლებმაც გაიარეს ბიზნეს ინკუბაციის პროგრამა – წარმატებით აგრძელებს საქმიანობას საკუთარ ბაზარზე.

და მაინც, რა არის ბიზნეს ინკუბატორი? ბიზნეს ინკუბაცია სათავეს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იღებს, როდესაც ინდუსტრიული სამყარო ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდიდა. 1959 წელს, მძიმე დანადგარების მწარმოებელმა კომპანია "ბატავიამ" (ნიუ იორკი) კრახი განიცადა. საზოგადოების ვარაუდით ამ ფაქტს მთელი ქალაქის ეკონომიკისთვის ძლიერი დარტყმა უნდა მიეყენებინა. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი მთელი ამერიკის მომავალი ეკონომიკის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მთავარი ზეგავლენის მქონე ფაქტორი გახდებოდა. "ბატავიას" აღარაფერი დარჩენოდა, გარდა 850,000 კვადრატული ფუტის ფართობის შეუხედავი შენობა. ადგილობრივმა მაცხოვრებელმა, ჯო მანუკუზომ, გადაწყვიტა, შეეძინა ის რაც ამ დიდი კომპანიისაგან დარჩა. იგი იმედოვნებდა, რომ ამ ადგილს გადააქცევდა ახალი

ბიზნესებისა და სამუშაო ადგილების დაბადებისა და განვითარების ადგილად. მან საოფისე ფართის იაფად გაქირავებითა და საერთო სამუშაო გარემოს შექმნით შექმნა სისტემა, რომელიც სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ მექანიზმად იქცა. დღეისათვის, NBIA-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წლის ოქტომბრისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში 1250-მდე მოქმედი ბიზნეს ინკუბატორია, რომელთაც 27000-მდე დამწყები ბიზნესის განვითარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, იმ სტარტაპებმა, რომლებმაც ინკუბაციის პროგრამა გაიარა, შექმნა 200,000-მდე სამუშო ადგილი და 17 მილიარდამდე შემოსავალი ქვეყნის ეკნომიკაში.

ბიზნეს ინკუბატორი, ეს არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური და კრეატიული იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა სახის შეღავათიან პირობებში გაიარონ საკუთარი ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ბიზნეს ინკუბატორი შესაძლოა საკუთარ კლიენტს სთავაზობდეს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა:

- იაფი საოფისე ფართი და წვდომა ინტერნეტთან;
- ბიზნეს ტრენინგები;
- პროფესიონალური მენტორობა და კონსულტაციები ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: მარკეტინგი, ბუღალტერია და ფინანსების მართვა, სამუშაო გუნდის მშენებლობა და ა.შ.;
- კავშირი სტრატეგიულ პარტნიორებთან;
- წვდომა საბანკო სექტორთან, ასევე პირდაპირი ურთიერთობა ინვესტორებთან.

ბიზნეს ინკუბატორები შესანიშნავ საშუალებას იძლევა დამწყები ბიზნესების რისკების შესამცირებლად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ სტარტაპებიდან, რომლებიც ინკუბაციის პროგრამას გადიან, 87% წარმატებით აგრძელებს საკუთარ სამომავლო საქმიანობას. NBIA-ის კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტარტაპი ინკუბაციის პერიოდში 400%-იან ზრდას განიცდის, ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული ხარჯები კი 40-50%-ით მცირდება.

საქართველოში არსებული ბიზნესის კვლევამ აჩვენა რომ ყველაზე მეტად მას აკლია ინოვაციურობა. ეს ინოვაციურობა კი სწორედ ახალი იდეების გენერირებას მოაქვს. ქართული ბიზნესის გარშემოში კი არ არსებობს ისეთი სივრცე, სადაც ადამიანს შეეძლება, რაიმე იდეის არსებობის შემთხვევაში მივიდეს და მიიღოს კონკრეტული რჩევები და შენიშვნები. ჩვენთან არ არსებობს გარემო, სადაც ადამიანებს კონკრეტული იდეების არსებობის შემთხვევაში კომპეტენტური ადამიანები გაუწევენ დახმარებას, რათა მათი იდეები აქციონ რეალურ ბიზნესად. სწორედ ამას ემსახურება ინკუბატორი. ბიზნეს ინკუბატორის მიზანია, მონაწილეობა მიიღოს წარმატებული კომპანიის ჩამოყალიბებაში. იგულისხმება, რომ ეს კომპანიები დატოვებენ პროგრამას, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი და ძლიერი ერთეულები. ინკუბატორის პროგრამის მონაწილეებს აქვთ უნარი, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, განავითარონ შესაბამისი სექტორი, მოახდინონ ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ამგვარად გააძლიერონ, როგორც ადგილობრივი (რეგიონის), ასევე ქვეყნის ეკონომიკა.

მსოფლიო პრაქტიკაში, უკვე მრავალი წელია აქტიურად იყენებენ ბიზნეს ინკუბატორს პრაქტიკას.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ ინკუბატორი სტუდენტებსა და ლექტორებს მისცემს შესაძლებლობას გააგრძელონ თანამშრომლობა სააუდიტორიო გარემოს გარეთ, გახდნენ პოტენციური პარტნიორები და მოხდეს ცოდნის გაზიარება, იმ ახალი თაობისათვის რომელიც მომავალ სამუშაო ძალას წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე.

საქართველოში ინკუბატორის იდეა გაიზიარეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლამ და კავკასიის ბიზნეს სკოლამ, მათი შეფასებით ეს არის საუკეთესო პროექტი, რაც ბოლო წლების განმავლობაში დაუნერგავთ.

ბიზნეს ინკუბატორები მსოფლიოში არსებობენ 1950 წლიდან. როგორც წესი ისინი მიბმულია უნივერსიტეტებს, რადგან ეს დაწესებულებები უზრუნველყოფენ დაინტერესებულ სტუდენტებს სხვადასხვა რესურსებითა და წყაროებით მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ამჟამად ინკუბატორთა ახალი თაობა უმეტესწილად დაფუძნებულია ტექნოლოგიაზე რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება. ეს სტარტაპები გვთავაზობენ პროფესიონალ მენტორებთან კონსულტაციებს, რესურსებს, როგორებიცაა საოფისე ფართი და სათათბირო ოთახი, საჭიროების შემთხვევაში ხდება თანხების გამოყოფა. მაქსიმალურად ხდება მათი ხელშეწყობა.

პაულ გრაჰამი რომელიც არის Y ინკუბატორის დამაარსებელი იწოდება სტარტაპ ინკუბატორთა „მამად“. (Y ინკუბატორმა დააფუძნა Dროპბოხ, რომელიც არის ფაილების შესანახი ბაზა და მისი ღირებულება 4 ბილიონი დოლარია). მას შემდეგ რაც გრაჰამმა თავისი ინკუბატორი აამუშავა 2005 წელს, მას შემდეგ 100 - ზე მეტი შესრულებული იდეა გამოვიდა მსოფლიო მასშტაბით.

ტოპ ბიზნეს სკოლების მსგავსად, სტარტაპ ინკუბატორები არის პრაქტიკულად იმის გამომჟღავნება თუ რა ცოდნას იღებენ სტუდენტები. ჰარვარდის ბიზნეს სკოლა აქტიურად იყენებს ინკუბატორს თავის სტუდენტების უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. მათი ლოზუნგია: “Can’t Teach Entrepreneurship”, რაც გულისხმობს რომ უნივერსიტეტს არ შეუძლია ასწავლოს ინდივიდს მეწარმეობა, ის შეიძლება დაეხმაროს გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

სიმართლე არის ის, რომ არასდროს იქნება ადამიანი ყველანაირად მზად ბიზნესის დასაწყებად. ერთ - ერთი წარმატებული სტარტაპ-ის წამომწყები ქეთრინ მინშეუ ამბობს: „მე ვიგრძენი, რომ უფრო მეტს ვისწავლიდი საკუთარი ბიზნესის მართვით, ვიდრე მათგან, ვინც უკვე მართავს წარმატებულ კომპანიებს“.

ასევე უნდა ავღნიშნოთ რომ ყოველწლიურად ტარდება კვლევა საუკეთესო ინკუბატორების გამოსავლენად. მსოფლიოს ტოპ 25 ინკუბატორში შესულია ასევე საქართველოს მეზობელი ქვეყნების ინკუბატორები: რუსეთის „ Business-Incubator of National Research University Higher School of Economics “ იკავებს მე-14, ხოლო თურქეთის „ Istanbul Technical University “ მე-18 ადგილს.

ჩვენი ნაშრომის ძირითადი იდეაც სწორედ ამაში მდგომარეობს, საუნივერსიტეტო გარემო გავხადოთ კომფორტული სტუდენტებისათვის და მივცეთ მათ საშუალება განავითარონ თავიანთი სამეწარმეო უნარ-ჩვევები. რაშიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პროფესორ-მასწავლებლების, მოწვეული მრჩევლების და ცნობილი ბიზნესმენების გამოცდილება. სწორედ ამის შესაძლებლობას იძლევა ვირტუალური ინკუბატორი, სადაც ერთ სივრცეში შეუძლია მუშაობა თითოეულ ჩამოთვლილ ინდივიდს.

ონლაინ ინკუბატორი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საუნივერსიტეტო სივრცეზე, თეორიულ ცოდნას შეავსებს პრაქტიკული გამოცდილებით და სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიღებული ცოდნა გამოიყენონ რეალურ სივრცეში, ასევე ხელს შეუწყობს ბაზარზე არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, რაც გულისხმობს არაკვალიფიციური კადრების შემცირებას, მეწარმეობის გაზრდას, რაც თავისი მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად სჭირდება უნივერსიტეტის სტუდენტებს მსგავსი სამუშაო სივრცე გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა მცირე გამოკითხვა სტუდენტებსა და მასწავლებელ-პროფესორებს შორის. წინასწარ შევარჩიეთ კითხვარები ორივე სამიზნე აუდიტორიისათვის. შემთხვევითობის პრინციპით გამოვკითხეთ 300-მდე სტუდენტი და 50-მდე პროფესორ-მასწავლებელი. შედეგებმა მოლოდინი გაამართლა. კითხვარი ძირითადად ხაზს უსვამდა უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობას.

სტუდენტების 51,9% ფიქრობს რომ უნივერსიტეტში მიღებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა არ შეესაბამება მათ მოთხოვნებს. რის შედეგადაც მათ უმრავლესობას (54%) დაბრკოლებას უქმნის მიღებული ცოდნით სტარტაპ იდეის განხორციელება.

ანალოგიურად ვეცადეთ გარკვეული მონაცემები მიგვეღო პროფესორ-მასწავლებლებისგან:

შედეგებიდან ჩანს რომ, 92,3 % ფიქრობს, რომ სტუდენტების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა არ შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე უნივერსიტეტში ჭარბობს თეორიული ცოდნა, პრაქტიკულს, რაც სრულ დისბალანსს ქმნის. გამოკითხული პროფესორ-მასწავლებლების სრულმა წარმომადგენლობამ, გამოთქვა მზადყოფნა სტუდენტთან ითანამშრომლოს არასაუდიტორიო საათებში.

საბჭოური განათლების სისტემიდან ევროპულზე გადმოსვლამ რეალურად ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა საგანმანათლებლო სივრცეში, საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს და შემოიტანა ახალი სასწავლო პროგრამები (სილაბუსები), მიუხედავად ამისა მაინც ვერ მოვახდინეთ ბოლომდე აღმოგვეფხვრა საბჭოური სტრუქტურა, რაც სწორედ იგულისხმება უნივერსიტეტებში მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე ყურადღების გამახვილებას, მაშინ როდესაც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები ცდილობენ რაც შეიძლება მეტად კონკურენტუნარიანი გახადონ თავიანთი სტუდენტები პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

სწორედ ეს წარმოადგენს პრობლემას უნივერსიტეტებში, მაშინ როდესაც სტუდენტი ვერ ხედავს რეალურ შესაძლებლობებს და ვერ იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინკუბატორი „თშU Iნცუბატორ" მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საუნივერსიტეტო სივრცეში, სტუდენტთა მომავალი განვითარების კუთხით.

ინკუბატორში მუშაობის პრინციპი ემყარება შემდეგს:

ეს არის სივრცე სადაც დამოუკიდებლად შეუძლია იმუშაოს სტუდენტმა და მენტორმა, შესაბამისად, ცალ-ცალკე შემუშავდა მენტორისა და სტუდენტის სამუშაო სივრცეები.

მარტივი სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ სამუშაო სივრცის ათვისება და გამოყენება. ინკუბატორის სტუდენტის შიდა სივრცე ძირითადად მოიცავს:

ჩამონათვალი - „პროექტები": სადაც შესაძლებელია ნებისმიერი იდეის პროექტის სახით (ნებისმიერი ფორმატით) ატვითვა და კორექტირება.

ჩამონათვალი - „მენტორები": ჩამონათვალში „მენტორები" შესაძლებელი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის სასურველი მენტორის შერჩევა, რომელთან ერთადაც სურს სტუდენტს მუშაობა. ასვე შესაძლებელია პროგრამამ ავტომატურ რეჟიმში გასცეს მენტორის შეთავაზება.

ჩამონათვალი - „ ვიდეოები": ამ ჩამონათვალში სტუდენტს შეუძლია დაამატოს სასურველი ვიდეო გაკვეთილები, სარეკლამო რგოლები, თემატური ან მენტორის მიერ შეთავაზებული ვიდეოები, რომელიც დაეხმარება პროექტის ანალიზსა და განხორციელებაში.

ჩამონათვალი - „ რესურსები“: ამ სივრცეში შესაძლებელია ნებისმიერი სახისა და ფორმატის მონაცემების შენახვა, რომელიც წარმოადგენს დამხმარე რესურსებს სამუშაო პროცესში და ბიზნეს პროექტის საბოლოო სახის მისაღებად. ასევე შესაძლებელია გარკვეული ინფორმაცია იყოს ჩაკეტილი რომელსაც ვერ დაინახავს სხვა მომხმარებელი ან გახსნილი შერჩეული “user”-ისთვის ან საჯარო.

ჩამონათვალი - „ფორუმი“: შესაბამის სივრცეში შესაძლებელია ფორუმის ტიპის „ცონვერსტატიონ“ წარმოება, რომელიც საშუალებას მისცემს ონლაინ რეჟიმში მენტორსა და სტუდენტს, სტუდენტების ჯგუფს და მსგავსი ტიპის ჯგუფებს დაუკავშირდნენ ერთმანეთს და იმუშაონ ერთობლივად.

დავალებების სია:

ეს არის სივრცე სადაც შესაძლებელია „თიმეთაბლე”-ის წარმოება. დავალებები შეიძლება სტუდენტმა შეადგინოს ინდივიდუალურად და მენტორმა მოახდინოს მისი კორექტირება.

კანვას მოდელს გულისხმობს სასურველი მოდელის შერჩევას რომელიც მიესადაგება შერჩეულ პროექტს.

ბოლო აქტივობები:

ამ კატეგორიაში შესაძლებელია მენტორმა მიიღოს ინფორამცია განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე სტუდენტმა არეგულიროს სამუშაოს მიმდინარეობა.

ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სტარტაპ იდეების განვითარებამ. ისეთი ფონდები როგორიცაა: ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდი; ევროპის ფონდი; მეწარმეობის განივთარების სააგენტო და სხვა, ბიუჯეტიდან გამოყოფენ გარკვეულ თანხებს ახალგაზრდების იდეების დასაფინანსებლად.

სტარტაპებისა და ბიზნეს იდეების ოლიმპიადები, კონკურსები და მსგავსი სახის შეჯიბრებები ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგ უნივერსიტეტებში (იგულისხმება კონკურსი სადაც მონაწილეობას იღებდა მინიმუმ 40 გუნდი)

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თავისუფალი უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზემოთ ჩამოთვლილი 5 უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსების გამარჯვებული გუნდების მინიმუმ 25% ახორციელებს თავის ბიზნეს იდეას.

აღნიშნული ინკუბატორი იძლევა საშუალებას მხარი დაუჭიროს სტუდენტების სამეწარმეო უნარების განვითარებას და ადრეულ სტადიაზე ხელი შეუწყოს სწრაფად განვითარებადი ბიზნეს იდეებს.

- შესთავაზოს სტუდენტებს მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.
- აჩვენოს ადგილობრივ კერძო სექტორსა და სახელმწიფო სამსახურებს აკადემიური განათლების „გავლენა“ ინკუბატორში ქმნის შესაძლებლობას შეექმნას წარმატებული ბიზნეს სექტორი და განევითარებინა მეწარმეობა, მაგრამ წარმატების ხარისხი არ არის მხოლოდ ინკუბატორის დამახასიათებელი. უნივერსიტეტებს შეუძლიათ ნახონ განათლების შედეგი.

ჯერ კიდევ როდესაც არ არსებობს საუნივერსიტეტო ინკუბატორი, კარგი იქნება თუ შთაგონებისთვის გადავხედავთ სხვა ინკუბატორებს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ერთ წელიწადში სტუდენტების მიერ განხორციელდა 30 წარმატებული პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირა მეწარმეობის ცენტრმა.

პროგრამის მენეჯერებს ჰქონდათ მენეჯერული და ბიზნეს გამოცდილება, რაც ნათლად აისახა პროექტების წარმატებაზე, სწორედ ისინი წარმოადგენენ მენტორებს ვირტუალურ ბიზნეს ინკუბატორში.

დასკვნები დარეკომენდაციები: გლობალიზაციის პირობებში, როდესაც აკადემიურ განათლებასთან ერთად მსოფლიოს წამყვან (და არამხოლოდ წამყვან) უნივერსიტეტბში წინ წამოიწია სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება, მნიშვნელოვანია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცემაც დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნები, რის ერთ-ერთ საშუალებადაც განიხილება ვირტუალური ინკუბატორი.

- ინკუბატორის შექმა ხელს შეუწყობს:
- სტუდენტსა და ლექტორს შორის თანამშრომლობას არასაუნივერსიტეტო სივრცეში;
- კვალიფიციური და მოთხოვნადი კადრების აღზრდას;
- უნივერსიტეტში ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვას;
- სტუდენტების დაინტერესებას მიიღონ როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლება;
- სამეწარმეო სექტორის განვითარებას, რომლის წამყვანი სპეციალისტები შესაძლებელი იქნება იყვნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
- გაზრდის კერძო და სახელმწიფო სტუქტურების დაინტერესებას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიზნეს ჟურნალი entrepreneur, 2015 წ.
2. საერთაშორისო ბიზნეს-ინოვაციების ასოციაცია - ინბია, 2016 წ.
3. ინდოეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინკუბატორი, 2014 წ.
4. საერთაშორისო ბიზნეს-ინკუბარტორთა ანალიზის ცენტრი, 2015 წ.
5. ოქსფორდის უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრი, 2016 წ.

Anotation

The article is about an innovative, unique and new project idea, which has been operating successfully worldwide for many years. The following project is - Business Incubator, which gives an opportunity to the young generation to develop their business ideas by receiving help from professionals, to improve their practical business skills , to become more consumable and profitable on the labor market, and this project will help young people to become successful.

არაფორმალური განათლების როლი ორგანიზაციის წარმატების მიღწევაში

თეიმურაზ ჩუბინიძე
ბაკალავრიატის IV სემესტრის სტუდენტი
მეცნიერ - ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ნინო ფარესაშვილი**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომის მიზანი იყო გამოგვეკვლია საზოგადოების თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. ასევე დაგვედგინა, თუ რა როლს თამაშობს მომავალი მენეჯერების ჩამოყალიბებაში ფორმალური განათლება და რამდენად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების როლი. ნაშრომში განხილულია განათლების მენეჯმენტის ზოგადი ასპექტები, არაფორმალური განათლების როლი ორგანიზაციის წარმატების მიღწევაში. ასევე ყურადღებაა გამახვილებული არაფორმალური განათლებისა და პიროვნული განვითარების კავშირებზე. ნაშრომში მთავარი ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ უნდა დავუკავშიროთ ეფექტურად სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება რეალურ ცხოვრებაში არსებულ მოთხოვნებს. ასევე, ჩატარებულ კვლევაში გამოიკვეთა, თუ რა მდგომარეობაა დღეს ახლგაზრდებში არაფორმალური განათლების კუთხით და ბოლოს დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით მოცემულია სამომავლო პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: *არაფორმალური განათლება, მენეჯმენტი, მენტორი, ძალისხმევა, რესურსები*

ყველას გვინდა კარგი ცხოვრება, მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოდ საზოგადოების ნაწილს ერგება. წარმოიდგინეთ, ერთი წუთით, რამდენად წარმატებული იქნებოდით თუ ერთ დღეს თქვენ დაარსებდით კომპანიას 50:50-ზე ბილ გეითსთან, როგორც თქვენ ბიზნეს-პარტნიორთან. წარმოიდგინეთ, ის თქვენ გასწავლით ყველაფერს, გაგიზიარებთ ყველა ხრიკს, რასაც ის იყენებდა იმისთვის, რომ მაიკროსოფტი გადაექცია ერთ-ერთ უდიდეს კომპანიად მსოფლიოში.

წარმოიდგინეთ, რა ჯანმრთელი იქნებოდით დღეს, თუ ერთ დღეს თქვენ გაიღვიძებთ, წახვალთ დარბაზში სავარჯიშოდ და იქ დაგხვდებათ არნოლდ შვარცნეგერი, რომელიც თქვენი პირადი მწვრთნელი იქნება. ის თქვენ გასწავლიდათ იმას, თუ როგორ გახდა ყველაზე მაგარი სხეულის ''მფლობელი'' მთელ მსოფლიოში.

მენტორებს აქვთ ძალა შეცვალონ ჩვენი ცხოვრება უკეთესობისკენ. მაგრამ სად შეგვიძლია ვნახოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ რჩევებს მოგვცემენ? ზოგი მათგანი ჩვენგან ძალიან შორს არის, ზოგი კი ამ ქვეყნად უკვე აღარ არის. მიუხედავად ამისა, არსებობს ორი გზა იმისთვის, რომ მივიღოთ კარგი რჩევები წარმატებული ადამიანებისგან და ეს გზებია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლება; რამდენადაც ყველას გვესმის თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფუნდამენტური განათლების მიღება, მოცემულ ნაშრომში შევეცდები ვისაუბროთ იმაზე თუ რა როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში არაფორმალური განათლება.

სანამ უშუალოდ არაფორმალურ განათლებაზე გადავალთ ჯერ განვმარტოთ თუ რა არის განათლება და საერთოდ, რაში გვჭირდება ის. განათლება — სოციალური მეცნიერებაა, შეისწავლის და ნერგავს იმ ქმედებათა პროცესს, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ.

განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მჭიდრო კავშირშია აღზრდასთან. განათლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითგანათლებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ-შრომით საქმიანობაში მონაწილეობას. განათლების საერთო და სპეციალური (პროფესიული) დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, წარმოების მოთხოვნებით.

განათლების თაობაზე ისტორიულად ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის ამ პროცესს ორგანიზებას უკეთებს ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი და ა.შ. განათლების სისტემაში არსებობს შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- სკოლამდელი განათლება;
- საშუალო განათლება: სკოლა, გიმნაზია, ლიცეუმი, კოლეჯი;
- უმაღლესი განათლება: ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, აკადემია.

გაეროს ბავშვთა ფონდის პოზიცია ასეთია, რომ: "დაწყებითი განათლება საბაზისო განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.'' მოდით ვნახოთ, რა იგულისხმება დაწყებით განათლებაში და რატომაა იგი ასეთი მნიშვნელოვანი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

სკოლამდელი განათლება - ეს არის ის საგულისხმო ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც დიდად განსაზღვრავს მის სამომავლო წარმატებას. ადრეულ ასაკში ბავშვის მრავალმხრივი განვითარება, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბაღი და ბაღის ასაკი არის დრო, როდესაც ბავშვებს უყვებიან ზღაპრებს.

რატომ გვიყვებიან ზღაპრებს? ფილოსოფოსების და ფსიქოლოგების უმრავლესობა თანხმდება, რომ მორალურობა სწავლებადია, თუმცა, მათი აზრები იმის შესახებ, თუ რომელია სწავლების ეფექტური გზა, განსხვავებულია ერთმანეთისგან. ზღაპრებს მეტაფორების საშუალებით მნიშვნელოვანი სოციალური და მორალური ფუნქციიის შესრულება შეუძლიათ ბავშვის განვითარებაში. ზღაპარში არსებული ვიზუალური ხატები არა მხოლოდ ასახავენ რეალობას, არამედ წარმოადგენენ მეტაფორებს, რომლებიც სწორ არჩევანის გაკეთებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას უწყობენ ხელს. მიიჩნევა, რომ ''ბავშვების წარმოდგენა სწორზე და არასწორზე, სამართლიანობაზე და უსამართლობაზე არ წარმოადგენს უფროსთა სწავლების პირდაპირ შედეგს. სწორედ ზღაპრებს გააჩნიათ განსაკუთრებული ძალა ასწავლონ ბავშვებს ისეთი გზებით, რომლებიც მათთვის დამარწმუნებელი და გასაგებია''[1].

მოდით გავიხსენოთ რამდენიმე ქართული ხალხური ზღაპარი, რომლებსაც ყოველ დღე უყვებიან ბავშვებს და რომლებიც დიდ როლს თამაშობენ მათი მორალისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში. ასეთი ზღაპრებია: კომბლე, ნაცარქექია, ხუთკუნჭულა, ნახევარქათამა, წიქარა და ა.შ.

ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში კითხვაზე უყვებოდნენ თუ არა ხსენებულ ქართულ ზღაპრებს ბავშვობაში, გამოკითხულთა 100%-მა დადებითად უპასუხა.

იმარჯვებს თუ არა სიკეთე ამ ზღაპრებში? - ცალსახად კი. მაგრამ არის ერთი მთავარი კითხვა - რა მეთოდებით იმარჯვებს სიკეთე ამ ზღაპრებში? კომბლეში ვხვდებით ძალადობას, ნაცარქექიაში ზღაპრის მთავარი გმირი სიმდიდრეს ხელში ტყუილით, სიცრუით და ეშმაკობით იგდებს, წიქარაში კი ჯადოს გამოყენებით იმარჯვებს სიკეთე. ქართულ ხალხურ ზღაპრებში

[1] ''ზღაპრების როლი ბავშვის მორალურ განვითარებაში'' - ნათია მესტვირიშვილი

სიკეთე იმარჯვებს ტყუილით, ეშმაკობით, მაიმუნობით, ძალადობით და ხანდახან ჯადოქრობასაც კი მოიშველიებენ. ბავშვებიც კარგად ითვისებენ ამ გაკვეთილს, რომ თუ სამართლიანობა გინდა იძალადე, თუ ძალადობა არ გაგივა მოიტყუე და იეშმაკე, თუ არადა დაჯექი და დაელოდე ჯადოს.

დაუზარელი შრომით რომელ ზღაპრებში იმარჯვებს სიკეთე? - სამწუხაროდ არ გვაქვს ასეთი ზღაპრები.

ყველას გვინახავს ალბათ მენეჯერები, რომლებიც კომბლესავით ძალადობენ - ძალადობით, საკუთარი ძლიერების ხარჯზე უნდათ სიმართლის გატანა. ასევე გვინახავს ადამიანები, რომლებიც ნაცარქექიასავით ზარმაცობს, არაფერს აკეთებს და ცდილობს სიმდიდრე ხელში ეშმაკობით და მოტყუებით ჩაიგდოს ხელში. ალბათ ისეთებიც შეგვხვედრია, რომლებსაც არც ძალადობა შეუძლიათ, არც ჭკუა ჰყონით ეშმაკობისთვის და სხედან და ელოდებიან რაღაცას მისტიურს, რომელიც წარმატებას მოუტანს ცხოვრებაში.

ამდენად საინტერესოა გავიგოთ, როგორ შეუძლია არაფორმალურ განათლებას დაეხმაროს და ხელი შეუწყოს მენეჯერებში და, ზოგადად, ადამიანებში ამ თვისებების გამოსწორებას. ენციკლოპედიურ ლექსიკონში არაფორმალურ განათლებას სამი განმარტება აქვს:

1. არაფორმალური განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, რომლის დროსაც პიროვნებას არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად (ოჯახი, მეზობლები, ბაზარი, ბიბლიოთეკა, მასმედია, სამსახური, თამაშები და ა.შ.) უყალიბდება დამოკიდებულებები, ფასეულობები, უნარ-ჩვევები და ცოდნა.
2. არაფორმალური განათლება - ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას.
3. არაფორმალური განათლება - პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არააკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად.

და მაინც რა არის არაფორმალური განათლება? უფრო ადვილად რომ განვმარტოთ არაფორმალური განათლება არის ის ცოდნა და უნარჩვევები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებზე, ფორუმებზე და სხვა ამდაგვარ ღონისძიებებზე დასწრებით. ალბათ დაგაინტერესათ რა საჭიროა არაფორმალური განათლება? არაფორმალური განათლება გვასწავლის და საშუალებას გვაძლევს უფრო აქტიურად ჩავერთოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უკეთესობისკენ შევცვალოთ ის.

ინტერნეტში რომ მოძებნოთ როგორ დავიწყოთ ახალი ენის შესწავლა, ან როგორ გავიზარდოთ კუნთები, ან როგორ ვირბინოთ დიდხანს ისე, რომ მალე არ დავიღალოთ, ან როგორ ვიკითხოთ უფრო სწრაფად წიგნები, გაოცდებით, როცა ნახავთ, რომ ამ ყველა კითხვას ერთი, საერთო პასუხი აქვს და ეს პასუხია - პრაქტიკა, პრაქტიკა, პრაქტიკა. ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ ადამიანები წიგნებიდან მართალია ფუნდამენტურ ცოდნას იღებენ. თუმცა, პრაქტიკა რეალობაში უნდა განახორციელო. ამისთვის კი საუკეთესო გზა აქტიური ცხოვრებაა. ამბობენ, რომ სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრება და არაფორმალური განათლების მიღება უმნიშველოვანესია ჩვენი განვითარებისთვის.

ამდენად, ჩავატარეთ კვლევა ახალგაზრდებში, რომელიც მიზნად ისახავდა გამოევლინა თუ რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართული არაფორმალური განათების მიღების პროცესში - მუშაობენ თუ არა, ეწევიან თუ არა მოხალისეობრივ სამუშაოს, არიან თუ არა ახალგაზრდული

ორგანიზაციის წევრები და ა.შ. გამოკითხულია 80 ადამიანი, კვლევის შედეგები მოცემულია ქვემოთ და მის საფუძველზე შევეცდებით გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს ირგვლივ ახალგაზრდებში. სქესისა და ასაკობრივი ჭრილის მიხედვით შედეგები ასეთია:





სქესის მიხედვით გამოკითხულთა 69%-ს ქალები, ხოლო 31%-ს მამაკაცები შეადგენენ. რაც შეეხება ასაკს, ძირითადად გამოკითხულია 18-დან 22 წლამდე ახალგაზრდები.

კითხვაზე, თუ სწავლების რომელ საფეხურზე სწავლობენ, შემდეგი შედეგები მივიღეთ:



როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა 94% ბაკალავრიატის სტუდენტებს შეადგენენ. კვლევა უფრო საინტერესოა, რამდენადაც მნიშვნელოვანია გავიგოთ რამდენად ახერხებენ ბაკალავრიატის სტუდენტები სწავლასთან ერთად არაფორმალური განათების მიღებას.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ დამსაქმებლები სამსახურში აყვანის დროს სამ ძირითად ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას. ესენია:

1. პიროვნული თვისებები;
2. განათლება;
3. გამოცდილება.

ამდენად, საინტერესოა გავიგოთ, გამოკითხულთა რა ნაწილია დასაქმებული. კითხვაზე არიან თუ არა ახალგაზრდები დასაქმებულები, ასეთი შედეგი მივიღე: გამოკითხულთა დიდი

ნაწილი - 76% არ მუშაობს, რაც შესაძლოა სწორად იმ სამი ფაქტორის (განათლება, პიროვნული თვისებები, გამოცდილება) ნაკლებობით იყოს გამოწვეული.

ჩნდება კითხვა, რა სარგებელს მოგვიტანს არაფორმალური განათლება და როგორ დაგვეხმარება ცხვორების განვითარებაში? არაფორმალური განათლება საშუალებას გვაძლევს სწორად ამ სამი ფაქოტრის ფორმირებას სხვადასხვა გზით:

1. პირველ რიგში, იგი საშუალებას გვაძლევს უნივერსიტეტში მიღებული ფორმალური განათლება ეფექტურად დავუკავშიროთ რეალობას;
2. რაც მთავარია, ჩვენ ვიღებთ ფასდაუდებელ გამოცდილებას;
3. ასევე, გვეხმარება პასუხისმეგბლობის საკუთარ თავზე აღებაში და პიროვნული თვისებების გაუმჯობესებაში: კომპლექსების გადალახვა; რეალური დავალებების შესრულება; სანაცნობო წრის გაფართოება; გართობა; შეცდომების დაშვების უფლება - ''ის, ვინც უარს ამბობს შეცდომების დაშვებაზე, უარს ამბობს წარმატების მიღწევაზე''.[1]

ამდენად, საინტერესოა ახალგაზრდათა რა ნაწილი ახერხებს აქტიურად იყოს ჩართული სხვადასხვა სახის ღონისძიებაში, რომელიც სწორედ ამ ფაქტორებს უწყობს ხელს. კითხვაზე - მიუღიათ თუ არა მათ მონაწილეობა მოხალისეობრივ სამუშაოში განსხვავებული შედეგები მივიღეთ:



როგორც კვლევიდან ჩანს გამოკითხულთა ნახევარზე მეტს მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ სამუშაოში. ხოლო 22% პროცენტს აქვს სურვილი ასეთ სამუშაოში მონაწილეობის მიღებისა.

გარდა ამისა კითხვაზე, არიან თუ არა გამოკითხულები რომელიმე ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი, ასეთი შედეგები მივიღეთ:

დიახ	29.4%
არა	56.9%
არა, მაგრამ მაქვს სურვილი	13.7%

[1] რობერტ კიოსაკი - ''მდიდარი მამა, ღარიბი მამა''

ჩვენ ასევე დაგვაინტერესა, თუ რამდენად ხშირად ესწრებიან სხვადასხვა საჯარო ლექციებსა თუ ტრენინგებს ახალგაზრდები. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შემდეგი შედეგი მივიღეთ:

საშუალოდ თვეში 1-2-ჯერ	37.3%
საშუალოდ თვეში 3-4-ჯერ	13.7%
საშუალოდ თვეში 5-6-ჯერ	5.9%
არ მაქვს დრო და ვერ ვახერხებ ვერასდროს	43.1%

როგორც ვნახეთ, ჩვენ შემლებისდაგვარად გამოვიკვლიეთ ახალგაზრდებში არსებული მდგომარეობა: თუ რამდენად არიან ისინი არაფორმალურ განათლების მიღებაში ჩართულნი. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდათა უმეტესობა არ არის ჩართული არაფორმალური განათლების მიღებაში, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს დროის ნაკლებობა, რამდენადაც გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ბაკალავრიატის სტუდენტებს წარმოადგენენ. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მათ დიდ ნაწილს სურვილი აქვს ჩაერთოს და მიიღოს გამოცდილება ამ კუთხით. ახალგაზრდათა გარკვეული ნაწილი სწავლასთან ერთად მაინც ახერხებს იყვნენ აქტიურნი და მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სახის მოხალისეობრივ სამუშაოში, ასევე ესწრებიან საჯარო ლექციებს და ტრენინგებს და არიან ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები. ამდენად, საინტერესოა ვნახოთ როგორ ეხმარება ეს ყველაფერი მათ, რომ მომავალ საქმიანობაში იყვნენ წარმატებულნი.

„მთავარი საქმე ცხოვრებაში წარმატების მიღწევაა“ - ნაპოლეონ ჰილი. წარუმატებლობის არიდება ადვილია, თუკი შემსრულებელმა წინასწარ იცის ამის შესახებ და დაცვით ზომებს მიმართავს. თუმცა, სამწუხაროდ, ეს იშვიათად ხდება. უამრავი შემთხვევაა, როდესაც კარგი საქმეები შრომისმოყვარე და მიზანმიმართული მენეჯერის ხელშიც კი წარუმატებლობით მთავრდება. იმ მიზეზების გააზრებაც კი, რომლის არცოდნაც ყველაზე მეტად იწვევს წამოწყების წარუმატებლობას, მნიშვნელოვნად ამცირებს მომავალში შეცდომების დაშვების შანსს.

სხვადასხვა სტატიებსა თუ ვიდეო ლექციებში წარმატებული ადამიანები ორგანიზაციის წარუმატებლობის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ქვემოთ მოცემულია საქმის წარუმატებლობის 5 მიზეზი და 5 რჩევა, თუ როგორ შეიძლება წამოწყების დაცვა მათი ზემოქმედებისგან. შეიძლება ეს ჩამონათვალი სრული არ არის, მაგრამ წარუმატებლობათა დიდი ნაწილის ასახსნელად მაინც გამოდგება.

მიზეზი 1. იდეალური შედეგის მიღებას ტიტანური ძალისხმევა და რესურსები სჭირდება. ნებისმიერ საქმეში შედეგის უდიდესი ნაწილი რამდენიმე გადამწყვეტ ღონისძიებაზეა დამოკიდებული, როცა იდეალურ შედეგამდე დარჩენილ ნაწილს უამრავი სხვა ნაბიჯი და ყველაზე რთული, სერიოზული მოქმედებები სჭირდება. ეს კანონი დიდი ხანია ემპირიულად დამტკიცებულია და ბიზნესში მას პარეტოს კანონით (20/80 პრინციპით) იცნობენ.

ეს კანონი, მწირი ბიზნესრესურსების პირობებში, კიდევ უფრო აქტუალურია. რომელ კომპანიას აქვს საკმარისი სახსრები, რათა თავისი ამოცანების იდეალური გადაჭრისკენ მიისწრაფოდეს? ზოგიერთები, ალბათ, მაინც ცდილობენ ამას და ძვირი ღონისძიებების განხორციელების რისკზე მიდიან. ბოლოს კი აღმოჩნდება, რომ 100%-იანი შედეგისთვის რესურსები მართლაც არ არის საკმარისი, ზოგიერთი ეფექტური ღონისძიება შეუსრულებელი

რჩება და კომპანიას იმაზე ცუდი შედეგით უწევს დაკმაყოფილება, რისი მიღებაც შეეძლო რესურსების სხვაგვარი გადანაწილების შემთხვევაში.

არსებობს ასევე ერთი მეთოდი, რომლებიც საქმეების უკეთ გაკეთებაში გვეხმარება. ამ მეთოდს ''შეჭამე ბაყაყის''[1] ან ''მიირთვით გომბეშოს'' სახელით იცნობენ. რა არის გომბეშო? უჩვეულო სახელის მიუხედავად, თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რაზეა საუბარი. ჩვენი სამუშაო ხშირად ისეთ რამეებს "გვავალებს", რაც სულაც არ გვეხალისება. "გომბეშო" არის ის საქმე (დღეს გასაკეთებელი საქმეებიდან), რომლის გაკეთებაც ყველაზე ნაკლებად გვინდა. მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: უინტერესოა, ძნელია, უარყოფით ემოციასთანაა დაკავშირებული, არ ვიცით, როგორ დავიწყოთ, ვეჭვობთ, რომ არ ვართ კომპეტენტური და სხვა.

ნებისმიერი სამუშაო დღის დასაწყისში საქმეების სია რომ ჩამოვწეროთ და მერე გადავხედოთ, ერთზე ან რამდენიმეზე "შევიშმუშნებით" (პირდაპირი გაგებით). სწორედ ესენია გომბეშოები.

რესურსების სწორად გამოყენების საუკეთესო გზაა აქცენტის გაკეთება ყველაზე დიდი ეფექტის მქონე ამოცანებზე, სანამ მაღალშედეგიანი მიზნები დამაკმაყოფილებელი ხარისხით არ გადაიჭრება. ამის შემდეგ, თუ კიდევ დარჩება რესურსები, შესაძლოა სხვა ამოცანებზე გადასვლაც და იდეალურ შედეგთან მიახლოება. თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, როცა საბაზისო შედეგი მიიღწევა. იდეალურისკენ სწრაფვა და დეტალების დახვეწა მაშინ არის გამართლებული, როცა ფუნდამენტი ჩასხმულია და უმთავრესი შედეგები მიღწეულია. ეს გახლავთ რესურსების ეფექტიანი გამოყენების საწინდარი.

მიზეზი 2. ყველა საქმეში არსებობს გადაუჭრელი პრობლემები. ეს მიზეზი წინას გაგრძელებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ერთ–ერთი მიზეზი, რატომ არ ღირს ესწრაფოდე 100%-იან შედეგს, გადაუჭრელი პრობლემების არსებობაა. ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ყოველთვის დარჩება რამდენიმე გადასაწყვეტი საკითხი. არსებობს ორი გზა: ამ თემებზე უზარმაზარი რესურსები დაიხარჯოს იმ იმედით, რომ იქნებ რაიმე გამოვიდეს, ან გადაწყდეს, რომ პრობლემის გადაჭრა რაციონალურად გამართლებული დანახარჯებით ვერ მოხერხდება და რესურსები ისეთი საკითხებისკენ წარიმართოს, რომლებიც ძალისხმევის ერთეულზე უფრო მეტ შედეგს იძლევა. მართალია, ამოცანა იდეალურად არ გადაიჭრება, მაგრამ იმის მაქსიმუმი მაინც მიიღწევა, რისი მოცემაც შეზღუდულ რესურსებს შეეძლო.

გარდა რესურსების დანახარჯისა, პრობლემებზე ნერვიულობას უზარმაზარი სულიერი ენერგიაც მიაქვს. ისინი, ვინც ახერხებენ მოუგვარებელი საკითხების გამოცნობას და მათ იგნორირებას, ნაკლებად იტანჯებიან სტრესებისაგან, გაცილებით დიდ სიამოვნებას იღებენ სამუშაოსგან და შედეგებსაც, როგორც წესი, უფრო უკეთეს შედეგს აღწევენ. ეს, უმთავრესად, ხდება ნერვიულობასა და გადაუჭრელ პრობლემასთან ჭიდილში დაზოგილი მატერიალური, თუ არამატერიალური რესურსების ხარჯზე. მთავარი ამოცანა გადაუჭრელი პრობლემების ნეგატიური გავლენისგან თავის დაცვაა.

მიზეზი 3. ადამიანებს საქმე დამთავრებულად რეალურ დასასრულზე ადრე ეჩვენებათ - ''თუ 10 კილომეტრი გაქვს გასავლელი, 9 კილომეტრი მხოლოდ გზის ნახევარია'' - იაპონური ანდაზა. შემსრულებელს საქმე წარმატებით დასრულებულად ეჩვენება, როდესაც კიდევ ერთი აღმართია ასავლელი, ერთი წინააღმდეგობა გადასალახავი… (ადამიანის მიდრეკილებაა, აღიქვას სასურველი რეალობად). ასეთ დროს გამარჯვების გამოცხადება, ანუ საქმის დასრულებულად ჩათვლა და სხვა ამოცანაზე გადასვლა, უმეტესად სავალალო შედეგს –

[1] ბრაიან ტრეისი - ''შეჭამე ბაყაყი - 21 უნიკალური წესი იმისთვის, რომ არ გაგდადოთ საქმე და გააკეთოთ მეტი ნაკლებ დროში.''

მიღწეულის ნელ-ნელა დეგრადაციას იწვევს. სიტუაცია შეიძლება შევადაროთ აღმართზე აგორებულ ქვას, რომელსაც მწვერვალამდე ოდნავ ადრე გაუშვეს ხელი. იგი უკან ჩამოგორებას იწყებს – თავიდან შეუმჩნევლად, თანდათანობით კი უფრო და უფრო სწრაფად. ბოლოს იგი ისევ მთის ძირში, იმავე ადგილას აღმოჩნდება, საიდანაც აგორება დაიწყო.

ამ პრობლემის გვერდის ავლა საკმაოდ მარტივია. როდესაც ადამიანს პირველად ჰგონია, რომ საქმე უკვე დასრულდა, ზუსტად ამ დროს უნდა შეჩერდეს, კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი გეგმას და ეძებოს ღონისძიებები, რომლებიც საბოლოოდ განამტკიცებს მიღწეულ შედეგს და აღარ დატოვებს უკუსვლის შესაძლებლობას. საჭიროა მხოლოდ, ახსოვდეს ეს კანონი და იცოდეს, რომ გამარჯვების პირველი შეგრძნება ყოველთვის მოჩვენებითია.

მიზეზი 4. როგორ კარგადაც უნდა იყოს წინასწარ გააზრებული მოქმედებები, ყოველთვის თავს იჩენს გაუთვალისწინებელი პრობლემები. არასწორი მოქმედებების ყველაზე დიდი რისკი გაუთვალისწინებელ სირთულეებთან ბრძოლისას ჩნდება. ნებისმიერი საქმის დაწყებისას გეგმა ყოველთვის არსებობს (უარეს შემთხვევაში მენეჯერის წარმოსახვაში, უკეთესში კი, დეტალურად დასაბუთებული). გეგმიური მოქმედებისას გადადგმული ნაბიჯები მეტნაკლებად წინასწარ გააზრებული და გადაწყვეტილია. გაუთვალისწინებელი სირთულე კი უცაბედად იჩენს თავს და არ ტოვებს დროს საკმარისი განსჯისთვის. რაც უფრო ცოტა დრო გაქვს მოსაფიქრელად და დასაგეგმავად, მით უფრო დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა.

ყოველთვის აქვს აზრი (მიუხედავად იმისა, რამდენად დეტალურია გეგმა) მცირე დროის გამოყოფას, დაუგეგმავი პრობლემებისა და ბარიერების პროგნოზირებასა და კრიზისულ სიტუაციებში გადასადგმელი ნაბიჯების მოფიქრებას. ეს სამუშაო ორი მიზეზის გამოა სასარგებლო: ამცირებს გაუთვალისწინებელი მოვლენების რაოდენობას და კრიზისულ სიტუაციაში ამაღლებს ადამიანის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად (გონების ვარჯიშისა და გამოცდილების წინასწარ დაგროვების ხარჯზე). საკმარისია, კვირაში ერთ საათამდე დროის გამოძებნა და იმის გააზრება, თუ რა გაუთვალისწინებელმა პრობლემამ შეიძლება იჩინოს თავი მომდევნო კვირაში და ყველაზე საშიში მოულოდნელი მოვლენების უმეტესობა მხოლოდ უმნიშვნელო გადახვევებს დაემსგავსება.

მიზეზი 5. რუტინა ჩაგითრევს. ნებისმიერი საქმის კეთების პროცესს თან სდევს კიდევ ერთი უცვლელი ხაფანგი – განმეორებითი მოქმედებები ადამიანს რუტინულ შესრულებაზე გადასვლასა და მიზნის დავიწყებისკენ უბიძგებს.

მიზნის დაკარგვას ბევრი უარყოფითი ეფექტი სდევს. ყველაზე მტკივნეული საქმიდან მიღებული სიამოვნების რადიკალური შემცირებაა. ღირსეული მიზანი სტანდარტულ და უინტერესო მოქმედებებსაც კი განსაკუთრებულ შინაარსს აძლევს. რომელი დალაქი უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებს შრომისგან, მაკრატლის სწორად მოძრაობა რომ ჰგონია თავისი ამოცანა, თუ კლიენტის გალამაზება? ამ ორიდან რომელთან ამჯობინებენ მისვლას? როდესაც ადამიანს მიზანი არ ახსოვს, მისკენ არც მოძრაობს. თავიდან რუტინული ქმედებები ემსახურებოდა კიდეც მიზანს, მაგრამ გადის დრო, იცვლება ამოცანები, გარემო და მიზნისკენ სამოძრაოდ სხვა გზა ხდება საჭირო. რუტინაში ჩათრეულ ადამიანს უჩლუნგდება ამოცანების და ცვლილებების აღქმის გრძნობა, მანამდე აგრძელებს რესურსებისა და ენერგიის არასწორ ქმედებებზე ხარჯვას, სანამ დაკარგული შესაძლებლობები განსაკუთრებული სიცხადის და სიმწვავის შედეგს არ მოიტანს.

დაბოლოს, საქმის რუტინული, მიზნის გათვალისწინების გარეშე კეთება საკმაოდ ზღუდავს ახალ, შემოქმედებით იდეებს. იდეების გარეშე კი ნებისმიერი ნამუშევარი არაფრითაა

გამორჩეული და ადვილად იკარგება ასეთივე ერთფეროვანი საქმეების რიგში. ასეთი საქმეებით წინსვლა გამორიცხულია.

რუტინასთან ბრძოლის ეფექტური და მარტივი საშუალება არსებობს – მიზნის რეგულარული რევიზია. თანაბარი დროის შუალედებში (მაგალითად, 2 კვირაში ერთხელ) იმის შემოწმება, ემსახურება თუ არა ძველი გზა მიზანს, ხომ არ სჭირდება მოქმედებებს კორექტირება და რაიმე ახალი შესაძლებლობები, ან იდეები ხომ არ გამოჩნდა, რომლითაც მიზანი უკეთ მიიღწევა.

ამბობენ, რომ ცხოვრება უფრო მეტად არის ბუფეტი ან კაფეტერია, ვიდრე რესტორანი (კაფეტერიის მოდელი[1]). რესტორანში შენ სადილობ, მიირთმევ რასაც გინდა და ამის შემდეგ იხდი მის საფასურს. მაგრამ კაფეტერიაში, შენ გიწევს მოემსახურო შენს თავს, და მთლიანად იხდი მანამდე სანამ სადილით სიამოვნებას შეუდგები. ბევრი ადამიანი, ჩვენ, ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა ვფიქრობთ, რომ ჩვენ მას შემდეგ გადავიხდით საფასურს, რაც წარმატებას მივაღწევთ. ვცდებით მაშინ, როცა ვფიქრობთ, რომ ჯერ უნდა მივიღოთ და შემდეგ გავცეთ. ყველას გვინახავს ადამიანები, რომლებსაც სურთ, რომ ისინი თავიდანვე მენეჯერები, ლიდერები, ხელმძღვანელები გახდენენ. უმეტესობას არ უნდა ჯერ გაიღოს ამისთვის რამე. ამიტომაც, მენეჯერები, რომლებიც თავის მოღვაწეობას თავიდანვე მენეჯერობით იწყებენ ხშირად ახასიათებთ გარვეული ნაკლოვანებები და სწორედ ამ ნაკლოვანებებზე ვისაუბრებთ. პირველი ეს არის უმადური მენეჯერი, მენეჯერი, რომელიც თანამშრომლის გაკეთებულ საქმეს არ აფასებს.

ერთხელ ფილოსოფოს ანაქსიმენეს თავისმა ახალგაზრდა მოწაფემ ჰკითხა თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ყოველ მომდევნო წელს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რაზეც წინა წელს დარწმუნებით საუბრობდა. ანაქსიმენემ ქვიშაზე ორი წრე დახაზა, ერთი დიდი და ერთი პატარა და თქვა: პატარა წრე - ეს არის ის, რაც ახალგაზრდობაში ვიცოდი, დიდი წრე არის ის, რაც ვიცი ახლა. წლების განმავლობაში ჩემი ცოდნის საზღვრები იზრდება. ყველაფერი რაც ცოდნის წრის გარშემოა არის უცოდინრობა. რაც უფრო ფართოა ცოდნის წრე, მით უფრო მეტი შეხება აქვს მას არცოდნასთან, მით მეტ შეკითხვას და ეჭვს ბადებს. როგორც ანაქსიმენეს ახსნიდან ვიგებთ, ცოდნასა და უცოდინრობას შორის არსებობს შემდეგი სახის დამოკიდებულება – რაც უფრო მეტი იცის ადამიანმა, კონკრეტული თემის გარშემო, მით უკეთ აცნობიერებს იმას რა არ იცის. არსებული ცოდნა მას აძლევს შესაძლებლობას განსაზღვროს, თუ რა ინფორმაციას ფლობს და კიდევ რა სჭირდება, იმისთვის, რომ სრულყოფილი ცოდნა ჰქონდეს. მაგრამ ამავდროულად, მისი თავდაჯერებულობა იკლებს, რადგან შეფასებაში უფრო კრიტიკული ხდება, ცდილობს საკითხის სრულყოფილ გააზრებას, რაც ხშირ შემთხვევაში, იმდენად რთული და მრავალმხრივია, რომ ძნელი ხდება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. უცოდინარ ადამიანს ეს არ აწუხებს, მისი თვალსაზრისი და გადაწყვეტილება ყოველთვის მყარია, რადგან არ აქვს ინფორმაცია იმ უამრავი დეტალის შესახებ, რაც კონკრეტულ საკითხს შეიძლება ეხებოდეს და რაც შეიძლება რომ ეჭვისა და მერყეობის საფუძველი გახდეს.

ამდენად, უცოდინარის თავდაჯერებულობა და მცოდნის მოკრძალებულობა ერთი მოვლენის ორი მხარეა, რაც ქვიშაზე დახატული წრეებით ახსნა ანაქსიმენემ. საუკუნეების შემდეგ კი მეცნიერულად დადასტურდა ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების სერიაში.

[1] ბრაიან ტრეისი - ''მიზნები''

ჩვენ ყველას გვინახავს, ან ვიცნობთ ადამიანს, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში დანინგ-კრუგერის ეფექტს განასახიერებს: არაერთხელ გავმხდარვართ მოწმენი, როგორ იძლევა მეცნიერებაში სრულიად გაურკვეველი ჰოლივუდელი კინომსახიობი სამედიცინო რჩევებს დიეტისა თუ პლასტიკური ქირურგიის შესახებ ისე, რომ საკუთარი მოსაზრების სისწორეს ეჭვქვეშაც კი არ აყენებს.

ვიცნობთ სტუდენტს, რომელიც უკმაყოფილოა საგამოცდო ტესტში მიღებული დაბალი შეფასებით და მზადაა თავისი წარუმატებლობის მიზეზად ლექტორების არაობიექტურობიდან დაწყებული მთელი განათლების სისტემის გაუმართაობაზე ისაუბროს ისე, რომ თავის ნიჭიერებასა და უნარებში ეჭვიც არ შეეპაროს. გვინახავს კადრები სატელევიზიო შოუებიდან როცა კონკურსანტი, ღრმად დარწმუნებული თავის ვოკალურ, თუ სხვა სახის მონაცემებში, როგორ აგრესიულად იღებს კომპეტენტური ჟიურის უარყოფით შეფასებას, არ იზიარებს მის შენიშვნას და არ აინტერესებს სხვისი აზრი. ეს შემთხვევები არ არის მხოლოდ ეთიკისა და ზრდილობის ნორმების დარღვევა, მათ უბრალოდ არ იციან, როგორი უნდა იყოს კარგი შესრულება.

დანინგმა და კრუგერმა ჩაატარეს ექსპერიმენტების სერია კორნელის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით, სადაც სტუდენტებს სთხოვდნენ სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულებას და შემდგომში საკუთარი შედეგების პროგნოზირებას.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველა ტესტში დაბალი შედეგების მქონე სტუდენტებმა გამოავლინეს მაღალი თვითშეფასება. თუ მათი რეალური შედეგი იყო 12 ქულა, წინასწარმეტყველებდნენ, რომ ექნებოდათ 60 ქულა.

ამის საპირისპიროდ, სტუდენტები, რომლებსაც ჰქონდათ მაღალი შედეგები შედარებით დაბალ ქულებს პროგნოზირებდნენ, 90 ქულის მქონე ამბობდა, რომ მისი შედეგი იქნება სავარაუდოდ 80. ექსპერიმენტები ადასტურებს, რომ უცოდინრები ზედმეტად თავდაჯერებულები არიან, მაშინ როცა მცოდნეებს მეტი თავმდაბლობა ახასიათებთ.



[1]

როგორც გრაფიკიდან ჩანს, დანინგისა და კრუგერის მიხედვით, ცოდნასა და თავდაჯერებულობას შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება: ნულოვანი ცოდნა ნიშნავს ნულოვან თავდაჯერებულობას, მაგრამ როგორც კი ჩნდება მცირე ცოდნა, თავდაჯერებულობა მკვეთრად იზრდება და მაქსიმუმს აღწევს. შემდეგ, გარკვეულ ეტაპამდე, ცოდნის ზრდასთან ერთად საკუთარი შესაძლებლობებზე არსებული წარმოდგენა მცირდება მერე კი ისევ იმატებს,

[1] დევიდ დანინგი, ჯასტინ კრუგერი - "Unskilled and Unaware of It: How Difficulties of Recognizing One's Own Incompetence Lead to Inflated Self-assessments"

თუმცა მცოდნე ადამიანის თავდაჯერებულობა არასდროს არ არის ისე მაღალი, როგორც უცოდინარის.

დასკვნები და რეკომენდაციები: ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ დამატებით ტრენინგსა და სხვადასხვა საგანამანათლებლო ღონისძიებას შეუძლია დანინგ-კრუგერის ეფექტის შემცირება. როცა ადამიანი ამა თუ იმ საკითხის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას იღებს და ზოგად წარმოდგენას იქმნის, ის უკვე აცნობიერებს, რომ თავისი სუბიექტური აზრის გარდა არსებობს განსხვავებული შეხედულებაც და ყველაფერი არც ისე ადვილადაა, როგორც თავიდან ეგონა.

კიდევ ერთი ძირითადი ასპექტი, რაშიც ასევე გვეხმარება არაფორმალური განათლება და რომელიც პიროვნული ზრდის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს არის მადლიერება[1]. ამ სამყაროში არიან ჩვენზე ბევრად გონიერი ძალები. რა თქმა უნდა, ყველაფერში საკუთარ თავს უნდა დავეყრდნოთ, მაგრამ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს გარშემო არსებულ ადამიანებს დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს წარმატებაში. ყველაფერი, რაც ჩვენ მოგვეთხოვება არის ის, რომ გულწრფელად გავუზიაროთ სხვებს, რაც თავად ვიცით და ჩვენს მიმართაც გულუხვნი იქნებიან - ''გაეცი და მოგეცემა.''

სამწუხაროდ, ადამიანებს გვჩვევია ყველა სიკეთე ჩვენ დავიბრალოთ და ყველა პრობლემა სხვებს დავაბრალოთ. თუ ყველაფერი კარგი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა ჩემი დამსახურებაა და ყველა პრობლემა სხვისი ბრალია, მაშინ მადლიერი არ ვიქნები, პირიქით, ანტიმადლიერი ვიქნები ანუ უმადური ვიქნები. არადა, მადლიერება ტექნიკურად საკმაოდ მარტივია და მდგომარეობს შემდეგში - რომ შეხედო შენს თავს ცოტა კრიტიკულად და შეეცადო დაინახო სხვების დამსახურება შენს მიღწევებში. მე რომ დღეს უნივერისტეტში ვსწავლობ, ჩემი დამსახურებაა თუ იმ ადამიანების, ვინც განათლების მიღების საშუალება მომცეს, მე რომ კონფერენციებზე გამოვდივარ, მხოლოდ ჩემი დამსახურებაა კარგად რომ ვსწავლობ თუ ლექტორებსაც მიუძღვით წვლილი? ერთი რამ დანამდვილებით ვიცი - მადლიერებას შეუძლია წარმატებამდე მიიყვანოს ადამიანი. რას იწვევს მადლიერება?

პირველ რიგში, ეს იწვევს თვითკრიტიკას და შესაბამისად, განვითარებას. მე თუ შევხედავ რომ სხვების დამსახურებაა რაღაც-რაღაცები, შეიძლება კრიტიკულად შევხედო ჩემს თავს. მე თუ კრიტიკულად შევხედავ ჩემს თავს ალბათ ნაკლს ვიპოვი, ხარვეზს ვიპოვი. შესაბამისად მადლიერება იწვევს განვითარებას. ვინც არ არის მადლიერი, ვინც ვერ ხედავს სხვების წვლილს, ხედავს საკუთარ სიკარგეს და არ ვითარდება.

მეორე ასპექტი, მადლიერების არის სხვებთან ურთერთობა. თანამედროვე მენეჯმენტი, მარკეტინგი, გაყიდვები გვასწავლის სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას. სოციალური კაპიტალი არის ის თუ რას ფიქრობენ სხვები შენზე - როგორი რეპუტაცია შემიგროვდება რომ გამოვკითხო ადამიანები ჩემს ირგვლივ თუ რას ფიქრობს ჩემზე. მადლიერ ადამიანს სოციალური კაპიტალი აქვს უფრო მეტი, იმიტომ რომ იგი ცოტათი უფრო მადლიერია, ცოტათი უფრო თავდმდაბალია. შესაბამისად ყველას ურჩევნია ასეთ ადამინებთან ურთიერთობა.

მესამე სიკეთე, რისი მოტანაც შეუძლია პრაქტიკულ მადლიერებას, ეს არის გუნდში იყო საუკეთესო წევრი. სწორედ მადლიერი ადამიანები არიან გუნდის უკეთესი წევრები. ორგანიზაციებში არიან ადამიანები ვინც ''თავისი თავით ტკბებიან'' და არიან ადამიანები, ვინც ''სხვებთან ურთიერთობით ტკბებიან''. უკანასკნელებს, რა თქმა უნდა უკეთ გამოსდით გუნდურად მუშაობა.

[1] ალექსანდრე ჯეჯელავა - Nx speaker – ''მადლიერება''

მენეჯმენტის კუთხით რომ შევხედოთ, ამბობენ, რომ ყველაზე დიდი იშვიათობა მენეჯერებში და ამავდროულად, ყველაზე მეტად დაფასებული თვისება არის მადლიერება. მენეჯერი, დამნახავი და დამფასებელი მენეჯერი, ბევრ სხვა თვისებაზე მეტად არის დაფასებული თვითონ. მენეჯერი, რომელსაც შეუძლია დაინახოს თქვენი და სხების წვლილი და ღვაწლი, როგორც თქვენს მიერ, ისე სხვებისგან არის დაფასებული მენეჯერი.

საბოლოო ჯამში, თითოეულმა ჩვენთაგანმა ვივარჯიშოთ მადლიერებაში. ყოველდღიურად დავფიქრდეთ ვისი რა გვმართებს. მე რომ კარგი სტუდენტი ვარ ვისი დამსახურებაა? ჩემიც არის რა თქმა უნდა, მაგრამ იქნებ იმ ადამინების დამსახურებაცაა ვინც მირჩია, მასწავალა. მე ვფიქრობ, რომ იმ ადამიანისთვის, ვინც ივარჯიშებს მადლიერებაში და ცოტა მეტ მადლობას კი არ იტყვის, არამედ იფიქრებს, მისი ცხოვრება გახდება უკეთესი ყველა ასპექტში. ორგანიზაციაც და საზოგადოებაც, რომელიც მეტად მადლიერია იქნება მეტად შეკრული და მეტად ძლიერი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. [დავით კენჭაძე, დროის მენეჯმენტი - წარმატების დასაწყისი,](#)
   Copyright © 2015 | Supported By GOODWEB
2. [მარიამ შარიქაძე, როგორ გავხდეთ უფრო საინტერესო?,](#)
   Copyright © 2015 | Supported By GOODWEB
3. მზია კუბეცია, შორენა ტყემალაძე, არაფორმალური და ინფორმალური განათლების როლი უწყვეტი განათლების ცხოვრების ციკლში
4. რობერტ კიოსაკი - ''მდიდარი მამა, ღარიბი მამა''
5. საქართველოს განათებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი - ''უმაღლესი განათლების სისტემა''
6. Brian Tracy – ''Goals''
7. Brian Tracy – ''Eat That Frog''
8. Nx Speaker: ალექსანდრე ჯეჯელავა - ''რა პროფესიის ხართ?''
9. Nx Speaker: ალექსანდრე ჯეჯელავა - ''ქართული ხალხური პროფესიული ზღაპრები''
   Nx Speaker: ალექსანდრე ჯეჯელავა - ''მადლიერება

Anotation

The work consists of an introduction, the four chapters and a conclusion. The paper aims to explore the modern and innovative educational and scientific environment, what is the role of formal education in shaping the future managers and how important the role of non-formal education is. The first part deals with general aspects of education management. The second part is about the non-formal education and its essence. The third section discusses the role of non-formal education for the organization to succeed. The fourth chapter tries to explore a connection between non-formal education and personal development. The main attention is paid to how to effectively connect institutional education with real world requirements. Also, conducted survey revealed the role of non-formal education in nowadays youth. In the end, in the form of conclusions and recommendations future prospects is given in the paper.

უმუშევრობასა და მეწარმეობას შორის კავშირი საქართველოში

გიორგი ჭაღიაშვილი
ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ინეზა გაგნიძე**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია საქართველოში უმუშევრობასა და მეწარმეობას შორის კავშირი. გამოკვლეულია საქართველოში უმუშევრობის დონის სავარაუდო გავლენა მეწარმეობაზე, გაანალიზებულია თვითდასაქმების მაჩვენებლები, მოცემულია უმუშევრობის და მეწარმეობის მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში რეგიონულ-დარგობრივი ჭრილში. აღნიშნულის საფუძველზე გამოვლენილია კორელაციური კავშირი უმუშევრობისა და მეწარმეობის დონეებს შორის საქართველოში 2010-2014 წლებში.

საკვანძო სიტყვები: *მეწარმეობა, უმუშევრობა, თვითდასაქმება,* კორელაცია

მეწარმეობის გარშემო მიმდინარე გამოკვლევები ადასტურებენ კორელაციას უმუშევრობასა და სამეწარმეო საქმიანობას შორის. უმუშვრობის პრობლემის განხილვის დროს მნიშვნელოვანია განვასხვავოთ სტრუქტურული უმუშევრობა, რომლის მიზეზია მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები, და ფრიქციული უმუშევრობა, რომელიც მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც იმყოფებიან სამუშაოთა შორის. საქართველოს მთავრობა თავისიპოლიტიკით ცდილობსშეამციროს სტრუქტურული უმუშევრობა თვითდასაქმების სუბსიდირებითა და მხარდაჭერით, ასევე ისეთი ღონისძიებებით, რაც ხელს უწყობს მოსახლეობაში განვითარდეს „სამეწარმეო კულტურა“ და „სამეწარმეო აზროვნება“. მეორე მხრივ, სამთავრობო პოლიტიკა რომელიც გულისხმობს ბიზნესის სუბსიდირებას ინდივიდების დასაქმებისთვის, ცდილობს შეამციროს ფრიქციული უმუშვრობა. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, ნათელი ხდება, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი უარყოფით კორეკლაციაშია სამეწარმეო საქმიანობასთან და ესაა სწორედ ის, თუ რატომ უნდა ჩაერიოს მთავრობა ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საინტერესოა, თუ როგორია საქართველოში დამოკიდებულება უმუშევრობისა და მეწარმეობის დონეებს შორის. ნაშრომის მიზანია საქართველოში უმუშევრობისა და მეწარმეობის დონეებს შორის კავშირის კვლევა.

დასახული მიზნის მისაღწევად დაისხა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში უმუშევრობის დონის სავარაუდო გავლენის დადგენა მეწარმეობაზე;
- თვითდასაქმების ანალიზი;
- კორელაციის დადგენა უმუშევრობისა და მეწარმეობის დონეებს შორის.

უმუშევრობის ტიპების ანალიზი

უმუშევრობაზე საუბრისას, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა იყო სამუშაო ძალის

განათლების დონის მიხედვით. საზოგადოდ, უმუშვარ მოსახლეობაში განათლების მაღალი წილი ზრდის მეწარმეობისადმი მიდრეკილებას და მის წარმატებით გაძღოლის შანსებს. ამ პერიოდის მონცემებით უმუშევართა 81% საშუალო ან უმაღლესი განათლებით იყო.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ბოლო ორი წლის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის კეთების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა და ზუსტად ეს წარმოქმნის ქვეყანაში სტრუქტურულ უმუშევრობას. ზოგადად, მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებები იწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში სათანადო წვლილი ვერ შეაქვს. ამავე დროს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშების მიხედვით, შრომისუნარიანი მოსახლეობის უმეტესობა ეგრეთ წოდებულ „სტრუქტურული უმუშევრობის“ რიგებს ავსებს. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. ეს ძირითადად გამოიხატება ახალგაზრდებში მაღალი უმუშევრობით. ზუსტად ასეთი სახის უმუშევრობა წარმოქმნის „აუცილებლობით“ გამოწვეულ მეწარმეობას.

უმუშევრობისკიდევ ერთი ტიპი, რომელიც საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს რეალობისთვის, ციკლური უმუშევრობაა. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია და ეკონომიკური რეცესიის დროს ჩნდება, როდესაც ეკონომიკური პროდუქტის წარმოების მოცულობა მცირდება და საწარმოო ციკლზე ბაზარზე მოთხოვნის შემცირება მოქმედებს. ექსპერტებმა სცადეს დაედგინათ, რა ტიპის უმუშევრობაა საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული. ამის დადგენის ერთ-ერთი შესაძლო გზა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის წამყვან სექტორებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტულ ცვლილებებზე და ამ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობაზე დაკვირვებაა.

ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს მთელი ინვესტიციების უდიდეს ნაწილს შეადგენს, ვინაიდან ადგილობრივი დანაზოგები არ არის საკმარისი ადგილობრივი ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პროდუქციის ზრდისა და დასაქმების მატების მნიშვნელოვან წყაროდ არის მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ინდიკატორი გამოგვეყენებინა, როგორც უმუშევრობის ტენდენციების განმსაზღვრელი. მაგალითისთვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 2015 წელს, 2014-თან შედარებით, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის დარგში პუი გაიზარდა 433,654.7-დან 584,648.7 ათასი აშშ დოლარამდე (34.82%), თუმცა შემდეგი წლისთვის ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა5.73%-ით, რესტორნებისა და სასტუმროების ქსელში 2014 წლის 124,851.8 ათასი აშშ დოლარიდან 2015 წლის 138,815.3 ათას დოლარამდე ზრდას (11.27%), მოყვა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება 4.15%-ით. ანალოგიური სურათი იყო 2007-2010 წლებში (იხ. გრაფიკი 1 და გრაფიკი 2) . გრაფიკებიდან 1 და 2 ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებში პოზიტიური ცვლილებები გავლენას ახდენს დასაქმების მაჩვენებლებზე, თუმცა, ესპოზიტიური ზემოქმედება არარის ძლიერი და უარესდება. ზოგ შემთხვევაში, პუი-ს ნაკადების სიჭარბე ნეგატიურად მოქმედებ სდასაქმებაზე,მაგალითად, 2010 წელსტრანსპორტისადაკომუნიკაციებისსექტორში პუი-ს 118%-იანი ზრდა აღინიშნა, თუმცა, იმავე წელს, დასაქმებულთა 1.9%-იანი კლება დაფიქსირდა ამავე სექტორში. მოცემულ

გრაფიკებში ნაჩვენები შეუსაბამობები და საქმეების ზრდასა და პუი-ს მატებას შორის სექტორების მიხედვით, შეიძლება დროში ჩამორჩენებით აიხსნას და ასევე, იმფაქტით, რომ ყველა სექტორს არ აქვს გრძელვადიანი დასაქმების გენერირების პოტენციალი.

სავარაუდოდ, საქმე ისარის, რომ ფორმალური დასაქმების მდგრადი ზრდისთვის პუი-ს მუდმივი და სტაბილური შემოდინება არის აუცილებელი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პუი საქართველოში დასაქმებაზე არმოქმედებს იმ მაქსიმალური მასშტაბით, რა მასშტაბითაც შეუძლია, იმოქმედოს. მიგვაჩნია, რომ ამის მიზეზი ისევდაისევ სტრუქტურული უმუშევრობაა. ამითშეიძლება, ასევე, აიხსნასისიც, რომ 2007 წელს, მშპ-ის ზრდის ყველაზე მაღალი, 12%-იანიმა ჩვენებლის პირობებში, უმუშევრობის დონე მაინც საკმაოდ მაღალი იყო - 13.3%.

ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ საქართველოში ძირითადად სტრუქტურული უმუშევრობაა გავრცელებული და ეს სიტუაცია დიდი ხანია გრძელდება.





თვითდასაქმების ანალიზი

განვიხილოთ საქართველოში თვითდასაქმების შესახებ არსებული მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თვითდასაქმებული არის ადამიანი, რომელიც „საქმიანობს ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი“. ერთი მხრივ, თვითდასაქმებული ადამიანი შესაძლოა წარმატებული მეწარმე იყოს, მეორე მხრივ კი, ადამიანი, რომელსაც უჭირს „ფორმალური“ სამუშაოს პოვნა და იძულებულია, თავის გადასარჩენად თავად დასაქმდეს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ 553359 საწარმოდან (2014 წლის მონაცემებით) 311984 საწარმოს (56.38%)საქმიანობა უცნობია.ამიტომ, თვითდასაქმების ინტერპრეტირება ორგვარად შეიძლება - როგორც მეწარმეობა და როგორც უმუშევრობა. იმისათვის, რომ განვასხვავოთ ნამდვილი თვითდასაქმება და „შენიღბული“ უმუშევრობა, საჭიროა სიღრმისეული კვლევის ჩატარება, რათა შეფასდეს დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულების ცხოვრების დონე.

საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ზოგადად, თვითდასაქმებულთა კატეგორია გაცილებით დიდია „დაქირავებით“ მომუშავე დასაქმებულთა რაოდენობაზე. თვითდასაქმებული პირები ძირითადად კონცენტრირებული არიან სოფლის მეურნეობაში, ხოლო ამ სექტორში პროდუქტიულობის დონე საკმაოდ დაბალია.

თვითდასაქმება ინდივიდებს აიძულებს თავიანთი ბიზნესი გარკვეულ დონემდე განავითარონ. ეს დონე ძირითადად დამოკიდებულია პირველადი ინვესტიციის მოცულობაზე და მათ პიროვნულ თვისებებზე. კაპიტალის მოზიდვის მცდელობისას ამ კატეგორიის

ადამიანები იგივე დისკრიმინაციის წინაშე დგანან. როდესაც ბიზნესი უკვე წამოწყებულია და ფუნქციონირებს, მეწარმე შეიძლება დიდ ზრდას არც გეგმავდეს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი მიზანია, იგივე შემოსავლის მიღება, რასაც იგი დაქირავებული შრომის შემთხვევაში მიიღებდა. ამრიგად, ძირითადი განსხვავება შესაძლებლობის გამო წამოწყებულ მეწარმეობასა და გარემოებათა გამო წამოწყებულ მეწარმეობას შორის არის ის საბოლოო მიზანი, რომელსაც მეწარმე ისახავს. პირველ შემთხვევაში მიზანი შეიძლება იყოს გამდიდრება და ბიზნესის ზრდა, მეორე შემთხვევაში კი მიზანი უბრალოდ პატიოსანი ცხოვრებისათვის საჭირო სახსრების მიღებით შემოიფარგლებოდეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სოფლის მეურნეობას ქვეყნის მშპ-ში მცირე ნაწილი უკავია (9,3% 2014 წლის მშპ-ში), გამოდის რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეების უმეტესობა აუცილებლობის გამო მისდევს ამ საქმიანობას.

უმუშევრობის და მეწარმეობის მაჩვენებლები საქართველოში რეგიონულ-დარგობრივი ჭრილში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, სოფლის მეურნეობაში, და ზოგადად სოფელში უფრო დაბალი უმუშევრობის დონის მიუხედავად (22,1% ქალაქში და 5,4% სოფლად 2014 წლის მონცემებით), ამ დარგში დარეგისტრირებული სამეწარმეო ორგანიზაციების რაოდენობა მცირეა (2014 წლის მონაცემებით, 5017 საწარმო 553359 საწარმოდან, ანუ მხოლოდ 0.91%, საქმიანობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით) ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ უმუშევრობასა და მეწარმეობას შორის საქართველოში გარკვეული (დადებითი) კავშირი არსებობს. ამას ამყარებს ქალაქსა და სოფელს შორის უმუშევრობის დონის და მეწარმეობის დონის სხვაობების განაწილების მსგავსებაც, თუმცა, საბოლოო დასკვნის გამოტანა ძნელია, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში მაღალ დონის უმუშევრობას მაღალი დონის მეწარმეობის დონე მოსდევს (ქ. თბილისი, აჭარის ა.რ.), ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით (მაგალითად, იმერეთი და კახეთი).

საქსტატის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა 2010-2014 წლებში გაიზარდა 34,43%-ით (411646-დან 553359-მდე). ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით გამოირჩევა - სასტუმროების და რესტორნების ბიზნესი 72,12% (10810 საწარმო 2014 წლის 6279-დან), მშენებლობის დარგი 54,28% (9004 დან 13891-მდე) და განათლების სფერო 46.37% (1846-დან 2702-მდე).

რეგიონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დარეგისტრირებული საწარმოების რაოდენობის ზრდის ყველაზემაღალი ტემპით გამოირჩეული ოთხი რეგიონია:აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 41.42%, მას მოსდევს ქვემო იმერეთი - 39.97%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 39.4% დაკახეთი -36.45%.

არსებობს თუ არა კორელაცია უმუშევრობისა და მეწარმეობის დონეებს შორის?

კითხვაზე - „არსებობს თუ არა კორელაცია უმუშევრობისა და მეწარმეობის დონეებს შორის?“ პასუხის გასაცემად გვჭირდება ჩამოვაყალიბოთ მათ შორის კორელაციის შესახებ თეორიული მოსაზრება და ჩავატაროთ კორელაციის ანალიზი.

თეორიული მსჯელობა იმაში მდგომარეობს, რომ უმუშვრობის დონის ცვლილება კონკრეტულ წელს გარკვეულ კავშირშია მეწარმეობის დონის ცვლილებასთან მომდევნო წელს.

ეს ხდება იმიტომ რომ უმუშევრად დარჩენილი ადამიანები ცრდილობენ დასაქმდნენ, ეს კი იწვევს მათ თვითდასაქმებას მეწარმეობის სახით, თუმცა, ეს საშუალოდ მომდევნო წელს ხდება, რადგან მანამდე უმუშევარს ან სამსახურის შოვნის იმედი აქვს (და ზოგიერთი ამას ახერხებს კიდეც) ანდა აქვს საკმარისი სახსრები, რომელიც უზრუნველყოფს მის სათანადო დონეზე ცხოვრებას ამ ერთი წლის განმავლობაში, ვიდრე ის ეძებს სამსახურს ან სხვა მსგავსი ფაქტორები. ანუ უმუშევრობის დონის ცვლილებას 2009-2010 წლებში უნდა შეეცვალა მეწარმეობის დონე 2010-2011 წლებში და ა.შ. საწყის ეტაპზე გავიგეთ უმუშევრობის დონის პროცენტული ცვლილება (იხ. გრაფიკი 4). რაც მივიღეთ გრაფიკზე 3 არსებული მაჩვენებლებისთვის წინა წლის მონაცემების გამოკლებით, და გავარკვიეთ მისი 2010-2013 წლების მონაცემების კორელაცია 2011-2014 წლების მეწარმეობის ზრდის მაჩვენებლებთან (აღნიშნულ მაჩვენებლად მივიჩნიეთ რეგისტრირებულ მეწარმეთა რაოდენობა მოცემულ წლებში. იხ. გრაფიკი 5).





გრაფიკი 5, რეგისტრირებულ მეწარმეთა რაოდენობის დინამიკა 2004-2014 წლებში

საბოლოოდ, გამოთვლების შედეგად კორელაცია ამ ორ მონაცემს შორის 2009-2014 წლებში დაფიქსირდა 0.971131024, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ეს კი მეტყველებს მოკლევადიან პერიოდში უმუშევრობასა და მეწარმეობას შორის მაღალ დადებით კორელაციაზე, გრაფიკზე 12 გამოსახული ტენდენცია აჩვენებს ამ კორელაციას.

რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, 2005-2014 წლებში სიტუაცია განსხვავებულია - კორელაცია (-0.075349057)-ის ტოლია, რაც მეტყველებს ამ მონაცემთა შორის დაბალ კორელაციაზე გრძელვადიან პერიოდში.

დასკვნები და რეკომენდაციები: ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში უმუშევრობასა და მეწარმეობას შორის საკმაოდ მჭიდრო დადებითი კავშირი არსებობს მოკლევადიან პერიოდში, რაც ასევე დაადასტურა კორელაციურმა კვლევამ, თუმცა გრძელვადიან პერიოდში არ შეინიშნება ძლიერი კავშირი. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ რომ უმუშვრობა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში ახდენს დადებით გავლენას მეწარმეობაზე, გრძელვადიან პერიოდში კი ეს ორი მაჩვენებელი ნეიტრალურია ერთმანეთის მიმართ. რა თქმა უნდა ვერ იქნა გათვალისწინებული ყველა სხვა მოქმედი ფაქტორი, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე დიდი დაღი 2008 წლის ომმა დაასვა, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, მიღებული შედეგი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საქართველოში მეწარმეობისა და უმუშვრობის დონეებს შორის კავშირის შესახებ. აღვნიშნავთ იმასაც, რომ აუცილებელია შემდგომი უფრო სიღრმისეული კვლევის ჩატარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „დასაქმება და უმუშევრობა“; საქსტატი. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=145&lang=geo
2. „მთლიანიშიდაპროდუქტი (მშპ)“; საქსტატი http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo
3. „დასაქმება და უმუშევრობა 2014 წელი (წლიური)“, საქსტატი, http://www.geostat.ge
4. “Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი - უმუშევრობის დონის განსაზღვრა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14730

5. „მეწარმეობა საქართველოში“ პუბლიკაციები 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, საქსტატი, http://www.geostat.ge
6. „დასაქმება და უმუშევრობა 2015 წელი (წლიური მოხსენება)“, საქსტატი, http://www.geostat.ge
7. „დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით“, საქსტატი, http://www.geostat.ge
8. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, ჯ. ჰასიდი, ა.ს. კომელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნაცვალაძე, ნაწილი I-II,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009.

Anotation

The paper deals with the relationship between entrepreneurship and unemployment in Georgia. The possible impact on the unemployment rate in entrepreneurship in Georgia was investigated, self-employment rates were analyzed, as well the performance analysis of unemployment and entrepreneurship in Georgia in regional-sector setting. Based on this, correlation between unemployment rates and the level of entrepreneurship was detected for years 2010-2014.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მარიამ ხიზანიშვილი
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი
მეცნიერ-ხელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი **ლეილა ქადაგიშვილი**

ანოტაცია

თანამედროვე პირობებში ტურიზმი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა გახდა. საერთაშორისო სტატისტიკა ადასტურებს, რომ უკანასკნელ წლებში ტურისტული ინდუსტრია აღმავალი გზით ვითარდება. საქართველო ტურისტული დანიშნულებით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა. ტურიზმის განვითარებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ეს დარგი გამორჩეულად ვითარდება ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. სტატისტიკური ინფორმაციით ტურიზმზე მოდის საქართველოს მშპ-ის დაახლოებით 7%. იგი გახდა უცხოური ვალუტის შემოდინების ძირითადი წყარო, რაც ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურის, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, შეფასებულია ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მოცემულია მათი განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, პერსპექტივები, პოტენციალი, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურული პროექტები, პროგნოზები.*

საქართველოში ტურიზმის განვითარება 19-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს აღირიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება,რაც ჯამში 1522 ათასს ადგილს შეადგენდა. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ის, რომ ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, თავისი ფორმით და შინაარსით წარსულს ჩაბარდა. ამასთანვე დაგვიტოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ამჟამად, საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. საქართველოს გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. ამიტომ ჩემი აზრით საინტერესო იქნება ამ სფეროს ზოგადი მიმოხილვა და მისი უპირატესობების აღწერა.

საქართველო არის განსაკუთრებული ტურისტული ზონა, აქ ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებია უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტისა, რეკრეაციულ-ისტორიული ძეგლებისა, რელიგიურ-ბალნეოლოგიური და სხვა ტიპის კურორტების სიუხვის გამო. საქართველოს ტურისტულ პოტენციალს მიეკუთვენება 35 ათასი ისტორიული ძეგლი. მათგან ოთხი შევიდა იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაში. ესენია: ქ.მცხეთა, გელათის სამონასტრო კომპლექსი, ბაგრატის ტაძარი, უშგულის არქიტექტურული ანსამბლი. მთავარ ფაქტორს რომელიც განსაზღვრავს ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის განვითარების ფართო მასშტაბებს საქართველოში წარმოადგენს მისი ბუნებრივი გარემო. საქართველო წარმოადგენს გეოგრაფიული ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობის კლასიკურ მაგალითს. ესთეტიკურ ფაქტორებთამ ერთად ტურისტებს მოიზიდავს მთისა და ზღვის კლიმატის სამკურნალო თვისებები, უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები, რომელიც 1300-ზე მეტი მინერალური წყაროს სახით არის წარმოდგენილი.

მთლიანად საქართველო კლიმატისთვის დამახასიათებელია ზომიერად მაღალი ტემპერატურა წლის თბილ პერიოდში და რბილი ზამთარი.

საქართველოს მთიანი ზონა გამოირჩევა ლამაზი ლანდშაფტებით ჯამრთელი კლიმატით. მთის კლიმატის დადებითი მხარეებია: ჰაერის სიწმინდე, სტერილური ატმოსფერო, ზომიერი ტემპერატურა ზაფხულში. განსაკუთრებით კარგი კლიმატური პირობებით გამოირჩევა დაბალმთიანი და საშუალომთიანი ზონები (ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისი, აბასთუმანი, ცემი, კოჯორი, მანგლისი და ა.შ). მაღალმთიანი კურორტებისათვის (შოვი, ბახმარო და ა.შ) დამახასიათებელია ზომიერად რბილი ზამთარი, გრილი ზაფხული, მზიანი ნათების დიდი ხანგრძლივობა. საქართველოს მაღალმთიანი ზონა (კერძოდ 2000 მ-ის ზევით განლაგებული) უფრო მეტად გამოდგება ჯამრთელი ტურისტებისათვის, ვინაიდან, მისი კლიმატი ძლიერ გამაღიზიანებლად ითვლება. ეს ზონა მეტად გამოდგება სამთო ტურიზმის განვითარებისათვის.

ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის განვითარების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ვრცელი შავიზღვისპირა ზოლი საუკეთესო კლიმატით და მოხერხებული პლიაჟებით. შავი ზღვის პირების კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია რბილი ზამთრით (+4, +6) და ხანგრძლივი

საკამოდ ცხელი ზაფხულით (+22, +24). სწორედ ასეთი ზაფხული სიამოვნებთ ზღვაზე დამსვენებლებს გარუჯვისთვის. საქართველოს ზღვისპირა ზოლი ბუნების სილამაზეს აძლიერებს მდიდარი მცენარეულობა, მთისა და ზღვისპირა ლანდშაფტების ეფექტური შეხამება.

ტურიზმის განვითარებისათვის დიდად გამოსაყენებელია საქართველოს ბუნების ღირშესანიშნაობები და ქართველი ხალხის კულტურის ძეგლები. ბუნებრივ ღირშესანიშნაობათა შორის განსაკუთრებული ადგილი ნაკრძალებს უკავია. ესენია: ლაგოდეხის ნაკრძალი (13000 ჰა), საგურამოს ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალი (ტყე-პარკი), კინტრიშის ნაკრძალი (ქობულეთის რაიონი), სათაფლიას ნაკრძალი და ა.შ. ამ ნაკრძალებში დაცულია მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, ტბები, სუბ-ალპური და ალპური მდელოები, კარსტული მღვიმეები (მაგალითად, სათაფლიას ნაკრძალში დინოზავრთა ნაკვალევებია შემონახული) და ა.შ.

საქართველო კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ქვეყანაა და სამწუხაროა, რომ დღეს უამრავი უმნიშვნელოვანესი ობიექტი რჩება ყურადღების გარეშე, მრავალი მათგანი პასუხობს იმ სპეციფიკურ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მსოფლიო მემკვიდრეობის სამთავრობოთაშორისო კომიტეტი ცნობს, რომ ძეგლს გააჩნია განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. საერთოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვითონ ერი უფრთხილდებოდეს, იცავდეს და ზრუნავდეს მის გადარჩენაზე.

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა ჯერ კიდევ 1912 წელს. ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 520 273 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7,46 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. დაცული ტერიტორიების უპირველესი დანიშნულება უნიკალური ბიომრავალფეროვნების, დამახასიათებელი ეკოსისტემების დაცვა-შენარჩუნებაა.

საქართველოში არსებობს IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით 68 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია, მათ შორის:ებაა. 14 სახელმწიფო ნაკრძალი;

10 ეროვნული პარკი;

18 აღკვეთილი;

24 ბუნების ძეგლი;

2 დაცული ლანდშაფტი.

საინტერესოა ვიზიტორთა სტატისტიკა დაცულ ტერიორიებზე და ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით (იხ. დიაგრამა 2 და 3).



დიაგრამა 2. ვიზიტორთა დინამიკა



დიაგრამა 3. ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით

ტურისტულ პარკებში მრავალფეროვანი ინტერესია ჩადებული: სპორტი, ველური ბუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებანი და კულტურა, რაც მთავარია წყალი, მთები, მდინარეები, ტყეები და ა.შ. ყველაფერი ეს წარმოადგენს რეკრეაციულ ღირებულებას, განსაკუთრებით შიდა ტურიზმისათვის. ბოლო დროს განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტი ადამიანი იჩენს ინტერესს სპეციალური ტურებისადმი, რომლებიც ორიენტირებულია ბუნებრივ, "ეგზოტიკურ" და კულტურულ ღირებულებებზე. აქედან გამომდინარე, სწორედ მათი გადანაწილება ხდება აქამდე ტურიზმისათვის აუთვისებელ ტერიტორიაზე.

დღეს თანდათანობით ნათლად გამოიკვეთა ჩვენში დაცული ტერიტორიების ახალი, უფრო მოქნილი, რაც მთავარია-რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე დიდია ტურისტული სახეების დანერგვის შესაძლებლობები, მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ტურიზმი ბუნების გაცნობის მიზნით;
- საოჯახო ტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- ახალგაზრდული და საბავშვო ტურიზმი;
- ზღვისპირა და მდინარისპირა ტურიზმი;
- სპორტული ტურიზმი;
- სათავგადასავლო;
- საშვებულებო ტურიზმი;
- ზოოლოგიური და ბოტანიკური შემეცნებითი ტურიზმი და ფოტო ნადირობა;
- კულტურული და შემეცნებითი ტურიზმი;
- ტრეკინგი და ლაშქრობები;
- სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

საქართველოს ბუნებრივ ღირშესანიშნაობათა რიცხვს მიეკუთვნება წყალსატევები, მღვიმეები, მთის მწვერვალები (თეთნულდი) უშბა, მყინვარწვერი, ხეობები (დარიალის, ხრამის და ა.შ.)

ტურისტებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია მღვიმეები, როგორებიც საკამოდ ბევრია საქართველოში (ხარაგაულის, რეჩხის და სხვა) მაგრამ მიუწვდომელია და იქ ტურისტები ვერ შეგვყავს. ასეთ დროს ცნობილია რომ იუგოსლავიაში მდებარე პოსტოინას

მღვიმეს წელიწადში 300 000 კაცი ნახულობს და ამ მღვიმეს ქვეყნისთვის 0,5 მლნ დოლარი შემოსავალი მოაქვს.

ტურიზმის ობიექტებად საქართველოში უნდა ვაქციოთ ტბები, მდინარეები, ჩანჩქერები, კარსტული წყლები. მდინარეებზე და ტბებზე უნდა განვავითაროთ მეთევზეთა ტურიზმი (მაგ. ტაბაწყურის ტბაზე, მდ. არაგვზე და ა.შ). ნაკრძალებში (პერიოდულად) - სამონადირეო ტურიზმი (განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება ტურისტისთვის მთიანეთში, ხევსურეთში და სვანეთში ჯიხვებზე ნადირობა, ლაგოდეხის ნაკრძალში გარეულ ღორზე ნადირობა და ა.შ)

საქართველოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება მისი ცალკეული კუთხეების (ფშავი, სვანეთი, თუშეთი და ა.შ) ეთნოგრაფიული თავისებურებები. უცხოელთათვის ეს თავისებურებები უჩვეულოა და ამდენად საინტერესო.

ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოში დადებით როლს ასრულებს მისი მოხერხებული მდებარეობა, კერძოდ ის რომ იგი ტრანსპორტირების ყველა სახით უკავშირდება ევროპასაც და აზიასაც, ზღვის საშუალებით ინტენსიური კავშირების დამყარება შეუძლია ხმეთაშუაზღვის ქვეყნებთან. ამ საქმეს დადებითად წაადგება აგრეთვე ქვეყნის ეკოლოგიური სისუფთავე (შედარებით ევროპასთან), აქ წარმოებული პროდუქტების სიჯანსაღე და უვნებლობა. დავიმახსოვროთ რომ უცხოელი ტურისტებისთვის ამ ფაქტორს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ტურიზმის განვითარება მარტო ტურიზმს კი არ განავითარებს, არამედ განავითარებს მომიჯნავე და მონათესავე დარგებსაც - სასტუმროს მეურნეობას, სატრანსპორტო მეურნეობის დასაქმებაში და მათი შემოსავლების ზრდაში, რაც არის ერთ-ერთი დიდი და ეფექტიანი საშუალება სიღარიბის შესამცირებლად საქართველოში.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ შატილი, რომელიც ხევსურეთის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს. გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო იქ 5-6 ოჯახიღა ცხოვრობს. დანარჩენი ჩამოსახლდა ბარში და ცხადია თანდათან დაკარგეს კუთხურობა. ისინი ხევსურები აღარ არიან. თუ ასე ყველა კუთხე ბარში ჩამოსახლდება ჩვენ დავკარგავთ მთოსნურ თავისებურებებს და გავხდებით „ერთგვაროვანი მასა“. თუ შატილელებს ფინანსურად დავეხმარებით და გზასაც გავუკეთებთ და იქ ტურისტულ მარშრუტებს დავგეგმავთ ისინი მოემსახურებიან მათ ბინით (კერძო სასტუმრო), კვებით (კერძო კაფე), მეგუზობით და ა.შ. ამით მათ შემოსავალი ექნებათ, ადგილზეც დარჩებიან, გამრავლდებიან. ასე გადაგვირჩება შატილი და საქართველოს სხვა კუთხეებიც.

ტურიზმის პოტენციალის ამოქმედებით მკვეთრად გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები (შენიშვნა: საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ერთი ტურისტი კვირის განმავლობაში საშუალოდ 1000 დოლარს ხარჯავს). ამის გარდა, დაჩქარდება სხვა მომიჯნავე დარგების განვითარება, რაც გამოიწვევს მოსახლეობის დასაქმებას და მივიღებთ ამის ლოგიკურ შედეგს - სიღარიბის დაძლევას.

საქართველოში ზრდის დინამიკა შეინიშნება საერთაშორისო ჩამოსვლების თვალსაზრისით, რაც უკანასკნელი ათწლეულის მნიშვნელოვანი ტენდენციაა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის იანვარ-დეკემბრის ინტერვალში დაფიქსირდა 5365356 ვიზიტი, რაც წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს 21,2%-ით აღემატება. დეკემბრის ოფიციალური მონაცემების მიხედვით დაფიქსირდა 391724 ვიზიტორი, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელს 5%-ით აღემატება. ხოლო 2014-2015 წლის მონაცემებით ზრდა 6,9%-ია. პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია: 1. 24 საათი

და მეტი 2278562 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38%, მატება 2014 წელთან შედარებით 2,2%). 2. ტრანზიტი - 1400835 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 23,8%, მატება 25.7%), ერთდღიანი ვიზიტი - 2218288 (საერთო რაოდენობის 37%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2,1%).

2015 წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით ლიდერობს სომხეთი (ზრდა +11%), აზერბაიჯანი (ზრდა +9%), თურქეთი (ზრდა -4%), რუსეთი (ზრდა +4%). პოზიტიური ტენდენციაა ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, ტრადიციულად გამოირჩევა პოლონეთი, ჩეხეთი, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია და იტალია (იხილეთ დიაგრამა)[1]



ქართულ ბაზარზე განთავსების ინდუსტრიაში ლიდერი პოზიციები აქვს აჭარის რეგიონსა და თბილისს. საწოლი ადგილების რაოდენობის 63-%-ი მოდის სასტუმროებზე, მას მოსდევს საოჯახო სასტუმროები და სასტუმრო სახლები, თითოეული 16%-იანი წილით. მთლიანობაში სულ ქვეყანაში ფიქსირდება 1051 განთავსების საშუალება, 34751 საწოლი ადგილით. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ვიზიტორების ზრდის დინამიკა ფიქსირდება, რაც გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ ოპტიმისტური პროგნოზები დამატებით ახალი სასტუმროების მშენებლობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. საქართველოში უკვე ფუნქციონირებს საერთაშორისო ბრენდის რამოდენიმე სასტუმრო, როგორიცაა Radisson Blue Iveria, Tbilisi Marriott, Courtyard Marriot, Sheraton Metekhi Palace, Holiday Inn და Citadines.

საქართველო რამდენიმე საერთაშორისო რეიტინგის მქონდე ქვეყნების ათეულშია, როგორც მოგზაურობისთვის ყველაზე უსაფრთხო. წარმატებები იყო საერთაშორისო ურთიერთობებშიც. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტურისტულ გამოფენა ბაზრობაზე. „დაინერგა კომუნიკაციის თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიები, გაიზარდა ინფომაციის გავრცელების სიჩქარე, ფართოდ გავრცელდა ინტერნეტი როგორც ბიზნესის, ასევე საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებში, რამაც, ერთი მხრივ, გაამრტივა სამეწარმეო საქმიანობა და მეორე მხრივ, მსოფლიოს მიეცა საშუალება გაეცნოს საქართველოს კულტურას, ისტორიას და გეოგრაფიას, თბილისში, ბათუმში, ბაკურიანში, ბორჯომში, ანაკლიაში, ბაზალეთში და სხვაგან მსოფლიოში ცნობილი სამშენებლო ბრენდების მიერ საერთაშორისო კლასის სასტუმროები აშენდა, რამაც, საბოლოო ანგარიშით

[1] www. gnat.ge

შექმნა ტურიტული ბიზნესის განვითარების პირობები. 2015 წლის მაისში საქართველომ ევროპის რეკონსტუქციისა და განვითარების ბანკის „EBRD“-ის ბიზნეს ფორუმს უმასპინძლა, ამავე წლის ივლისში თბილისმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ტურიზმის განვითარების მიმართულებით მომავალშიც უნდა გაგრძლედეს მუშაობა, როგორც ახალი ბაზრების აღმოჩენის ასევე არსებულ ბაზრებზე მეტი ადამინის დაინტერესებისა და მოზიდვისკუთხით, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი უცხოური ვალუტის შემოდინებას.

დასკვნები და რეკომენდაციები: საქართველოს ტურიზმის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია. მაგრამ ეს პოტენციალი, რომ აკმაყოფილებდეს უცხოელი ტურისტების მოთხოვნებს საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რათა ტურისტების მომსახურება საერთაშორისო სტანდარტებამდე ამაღლდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოიპოვებს საქართველო „ტურისტული ქვეყნის“ რეპუტაციას. ამ მიზნით უნდა შედგეს ტურიზმის განვითარების სტრატეგია, გამოიყოს ინვესტიციები, ტურიზმის სფეროს კერძო ფირმებს შეექმნათ განვითარების მასტიმულირებელი პირობები (გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხები, დაბეგვრის შეღავათები და ა.შ). საქართველო ეს არის ქვეყანა რომელიც მდიდარიათავისი ბუნებით, უამრავი ღირშესანიშნავი ადგილითა და სანახაობით, გააჩნია უძველესი კულტურა და ქვეყნის ტრადიციული კერძები რომლებიც უცხოელი ტურისტებისათვის ძალიან მიმზიდველია. ყოველივე ეს კი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ საქართველოს შეუძლია განავითაროს ტურიზმის თითქმის ყველა პოპულარული სახეობა: სამთო–სათხილამურო ტურიზმი, შემევნებითი ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და ა.შ. ჩვენი მთავარი ამოცანა კი ისაა, რომ მისი არსებობის და ღირშესანიშნაობების შესახებ რაც შეიძლება მეტმა ერმა და ქვყანამ გაიგოს. საქართველოს უდიდესი პოტენციალიდან გამომდინარე მას ამის შესაძლებლობა გააჩნია.

საქართველო გამოირჩევა მაღალი ტურისტული და რეკერეაციული პოტენციალით. ქვეყნისადმი ინტერესი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებულად გაიზარდა, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ვიზიტორთა ზრდის დინამიკა ქვეყანაში, ეს კი ტურიზმის სექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. სამომავლოდ აღნიშნული ტენდენციის შესანარჩუნებლად, სექტორის თვისებრივი გაჯანსაღებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება, რაც უნდა გამოიხატოს ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადებაში, რაც სტიმულს მისცემს ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობების ზრდას.

ამასთან ტურიზმის განვითარებისათვის მომავალში გასატარებელ ღონისძიებებს შორის, თავისი აუცილებლობით გამოვყოფთ შემდეგს:

1. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება;
2. უსაფრთხო ტურიზმის სტანდარტების შემუშავება და უზრუნველყოფა;
3. სექტორში ცოდნის დანერგვის ხელშეწყობა;
4. კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა სრულყოფა;
5. სექტორის შიდა და გარე საინფორმაციო ქსელის გაუმჯობესება;
6. ტურისტული და ნიშნულების ადგილების კეთილმოწყობა და დაცვა;
7. შიგა ტურიზმის განვითარების სტიმულირების ღონისძიებების განხორციელება;

8. ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ: კულტურული, სათავგადასავლო, საქმიანი, ღვინის, ზამთრის, სამკურნალო გამაჯანსაღებელი, სასოფლო ტურიზმი და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2013, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/Garemo_2013.pdf; ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 23.05.2016.
2. 2015–2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბ., http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 23.05.2016.
3. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო -2020. http://static.mrdi.gov.ge/55101c4b0cf24147438b1700.pdf ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 23.05.2016.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&qy=1&qy1=16&lang=eng
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/ge/ministry/debuleba
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო http://police.ge/

Annotation

In modern conditions Tourism has become an important driving force for economic development. International statistics show that the tourist infrastructure is developing to the upward direction recent years. Georgia is one of the best touristic destinations all over the world. Georgia has a long history of tourism development, but it has especially developed in the last two decades. According to the statistical information, tourism makes up 7% of Georgian GDP. It has become a major source of foreign exchange inflows that is the guarantee of country's economic stability.

გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე

ნათია ჯიბლაძე

დოქტორანტურის I კურსი

მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ნინო პაპაჩაშვილი**

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენას საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე. განხილულია თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის თავისებურებები, საფინანსო ინსტიტუტების როლი საერთაშორისო

ვაჭრობის დაფინანსებაში, თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე. სამეცნიერო ნაშრომების და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილია კრიზისის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების პრობლემები. გამოთქმულია მოსაზრებები მათი პრევენციის თაობაზე. ამ თვალსაზრისით გამოკვეთილია სადაზღვეო კომპანიების როლი და ბაზელის რეკომენდაციების გადახედვის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება.*

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის გლობალიზაციისა და მზარდი ინტეგრაციული პროცესების ფონზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის საკითხები. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გლობალიზაცია ხშირ შემთხვევაში ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრირების პარალელურად თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისისათვის „ვირუსული“ ხასიათის გამომწვევ მიზეზადაც გვევლინება.

კრიზისის ცნება ახალი არ არის და კაცობრიობის ისტორიას არაერთი ლოკალური თუ გლობალური ხასიათის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი ახსოვს, რასაც ოდითგანვე სერიოზული ზიანი მოჰქონდა ერთმანეთთან ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნებისათვის, თუმცა გზა, რომლითაც იგი განვითარდა და გავრცელდა კონტინენტიდან კონტინენტზე, მოჰყვა სწორედ მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკურ ინტეგრაციას. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ კრიზისის ნეგატიური ეფექტები აისახა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორიც საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება ყველაზე დაბალრისკიან და მაღალი უზრუნველყოფის მქონე დაკრედიტების სპექტრში მოიაზრება, გლობალურმა კრიზისმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა აღნიშნულ სექტორს 2009 წლის შუა პერიოდში. ზოგიერთ შემთხვევაში ადეკვატურად და მოქნილად ვერ იმოქმედეს წარმოქმნილი პრობლემების დასაძლევად საერთაშორისო თუ ადგილობრივმა საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციის და ზოგადად საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დოკუმენტური ოპერაციების წარმოების, სავალუტო რისკების ჰეჯირების, საექსპორტო პროდუქციისა თუ გადაზიდვების დაზღვევის საკითხებზე ინტენსიური მუშაობის საშუალებით.

მოცემული ნაშრომის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაზე გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედების გამოვლენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვკვეთეთ შემდეგი *ამოცანები:* თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის თავისებურებების შესწავლა-გაანალიზება; საფინანსო ინსტიტუტების როლის გაანალიზება საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში; საერთაშორისო ვაჭრობაზე თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენის განსაზღვრა; საკითხის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე დასკვნებისა და ზოგიერთი რეკომენდაციის შემუშავება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაჯანსაღებისა და კრიზისების პრევენციის მიმართულებით.

კვლევის ბაზად შესაბამის თემატიკაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებია არჩეული. *კვლევის მეთოდს* წარმოადგენს აღნიშნული წყაროების დაჯგუფება, სისტემატიზაცია, ანალიზი, სინთეზი; გარკვეული თვალსაზრისით - ცხრილებისა და სქემების განხილვისას - გამოვიყენეთ ანალიზის სტატისტიკური მეთოდები.

თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის თავისებურებები. მსოფლიოს უახლესი ისტორიის, XXI საუკუნის დასაწყისის გლობალური ეკონომიკური კრიზისი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმის, თუ რაოდენ ძლიერი დარტყმის მიყენება შეუძლია ეკონომიკური მოვლენებისა თუ ტენდენციების დაგვიანებულ, არასწორ და არაადეკვატურ შეფასებას, რაც, თავის მხრივ, აღარ უტოვებს არანაირ ბერკეტს კრიზისის პირას მყოფ ქვეყანას, რომ მოახდინოს ლავირება და კრიზისის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციის მიზნით შედარებით მარტივი და რაც მთავარია, დროული გამოსავალი მონახოს.

თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია განვლილი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების თავისებურებების ანალიზი, რათა შემუშავდეს სწორი ანტიკრიზისული გეგმა, რაც თითოეულ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, შექმნას ქვეყნის განვითარების ისეთი ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.

დღევანდელი გადასახედიდან მეცნიერებისა თუ ეკონომისტების მოსაზრებები საკმაოდ არაერთგვაროვანია, გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების თავისებურებებისა და მისი პრევენციის გზებთან დაკავშირებით. არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომელიც ცალსახა და სწორხაზოვან მიმართულებას მისცემს ქვეყნებს, თუ როგორ უნდა დაგეგმონ და განახორციელონ არსებული გარემოების ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, თავიდან აირიდონ დიდი მასშტაბის „დეპრესიები“; მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების და შეიძლება ითქვას, საუკუნეების მანძილზე არაერთი ცნობილი მეცნიერი თუ ეკონომისტი იკვლევდა გლობალური საფინანსო–ეკონომიკური კრიზისების საკითხებს, ბოლო პერიოდში განვითარებულმა გლობალურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა თანამედროვე პირობებში დღემდე არსებული ეკონომიკური თეორიის სერიოზული ხარვეზები და ჩავარდნები. აღნიშნულზე მიუთითებს, მაგალითად, ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი.[1] გარდა ამისა, დღეს საკმაოდ აქტიურად განიხილება ფინანსური კრიზისის პირობებში ცენტრალური ბანკების, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლისა და ფუნქციების საკითხები, მსოფლიოს ქვეყნების საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ორგანოები ცდილობენ ბაზელის სტანდარტების მიხედვით მაქსიმალურად გაითვალისწინონ რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკები საბანკო ზედამხედველობისა და საკანონმდებლო რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება შეკითხვა: არის კი მსოფლიო მზად საიმისოდ, რომ მომავალი გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი შეაჩეროს? შესაძლებელია კი წინასწარ პროგნოზირება მოსალოდნელი რეცესიებისა თუ დეპრესიების და რამდენად მობილიზებულნი არიან თუნდაც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები მინიმალური დანაკარგებით გაუმკლავდნენ მსგავსი ტიპის კრიზისებს მომავალში?

საერთაშორისო ექსპერტების უმეტესობის აზრით, 2007 წელს დასავლეთში დაწყებული გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც მოგვიანებით ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა, ყველაზე მძიმე იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში წარმოქმნილ კრიზისებს

[1] Krugman P. How did Economist Get It So Wrong? // The New York Times. 2009, Sept.2,p.17.

შორის.[1] დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის სრული კონსენსუსი გლობალური ფინანსური დისბალანსის წარმოშობის მიზეზებზე. ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ მნიშვნელოვანი პრობლემები იყო რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში და ამჟამად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება სწორედ ამ კუთხით (საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მესამე შეთანხმება კაპიტალის ადეკვატურობის, სტრეს-ტესტირებისა და საბაზრო ლიკვიდობის რისკების სტანდარტების შესახებ).

რაც შეეხება კრიზისის გამომწვევ ეკონომიკურ მიზეზებს, ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი: ერთი ინტერპრეტაცია არის ის, რომ 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა იყო კრიზისის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი[2], ხოლო მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით, გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა და მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდა იყო კრიზისის გამომწვევი მიზეზი და ამასთან, მისი მსოფლიო მასშტაბით გავრცელების მნიშვნელოვანი ფაქტორი[3]. რიგი ავტორები მიიჩნევენ, რომ კრიზისის სწრაფი და მწვავე გავრცელება ზემოხსენებული ორივე მიზეზის ერთობლიობის შედეგია[4]. თუმცა, პრაქტიკულად არც ერთი კვლევა არ შეისწავლის ემპირიულად ამ ფაქტორების წვლილს კრიზისის განვითარებაში ზუსტად. მეტიც, არსებული მონაცემები და კვლევების შედეგები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიცაა.[5]

ექსპერტების აზრით, კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. სუბსტანდარტული[6] იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან. ამერიკის უმსხვილესი იპოთეკური კომპანიების Fannie Mae-სა და Freddie Mac-ის გაუაზრებელმა, ხშირ შემთხვევაში არაპროგნოზირებადმა მოქმედებამ (ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა, პროცესის გაუმჭირვალობა, საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების შერწყმა) გაამარტივა მომხმარებლისთვის იპოთეკური კრედიტების აღება. რეგულაციების შესუსტებამ ეტაპობრივად შექმნა სტიმული, რომ მასიურად გაცემულიყო სესხები დაბალშემოსავლიან მსესხებლებზე საკმაოდ მაღალი ან „ცვლადი“ (LIBOR) განაკვეთებით. შედეგად, უპრეცედენტოდ გაიზარდა როგორც უძრავი ქონების ფასები, ასევე „გაპრობლემებული“ სესხების მოცულობაც.

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ მხოლოდ უძრავი ქონების სექტორის კრიზისი არ იქნებოდა ისეთი სავალალო შედეგების მომტანი, რომ არა აშშ-ის საფინანსო სისტემაში განხორციელებული ფინანსური ინოვაციები: იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა (mortgage-based securities, MBS) და მათი ნაირსახეობა - სავალო ვალდებულებით უზრუნველყოფილი ობლიგაცია (collateralized debt obligation, CDO).[7] MBS და

---

[1] Onwuamaegbu U., Sauvant P. FDI, the Global Crisis and Sustainable Recovery, Transnational Corporations, UNCTAD, 2011, 20(1), p. 2.

[2] a) Taylor J. B. Housing and Monetary Policy, Federal Reserve Bank of Kansas City, 2007 Symposium;
b) White W. R. Should Monetary Policy "Lean or Clean?, Federal Reserve Bank of Dallas Globalization and Monetary Policy Institute Working Paper 2009, No. 34.

[3] a) Caballero R. J., Krishnamurthy A. 2009, "Global Imbalances And Financial Fragility", American Economic Review, 2009, Vol. 99, No2, pp. 584-88;
b) Portes R. Global Imbalances, mimeo, London Business School, January, 2009.

[4] a) Obstfeld M., Rogoff K. Global Imbalances and the Financial Crisis: Products of Common Causes, 2009, CEPR, Discussion Paper 7606. b) Acharya V., Richardson M. Restoring Financial Stability: How to Repair a Failed System, Wiley, 2009.

[5] ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები, თბ., 2014, https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_2/1.pdf.

[6] საბპრაიმ - სესხები, რომლებიც გაიცემოდა დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე პირებზე და ამდენად ხასიათდება უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით, დაბალხარისხიანი გირაოთი, და ზოგადად ნაკლებად ხელსაყრელი საკრედიტო პირობებით.

[7] ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები, თბ., 2014, https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_2/1.pdf.

CDO ობლიგაციები მაღალი რეიტინგისა და უსაფრთხოების გარდა ასევე მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდა ინვესტორებს, რამაც გამოიწვია მათზე მოთხოვნის ზრდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ წარმოიქმნა ე.წ. ბუშტი. კრიზისი გასცდა უძრავი ქონების სექტორს და 2007 წელს გაკოტრება დაიწყეს ჰეჯ-ფონდებმაც, რომელთა პორტფელებში მაღალი იყო იპოთეკებისა და მასთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების წილი.

საფინანსო ინსტიტუტების როლი საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში. საერთაშორისო ვაჭრობა ისტორიულად ხასიათდებოდა ინტენსიური კონკურენციით და არც დღევანდელობა წარმოადგენს გამონაკლისს. XXI საუკუნეში ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის გამო მსოფლიო რთულ მექანიზმად გადაიქცა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გაჩნდა როგორც საშუამავლო კომპანიების, ასევე ექსპორტის წახალისების სახელმწიფო დახმარებისა და ექსპორტის დაფინანსების პროგრამების შექმნის აუცილებლობა.

ექსპორტის ზრდის პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობები მთელ მსოფლიოშია აღიარებული, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მთელი რიგი ქვეყნების მხრიდან ექსპორტის სტიმულირების მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას. ზოგიერთი ქვეყანა ექსპორტიორებს 30%-მდე პრემიებს უხდის დოტაციების სახით. არსებობს ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოების მხრიდან ექსპორტის „იაფი“ დაფინანსების პრაქტიკაც. განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები აქტიურად ცდილობენ აამოქმედონ ექსპორტის სტიმულირების ფართო სპექტრი და ინვესტორები დღგ-ზე დაწესებული შეღავათებით დააინტერესონ, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია განხორციელდეს საექსპორტო დარგების განვითარების მიმართულებით.[1]

საერთაშორისო პრაქტიკაში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების გამო, უფრო აქტიურად იყენებენ სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის სუბსიდირებას, საექსპორტო კონტრაქ-ტების პირდაპირ დაფინანსებასა და საკრედიტო გარიგებათა ხელსაყრელი პაკეტის ფორმირებას. ასეთ საქმიანობას ძირითადად საექსპორტო საკრედიტო სააგენტოები და ექსიმბანკები ახორციელებენ. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები საკმაოდ აქტიურად და ეფექტიანად ფუნქციონირებენ მსოფლიოს არაერთ წამყვან ქვეყანაში, და საინტერესო იქნება, თუკი განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, გაითვალისწინებს უცხოურ გამოცდილებას და მოარგებს მას საკუთარი ქვეყნის თავისებურებებს.

საექსპორტო პოტენციალის ზრდისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ოპერაციათა საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით ქმედით ეკონომიკურ მიდგომად მიიჩნევა საექსპორტო ხელშეკრულებების დაზღვევა (ექსპორტიორის მიერ გადაუხდელობის რისკის დაზღვევა, გარანტიების გაცემა). ამ შემთხვევაში დამზღვევი ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებს შესაძლო რისკების გარკვეულ ნაწილს და ექსპორტიორს ნაწილობრივ აზღვევს გაკოტრებისგან. უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო კრედიტების დაზღვევის სახელმწიფო ფორმის არსებობა განპირობებულია იმით, რომ კერძო კომპანიები ფაქტობრივად უძლურნი არიან საკუთარ თავზე აიღონ რისკები გრძელვადიან პერიოდში. სწორედ ამიტომ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ექსპორტისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა ეკონომიკური ზრდის განუყოფელი ნაწილია.

რაც შეეხება კომერციული ბანკების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, აღსანიშნავია, რომ სწორედ საბანკო არხებით ხორციელდება საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დიდი ნაწილის მართვა და მათი მომსახურება, რაც გულისხმობს შემდეგი

[1] ვორფილდი ჯ. ა. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება, თბ., 2002, გვ.15

სახის ოპერაციებს: უცხოური ვალუტით ვაჭრობა (სავალუტო-საკასო გარიგებები, ვადიანი სავალუტო ვაჭრობა და სავალუტო ოფციონები); დაფინანსება (კრედიტები მიმწოდებლებზე, კრედიტები დამზადებისა და ტრანსპორტირებას შორის არსებულ პერიოდში სახსრების შესავსებად); სხვადასხვა საბანკო მომსახურებები (სინდიცირებული სესხები მსხვილ პროექტებზე, გარანტიები საიმპორტო და საექსპორტო გარიგებებზე და ა.შ.). ანგარიშსწორების ოპერაციები (აკრედიტივი, ინკასო, საბანკო გადარიცხვა, ანგარიშსწორება ავანსით, ღია ანგარიშით, თამასუქებით, ჩეკებით და ა.შ.).

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით, საერთაშორისო ანგარიშსწორების რეგულირების პროცესში, საფინანსო ინსტიტუტების გარდა, ასევე, აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო რეგულირებას და აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს სავალუტო რისკის თავიდან აცილების/მინიმიზაციის მიზნით.

თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე. 2008-2009 წლის გლობალურმა საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ბანკების ლიკვიდურობის შემცირებასთან ერთად, ვაჭრობის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის კლებამ განაპირობა მსოფლიო ვაჭრობის მაჩვენებლების მკვეთრი ვარდნა, თუმცა არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კრიზისის პერიოდში მომსახურებით ვაჭრობა იყო უფრო მოქნილი ნეგატიური ეფექტებისადმი, ვიდრე საქონლით ვაჭრობის სექტორი. მსოფლიო ექსპორტის 3,98%-ით შემცირებამ 2008-2012 წლებში გავლენა მოახდინა განვითარებული ქვეყნების იმპორტის კლებასა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ექსპორტის შენელებულ ტემპებზე.[1] თვალსაჩინო ვარდნა დაფიქსირდა, ასევე, 2008-2010 წლების მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის მაჩვენებლებში (ნახ. 1).



ნახ. 1 გლობალური ვაჭრობის მოცულობა

წყარო: *World Bank, CPB Netherland Bureau for Economic Policy Analysis – World Trade Monitor*

მსოფლიო ვაჭრობის 80-90% დამოკიდებულია ვაჭრობის დაფინანსების ეფექტიანობაზე, სწორედ ამიტომ რეალური ეკონომიკის სექტორთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური საფრთხე მნიშვნელოვნად ამცირებს ვაჭრობის დაფინანსების მოცულობას. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო მიწოდების სისტემის აწყობა, თავის მხრივ, განაპირობებს ვაჭრობის დაკრედიტების გლობალიზაციას და შესაბამისად იზრდება რისკი აღნიშნული სექტორის გლობალურ კრიზისებში ჩართულობასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ვაჭრობის

[1] UNCTAD figures on the volume of exports of goods; based on the World Economic Outlook (International Monetary Fund - IMF - estimates for 2012).

თვალსაზრისით კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ისეთი ტიპის ოპერაციების ანალიზი, როგორიცაა ვაჭრობის დაკრედიტება, გარანტიები და ა.შ.[1]

კვლავ ღია საკითხად რჩება 2008 წლის გლობალური კრიზისის დროს მოკლევადიანი დაკრედიტების შემცირების გამომწვევი დომინანტი ფაქტორის განსაზღვრის საკითხი. სანამ საერთაშორისო საზოგადოებრივი ინსტიტუტები ბაზრის ჩავარდნის ჰიპოთეზების ძიებაში იყვნენ, საბანკო სექტორი არაადეკვატური პრუდენციული ზედამხედველობის, ცენტრალური ბანკების არასწორი მითითებების და რაც მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობის გამო, შეეთავაზებინათ კრიზისიდან თავის დაღწევის კონკრეტული სტრატეგიები, კოლაფსის რეალობის წინაშე დადგნენ. მასობრივმა მცდელობამ, გაეთვალისწინებინათ „აზიური კრიზისის“ გაკვეთილები, გამოიწვია საერთაშორისო ბანკების ე. წ. „ჯოგური ქცევა“ - ბანკებმა ფაქტობრივად შეწყვიტეს განვითარებად ბაზრებზე ნებისმიერი სახის აქტივობა, მიუხედავად დაკრედიტების და რისკის ტიპისა. შედეგად ვაჭრობის დაკრედიტება საერთოდ გაჩერდა. ამას თან დაერთო არაადეკვატური ინფორმაცია და ექსტრაპოლაციური მოლოდინები ვალუტის კურსთან დაკავშირებით, რამაც ბაზარზე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.[2]

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ ფინანსური კრიზისებისათვის დამახასიათებელი რისკებისა და არასაკმარისი ლიკვიდურობის მაპროვოცირებელ ძირითად მიზეზად განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობის დაკრედიტების სიმწირე დაასახელა, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ინსტიტუტებს, შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევის ინიციატივებით გამოსულიყვნენ.[3]

საერთშორისო ვაჭრობაზე თანამედროვე გლობალური კრიზისის გავლენის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ ვაჭრობის დაფინანსების სისტემაში შექმნილი პრობლემები:

- ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრობლემები - ვაჭრობის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაფინანსების სანდო, ადეკვატურ და რენტაბელურ წყაროზე, რადგანაც საერთაშორისო ვაჭრობაში არის დროის საკმაოდ დიდი შუალედი წარმოებას, გადაზიდვასა და საბოლოო ანგარიშსწორების პერიოდებს შორის. ფინანსურმა კრიზისმა კი გარკვეული უნდობლობა გამოიწვია კონტრაგენტებს შორის;
- საექსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები - ამგვარი რისკების გადაზღვევა ხდება როგორც ექსპორტის დაკრედიტების სააგენტოების, ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ, თუმცა პოსტკრიზისულ პერიოდში კერძო სადაზღვეოებისათვის ნაკლებად მიმზიდველია ამ ტიპის რისკების გადაზღვევა;
- ფინანსურმა პრობლემებმა განაპირობა მოთხოვნის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე, რაც საბოლოო ანგარიშით, აისახა საერთაშორისო ვაჭრობაზე და ფინანსური კრიზისი გადაიზარდა ეკონომიკურ კრიზისში;
- საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის არასასურველი გვერდითი ეფექტები - ექსპორტიორები უფრო მყარად შეხვდნენ კრიზისს, რადგან მათ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე იმპორტიორებისაგან, რამაც იძულებული გახადა იმპორტიორი გაემკაცრებინა დაკრედიტების პოლიტიკა;

---

[1]The challenges of trade financing, https://www.wto.org/english/thewto_e/coher_e/challenges_e.htm

[2] Auboin M., Meier-Ewert M. Improving the Availability of Trade Finance during Financial Crises, WTO, 2003, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/dis02_e.pdf.

[3] Auboin M., Meier-Ewert M. Improving the Availability of Trade Finance during Financial Crises, WTO, 2003, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/dis02_e.pdf.

- ვაჭრობის დაფინანსების შეზღუდულობა - ლიკვიდურობის შემცირებამ და რისკების ზრდამ განაპირობა კრედიტების გაძვირება ბევრ ქვეყანაში. ამას დაემატა, ექსპორტიორების უფრო მეტი ინფორმირებულობა სავაჭრო ოპერაციების თანმდევი რისკების შესახებ, მათი ფრთხილი პოზიცია, ტვირთების თვეობით დაყოვნება, სანამ ექსპორტიორი არ დარწმუნდებოდა მყიდველის გადახდისუნარიანობაში და ა.შ., რამაც შეანელა საერთაშორისო ვაჭრობის პროცესები, ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საბანკო პროდუქტებზე გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, საკომისიოები და შემცირდა ვაჭრობის დაკრედიტების ხელმისაწვდომობა;
- Lehman Brothers-ის და სხვა მსგავსი ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრებით დაიკარგა საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების სტრატეგიული პარტნიორები;
- გაიზარდა ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებზე (გარანტიები, აკრედიტივები) ბანკის მხრიდან „დაუარებული“ განაცხადების რაოდენობები;
- ბაზელის კაპიტალის ადეკვატურობის ახალი მოთხოვნები ნეგატიურად აისახა საერთაშორისო ვაჭრობის დაკრედიტებაზე.

კრიზისის თანამდევ ნეგატიურ ეფექტებს არაერთი ანალიტიკური კვლევა ადასტურებს. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ბაზრის კვლევები, რომელიც პირველად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაკვეთით, G20-ის ქვეყნების სამიტისათვის მოამზადა საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (ICC) და 2009 წლის შემდგომ კვლევამ უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო. აღნიშნული კვლევის მიხედვით, მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელი კრიზისის პერიოდის მკვეთრი რყევებისგან განსხვავებით (2009 წელს მსოფლიო მშპ შემცირდა 1,7%-ით)[1], 2013-2014 წლებში ნაკლები დინამიკურობით გამოირჩეოდა და აღნიშნული მაჩვენებელი 2,5%-დან მხოლოდ 2,6%-მდე გაიზარდა. როგორც განვითარებულ, ასევე, განვითარებად ქვეყნებს ჯერ კიდევ თან სდევთ კრიზისის შემდგომი ნეგატიური ეფექტები, ამიტომ ბევრია სამუშაო რეფორმების გასატარებლად, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიოს კრიზისული მდგომარეობიდან საბოლოოდ გამოსაყვანად. განვითარებული ქვეყნების მხრიდან აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირებაზე სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინირებული მოქმედებაზე, მაშინ როცა განვითარებად სამყაროს სრულიად სხვა გამოწვევები აქვს: კაპიტალის ნაკადების შემცირებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ვალუტის გაუფასურებაზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ექსპორტის გაძლიერებას. აღნიშნული რისკის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება ცენტრალური ბანკების მიერ ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის გატარება, რაც ხელს შეუწყობს ვალუტის კურსია და ინფლაციის დონის დასტაბილურებას.[2]

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, 2008 წლის გლობალური კრიზისის შემდგომ, აღირიცხა ვაჭრობის შემზღუდავი 1360 რეგულაცია, საიდანაც ბოლო 7 წლის განმავლობაში გაუქმდა მხოლოდ 329 ნორმა. WTO დღემდე დაჟინებით მოითხოვს, რომ მოხდეს პროტექციონისტული ნორმებისა და არასატარიფო ბარიერების მაქსიმალურად შემცირება. მოლოდინის მიუხედავად, მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობები ინარჩუნებს შენელებულ ტემპს, რომლის გასააქტიურებლად მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების

[1]International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey, 2009.

[2]International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey, 2015.

გაღრმავება და თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი ნორმების მინიმიზაცია უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სულ უფრო მეტად ფართოვდება ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კლირინგული სისტემების მოქნილ ფუნქციონირებას. ბოლო პერიოდში გლობალური გადახდების მოცულობის მკვეთრმა ზრდამ, ევროზონის ერთიანი ვალუტის, ევროს შემოღებამ, განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების ინტენსიურმა ხასიათმა განაპირობა საერთაშორისო საფინანსო, საგადასახდელო და კლირინგული სისტემების როლის გაზრდა. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბანკთაშორის საზოგადოება (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication-SWIFT), რომელიც აწარმოებს საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშსწორების ოპერაციებს დისტანციური გადაცემის სისტემის მეშვეობით. აღნიშნული სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორების სისწრაფე, მოქნილობა, ოპერაციათა რაციონალიზაცია და საიმედოობა მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისამდელ პერიოდში საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების 80-85%-ის შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ღია ანგარიშის მეშვეობით. ანგარიშსწორების ეს ფორმა არ იყენებს SWIFT-ის „საგადასახდელო შეტყობინებებს“, აქედან გამომდინარე, ანგარიშსწორების დარჩენილი ტრადიციული მეთოდები (15-20%), მათ შორის დოკუმენტური ბიზნესი, გარანტიები და აკრედიტივები შესაძლოა გაანალიზდეს SWIFT-ით განხორციელებული ტრანზაქციების სტატისტიკის საფუძველზე. 2007 წლის მონაცემებით გამოკითხულ ფინანსურ ინსტიტუტთა 80% საბანკო აკრედიტივების 90%-ს, ხოლო გამოკითხულთა 20% - საბანკო აკრედიტივების 50%-ს ახორციელებდა SWIFT-ის სისტემის მეშვეობით. სვიფტის საანგარიშსწორებო სისტემით განხორციელებულმა ტრანზაქციების მაჩვენებელმა პიკს 2007 წელს მიაღწია (48 მლნ ტრანზაქცია) და სულ რაღაც 1 წელიწადში, 2008 წლის კრიზისის პერიოდში 46 მლნ ტრანზაქციამდე შემცირდა.[1]



ნახაზი 2. SWIFT-ის მეშვეობით განხორციელებული საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციების რაოდენობა, 2009-2014

წყარო: *Rethinking Trade and Finance, 2015, http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Trade-facilitation/ICC-Global-Survey-on-Trade-Finance*

[1] Rethinking Trade and Finance 2009: An ICC Global Survey, http://www.iccwbo.org

მოკლევადიანი აღმავლობის მიუხედავად, 2010 წლიდან კლება დაიწყო აღნიშნულმა მაჩვენებელმა და 2014 წელს სვიფტით განხორციელებული ტრანზაქციები 1,79%-ით შემცირდა. უფრო დეტალურად თუ შევხედავთ, კატეგორია 7 (კომერციული და სარეზერვო გარანტიები და აკრედიტივები) 1,41%-ით, ხოლო კატეგორია 4 (დოკუმენტური ინკასო), საერთო ანგარიშით, 3,09%-ით დაეცა. აღნიშნული, თავის მხრივ, გავლენას ახდენს გლობალური ვაჭრობის ტემპების შემცირების საერთო სურათზე სამომხმარებლო ფასების თვალსაზრისით (ნახ. 2).

SWIFT-ის საანგარიშსწორებო სისტემით განხორციელებული ოპერაციებისგან განსხვავებით, 2014 წელი გლობალური ფაქტორინგული ინდუსტრიისათვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ტემპები შესუსტდა მთელი რიგი მიზეზების გამო (სამომხმარებლო ფასების დაწევა, სავალუტო კურსის ცვალებადი გარემო, არამდგრადი ეკონომიკური პროცესები), ფაქტორინგული ინდუსტრია 2014 წელს გაიზარდა 6,3%-ით და მისმა წლიურმა მოცულობამ 2,35 ტრლნ. ევროს გადააჭარბა. ზრდის მაჩვენებელი დომინანტურად გამოვლინდა ევროპასა და ამერიკაში (8%-იანი ზრდა თითოეულის შემთხვევაში), რომელთაც ჯამურად მსოფლიო ფაქტორინგული ინდუსტრიის 71% უჭირავთ. 2008-2009 წლის კრიზისის შემდგომ ფაქტორინგის მოცულობა ინტენსიურად იზრდება (1 ტრლნ ევროს მოცულობით წელიწადში) და ასეთი თვალსაჩინო პროგრესი საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ სრულიად ახალი ერა დაიწყო ფაქტორინგისთვის აშშ-ში. ტრანსასაზღვრო ფაქტორინგის ინტენსიური ზრდა განპირობებული იყო ღია ანგარიშით ვაჭრობის ზრდითა და ფაქტორინგის მიერ ტრადიციული აკრედიტივის ალტერნატიული ფუნქციის შეთავსებით. ნახაზზე 3 ასახულია ფაქტორინგის ზრდის ტრენდი საშუალო წლიური 11%-იანი მატებით 1994-2014 წლებში.



ნახაზი 3. გლობალური ფაქტორინგის მოცულობა 1994-2014 წწ (მლრდ ევრო)
წყარო: *Rethinking Trade and Finance, 2015, http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Trade-facilitation/ICC-Global-Survey-on-Trade-Finance*

ფაქტორინგული კომპანიების გლობალურ ქსელს წარმოადგენს Factors Chain International (FCI), რომელიც დოკუმენტბრუნვისთვის იყენებს სვიფტის მსგავს სერვისს edifactoring.com. მისი ძირითადი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება (განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი - SME) ფაქტორინგის ან სხვა ფინანსური სერვისების დახმარებით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბევრ ქვეყანაში (მაგ., აშშ და ბრაზილია), ფაქტორინგის ბიზნესს არ გააჩნია რეგულაციები, რაც საშუალებას აძლევს ბევრ არასაბანკო დაწესებულებას, ჩაერთოს აღნიშნულ ინდუსტრიაში. ასეთი მასშტაბის ზრდა, განსაკუთრებით თანამედროვე

საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, განაპირობა ბაზელ II/III-ის რეკომენდაციების გათვალისწინებამ, მომატებულმა რისკებმა და ზოგადად ფაქტორინგის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და სანდო პროდუქტის პოზიციონირებამ ბაზარზე, რომელიც უზრუნველყოფს SME სექტორის ლიკვიდურობას და ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

რაც შეეხება ბაზელ II-ის სტანდარტს, რომელსაც საკმაოდ კრიტიკულად მიუდგნენ 2008 წლის მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გაანალიზებისას, აღნიშნულ რეგულაციებში საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების კუთხითაც მნიშვნელოვანი ხარვეზები დაფიქსირდა. აღმოჩნდა, რომ ბაზელის სტანდარტი სრულად უქრობდა ბანკებს საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების მოტივაციას და კაპიტალის ადეკვატურობისადმი გაზრდილი მოთხოვნები არახელსაყრელი იყო, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მიკრო და მცირე ბიზნესის დაკრედიტებისთვის.

რაც შეეხება ექსპორტის დაფინანსების საკითხს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის 2009 წლის კვლევის თანახმად, რესპოდენტთა დაახლოებით 40%-მა დაფიქსირა, რომ კრიზისის პერიოდში გარანტიების, აკრედიტივების და ვაჭრობის დაფინანსების სხვა ინსტრუმენტები მნიშვნელოვნად გაძვირდა, რაც გამოიწვია იყო სუბსიდირების მაღალმა დანახარჯებმა, კაპიტალის შეზღუდულობამ, გადაუხდელობის მომატებულმა რისკიანობამ და დაკრედიტების პირობებმა, რომელიც გამსესხებელს აძლევდა საშუალებას ბევრად მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაეწესებინა განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე.[1]

ამ მხრივ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2014 წლისთვის: ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკომისიოები მკვეთრად შემცირდა (ნახ.4). დაბალი ფასები ცალსახად მნიშვნელოვანი უპირატესობა იქნება კონკურენტულ ბაზარზე, რადგან მსესხებლებისთვის დღესდღეობით ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად არაერთი საინტერესო ალტერნატივა არსებობს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის დაფინანსების საშუალებათა ფასწარმოქმნაში ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ბაზელ III-ის რეგულაციებიც, რომელიც უკვე დანერგა და შესაბამისად ფასშიც ასახა გამოკითხული საფინანსო ინსტიტუტების 35%-მა. 2019 წლისთვის, რომელიც განისაზღვრა ბაზელ III-ის რეგულაციების სრული იმპლემენტაციის ბოლო თარიღად, სავარაუდოდ ფინანსური ინსტიტუტების აბსოლუტური უმრავლესობის ფასწარმოქმნაში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული რეგულაციით გამოწვეული ფასნამატი.



ნახაზი 4. ექსპორტის დაფინანსების ფასების ცვლილება

წყარო: *Rethinking Trade and Finance, 2015, http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Trade-facilitation/ICC-Global-Survey-on-Trade-Finance*

[1] ICC Document No. 470-1120 TS/WJ 31 March 09

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპორტის დაფინანსების პროდუქტებისადმი სულ უფრო მზარდი დაინტერესება გამოიხატება კაპიტალის ბაზრების აქტორთა მხრიდან, საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსების ოპტიმიზაციისა და მომავალი პერსპექტივებისათვის სარგებლის მომტანი იქნება დღევანდელი გადმოსახედიდან აღნიშნული სფეროს ხელშემშლელი ფაქტორების განსაზღვრა და ანალიზი მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით.

კვლევებმა ცხადყო, რომ ყველაზე დიდ ხელშემშლელ ფაქტორს პოლიტიკური არასტაბილურობა და იურიდიული და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სირთულე წარმოადგენს, თუმცა მსესხებლების ინფორმირებულობის დონე ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტებთან დაკავშირებით წინა წელთან შედარებით 7%-ით გაიზარდა (ნახ. 5).



ნახაზი 5. ახალ ბაზრებზე ექსპორტის დაფინანსების ხელშემშლელი ფაქტორები

წყარო: *Rethinking Trade and Finance, 2015, http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Trade-facilitation/ICC-Global-Survey-on-Trade-Finance*

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მსოფლიო კრიზისების გაზრდილმა ინტენსივობამ განაპირობა დაზღვევის საკითხების აქტუალურობა კრიზისის ნეგატიური ეფექტების მინიმიზაციის თვალსაზრისით. 2014 წლის მდგომარეობით, საკრედიტო და საინვესტიციო მზღვეველთა საერთაშორისო გაერთიანება „Berne Union"-ის მიერ ექსპორტის დაკრედიტების დაზღვევის მოცულობა გაიზარდა 4%-ით და 1,875 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის დაწყების შემდეგ „Berne Union"-ის მიერ ანაზღაურდა დაახლოებით 28 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ზარალი.[1] სადაზღვეო კომპანიების ასეთი მოქნილობა რისკების დაზღვევის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციებისა და ზოგადად ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის საქმეში.

დასკვნები და რეკომენდაციები: თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური შედეგები ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან დარგებთან ერთად საერთაშორისო ვაჭრობის სექტორის მდგომარეობაზეც აისახა, თუმცა ვთვლით, რომ უპრიანი იქნება თუკი კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა და თავისებურებების ანალიზი ეფექტიან, რეალურ და ნამდვილად შედეგის მომცემ რეკომენდაციებში აისახება, რაც ქმედით გავლენას მოახდენს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაჯანსაღებისა და კრიზისების პრევენციის

[1] International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey, 2015

თვალსაზრისით. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებული საკითხები საშუალებას გვაძლევს მცირე წვლილი შევიტანოთ ამ მიმართულებით:

- ღია ანგარიშით ანგარიშსწორება მის მოქნილ და მიმზიდველ პირობებითან ერთად არსებითად ზრდის ექსპორტიორისათვის თანხის გადაუხდელობის რისკს. სწორედ ამიტომ აღნიშნული სქემა რეკომენდირებულია გამოყენებული იქნას მხოლოდ მაღალი ნდობისა და კონტრაგენტებს შორის ხშირი სავაჭრო ურთიერთობების პირობებში;
- საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემის SWIFT-ის მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ვაჭრობის პროცედურების სიმარტივის, სისწრაფისა და სიზუსტის კუთხით აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ყველა საანგარიშსწორებო ფორმების შემთხვევაში;
- კრიზისის პერიოდში შესამჩნევად იმატა სადაზღვევო კომპანიების მხრიდან საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკების გადაზღვევის შიშმა. უმჯობესი იქნება, თუკი სადაზღვევო კომპანიები ასევე დეტალურად გაანალიზებენ კრიზისის პერიოდში წარმოშობილ რისკებს და მაქსიმალურად ოპტიმალურ სადაზღვევო პაკეტებს შექმნიან, რაც გამოსადეგი იქნება როგორც საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტებისათვის, ასევე ნაკლები ზარალის მომტანი იქნება უშუალოდ სადაზღვევო კომპანიებისათვის;
- იქიდან გამომდინარე, რომ პოსტკრიზისულ პერიოდში თვალსაჩინო გახდა ბაზელის რეკომენდაციების ნეგატიური გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე, აუცილებლად უნდა მოხდეს ბაზელის კომიტეტის მიერ არსებული რეკომენდაციების გადახედვა ამ თვალსაზრისით, რათა კრიზისის პრევენციის მიზნით შექმნილი რეგულირებები არ აღმოჩნდეს ეკონომიკის საკვანძო მნიშვნელობის მქონე სექტორის შეფერხების საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები

1. ბაქრაძე გ. 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი: მიზეზები და ინტერპრეტაციები, თბ., 2014, https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/2014_2/1.pdf;
2. ვორფილდი ჯ. ა. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება, თბ., 2002;
3. მესხია ი. საერთაშორისო ფინანსები, თბ., 2012;
4. Acharya V., Richardson M. Restoring Financial Stability: How to Repair a Failed System, Wiley, 2009;
5. Auboin M., Meier-Ewert M. Improving the Availability of Trade Finance during Financial Crises, WTO, 2003, https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/dis02_e.pdf;
6. Caballero R. J., Krishnamurthy A. 2009, “Global Imbalances And Financial Fragility”, American Economic Review, 2009, Vol. 99, No2;
7. Cecchetti S.G., Kohler M., Upper C. Financial Crisis and Economic Activity // NBER Workihg paper, 2009, #15379;
8. https://www.wto.org/english/thewto_e/coher_e/challenges_e.htm;
9. International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey, 2009, ICC Document No. 470-1120 TS/WJ 31 March 09;
10. International Chamber of Commerce (ICC) Banking Commission , Rethinking Trade & Finance, Global Trade Finance Survey, 2015;
11. Krugman P. How did Economist Get It So Wrong? // The New York Times. 2009, Sept.2;
12. Obstfeld M., Rogoff K. Global Imbalances and the Financial Crisis: Products of Common Causes, 2009, CEPR, Discussion Paper 7606;
13. Onwuamaegbu U., Sauvant P. FDI, the Global Crisis and Sustainable Recovery, Transnational Corporations, UNCTAD, 2011, 20(1);

14. Portes R. Global Imbalances, mimeo, London Business School, January, 2009;
15. Rethinking Trade and Finance, 2009, 2015, http://www.iccwbo.org;
16. Taylor J. B. Housing and Monetary Policy, Federal Reserve Bank of Kansas City, 2007 Symposium;
17. The challenges of trade financing, https://www.wto.org/english/thewto_e/coher_e/challenges_e.htm;
18. UNCTAD figures on the volume of exports of goods; based on the World Economic Outlook (International Monetary Fund - IMF - estimates for 2012). Vol. 99. No2;
19. White W. R. Should Monetary Policy "Lean or Clean?, Federal Reserve Bank of Dallas Globalization and Monetary Policy Institute Working Paper 2009, No. 34;
20. World Bank, CPB Netherland Bureau for Economic Policy Analysis – World Trade Monitor.

Annotation

The work is dedicated to the impact of global financial-economic crisis on the financing of international trade. Peculiarities of modern financial-economic crisis, the role of international financial institutions in the financing of trade and the impact of global financial-economic crisis on the financing of international trade are represented in the following work. The question is analyzed on the base of scientific papers and the reports of international organizations. The problems of international trade are identified author's point of views about prevention of these problems are expressed in the work. Also there are highlighted questions about the role of the insurance companies and the need to review the recommendations of Basel.